

ქართული პოეზიები ენციკლოპედია



შემდგენელი
ალექსანდრე ელერდაშვილი

ქართული კომედი

(ენციკლოპედია)

შეადგინა
ალექსანდრე ელერაშვილმა



თბილისი
2021

udc (უაკ) 821.092 (031)
ე-542

ავტორის წინასიტყვაობა

ქართული პოეზიის ენციკლოპედიაში თავმოყრილია მეტნაკლებად ცნობილი თუ საყოველთაოდ აღიარებული 1055 ქართველი პოეტის და პოეზიის მთარგმნელის ბიოგრაფია, ფოტო და თითო ნიმუში მათი შემოქმედებიდან.

ენციკლოპედიაში ინფორმაციის განთავსებისას ვცდილობდით ყველა ცოცხალ ავტორთან (...ან გარდაცვლილთა შთამომავლებთან) დაგვემყარებინა კავშირი და მათთან შეთანხმებით დაგვებეჭდა ყველა მასალა (ბიოგრაფია, ფოტო, ლექსი), მაგრამ, რადგან ყველასთან არ მოხერხდა კონტაქტის დამყარება, თავს უფლება მივეცით, გვესარგებლა იმ ინფორმაციით, რაც საჯარო სივრცეშია განთავსებული და შესაბამისად ყველასათვის ნებადართულია, რომ გაეცნოს მას.

ზოგი ვერ გავიხსენეთ, ზოგი უნებლიედ გამოვგვრჩა, ამიტომ ნუ გვიწყენთ, თუ ვინმე ვერ აღმოაჩენს საკუთარ თავს ამ წიგნში... დიდი იმედი გვაქვს, რომ წიგნი მეორედაც დაიბეჭდება და მანამდე დაგვიკავშირდებით და შეგვასწორებინებთ ყველა ხარვეზს.

სრულყოფილი ამქვეყნად არაფერია და ვერც ეს ენციკლოპედია იქნება ყოვლისმომცველი და უნაკლო.

რედაქტორის მიწაწერი

ეს წიგნი რამდენიმე წლის განმავლობაში იქმნებოდა და მისი დაბეჭდვა 2020 წლის მიწურულს იყო ჩაფიქრებული, თუმცა მისი გამოცემა ჯერ პანდემიამ შეაფერხა, შემდეგ კი – წიგნის ავტორის უდროო გარდაცვალებამ. წიგნი იბეჭდება იმ ფორმით, როგორც დაგოვა ავტორმა.

რედაქტორი: © ვახტანგ ელერდაშვილი

გამომცემლობა: © საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ISBN: 978-9941-9750-6-6



— **აბაშელი ალექსანდრე** (1884 – 1954)

ნამდვილი სახელი და გვარი – ალექსანდრე (ისააკ) ჩოჩია. ფსევდონიმი – ი.პარნასელი.

დაიბადა სოფელ საჩოჩოში (აბაშა); სწავლობდა აბაშის ორკლასიან სასწავლებელში. 1903-04 წლებში მსახურობდა ბორჯომში ფოსფის მოხელედ. 1906 წელს გადაასახლეს ვოლოგდის ოლქის ქ. სოლვიჩევოდსკში, აქ გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსები რუსულ ენაზე. 1907 წელს გადაასახლეს ასტრახანის გუბერნიის ქ. ენოგაევსკში, საიდანაც გამოიქცა ჩამოვიდა თბილისში. მისი პირველი ქართული ლექსი ი.პარნასელის ფსევდონიმით გამოქვეყნდა 1909 წელს გაზეთ „დროებაში, შემდეგ კი ლექსი „შავი აჩრდილი“ 1910 წელს დაბეჭდა (ქურნალი „თეატრი და ცხოვრება“). გამოცემული აქვს კრებულები: „მზის სიცილი“ (1913), „ანთებული ხეივანი“ (1923), „გაბგარული სარკე“ (1929), „მზე და სამშობლო“ (1939), „გმირული დღეები“ (1942), ერთგომეული (1947) „ოქროს საფეხურები“ (1950); მის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, ვრცელი მოთხრობები „ქალი სარკეში“ (1930), „აგმის ყვავილი“ (1959) და კრიტიკული წერილები. დაუმთავრებელი დარჩა რომანი „ირმა“. მისი რედაქციით გამოვიდა ვაკე-ფშაველას თხზულებათა პირველი სრული კრებული. ერთხანს იყო მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე (ს.თოდრიას თავმჯდომარეობის დროს).

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.



ალექსანდრე აბაშელი

ცხრა წყარო

ჩვენ რატომღაც ყველაფერი ცხრა გვიყვარს: ცხრა მზე, ცხრა მღვა, ცხრა მუხა და ცხრა კარი.

აგვაფრენს და ცხრა მთას იქით წაგვიყვანს ცხრათვალა მზის ცხრაფრთიანი მლაპარი. იყვნენ: შოთა, ჩახრუხაძე, შავთელი, - პოეზია ანათებდა წინათაც. ჩამოვთვალე მე ცხრა დიდი ნათელი, რაც ჩვენს ცაზე

სხვადასხვა დროს ბრწყინავდა. მათ ჩვენს გულში ყველას თავის წილი აქვს, ჩვენც არ ვაკლებთ დიდებას და ვაშასა: გურამიშვილს, ორბელიანს, ილიას, ბარათაშვილს, აკაკის და ვაჟასა. ყველაფერი ქართულია, ჩვენია, ქართლის ბაღში რაც იზრდება, რაც ხარობს, რუსთაველის მაღლი გადაჰყენია საქართველოს პოეზიის ცხრა წყაროს.


— **აბაშიძე გრიგოლ** (1913 – 1994)

გრიგოლ გრიგოლის ძე აბაშიძე დაიბადა სოფელ რგანში (ჭიათურა); 1931 წელს დაამთავრა თბილისის საშუალო სასწავლებელი, 1936 წელს კი – მსსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი, შემდეგ ორი წლით სწავლა განაგრძო მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სასცენარო განყოფილებაზე. პირველი ლექსები 1934 წელს გამოაქვეყნა, პირველი კრებული – 1938 წელს. 1945 წელს დაბეჭდა მისი კრებული „დრომები“, ხოლო 1948 წელს კრებული – „ჯაჭვგაუსღელი“. 1946 წელს ალექსანდრე აბაშელთან ერთად დაწერა საბჭოთა საქართველოს ჰიმნის გექსტი. მისი ისტორიული რომანები „ლაშარელა“ (1957), „დიდი ღამე“ (1963), „ცოგნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“ (1975) წარმოსახავს ქართველი ხალხის ცხოვრებას XIII საუკუნის პირველ ნახევარში. თარგმნილი აქვს შანდორ პეგეფის, მიხაი ემინესკუს, ხრისტო ბოტევის, ნიზამი განჯელის და სხვა პოეტების ნაწარმოებები.

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

განმმცროლება

ისევ ეს ფიქრი გღვეს წლიდან წლამდე, საითაც უნდა მიაპყრო მშერა, სულ გინდა, რაღაც გულით რომ გწამდეს,



ბრიგოლ ბრიგოლის ძე აბაშიძე

და სადაც კიდე რაღაცის გჯერა.
გჯერა, რომ ფსევდოს წლები არ უშლის,
ისევე იფეთქონ მწვანე ყლორტებად...
ლექსში, შვილებში და სიყვარულში
ჩვენი სიცოცხლე განმეორდება.
განმეორდება, ურწმუნო ნუ ხარ,
(რწმენის დაკარგვა შესაძარია!)
ბედნიერია, ბრძალ ვისაც უყვარს
და მორწმუნენი ნეტარ არიან.
განმეორდება, რაც გიმგზავრია,
რაც გიპოვინია,რაც გაგფრენია!
მაგრამ ცხოვრება თუ სიმშარია,
გულდასაწყვეტეც არაფერია!..

– აბაშიძე ბრიგოლ (1866 – 1903)

გრიგოლ დავითის ძე აბაშიძე
სამწერლო ასპარეზზე XIX ს 80-იან წლებში
გამოვიდა. თანამშრომლობდა ქართულ ქურ-
ნალ-გაზეთებში, მონაწილეობდა თეატრალურ
წარმოდგენებში, სალიგერატურო სადამოებში.
მისი პოეზია ქართველ „სამოციანელთა“ ლიგ-
ერატურულ ტრადიციებს მიჰყვება. მისი ლექსი

ლირიზმითა და განწყობილების სიმძაფრით
გამოირჩევა („სიმღერა სასოწარკვეთილისა“,
1900). წერდა პოემებს („ცრემლთა წყარო“, 1901;
„დედა“, 1900), თარგმნიდა (მხეილ ლერმონტო-
ვის „მწირო“; ფრანსუა კოპეს „ბუღას მერცხა-
ლი“; მეთიუ არნოლის „მნათობი აბისა“). მის
ლექსებზე შექმნილი პოპულარული სიმღერები
შედიოდა დები იშხნელებისა და ვანო სარაჯიშ-
ვილის რეპერტუარში („ოხ, მარგალიტავც“; რო-
მანსი – „ოღესაც გიცქერ“).

– აბაშიძე ლოლო (1937)

ნამღვილი სახელი – კესარია. გამოქვეყნე-
ბული აქვს ლექსები შემდეგ გამოცემებში: „ოლე“,
„განთიადო“.

* * *

ვინღა მომეფეროს ღელასავით?
ფიქრი აფთარივით მომხსგება,
გულზე დამეტკავა ელდასავით
შენი საოცარი მონატრება.
ვღგავარ შენს საფლავთან თავის მოხრით,
სხვაზე ვედარ ვფიქრობ ამის გარდა,
წარსულს გადავხედე ამოხვრით,
გული საგულედან ამოვარდა.
გაკონი ნელა, ცრემლებმოდლებით,
სიკვდილ-სიცოცხლეზე გადაბულო,
შენ კი მყვარებისარ მოკრძალებით,
ქვაო, ღელის გულზე დადებულო.
ახლა შენს ქვეშაა მოქცეული,
ჩემი ღელამიწის მთელი სფერო,
იქნებ შენ ჩაიდგა ღელის სული,
იქნებ ღელასავით მომეფერო.
იქნებ შეიწოვო ღელის სისხლი,
იქნებ მისი ბოლო ამოსუნთქვა
გათბოს, ვიცი, მხოლოდ ამით მისხნი,
ქვაო... ნუ იქნები ჩემთვის გულქვა.
ქვაო, ღელის ნეშტი მოგაბარე,
შენ გთხოვ, ღელასავით დამირწიე,
ქვაო, ღელასავით მომეფერე,
ღელის მაგიერობა გამიწიე.



ლოლო
აბაშიძე



მამეკ
აბაშიძე



სულვან
აბჯალაძე


– **აბაშიძე ვლადიმერ** (1859 – 1917)

დაიბადა სოფელ დილიკაურში (მესტაფონი); დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია. იყო ნავალიშვილის მიერ 1867 წ. ჩამოყალიბებული დრამატული თეატრის წევრი. 1878 წ. გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა მისი ლექსი „ე. ნ-ს“ („ისეუ შენ და ისეუ შენ...“, მიძღვნილი ელენე კონსტანტინეს ასულ ნიკარაძისადმი). შემდგომში ეს ლექსი შევიდა კრებულებში („სალხინო სამანდარი“, „ჩანგი“) ავგორის დაუსახელებლად. ლექსი ხალხში სიმღერად იქცა, კომპოზიტორმა ანდრია ყარაშვილმა კი შექმნა პოპულარული ქართული რომანსი. ეს სიმღერა ამჟვენებდა ვანო სარაჯიშვილის რეპერტუარს.

– **აბაშიძე ირაკლი** (1909 – 1992)

დაიბადა დაბა ხონში; 1926 წელს დაამთავრა ხონის ხონის საშუალო სასწავლებელი, 1930 წელს კი – მსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. მისმა პირველმა ლექსებმა, რომლებიც 1928-1929 წლებში იბეჭდებოდა იმთავითვე მიიპრო ყურადღება; პირველი კრებულება: „რამდენიმე ლექსი“ (1932), „ახალი ლექსები“ (1938), „ლექსები“ (1941). 1960 წელს მონაწილეობა მიიღო იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციაში. ამ მოგზაურობების შედეგად შეიქმნა ლექსების წიგნი „რუსთაველის ნაკვალევზე“ (1965). 1965 წელს ირაკლი აბაშიძემ დააფუძნა შოთა რუსთაველის სახელობის პრემია და კომიტეტის პირველ თავმჯდომარედ დაინიშნა; მას ეკუთვნის რამდენიმე ლირიკული ციკლი: „მონადირის დამეგები“, „ყვავის გურია“, „ჰიმნი სიცოცხლეს დედამიწაზე“, „მონოლოგი ანრდილებთან“, „ქარები რიონის ხეობაში“, საბავშვო ლექსები და პოემები („რას გადაურჩა თბილისი“, 1955) და სხვა.

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.
სმა კატამონიანი
 ო. ენავ ჩემო, დედაო ენავ,
 შენ ჩვენო ნიჭო, სრბოლავ და ფრენავ,
 შენ, ჩვენი სუნთქვის დილო ალამო,
 შენ, ჭირთა ჩვენთა გკბილო მაღამო,
 შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
 შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან.
 ნათესავს ათასს, მეგობარს ათასს,
 მრუდსა და მართალს,
 მგერთა და ძმათა დავშორდი,
 მორჩა, ყველა მოთავდა,
 მშვიდობა ვუთხარ ყველა მოკვდავთა,
 მხოლოდ შენ უკვდავს, მხოლოდ შენ მარადს,
 შენ - ერთს, შენ ვერ გთმობ



ირაკლი აბაშიძე

სამარის კარად.
 თუ რამ მზე მწამდა, თუ რამ მზე მწვადა,
 უგკბილეს დღეთა, უგკბილეს წამთა,
 უგკბესი შენ ხარ, ენავ დედაო,
 შენ, მწარე ლხინო, გკბილო სვედაო,
 შენ, ყოველის მიქმელო,
 ყოველის არ მიქმელო,
 შენ, გმირთა გმირო, ბრძენო ქართველო,
 წარსული ძეგლო, წინ გამხედავო.
 ქვესკნელში მძრომო, ცაში მჭკრეტელო.
 ხან ფუნჯო ჩემო, ხან - საჭრეთელო,
 შენ, აკვნის ჰიმნო, ცრემლო სამარის
 იბერის ენავ, ენავ თამარის!
 შენ, ნიჭო ჩემო, სრბოლავ და ფრენავ,
 დედაო ენავ, დედაო ენავ!
 დაეცეს, იქნებ სიმბაგრე ყველა,
 მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,
 დაედოს მგვერი ყველა დიდ სსოვნას,
 დააკვდეს აზრი ნაპოვნის პოვნას.
 ყოველ ნერგს, იქნებ დააკყდეს მეხი,
 ყოველ ძეგლს, იქნებ დაედგას ფეხი,
 მხოლოდ შენ უგკნობს,
 შენ ხაგად ქვეულს,
 რა დრო, რა დასკვმს
 შენს უკვდავ სხეულს?
 ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ,
 შენ, ჩემო ნიჭო,
 სრბოლავ და ფრენავ,
 შენ, ჩვენი სუნთქვის დილო ალამო,
 შენ, ჭირთა ჩვენთა გკბილო მაღამო,
 შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
 შენ ერთს, შენ ვერ გთმობ
 სამარის პირთან...

— აბაშიძე მამულ (1873 – 1937)

სამოგალო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი. სანჯაყ-ბეგ აბაშიძეთა შთამომავალი. სგალი-ნური რეპრესიების მსხვერპლი. დაწყებითი განათლება მიიღო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის სკოლაში. მამის ხელმძღვანელობით დაეუფლა არაბულ, სპარსულ და თურქულ ენებს. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა XX საუკუნის დასაწყისში. სისგემატურად ბეჭდავდა პუბლიცისტურ წერილებს ქართულ პრესაში. აქტიურად იბრძოდა მუსლიმან ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და საქართველოს ერთიანობისათვის, რის გამოც რამდენიმეჯერ დააპატიმრეს და გადაასახლეს. 1917 წელს დაბრუნდა ბათუმში. ხელმძღვანელობდა ქართველ მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოებას. 1918 წ. პროტესტით შეხვდა აჭარაში შემოსულ თურქებს, რისთვისაც დააპატიმრეს და გრაჰიმონის ციხეში ჩასვეს. საპატიმროდან გაიქცა, ჩამოვიდა თბილისში და სათავეში ჩაუდგა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს“. 1919-21 წწ რედაქტორობდა გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“. მონაწილეობდა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში. იყო საოლქო რეკვიზმის წევრი, მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ქართულად თარგმნა ომარ ხაიამის, ნამიქ ქემალის და სხვა პოეტების ნაწარმოებები. იგი შეუდგა „ეფესისგყაოსანის“ თურქულ ენაზე თარგმნას, მაგრამ არ დასცალდა.

— აბლაძე სულხან (1930 – 1988)

ფსევდონიმი — „აბლეანი“
დაიბადა ქუთაისში. 1946 წელს დაამთავრა ქუთაისის 25-ე არასრული საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ავტომექანიკურ ტექნიკუმში. 1967-72 წლებში სწავლობდა ოსუსის ისტორიის ფაკულტეტზე. ლიტერატურული მოღვაწეობა 1953 წლიდან დაიწყო. მან პირველი ლექსი ალ-

მანას „ლიტერატურულ აფხაზეთში“ გამოქვეყნა. შემდგომ პერიოდში მისი ლექსები სისგემატურად იბეჭდებოდა და გამოდიოდა ცალკე წიგნებად. დიდი ინტერესით იკითხება პოეტის საბავშვო ლექსები. გამოცემული აქვს კრებულები: „ნიკარა“, „დაღა ვიორცობისთვე“, „სათაფლიაზე მწარე ბლებია“; მას ეკუთვნის, აგრეთვე, საბავშვო წიგნები: „დედის კალთა“ და „ემშაკის ბორბასი“

ჯჰბარი

სიყვარულს რა გააციევებს,
უფრო მაღალი ვხდები.
მივიღვარ, ჯვარით მაცლებ,
მოვიღვარ, ჯვარით მხვდები.
კვლავ სიხარულად მანითვის,
ეგ ვბთენება დილის,
ჯვარი ამშვენებს ამ მთვის,
ჯვარი სწერია თბილისს!

— აბესაძე ანზორ (1942 – 1978)

დაიბადა სოფელ მუხურაში (გყიბული), პედაგოგების ოჯახში. 1959 წელს დაამთავრა მუხურის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ამავე წლებში გამოქვეყნა პირველი ლექსები წყალტუბოსა და გყიბულში გამომავალ გაზეთებში. 1965 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა გყიბულის მე-2 საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად. ასევე მოღვაწეობდა გყიბულის წიგნს მიყვარულთა საზოგადოებაში. 1986 წელს გამოიცა მისი ლექსების კრებული: „თვალმოკრული საწუთრო“.

იმერეთი


თეთრი ნისლივით ოცნება ბოლავს,
მდინარეები ისევ გიჟობენ;
შემოვებებია ზურმუხტის ზოლად
მწვანე ეშობებს გირიფის ღობე.
ცის ლაყვარდიდან მზე იხედება,
მზე იხედება კაცის გულიდან;
ფრთას ისწორებენ თეთრი გველები



ანზორ აბესაძე



ნია აბესაძე



ანზორ აბშანდაძე



კოლი აბრამია

და ოსმის იმპერიის ხელისუფლებიდან.
აქ ყველაფერში მშვენიერად უთვალეს,
აქ ყველა გული მოეცინებოდა...
და არსებობის მოკლე წუთები
მარადისობას ეფიცებოდნენ.

— **ახსნაქი ნია** (1929 – 1992)

1953 წელს დაამთავრა ოსსუ, 1963 წლიდან - ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. გამოცემული აქვს ორი პოეტური კრებული. ლექსების ციკლი მიუძღვნა უკრაინას და ასევე თარგმნიდა უკრაინული პოემების ისეთ წარმომადგენლებს, როგორებიც არიან: ლესია უკრაინკა, მიკოლა ბაჟანი, პავლო ტინინა, ანდრეი მალიშკო. იკვლევდა უკრაინულ ლიტერატურას და მიუძღვნა მას რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი.

მართლის გზებზე

ასეთ გზას სწორად შეხვდები ქართლში:
გაიწვიო ხელს და ცის კიდეს სწვდები,
სუბე გადაკვეთს გრამალესს ვაშლილს
ქარავანივით გაბმული მიუბი.
ფერდობზე მწუხრი ცერით ეშვება
და მთვარის მუქზე გაარჩევ ძველად –
გაქვავებულან დღეის უშვები,
თუ ცას გაჰკვრია გაძარი ძველი.
ურყევად დგანან მისი თაღები,
რომ იღალადონ უხმოდ, – „არ ვკვდებით!..“
... და ჰგავს სამოთხის კარის გაღებას
ცით ავსებული ძველი სარკმელი.

— **ახანდაქა ანზორ** (1941)

გამოცემული აქვს პოეტური კრებულები: „ქება ჩიგას“ (2010), „მე და ჩემი ძმა“ (2010), „აჰა, ინებეთ“ (2011), „თქვენ სულ აქა ხართ“ (2014), „ჩემი რჩეული“ (2016). თარგმნილი აქვს ლერმონტოვის პოემების დიდი ნაწილი. 1994 წელს გამოაქვეყნა გამოკვლევა – „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორი.

მისაილ ლერმონტოვი, გმადლობი

თარგმნა ანზორ აბშანდამძემ
გმადლობთ! – გუშინ არ მოგვარა დიმილი
ჩემმა წრფელმა და მწუხარე ლექსმა,
და თუმც მენს გულს კვლავ არარა ესმა,
მაინც – თითქოს რომ გესმოდა ყოველი, –
გმადლობთ!

ოჰ, რარიგად მაგყვევებდი დიხანს!
სიგყვა შენი, მშვენიერა შენი მღაღველი,
გულს დამრჩება, ვით მარადი ნაღველი...
მაგრამ არ მსურს, შენც პასუხად მითხრა:
გმადლობთ!

მე მწყურია ძებნა ბედნიერების, –
ვით ვემაგო ბედერულ მონებს შენსას!
არ ვისურვებ, რომ ოღესმე მესმას
შენგან – ნაცვლად გესლიანი ყვედრების –
გმადლობთ!
ცივმა მშვერამ დამწვას შენმა – ეს მსურს,
მოსპოს იგი ოცნება და იმედი,
რასაც გულში მიეღვევდი, მინთებდი...
მხოლოდ მაშინ აღმოხდება ჩემს სულს:
გმადლობთ!

— **ახანდაქა ალიო** (1899 – 1975)

ფსევდონიმები: „ლაზი“, „პოდიშელი“
დაიბადა სოფელ ხორგაში (ხობი). 1921 წელს დაამთავრა ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია, სწავლობდა ოსსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ერთხანს თანამშრომლობდა ქუთაისის პროლეტმწერალთა ასოციაციის აღმანახ „რიონში“ (1926); პირველი ლექსი გამოაქვეყნა ქურნალში „თეატრი და ცხოვრება“ (1918). 1925 წელს გამოსცა წიგნი „დევნილები“. ავტორია რამდენიმე პოეტური კრებულისა („თეთრი აფრები“, 1962; „კოლხური კორდები“, 1966...). დასტამბული აქვს საბავშვო წიგნები. სხვა გამოცემები: „ლექსები“ (1980). ეწეობდა აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობასაც.

ოლიშური კორდები

რა გასაოცრად ფერადობს ველი,
ვარდ-ყვავილებით მკერდმობაგული,
თვალს მტაცებს მისი განსაბურველი
და ჩვენივე თეთრი ზაფხული.
აი, ოღოში, ყველგან ნაქები,
ცა მოიხფერო, უფრო მღაღი;
კილით-კიდედმდე მწვანე ბალები,
ოდასახლები – ახალი-ახალი.
ვის არ მოხიბლავს მათი მშვენიერა
და უნაზესი ლურჯი ფერები,
ქალწულებრივი უცხო ჩვენება,
გადაფარული მთების სერები.
ნეტავი ვიყო მუდამ მის ახლოს
და თუნდაც მედგას ფეხა მეგრული,
რომ მარად კარის მგოსნად ვეახლო,
მისი სიგურფის გყვე და ერთგული.
ვიცი, ცხოვრებას გამოადვილებს
მისი სურთქვა და მისი ქვედი.
ფეხს არ მოეცვლი! მე ამ აღვიღებს
მამა-პაპურად შევაბერდები!

— **ახანდაქა ალიო-ახანდაქა ახანდაქა** –

იხილეთ *ჰაზირა*.

– **აბრამიშვილი მარი** (1922 – 2008)

დაიბადა საჩხერეში. 1940 წელს დაამთავრა თბილისის მე-18 (ახლანდელი 51-ე) საშუალო სკოლა, 1944 წელს – ოსეის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1945 წლის 27 მარტს რამდენიმე ახალგაზრდა პოეტთან ერთად ხელნაწერ კურნალ „ანათიმის“ გამოცემის გამო დააპატიმრეს და გადაასახლეს. სასჯელს იხდიდა ვიაგის ბანაკებში (იგი ერთადერთი ქალია რეპრესირებულ მწერალთა შორის). გადასახლებიდან დაბრუნებულმა კვლავ განაგრძო ლიტერატურული საქმიანობა. 1951 წელს მისი ლექსი პირველად დაიბეჭდა კურნალ „მნათობში“, ხოლო ლექსების პირველი კრებული („ციცინათელა“) 1957 წელს გამოვიდა, მას შემდეგ გამოსცა კიდევ კრებულები: „აი, საღ შემხვდი“ (1963), „ლირიკა (1977)“, „მევილი სიყვარული“ (1982), „მემანსოვრება თვით სიკვდილშია“ (1992), ერთგომეული (1999), მცირე რჩეული (2003), საგრეთალო ლირიკა (2004), „განთიადის მოლოდინში“ (2007); ასევე გამოცემული აქვს საბავშვო ლექსების კრებულები: „ნაცნობი მერცხალი“ (1960), „გრამაბაზა თაგვი (1975), „ფერადი ფანქრები“ (2006). მარი აბრამიშვილმა თარგმნა ალექსანდრე პუშკინის, მიხეილ ლერმონტოვის, ალექსანდრე ბლოკის, სერგეი ესენინის, ბელა ახმადულისას, ევგენი ევგუშენკოს, რ. ოლდინგტონის ლექსები.

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

აი, საღ შემხვდი

აი, საღ შემხვდი, ვით ღამისთევა,
მე კი თურმე საღ დამღამებია, –
შენ რომ გიყვარდა, ის ქალი მე ვარ,
ვიცი, სხვა ქალი არ გყვარებია.
მე ახლა შენს წინ დალილი ვდგევარ,
ვუმზერ მაგ თვალებს და მაგ იარებს, –
შენ რომ ეძებდი, ის ქალი მე ვარ,
მითხარი, ხომ არ დავაგვიანე?
თუნდაც უსიგყვოდ დამუნჯდეს ენა,
მე უშეზნობის დაღი მატყვია;
შენ რომ გინდობა, ის გული მე მაქვს,

ვიცი, სხვა გული არ გინატრია.
შენ ეძახოდი შორს შენგან წასულს
და ხმა ქარიშხალს ჩაუქროლია;
შენ ეძახოდი ვიღაცა ასულს
და ჩემს შენს არვის ვაუგონია.
მე ახლა შენს წინ დალილი ვდგევარ,
ვუმზერ მაგ თვალებს და მაგ იარებს, –
შენ რომ ეძებდი, ის ქალი მე ვარ,
მაგრამ ვაი, რომ დავაგვიანე.

– **აბულაშვილი ანზორ** (1932 – 2013)

დაიბადა სოფელ ჯუგაანში (სიღნაღი); 1961 წ. დაამთავრა თბილისის ა.ს.პუშკინის სახ.პედაგოგიური ინსტიტუტი. პირველი ლექსი დაბეჭდა სიღნაღის რაიონულ გამეთ „კოლმეურნეში“ (1950 წ.), 1952 წელს კი გამოაქვეყნა ლექსი რესპუბლიკურ გამეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“. გამოცემული აქვს მრავალი პოეტური კრებული, თარგმნილი აქვს მიცკევიჩის პოემა „გრაჟინა“ და მისი მრავალი ლექსი, ასევე სხვა პოეტების შემოქმედების ნიმუშები. მის ლექსს – „მახარობელი“ – წილად ხვდა სახალხო აღიარება, განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა პოეზიაში.

* * *

რა ზღაპარი და რა მითი,
ოღეს მეფობდა დავითი!
მის ქებად სიგვეა მღალატობს:
ვინც მტერს უჯანხელს -
სჯაზნინდა მოყვასს,
ქვეშევრდომს არასდროს
არ დახედვდა მადლიდან.
ბრძენი, უებრო სარდალი,
„მალალი, უხვი, მღაბალი“,
ჩაგრულით შემწე და ქომაგი,
ქართლში მესიის ბადალი.
სამართლიანი, მოწყალე,
კირითხურო და სწავლული,
მარადის ძილშიც ცოცხალი,
შვილით ცრემლით საფლავანაშული.
რაც აქ ვთქვი,



მარი
აბრამიშვილი



ანზორ
აბულაშვილი



თიმოთუშაშ
აბულაშვილი



საკვლე
აბულაშვილი



როინ
აბუსამელიძე

ქვეყნის კიდემდე
 იცნობდნენ სწორედ ამითი,
 სამწყსოს ეღვინათ სიკეთედ,
 აი, ვინ იყო ღვთისთავი!
 გარეთ რომ ლუშმანს ჰკვეთავდა,
 შინ მზეგრის კვართი ემოსა...
 ვისზეც მეფობდა, ნეტამც მათ,
 ნეტამც იმ საქართველოსა.

— **აბულაქა თიქიზაძე** (1938 – 1998)

გამოცემულია მისი კრებულები: „აკაცების
 თეთრი გუმბათი“ (1974); „ზღვის გარინდება“
 (1975); „ორი ცა“ (1982); „ყველგან და არსად“
 (1984); „ქარებით სავსე სახლი“ (1985); „სულო,
 მაინც თენდები“ (1987); „ვიგრძენ შორეთი“ (1992);
 „ერთობიანი“ (1998); „სახსოვარი“ (2003).

* * *

არ ვყვარებივარ ისე არავის,
 როგორც მე ვგრძობდი
 ამ ცნესლს თავიდან.
 ეჭვის ლექები მთში პარავენ
 და წამართვენ ღამისყინიდან...
 მაინც მოვალწევ კვლავ ფხვნიშველა
 შენთან, რომ გარეთ დამე გითიო,
 თორემ შენ სად გაქვს ჭერი იშველა, –
 მე შემოფარო და დამიგითო...

— **აბულაქა მიხეილ** –

იხილეთ *გორდაძე მიხეილ*.

— **აბულაქა სავლა** (1890 – 1964)

ფსევდონიმი – „ციაგი“
 დაიბადა სოფელ კიხში (ხარაგაული); ეწეო-
 და ლიტერატურულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას;
 1909 წელს დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი
 რუსულ ენაზე გოგოლის საიუბილეოდ გამოცე-
 მულ კრებულში; 1915 წელს მისი მოთხრობები
 დაიბეჭდა ია ეკალაძის გაზეთ „სამშობლოში“;
 ამავე დროს მისი ლექსები და ჩაწერილი ხალხ-
 ური ზღაპრები იბეჭდებოდა „ნაკადულში“ და
 „ჯეჯილში“; 1924 წელს ჭიათურაში გამოსცა
 პირველი ლექსების პაგარა კრებული „მზიანი
 ჩრდილები“.

— **აბუსალიძე რეინ** (1988)

დაიბადა ბათუმში, 1988 წლის 25 ივლისს. 2005
 წელს დაამთავრა ბათუმის აკაკი წერეთლის სახ-
 ელობის 22-ე სკოლა, შემდეგ სწავლა განაგრძო
 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივე-
 რსიტეტში (2005-2009). წერა დაიწყო 14 წლის ასაკ-

ში, იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში: „ჭოროხი“, „ლიტ-
 ერატიკური პალიგრაფი“. 2010 წელს გამოსცა კრებუ-
 ლი – „ოცდაერთის გამოღმა და ოცდაერთის გაღ-
 მა“. ამავე წელს გამოიცა მისი და მისი სამი მე-
 გობრის ლექსების კრებული „ა ბ გ ლ“. 2011 წელს
 გამოვიდა კიდევ ერთი კრებული „მეცხრე ტალ-
 და“, რომელშიც მისი და კიდევ რვა ბათუმელი
 პოეტის ლექსები შევიდა; 2014 წელს გამოსცა
 კრებული „პოლი“ და აუდიო წიგნი „პაბაკი“.

იანვარი, მზოი, ძუძუ...

იანვარი, მზოი, ქუჩებში
 და ჩამოუსხამს ყინვა ყალიბად,
 მე კი ვერაფრით გადავურები,
 ახლა იმდენად ერთი ცალი ვარ.
 ამ თოვლს, ამ ყინვას და ყველაფერ „ამ“-ს,
 რაც უშენობას სიკვდილს ურითმავს,
 ვიკლავ ბუხართან და ცხელ საფერავს
 ვსვამ დახვრეტილი ხელისგულიდან.
 როგორც ეს თოვლი ბეცას მიფშვნილი,
 ისე მარტივად ვქრები ამ ბოლოს,
 მხოლოდ სტრეიქონებს ვაწერ სიმშვიდით,
 უმუხტოსა და უმეგაფოროს,
 ჩვენ არ შეეცვლილვართ წლების შემდეგაც,
 ეს ლექსიც იმედს აღარ ვვითესავს,
 რადგან იგივე არის შედეგი
 მე კვლავ პატი ვარ, შენ კი – პრინცესა.

— **აბუსალიძე გიგლი** (XIII საუკუნე)

პროზაიკოსი, ჰიმნოგრაფი, მწიგნობარი.
 ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ არ შემონა-
 ხულა. მკვლევართა ვარაუდის თანახმად, გბეთის
 ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო. ძმა იყო ქართული
 კულტურის დიდი მეცნიერების – ვარდან და აბუს-
 ერ აბუსერიძეებისა, ძე – ხიხათა-აჭარის ერისთავი
 ერისთავის ივანესი, მრავალმხრივ მოღვაწეს იგა-
 ცებდა მწერლობა, ისტორია, წელთაღიგების სა-
 კითხები... მისი ღრმა განსწავლულობა კარგად
 ჩანს ჩვენამდე მოღწეულ მის თხზულებებში:
 „ქორონიკონი სრული მისითა საუწყებელითა და
 განგებითა“. ამ ქორონიკონის მიხედვით მარი
 ბროსემ დაასველა, რომ ქართველებმა 1233 წ. უკვე
 იცოდნენ ნახევარი იმ ცნობილებისა, რამაც 1582
 წელს პაპი გრიგოლ XII აიძულა კალენდრის შეს-
 წორებას შესაგომოდა; „სასწაულნი წმიდისა
 მთავარმოწამისა გიორგისანი“. თხზულება, წმი-
 და გიორგის სასწაულებითან ერთად, გადმოგვცემს
 შუარტყალში (აჭარაში) ბოლოკუბასილის მიერ
 აგებული მონასტრის მშენებლობის - ისტორიას.
 მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნაწარმოები შეიცავს
 აბუსერიძეთა საგვარეულო მაგიანესა და ბეგრ

საყურადღებო ცნობას ჩვენი ისტორიული წარსულიდან; „გალობანი სამთა იონანთა: ნათლისმცემლისა, მახარებლისა და ოქროპირისა“. საგალობელი დაწერილია დახვეწილი ქართული ენით.

— **აბოილაა ბიბია** (1934)

პოეტი და მხატვარი. არის ავტორი ლექსთა კრებულებისა: „მშობლიური კერა“ (1988); „ჩემი ნებიერა – ჩემი საფიცარი“ (2001); „მღვას დავეგოლე“ (2007); „დაილოცოს საქართველო“ (2010). **უფალო, ჩემო უფალო!**

უფალო! გაგვაუკვდავე,
გვაცოცხლე ენა ქართულით...
დედამიწაზე ცოცხლობდეს,
შოთაის ენა ქარგული.
ცახ, დედამიწას ატკობდეს
სიმღერა, – იავნანური...
ჰანგებით ცის კარს შემოვხვდეთ,
ჩონგურით და საღამურით.

— **აბხაიძე შალვა**

ისილე *აფხაიძე შალვა*

— **აბაილი გიორგი**

ისილე *ციციშვილი გობრონ*

— **აბაშია ალიო** (1913 – 1980)

დაიბადა ბათუმში. სწავლობდა ახალ-სენაკის (1921-1928) და თბილისის საშუალო სასწავლებელში (1929 წ დაამთავრა). 1933 წელს დაამთავრა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. პირველი ლექსები 1931 წელს გამოაქვეყნა. 1932 წელს გამოვიდა მისი წიგნი „რამდენიმე ლექსი“, 1936 წელს – კრებული „ლექსები“. მომდევნო ლექსთა კრებულებიდან აღსანიშნავია: „ქორწილი კოლხიდაში“ (1941), „მესხეთის გაზაფხული“ (1949), „უბის წიგნიდან“ (1953), „ცისფერი აივანი“ (1964), „სიყვარულისა და სიკვდილის ბალადა“ (1969). ავტორია, აგრეთვე, მოთხრობების, ნარკვევების და

რომანისა „დიდი და პატარა ეკატერინე“ (1973).

— **ადიშვილი ნოდარ** (1935 – 2010)

დაიბადა სოფელ ხიბლარში (სამტრედი); პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1956 წელს გაზეთ „წინსვლაში“. მას ეკუთვნის ლექსთა კრებულები: „შენ დამრჩი საფერებელი“ (1972), „თოვლის სინათლე“ (1976), „ღამის ცა“ (1977), „შენს სიყვარულში“ (1979), „მოვარის გზები“ (1981), „სარკის ნაგებები“ (1983), „შეგხედავ, გამხიარდება“ (1984), „ჩიგების მხარე“ (1985), „მგზავრები“ (1987), „სულ ეს ყოფილა“ (1989) და სხვა.

სიმკვარულმა გამახსენა

ვინატრე და ამოთენდა,
ამომწვანდა, ამობრწყინდა,
ჩვენი ძველისძველი მცხეთა,
ჩემი ძველი ყოვლადწმინდა.
სიხარულმა გამიხსენა,
სიყვარულმა გამიგყუა...
ისევ თეთრი ჩიგის სტვენა
საყდარსა და საყდარს შუა.
ჰოდა, ცა რომ მესინათლა,
იმ მტრედისფერ ცას ვუგალობ...
ალუბალო, მზე შინა და
მზე გარეთა, ალუბალო!

— **ადიშვილი დავით**

ისილე *აკრიანი დავით*.

— **ალონი აპოლონ** (1930 – 2008)

დაიბადა სოფელ კირცხში (ჩხოროწყუ); გამოცემულია მისი სამი პოეტური კრებული: „შენი ღიმილი“, „ხილვა პირველი“ და „გაქვებიდან გამომზიარალი“. პოეტის არქივში უამრავი მასალა ინახება, მათ შორის – პოემა „საუბარი ერის სულთან“. თარგმნა რუსი პოეტის ვეგენი ბარაგინსკის ლექსები, გერმანული რომანტიზმის ფუძემდებლის, ნოვალისის შემოქმედების ნიმუშები. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია სოფელ კირცხში.



ბიბია აბოილაა



ალიო აბაილი



ნოდარ ადიშვილი



აპოლონ ალონიძე

ახლა მე ვეძებ ყველაფერ მართალს და ხელებს მხოლოდ სიმართლეს ვუწვდი. ახლა მდუმარედ ვაცილებ ზამთარს, ახლა მდუმარედ გაზაფხულს ვუცდი. ჩემი სულიდან ამოდის აღი გაუხუნარი სხივების თრთოლით. ღვას თებერვალი ელაში თვალთ სივრცეს ეცემა ნამსხვრევი ბროლის. შორია სითბო, სიცივე შორი, სამყაროს გულში კრთება უარიც. ცისკენ მიიწევს სულის მზე ქროლვით, ნისლში მიცურავს გზა მიუვალი. ახლა მე ვეძებ ყველაფერ მართალს და ხელებს მხოლოდ სიმართლეს ვუწვდი. ახლა მდუმარედ ვაცილებ ზამთარს, ახლა მდუმარედ გაზაფხულს ვუცდი.

— **აღრუული მივი**

იხილე *გვეშელაშვილი გივი*

— **აპალიშვილი მიორგი (1769 – 1850)**

მწერალი, პოლიტიკური მოღვაწე, დრამატურგი, მთარგმნელი, მოვზაური. სწავლა-განათლება რუსეთში მიიღო. 1784-1801 წლებში იყო ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენელი რუსეთის იმპერატორის კარზე. აქტიური როლი ითამაშა რუსეთთან საქართველოს შეერთების საქმეში. 1791 წ იმობაჯურა ირანის ამერბაჯანში. 1819-1820 წწ დიპლომატიური მისით იყო ოსმალეთშივეგი პეკესა და პალესტინაში. ავალიშვილს ქართული დრამატურგიის მამამთავრად მიიხნევენ (ავალიშვილის თეატრი). მას მიეწერება ორიგინალური დრამა „მეფე თეიმურაზი“ (1791), რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. იგი ავგორია ღირიკული ლექსების, რომლებიც სამშობლოს გარეთ მცხოვრები მამულიშვილის განცდებსა და სულისკვეთებას გადმოსცემენ. შეადგინა პოეზიის ანთოლოგია, რომელშიც თავი მოუყარა ძირითადად თავისი დროის პოეტების თხზულებებს. მეტად მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი მთარგმნელობის სფეროში. თარგმნა ერაზმ როტერდამელის, ვოლტერის, ჯ. მილტონის, მ. ლომონოსოვის, ა. სუმაროკოვის, ჯ. დერეჟინის, მ. ხერასკოვის, მ. კანლისის და იმ დროს ევროპასა და რუსეთში პოპულარული ფრანგი, გერმანელი და სხვა ავტორების თხზულებები. ჩვენამდე მოღწეულია გავალიშვილის ლექსი, რომელსაც წარმოდგენის დაწყებამდე კითხულობდნენ, მასში ავტორი გვაცნობს ამრს თეატრის პრაქტიკულ დანიშნულებაზე.

მე სახეღველნი იგ ჩემნი ღავაძერე წიგნთა წერითა, ბოთ ჩემით მოქმედებულზე, ზოგთზე სხვით გაღმოწერითა, მსმენელი ვევედრებ, ნუ მკიცხვენ ამა ლექსისა მღერითა, არ ღაიშლიან, მაჩვენონ იგ, თუ ვმსახურე მე რითა. თუ ხართ ვინმე მოსურნე თეატრს სმენად ანუ ცნობად, შეიმაგებთ განდილებას, ბრძენთა აგებით თქვენად მკობად. ერღებთ უსამართლოდ ჩემებრ მწერთა ცუდად გმობად, არ ღაიშლით, ჰგავს – არ რიღებთ თქვენთან გლას გულთ ღახვარ სობად. მერწმუნენით, არ მას ვუნნობ, მქონდეს მეგი მისკენ ვრღობა, მაგრამ მწადის განრინება კიცხვითა და ქვემო რწობა, ნუ იკადრებთ, გაცხადებთ იქონით ჩემზე წყრომა, ღაიშალეთ, თუ რომ სჯობდეს, მლიქვნელობა, ქვე-ქვე ძრომა

— **აპალიშვილი თინო (1970)**

ღაიშადა სოფელ გორისციხეში (ყაზბეგი); ღა-ამთავრა სოფელ სიონის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო სულხან-საბა ორბელიანის სახ. უნივერსიტეტში ქართული ენისა და ღიგერატურის ფაკულტეტზე. მისი პირველი ლექსები იბეჭდებოდა რაიონულ გაზეთ „ღარიღლში“ 80-იან წლებში. 1990 წელს კი ღაიბეჭდა გაზეთ „ქართულ ფილმში“, შემდეგ – გაზეთ „ღიგერატურულ საქართველოში“ და ჟურნალ „ანეულში“. არის ოთხი წიგნის ავტორი: „მელოღეთ“ (1998), „სიკვიღს რომ შევეუღღებ“ (2000), „მეუღენ“ (2003), „აქ ღა იქ“ (2016).

ისეღ თოღს, ღმერთიღით თეთრი სამყაროა, თოღლმა მთღად ღაფარა დარიღლ-გერგეგი. მარტო ვარ ისევე, არავინ არ მოღა, ამ თოღლში არავინ არ მოღა შენს მეგი.. ო, ასეთ თოღაში რა სამწუხაროა, მარტო ვარ, თუ შენაღ ამოღ მოგეღი. შენი სხაღ მწყურვაღი ამ სუღის წყაროა, ეგ მწერაღ განჯული ჟრუნგლის მომგერეღი. ისეღ თოღს, ღმერთიღით თეთრი სამყაროა, მთღად გაღაქითაღთღა ყურო ღა გერგეგი,

მარტო ვარ ისევე, არავინ არ მოვა,
ფიქვებად არავინ არ მოვა შენს მეტი...

— **ახსაჯანიშვილი მირანზულ** (1938 – 2001)
დაიბადა ყაზბეგში. დაამთავრა თბილისის შოთა რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტი. არის შვიდი პოეტური კრებულის ავტორი, მათ შორისაა: „გამოღვიძება“ (1981), „სიცხადე“ (1986), „რადაც ვერა ვთქვი“ (1990), „ვთქვა თუ არა ვთქვა“ (1995), „ამაღლება და დაცემა“ (1998).

* * *

უკუღმართია ქვეყანა,
არად დაგიღევს ჩენასა,
გინდ მაჰკვიდი, გინდაც ქვად ეგდე,
არარას მაგებს რჩენასა.
ეს რა ჭირი და რამ ეცა,
ამდენ თმენას და სურვილსა,
რომ აღარ უჩანს მკურნალი,
დროს, ნისლით გადაბურვილსა?!
მაგებ, რას მაგებ სიცოცხლეს,
ლოდინს სამეხოდ უგბილსა?
საით ველოდო, ეს ზეცა
როდის დაიწყებს ქუხილსა?!
დამბადე - რისთვის დამბადე,
შენ გეკითხები მამულო,
იმად ხომ არა, ვისაცა
დრონი უდროოდ არ გულობს?!
ჰაი, ჰაი, რომ ვერა მცნობ,
მტრის გასახარად - ნეტარის...
შვილსა მკლავ, ჰაი, დედასა!
სხვას ვის მაჰკლავდი ნეტავი?!

— **აჰიანი სურან** (1904 – 1985)
დაიბადა თბილისში. 1916-1920 წლებში სწავლობდა თბილისის ნერსესიანის სემინარიაში. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1923 წელს. ავტორია პიესებისა: „სოსი და ვარდითერი“ (1946), „ქოროლი“ (1948), „საიათნოვა“ (1950), „პელპული“ (1956), ლექსთა კრებულისა „ლექსები“ (1959). მისი შრომებიდან აღსანიშნავია „ხე-

ლოვნება და ხელოსნობა“ (1930), „ქართულ-სომხური თეატრალური ურთიერთობანი“ (1960). ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას. სომხურიდან ქართულად თარგმნა ო. თუმანიანის „ღავით სასუსნი“ (1939), ა. შირვანზადეს „ქოსი“ (1950) და სხვა. ქართულიდან სომხურად – ნ. ბარათაშვილის ლექსები და „ბედი ქართლისა“ (1946), კ. გამასხურდიას „დიდოსტაგის მარჯვენა“ (1961).

— **აჰიანი ნაბალია** (1878 – 1943)
ნამღვილი გვარი – დონდაროვა.
დაბადების ადგილი – ქალაქი გორი.
პირველდაწყებითი განათლება მიიღო გორის კერძო პანსიონში, შემდეგ სწავლა განაგრძო ქალთა გიმნაზიაში და თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებელში; ცხრაასიანი წლებიდან ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში; აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში: „მოგზაური“, „ჩვენი ცხოვრება“, „სიგყვა“, „დრო“, „მნათობი“; 1897 წელს დაწერა პირველი პიესა „ინჯენერი და ლოხტური“, რომელმაც ილია ჭავჭავაძის მოწონება დაიმსახურა; მისი პიესები – „ფული და ხარისხი“, „ცოლვა“, „დემურგირკა“ 1925 წელს კოგე მარჯანიშვილმა დადგა რუსთაველის სახელმწიფო თეატრში; გარდა პიესებისა წერდა მოთხრობებს, ლექსებს და სატირულ ფელეტონებს მიმდინარე პოლიტიკურ და ყოველდღიურ საჭირობოტო საკითხებზე. გამოუქვეყნებელი დარჩა ხელნაწერი მოგონებანი თეატრსა და ცნობილ საზოგადო მოღვაწეებზე.

— **აქოზია-აქაჰია შიანი** (1956)
დაიბადა სოხუმში. დაამთავრა ტსუ-ს სოხუმის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტი. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1976 წელს გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“. მისი ლექსები იბეჭდებოდა ჟურნალებში: „ჯეჯილი“ და „დილა“. არის ხუთი საბავშვო პოეტური კრებულის ავტორი: „ჯინსიანი ფისი“ (1982), „ზარმაცის წკეპლა“



თიმცო
ახსაჯანიშვილი



მირანზულ
ახსაჯანიშვილი



სურან
აჰიანი

(1986). „მზე და კაზა“, „ნასვამი ღორი“ (2004). მზია აკობიას შექმნილი აქვს 70 სიმღერის ტექსტი. **კპურთხეშვილია ნათიელი თქვენი**

(ბაგონ ჯანსუღ ჩარკვიანს) თქვენს ოჯახს ლამაზს, სულით მხნეს, ამაყს. სავეს ღირსებით, სულ აღმა მავალს. სულ აღმა მავალს ნიჭით, ღიღებით! საქართველოსთვის ბრძოლით, იმედით! რითაც ისარებს, უფრო იმძლავრებს – სამშობლო ჩვენი, – ამერ-იმერი! კურთხეულია ნათელი თქვენი, ვერ უძლებს შიდა, – გარეშე მტერიც! ჩვენი ერისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის ბრძანდებით ბრძენი, თანაც სულგრძელი, პოეტად შობილ მგოსანს სახალხოს, რაც შამა დმერთით, – უფლით რაც ხდება, ბაგონო ჯანსუღ: გულით გისურვებთ ულევ სიხარულს, ჯანის აღდგენას.

– **აკობია შოთა** (1920 – 1996)

დაიბადა სოფელ ჭალეში (წალენჯიხა); 1942 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია და ოსუს ფილოლოგიის ფაკულტეტი (დაუსწრებლად). 1938 წელს გამოაქვეყნა პირველი ლექსი „ბაღში“. 1951 წელს – ლექსების პირველი წიგნი „სამშობლოს დილა“. მასვე ეკუთვნის რომანები „თეთრი ჩრდილი“, „სიყვარული და სინათლე“, მოთხრობების წიგნები, საბავშვო ნაწარმოებები, აუზამი მწერლების ნაწარმოებითა თარგმანები და სხვა.

* * *

ასე ამბობს შემოდგომა
ყველაფერი შეიცვალოს,
ვორაკებად აღიმართოს
აქეთ კალო, იქით კალო!
ჩურჩხულები მზეზე გაშრეს,
ლედვის ჩირი მზეზე გაშრეს...
ხილული, ტბილული
მთელი წელი ეყოთ ბავშვებს!
შემოდგომაზე, დაგებდოს

სიხარული ბევრზე ბევრი,
შენ ნამდვილი ოქრო ხარ და
მიგომაც ხარ ოქროსფერი.

– **ალექსანდრე ნინო** (1970)

დაიბადა თბილისში. დაამთავრა დედოფლისწყაროს რაიონის, სოფელ არბოშიკის საშუალო სკოლა, შემდეგ – თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი. მისი ლექსები რამდენჯერმე დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, ასევე ლიტერატურულ ჟურნალ „არავში“. ლიტერატურულ აღმანახ „ხორნაბუჯში“. გამოცემული აქვს კრებული „ამომიციანი“.

შემოდგომამ გომბორზე

წამიყვან სადმე?
ნოემბერი მოგვისმობს ოდეს...
გომბორზე ახლა შემოდგომა ხეებში იწვის,
ძვირფასო, მინდა პაემანი
ფოთლებთან გვექონდეს,
ვიხილოთ ფერთა აგონია, ამ დროს რომ იცის.
წავიდე!
უკვე ქარვისფერი დააღწა გვერებს
და თითქოს ჯიბრით,
არ მკრთალდება ცა – ლურჯად მდგარი,
წავიდე, სანამ ერთად ყოფნას
მზე მოგვიგეგვებს,
დაგვედევნება გზარეულ ღრუბელთა ჯარი.
მეწამულ ქორწილს გადაგვიხდის
ფოთოლთა ცვენა,
ნეკერჩხლის ხეებს შეაკვდება
ჩურჩული ფიცის,
ძვირფასო, ჩვენთვის ნოემბერი
გამართავს სცენას,
გომბორზე ახლა შემოდგომა ხეებში იწვის.

– **ალექსანდრე ლევან** (1971)

დაიბადა სოფელ ჯაფარიძეში (ახლანდელი სამრეკლო, დედოფლისწყარო), 1988 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა და



ნატალია აკობიანი



მზია აკობიანი



შოთა აკობიანი



ნინო ალექსანდრეშვილი



ლევან ალექსანდრეშვილი

ჩაირიცხა სპი-ში; არის ერთი პოეტური კრებულის ავტორი – „ნუ დამაჯერებთ“.

აიდე

ნახვამდის, არ მინდა ეგ მრუში ამბორი, სული გღევს სნეული, ღამამო აიდე, გვირაბში ინათა, ეხლაა სამგორი, აქ უნდა დავშორდე, აქ უნდა ჩავიდე. აქ უნდა ჩავიდე, პოეტი ვილაცა, წამიე და მე შენთვის წარსული ვიქნები; და ოდეს ორგითი განს გადამიქანცავ იქნებდა მოგძალდეს უბიწო ფიქრები. იხსენო ეს ღამე, ლოთური ღუქანი, მაცდური კარგები და ბოშა მკითხავი, დამთვრალი ჰანგებით ჩავილი უბანი, და ისაე, ტკობობაზე არა რად გითხარი. სამარად ჩავწვილებს ოდესმე წარსული, სიბერით შერიყულს დამგვერილ ბინაზე, და ეხლა, შენ, სიძვის ღამაში ასული, ფრთებს დაყრი აიდე მადონას წინაშე. დავხვდებო სამყარო ფერებით სხეულით, იმზევეებს მზეები რაც შენთვის ბნელია, რომ გვერქვას ქალი და მარტოდენ სხეულით, წყევლაა აიდე! ჯვარცმაზე ძნელია!... ეხლა კი მშვიდობით, უკვება სამგორი, აქ უნდა დავგტოვო, ღე უნდა ჩავიდე, სულგაყინულია ეგ თბილი ამბორი, რომ მაგან გკვივლად ღამამო აიდე.

– ალანია ბჰლა (1967)

პროფესიით არის იურისტი და ეკონომისტი. არასამთავრობო ორგანიზაცია „დედაშვილობის“ თავმჯდომარე.

საკუთარი დაბადების დღეს

(3 თებერვალი)

მზე ჩადის, მიყვები სეივანს, მტყუნები მხრებამდე მწველებიან, სხივები მწკრივებში, რიგებში, გოგებში, ფოთლებში რჩებიან... მზე ჩადის, ჰორიზონტს ასკდება დაისი, ქვა-ქარვის ფერია; მივლივარ, მაწვალებს სიმორე, მზემდე გზა ძალიან გრძელია... მივლივარ, მომდევნ ფიქრები, ნაბიჯებს თუმც ალარ მითვლიან, კითხვები: მთავრდება ცხოვრება? – ნაბიჯით მისწრებენ, მერჩიან... – ჯერ არა, ხორბლისფერ მტყვანთა მოსავლის ადების ჯერია.

– ალანთაშვილი სომეხა (1950)

პოეტი, ჟურნალისტი-ეკონომისტი. გამოცემული აქვს კრებული: „იმედი და ბედისწერა“ (1997), **ბანაშვილი**

უამროდ უსგვეს ნაპირს ზღვაური, გალღები ზღაშეს ლოკავენ ქვიშას, უამრო სივრცეს შარლ აზნაგური უმღერს, მამღვრევს და... სხვად არა მიშავს. უამრო დამე ნაღველით მავსებს, დარღვეულ ფიქრებს უამროდ ვკონკავ, წყურველი გუქავს და წყალს არვინ გასმევს, წყლის გზაზე ერთხელ გამგყდარო კოკავ! თვალმბრიალა თებროლე ახლა ელავციება ბროლის სასმისებს, ბაგე, რომელიც შენს გუზზე თოთოდა, ერთხელაც აღარ მოვისაკლისებს!

– ალანთაშვილი–მანთაშვილი დავით

იხილე *დავით რექტორი*.

– ალანთაშვილი–მანთაშვილი მარიამ

იხილე *მარიამ*.

– ალიშონაი ლარი (1940)

დაიბადა ქუთაისში. 1966 წელს დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საინჟინერო-ტექნოლოგიის ფაკულტეტი. პირველი წერილი სიმღერა „სულიკოს“ ავტორზე, ვარინკა წერეთელზე, 1965 წელს გამოაქვეყნა გაზეთ „ქუთაისში“, პირველი წიგნი „ვარინკა წერეთელი“ - 1970 წელს. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ტერენტი გრანელის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევაში; დაწერა ბიოგრაფიული რომანი „კვირის წირვები“ (1983), „ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია“ (1983). თარგმნა ლაო-ძის უძველესი ჩინური ფილოსოფიურ-რელიგიური თხზულება „დაო დე ძინი“ და ინდური უპანიშადები.

ლ(ა) ძი, ღ(ა) ძე ძინი (ფრაგმენტი)

თარგმნა ლემრი ალიშონაიძე

IX. ოცდაათი მანა ერთ მორგვეზე ბრუნავს, მაგრამ ბორბლის არსს მორგვეში მოქცეული სიცარიელე ქმნის. ჭურჭელს თიხისგან ამზადებენ, მაგრამ ჭურჭლის არსს მასში მოქცეული სიცარიელე ქმნის. კარ-ფანჯრებს კედლებში ჭრიან, მაგრამ სახლის არსს მასში მოქცეული სიცარიელე ქმნის. ჭეშმარიტად: ვინცა შეიცნო ყოფიერი, ვითარცა სავსება და ხილვადი,

მანვე შეიწინა არყოფნა,
ვითარცა სიცარიელე და უხილვადი.

— **ალისუბანი ჩაქვაძე** (1863–1890)

ნამღვილი სახელი და გვარი – რაქვენ ნიკოლოზის ძე ჩიკვაძე.

მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი.

სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, შემდეგ – ხარკოვის უნივერსიტეტში.

თანამშრომლობდა გაზეთებში „ეროებასა“ და „თეატრში“. დაბეჭდილი აქვს წერილების სერია „სმა ქუთაისიდან“ – ეკონომიკის, კულტურის და საზოგადოებრივი ცხოვრების მიმოხილვანი. „თეატრში“ ბეჭდავდა კრიტიკულ წერილებს („ჩვენ ლიტერატურაზე“, „ჩვენ პუბლიცისტთა მიმართ“). აქვეყნებდა პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებსაც. მისი ლირიკა საზოგადოებრივ-პუბლიცისტური ხასიათისაა. თემებითა და მოტივებით ძალიან ჰგავს აკაკი წერეთლის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელთა შემოქმედებას. ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას. თარგმნა ბაირონის („მოგონება“, „ებრაული მელოდია“), შილერის („სამშობლოს გმირნი“, „მეფანდურის ქალი“), ლერმონტოვის („სიმღერა გლადიატორთა“) თხზულებები.

მშუპას (*ფრაგმენტები*)

გეყოფა მუშავ; ესოდენ ხნის
გამუდმებითი ჩემი წამება.

ჩამომეცალა, აიღე ხელი,

მე არ დავეძებ და არაღ მინდა

მოპოვებული შენით დიდება

და თვით პოეტთა დიდი სახელი.

მსურს, რომ გადავრჩე შეფთოვას და განჯვას,

რომ საუკუნოდ განმარტოებულს

მშაკვართა ხელი არ მომწვდებოდეს,

რომ გულის ძვერა, გიჟური გრძნობა

და თვით თცნება სულს შემოფთებულს

წმინდა კავშირით ეთანხმებოდეს...

მაშინ სურვილიც გამოუთქმელი,

ამდენისა ხნით მიმქრალბული

კვლავ აღენთება, გამოიღვიძებს!

— **ალფინია ვალიძია** (1937–2002)


დაიბადა სოფელ ოგობაიაში (გალი). დაამთავრა მოსკოვის ლომონოსოვის სახ. უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა კომკავშირის გალის რაიონის პირველ მდივნად, გაზეთ „მებრძოლი გუმაგისა“ და „ბოევოი სტრაჟის“ რედაქტორად, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამშემწედ. 1986-1989 წლებში იყო საქართველოს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა საავტორო უფლებების რესპუბლიკური სააგენტოს ხელმძღვანელი, სახელმწიფოს მეთაურის აპარატის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი. პირველი პოეტური ნაწარმოები „სახალწლო მღაპარი“ გამოქვეყნდა 1954 წელს, პირველი წიგნი – ლექსების კრებული „მთები და სიჭაბუკე“ – 1963 წელს. მისი მხატვრული ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია მოთხრობების კრებული „ოცდაცამეტი მშის სახოვანი ბრძენი იაკობი“ (1976), რომანები: „ცურტავის მარები“ (1978), „სიყვარული და უკვდავება“ – ტრილოგია: „დეული მგლის ევლები“ (1980), „მწვერვალები და უფსკრულები“ (1981), „სიკვდილი ქრისტეს ასაკში“ (1982), რომანების, ლექსებისა და მოთხრობების კრებული – „საწუთრო“ (1988), პუბლიცისტური წიგნები „პორტუგალიური დღიურები“ (1979), „ბრაზილიური დიალოგები“ (1980).

— **ალხაზიშვილი გივი** (1944)

დაიბადა თელავში. 1961 წ. დაამთავრა საშუალო სკოლა ქუთაისში. ამავე წლიდან სწავლა განაგრძო ოსსუს ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მისი ლექსები იბეჭდებოდა 60-იანი წლებიდან საუნივერსიტეტო გაზეთში, აღმანახ „პირველ სხივში“, „ახალგაზრდა კომუნისტში“ და „ცისკარში“. გივი ალხაზიშვილს გამოცემული აქვს არაერთი პოეტური კრებული, იგი ავტორია სამი რომანისა. 1979 წ. თარგმნა და გამოსცა ათანას ფეგის



ალისა
ალანია



ალერი
ალიმონაძე



ალხაზი
ალხაზიშვილი

ლექსების კრებული „ღამეული ჩირაღდნები“. მხატვრული თარგმანის კოლექციაში მომზადდა აგრეთვე კრებული „მარადი დღე“ (1984), სადაც დაბეჭდილია რუსი პოეტების – ათანას ფეტის, ვლადიმერ სოლოვიოვის, ანდრეი ბელის და ალექსანდრ ბლოკის ლექსების – თარგმანები.

„უშენი“ (ღრწ), აგვისტოს ეპისტოლე

დღეებს გამსჭვალულს უშენობით,
როგორ ვუშველო,
ვარ უშენოდ და უშენობის სივრცეს ვიშენებ,
დუმილი ისე მისაკუთრებს,
ლამის მიშვილოს,
სიცარიელეს ვედარ ვუძლებ, თუ არ მიშველე.
რაც თავს გადაშობდა, რა ვიცოდი..
მაგრამ აქ რომ ვარ – ვეძებ გასაქცევს,
ვირტუალურ დროში ვსახლდები,
რა მწარე იყო უცარი შენი გაქრობა
და მყისიერად გამოცლილი
ყველა საყრდენი.
არაფერია, არაფერი, სულ არაფერი
და არაფერშიც
შენ საძებნად შევეხებები,
გამჭვირვალა ხელისგული,
რომ ავიფარე თვალებზე და ახლა
ყველაფრიდან შენ იხედები..

– აბალოპელი რაბი (1977)

დაიბადა თბილისში. 1994 წელს დაამთავრა თბილისის მეექვსე გერმანული გიმნაზია, 2000 წელს კი – მსსს ფილოსოფიის ფაკულტეტი. რატი აბალოპელის ლექსები 1994 წლიდან პერიოდულად ქვეყნდება ქართულ და უცხოურ ლიტერატურულ გამოცემებში. იგი საქართველოს პენ-ცენტრის პრეზიდენტია 2011 წლიდან. 2010-2011 წლებში იყო ყურნალ „ცხელი შოკოლადის“ რედაქტორი. ატარებს ყოველკვირიულ ღია ლექციებს „წიგნის სახლში“. 2005-2010 წლებში იყო საზოგადოებრივი რადიოს ლიტერატურული გადაცემის „ხმების ისტორია“, წამყვანი. გამოსცემული აქვს კრებულები: „მზნა“ (2000)“, „თუ“ (2003), „წრე“ (2006), ლექსები (2011).

მივაგოვე ბეთსაიდა
შენთან მოვხვდი ვერსაიდან.
გულო, ვიცი, სამსხვერპლოზე
ისააკის ბედს აიგან.
მივაგოვე სამარი,ა,
მშის შობა და ცა-მარიამ.
შუბლი ისევ გოლგოთაა,
გული ისევ სამარეა.

მივაგოვე მეტანია,
ბეთსაგე და ბეთანია,
სამსხვერპლოზე ჩემი ბადის
სევდა ამომიგანია.
მივაგოვე ნაზარეთი
ვით სნეულმა ლაზარეთი
გზა გასაშობა: მარიამით,
მართათი და ლაზარეთი.
მივაგოვე, მომიგევე,
შენთან როგორ მოვიდე მე.
შენს მაცნებლს მაინც ვცნობდე,
ლამეს შუბლთან რომ მითივეენ.
მივაგოვე ბეთსაიდა,
შენთან მოვხვდი ვერსაიდან.
გულო, ვიცი გოლგოთაზე
ქვევ ჯვარცმულ
ბედს აიგან.

– აბაშაძე რაბი (1936)

დაიბადა ქუთაისში. 1960 წელს დაამთავრა მსსს ფილოსოფიის ფაკულტეტი. მისი ლექსები იბეჭდება 1957 წლიდან. არის მრავალი პოეტური კრებულის ავტორი („ლექსები“, „მეღამის მთვარე“, „შენდამი“, „მზე და მთვარე ნუ მოგშლოდეს“, „გირისკონი“, „აკე“).

კახეთში

ცა წყნარად ღუის საყვარელ ფერში
მწიფე და მძიმე აგმის გოგებით.
ახლა მზე ჩადის შორეულ მთებში
და უსათუოდ შენ მაგონდება!
დალურჯებული გულები ღვინით,
ჩუმაღ ჰკონცინან ჯამებს ცარიელს
და დალოცვილი კახური ლხინი
მიპყვება კახურ მრავალკამიერს.
თამადა ახალ სიყვარულს გვაწვდის,
ღვას დაბალ ღვინში როხროხი კაცთა;
ვიუარე და ვეება ყანწი
დამიმზნებული თოფით ამცდა.
მოდის სიმთვრალე თან ეს ხეხერი
შავი მტევნები რარიგ მენება!...
შემომახტება როგორც ფოცხვერი,
დარდიან გულზე შენი ხსენება.
ო, როგორ მინდა ამ გამწილ სუფრას
შენი ლამაზი თვალი შევროდეს,
შეიფერებდი ყველაზე უფრო
ამ უღარებელ კახურ შემოდევს.
დალურჯებული გულები ღვინით,
ისევ კონცინან ჯამებს ცარიელს,
და დალოცვილი კახური ლხინი
მიყვება კახურ მრავალკამიერს...

— **აილიასპარი პილასანდრა** (1750 – 1802)

პროზაიკოსი, პოეტი, დრამატურგი, დაიბადა კასპის სოფელ ჭალაში (ახლანდელი ქვემო ჭალა). მამამისი, ქართლის დიდი ფეოდალი დიმიტრი ამილახვარი ოპოზიციონარად ედგა ერეკლე მეორეს, რისთვისაც მეფემ დაატყუადა ოჯახითურთ. ერეკლესადმი მტრული განწყობილება აღექვანდრე ამილახვარს მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა, ეს ამკარად ჩანს მისი ნაწერებში. მას ეკუთვნის ავტობიოგრაფიული ნაწარმოები „გორგიანული ისტორია ანუ მოთხრობა ახალგაზრდა ამილახვარზე“. მასში აღწერილია ერეკლეს გყვობიდან ავტორის გაპარვა, ჩრდილოეთ კავკასიაში გამგზავრება, ასკრახანს ყოფნა... თხზულების შინაარსი ოდენ ავტობიოგრაფიის მოთხრობით არ ამოიწურება. მასში გადმოცემულია საქართველოს ისტორიაც, ერეკლეს პიროვნება უარყოფითად არის შეფასებული. აღექვანდრე ამილახვარს ასკრახანში შეუთხზავს საგირა-კომედია „მოქმედება ასკრახანში“, რომლის ქართულ დედანს ჩვენამდე არ მოუღწევია და მხოლოდ რუსული ვარიანტით არის ცნობილი. ამ ნაწარმოების პათოსიც ერეკლე მეორის განქიქებაა. აღექვანდრე ამილახვარს ჰქონდა ლირიკული ლექსებიც. იგი ფართო განათლების მოღვაწე ჩანს. მის ნაწარმოებებში ევროპული განმანათლებლობით გააცნობა იგრძნობა.

— **აპირაჯიბი სოფიო** (1847 – 1906)

ნამდვილი სახელი და გვარი – სოფიო არღუთაშვილი-მხარგრძელი.

დაიბადა თბილისში. პირველდაწყებითი განათლება შინ მიიღო. შემდეგ ფაბრის პანსიონში მიაბარეს. დამოუკიდებლად შეისწავლა რუსული და ფრანგული ენები. იყო გენერალ მიხეილ ქაისოსროს ძე ამირაჯიბის მეუღლე. სოფიო ამირაჯიბმა რუსულად თარგმნა ქართველი პოეტების ნ. ბარათაშვილის, გრიგოლ, ვახტანგ და ნინო ორბელიანების, მ. თუმანიშვილის, ი.

ჭავჭავაძის, რ. ერისთავის, მ. გურიელის, ა. წერეთლის, გ. აბაშიძის, ვაჟა-ფშაველას, შ. არაგვისპირელის, ი. ველაშვილის, განდევლის, ია ეკალაძის, ე. მქიქაძის და ლ. ცინციფლის ნაწარმოებები. 1909 წელს მოსკოვში დაიბეჭდა „ქართველი პოეტების ლექსების კრებული“ ა. ხახანაშვილის მცირე წინასიტყვაობით, რომელშიც შეგანილია ჩამოთვლილ პოეტთა ნაწარმოებების მისეული თარგმანები სურათებითა და ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობებით.

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

— **აპირაჯიბი შალვა** (1887 – 1943)

დაიბადა სოფელ ხურვალეთში (გორის მაზრა); სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიაში, პირველი ლექსებიც სწავლის პერიოდში დაწერა. 1906 წელს უმაღლესი განათლების მისაღებად ევროპაში გაემგზავრა და ვენის უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს, თუმცა ხელმოკლეობის გამო სტუდენტ ვერ გახდა. 1909 წელს სამშობლოში დაბრუნდა და გამოსცა ალმანახი „ჩვენი ერი“, სულ მალე დააპაგიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. ლიგერატურული მოღვაწეობა XX ს ათიან წლებში დაიწყო. ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალის „კლდე“ აქტიური თანამშრომელი იყო და ნაწარმოებებს „ფარსმან-ფარუსის“ ფსევდონიმით აქვეყნებდა. 1916 წელს შალვა ამირეჯიბი გაიწვიეს პირველ მსოფლიო ომში. 1917 წელს, რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, სამშობლოში დაბრუნდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში იყო ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. შალვა ამირეჯიბს ახლო ურთიერთობა ჰქონდა და მეგობრობდა „ცისფერყანწლებთან“. 1920 წელს გამოვიდა მისი ერთადერთი კრებული „მინახქრები“. ორი ლექსი „მას კარადი“ და „ლეკური“ შევიდა „ახალი პოემის ანთოლოგიაში“ (ქუთაისი, 1919). 1924 წლის ავგისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ შალვა ამირეჯიბი საზღვარგარეთ წავიდა, ძირითადად



რატი აბალოლაძე



რამაზ აბაშველიძე



ალექსანდრე ამილახვარი



სოფიო ამირაჯიბი



შალვა ამირაჯიბი

საფრანგეთსა და გერმანიაში ცხოვრობდა, 1940 წ. ბერლინში, მან დააარსა საკუთარი ჟურნალი „ახალი დროება“. გარდაიცვალა პარიზში, დაკრძალულია სენტ-გუანის სასაფლაოზე.

* * *

მიყვარდა თქვენი შლეიფი,
 თქვენი კაბები გრძელქომა,
 თქვენს დღეობაში ქეიფი,
 თქვენი უმანკო ცელქობა,
 მხრებზე დაყრილი ხშირი თმა,
 უბე შეკრული დილითა,
 საღამოს სიყვარულის თქმა
 და გაბუგება დილითა!
 ეხლა თქვენ მოკლედ იკრიფავთ,
 მოკლეს აგარებთ კაბებსა,
 მკლავი სულ დია მოგიჩანთ
 და იცხებთ ფერად აბებსა!
 დრო იყო, თვითონ გცოდავდით,
 თვალი თანთ გხდლდით ამოსა,
 ახლა ჟინდაგიცოგავდით
 და თვალით გაცმევთ სამოსსა!

— აიროიპე პასილ (1933)

დაიბადა ამირთკარში (ახლანდელი ამირნი, დუშეთი). 1952 წელს დაამთავრა ფსახანაურის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც 1957 წელს დაამთავრა და განაწილებით მუშაობა დაიწყო ვორის რაიონში, გყვიავის მანქანა-გრაქტორთა სადგურში. პენსიაში გასვლამდე (2012) იგი სხვადასხვა სამეურნეო საქმით იყო დაკავებული და პარალელურად ეწეოდა პოეტურ მოღვაწეობასაც.

* * *

დამიგდო წუთის სოფელმა
 წელში მომგრისა კავივით.
 სიცოცხლის ყავლი ილევა
 აქა-იქ ვხზავი ყვაივით.
 უქმად გავლიე საწუთრო
 გვიან არს თითზე კენანი,
 დაბლა მე არა ვვარგოდი
 არცა მწყალობდნენ მენანი.
 გარდევალს ვუმერ, წინ მიდგას
 „იქ“ წამსვლელთ დამწესებელი,
 ხელში უჭირავს მახვილი
 სიცოცხლის დამსრულებელი.
 მალე, ალბათ, თავს წამაცლის,
 გზას მიმასწავლის შავეთის.
 წერილებს მოვიწერები

თუ იქ „მშვიდობით“ – „შაველი...“

— აიოსულაჰილი შალვა (1916 – 1981)

დაიბადა თელავში. 1940 წელს დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო ფაკულტეტი და აქედან მოყოლებული ორმოცი წლის მანძილზე ემსახურებოდა მშობლიურ ლიჭვირატურას. ცნობილია მისი პოეტური კრებულებია: „პირველი წიგნი“, „თალარი“ (1948), „მძანაფიცები“, „ქართული მიწა“, „პოემები“, „წყურვილი“, „ბალადები“ და სხვა. სიცოცხლის ბოლო წლებში შალვა ამისულაშვილმა თავის პოეტურ ქმნილებებს გვერდში ამოუყენა საგულისხმო ბელეტრისტიკული ნაწარმოებები. ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა სხვადასხვა გამოცემლობებში, იყო გაზეთ „კომუნისტისა“ და „ლიტერატურული საქართველოს“ განყოფილების გამგე. საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტში და სახელმწიფო წიგნის პალატაში. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი.

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

გიკვილიან „ლექსები სპანში“ ჭუნდირი

ქვას ააგირებს ჭუნდირის ხმაო!
 უთქვამთ და მართლაც ასე ყოფილა.
 ქვა ქვადვე დარჩეს, აქ სხვაა კიდევ
 გულის ფსკერიდან ამოსთქმელი:
 ცხელი სიმები ცხენის ძუისა
 რომ ასგეხავენ შუილს ერთბაშად,
 მგონია, კლდეზე ბაილ ბეთქილი
 შუნს მისდევს.
 მისდევს იფნის შვილითა...
 თვით ხემაღესაც, ამ სვანურ მიზრაფს,
 ბაილ ბეთქილის შვილდად მოხრილსა
 ცხენის ძუა აქვს ლამბად გაბმული
 და ისიც, ისიც სიმებად ზუსს...
 სიმებად ზუსს და მჩვენება:
 ბეგრების ნაცვლად ისრები სცივია
 და უსასრულო სევდასთან ერთად
 გამრული სულის მოჭირის გრივალი...
 ნუ გაანელებ, ძმარო ჩართილან,
 გულს, თონესავით გახურებულს!
 დაე, ისრების გამჭოლავ შუილს
 ცეცხლად მოედოს ცხენთა ჭიხინი...
 ნალ-უმანგების გამბულ წკრიალში
 გამალევიწე დრო და მანძილი,
 რომ ცივგომორთან დაბრუნებულსაც
 არ მასვენებდეს შენი სვანეთი!

— აჟიოლაკა თიანური (1957)

პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი, ლიბერატორის ისტორიის მკვლევარი. დაიბადა სოფელ როდინ-ოულში (მეტეაფონი). 1978 წ. დაამთავრა ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი, ქართული ენისა და ლიბერატორის სპეციალობით. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1978 წელს; იბეჭდება ლიბერატორულ ჟურნალ-გაზეთებში. ავტორია რამდენიმე წიგნისა: „დავიწყებული ამბავი“ (1990), „ყაჩაღი დვალისელები“ (1996, გვიე გვემელაშვილითან ერთად), „ოცი წლის წინათ“ (ლექსები, 2007), „მღვარი“ (ესეებისა და კრიტიკული წერილების ერთგომეული, 2008), „დაღმეულიანების ამბავი“ (2014), ასევე ქრონიკებისა — „მიტროპოლიტ ნამბარის უკანასკნელი დღეები“, „ამაზია გურიელის გახსენება“, „იმოუმსკები“, „წმინდა გიორგის ეკლესიის მცირე ნეკროპოლი“ და სხვა. 1981 წლიდან მუშაობს ჟურნალ განთიადის რედაქციაში, არის რედაქტორის მოადგილე, არის ქუთაისში გამოსული არაერთი ლიბერატორული გაზეთისა და მრავალი წიგნის რედაქტორი, იკვლევს ქართული ლიბერატორის ისტორიის საკითხებს.

— ანდრონიკაშვილი გიორგი (1841 – 1910)

დაიბადა სოფელ ოციოში (ახმეტა). 1853 წელს შეიყვანეს გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. მისი პირველი ლექსები გამოქვეყნდა ჟურნალებში: „ცისკარი“, „განდეგილი“ (1860), „ქენინა ბარბარე ჯორჯაძისას“ (1861), „სიმპარი“ (1866), „ფშების ხეობა“ (1866). დაწერილი აქვს პატრიოტული ხასიათის ლექსები: „ჩემს მამულს“, „მერცხალს“. განსაკუთრებით საინტერესოა მისი მთარგმნელობითი მუშაობა. თარგმნილი აქვს კარამზინის, ვერლერეგის, ვიესენველზის, პუშკინის და სხვათა ნაწარმოებები.

— ანდრონიკაშვილი ქაიხოსრო (ვარდ. 1792 წ.)
სახელმწიფო მოღვაწე, პოეტი.
1770-იან წლებში რუსეთში ელჩობისას ახლდა

თავის სიძეს, ლევან ბატონიშვილს. შემდეგ ერეკლე II-მ დიპლომატიური მისიით გაგზავნა ირანში. ელჩობის მიზანი იყო დაემოწმებინა ირანის ვეჯილი (გამგებელი) ქერიმ-ხანი, რომელიც ერეკლე II-ის რუსული ორიენტაციის გამო საქართველოში გამოლაშქრებას აპირებდა. ეს დავალება ანდრონიკაშვილმა წარმატებით შეასრულა. 1778, როდესაც განჯის სახანო გაუქმებულ იქნა და მასზე ქართლ-კახეთის სამეფოსა და ყარაბაღის სახანოს ერთობლივი მმართველობა დაწესდა, ერეკლე II-მ ანდრონიკაშვილი განჯის მმართველად დანიშნა. 1785 წ. განჯაში აჯანყებამ იფეთქა, ერეკლე II-მ ჩააქრო აჯანყება და ანდრონიკაშვილი საქართველოში გამოიწვია. ქაიხოსრო ანდრონიკაშვილს ეკუთვნის პოემა „მიჯნურთ ბაღე“, რომელშიც მოთხრობილია ფრანგისგან ჭაბუკისა და გულბაპრ მზეთუნახავის სიყვარულის ამბავი. პოემა დაწერილია 16-მარცვლიანი შაირით. ცალკეული ეპიზოდები და პოეტიკური სამკაულები ნასესხებია „ვეფხისტყაოსნიდან“, „ვისრამიანიდან“ და „ბარამგულადამიანიდან“.

— ანთაპი ცინსანა (1940)


დაიბადა სოფელ ჯურუყვეთში (ლანჩხუთი). დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი მათემატიკის სპეციალობით. გამოცემული აქვს პოეტიკური კრებულები: „სათავეებითან“ (თანაავტორი, 1968), „ლექსები“ (1971), „ბილიკობილიკ“ (1974), „მგეო მაღალო“ (1978), „ლაშაბი სიმპარი“ (1982), „მოუფრეთი შემოდგომის ჩიგებს“ (1990), „რჩეული“ (2000), „აღსარება“ (2014). ავტორია რამდენიმე მონოგრაფიისა, მათ შორის: „საესე ქართული პატიოსნებით“ (2010), „ღვაწლით გაღამაზებული სიცოცხლე“ (2011), „აღამიანი“ (2012), მუშაობს პუბლიცისტიკაში. ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას. თარგმნილი აქვს ვლადიმერ ვისოცკის ლექსები. სხვადასხვა დროს მუშაობდა: ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტში, გამოცემლობა „აჭარაში“, რესპუბლიკურ საბავშვო ბიბლიოთეკაში,



შალვა ამირიამ



შალვა ამისულაშვილი



თიმოთე აჟოლაკა



ანდრონიკაშვილი გიორგი



ანთაპი ცინსანა

აჭარის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში. ამჟამად უძღვება გამ. „აჭარა P.S.“-ის ლიგერატორულ რუბრიკას. 1995-2004 წლებში ხელმძღვანელობდა იჭავჭავაძის სახელობის საქართველოს მწიგნობართა ასოციაციის აჭარის ორგანიზაციას.

დრომ თვით იღარღოს...

მე ღუელი მაქვს საკუთარ თავთან,

ან ველოდები ხელის აქნევას,

მოწმე რად მინდა, მოწმე ზეცაა,

სეკუნდანტებთან რა მესაქმება.

პირველი გყვია ასცდა სამომხვს,

მაინც ითვლება პირველ რაუნდალ...

დრო ლახვარივით მიბრუნებს ისრებს,

ამ არამკითხეს ნეტავ რა უნდა?!

ვერ შემაშინა, თუმცა დავლანდე

ღინოზავრების დიდი გორი აქვს,

მე პოეტი ვარ და უკეთ ვზომავ

გყვიის და სიტყვის გრაქტორიას.

მეორე გყვია გული გაცივდა....

ისევ გადავინი გაოცებისთვის!

დრომ თვით იღარღოს, რომ სინჯარამდე

ვერ მიმიყვანა ამო ცდებისთვის.

მე პოეტი ვარ, თვითონ ვიგრძენი,

ლექსის წერის დროს ვენა თბილია,

ცივისსხლიანთან, ორი დღისათვის,

ვერა, ვერ გავხსნი მიკროფილიას.

მე ღუელი მაქვს საკუთარ თავთან,


არ ველოდები ხელის აქნევას,

მოწმე რად მინდა, მოწმე ზეცაა,

სეკუნდანტებთან რა მესაქმება!.

– **ანტონოვი ზურაბ** (1820 – 1854)

დრამატურგი, კომედიოგრაფი; დაბადებულია და გავრდილა ქალაქ გორში. 1827-29 წწ სწავლობდა გორის სასაზიხო სასწავლებელში. 1839-43 წლებში გორის სამაზრო სამმართველოში მსახურობდა, მდინად. 1851 წელს თბილისში ჩამოვიდა და გიორგი ერისთავის თეატრის დასში ჩაირიცხა მსახიობად. 1854 წლიდან ერთხანს ხელმძღვანელობდა კიდეც ამ დასს. ჩვენამდე ანტონოვის შვიდმა პიესამ მოაღწია: „მე მინდა კნეინა გავხდე“ (1851), „განა ბიძიამ ცოლი შეირთო“ (1852), „მზის დაბნელება საქართველოში“ (დაიდგა 1853 წელს, დაიბეჭდა 1876 წელს), „ქმარი ხუთი ცოლის“ (დაიდგა 1851 წელს, დაიბეჭდა 1852 წელს), „ქორწილი ხევსურთა“ (1852), „ქოროლი“ (1853), „გვიით მოგზაურობა ლიგერატორთა“ (1854). იგი პოეტი არ ყოფილა, მაგრამ მისი ლექსი „გულნარა“, რომელიც პიესა „ქოროლიშია“ ჩართუ-



ანტონ I კათალიკოსი

ლი, იმდენად პოპულარული გახდა, რომ მისი ავტორის ჭეშმარიტ პოეტურ სულზე მეტყველებს.

(*პიესიდან „ქოროლი“*)

შენ არზრუმის ცისკარი ხარ, გულნარა,

მანათობლად აღმომხდარი, სიცოცხლე.

შენ ვარდი ხარ ედემს რგული, გულნარა,

ბულბულისა მწარედ მღაგი, სიცოცხლე.

ნება მომეც, გული ჩემი, გულნარა,

შენ მოგართვა ფიანღაზად, სიცოცხლე.

შენ დაბრძანდე მასმედ მეფედ, გულნარა,

მე დაგვრფოდე ბულბულივით, სიცოცხლე.

პირველ გაქებს გიშრის ლალებს, გულნარა,

ზედ გაღართხმულს მშვილდებურ წარბებს,

სიცოცხლე.

ალახს ვვედრი, შენი თავი, გულნარა,

არ წამართვას სიკვდილამდე, სიცოცხლე.

– **ანტონ I კათალიკოსი** (1720 – 1788)

ერისკაცობაში – თეიმურაზ ბაგრატიონი; აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსი. 1738 წელს ბერად აღიკვეცა გელათის მონასტერში ანტონის სახელით. 1739 წელს გელათის წინამძღვრობა მიიღო. მომღვერო წელს ქუთაისის მიტროპოლიტი გახდა. 1743 წელს დავითგარეჯას სავანეში დაბრუნდა. 1744 წელს იგი აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს. ანტონ I-მა დაიწყო სწავლა-განათლებისა და სასგამბო საქმის მოწესრიგება, გავრცედა შემოიკრიბა საქმიანი და განათლებული ადამიანები ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან. მისი მეცადინეობის შედეგად 1762-1763 წლებში განახლდა ვახტანგ VI-ისეული სგამბა, 1782 წელს კი რეორგანიზებული

იქნა „ახალ სტამბად“. ანტონ I ყოველნაირად უწყობდა ხელს კალიგრაფიული სკოლების, ბიბლიოთეკების, თეატრის შექმნას, მხატვრობის, პოეზიისა და ხელოვნების სხვა დარგების განვითარებას. ერეკლე II-ის დახმარებით თანდათან გარდაქმნა ნახევრად კერძო ეპარქიული დაბალი სასწავლებლები სახელმწიფო ტიპის სკოლებად, დიდი მონაწილეობა მიიღო ჯერ თბილისის (1755), შემდეგ კი თელავის (1782) სემინარიუმების დაარსებაში. მან თვითონვე მოჰკიდა ხელი სახელმძღვანელოების შედგენის საქმეს. ანტონ I-მა მდიდარი ფილოსოფიურ-თეოლოგიური და ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა. მან მყარ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა ფილოსოფიური აზროვნება საქართველოში. 1996 წელს ცალკე წიგნად გამოიცა ანტონ I-ის „პოეტური ქმნილებანი“.

— **ანფიშიალი ღიანა** (1982)

პოეტი და ენათმეცნიერი. დაიბადა თბილისში. იგი არის 5 წიგნის ავტორი. დაბეჭდილი აქვს არაერთი სამეცნიერო სტატია და ნაშრომი, ასევე ელექტრონული ბიბლიოთეკის, „ლიბ.გე“-ს ერთ-ერთი რედაქტორი.

* * *

არავის ველი...

საბნად ვიფარებ თბილ ქუთუთოებს –
 არარსებული მხეცის გყავებს,
 და ჩემი ყურის ნიჟარები
 ღუმლის მღვასთან ფრთხილად დავაწყვე,
 არავის ველი.

მე სომ ნივთებიც არ მეკუთვნიან,
 მხოლოდ გამლღვალ კონტურებს ვხედავ,
 არავის ველი. არავის ველი...

საბნად ვიფარებ თბილ ქუთუთოებს –
 არარსებული მხეცის გყავებს,
 და ჩემი ყურის ნიჟარები
 ღუმლის მღვასთან ფრთხილად დავაწყვე,
 არავის ველი.

მე სომ ნივთებიც არ მეკუთვნიან,



ზსუზაბ
ანტონივი



ღიანა
ანფიშიალი

მხოლოდ გამლღვალ კონტურებს ვხედავ,
 არავის ველი.

— **არაბული ალუა** (1938 – 2009)

დაიბადა სოფელ დათვისში (ღუშეთი); დაამთავრა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. 1965-1967 წლებში იყო ღუშეთის რაიონის ხონისჭალის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, 1967 წლიდან – ბარისახოს სამუალო სკოლა-ინტერნატში ისტორიის მასწავლებელი; 1966 წელს პირველი ლექსი დაბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ და გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“; 1974 წელს გამოცემლობა „მერანმა“ გამოსცა მისი ლექსების პირველი კრებული; ავგორია ორი პოეტური კრებულისა: „ფოთლის გვირგვინისანი“ და „მამულის ხმები“.

* * *

შენ, ჩემო მამულის ცაო,
 შენ მზეო, ჩემი დედულის,
 ვარ და ვიქნები კვლაცაო,
 სანამ შენ ჩუქმად მეგულვი.
 ქარო, ვისავ და რისაო,
 შენ, ქარო, ჩემი ქედების,
 ჩემო და არა სხვისაო,
 გემორჩილები, გნებდები.
 კრთის ვარსკვლავები ცისანი
 ამერისა და იმერის;
 ალგეთს – „ლეკეები მგლისანი“,
 სვანეთს „ლილიო“ გიმღერის.
 არ მეგულება შენდარი
 მზის ვინმე სხვაგან მიმგნები.
 სურით სერებზე შემდგარი,
 ვიქნებით, სანამ იქნები!

— **არაბული ბაღათი** (1950)

გამოცემული აქვს კრებულები: „იხსენებ ჩივილს“, „ჟამი სინათლისა“ (1987) „ხევისურული საგა“ (2016, ლექს-ანდრეშევი). წლების განმავლობაში იყო ჟურნალ „ცისკრის“ და მისი დამაგება „ნობათის“ რედაქტორი. არის მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე.

* * *

არეულია კეთილ-ბოროტი
 გაუტანლობით, შურით, ღალატით, –
 ვეღარ ვიტხოვრებთ, როგორც ვცხოვრობდით,
 ვეღარ დაეშალავთ, რასაც ვმალავდით...
 დღევანდელ დღისთვის პასუხს ვინ აგებს?
 ან მომავლისგან მაინც რას ელი?
 დაცემულია ციხე-სიმაგრე
 და მეციხოვნეც – უკანასკნელი...

არც გამკითხავი და არც გამგებო,
 დიდი ხანია, არავინ არ ჩანს,
 შენი კომკები, ბროლით ნაგები,
 დღეს სათარეშოდ ეშმაკებს დარჩათ...
 უელავს ღამეს მთვარის ნისკარგი,
 ცა გადაშლილა უღურჯვს მინდვრად,
 მე კვლავ მიყვარხარ, როგორც მიყვარდი,
 ასე ღიადი და ასე წმინდა...

– **არაბული ბიოგრაფი** (1991)

დაიბადა ხევსურეთში, სწავლობდა ჯერ ბარ-ისახოს (1997-2007) და შემდეგ შაგილის სკოლა-ში (2007-2009). 2009-2013 წლებში სწავლობდა შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, დრამის რეჟისურის ფაკულტეტზე. 2013 წლიდან არის ღუშეთის თეატრის მთავარი რეჟისორი; 2012 წელს დაიბეჭდა მისი სადებიუტო ლექსების კრებული „გზაზე გასულა“, 2017 წელს კი გამოიცა მისი მეორე კრებული – „გვერინი“.

* * *

შენ გიდგას ჩემი ნეკნი და
 ჩემ გვერდით მიხარ, სუნთქავ და ცხოვრობ
 და ვიდრე ჩემი ტანიდან გახვალ,
 მანამდე ძილი მოვიღებს ბოლოს.
 ძილში სურვილი გვიჩნდება ძერწვის,
 ვძერწავთ ჩვენს ოთახს, სახლსა და სოროს.
 გახსოვდეს, ჩემი ერთ-ერთი ნეკნი
 შენს მიუწვდომელ სხეულში ცოცხლობს.

– **არაბული ირაკლი** (1924 – 1993)

დაიბადა სოფელ წინხალაში (ღუშეთი). 1952 წელს დაამთავრა ოსუს ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1952-1984 წლებში მუშაობდა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ რედაქტორად. პირველი ლექსი „ღარიალი“ გამოაქვეყნა გაზეთ „მებრძოლის დროშაში“ 1944 წელს, პირველი პოეტური კრებული – „ოცნება მთებზე“ – 1956 წელს. ავტორია ლექსების კრებულებისა: „გარბენილი ბილიკები“ (1958), „ღვას გამაფხული“ (1960), „თორელის სიმღერა“ (1962), „გულს იქ უხარის“ (1968), „წყალჭალა ჩემი“ (1970), „კომკებზე წარწერილი სგრიქონები“ (1974), „სმები“ (1984), „კაცითა ერთით...“ (1987), „თამარის მონაგრება“ (1991), „ღუმლის სევა“ (1991), „სადაც ვუბოძლავარ“ (1991) და სხვა.

სმსსური ჯურისა

ჯერ აიშლება ფარა ნისლების,
 ვით აფრენილი გუნდი სავითათა,
 და ჭაუხები – დარბაისლები –

მხედებიან ვიწრო გადასავალთან.
 დამილოცავენ გზას საარხვაცოს
 და ცხი-კომკითა ვნახავ სამეფოს,
 მსურს ვივალბო და ვივალადო –
 აქ სხვა სიმღერის ეშმაკ მბრძანებლობს.
 აქ ენა ისმის მარგო ბუნების,
 თითქოს არც არის სხვა სულიერი,
 გვიმზერს ცხეთა სათოფურები
 იმ ვარდასულთა ღღეთა იერით.
 მთლად წვება ღამე, როგორც კამენი,
 და მდინარეთა ისმის ბღავილი,
 მე შემოვიხვევ ნისლებს ღამეში
 არხვაცელ ჯურისა ჯიხვის გყავივით.
 მთებმა ყვავილთა ალში გამზვიონ,
 გადამაფარონ კალთა ამადამ;
 დამეხსგაგები ხევსურს ამლიონს
 და შეეპიბეებ მთებში ამაყად.

– **არაბული კობა** (1945)

ფსევდონიმი – „გველისმჭამელი“
 დაიბადა სოფელ ღათვისში (ღუშეთი); 1964-1977 წლებში სწავლობდა ოსუს ფილოლოგიის და ხელოვნების ფაკულტეტებზე. 1979-1991 წლებში მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ სცენარისტად და უფროს რედაქტორად; 1990-1996 წლებში გამოსცემდა მშობლიური მიწის მოვლის და კულტურულ მემკვიდრეობათა ხელშეწყობის გაზეთს – „წუთისოფლი“; მოამზადა „ხოვას მინდას სახლის“ პროექტი. არის სცენარის ავტორი ფილმებისა: „ხევსურეთი - მითის გაცოცხლება“ (რეჟისორები შალვა და მერაბ ჩაგუნავენი, 1991), „კაშხალი მთაში“ (რეჟისორი ნოდარ მანაგაძე, სცენარის თანაავტორები - გურამ გეგუშიძე, ნოდარ მანაგაძე, 1977).

* * *

მას მერე სამოცჯერ
 კიდევ დაღამდა და გათენდა,
 ე.ი. გარდახდა წლის მეექვსედი წილი,
 გადაისმზრეს მშით დაბინდულმა ღღებმა...
 ბევრი ღამე უმთვაროც იყო,



ალულა
არაბული



ბადამირ
არაბული

მერე მოვიდა მამთარი და
 შემოათოვა მთების გუმბათებს, –
 სითეთრე მშვიდი იყო
 და ვაგვონარი სევდილი გაფოთილი...
 გაღმა სოფელი ისე ჩანდა,
 როგორც საცერში... და იცრებოდა,
 თითქოს სახლები ცაში საკვამურიდან
 ამოსული კვამლით ეკიდნენ,
 მერე საკვამურებიც ჩაიბიძრნენ
 და მხოლოდ კვამლი დარჩა...
 შემინებული შვლები სახლებში შემოცვივდნენ.
 მარგოობისა და სამყაროს მთლიანობის
 ისეთი განცდა დაძვუნდა,
 რომელიც ბუნების ჩემთვის მანამდე
 უცნობმა მდგომარეობამ მაგონებინა...
 რა ყოფილა ბუნება: როგორ გვეხადება
 თავისი მრავალგვარი სახით.
 „ჩვენ მასში ვართ და იგი ჩვენშია“,
 თუშეცა არასოდეს არ ვიცით,
 ვინა ვართ და რატომა ვართ...

– არაბული მიწილი (1934 – 1998)

დაიბადა სოფელ გველეითში (ღუშეთი). დაამთავრა გორის პედაგოგიური ინსტიტუტი 1961 წელს. 1962 წლიდან მუშაობდა გამომცემლობის სახელმწიფო კომიტეტში. არის რამდენიმე კრებულის ავტორი: „საარაგო“ (1967), „პირიმიზი“ (1968), „ლურჯი სანახები“ (1970), „გარდასული ფერები“ (1973), „თბილი ხელები“ (1975), „ჩემი დღეები“ (1977), „გებებზე“ (1978), „მამულთა ქვიშანი“ (1980), „რწმუნის ზარი“ (1981), „მორბის არაგვი“ (1983), „მამულის ნიშები“ (1984). ეწევა მთარგმნელობით მოღვაწეობას. 1975 წელს ცალკე წიგნად გამოსცა ივანე თარბას ლექსების კრებული „სიმღერიდან სიმღერამდე“.

ბებერი ხმის შრის წესილი

დღეს სასწაულებს ვმართავ ნამდვილი
 შეუნდობი და შეუწყნარები,
 ჭალის პირს მარგო ვარ დავარდნილი
 და მწარე სული მხდება წვალებით.

მაგრამ არ ვგოვებ მაინც ხმაღ-ღამნას,
 ვხრავ ლაგამ-აბჯარს აჯიღასავით,
 ჩემში მთავარი სული გადარჩა
 და ხელებისა ძალმიძს საცხავი.
 დრო-კამს აბჯარი უნდ აყვარო,
 მხარში შეუდგე დალილი არსებებს,
 ჩემს შემდეგ თვით ის დიდ სამყაროც
 ჩაიკმენდს ხმას და არ იარსებებს.
 აღარ შეზარავს ეამი ჩემს ყოფას,
 ჩემს ხანაში რომ ზარავდა მრავალს...
 მე ეს სამზუო უკვე შეყოფა,
 მასთან მე უკვე ვამთავრებ დავას.

– არაბული ნანა (1950)


დაიბადა სოფელ წყაროთუბანში (თიანეთი). საშუალო განათლება მიიღო სოფელ ლუღლუღში. უმაღლესი განათლება კი – გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში. მუშაობდა მასწავლებლად თიანეთის რაიონის სხვადასხვა სკოლებში, პერიოდულად კორესპონდენტად თანამშრომლობდა გაზეთთან – „ახალი თიანეთი“. ამავე გაზეთში იბეჭდებოდა მისი ლექსები, მოთხრობები, ნოველები. ამჟამად ცხოვრობს საბერძნეთში, ქალაქ ათენში, სადაც განაგრძობს შემოქმედებით მუშაობას. თარგმნის ბერძნულ პოეზიას.

აღსარება

არც ქვა ვყოფილვარ არასოდეს,
 უმოძრაო, ხავსმოღებული და
 არც კლდე, უსული,
 შემზარავი სისასტიკით აყუდებული!
 თუმც ბავშვობისას, რადანამე გაჯიუტებულს,
 ერთსაც მიწოდებდა და მეორესაც
 გაცეცხლებული დედაჩემი!
 ერთი წლისა არც კი ვყოფილვარ,
 როცა მშობლებმა მიწამე დამსვეს და
 გამიშვეს ხელი;
 მას შემდეგ მივდივარ, წინ გზაა დიდი,
 მინოტავრის ლაბირინთით
 ჩაქაბებულ-ჩამავებული და ჭირს სიარული...
 ყოფნა მომწყინდა!



გიორგი არაბული



კობა არაბული



მიწილი არაბული



ნანა არაბული



შაბუა არაბული

მინდა ვიპოვო წყარო წმინდა,
რამაც დამწინდა და
ის ერთი წუთი, მარადისობის,
უზენაესი და ყოვლად წმინდა!
ჩემო ცაო და საძებლე მიწავ!
ჩვენ ერთად ვსუთქავთ,
როგორც სამება და მე ვარ ხიდი,
თქვენს შორის გადებული
დიდი სიყვარულის ნიშნად!
მომეცით ხელი, გავარღვიო
ეს ლაბირინთი!

* * *

არც ქვა ვყოფილვარ, უმოძრაო,
ხაფხვოდებული და არც სალი კლდე,
შემზარავი სისასტიკით აყულებული

– არახული შაპურა (1952 – 2003)

დაიბადა სოფელ ჯუთაში (ყაზბეგი). სკოლის დამთავრების შემდეგ მსსს-ს ფილოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჯუთაში დაბრუნდა და ერთი წელი ყაზბეგის სკოლა-ინტერნატში მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1996 წელს კვლავ თბილისში დაბრუნდა, მაგრამ თავისი პროფესიის შესატყვისი სამსახური მას აღარ ჰქონია. გარდაიცვალა 2003 წლის მაისში, მშობლიურ სოფელში. იქვე დაკრძალეს. მის საფლავის ქვაზე ორი სტრიქონია ამოკვეთილი მისივე ლექსიდან: „მივალ... წავედი, ჯვარი გეწეროთ, ჩემო მთებო და ჩემო ნისლელო!“ გამოცემულია მისი კრებულები: „ლექსები“ (1978), „იმედის ვარსკვლავები“ (1996), „უღელტეხილი“ (2005).

* * *

ღვევების ქვაბში გვენთო კოცონი
და ნაქალაქარ გულებს ვითობდით
და მას, რაც გეწამდა, ანდა მოგვწონდა,
ვადღერძებდით ყანწით თითოთი.
წვიმდა... ამინდი უცბად გაეცადა,
ცეცხლს თაყვანს ვცემდით სამი წარმართი;
და გვიხაროდა, რომ ხარბ საწუთროს
ერთი კარგი დღე კიდევ წავართვით.
სასთუმლად ქვები გვეწყო მომცრონი,
ლონიერ მთაზე ბეჭებმინდობით,
ღვევების ქვაბში გვენთო კოცონი
და ნაქალაქარ გულებს ვითობდით.

– არახაშია ლავითი (1963)

ძირითადი პროფესიით არის ინჟინერი.
დაიბადა სოფელ კირცხში (ჩხორიწყე); 1970-

1980 წლებში სწავლობდა კირცხის საშუალო სკოლაში, 1992 წელს დაამთავრა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის (თბილისის ფილიალი) მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტი და ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებული უცხო ენების ორწლიანი კურსები გერმანულ ენაში (1988 წელს). მუშაობდა საწარმოო გაერთიანება „ისანში“; მისი ლექსები დაიბეჭდა არაერთ გაზეთში, შესულია კრებულში – „თანამედროვე ქართული პოეზია“. გამოცემული აქვს სამი პოეტური კრებული: „ჩამოკრა ზარმა“ (2012), „დილის ღუმელი“ (2014), „მშის საფირონი“ (2016).

უზსკრულინის თაზვხი

შემართულია ხელი მსახვრალი,
ქარიშხლის მერე ნაცრად შიენილი.
არა რა რჩება გულს გასახარი,
ისე ვით ფერფლი ცალ გაფრენილი.
გაბოვექევი ჩრდილებს საშინელს,
დამბრუნდება თითქოს ხალისი,
ხვალინდელი დღის სუსხი მაშინებს,
რადგან იმედის ჩქამი არ ისმის.
კვლავ აცემციმდა ვნება ჩვეული
და ისარხარა ბინდში ბუნებაშ.
უფსკრულის თავზე თავაწეული,
შევეჩერდი სულის მოსაბრუნებლად.

– არახაშიანი ლავრანტი (1815 – 1870)

ფსევდონიმები: ალექსი ელბაკიძე, ბიძია თორნიკე.

დაიბადა თბილისში. 1837 წ. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1846 წლიდან მსახურობდა ე. წ. საქართველო-იმერეთის გუბერნიის სამმართველოში, „ამიერკავკასიის პრიკაში“, გენერალურ-გუბერნატორის კანცელარიაში, თბილისის საოლქო სასამართლოში და სხვა. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა შექსპირის „ჰამლეტის“ პროზაული თარგმანით („ცისკარი“, 1858) და მალე „ცისკრის“ წამყვანი თანამშრომელი გახდა. მან აღრევე გამოამქლავა ცხოვრების მოვლენების შეცნობის უნარი (ლექსი „ფულები“ – „ცისკარი“, 1859), ხოლო უნობილ რომანში „სოლომონ ისაკის მეჯღანუაშვილი“ („ცისკარი“, 1861) დამაჯერებლად ასახა ძველი სოციალური ყოფის და ბურჟუაზიული ურთიერთობების დამკვიდრების გარდაუვალობა საქართველოში.

ფულები (ფრაგმენტი)

უწესოდ გაჩენილი, ურიცხვთ დასამბობლად,
იუდას სისხლით სვრილი, ბორიგად სახმარებლად,

კაცთა ამპარტავნების ამწეო მეგად მალაღ,
 მაგრამ ამასთან ეგრეთ კეთილს იქ დიად მრავლად.
 ბარემ, ისევ ფულეო,
 ვერცხლის სიამოვნებო,
 ჩვენო თვალის სინათლევ,
 გონების მიმტაცებო.

ხშირად გიყვარს სტუმრობა მარად განურჩეველი,
 ამო ფუფუნება, ჟამი დაუღვრომელი,
 კაცო ბუნების აღმძვრელი და შურით აღმვსებელი,
 სიმართლის დამწაგვრელი, კაცო მნეობის გამრყენელი.
 რა ესთქვა? ისევ, ფულეო...

– არღოტაი მუღლა (1962)

ნამღვილი სახელი და გვარი – ნიკო ზვიადაუ-
 რი; დაიბადა სოფელ არღოტში (დუშეთი). 1980
 წელს დაამთავრა ბარისახოს სკოლა-ინტერნატი,
 1981-86 წლებში სწავლობდა ოს-შ-ს ფილოლო-
 გიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დასრულებ-
 ის შემდეგ, მუშაობდა ს. ჯანაშიას სახელობის სახ-
 ელმწიფო მუზეუმის რელიგიის განყოფილებაში.
 1991 წლიდან დაუბრუნდა მშობლიურ კუთხეს, ხე-
 ვსურეთის და შაგლის სკოლა-ინტერნატში ქართ-
 ულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. შემ-
 დგომ მის მიერვე არღოტში, საკუთარ სოფელში
 დაარსებული სკოლის გამგე-მასწავლებელი იყო.
 ამჟამად ნიკო ზვიადაური თავისი ქვეყნის მე-
 საზღვრეა. იგი არის პოეტური ორდენის „მარად
 ახალი ქნარის“ წევრი, გამოცემული აქვს ერთა-
 დერთი წიგნი – „თენების მთვარე“ (1994 წ.).

მურღვა ოქვა

მურღვამ თქვა, არღოტ გამრდილმა,
 სიყრმის ღღეები მოვწვერე.
 მთვარე, ცას დაკიდებული,
 თხის ჯიქანივით მოვწველე.
 დანღობა დაკარგულია,
 უკაბო ჟამი წკრიალეებს,
 ქარქაშში ჩასძინებიათ
 თეთრგარა ნაპერწკლიანებს.
 ხანდისან მოვა ოცნება,
 ცეცხლივით ამბურიალეებს,

ესეა წუთისოფელი –
 წაღმა-უკუღმა გრიალეებს,
 გულში რომ შავი ღამეა,
 ხეგა ვინ გაამზიანებს,
 სიკვდილი რას მოგვერევა
 არაგველ-ალაზნიანებს.
 ბევრ მწარე გამოვიარე,
 სულში ვინ ხედავს იარებს...
 „დარდი არც უნდა ახსენო,
 თუ არვინ გაგვიმთვარებს“.
 ესეა წუთისოფელი,
 წაღმა-უკუღმა გრიალეებს.
 როგორც ჰგონია საწუთროს,
 ისე ვერ გამაგიალებს.

– ართილაჟა რევაზ (1930)

დაიბადა სოფელ ჯუმათში (თბურგეთი); 1960
 წელს დაამთავრა ბათუმის მთია რუსთაველის
 სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტი-
 ტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი.
 ეწევა ჟურნალისტურ და სამწერლო საქმიანო-
 ბას. გამოცემული აქვს კრებულები: „და ვარსკე-
 ლაფებით სავსეა“ (1962 წ.), „ღია სარკმელი“ (1969),
 „წყურვილი“ (1970), „მწიფობისთვის“ (1973), „აგუ-
 ნა“ (1975), „სიჩქარე“ (1978), „უსასრულობა“
 (1980), „ფუძის სითბო“ (1989 წ.).

* * *

სიცოცხლე უნდა შეისისხლბოცო,
 როგორც მეჭვრის ჭეშმარიტ მებრძოლს,
 ჯერ მამულისთვის უნდა იცოცხო,
 რომ მერე მისთვის სიკვდილი შეძლო.

– არსენ ბერი

XI-XII სს საეკლესიო მოღვაწე, მწერალი.
 ღავით აღმაშენებლის სულიერი მოძღვარი.
 მოღვაწეობდა შიომღვიმის ღავრაში. ღავრის
 აშენება-განახლება არსენ ბერის ზედამხედვე-
 ელობით მომხდარა. მასვე დაუღვენია ღავრი-
 სათვის სამონასტრო წესი და განკება. არსენ
 ბერის კალამს ეკუთვნის ღავით აღმაშენებლის



დავით არაკაშია



ლავრენტი არაკაშიანი



მურღვა არღოტელი



რევაზ ართილაჟვა



შურაბ არაკაში

ხოტბა „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“. მასვე მიეწერება რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერისა და დავით აღმაშენებლის ორი ანდერძის შედგენა, ნინოს ცხოვრების მეგაფრასული რედაქცია, ანდრია კრეკელის დიდი კანონის თარგმანი. ზოგი მეკლევურის აზრით, არსენ ბერი უნდა იყოს დავით აღმაშენებლის მემატიანე-ისტორიკოსი, ავტორი თხზულება „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“. სამეცნიერო ლიგერატურაში გამოთქმულია შეხედულება არსენ ბერისა და არსენ იყალთოელის იდენტურობის შესახებ.

– არსენ ბულაჩინიძე (XIII ს)

პოეტიკ-ჰიმნოგრაფი, საეკლესიო მოღვაწე, რუსუდან დედოფლის თანამედროვე. მისი საზოგადოებრივი და ლიგერატურული მოღვაწეობა დაკავშირებულია გამოჩენილ ადამიანებთან – ვარდან და აბუსერ აბუსერიძეებთან (მათი დავალებით თუ თხოვნით თხზავდა ამა თუ იმ ნაწარმოებს). მოღწეულია არსენის შემდეგი თხზულებანი: იამბიკური სვინაქსარი ოთხთა თთვეთანი (თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი); საგალობელი ხელთუქმნელი და უხილავი ხატისა; საგალობელი შოი მღვიმელისა; შიოს სვინაქსარული ცხოვრება; საგალობელი წმინდა გობრონისა და ვესტათი მცხეთელისა. მას ეკუთვნის იამბიკური გიჰის საგალობელი, რომელიც ეძღვნება ნინოს, ქართველთა განმანათლებელს და ეს საგალობელი აკროსტიქის პრინციპითაა აგებული. არსენის საგალობლები ცხადყოფენ ავტორის მწერლურსა და მჭევრმეტყველურ ნიჭს.

– არსენ ვაჩუხიძე

იხილეთ *არსენ იყალთოელი*

– არსენ იყალთოელი

XI–XII საუკუნეების მღვრანე მოღვაწე სასულიერო პირი, ფილოსოფოსი, მწერალი, ჰიმნოგრაფი, წყაროებში იხსენიება არსენ ვაჩუხიძე. წარმოშობით იყალთოდან ყოფილა. განათლება მიიღო ბიზანტიაში, კონსტანტინოპოლის ე. წ. მანგანის აკადემიაში, შემდეგ შავ მთაზე მოღვაწეობდა, აქვე აქვს დაწვებული მთარგმნელობითი მოღვაწეობა ეფრემ მცირეს ხელმძღვანელობით. არსენ იყალთოელს იყალთოს მონასტერთან დაუარსებია აკადემია და მისი პირველი რექტორიც ყოფილა, საბოლოოდ კი შოი მღვიმის მონასტერში დაქვედრებულა. არსენ იყალთოელმა თარგმნა და ერთ კრებულში „ლოგმატიკონში“ გააერთიანა ბიზანტი-

ის მწერალთა ფილოსოფიურ-თეოლოგიური თხზულებები: ანასტასი სინელის „წინამძღვარი“, იოანე დამასკელის „წყარო ცილნისა“, თეოდორე აბულერას პოლემიკური ეპისტოლენი და სხვა. მან თარგმნა აგრეთვე „დიდი სჯულის კანონი“. აღსანიშნავია, რომ მას ანატოლიის მცოდნედ მოიხსენიებენ. მასვე ეკუთვნის სასულიერო შინაარსის იამბიკოები, დავით აღმაშენებლის ეპიგრაფი „ვინ ნაჭარმაგვეს მეფენი“.

დაკრძალულია იყალთოში, მონასტრის დამაარსებლის, წმიდა ზენონის გვერდით.

მკითხველი ღვაწი

აღმაშენებლის საფლავზე

ვის ნაჭარმაგვეს მეფენი,
თორმეტი პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი
საზღვართა იქით გამესხნეს,
თევზი ამერთა წყალთაგან,
იმერთა წყალსა შთამესხნეს,
აწე ამათსა მოქმელსა,
ხელნი გულზედა დამესხნეს.

– არაქთაშვილი–მხარბრაქი სოფიო –

იხილეთ *ამირახიბი სოფიო*.

– არჩვაძე ზარაბ (1957)

დაიბადა ქუთაისში. დაამთავრა ქუთაისის 30-ე სკოლა, 1980 წელს – ოსუს-ს დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიგერატურის ფაკულტეტი, ამავე წლიდან მუშაობს ქუთაისის პედინსტიტუტში; არის აკაკი წერეთლის სახ. უნივერსიტეტის კლასიკური და რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი. გამოცემული აქვს ლექსების სამი კრებული, ცხრა ჰიმნოგრაფია, დამხმარე სახელმძღვანელოები და ორი ქრესტომათია, ასევე ლექსად დაწერილი გრაგელიები: „ფედრა ანუ სამთა გრაგელია“ და „დეძნა ანუ მუღმივი დეძნა“; ძირითადად თარგმნის ფრანგული, რუსული და გერმანული ენებიდან.

მკარინტ პარნი, ბარათი

თარგმნა ზარაბ არჩვაძემ
...ესეც იცოდე, ჩემო ღამამო,
შუალამისას რომ დაჰკრავს ზარი,
საყვარლის ხელი, ერთგული ხელი,
როს შუქი მკრთალოს მიღეულ მთვარის,
წამოვა ნელნელ, აუჩქარებლად,
შესრიალდება კართან მღვრე მრდილში,
რომ მიწვედს ურდულს, შენ რომ გაგყვევებს
ყიამ დამეში, ჩაძირულს ძილში.
ისიც იცოდე, მიჯნურს ახელებს,



მეფე არჩილ II

სმულს ეჭვიანი ყველა ვუალი, უფრო ახო და ნაზი რომ გახდეს, შენ სამოსს უნდა უთხრა უარი, განს მთივარსო გრფობის ალები, ამის ხალისი, სურვა თუ არი!

— **არჩილი** (არჩილ II, შაჰნავაზ-ხანი) (1647 – 1713)

საქართველოს მეფე, პოეტი, ვახტანგ V-ის ძე. არჩილის მამამ, რომელიც საქართველოს გაერთიანებას ცდილობდა, თავისი 14 წლის შვილი იმერეთში გაამეფა; მალე ოსმალეთის (რომლის ვასალიც იმერეთი იყო) პროტეგისა და ირანის მთავრობის მოთხოვნის გამო, ვახტანგ V-მ არჩილ II ირანში გაგზავნა (1663), სადაც მას მუსულმანობა მიადებინეს, შაჰნავაზ-ხანი უწოდეს და კახეთის მეფედ გამოცხადეს (1664). ამ აქტით ქართლისა და კახეთის სამეფოები ფაქტობრივად გაერთიანდა. არჩილმა, კახეთის ტახტის განმტკიცების მიზნით, 1667 წელს ცოლად შეირთო თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ქეთევანი. მან კახეთის დედაქალაქი გრემიდან თელავში გადაიტანა, განაახლა ეკლესიები, ააშენა მრავალი სამოქალაქო დანიშნულების ნაგებობა, ნაწილობრივ ალაგმა ლეკების თარეში. კახეთის ასეთი მოღონიერებით უკმაყოფილო ირანის შაჰმა მეფის ტახტი თეიმურაზ I-ის შვილიშვილს ერეკლე ბატონიშვილს (ნაზარალი-ხანს) აღუთქვა. არჩილ II-მ 1675 წელს დატოვა კახეთი და იმერეთში გამეფებას შეეცადა. იგი ოთხჯერ ავიდა ტახტზე იმერეთში, მაგრამ ოსმალეთის მხარდაჭერით იმერეთის თავადაზნაურობამ ოთხჯერვე გააძევა. 1680 წელს არჩილ

II-მ ელჩი გაგზავნა რუსეთში და დახმარება ითხოვა, 1682-88 წლებში თვითონ იყო რუსეთში, მაგრამ ვერც ამ გზით მიაღწია მიზანს. 1699 წელს საბოლოოდ გადასახლდა რუსეთში. პეტრე I-მა გულთბილად მიიღო არჩილ II და მისი ოჯახი. სამეფო კარზე განსაკუთრებით დაწინაურდა არჩილ II-ის ძე ალექსანდრე ბატონიშვილი. არჩილ II დასახლდა მოსკოვის მახლობლად, სოფელ ვსესვიატსკოვში (ქართული გამოთქმით „სესენწკაში“). იგი ფაქტობრივად ჩამოსკლდა პოლიტიკურ ცხოვრებას და ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას მიჰყო ხელი. იქვე გარდაიცვალა, დაკრძალულია მოსკოვში, დონის მონასტერში.

მეფე არჩილ II-ის პოეტური მემკვიდრეობა მდიდარი და მრავალფეროვანია. მის უმთავრეს ნაწარმოებში – ვრცელ ისტორიულ პოემაში – „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ („თეიმურაზიანი“) – თამარის ეპოქისა და თეიმურაზ I-ის დროის ფართო ისტორიული პანორამაა წარმოდგენილი. დიდაქტიკური-მორალისტური ხასიათის ნაწარმოებებში („საქართველოს მწიგნობანი“, „ლექსნი ასნი ორმუხლნი“, „ლექსნი ასდაათნი“ და „ლექსნი ასეულნი“). არჩილ II-ს ეკუთვნის, აგრეთვე, „გაბაასება კაცისა და სოფლისა“, მცირე ზომის საგროფილო ლექსთა კრებული „სამიჯნურიანი“, „ანბანთქება“, „ჩარხებერ მბრუნავი ლექსი“, რელიგიური ხასიათის რამდენიმე ლექსი და სხვა. რუსეთში ყოფნისას არჩილ II-მ გალექსა ქართულად „ვისრამიანი“, რუსულადან თარგმნა სერბულ დამუშავებული „ალექსანდრიანი“, მსოფლიოს ისტორია („ქრონოგრაფი“) და რამდენიმე სასულიერო შინაარსის თხზულება.

გარდაიცვალა მოსკოვში, დაკრძალულია დონის მონასტერში.

გაბაასება კაცისა და სოფლისა

(ფრაგმენტები)
 სოფელს ჰმდურავ სიმუხთლესა,
 როს არ მოცყვეს, ჰკიცხავ, მრახავ,
 თუ გაამებს, გაუცინებ,
 გაწყენისოს - სულთქვამ, ახავ,
 მისებრ შენც თუ არ მუხთაღხარ,
 მაშნუ ვინდა, ნულარ ნახავ!
 თორემ სცყეით ორნიე სწორად,
 მსგავსი მსგავსსა განიზრახავ.
 სოფელს კაცი, კაცს სოფელი
 მულამ მრახვენ სიმუხთლესა,
 ერთად მაკვენ, თუ შენც იცყვი,
 არ ამბობენ სიყვესა მრთელსა;



ლალო ასათიანი

ორივე სწორად მონიღომებს
ხან ბნელსა და ხან ნათელსა,
აწ მე ვიგყვი მათ საქმესა,
თქვენ შეიგყოთ უმართლესა.
მათი საქმე მათ იუბნან,
ნუ უღვაჯართ ჩვენ ნურცერთსა,
სოფელმან და კაცმან სიგყვა
თვით მიუგონ ერთმანერთსა;
გაუსინჯოთ, რას იგყვიან
ერთი-ერთმედ, თუ რა ერთსა,
მერმე გაგებოთ სამართლითა,
მაღლი მიეცეთ უფალს, ღმერთსა.

— ასათიანი ლალო (1917 – 1943)

დაიბადა ქუთაისში. 1938 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტ. ფაკულტეტი. პირველი ლექსი („თებერვლის დილა“) გამოაქვეყნა 1936 წელს ქუთაისის გაზეთ „სგალინელში“. 1938 წელს ლალო თბილისში გადავიდა, სადაც მუშაობა დაიწყო გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში; პატრიოტული განწყობილება პოეტის სიცოცხლეში მკაცრი კრიტიკის საგანი გახდა. ლალო ასათიანს ნაციონალისტობა დასწამეს, არაჯანსაღი განწყობილების გავრცელებას უკიყინებდნენ, იდეური თვალსაზრისით უწუნებდნენ პატრიოტულ ლექსებს („სალადობო“, „ურწანისის ყაყაოები“, „ცხრა ძმა ხერხეულიძე“). 1939 წელს ლალო ასათიანი ჯარში გაიწვიეს, მაგრამ ავადმყოფობის გამო თბილისში დააბრუნეს. იგი ტუბერკულოზით იყო დაავადებული, არაერთი თვე გაატარა აბასთუმანში, მაგრამ ვერ განიკურნა. ლალო ასათიანის შემოქმედებაში ასახულია საქართველოს ისტორიის მძაფრი პერიპეტები,

მის პოემებსა („ასპინძა“, „ბასიანის ბრძოლა“) და ლექსებში განუყოფლად ერწყმის თანამედროვეობის ცხოველ განცდას. მის პოემიას განსაკუთრებულ ელფერს სძენს ფრამის სისადავე, სიგვეის მუსიკალობა, ამრის აფორისტული სიმუსტეტიკეალობა და წრფელი არგისტიკა.

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.
საქართველოში

საქართველოში იბადებოდნენ და შემდეგ მუდამ სწუხდნენ ამაზე:
„ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!..
თავს არ მოიკლავს ქართველი, არა, ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს, ერთი იმედით – სიცოცხლე მარად გაგრძელდეს ქვეყნად და განმეორდეს საქართველოში როცა კვდებოდნენ, უფრო და უფრო წუხდნენ ამაზე:
„ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!..
ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვლევს, ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს!
ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოკვდეთ, მაგრამ არც მაშინ ვგოვებთ სიცოცხლეს!
რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს, სიკვდილის ყველა კარი ღარაზეთ და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ გაგზნდით ამ ქვეყანაზე!
* * *

ყველა ხევსური და ყველა სვანი, ქართველი ქალი თვალემაყვავლა, ჩემი თბილისი და ფიროსმანი, არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა! მოკვდა თუ არა, ყველამ აცხონა, ცოცხალი არვინ არ მიიკარა, მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ და ყოველ დღით ვხვდები ნიკალას. ძილგაგეხილი და არეული ჭიქა არაყით გაიხსნის მადას, მერე შეკრთება ვით მივარეული და ორთაჭკალის ღამაზეებს საგავს. ქართული მეცა, ქართული მგარი, მტკვარი მღვრიე და მტკვარი ანკარა... ჩემი თბილისი და ფიროსმანი, არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა!

— ასათიანი მიხეილ (1849 – 1879)

დაიბადა გურჯაანის სოფელ ბაკურციხეში. სწავლობდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში და სემინარიაში. 1874 წელს დაამთ-

ავრა ყაზანის სასულიერო აკადემია. მუშაობდა მასწავლებლად ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. დიდი მონაწილეობა მიიღო ქართველ ხალხოსანთა ჟურნალ „იმედს“ დაარსებაში და მისი პირველი რედაქტორიც უნდა ყოფილიყო, გრაფიკულად რომ არ დადუპლიყო (ბოროტგანმზრახველმა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელშიგაკვეთილის მსვლელობისას მოკლა). 1881 წლიდან ასათიანის თხზულებები იბეჭდებოდა ჟურნალ „იმედში“. მის ლექსებში, მოთხრობებსა და საჟურნალო ფელეტონებში ასახულია ხალხოსანი ახალგაზრდობის მისწრაფებანი და იდეალები, დაბალი სოციალური ფენების უფლებობა, აგრეთვე, ქართველ ინტელიგენციის მისწრაფება ეროვნული ძალების კონსოლიდაციისაკენ („მოკრიკი“, „მგკვრის ბაასი რიონთან“, და სხვა). ავტორია აგრეთვე ავტობიოგრაფიული მოთხრობისა „მე და ონისიმი“.

მუშაობარი (ფრაგმენტები)

თქვენ მუხუბნებით: „ნუ ხარ მაგეთი. გამოიცვალე შენი ცხოვრება, თორემ მოგელის წინ ცუდი საქმე – ვაი-ვაგლახი, უბედურება...
 „მაგეთი თავით, მაგეთი გულით ამ ქვეყანაზედ არ გეცხოვრება: დაიგანჯები, ისე მოკვდები, რომ ვერა ნახო ბედნიერება.
 „ჩვენ ცხოვრებაში არ გამოდგება, რომელსაც მისდევ შენ, სახარება, თუმცა კი ბევრი ნამძღვრია გომნობს რომ მაგაშია ჭეშმარიტება“!..
 – ნუ სწუხართ ჩემთვის, გული იმშვიდეთ, არ მინდა თქვენი მე თანაგრძნობა; თქვენი სიგყვებით და თქვენი რჩევით ჩემი გამოცვლა არ შეიძლება.
 ვერ ვუღალავებ მე ჩემსა ვარსკვლავს, ჩემი სიმტკიცე არ მოიხრება; მინამ ცოცხალ ვარ, ჩემი მიზნისკენ გულდათ არ სვლა არ შეიძლება...
 მე ვაგჩენილვარ ერთი განჯვისთვის,

განჯვითაც მე დღე დამიღამდება, განჯვითა მშობა მე დედა-ჩემმა, განჯვით სიცოცხლე გამითავდება. მაგრამ, იცოდეთ, ამ განჯვანთა ციღან ნაკურთხი საიმონებთა, რომელსაც ყველა ამქვეყნიურ სიგებო არაშიდ შეედარება. რომლის ფასი, რომლისა სიგებო არც ერთ თქვენგანსა არ ეყურება, რისთვისაც, ჩემნი კარგნი მრჩეველნი, ყველა თქვენგანი მე მეტარალება.

– ასათიანი ჯაბა (1945 – 2005)

პოეტი, უკრაინული ენის სპეციალისტი და უკრაინული ლიტერატურის მთარგმნელი.

დაიბადა თბილისში. საშუალო განათლების დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძო ოსუს ფილოლოგიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტიდან გაცვლითი პროგრამით კიევში გაემგზავრა, სადაც სამი წელი ისწავლა და იქვე შეუდგა უკრაინული ლიტერატურის თარგმნას; გამოსცა მისაილო კოციუბინსკის და იური იანოვსკის ნაწარმოებების თარგმანები, თარგმნილი აქვს, აგრეთვე, იაპონელი პოეტის, ტაკამი ძიუნის პოეზია ჯაბა ასათიანი ორი პოეტური კრებულის ავტორია. უკანასკნელი, შედარებით, სრული კრებული, „სიყვარული დარჩება“ 2003 წელს გამოიცა.

მავში

როცა დაღილი თავს ჩამოვლებ დამის ცივ მხარზე,თეთრი ყვავილი აგირდება, ნაწნავს გაიშლის და ჩემს თვალებში არეკლილი თბილისის მეცა დამრჩება,როგორც საჩუქარი უკანასკნელი...
 როცა სიკვდილი, სულწასული, ჩემს სახლს მოაგნებს, შინ არ დავხვდები, შენს ღიმილში გაღაკარგული.

– ასანიძე ამირან (1943 – 2001)


დაიბადა საჩხერეში. თბილისის 62-ე სკოლის



მის მილ ასათიანი



ჯაბა ასათიანი



ამირან ასანიძე

დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ოსმში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1962 წელს გააგზავნეს კიევის უნივერსიტეტში უკრაინული ენის შესასწავლად; მან სხვადასხვა დროს თარგმნა გარას შევჩენკოს, ლესია უკრაინკას, პაბლო ტინიას, მიკოლა ბაჟანის და სხვა უკრაინელი პოეტების ლექსები. ამირან ასანიძის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, თარგმანები ბულგარული, პოლონური, გერმანული, მოლდოვური, აფხაზური, ოსური და სხვა ენების პოეზიიდან.

ტარას შუჩენკო, ანდრეი

თარგმნა ამირან ასანიძემ

როცა მოკვლე, მიზაბრეთ
 მშობელ უკრაინას,
 გრამალებში მიმიჩინეთ საუკუნო ბინა,
 კბოლე როა და სათიბი
 ლურჯ ზღვასავით ღელავს,
 დაეღნიპროს მოძახილი
 იქ მიტკობოდეს სმენას.
 რომ შელებავს მისი ზვირთი
 ზღვის უსაზღვრო მორეცს
 მგრების სისხლით... მაშინ დავითობ
 ჩემს სამყოფელს სწორედ.
 მაშინ ღმერთთან რომ ვილოცო,
 ავმგველები ცამდე,
 მანამდე კი რაა ღმერთი,
 ღმერთი როგორ მწამდეს?!
 დამმარხეთ და ბორკილებიც
 და-ცა-ლეწეთ ბარემ!
 დასცხეთ! – თავისუფლებისთვის
 მგრების სისხლი ღვარეთ!
 რომ იმ ახალ დიდ ოჯახში,
 ფრთაგაშლილებს ყოვლად,
 მიწყივ თბილი, ტკბილი სიტყვით,
 გეთქვათ ჩემი სსოვნაც.

– ა.ს.პანი, ა.ს.პანელი (1891 – 1945)

აკაკი ღარისპანის ძე მარგიანის მსახურობდა სვანეთში, შემდეგ ცხოვრობდა და მუშაობდა თბილისში. ლექსებს ბეჭდავდა

„კოლხიდაში“, „განათლებაში“, „თემში“, „სახალხო გამეითი“ და სხვა და აქვეყნებდა ფსევდონიმებით – ა. სვანი, ა. სვანელი. თარგმნიდა რუს პოეტთა ნაწარმოებებს. წერდა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წერილებს. აკაკი მარგიანს „მვიად სვანს“ უწოდებდნენ თურმე.

სამშობლოს


როს მომესმის შენი კვნესა,
 მკერდს მიდაგავს ცეცხლის ალი,
 და ვით შგოსა გაძარცვეულსა
 მძლავრად მარხვეს ქარიშხალი.
 სად გამგყორცნის, მე არ ვიცი,
 ბედკრულს, მისი გლანქი ძალი,
 ვაპ, რა მწარე არის ჩემთვის
 ეს ცხოვრების ქარიშხალი!
 ოცნების ზღვა როს ბობოქრობს,
 გვირგვინს გიწნავს ქედრა ქნარის,
 მურმუხგ მკერდზე გექარგება
 სხივ-ნათელი ვარსკვლავ მთვარის!..
 მაგრამ ღელვა ზღვის ყუნღება,
 ბნელში ჰქრება ნათლის თვალი...
 და შენც ჩემებრ გსუსხავს, გარხვეს
 უღმობელი ქარიშხალი.

– ანლამაზიშვილი ვლადიმერ (1929)

დაიბადა სიღნაღში. 1958 წელს დამთავრა იაკობ გოგებაშვილის სახ. თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. მისი პირველი საბავშვო წიგნი „ნიკო და ნიკორა“ 1962 წელს გამოცა. ის 20-მდე საბავშვო კრებულის ავტორია.

– აფსანიძე (აბანიძე) შალვა (1894 – 1968)

დაიბადა სოფელ ძუენურში (გყიბული); 1913 წელს დამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, 1917 წელს კი – პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე დაბრუნდა სამშობლოში. იმავე წლიდან იყო „ცისფერყანწულთა“ ლიტერატურული ჯგუფის აქტიური წევრი. პირველი



ვლადიმერ ანლამაზიშვილი



შალვა აფსანიძე



მარიამ ასანაძია

ლექსი „სონეტი ასონანსებით“ გამოაქვეყნა 1917 წელს ქუთაისის გაზეთ „ხალხის მეგობარში“. აღსანიშნავია მისი კრებულები: „ლექსები“ (1949), „ერთგომეული“ (1954), „გაბაფხულის მელოდიები“ (1957), „გაბაფხულის განთიადები“ (1963), კრიტიკული წერილები (1959). არის შემდეგი მონოგრაფიების ავტორი ლიგერატურისა და ხელოვნების ქართული მოღვაწეთა შესახებ: ვერიკო ანჯაფარიძე (1956), სანდრო ახმეტელი (1958), აკაკი სორაია (1962). მან შეადგინა „აფხაზური პოეზიის ანთოლოგია“ (1957), თარგმნა მ. გორკის, დ. ფურმანოვისა და სხვათა ნაწარმოებები.

* * *

ვარლობა იყო, როცა წახვედი,
ზღაზნია ღრუბლებს რომ მიეფარე
და შორს ამღერდი თბილისის მტრედს.
ვარლობა იყო, როცა წახვედი,
მშობლიურ ქართლის გაჰყევი ქარებს...
ახლა მანდ გალხენს ველი სზოვანი,
და ის ყაყაჩო, შენ რომ ჰკრავ ძნებანს.
კაკლებს ჩრდილი ათასწლოვანი.
ახლა მანდ გალხენს ველი სზოვანი,
ის მშვეც, შენს მკერდზე რომ დალუღდება.
როგორ შევნაგრი, ნეგავ იყოღე,
ყვავილს, რომელსაც შენ ახებ ხელსა.
ბულბულს მომლხენსაც კი შეიცოდებ.
როგორ შევნაგრი, ნეგავ იყოღე,
სადაც შენა ხარ, იმ სამთიხესა.
ნუთუ იმიტომ ვარ გაჩენილი,
რომ შენზე გკბილი ოცნება მეყოს,
რემგან შორს ვიყო მარად შთენილი?
ნუთუ იმიტომ ვარ გაჩენილი,
რომ შენი ლანდიც კი არ შემეხოს?

— **აღვაჟნეხელი ღაჟით**


იხილე *ღაჟით აღმაშენებელი*.

— **ახალია მარიკა** (1980)

დაიბადა ბუგდიშში. დაამთავრა სოხუმის უნივერსიტეტი. ლექსების წერა ბავშვობიდანვე დაიწყო. ერთ-ერთი პირველი ლექსი (აფხაზეთზე) გამოაქვეყნა ჟურნალ „იალიქანში“. გამოქვეყნებული აქვს ლექსები ჟურნალ „ცისკარში“, გაზეთებში – „დიოსკურია“ და „ლიგერატურული საქართველო“, თანამედროვე პოეზიის მრავალგომეულში – „მზის ადილი“.

* * *

ვინ თქვა, რომ დრო კურნავს,
ან თუნდაც აყუხებს,
გკვივლებს გაჩენილს, ჩაკირულს ფენებად.



თევზივით გაგებერავთ, უსიგყვოდ, ლაყუჩებს და ვითმენთ ბოლომდე, ვიდრე გათენდება... მოგონილ სილადით გავეღივართ ეკლიან გზებსა და ბილიკებს თითქოს არ ვნებლებით. დაგროვილ გკვივლზე თვალები გვეგყვიან, როცა გავეყუღებით, როცა შევჭერდებით. იქნება გვიანი, როდესაც მივხვდებით – გკვივლი არ მიდის და აღარც ნელდება... ცოგათი ვმშვიდლებით და მერე ვნებდებით... სანამ გათენდება... სანამ გათენდება...

— **ახალღიანი გიორგი** (1887 – 1973)

დაიბადა სოფელ ღერწში (წყალტუბო). 1914 წელს დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტი. მუშაობდა პედაგოგის უნივერსიტეტში ინფორმაციის, ირანისტიკისა და მოგად და ექსპერიმენტული ფონეტიკაში. შედიოდა თბილისის უნივერსიტეტის პირველ პროფესორთა კოლეგიაში; გამოსცა პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები. საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ენათმეცნიერების კვლევა-ძიების საქმეს. გიორგი ახვლედიანმა გამოკვლევა მიუძღვნა ქართულ ენაზე მხატვრული თარგმნის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს. თარგმნიდა და გამოაქვეყნა ძველი ინდურიდან „დასაბამი ნივითა“ (ჰიმნი რიგვედიან), ავესტურიდან „ავესტა“ (17 გათა).

ამპსტის ბაიშპი (გალობანი)

(ფრაგმენტი)

თარგმნა გიორგი ახკმელიანი

1.

ვეღრებად აღვაპურობ ხელებს,
ჰოი მაზდავ!
მსურს გთხოვო უწინარეს,

ჰოი აშავ,
კმავეო ვოჰუმანა და ხვასტაგვის სული!
2.

მზად ვარ გემსახუროთ,
ჰოი მაზღავ და ვოჰუმანავ,
მომანიჭეთ ამას მეშვეობით მეუფება
ორთავ ქვეყნისა –
– ხორციელისა და სულიერის –
მსასოებელთა საკეთილდღეოდ.
3.

ჰოი აშავ, მსურს ახლა გადილოთ შენ,
ვოჰუმანა, მაზღა აჰურა
და ყველა, ვისაც
ეკუთვნის უსასრულო მეუფება;
მოდით შეწვენად ჩემდა,
ოღეს მოგიწოდებთ.
4.

გულს მიძევს ვიბრუნო ადამიანზე
ვოჰუმანასთან ერთად;
ვუწყი მე
წყალობა მაზღასი კეთილისათვის,
და მსურს, ვიდრე ძალმიძს,
ვასწავო კაცს სიმართლის მიგნება.
5


ჰოი აშავ, გიხილავთ განა შენ
და ვოჰუმანას,
უძლიერესი აჰურაის ტახტსა
და მაზღას მხლებელს?
გრძნეული სიგყვით
გვსურს ბოროტი მოეპყნით კეთილად.

– **ახვლედიანი-ხუნდაკი ღარიკ**

(1873 – 1941) (ღარია ქაჯაია)
დაიბადა სოფელ ჭაგანში (სამგრედია). და-
ამთავრა ქუთაისის საქალაქო გიმნაზია. აქტი-
ურად მონაწილეობდა ქართველთა შორის წე-
რა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების
ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში; ეხმარე-
ბოდა ინტელიგენციას მაგერიალურად; 1916
წლიდან თბილისში გოლოვინის პროსპექტზე



ღარიკ
ახვლედიანი



პერლო
ახვლედიანი



ნიკოლოზ
ახვლედიანი



დავით
ახლოური

ჰქონდა გახსნილი „ახალი აფთიაქი“; პირველი
მსოფლიო ომის დროს ეხმარებოდა უფასო მე-
დიკამენტებით დაჭრილებსა და ქვრივ-ობლებს;
მონაწილეობა აქვს მიღებული საბავშვო ჟურ-
ნალ „ნაკადული“-ს დაარსებაში; პირველ ლექ-
სებს ბეჭდავდა ღარია ხუნდაკის ფსევდონიმით.
1903 წელს დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი გაზეთ
„კვალში“; ამის შემდეგ ლექსებს ბეჭდავდა სხ-
ვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში; გამოსცა ლექსე-
ბის კრებული „სევდის ჰანგები“ (1912); გარდა
ლექსებისა წერდა ესკიზებს, საბავშვო მოთ-
ხრობებსა და ლექსებს, პოემებს, წერილებს.

აკაკი შარვაშიძე

სამშობლოს მთელმა მიდამომ,
მთა-გორამ, ბორცვმა გყინა,
გურუა წალკოვში ნაზარდმა
ზამბახმა, ვარდმა, იამა,
ლაჟვარდ ციდანა ციმციმით
ვარსკვლავმა, მზემ და მთვარემა,
ძირს დედამიწამ, გარშემო
ჭალებმა, ხევ-მდინარემა,
მათ საამაყო ძვირფას შვილს
თავ-დახრით გიძღვნა საღამომ,
ერთ-ხმათ ადიდეს ოთხ კუთხივ
შენი უკვლავი კალამი.

– **ახვლედიანი პერლო** (1933 – 2012)

დაიბადა თბილისში. დაამთავრა თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი 1957 წელს და უმაღ-
ლესი სასცენარო კურსები მოსკოვში 1964 წელს.
მუშაობდა კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგა-
დოებაში ინსპექტორად (1959-1960), საქართველოს
ტელე-რადიო კომიტეტში მხატვრული ტელე-
ფილმების უფროს რედაქტორად (1967-1968), იყო
სტუდია „ქართულ ფილმთან“ არსებული მწერ-
ალთა შემოქმედებითი გაერთიანების წევრი (1971-
1972), სატელევიზიო ფილმების სტუდიის უფროსი
რედაქტორი (1979-1987), თეატრალური ინსტიტუ-
ტის სასცენო ჯგუფის პედაგოგ-ხელმძღვანელი
(1982-1987, 1995-1999). მისი ნაწარმოებები თარგმ-

ნილია და გამოქვეყნებულია რუსულ, სომხურ, ჩეხურ, გერმანულ, უნგრულ და არაბულ ენებზე. არის ათეულობით ფილმის სცენარის ავტორი.

საღამო

როგორ დამალა ხეციალმა,
ფიქრმა, წუხილმა.
როგორ დამალა ყველა სურვილმა.
ვღვავარ და ვხედავ.
როგორ მიდის ნისლში წარსული
ეს დღე მას გაჰყვა
(რა უბრალოდ მიდიან დღენი...)
წავიხოქები მე ჩემს წინაშე:
რას მოველოდი ამა სოფლად,
რას მოველოდი?!
ნუთუ ეს იყო ყველაფერი,
ნუთუ ეს იყო?!
ნუთუ ამისთვის დავიბადა,
ნუთუ ამისთვის?!
ვიდგე და ვჭვრეტდე, როგორ მიდის
ნისლში წარსული?
ეს დღე გავიდა...

— ახვალაიანი სილვანე (1919 – 2003)

პირველი ლექსი 1939 წელს გამოაქვეყნა გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისში“, იმავე წელს, ქუთაისის პედინსტიტუტში სწავლისას გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, რომლის დასრულების შემდეგ დასახლდა რუსთავში და მუშაობდა გაზეთ „სოციალისტური რუსთავის“ რედაქტორად. გამოსცა კრებულები: „ქალაქი ნაქალაქარზე“, „ლექსები“, „ომგადახდის დღეები“.

* * *

შენი სახელი სულში ჩავიწან
და ახლა ვიმხელ გულით ალალით:
შენ გაჩუქებდი მთელ დედამიწას,
მაგრამ ვაი, რომ ჩემი არ არის.
არ ვდარდობ, ვინ ვის მიუაღერსა,
მხოლოდ შენა ხარ ჩემი ვარამი,
შენ გაჩუქებდი მშვესაც, მთვარესაც,
მაგრამ ვაი, რომ ჩემი არ არის.
ნუ მიწყენ ასე ანაზღად ნათქვამს,
ყველა ლეგენდას რომ მირჩევნია,
ნუ მეტყვი, ამ გულს გაჩუქებ, რადგან
ნამდვილად ვიცი, რომ ის ჩემია.

— ახლოური ღაიით (1975)

დაიბადა სოფელ მდელაანში (ახალგორი). დაამთავრა ბალაანის საშუალო სკოლა და ცნინავლის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-

ფილოლოგიის ფაკულტეტი ქალაქ გორში. 1997 წელს სწავლა გააგრძელა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმნობრივ ასპირანტურაში, საქართველოს ისტორიის სპეციალობით. 2018 წელს აირჩიეს საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალისა და ახალგორის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ. ავტორია 24 წიგნის, მათ შორის ისტორიული მონოგრაფიების, რომელიც ქსნის ხეობის ისტორიის საკითხებს ეძღვნება. სხვადასხვა დროს რედაქტორობდა ჟურნალ-გაზეთებს: „ყაყაჩო“, „ჩვენი უნივერსიტეტი“, „მშვილობა“, „უფლისციხე“, „ლიტერატურული ქართლი“... გამოსცემს ლიტერატურულ ჟურნალს „კარდუ“. მისი რედაქტორობით გამოიცა თანამედროვე ქართველი ავტორების მრავალტომეული „მზის არილი“.

* * *

ქალი ვაზია, უნდა ეფერო,
უნდა ჩაიკრა გულში და გათბე...
მშით დაფერილი მწიფე მგევანი
უნდა დაწურო მერე და დათვრე...
ქალი ვაზია, სხეული მდედრის
უნდა აქციო ყურმის მარცვლებად.
უნდა დაცალო ქალი ბოლომდე
და კვლავ შეავსო გამოსაცვლელად...

— ახნაზაროვი არგენ (1866 - 1942)

ფსევდონიმები: ჩიორა, ორ-ანი, მანოელიძე, კენკი, ღუშიკო, ალფა.

დაიბადა თბილისში. სწავლობდა ოდესის უნივერსიტეტში, რომელიც არ დაუშთავრებია, დათხოვნილ იქნა 1888 წელს, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო. 1885 წლიდან დაიწყო თანამშრომლობა ჟურნალ „თეატრში“, შემდეგ – გაზეთ „ივერიაში“. ამავე პერიოდიდან სისგემატურად იბეჭდებოდა მისი ლექსები სხვადასხვა გაზეთში, 1912 წელს კი გამოიცა მისი ლექსების კრებული, გარდა ამისა, თარგმნილი და გამოცემული აქვს პუშკინისა და ერშოვის პოეტური ნაწარმოებები. მუშაობდა განათლების სახალხო კომისარიატში იურისტ-კონსულტანტად.

— ახოზაჲ ღონანთი (1919 - 1987)

დაიბადა სოფელ მთისძირში (ვაზი); 1938 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, 1955 წელს კი – ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. 1941–1945 წლებში იყო ვანის რაიონული გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი, 1952–1954 წლებში – მთავალიგის ქუთაისის განყოფილების თანამშრომელი.

იყო საავტორობილო ქარხნის მრავალგვარიანი ქარხნის რედაქტორი, წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების ახალგაზრდა მწერალთა სექციას. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1938 წლიდან. ლექსების პირველი წიგნი „ჩემი მისამართი“ გამოაქვეყნა 1957 წელს. გამოცემული აქვს კრებულები: „გულით დანახული ქვეყანა“ (1967), „სუროსფერი ნაგერფალი“ (1973), „შემოდგომაზე ქარი ფოთოლს სულ არ სჭირდება“ (1987), „უკანასკნელი ბარათი“, (1989). განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა ებრაელ ლიტერატორ ბორის გაპონოვიანს, დიდი წვლილი შეიტანა გაპონოვის მიერ ებრაულ ენაზე რუსთაველის ეფესისგყიონის თარგმანსა და გამოქვეყნებაში. დაკრძალულია ქუთაისის მწვანეყვითლას პანთეონში.

* * *

მე შენ სიყვარულს აგისხნი, მაგრამ
სულერთი არის, ვერ შემეყვარებ
და ეს მიხვედრა იმგვარად მგანჯავს,
როგორც ღუმელი ძველ ნაცისარებს.
კვლავინდებურად რომ ვიწვი, მენდე,
ეჭვის ეშმაკი რქით მეჭვილებს;
რაგომ ვერ შევძელ, ვერ მიგახვედრე,
სიყვარულს ახსნა რომ არ სჭირდება...
ერთხელაც სადმე შეგხვდები გზაში,
გეტყვი: – არა ვარ სიგყვით ღარიბი! –
და ეს მოხდება, ძვირფასო, მაშინ,
როდესაც უკვე არ მეყვარები.

– ახოზაპე პანტანე (1949)

პოეტი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი. დაიბადა ქუთაისში. 1978 წელს დაამთავრა სპი, სწავლობდა ასევე ივანე ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტში - ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულეებით. იყო საინჟინრო განყოფილებაში „პროგრესის“ კორესპონდენტი. 1991 წლიდან მუშაობს ჟურნალ „განთიადში“; ავტორია პოეტური კრებულებისა: „რეალობის პირისპირ“ (1996), „ასი ლექსი

პლუსი“ (2018). არის რედაქტორ-გამომცემელი ერთდროული სალიტერატურო-შემეცნებითი ჟურნალებისა: „გალაქიონი“ (1991) და „ბორის გაპონოვი“ (2014), ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალისა „მთაწმინდის პანთეონი“ (1999, 2008, 2018). ბოლო გამოცემა ეძღვნება მთაწმინდის პანთეონის დაარსების 90 წლისთავს.

მიქაელ... არჩილ ჟორელიანს

შენში დაოკდა გზება დიადი,
შენში ბუღულსაც კენესა ენება,
სიყვარულს მშეს აქრობს წყვილიადი,
მაინც მოელი მშით გათენებას.
კრძალვით ივინებ ვანვლად საათიებს,
აღარ გოცნებს წამ-წუთის ქროლა,
შენ ეამთა როკვა ცნცხლად აგანთიებს,
ცეხსი ვჭავს დროს და
ფიფქისფრად ბოლავს.
შეუხვეველი სიცოცხლის ამ წესს
ულელში შებმულ ბებერ ხარს ჰგავხარ,
წუთისოფელი ბეჭებზე გაწვეს
და ჩვეს ქელაქში იმედად დახვალ.
შენში დაოკდა სული დიადი,
შენში ბუღულსაც კენესა ენება,
სიყვარულს მშე ჩაქრა წყვილიადი...
კვლავ ელოდები მშით გათენებას.
შენზე ფიქრებით გავჭრილვარ ველად,
აღარც კი მახსოვს, ვაგიცან როდის...
შენერდიო!.. და გზა მიცით ყველამ:
არჩილი მოდის! არჩილი მოდის!..

– ახოზაპე ლადო (1885 – 1941)

ვლადიმერ ახოზაპე; ფსევდონიმები: ისმაილის ბიჭი, სალაპური, ქონდრის კაცი.

დაიბადა თბილისში; ლექსებს ბეჭდავდა ჟურნალ-გაზეთებში: „მოამბე“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „ივერია“, „საქართველოს კალენდარი“ 1913 წელს გამოიცა მისი ლექსების პირველი წიგნი, რომელიც ცნებურად აკრძალა, ავტორი კი დააპატიმრეს. 1918 წელს გამოცემულია „ამქარმა“ იოსებ გრიშაშვილის რედაქტორობით



ლომენტი ახოზაპე



პანტანე ახოზაპე



ბაგლარ ახოზაპე

და წინასიგყვაობით ეს კრებული კვლავ გამოს-
ცა. 1918 წელს გამოიცა მისი ლექსების კრებუ-
ლი – „ცხოვრების გვალვები“.

NOCTURNE (ფრაგმენტები)

როდესაც ცაზე მოსცურავს ნელა
ღამის გუშავი ბადრი მთოვარე
და შეუშოთველს განიცდის ძილსა
მით მოხიბლული არე და მარე.
როს ველად დაჰქრის ცელქი ნიავი,
ნანინას უმღერს მსოფლიოს გკბილსა
და წასურჩულებს ცბიერად ყურში
მომხიბლავს ზღაპარს ადამის შვილსა;
მე მაშინაც ვჭვრეტ უკვდავ ბუნების
შემოქმედების განუწყვეტლობას
და მის გარეგნულ უძრაობაში
კვლავ ახალ ძალთა შთანთქმუნობას.
და, იმავე დროს გონების თვალთ
განვსჭვრეტ შორეულს რა მომავალსა,
წამს გამიგაცებს იმედი გკბილი
და სულ სხვა ჰანგზე ვეკლერებ ჩანგსა.
დაე, დაინგრეს, დაიმზოს ერთად,
რაც ადამიანს გარს ახვევია...
დე, დაჰკრას მესმა, მიღუწ-მოღუწოს,
რაც რომ დასამზობ დასანგრევია...
გავერანებულს ცხოვრების ველზე
კვლავ განაღდება ცეცხლი დიადი
და ნანგრევებზე დროშას აღმართავს
ახალ ცხოვრების მუნ განთიადი.

— ახოსიარული გვლარა (1880 – 1921)

ნამღვლი გვარი – ადაიანი, ფსევდონიმები:
ახპაგლეოვი, ახპაგლაშვილი, გვრიტი.

დაიბადა თელავში. იყო „ქართველ გამომცე-
მელთა ამხანაგობის“ სგამბის ასოთამწყობი,
ქართული რევოლუციამღვლი თეატრის მოკ-
არნახე, სუფლიორი. გამომცემული აქვს წიგნები:
„ლექსები“ (1898), „ჩემი ნანინა“, „ლექსნი ბე-
გლარასი“ (1898), „ჩემი სიმღერა“ (1912), „ცხოვრე-
ბის სიმღერები“ (1915), „არბრუმის აღება“ (1916).
მასვე ეკუთვნის პოემები: „სლოლომონ გმირი“
(1899), „შვილის მკვლელობა“ (1900), „შანგაყისგე-
ბი და გეურქაღა“ (1907), დრამატული პოემა „მშ-
ვენება და სიყვარული“ (1911). თარგმნა მაქსიმ
გორკის „ფსკერზე“ სათაურით – „ნაძირალნი“
(1907), ფრიდრიხ შილერის „ნამღვლი მეგობრე-
ბი“. 1904 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნდა ბეგ-
ლარ ახოსიარელის ლექსი „კ.ლს“ (ლადო კეცხ-
ოველს), ამის გამო ცენზურამ მისი ნაწარმოებუ-
ბის გამოქვეყნება აკრძალა.



ჯჰაალ აქიაშვილი

— აქიაშვილი ჯჰაალ (1944 – 2013)

დაიბადა დაბა სენაკში. 1967 წელს დაამთავრა
თსუ-ს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის
ირანისტიკის განყოფილება; პირველი ლექსები
1961-62 წლებში გამოაქვეყნა. 1974-1990 წლებში
მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირთან
არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერ-
ატურული ურთიერთკავშირების მთავარ სარედაქ-
ციო კოლეგიაში უფროს სამეცნიერო რედაქტო-
რად. 1979 წელს გამოიცა მის მიერ თარგმნილი
„შუა საუკუნეების ებრაული პოეზია“. შემდგომ
წლებში მან თარგმნა მსოფლიო კლასიკური პოე-
ზიის ნიმუშები: ბიბლიური ფსალმუნები, ანდალეუ-
სიელი ებრაელი პოეტების ლექსები, ძველბერძნუ-
ლი და სპარსული პოეზიის ნიმუშები, შექსპირის,
ჩიკამაცუს, გირსო ლე მოლინას, კარლო გოცის დრამატული
პოემები, დანტეს, პეტრარკას, მიქ-
ელანჯელოს, რილკეს სონეტები, ვლადიმერ მაიაკო-
ვისკის, ბორის პასტერნაკის და სხვათა ლექსები.
კოგე მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ
თეატრში წარმატებით დაიდგა მის მიერ ნათარგ-
მნი კარლო გოცის პოემა-ზღაპარი „ციფერი უკუ-
ნეთი“, იაპონელი დრამატურგის მონძაემონ ჩიკა-
მაცუს დრამატული პოემა „შეყვარებულითა თვით-
მკვლელობა კუნძულის ზეციურ ბაგზე“. ჯჰაალ
აქიაშვილმა ქართველთა და ებრაელთა ურთიერ-
თობას უძღვნა ისტორიული ესე „გამოდვიძე ქნა-
რო!“ – პიესა-მონოლოგი, რომელიც კოგე მას-
არაძემ დადგა ერთი მსახიობის თეატრში. მას,
როგორც პოეტს, აქვს ბევრი საკუთარი ლექსიც და
ცალკე წიგნად გამოცემული „სონეტები“.

დაკრძალულია ისრაელში.

ჯამალ აქიანობილის თარგმანები:

შეშველ კანაზილი

იოსებისადმი (ფრაგმენტი)

მალღი აღმთქვამს, დამბადებულ,
 ამ უწყველ წყალობისათვის...
 ცის დასავალითან მოდგა დაისი,
 კვლავ აღმოენთო
 საღამოს უგვი მშვენება...
 ხმა მესიგყვება აღონაისი
 თუ ანგელოსი მესიმღერება?
 - სები, სადა ხარ? - როკვენ სეფენი,
 კვლავ ამღერდება ჩემი ოცნება,
 მშით შეივება შესახებელი,
 ცა - ვარსკვლავებით შეისოსნება...
 მე კი შენს ბილიკს დავემგზავრები,
 გზა განმბიანე, ნათლის ნაკალო,
 რომ გამარჯვების საგალობელი
 ცის დარბაზებში ამოგლადლო.
 - მტერმან ვერაფერი მოიმეჩინაო,
 მძლეობს კიპარისის ღერო,
 ფრთიუ ნათლისაო, ფრთიუ ნათლისაო,
 შარავანდისაო ჩემო.
 * * *

აჰა, გრელს ვუხმე ჩემი კარვიდან,
 ხრმლით მოვუნიშნე ცათა შორეთი,
 ქვე განვუფინე მზე და მთოვარე,
 ფრთე დავემძიმე ეპისგოლეითი
 და ღრუბლებისკენ ავაფრთოვანე...
 გარნა ფიქრი ჩნდა, აღსდგა ღრუბელი,
 კვალ აღუღუნდა ხელში დადარი,
 და საღმობათა ნაფეხურებზე
 ჩნდნენ მესიგყვენი გულისთქმათანი.
 ეჰა, სად მიფრენ ფრთიუ გრელისაჲ!
 სად დაეშვები, რომელ მხარეში,
 გზა შენეული საით დახდება:
 მღვა გაგეგება საგახგრევიანოდ,
 თუ კაკანათი დავეგახგება?...
 ყრულ მილივილეებს ქარში ქედანი,
 ცად განისხნება ბნელ თაღები,
 ძალს მომაგებენ ძალნი მძლეითანი
 და საკრებულოს შევემრახები:
 - ასრე უენომ ვისთან იენოს,
 გრელმან ვით შესხლოს თავის გერება:
 ბაზი დაავდებს საბაზიეროს,
 ან ბაზიერი დაემტერება...
 ვისმე სხვა გრელი... ისიუ ვაფრინე...
 ფრთიუ, აშმიდე, აშამიანი,
 ხელთამპყრობელი, ხელი გამომდე!

ხამს დამვიწყოს ღღემან ღღესამ,
 რაც შევიჭირვე მოაქამომდე...
 - გასწი, გაფრინდი, ჩემო უსგარო,
 ჩემო კუმგო და ჩემო უმგარო,
 რომ შენაარის საუფლოებში
 ამამგვეო და ამამგვეთარო.
 გრედო, წარუბეს ქროლვას ფიქრისას!..
 ცის საკრებულოს შეაგყობინე,
 რა სასობით ვნობლი აქამდე
 და ღვთაებრივი ენამგობით
 აამგვერე და ალაქარდე...
 და, როცა გზებზე გასრულდება შენი თარეში, -
 ბანს გარდაეველე იოსებისას,
 გაეხმე ჩემს ყრმას და ეაბებრე,
 რომ განთიადის სინეგარეში
 საუწყებელი ეურწყოს ასრე:
 „ - შვილო, განვიგდე მძიმე უღელი,
 სახარებელი უნდა გახარო:
 გუნდრუკს გაემევენ მეგუნდრუკენი,
 ნავარდალო და ნამბაზახარო!
 საყუღარს ჩვენსას მშემან მოხედა,
 ღზინი მოვქარგე ბედის ქარგამე
 და საბობილი მეამბობეთა
 მოვიბობი და მოვიდარბამე:
 კვალად აღემართე მკლავი ნაცადი,
 კვლავ გუღმაგარმან კამი ვიგულე,
 კაცი კაცს ვგყორცნე, კაცად-კაცადი
 ხრმლით ბედაურზე ვამანდიკურე...
 „სისხლი სისხლის წილ!“ - რეკდა მთიები,
 თვალში ჩამიდგა უცხო სიაღე,
 ბმეს შეგუსართე გადაბობიელი,
 ბმე - ქარიშხალში ავაბობრიაღე.

შრანწმსკო პეტრარკა, სონეტი

მოვა ჯამი და გაგვიძახებს ბინდი ვრცეული
 და ჩვენი ყოფა - მისი ხაგი, მისი ფერწერა
 არარაობის სათვალავში ჩაიძერწება
 და გაცუდება ყველა ნივთი და განძეული.
 და მადის, მიდის, მიიწვევა ჩემი სხეული,
 ხოლო თრობა და სიყვარული ოქროს ღერწებად
 შემრდია სულს და ღამეს მისდევს და იღვევება
 ღრო - წარმავლობის მოციქულად გადაქცეული.
 მადის ცხოვრება, მიიქარის, მაგრამ იმაე ღროს
 ვევე, ხელოვნებამ აღსასრული ვადამივალის,
 მხოლოდ სულია უსასრულოდ მოასპარეზე
 და ღრო, რომელსაც იმორჩილებს მზაგვრის ვონება:
 ხან არენამე წარმოჩნდება გრძნობის გარეშე,
 ხან ყოველივეს მგრძნობილობით ეპაგრონება...

— **ბააზოვი გიგეა** (1904 – 1938)

დაიბადა ქალაქ ონში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის იურიდიული განყოფილება 1926 წელს.

ერთხანს აღვოკატად მუშაობდა, შემდეგ იყო ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციის პ/მგ. მდივანი. 1918 წელს ქუთაისის გაზეთ „ებრაელის ხმაში“ გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსები. 1922 წლიდან თბილისის ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა მისი ლექსები, წერილები და თარგმანები. 1924-1925 ბააზოვის ინიციატივით დაარსდა ქართველ ებრაელთა თვითმოქმედი დრამატული დასი „კადიმა“. მისი პირველი დრამატული ნაწარმოები იყო ალეგორიულ-სიმბოლური ხასიათის დრამა „დიღლეამარი“. ერთ-სულოვანი აღიარება მოუტანა ბააზოვს ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრების ამსახველმა პოემამ „მუნჯები ალაპარაკდნენ“ (1931). ბააზოვის პროზაული ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია მოთხრობები „შემარის უკანასკნელი სიტყვა“ და „გელათის ქუჩის დასასრული“ (ორივე 1931), გრილოგიალ ჩაფიქრებული რომანი „ფეთხაინი“ (1934, I ნაწილი რუსულად - 1936) და სხვა.

იუდეველი

თეთრ-ცისფერ ცაბე გაფრენა მინდა,
იქ სიცოცხლე და ცრემლის ღვარია,
აღამიანმა ხმა გაიკმინდა,
იგი დამუნჯდა და საზღვარია.
სიგყვა ცოცხალი მალე ნელდება.
სიგყვა ნაელვი დარჩა ისეთი,
ხელის განძრევა გაუძენდება,
ამოივსება მთლად სანისლეთი.
უცხოა მისთვის თავის შექება,
გაირინდება ვით გყის ნაფოტი,
მაგრამ სწვევია მას აფეთქება,
შემდეგ წამება და ეშაფოტი.
მთელი მსოფლიო სურს გააბუროს
გვინის წამებით და მიფერებით,
ამ იუდეელს ესერიან უროს,
რომ შეიმოსოს ათას ფერებით.
მაგრამ სიკაყე მისი ხვედრია
და სიამაყე დაიკონცნება,
ბევრი სიძნელე მას შეხვედრია
და შეუნახავს თეთრი ოცნება.

— **ბაბუაქა ივანე**

იხილე დაისლერი ვანლერ.

— **ბაბრატიონ-ბრუზინსკი პებრა** (1920 – 1984)


1941 წელს დაამთავრა ოსსუს ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1933 წლიდან დაიწყო ლიგერატურული მოღვაწეობა; 1945 წელს დააპატიმრეს ანგისაბჭოთა ლექსებისათვის; ავტორია არაერთი მუსიკალური კომედიის ლიბრეტოც; მის ლექსებზეა დაწერილი გიორგი ცაბაძის „ჰიმნი სიყვარულს“, „მომღერე რამე“, „საღაც ვინდა, იქ ილოცე“, ბიძინა კვერნაძის „გაზაფხულდა“; ოთარ თევზაძის „ობელისკები“; აღსანიშნავია რევამ ლაღიძის „სიმღერა თბილისზე“, რომელიც თბილისის 1500 წლისთავისათვის დაიწერა; ასევე მის ლექსებზე დაწერა სიმღერები ცნობილი მხაგვრული ფილმებისთვის: „კეთილი აღამიანები“, „ბაში-აჩუკი“, „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“, „აბეზარა“, „მხიარული რომანი“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „განგაში“, „მომინო“. 2009 წელს გამოიცა მისი ლექსები, პოემები, მინიატურები, სასიმღერო ლექსები, ნათარგმნი ლექსები. დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში.

* * *

როგორ მიყვარდი... უსიტყვოდ მგოვებ,
...უსიტყვოდ მგოვებ ბედის ამარა,
მე უშენობა რომ არ შემეძლო,
შენ სწორედ ანან გავათამამა.
რაღა ვქნა თუკი ისეე მანხიხარ,
ისეე თუ მინდა შენი დანახვა,
შენი სიტყვები... „ო რა კარგი ხარ...“
ახლა საღა ხარ, ახლა საღა ხარ?...
...კარავი... კონცა... ალერსი... სითბო,
თითების სითბო, შენი თითების,
ო, ის აპრილი... იმ აპრილს თითქოს
კიდევ გაირღები... კიდევ გაირღები...
.....რისთვის ვიხსენებ იმავე გრძობას,



**გიორგი
ბააზოვი**



**პებრა
ბაბრატიონი**

რომ შემაყარა შენმა დალაღმა,
და სიყვარულმა კი არა მხოლოდ,
შენ გაზაფხულმაც გაგათამაშა.

– **ბაგრატონი გიორგი** (1778 – 1807)

პოეტი. იმერეთის მეფის სოლომონ პირველის შვილიშვილი. სამეფო დინასტიის წარმომადგენელთა ურთიერთ შუღლის გამო, სოლომონ მეორემ სხვათა შესმენით 1797 წ. გიორგი ბაგრატიონი დააგყვევა. ციხიდან გაპარვის შემდეგ 1798 წ. ხელახლა დააგყვევს. 1806 წ. გ. ბაგრატიონი რუს ხელისუფალთა მხარდაჭერით კვლავ გაიპარა ციხიდან და 1807 წ. გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც იმავე წლის 21 ნოემბერს გარდაიცვალა. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის მონასტრის სასაფლაოზე. გ. ბაგრატიონი ავგორია საგრფიალო რომანტიკული პოემისა „ხუმარდიანი“ ანუ „სამთა მეფის ძეთა ისტორია“. მასში გადმოცემულია ჭაბუკ ხუმარდის (სპარს. ხუბ – კარგი, მარდ – კაცი) სასიყვარულო თავგადასავალი, რომელიც ფაქტობრივად ავგორის თავგადასავალია. ნაწარმოებში გადმოსცემს პოეტის ენებათაღლევის დაკარგული სიყვარულის გამო. თვალსაჩინოა რუსთაველის გავლენა. ასევე ავგობიოგრაფიულია გ. ბაგრატიონის თხზულება „შემთხვევანი იმერთა მეფის სოლომონის ძის ძისა გიორგი ალექსანდრესი“, რომელშიც გაშუქებულია ავგორის ცხოვრების რამდენიმე მომენტი. გ. ბაგრატიონის ჰქონდა ლირიკული ლექსებიც. მათი ერთი ნაილი გამოხატავს პოეტის მწვავე განცდებს თავისი ხვედრის გამო. ლექსების მეორე ნაწილი სულიერი სიყვარულის თემას ეძღვნება. გ. ბაგრატიონი განიცდის ბუციკის დიდ გავლენას.

– **ბაგრატონი გრიგოლ** (1789 – 1830)

იოანე ბაგონიშვილის (ბაგრატიონის) ძე. ერეკლე II-ის შვილითაშვილი, გიორგი XII-ის შვილიშვილი. მონაწილეობდა კახეთის 1812 წლის აჯანყებაში. აჯანყების პერიოდში გამოაცხადეს საქართველოს მეფედ გრიგოლ I-ის სახელწოდებ-


ით; მას, როგორც მეფეს, მოიხსენიებდნენ ეკლესიებში. მეფის მოვალეობას ასრულებდა 1812 წლის 20 თებერვლიდან 6 მარტამდე. გადაასახლეს რუსეთში და ერთხანს პატიმრად ჰყავდათ პეტროპავლესკის ციხეში. გადასახლებაში დაწერილი მისი ლექსები სამშობლოდან გადახვეწილი კაცის გულისკვივლს გამოხატავს. იგი პეტერბურგის ქართული კოლონიის თვალსაჩინო წევრი გახდა. მან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების სისტემატური შეკრება; დაახლოებით 1819 წელს შედგინა „ანთოლოგია“, რომელშიც შეიტანა ბუციკის, საიათნოვას, მჭვჭაბუკ ორბელიანის, ვლახა მწიითიშვილისა და სხვათა ლექსები, აგრეთვე მცირე ზომის ფოლკლორული ნაწარმოებები.

– **ბაგრატონი დავით** გიორგის ძე (დავით ბაგონიშვილი) (1769 – 1819)

ერეკლე II-ის შვილიშვილი და გიორგი XII-ის ვაჟი, ქართლ-კახეთის გახგის მემკვიდრე, ქართლ-კახეთის სამეფოს გამგებელი 1800-1801 წლებში და რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი დავით ბაგრატიონი 1767 წლის 1 ივლისს დაიბადა თბილისში. 1787-89 და 1795-1798 წლებში სწავლობდა და მსახურობდა რუსეთში. 1789 წელს მონაწილეობდა ყარსთან ბრძოლაში. 1798 წელს დავითმა, ძმასთან, იოანე ბაგონიშვილიან ერთად აღწერა კახეთი და სომხეთი. 1800 წელს, მამის გიორგი XII გარდაცვალების შემდეგ დავითმა თავი გახგის მემკვიდრედ გამოაცხადა, მაგრამ გახგის სხვა პრედენციები არ აღიარებდნენ მის მმართველობას. 1801 წელს რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფოში ბაგრატიონების მმართველობა გაუქმდა. 1803 წლის 23 თებერვალს ოჯახის სხვა წევრებთან ერთად იძულებითი პეტერბურგში გადასახლეს. რუსეთში იგი ძირითადად მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდა. ქართულად თარგმნა მონგესკის „კანონთა სული“, რომელსაც დაურთო საკუთარი კომენტარები. დავით ბაგონიშვილის მთავარ მხ-



თეკლე
ბაგრატიონი



თეიმურაზ
ბაგრატიონი



თეკლე
ბაგრატიონი



მირიან
ბაგრატიონი

აგვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს პაგარა რომანი „ახალი შიხი“, რომელსაც ვოლგერის, რუსოს და გოეთეს მეგავლენა ეგყობა და საყვარლებს შორის მიწერ-მოწერის ფორმითაა შედგენილი. წერდა ლექსებსაც (ელეგიურს, საგრეფილოს, საგირულს). სულხან-საბა ორბელიანის „სიგყვის კონა“ შეავსო ახალი მასალით – დაუმატა სიგყვები რუსული, სომხური და თურქული განმარტებებით. მიიწვალა 1819 წლის 13 მაისს. დასაფლავებულია პეგერბურგია აღ.ნეველის სასაფლაოზე.

ღუბაიძეი*

რა შევიქენ სოფლისაგან
 ესრეთ მწარედ განაწირი,
 ამის გამო შესაწყალი
 მოთქმით სვესა ჩემსა ვსგირი.
 მთვარეს ბაკი გარს მოველო,
 ნისლითა შუა ირისებრი,
 ღრულის ნაცვლად მორთულობით
 ბნელსა დაეფარა პირი.
 მას მივანდევი თავი ჩემი,
 მით აღმეთქვა ფარვა ჩემი,
 ნაცვლად კეთილშემთხვევისა,
 მან შემიქმნა სვედა ხშირი.
 ამაოა სიყვარული,
 როს არ ექმნეს თანხმობითა,
 ჩრდილის დევნით, ქარის პერობით
 ყარის მთელება ჭირი.

*ღუბეითი (სპარს.) – ორი (წყვილი) ბეითი

– ბაბრატიონი ღივიჭრი (1746 – 1826)

ღმიგრი გიორგის ძე ბაგრატიონი.
 პოეტი, მთარგმნელი. ბაგრატიონთა ქართლის შტოს შთამომავალი. 1764 წელს მონაწილეობდა ერეკლე მეორის საწინააღმდეგო შეთქმულებაში, რის გამოც მამულები ჩამოართვეს და საქართველოდან გააძევეს. ერთხანს ცხოვრობდა ყიზლარში, 1767 წელს კი გადაბარგდა მოსკოვში და შევიდა რუსეთის სამხედრო სამსახურში. მოგერითი ცნობით, მონაწილეობდა რუსეთის 1812 წლის სამამულო ომში. მას ეკუთვნის თეიმურაზ I-ის თხზულების მიბაძვით დაწერილი „წამება ქეთევან დედოფლისა“ (დაიბეჭდა პეგერბურგში, 1819 წელს, ძველი ქართულ ლიგერატურაში ბაგრატიონი პირველი პოეტი, რომლის ნაწარმოები ავტორის სიცოცხლეშივე გამოქვეყნდა), პროზული თხზულება „ღამის აღერსი“, ლექსები „ჩემო მთვარეო“, „ნანა“, „სულის ყვაილი“; გალექსილი „შესაქმე“ და სხვა. პოეტი თავის

თხზულებები გააერთიანა კრებულში „ღმიგრიანი“. მან წარმატებით განაგრძო დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ბესიკისა და სხვა ცნობილი პოეტების მიერ დამკვიდრებული ლიგერატურული გრადიციები და ქართული ლექსის რიგმულ-ვერსიფიკაციული სამყარო ახალი პოეტური ფორმებითა და მუსიკალური ინტონაციებით გაამდიდრა. ღმიგრი ბაგრატიონი ქართული ანდაზების პირველი შემკრებია. რუსულიდან თარგმნა სამოელ რაბინის „ოქროსი ანაქსი“ და „ისგორია დაწყებისა განხეთქილებისა შორის ბერძენთა და რომაელთა გამოსცლისათვის სულისა წმინდისა“.

სულის ყვაილი

სულის ყვაილო, გულისა ვარლო,
 შევების წალკოგო მოსახავარლო.
 შენგან მომეცა თვალთა ჩენანი,
 დამძიმებულთა ყურთა სმენანი.
 გავამუსიკე მისთვის ენანი,
 აღარ დავსწყვიტო სიგყვის დენანი.
 ამაღ გეტრფობი, ვებულბულები,
 ვარდი ხარ, ბუკეთა დამალულები.
 ოდეს რა გნახავ აკოკებულსა,
 ბაგით გავფუზენი, ფერად ქებულსა.
 ვიყნოსვი სუნსა სუნენებულსა,
 არომბაგისა აღმაგებულსა.\

– ბაბრატიონი თიმიურაზ

(თეიმურაზ ბაგონიშვილი) (1782 – 1846)

დაიბადა თბილისში. გიორგი XII-ის ძე. სწავლობდა თელავის სემინარიაში. 1803 წელს გაზაფხულზე, როცა რუსებმა ბაგრატიონთა გადასახლება დაიწყეს რუსეთში, სპარსეთში გაიქცა და იქ თავის ბიძა ალექსანდრე ბაგონიშვილთან ცხოვრობდა; 1810 წელს მას ჩააკითხა პოეტი პეგერე ლარაბეძე და დაიყოლია, რომ სამშობლოში დაბრუნებულიყო, მაღე ისიც პეგერბურგში გაგზავნეს; ეწეოდა ფართო მეცნიერულ-ლიგერატურულ საქმიანობას; შემოიკრიბა პეგერბურგში მოღვაწე ქართველი მწიგნობრები. 1830 წლიდან საფუძველი ჩაეყარა მის მეცნიერულ თანამშრომლობას აკადემიკოს მარი ბროსესთან, რომელთან ერთადაც შექმნა პეგერბურგის ქართველოლოგიური სკოლა; მას ეკუთვნის ლექსთა კრებული „სამოცეული“, პოემა „ვაშლი ანუ დარღვევა გროადისა“, პიესა „სამსახეობა რანდისა“, მემუარული ჟანრის ნაწარმოები „მოგზაურობა ჩემი ვეროპისა სხვათა და სხვათა ადგილთა“; თარგმნა ტაციგუსის, ვოლგერის, პუშკინის ნაწარმოებები; განსაკუთრებულია მისი ღვაწლი „ვეფხისტ-

გყონისს“ მეორე გამოცემის მომზადებაში, რომელ-
იც 1841 წ. გამოვიდა.

* * *

ოღეს მაქეს თეთრი, არა მაქეს გული,
ოღეს მაქეს გული, არა მაქეს ფული,
ოღეს ვარ მთვრალი, არ მომდის რული
და უემისოდ მძინავს ღლე სრული.
აროდეს მტკივის, როს მაქენდეს წყელული,
როს სრულად მრთლად ვარ, მიურვის სული,
არ ვიცი, რაზედ დაევაყრა გული...
ეტლი და ბედი, გავს, არს უსრული.

– **ბაგრატიონი თჳსაჲ**

(თეკლე ბატონიშვილი) (1776 – 1846)

ერეკლე II-ის ნაბოლარა და ყველაზე საყვარე-
ლი შვილი, ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ბი-
ჭური იერით და სიმკვირცხლით, რისთვისაც შინ-
აურები „თეკლა ბიჭს“ ეძახდნენ. გათხოვილი იყო
ვახტანგ ორბელიანზე. პოეტების ვახტანგ და ალ-
ექსანდრე ორბელიანების ღელა. 1832 წლის შეთ-
ქმულებაში მონაწილეობისათვის გადაასახლეს
ქალაქ კალუგაში, 1835 წელს იგი თბილისში დაბ-
რუნდა, დაკრძალულია მამის გვერდით, სვეტიცხ-
ოვლის ტაძარში. თეკლე ბატონიშვილის ლე-
ქსებში გამოხატულია ძველი დიდების დაკარგვით
გამოწვეული სევდა. პოეტი უჩივის უბედობას და
პატიმრობის მძიმე სევდს.

აასუსნი ძმითჳნი ბატონიშვილს

...ჰე, გულო, რად გაქვს ესდენ წყინება,
მარად სისხლისა ცრემლთა დინება,
გუშავით სიმრავლით თვალთა შინება,
მათგან უწყალოდ ჭირთა სმინება,
რადგან ჩრდილოთ მშემე ესრეთ ინება,
კრძალვით ითმინე სახმილთ გზებანა.
რად გიკვირს...

– **ბაგრატიონი ილია** გიორგის ძე

(ილია ბატონიშვილი) (1790 – 1854)

დაიბადა თბილისში. იყო ძე მეფე გიორგი XII-
ისა. 1803 წლის 23 თებერვალს ოჯახის სხვა
წევრებთან ერთად იძულებით რუსეთში გადა-
ასახლეს და იგი დასახლდა მოსკოვში, სადაც 1844
წელს ფრანგულიდან ქართულად თარგმნა ინგ-
ლისელი ფილოსოფოსის ს.კლარკის მიმოწერა
ვერმანელ ფილოსოფოს გლაბინციან. წერდა
ღელქებსაც. მის პოეზიას აშკარად ეტყობა ბე-
სიკის გავლენა. გარდაიცვალა მოსკოვში.

საყვარელი (მომავლი) (ღუბეთის ხმაზე)

საყვარელო, მომაგონდი,
შენი ნახვა მაშინდა მე!

განად ტურფავ, მშვენიერო,
შენთან ხლება მაშინდა მე!
პირზედა გაქვს შავი ხალი,
ტურფად გშვენივს წამწამ-თვალი,
გულზე ვადგას ცის შუალი,
თვალში კოცნა მაშინდა მე!
სახე შენი მზე და მთვარე,
ვარსკვლავს გიგავს ორივე მხარე.
სრულ ხმელეთი შევაზარე,
შენთან ჯდომა მაშინდა მე!
შიო ვაძობ: შენი ქება,
გულსა ცეცხლი მეკიდება!
კარგად ვიცი, გააშება,
შენთან ყოფნა მაშინდა მე!

– **ბაგრატიონი მარიამ** (1755 – 1828/34)

(მარიამ ბატონიშვილი)

მარიამი იყო ერეკლე მეორის ასული. გათხ-
ოვილი იყო თბილისის მოურავი დავით ციციშ-
ვილზე. ჰყავდა 7 შვილი. ქართლ-კახეთის სამე-
ფოს გაუქმების შემდეგ ისიც მძიმე სულიერ და
ნივთიერ გაჭირვებაში ჩავარდა. ერთი ცნობით,
გარდაიცვალა 1828 წელს, სხვა ცნობით – 1834
წელს. მარიამი პოეტური და მუსიკალური ნი-
ჭით დაჯილდოებული ქალი ყოფილა. მისი თან-
ამედროვის, ბარბარე ქობულაშვილის დახასი-
ათებით, ის „იყო დიდი ნიჭიერი, დიდათ დახ-
ელთონებული საღმთოს წერილში, ისეთი მოლ-
ექსე, რომ ამბობდნენ – დიდის მეფის თეიმუ-
რამის ნიჭი გამოჰყვა ამ ქალსო“. ცნობილია
მარიამის რამდენიმე ლექსი. ორი მათგანი ასა-
ხავს თავისი ძმის, ალექსანდრე ბატონიშვილის
საცოლის, ყაბარდოს მთავრის ასულის, გარ-
დაცვალებით გამოწვეულ მწუხარებას. დანარჩე-
ნები მოგვიანებით, თავისი სამეფოს დამოუკიდე-
ბლობის დაკარგვის შემდეგაა შეთხზული და
გამოხატავს მძაფრ სულიერ ტკივილს წარსულზე
გოდებასა და აწმყოთი უკმაყოფილებას.

* * *

ჰოი, სამწარდეს დროთა გკბილობა,
უწყალომ ეტლმან რა ქმნა ცილობა,
აღფხვრა წალკოგსა ვარდთა შლილობა,
დასთრგუნვა ჩემი ღლეკეთილობა,
ბნელ ჰყო ქართლოსის ძვირფას გკბილობა,
მოსისხლე მარისს აქვს ხმალწვდილობა.

– **ბაგრატიონი მარიამ-მეკრინა**

იხილე მარიამ-მეკრინა.

— **ბაბრატიონი მირიანე** (1766 – 1834)
(მირიანე ბატონიშვილი)

ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ძე. შედიოდა იმ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც ერეკლე II-მ გაგზავნა პეკერბურგს 1783 წლის გრაქტაგის დადებისთან დაკავშირებით; იქვე დარჩა და რუსეთის სამსახურში შევიდა. პეკერბურგიდან მიმოწერა ჰქონდა ქართლ-კახეთის სამეფო კართან. მიიღო გენერალ-მაიორის ჩინი და სენაგორობა. 1797 წლის დასაწყისში ებოძა ყაზარდოს პოლკის შუფობა. მირიანე ბატონიშვილმა შემოგვინახა „დავითიანის“ გურამიშვილისეული ხელნაწერი და არზა. მირიანე ბატონიშვილი 1798 წლის იანვარში საქართველოში დაბრუნდა, გათავისუფლდა სამსახურიდან და აქვე დარჩა. 1801 წლის 15 მარტიდან სამუდამოდ დასახლდა პეკერბურგში, ეწეოდა ლიტერატურულ და მთარგმნელობით მოღვაწეობას. რუსულიდან თარგმნა „სწავლა თქმული ილია მინიაგისაგან“, ბრავეს გრაგედია „აგეისტი“; ავტორია რამდენიმე იამბიკოსი. დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

მ(ი)კმ(დი)თ, მ(ი)მმმ(ს)ო

მოვედით, მოყმენო, შეკრბით ჯომარდნო,
მწუხარეს მომხედეთ, მემწყალენით,
მოყვარეთა მწენო, მტერთ გულის დარდნო,
მისმინეთ ნალველნი, მით მიბრალენით.
მოეშორდი მშობელთა და ნათესაეთა,
სწორთა, მეგობართა, მოყმეთა, თავთა,
მით საწუთრომან მიმცა ნალველთა შავთა,
ამ დარდით მისხენით, დაბავალენით.
ესლენ ხანს ვეძიე, ვერ ვპოვე მშველი,
ამისათვის ნიადავ თვალნი მაქვს სველი,
აწ შემოქმედისგან შეწვენას ველი,
თქვენ განხო მშვიდობით, ქება ვძღვნათ ენით.
აწ ყარბი მარგო დავიარებო,
სიყრმის მეგობრებთან ვერ ვესხარებო,
ამისთვის ვარ ყოველთ შესაბრალეობი,
მაცოცხლეთ თქვენც, ან მო-ცა-მკალენით.
ესლენ უცხოობით მწუხარ არს გული,
თქვენის სიმორითა იურვის სული,
მანი რაესთან სმით შეიწრებული,
სიკვდილს მივწურვილვარ ამ დარდის სენით.

— **ბაბრატიონი ზარანოუ** (1775 – 1852)
(ფარნაოზ ბატონიშვილი)

ეპიგრაფის მისეღვით დაბადებულია 1777 წელს (სხვა მონაცემით — 1775 წელს). ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ, 1799 წელს, გამეფდა თავის საუფლისწულო მამულში, სურამში. 1804 წელს,

როდესაც სპარსეთში გადადიოდა, გზაში დააპატიმრეს და მომღვენო წელს რუსეთში, ვორონეჟში, გადაასახლეს. 1806 წელს პატიმრობიდან გაათავისუფლეს და ცხოვრობდა ჯერ მოსკოვში, შემდეგ – პეკერბურგსა და პეკერგოფში. სიბერეში თვალთ დააკლდა, ბოლოს სულ დაბრმავდა. გარდაიცვალა 1852 წელს. დასაფლავებულია პეკერბურგის ალექსანდრე ნეველის ლავრის თევდორეს ეკლესიაში. ფარნაოზმა რუსულიდან თარგმნა კარამზინის „რაისა“ და ეან-ლუკ რუსოს ერთ-ერთი გრაქტაგის. საკუთარ ლექსებში კი ისიც მისტიროდა წარსულს და გამოთქვამდა ჭმუნვასა და ვაებას აწმყოსადმი. ასეთივე, აღრინდელი რომანტიზმის გამოხატულება მისი ლექსი „იგონეთ ყოველთა ღრონი წინარე“ (გთავაზობთ ფრაგმენტს).

1.

იგონეთ ყოველთა ღრონი წინარე,
ვინა თვისნი ხართ, ანუ ვინა რე,
ოღეს სუფეღით ყოვლინ მინარე,
ეამ ყოველ განცხრომით მოსალხინარე,
ღლენი არ გესხნეთ მოსაწყინარე,
იმეხდით თავთა გამომინარე,
აწცა ვისმით გლოვა მოუთმინარე,
ისმინეთ ჭირნი მოუსმინარე,
გარდმოუტყვეთ თვალთა მდინარე!
5.

ფიქრთა მომიცვეს ყოვლინ გრძნობანი,
ალარა ძალუქს ენას თხრობანი,
მისთვის შემეკრა თვალთა ცნობანი,
ამად იცვალა სხეულთ მკობანი,
ვაი, ვით გვექმნა ლახვარსობანი,
ზარი განჰხდების ქვეყნად თხრობანი,
საკუენმდე საბავთობანი,
აჰა, სიცოცხლე გავაწყინარე!
ისმინეთ ჭირნი მოუსმინარე,
გარდმოუტყვეთ თვალთა მდინარე!

— **ბაბრატიონი ქეთევანე** (1764 – 1840)
(ქეთევანე ბატონიშვილი)

ქეთევანეც ერეკლე მეორის ქალიშვილი იყო. 12 წლისა გაათხოვეს ითანე კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონზე, რომელსაც ერეკლემ მეორე სიძის, დავით სარდალ ორბელიანისაგან ჩამორთმეული სახლთუხუცესის თანამდებობა უბოძა. ქეთევანეს შეეძინა 6 შვილი. როგორც სხვა ბატონიშვილები, 1810 წელს ისიც რუსეთში გადაიყვანეს საცხოვრებლად. გარდაიცვალა 1840 წელს. დასაფლავებულია სვეტიცხოვლის ტაძარში. ქეთევანის ერთი ლექსია ცნობილი; ჩანს, ის

დაწერილია 1805 წელს, როდესაც რუსეთის წინააღმდეგ შეთქმულ თავის ძმებთან მისი კავშირი გამოქვავდა და მას შინაპატიმრობა მიესაჯა. ამ ნაწარმოებშიც იგივე და იმავე მიზეზით გამოწვეული სევდაა გამოთქმული, რომელიც მარიამისა და სხვა ბატონი შვილების თხზულებებში გაისმის.

— ბაღრაშვილი სიმონ (სიკო)

(1889 – 1916) ფსევდონიმი – კიკნა-ფშაველა.

დაიბადა სოფელ კებოტაში (თიანეთი); დაამთავრა თიანეთის ორკლასიანი და თელავის სასულიერო სასწავლებლები. სწავლობდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში. ვაჟა-ფშაველას დახმარებით შევიდა თბილისის ქართულ გიმნაზიაში. იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სტიპენდიანტი. 1913 წელს სწავლა გააგრძელა იურივეის (გარტუს) უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. „თავისუფალი“ ფსევდონიმი გიციან გაბიძის ხელნაწერ ჟურნალ „მუქში“ აქვეყნებდა ლექსებს. 1910 წლიდან მისი ნაწარმოებები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში. მისი შემოქმედების მთავარი თემა იყო სამშობლო და სიცოცხლე. მან 200 ლექსის, ექვსი პოემის, ათი მოთხრობისა და რამდენიმე სტაგიის დაწერა მოასწრო. მწერლის ხელნაწერები და საოჯახო ბიბლიოთეკა დაკარგულია. დაიღუპა გრაფიკულად, 26 წლის ასაკში სიცოცხლე ვითითმკვლელობით დაასრულა.

* * *

არა მყავს ქვეყნად მე მეგობარი,
არა მყავს ქვეყნად თანამგრძნობელი,
ჩემი სიცოცხლე სიკვდილი არი,
ჩემთვის კუბოა მთელი სოფელი.
ხაიროღა ჩემთვის ოცნების მღვიმე,
ლიდი ჩამენგრა ცხოვრების გზაზე,
მარტოსა მგანჯავს ბედის სიმძიმე,
სული ქვითინებს საფლავის ქვაზე.
მშხამევენ გველები კიდიით-კიდე,
გლოვად მიქეის დღესასწაული,
თუმცა წამებით თვითვე ვიყიდე
კაცობრიობის დანაშაული.

— ბაზაძე ირაკლი (1941 – 1998)

დაიბადა ქუთაისში. აქ გადადგა პირველი სერიოზული ნაბიჯები პოეზიაში. 1973 წელს ქუთაისში გამოსცა ლექსების პირველი წიგნი – „ფერადი სარკე“ (1974). 80-იანი წლებიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში, გამოცემული აქვს კრებულები: „მორეული ფერი“ (1980); „ქარების

ქალაქი“ (1984); „სილის სასახლე“ (1991); „ავტოგრაფი ყველასთვის“ (1994); „მერედონი“ (1997); „ნაცრისფერი სივრცე“ (2000); ერთგომეული (2009). დაკრძალულია ქუთაისში, მწვანეყვავილას პანთეონში.

* * *

ღეღაჩეშივით დაღლილი არი
ჩემი წანწალი და ხეციალი,
ორმოცდაშვიდი წლის გავხდი უკვე
და არ ვყოფილვარ წამიც ჭკვიანი.
ვიყავი რადგან მარტო კეთილი,
მარტო სიმღერა და საგლოვარი
და საფიზიის ზეცა რო არი
მისი შუქით ვარ თვალგაპნეგელი.
ვისმენ ქარების საშიშ ხავილსაც...
ჩემი ცხოვრება დარღვ ვგზეულზე,
სხეულზე სული როგორ ავისხნა
და როგორ დაეთმო ის უსხეულად,
თუმც ვხედავ უკვე მიახლოვება
ხმა საშიშარი გყეთა უღრანთა...
აცივდა, მალე ჩამოთოვდება
და მიიგყეუბს მლაპარს ბუხართან.

— ბაიასვილი იოსებ (1908 – 1983)

პოეტი, სახალხო მთქმელი. დაიბადა სოფელ მარახევში (თიანეთი); ბავშვობიდან თხზავდა ლექსებს. 1926 წლიდან დადიოდა სოფლის სკოლაში. 1931 წელს სწავლა გააგრძელა თიანეთში არითმეტიკის კერძო მასწავლებელთან. თუმცა ოჯახური პრობლემების გამო სწავლა ვერ დაამთავრა. მუშაობდა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ. 1951 წელს გადაასხლდა წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედში. პირველად მიეწოდა საქართველოსთვის ახლობელი 1979 წლის 14 აპრილს გახდა. ხალხური პოეზიის სადამოძვე, რომელსაც უძღვებოდა ვახუშტი კოტეგიშვილი. მისივე წყალობით გამოიცა „ფოლკლორული რეპერტუარის“ სერიის ერთ-ერთ პირველ კრებულად, იოსებ ბაიასვილის ლექსების მცირე ნაწილი. დაკრძალულია ქვემო ქედში.

* * *

წუთია წუთისოფელი
დახამხამება თვალისა.
ამ ქვეყნად წესი არ არის
მეორედ მოსვლა მკვდარისა,
ამგონი გვმართებს ცოცხალთა
მოხდა სიცოცხლის ვალისა.
ვერვის შეუღლავ, ვერც შესძლოს
გახსნა სამარის კარისა.
იმ ქვეყნით მეორედ მოსვლა,

მიწის დანგრევა მყარისა.
 საწუთრო არის მგვირთველი
 ქვეყნად გვილის და მწარისა,
 წუწუნის იმას ეკუთვნის,
 მთაზე ყვირილიც ხარისა,
 უნდა გიყვარდეს სამშობლო,
 თუ ხარ ქართველის გვარისა,
 არც ლხინი თავბრუს გასხამდეს,
 არც გეშინოდეს შარისა.
 წასულს არ უნდა გრცხვენოდეს
 დაგოვებულის კვალისა,
 უქმად ნაგარი სიცოცხლე
 ფასი არ არის ჩალისა.
 ერთი რამ არის საწყენი
 საწუთროს სამართალისა,
 რატომ არ იცის გარჩევა
 მამაცისა და მხდალისა?
 * * *

ბაიაშვილ ავად გახდა,
 მიფრალს შესცივდა წუხელისა;
 უცხელებენ ნიორწყალთა –
 ევრა სნეულს უშველისა?!
 ნარეცს მაინც მოუგანეთ
 ნაარაყალ ჭურჭელისა.
 მართამა თქვა: „ლაიმეხოს,
 სიკვდილი სჯობს უქნელისა,
 მაგის საქმე არაყია,
 შრომაში ხელუკრელისა.
 ზომა რაით ვერ გაიგო,
 მაგ გასახეთქ მუცელისა?!“
 ავადმყოფმა დაიუბნა
 მცნება ღიძის რუსთველისა:
 „მამდრის სიკვდილი სჯობავის
 მინამ უსმელ-უჭმელისა“.

– ბაკურაძე შალვა (1973)

დაიბადა სოხუმში; 1995 წელს დაამთავრა ოსუს სოხუმის ფილიალი ფილოლოგიის ფაკულტეტის ინგლისური ენის სპეციალობა, არის მწერალი. მოგვიანებით სწავლობდა საქართველოს კულ-

ტურის ინსტიტუტში. მუშაობდა რადიოში მუსიკალურ წამყვანად. მისი ლექსები პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „რიწასა“ და გაზეთ „ოქროს საწმისში“. შემდეგ თითქმის ყველა ქართულ ლიტერატურულ გამოცემაში იბეჭდება. გამოცემული აქვს ლექსების კრებულები: „კითხილი ადამიანები“ (2000), „წერილი ნინოს“ (2003), „დასდებულნი წმიდისა ადღგომისანი“.

* * *


ამ ლექსის წერა დაიწყო ასე:
 წარმოვიდგინე, ვზივარ რაფაზე,
 ვამტვრევ და ვისვრი
 მღვის კენ სველ ფრაზებს,
 თან სიგარეტსაც ვურტყამ ნაფაზებს
 და კვამლი მძიმე ღუმელით მავსებს.
 ვწერდი, ვფიქრობდი. რა უფრო ადრე
 გაჩნდა ამ ლექსში: მღვა, თუ რომ ვამტვრევ
 სიგყვეს და ან რა ბუდი ეწია
 ქალს ნაადრევად მოსახუცებულს,
 ვისთვისაც ლექსში ღიძხანს ვეძიე
 კუთხე და ბოლოს აქ მოვუტებნე.
 ხოლო ეს ლექსი შეივსო ასე:
 მინდოდა, მაგრამ ვერ მივხვდი, რაზე
 უნდა მეწერა. ვულაღმა ვეგდე.
 თავს ვერ ვუყრიდი გაფანტულ აზრებს.
 ვხედავდი ჩემს თავს, ამ ლექსს გემოდან,
 და პირქვე ვდებო წუთების შემდეგ,
 ლექსის ნაწილი როგორ ხდებოდა.
 ლექსი კი უკვე ითხოვდა წერტილს,
 მაგრამ ამის თქმაც სიგყვეს ითხოვდა.
 ამიგომ ვწერდი, ჯერ ისევე ვწერდი
 და ლექსმა ისე შეაფსო გვერდი,
 არ დამეწეროს იგი ვითომდაც.

– ბალაშვილი ნუნუ (1985)

დაიბადა მარტყოფში (გარდაბანი), იქვე დაამთავრა სკოლა. შემდეგ სწავლა განაგრძო ოსუს ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის მეორე კურსზე ქართული ლიტერატურის მიმართულებით. 2001 წელს დაამთავრა მარტყოფის



ნინო ბალაშვილი



ირაკლი ბახაძე



ნინო ბახაძე



შალვა ბაკურაძე



ნუნუ ბალაშვილი

სულხან ცინცაძის სახელობის მუსიკალური სკოლა. იყო ფოლკლორული ანსამბლის „ულავარის“ სოლისტი. წერს ლექსებს და სიმღერებს, იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში: „მწერლის გაზეთი“, „სიცინათელა“, „ნერგი“, „ლიტერატურული საქართველო“ და სხვა.

პირამიდების გზა...

ცხოვრებამ ხარკის გადახდა მოხოვა
მაგრამ საიდან?!
მე ერთი პეშვი სულიდა დამრჩა,
უნდა ვიყოფო...
ბეთლემისფერი წარსული დადნა
სულის ნალექა,
მწყემსი მოვიდა,
ცხვარნი თვისნი უკვე გარეკა...
და ეგვიპტური სიცხეები
წამოშეწია,
უნდა დროება საბრძოლველად
გამოვიწვიო...
აწმყოს თვალები ბებერ ფესვებს
აჩანაგებენ,
ფარაონთათვის აკლდამებსაც
აღარ აგებენ...
მინის ღრუბლებში სახეცვლილი
ეს მზე აანთეს,
ხარკი არ დავეღ, შრება ჩემი
ქვიშის საათი...
აღარა მჯერა ოცნებების,
გამოგონილის,
მიწაზე ისევ სიცხეები
წამოწოლილა...
რა დააწყნარებს, რა უშველის
ნაცნობ ამინდებს?!
ხვალე მე უნდა დავეგმგავრო
ცად პირამიდებს...

— ბალარჯიშვილი ბააღრა (1946 – 2012)

დაიბადა თელავში, დაამთავრა თელავის მე-2 საშუალო სკოლა, 1970 წელს კი - ტსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. გამოცემული აქვს კრებულები: „თელავის ჭადარი“, „მდინარე“, „კიპარისები“. პოემების გარდა სცენარების წერითაც იყო დაკავებული. სცენარის ავტორია ფილმებისა: „ნისლი“ (1985), „ხარება და გოგია“ (1987), „მარტივი პასიანსი“ (1990).

ჯამთრის ღამეში თქვენი

შემოდგომა ბინდიანი ქუჩებით
მიბარბაცებს – დრო დამდგარა წასვლისა –
მიდის მანგად, ბელსაც არ ეურჩება:
ასეთია უფლის ნება, რას იზამ?!...

ცივმა ცივად შეუბერა შორიდან,
წარისებგნენ შარიშურა ფოთლები,
მორს დასავს დასახეთქლ სოლი და
შემა მიაქეთ საარყისკენ გოდრებით.
წალმის ღადარს სუკის მწვადი ელაგა,
თონის პურის სუნი ბოლს შერეგია,
გულის ყველი ნირს აძლევდა ბარაქს –
ნივრის მწინლიც ფრიალ სასურველია.
ნოემბერი ილეოდა ქინკლებით,
საფერაგმა წვერი თეთრი დაღარა,
იყო თხოვნა: დიხანს ნუ დავიშლებით,
ცოგა დაგვრჩა, უკვე ბევრი აღარა.
ეკ, რამდენჯერ თავს დოღაბი გვაბრუნეს,
და ყველაფერს კვლავ თავიდან ვიწყებდით,
ჭირსა შიგან გამაგრება რომ უნდა,
აბა, ამას როგორ დავივიწყებდით.
მგერი ჩვენ ვერ მოგვერევა ვეროდეს:
საქართველოს – იმიერ და ამიერ,
მხრებზე ხელგადახვეულნი გმღეროდით
წინწყაროს და მერე მრავალკამიერს.
აღბათ, უკვე გაგვიხორიან საძარეს,
წააწერენ ქვაზე ეპიგრაფის:
ის, ვინც საფლავს დაქებდა თამარის,
იმავე მიწას, საღდაც იქვე მარხია.
თქვენთან ვარ და აქვე ვრჩები, ძმაკაცნო,
და ვიქნები დღე-ყოველიცისმარი,
ერთმანეთი საქართველომ გაგვაცნო,
ერთად ვნახით წუთისოფლის სიმზარი.

— ბალარჯიშვილი გიორგი (1987)

დაიბადა სოხუმში. 1992 წელს, სოხუმის დაცემის შემდეგ, ოჯახთან ერთად გადმოსახლდა თბილისში. ლექსებს 17 წლიდან წერს. განათლებით პოლიტოლოგია. 2010 წელს გალაკტიონისადმი მიძღვნილ კონკურსში მისი ლექსი საუკეთესოდ იქნა მიჩნეული; არის ორი კრებულის ავტორი, ესენია: „POSTალიონური“ და „დუმილის დასარღვევად“. მისი ლექსები შესულია მწერალთა კავშირის ვეგით გამოცემულ ახალგაზრდა პოეტთა კრებულში.

ღმელაჩვი

ღელაჩვის საკუთარი ჭადარისფერი
ხალაით მოსავს და ყოველ დღით
ისეთი ეშხით მიღულებს ყავას,
თითქოს ბოლოა. მე მასში ვხედავ მოსეს,
რომელმაც შუაზე გაყო
ზღვა და ბილიკად სავალ გზას მანვენებს
გადვიებისას – დაძინებამდე.
ის სრულიად ფესშიშველი
დადის გროგუარებზე, რათა მამცნოს

ყოველი შუშის ნაგები ან ნამწვი, რომელმაც, შესაძლოა, ფეხსაცმელი შემოიღახოს.

— ბარათაშვილი ბარამ (დაიბ. 1775 წ)

ფარემუზის (გერმანოზის?) ძე, ზოგჯერ გერმანოზიშვილადაც მოიხსენიება. იყო ფარნაოზ ბაგონიშვილის თანშემრდილი, 1801 წელს გადაჰყვა მას და იულონს იმერეთში. 1805 წლის 11 იანვარს დააპატიმრეს ციციანოვის განკარგულებით, 1806 წლის 4 აგვისტოს ისევ ციხეში იმყოფებოდა. 1813 წელს ახლდა ალექსანდრე ბაგონიშვილს სპარსეთში. 1814 წელს კი მასვე შაგილში გაჰყვა. იყო პოეტი. მის ლექსს „შენდა შეყრამდის ვით გასძლებს გული“ ქართველი მომღერლები ახლაც ასრულებენ სხვა სუფრის სიმღერებთან ერთად. არის ავტორი ლექსებისა: „ჰოი ვარდო, მოდი ნუ ინაზები“, „აფროდიტო ამბორწყინდი“, „ნუ მწვამ, მიჯნურო“, „სსცყალებენ გარონი ეპთოა და დართა“, „ეჰა, მთიები მთენია“.

— ბარათაშვილი ზაალ (მე-18 ს მე-2 ნახევარი – XIX ს 1-ლი ნახევარი)

პოეტი, საზოგადო მოღვაწე. იყო ერეკლე მეორის მდივანბეგ-სარდალი. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ კოროინგმა დაუმტკიცა ეს თანამდებობა. 1803 წ. დავით ბაგონიშვილს გაჰყვა რუსეთში. ჰქონდა „ნადვორნი სოვეგნიკის“ წოდება. მაალ ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობა ძირითადად საგრფი-ალო ლირიკით ამოიწურება. ამ ლექსთა გმირი გახელებული მიჯნურია, რომელიც თავის საგრფოს ვარდლებულიანური პოემიის საფერი ეპითეტებით ამკობს.

— ბარათაშვილი ზაალ (1810 – ?)

ლექსებს ბეჭდავდა ივანე კერესელიძის „ცისკარში“ და მის თანამშრომლად ითვლებოდა. მისი ლექსები იმ დროის მკითხველებში გარკვეული პოპულარობით სარგებლობდა. მაალი

იყო მამა ასევე „ცისკარის“ მუღმივი თანამშრომლის, პოეტის და დრამატურგის, ვანო ბარათაშვილისა.

— ბარათაშვილი თომა

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის პოეტი. 1724 წელს თავის ძმასთან, ცნობილ პოეტთან მამუკა ბარათაშვილთან ერთად რუსეთში გახიზნულ ვახტანგ VI-ს გაჰყვა ამაღალი. 1740-იან წლებში რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის დიპლომატ-კურიერი იყო. თომა ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობიდან ცნობილია რამდენიმე ლექსი, რომლებშიც უცხოეთში გადახვეწილი ადამიანის სეველა გამოხატული. დავით გურამიშვილი თომა ბარათაშვილს დახეხებია ერთ სასიმღერო კილოს („ხმას“) და ლექსიც შეუძღვნია მისთვის.

— ბარათაშვილი იოსებ (1728 – 1786)

იასე იყო შვილი თბილისის სიონის სახლოტუხუცეს აზნაურ ოსე მიქაძისა. 1750 წლიდან იგი თეიმურაზ II-ის მეუღლის – ანახანუმის – მდივანი გახდა, შემდეგ – მოღარეთუხუცესი. 1758 წელს ამ თანამდებობიდან გადააყენეს და დავით კალიგრაფ-მდივანად. 1762 წელს ერეკლე II-მ სამეფო მდივნის თანამდებობა უბოძა, შემდეგ - თავაღობა და ბარათაშვილის გვარი. შემდეგ მოღალატე თავადებთან კავშირი დასწამეს და 1776 წელს მდივნიბიდან გადააყენეს, წაართვეს თავაღობა, მამული, ყმები და გფილელის ყმად აქციეს. 1777 წელს დარეჯან დელოფლის მხარდაჭერით ისევ მდივანბეგად დანიშნეს. მისი ლიტერატურული თხზულებებიდან ცნობილია ომონიშური რითმებით გაწყობილი „ლექსნი სამიჯნურონი“. ანგონ კათალიკოსის ცნობით, იესე ბარათაშვილს ლექსად აღუწერია ქეთევან დელოფლის ცხოვრება. ამ თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია. ვარაუდობენ, რომ მასვე ეკუთვნის ლექსთა კრებული „ნარგზოვანი“.

ამიყს ეთქვა, ადამიანს ესე ლექსი მასა ხელად, უგყვად ექმნილვარ მგრძნობი შსა, მეც მნებავი მასახელად, თუ ვინ მკითხავს, აწ მის მეტი არვინ ჰნებავს მასახელად, ვისთვის ეპკო, იგი გირდა ამ სიგყვითა მასახელად.



ბაადურ



ბიორბი

ბალარჯიშვილი ბალახაშვილი

— ბარათაშვილი ლინა (1942)

დაიბადა ბორჯომში. სწავლობდა ხარაგაულის პირველ სკოლაში. 1968 წელს დაამთავრა მსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. იყო ხარაგაულის რაიონული გამეთის კორესპონდენტი, 1973 წლიდან მუშაობდა გამეთ „ნერვის“ ლიტერატურული განყოფილების გამგედ, რედაქტორობდა გამეთ „დედას“. მისი პირველი ლექსი — „ვაკა-ფშაველა“ — 1961 წელს დაიბეჭდა ხარაგაულის რაიონულ გამეთში — „ლენინის დროში“. ავტორია პოეტური და პროზაული კრებულებისა: „მოლოდინი“, „მარტოობის კუნძულები“, „მშობის წიგნი“, „საქართველოში იბადებოდნენ“.

* * *

ამ მთასა და იმ მთას შუა
თითქოს უფალს გაუვლია,
წალკოგს იქით წალკოგია,
გაღმა ხარაგაულია.
მართლა უცხო სამშეგროა,
გყემლის ბევრი თიხილებია
იმერეთი გვეტკინა და
თვალში წამოგვიკიდებია.
ისე მკაცრი სიცხადეა,
ისე სუფთა ნათელია
ვფიქრობ, დრუბლის თეთრი არვე
ქართლმეც გადამაღენია.
მეუბნები — სამოთხეა,
გეუბნები ეღვია,
ხედებია იმოდენა
თვალში ვეღარ ეტკვიან.
ისე თითო აპრილია,
საბნად ნისლი აფარია,
მეუბნები — სიმზარია,
გეუბნები, ზღაპარია!
ამ მთასა და იმ მთას შუა,
თითქოს უფალს გაუვლია,
წალკოგს იქით წალკოგია,
გაღმა ხარაგაულია.



ლინა

ბარათაშვილი



მარიკა

ბარათაშვილი

— ბარათაშვილი მამუკა

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის პოეტი. 1724 წელს რუსეთში გახიზნულ, ვახტანგ VI-ს გაპყვა ამაღამში. ერთხანს ასტრახანში იყო, 1728 წელს მონაწილეობდა რუსეთის მთავრობის მიერ შაჰ-თაბაშთან წარგზავნილ დიპლომატიურ მისიაში. 1730-იან წლებში ბარათაშვილი იყო მოსკოვში, სადაც 1731 წელს დაწერა პოეტიკური გრაქტაგი „ლექის სწავლის წიგნი“ („ჭაშნიკი“). ეს თხზულება ქართული ლექსის შესწავლის პირველი ცდაა. ავტორი განიხილავს მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ურთიერთობას, არკვევს ქართული ლექსის საზომებსა და ავებულებას. მამუკა ბარათაშვილი ეხება პოემის დიდაქტიკურ ფუნქციასაც, განსაზღვრავს მის თემატიკას. მისი ესთეტიკური შეხედულებანი პოემის უტილიტარული ხასიათის აღიარებითაა განპირობებული. 1732 წელს მან ვახტანგ VI-ის ბრძანებით გალექსა საემირო-სათავადასაფლო თხზულებას „რუსულანინის“ მეორე თავი, რომელსაც ეწოდა „ჯიმშედიანი“. მამუკა ბარათაშვილმა განავითარა ძველი ქართული საკარო პოემის გრადიციები — 1734 წელს დაწერა ნუსტროფიანი ოლა „ქება მეფისა ბაქარისა“. მის კალამს ეკუთვნის ვახტანგ VI-ისადმი მიძღვნილი სახობტო ლექსი „იამბიკო“. ვახტანგ VI-ის გარდაცვალების (1737 წელი) შემდეგ მამუკა ბარათაშვილი რუსეთის ქვეშევრდომი გახდა. იგი ქართული ემიგრანტული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი შემოქმედება განსაკვალულია ღრმა სევდით, რაც სამშობლოს უნუგეშო მდგომარეობითა და პოეტის გრაგიკული ცხოვრებითაა გამოწვეული. აქვს სატროფიალო-სამიჯნურო ლექსებიც.

მოკლე შოფორობილი

წყევა მაქვს საკურველისა,
მუხანათისა, ჭრელისა,
საწუთოს, წამთა მქმნელისა,
დიღების დამცემელისა.
ჩემგან საწუთოს ჩივილი
ჰსანით, თუ მრუდედ ყივილი,
მაქვან მრავალი ტკივილი,
გულკენესით აღმონთხივილი.
ბევრი ჰყავს ჩემებრ მღურავი
(ჰსამს ზღვათა მჯლომი მცურავი),
ვის მისგან დასაბურავი
უნდა ჰსთომოს, მისცეს თურ ავი.
ვინ მისი მიმნლობარია,
წამ ერთის მეგობარია,
მიჰსცეს ლახვართა მწყდარია,



**ნიკოლოზ
ბარათაშ-
ვილი**

ბოროტ გრძელ, შუება მდარია.
„წყულ ხარ“, – ბევრი ჰსნივისა,
მაქებრად არვინ გივისა,
ჰნათობ, ვით ცეცხლი თივისა,
ცხელ და წამ, მარამ ცივისა.

– ბარათაშვილი მარიკა (1908 – 2008)

დაიბადა სოფელ შერევეში (ჭიათურა), იქვე მიიღო საშუალო განათლება, 1945 წელს კი დაამთავრა ოსუს-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას, 1965 წლიდან იყო ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მთავარი რედაქტორი. მისი პირველი ლექსი 1936 წელს გამოქვეყნდა, ლექსების პირველი კრებული კი – 1945 წელს. დიდი პოპულარობა მოიპოვა მისმა პიესამ „ჭრიჭინა“. აღსანიშნავია მისი ლექსთა კრებულები: „ლექსები“ (1948), „საპოვნელა“ (1958), „დღე დღევანდელი“ (1969), საბავშვო ლექსებისა და პოემების კრებულები: „ნანული“ (1941), „სოფელა, თინა და ჭიანჭველუბი“ (1949) და სხვა.

საკომპენილა

ოქტომბერში თუ ჩვენს მხარეს გაგივლია, შეამჩნევდი მიმობნულს მინდორ-ველად. პაწაწინა, მარჯნისფერი ყვავილია, იმერეთში ეძახიან "საპოვნელას". შეხებდე და მიმიზიდა იმთავითვე. თურმე ყველა სასოებით ანდობს იმელს, ბელს დაემტებს თუ დანაკარგს, რამე ნივთებს, ევედრება: „საპოვნელა, მაპოვნინე!“ მეც სათუთად მივიბნე იგი მკერდზე, ჩემს გულშიაც მივეუნე მყუდრო ბინა. ვენაცვალე! სხვა საუნჯეს აღარ ვეძებ, რადგან, ჩემო, შენი გული მაპოვნინა.

– ბარათაშვილი ნიკოლოზ (1817 – 1845)

დაიბადა თბილისში. 1827 წელს ნიკოლოზი, იგივე ტაგო, როგორც მას მეტსახელად ეძახდნენ, თბილისის კეთილშობილთა გიმნაზიაში შევიდა. 1835 წელს, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ბარათაშვილი ამაოდ ოცნებობდა უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთში გამგზავრებაზე, ეს გეგმა ჩაეშალა, უსახსრობის გამო. განუორციელე ბელი დარჩა, აგრეთვე, კოჭლობის მიმგებით, პოეტის განზრახვა მოქმედ არმიაში განწესებისა. მიუხედავად ღრმა სულიერი ღერებისა, რომელიც შეინიშნებოდა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში 1832 წლის შეთქმულების ჩაშლის შემდეგ და რაც იმედგაცრუებულ ყმაწვილ პოეტს, თანამედროვეთა მოწმობით, სშირად ამა სოფლის ამოუებათაკენ უბიძგებდა, ბარათაშვილი და მის გარშემო შემოკრებილი ახალგაზრდა ლიტერატორები მაინც ცდილობდნენ კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობის წამოწყებას. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები მის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. ისინი მხოლოდ ხელნაწერთა სახით ვრცელდებოდა. პოეტი ქართველმა სამოციანელებმა „აღმოაჩინეს“ და თავიანთ წინამორბედულად დასახეს. დიდ პოეტად ბარათაშვილი პირველად ილია ჭავჭავაძემ აღიარა, თუმცა 1852-1853 წლებში გიორგი ერისთავსაც ჰქონდა გამოქვეყნებული მისი რამდენიმე ლექსი ჟურნალ „ციცკარში“. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების სრული კრებული კი 1876 წელს გამოვიდა.

1836 წლიდან ნიკოლოზ ბარათაშვილი მუშაობდა უბრალო ჩინოვნიკად სამართლისა და განჩინების ექსპედიციის კანცელარიაში. 1844 წელს დაინიშნა ნახივევანში შაბრის მმართველის თანამშემწედ, ხოლო 1845 წლის ივნისში იმავე თან-

ამდებობაზე განჯაში, სადაც ოთხი თვის შემდეგ, 27 წლისა, მალარიით მიძიმედ დაავადებული გარდაიცვალა. ბარათაშვილის გადმოსვენებამ 1893 წელს განჯიდან თბილისში (დიდუბის პანთეონი) ეროვნული მანიფესტაციის სახე მიიღო. 1938 წლიდან პოეტის ნეშტი მთაწმინდის პანთეონში განისვენებს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება ქართული რომანტიზმის მწვერვალია; მისი შემოქმედებიდან შემორჩენილია ორმოცამდე ლექსი და ერთი პოემა – „ბუდი ქართლისა“ (1839); არაერთი მისი ლექსი („შემოღამება მთაწმიდამედ“, „ფიქრნი მტკვრის პირმედ“, „სული ობოლი“, „მერანი“ და სხვა) ქართული პოეზიის ყველა დროის საუკეთესო ნიმუშად ითვლება.

ცისა ფერს

ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს
და არ ამქვეყნიურს,
სიყრმითგან ვეგრფოდი.
და ახლაც, როს სისხლი
მაქვს გაციებული,
ვფიცავ მე – არ ვეგრფო
არ ოდენ ფერსა სხვას.
თვალეში მშვენიერს,
ვეგრფო მე ცისა ფერს;
მოსრული იგი ცით
გამოკრთის საამით.
ფიქრი მე სანაგრი
მიმიწევს ცისა ქელს,
რომ ეშხით დამდნარი
შევერთო ლურჯსა ფერს.
მოვეკვები – ვერ ვნახავ
ცრემლსა მე მშობლიურს, –
მის ნაცვლად ცა ლურჯი
დამაფრქვევს ცვარს ციურს!
სამარეს ჩემსა როს
გარს ნისლი მოეცვას, –
ივიცა შესწიროს
ციაგმა ლურჯსა ცას!

საშუშრამ

ვითა პეპელა
არხევის ნელნელა
საუგაკს შრომანას, ლამაზად ახრილს,
ასე საყურე,
უცხო საყურე,
ეთამაშება თავისსა აჩრდილს.
ნეგავი იმას,
ვინც თავისს სუნთქვას
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!

შენის შერხვეით,
სიო-მობერვით
გულისა სისხეს განიფრთხილებს!
ჰოი, საყურეო,
გრძნებთი ამრევო,
ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიკაბარუნოს?
მუნ უკვდავების
შარბათი ვინ სვის?
ვინ სული თვისი ბედ დაგაკონოს?

სულღი (ოზოღი)

ნუ ვინ იცყვის ობლობისა ვაებას,
ნუ ვინ იცყვის თავის უთვისგომობას, –
საბრალოა მხოლოდ სულით ობოლი:
ძნელდა ჰპოვოს, რა დაკარგოს მან გოლი!
მეგობართა, ნათესავთ მოკლებული,
ისევე ჩქარად ჰპოვებს სანაცვლოს გული;
მაგრამ ერთხელ დაობლებული სული
მარად ითმენს უნუგეშობას კრული!
არღარა აქვს მას ნდობა ამა სოფლის;
ემინიან, იკრიბაღვის, არღა იცის,
ვის აუწიოს დაფარული მან ნდობა,
ეფიქრება ხელმეორედ მას ნდობა!
ძნელი არის მარგობა სულისა:
მას ელგვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შეება უბედურისა!

– ბარამიძე ილია (1947)

ილია ბარამიძის პირველი ლექსი 1965 წ. გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ დაიბეჭდა. სტუდენტობის წლებში იყო აღმანახ „პირველი სხივის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. გამოცემული აქვს კრებულები: „ნაადრევი ყოჩივარდები“ და „გაგრული რვეულიდან“, ავტორია ასევე საბავშვო და პუბლიცისტური ხასიათის კრებულებისა.

* * *
აღარ ყიდულობ უკვე მიმოშვებს,
სარკეში ცქერამ დაკარგა აზრი...
ასაკი, ქალს რომ გაცვლი ღვიზომე,
გიახლოვდება პანტერის ზღაზგნით.
შენ ჭადარივით ქარებმა გბარცვეს
და ფოთოლ-ფოთოლ წაგართვეს დღენი...
ხელისგულიდან გიკენკავს მარცვლებს
ფრთამოტეხილი ბავშვობა შენი.

– ბარამიძე ილია (1966)

დაიბადა თბილისში. 1991 წელს დაამთავრა ოსუს-ს ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. იმავე წელს დააარსა სალიტერატურო ვიდეო-კურნალი „დათო ბარბაქაძის კურნალი“.

1994 წელს გამოსცა სალიგერატურო ჟურნალი „პოლილოგი“ (გამოცა ოთხი ნომერი). 1996 წელს დააარსა სალიგერატურო ჟურნალ-გაზეთი „ლიგერატურა“ (გამოცა ოთხი ნომერი). 2001-2004 წლებში, როგორც თავისუფალი ლიგერატორი, ცხოვრობდა გერმანიასა და ავსტრიაში. 2014 წლიდან არის თბილისის სამხატვრო აკადემიის მიწვეული პედაგოგი და უძღვება აკადემიურ კურსებს: „პოეზია და ფილოსოფია“, „ევროპული რომანტიზმი“, „ევროპული ლიგერატურული ავანგარდი“ და სხვ. ქართულ ენაზე თარგმნის გერმანულენოვან პოეზიას. მისი ორიგინალური და მთარგმნელობითი შემოქმედება თავმოყრილია 2014 წელს დასტამბულ მრავალტომეულში სახელწოდებით „შედეგები“.

ბმირბ თრაპლი, „ჯაჯხ ული“

თარგმნა ღაპით ბარბაქაძემ

მწუხრის გყევი მიხუდება
 გუგულის გვრინი.
 დაიბილება მძიმე თაველი,
 ალისფერი – იქვე – ყაყაჩო.
 გორაკის თავს იმუქრება შავი ავდარი.
 მინდვრად
 ჭრიჭინას ძველი სიმღერა აღესრულება.
 აღარ შრიალებს წაბლის ფოთოლი.
 საცნაურია შენი კაბის შარიმური
 ხვეულ კიბეზე. ბნელ ოთახში –
 ოდენ სათილის მკრთალი ციალი;
 მას ვერცხლოვანი ხელი აქრობს;
 უეარსკვლავო, ქარმშვიდი ღამე.

– ბარბაქაძე სირა (1965)

სხვადასხვა დროს იყო: რიგორიკისა და ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგე, ფაკულტეტის დეკანი სულხან-საბა ორბელიანის სახ. უნივერსიტეტში და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, სენაგის წვერი ილიას უნივერსიტეტში. 1996-1998 წლებში იყო ქართული საენათმეცნიერო გაზეთის – „სიგყაი“ – მთავარი რედაქტორი და გამომცემელი, 1998-2002 წლებში კი – „ქართველ-

ოლოგიური ბიბლიოთეკის“ სერიის პასუხისმგებელი მდივანი. 2006 წლიდან არის სამეცნიერო ჟურნალ „სემიოტიკის“ მთავარი რედაქტორი და გამომცემელი (დღემდე გამომცემულია „სემიოტიკის“ 14 ნომერი). 2010 წლიდან არის სემიოტიკის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორი (2015 წელს ჩატარდება სემიოტიკის მე-9 სამეცნიერო კონფერენცია ბათუმში). სემიოტიკის კვლევით ცენტრში დააარსა სერია: „სემიოტიკური თარგმანები“. 2014 წელს გამოსცა ფენტემის ტანრის პირველი პოეტური კრებული, რომელშიც ქართველი ავტორები შევიდნენ. არის რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორი: ლექსები (1996), „გამოღლეუ სარკმელი“ (2003); „ღუმილის ა(მ)ბები“ (2008); „უცხოქალაქი“ (2011).

* * *

უღაბნოში საგნებმა არ იცინან,
 რომ დაკარგულენი არიან
 უღაბნომ არ იცის, რომ
 მის საზღვრებში შესული,
 საზღვრებიდან გასულია
 უღაბნოში დაკარგული
 არავის ელოდება,
 რადგან მან არაფერი იცის
 დაკარგვის შესახებ
 აქ ყველა დაკარგულს დაკარგული
 აქვს ცნობიერება
 ერთხელ ეს უღაბნი შენც უნდა გაგველო

– ბართია ნოზაღი (1944)

დაიბადა სოფელ ლესიანდრაოში (მარგველი), სადაც დაამთავრა სკოლა. 1966 წელს დაამთავრა ოსუს-ს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი ირანული ფილოლოგიის განხრით. იმ დროიდან მუშაობს აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებელში, ასევე პარალელურად მოღვაწეობს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახ. უნივერსიტეტში. ამჟამად არის საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილების ჟურნალ „კალმის“ რედაქტორი. გამოქვეყნებული აქვს



ილია ბარაბაქაძე



ღაპით ბარაბაქაძე



ცირა ბარაბაქაძე



ნოზაღი ბართია

არა ერთი მხაგერული (პოეტური, პროზაული, ნათარგმნი) და სამეცნიერო სახის კრებული.

* * *

ფერიდანში არ ახსოვთ,
ქართველს მოეკლას ქართველი;
რანი ვყოფილვართ, რანი ვართ,
აი, ეს არის სათქმელი.
გასულა წელი ოთხასი,
და გავა კიდე რამდენი;
ფერიდანში არასდროს
ქართველს არ მოკლავს ქართველი.

— ბარნაბიშვილი მერი (1937 – 2002)

დაიბადა სოფელ ქვემო ბოდბეში (სიღნაღი). 1955 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, 1961 წელს კი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. პროფესიით იყო ექიმი-პედიატრი. მუშაობდა თიანეთის და სიღნაღის რაიონების სოფლებში ექიმად. პირველი ლექსები გამოაქვეყნა ჟურნალ „ცისკრის“ 1965 წლის მე-7 ნომერში. გამოცემულია აქვს რამდენიმე კრებული, მათ შორის – „მე მეთისხილის რტოს მოგიგან“ (1966), „თეთრი შროშნები“ (1987), „თუ რამე ძალმის“ (1992).

* * *

აქ გული ვერსად ვეღარ დავგიე,
ამიღეს თქმით და იჭვით,
არც სიყვარული არ მაპატიეს,
არც სიყვარულის ნიჭი,
ნუთუ ყველაფერს გალახს ესვრიან,
არვისთვის არეინ იღწვის,
ყველასთვის ნახავ რამეს ვესლიანს,
და შეურაცხყოფ იჭვით.
აქ გული ვერსად ვეღარ დავგიე,
ამიღეს თქმით და იჭვით,
არც სიღამამე არ მაპატიეს,
არც სიღამამის ნიჭი.

— ბარნოვი პასილ (1856 – 1934)

ვასილ ბარნაველი დაიბადა სოფელ კოლაში (ახლანდელი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი); თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ იქვე მასწავლებლობდა (1877-1878). 1882 წელს დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემიის ისტორიის განყოფილება. მასწავლებლობდა სენაკში, თელავსა და თბილისში. 1918-1924 წლებში ქართულ სიგყვიერებას ასწავლიდა თბილისის

სის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ სრული გიმნაზიის უფლებით მოქმედ „მ. ნუცუბიძის კურსებზე“. გარდა ამისა, 1918-1921 წლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის ოუნკერთა სასწავლებელში. 1921-1930 წლებში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა თბილისის უნივერსიტეტის მუშფაკში. იგი არის ქართული ისტორიული რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მას მხოლოდ ეს ერთი ლექსი აქვს დაბეჭდილი, რომელსაც უმის მწერლის ინიციალები – ვ.ბ.

ქართული ძალი

ქართულის ძალი – ვით ალვის ხე,
მკლავ-მხარ-მკერდი – განგებ თლილი;
თუნდა მოდი, ბრძენო, ნახე,
თუ არ არის ვარდი მლილი!
ბროლის ველსა ამშვენებენ
გიშრის თმანი გარდნაფენი,
მათ მჭვრეტელთა ახელებენ
ის კაგები ბროლ-ლალთ მხევენი.
მნათობს შშვენის წყნარი სახე,
თვალ-წამწამნი გიშრის ფერნი,
იგი წარბნი – გველთა სახე,
კილნი თეთრნი, გამჭვირველნი.
მწყლავენ ფერხნი, წვრილ-კეკულენი,
ნახეთ მათი ცქრიალ-სვლანი!
ერთობ კარგნი ნაზი ხელნი,
ბროლის დარნი, მჭვრეტელთ მკვლენი.

— ბარჯაქი თამაზ (1963)

დაიბადა სოფელ ითხვისში (ჭიათურა). 1980 წელს დაამთავრა ჭიათურის პირველი საშუალო სკოლა, 1985 წელს – თსუ-ს მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1982-85 წლებში სწავლობდა თსუ-ს საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტზე. მისი პირველი ლექსები გამოქვეყნდა 1977 წელს. მას შემდეგ პერიოდულად იბეჭდება ქვეყნის თითქმის ყველა სალიტერატურო გამოცემაში. 1987 და 1991 წლებში გამოიცა მისი კრებულები („გამთრის ფერები“, 1991), 2002 წელს კი „ქაღალდის ნაღვი“. თამაზ ბარჯაქი ეწევა მთარგმნელობით მოღვაწეობასაც.

ცისშემქანწველნი

ცისფერყანწველნი,
თქვენი ჯიშის ვარ,
დიდი გყოფილით ნათესავებო!
წლებში გამტეხა სულის შიშიშილმა
და ლამის ცოდვის გბაში ჩავეფლო...
რა მაცდური და რა ბელზებელი,
ღროება ძველი ქარმა წაიღო...

თქვენს ცისფერ ორდენს როგორც შეჰყვები,
 გულის ძახილი უნდა გამიგოთ,
 უნდა მისმინოთ ძმებო-მხედრებო,
 რომ მეც ლამაზად მოგკვდეთ თქვენსავით...
 სხვა სიკვდილისთვის ნუ გამიმეგებთ,
 დიდი ტკივილით ვარ ნათესავი!

– **ბასილი**

XI საუკუნის პოეტი ჰიმნოგრაფი, რომლის შემოქმედებიდან შემონახულია აკროსტიქული ხასიათის საგალობელი: „ღმერთმშემოსილსა უფთიმეს გლახაკი ბასილი შეამკობს“. ტექსტი მოთავსებულია 1074 წელს გადაწერილ ხელნაწერში; კორნელი კეკელიძე ამასთან აღნიშნავს, რომ ეს საგალობელი უფრო ადრეა შექმნილი, ვიდრე დაიწერებოდა გიორგი ათონელის იოანესა და ექვთიმეს „ცხოვრება“; ამდენად ყველაფრიდან ჩანს, რომ ავგორი XI საუკუნის მწერალია.

– **ბასილი საბანინიძელი**

VIII-IX საუკუნეების ქართველი მწერალი, ჰიმნოგრაფი. მოღვაწეობდა პალესტინაში, შესაძლოა, თვით საბა განწმედლის (წმიდის) ლავრაშიც. მისი ჰიმნოგრაფიული თხზულება „დასდებულნი მამისა საბაასნი“ შეგანილია X საუკუნის სინის მთის ხელნაწერში. დასდებლის კიდურწერილობაა „ბასილი“. ავგორს გამოუყენებია საბა განწმედლის „ცხოვრება“, რომელიც ქართულად VII საუკუნეში უნდა იყოს თარგმნილი.

– **ბასილი ხანძთელი**

IX საუკუნის ქართველი საეკლესიო მოღვაწე, ჰიმნოგრაფი. მოხსენიებულია გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. ყოფილა გრიგოლ ხანძთელის დედის მსახურის შვილი. აღმარდა ხანძთაში, სადაც ერთხანს გრიგოლს მეჯინიბეობას უწევდა („კარაულსა მამისა გრიგოლისსა ხელიდა“), შემდეგ კი ხანძთის წინამძღვარი გახდა. გარდაიცვალა პარეზში, მიქელ პარეზელის საფარში. ბასილი ხანძთელის აკროსტიქული

საგალობლები შესულია მიქელ მოღრეკილის ჰიმნოგრაფიულ კრებულში.

– **ბასლანიძე აზა** (1949)

დაიბადა სოხუმში. დაამთავრა სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებელი. მუშაობდა სოხუმის პირველ სამუსიკო სკოლაში პედაგოგად და კონცერტმასიგერად. ხშირად იბეჭდება ქართულ პერიოდულ პრესაში, მისი ლექსები შეგანილია საბავშვო პოეზიის ანთოლოგიაში. გამოცემული აქვს საბავშვო პოეზიის კრებულები: „ჯადოსნური კიბე“ (2009), „მხიარული ფიქრები“ (2013), „თეთრი ღრულები“ (2014).

* * *

ხმაწკრილაა წვიმის ფარდა,
 ოქროსფერად აელვარდა,
 და ჯეჯილის ლორთქილ ყანას,
 თითქოს უვლის განდაგანას!
 სულ კისკისით ჩამოირბენს,
 ცელქი წვიმა ლამაზ ქუჩებს.
 დააწკურებს მარგალიტებს,
 ხეივანს და ვარდის ბუჩქებს!
 იქით სახლზე, აქით სახლზე,
 მესმის თითქოს დოღის ხმაზე,
 სიცოცხლით და ლხენით სავსე,
 ცეკვავს წვიმა სახურავზე.

– **ბაქარ ქართული** –

იხილეთ ყიფიანი დიმიტრი.

– **ბაქრაძე ვაჰ** (1976)

დაიბადა ხაშურში. სწავლობდა ხაშურის მე-9 (ყოფილი 25-ე) სკოლაში. დაამთავრა OI ს.შ.ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. ლექსების წერა 10 წლის ასაკში დაიწყო და მისი პირველი კრებული 1987 წელს გამოიცა. შემდეგ – კიდევ ექვსი პოეტური კრებული. ამჟამად არის არის ლიტერატურულ-შემეცნებითი ჟურნალ „გზაჯვარედინის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი.



მერი
ბარნაბიშვილი



ვასილ
ბარნოში



თამაზ
ბარჯაძე



აზა
ბასლანიძე

* * *

ჩემს საჯალ ბილიკს ბურუსი მოსავს,
არ ვარ არცერთი კარის პოეტი!
დამივიანდა, ეგყობა, მოსვლა,
ანდა ძალიან ადრე მოვედი!
წარსული ისევ წარსულში ჩარჩა,
შეაცვდა ფარჩა სიმშრის მანტიებს,
ამ ჰორიზონტზე საშველი არ ჩანს...
და ის ბავშვობაც არ მაპატიებს!..

— **ბაქრაძე ელენე** (1897-1979)

ელენე დარიანი

დაიბადა თბილისში. მისი პიროვნება დღემდე საიდუმლოებითაა მოცული. ცნობილი პოეტის, ცისფერყანწელთა ორდენის წევრის, პაოლო იაშვილის შემოქმედებაში არის 14 ლექსი, რომელიც „დარიანული ციკლის“ სახელწოდებითაა გაერთიანებული. ბოლო დრომდე მიიჩნეოდა, რომ ეს პაოლო იაშვილის ლექსები იყო, სადაც პოეტი იშვიათი ნიჭითა და შემოქმედებით, გრანდოზოზობით სიმუსკით აღწერდა „ქალურ“ ერთიკულ გრძობებსა და სასიყვარულო განცდებს. მოგვიანებით აღმოჩენილმა საარქივო მასალებმა ცხადყო – საიდუმლოებით მოცული ელენე დარიანის უკან რეალური ადამიანი, ცისფერყანწელთა თანამედროვე და პაოლო იაშვილის ახლო მეგობარი ელენე ბაქრაძე იდგა. „ცისფერყანწელთა“ არქივით დასტურდება, რომ ელენე ბაქრაძე იცნობდა და მეგობრობდა არა მხოლოდ ამ დაჯილდოების წევრებთან, არამედ კონსტანტინე გამსახურდიასთან, გრიგოლ რობაქიძესთან, ვალაკიონ ტაბიძესთან. ელენე ბაქრაძე მეგობრებისგან და მეუღლისგან განსხვავებით რეპრესიებს გადაურჩა. დიდი ხნის განმავლობაში იგი პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა, იყო ლიგერაგურის ინსტიტუტის თანამშრომელი.

წმინდა ანა ანტიპოპისა

მე მინდა ვითხრა სამშობლო,
რომ ბლოკი მოკვდა!
ხანდახან ჩუმი და მძინარი
მეცა ვარ ბლოკთან.
ჩამოდი ჩემთან, მე მეგონია,
ვიქნებით დები:
თუ პეტერბურგის აგონია
გიყვარს და ვცდები.
თბილისის მაღლი და მშვენიერა
გიშველის, ვიცი.
ორივეს ერთად გვეჩვენება
წასული პრინცი.
შენ დაღალული გიბანია

სხეული ნისლში
ჩვენი ქვეყანა ისპანია
არი ივლისში.
მე ცოცხა მიცნობს: სხვანაირი
მეწვია ბედი,
შენთვის საჩუქრად მაქვს დაირი
და ოქროს გედი.
ჩვენი მზე, ჩვენი მხარე ლურჯი
ლოყებს ავინთებს;
აკოცე შენი ცივი ტუჩით
თამარის თითებს.

— **ბაქრაძე იოსებ** (1850 – 1987)

დაიბადა სოფელ არბოში (გორი). პირველდაწყებითი განათლება გორის სასულიერო სასწავლებელში მიიღო, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1870 წლებიდან იოსებ ბაქრაძე სისტემატურად აქვეყნებდა ლექსებს, თარგმანებსა და წერილებს ქართულ პრესაში: „დროებაში“, „ივერიაში“, „მოამბეში“, „მნათობსა“ და „კვალში“. მის კალამს ეკუთვნის ჰაინეს ლექსების თარგმანიც. სწორედ მისი თარგმნილია ჰაინეს ლექსი „ახ ტურფაჲ, ტურფაჲ“, რომელსაც დღესაც მღერიან და ბევრს ქართული ლექსი ჰგონია. დაკრძალულია პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

ჰაინეს ჰაინე

თარგმნა იოსებ ბაქრაძემ

ტურფაჲ, ტურფაჲ! რას უყურობ,
მოაცურე ჩემსკენ ნავი,
მთადად დაფსხელი და ვუყუროთ,
როგორ არხევეს ნავს ნიაჲ.
ნურას ჰჳიქრობ ჩემმედ ავსა,
გულს მხურვალედ ჩამეკარი,
თუ რომ შენს თავს ანლობ მღვასა,
მე რაითა ვარ უნდობარი.
მაგრამ გულიც ხომ მღვა არის,
ხან ჰღელავს და ხან მშვიდდება.
და ძვირფასი მარგალიტი
იმამიაც იმალება...

— **ბაჩანა** (1866 – 1928)

ნამღვილი სახელი და გვარი – ნიკოლოზ რაშიკაშვილი, ვაჟა-ფშაველას ძმა. დაწყებითი განათლება ჩარგალში მიიღო, ხოლო შემდეგ მშობლებმა მიაბარეს გორის საოცტაგო სემინარიაში, სადაც მისი უფროსი ძმა ვაჟა-ფშაველა სწავლობდა. გორის საოცტაგო სემინარიის დამთავრების შემდეგ (1885) მასწავლებლობდა ვეჯინში, 1890 წლიდან კი – ბარისახოში, ხეც-

სურეთის პირველ სკოლაში. მწერლობა 80-იან წლებში დაიწყო. ბაჩანას პოეზიაში მთის ხალხთა ზეპირსიტყვიერებისა და ქართული კლასიკური მწერლობის (განსაკუთრებით უფროსი ძმის, ვაჟა-ფშაველას) დიდი გავლენა შეინიშნება. მისი შემოქმედების თემატიკას იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა განსაზღვრავდა. ლექსებში „ნაგვრა“, „გყის სიმღერა“, „მუსხა“, „ვინა სიტყვა საქართველოზე“ და სხვა. ბაჩანა სიმბოლურ-ალეგორიული სახეებით ვაღმოსცემდა სამშობლოს მძიმე მდგომარეობას, რაც განაპირობებდა მის ლექსთა ელეგიურ ტონს („ოცნება პატიმრისა“, „გზაბანუელი“). მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ბუნებას. პოემაში „თაღლაურა“ (1884), „ნანაის სიმღერა“ (1889), „საფრთხე“ (1891) პოეტი მთიელთა ყოფა-ცხოვრებას აღწერს; პოემა-რომანში „წაწლობა“ (1919-1924) ფშავის თემის ზოგიერთი წესჩვეულების დრომოჭმულობას ააშკარავებს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

* * *

ვინა სიტყვა საქართველოზე,
 „ეჰ არის ლომი კვდებოი,
 ჩაუხდა ბედის ვარსკვლავი,
 მალე მზეც გაუქრებაო,
 თავს დასგრიალებს ყორანი,
 დასხავის ზედიზელაო?!“
 თვალთამც დაპზბარვენ ყორანნი,
 გამაგრდი, ქართველის დედაო!
 ბევრმა გვიქადა კვლავაცა,
 ბევრმა იუხნა ესაო,
 ბევრმა გვიკრიჭა კბილები,
 ჩუმაღ ფრანგული ლესაო.
 ცულად წაუხდათ ქაილიო,
 ვერრას გამოჰრჩნენ ვეფხესაო,
 ლეკვები წამოეზარდნენ,
 მგრებმედ ილესენ ბწკლებსაო,
 გამოდით, ქართველის შვილებო,
 ერთად შეენივითდეთ ძალები,
 წაივდიეთ მგრებმედ რისხვითა:

ბევრი გვიმართებს ვალები,
 დაჲ, სულ გავწყდეთ, რა ვუყავთი,
 დაჲ, დამიწდეს მკლავები:
 დეღანი დავვიგტრებენ,
 ცრემლებს დაჰღვრიან ქალები,
 საფლავს არ შეძრწუნდებიან
 ჩვენთა წინაპართ ძვალები.

— ბაგიკაძე კახა (1977)

დაიბადა თბილისში. დაამთავრა 30-ე საშუალო სკოლა, შემდეგ კი ოსუს ფილოლოგიის ფაკულტეტი. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1995 წელს გაზეთ „ქედაგოგიაკაში“, ხოლო შემდეგ ხშირად იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში. არის ბევრი კრებულის თანაავტორი შემოქმედებით ჯგუფ „მღვართან“ ერთად, რომლის ერთ-ერთი ძირითადი წევრი და ხელმძღვანელი არის იგი. მისი მთავარი წარმატებები სწორედ ამ ჯგუფის მოღვაწეობას უკავშირდება.

რუსთაველი

მე პოემით ვარ შეპყრობილი,
 როგორც იესო – ჯვარცმის სურვილით;
 მაღალ ზეცისკენ თვალაპყრობილი,
 სამყაროს მღვრამდე, ვიცი, სულ ვივლი,
 სანამ არ ვნახავ უფლის სამყოფელს;
 კოსმიურ შუქთა დიად გალღებში
 გულს უკვდავების ფიქრი ამკობდეს...
 მე მსურს შეეხედო უფალს თვალებში... -
 ეს ნაგვრა, თითქოს, სიმზარს ეღრება,
 და სული რჩება სიმწუხარეში...
 ვარ კვლავ ზეცისკენ თვალაპყრობილი,
 ისმის მთებიდან თეთრი ხმა – ყინვის,
 შეხედეთ, – თავად იესო მაღგამს
 მე პოემიის ეკლიან გვირგვინს!..
 ვგრძნობ: პოემით ვარ შეპყრობილი...

— ბაქალა თამაზ (1959 – 1987)

პოეტი და დრამატურგი. დაიბადა სოფელ ნახუნაოში (მარტვილი), 1975 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა. 1975-80 წლებში სწავ-



მკა ბაქრაძე



მელენე ბაქრაძე



ოსხეშვილი



ბაჩანაშვილი



ბაგიკაძე

პარიზული სონეტებიდან

II. ვიქტორ ჰიუგოს სახლ-მუზეუმი

ვით სალოცავი წმინდა გაძარი, თავისუფალი ერის დიდება, მიზიდავს შენი მყუდრო სახლ-კარი, რაც შენი სახე თვალ-წინ მიდგება. ტკბილო მგოსანო! ბაღი ნარნარი წინ მოედანზე კობტად იშლება; შენთ უკვდავ გმირთა მწყობრი ლამქარი თითქოს დარბაზში ცოცხალი სდგება... მიყვარს სახსოვარ საგანთა მზერა, კედლით გადომცქერ სარათით შეფრქვევა და შენი ჩანგის იღუმალ ეღერა. გრძნეულის ჰანგით ძალდა მეწევა განუწყვეტელი შენი სიმღერა და ციურ ნამად გულზე მეფრქვევა.



გიორგი გიგაური



რამაზ გიგაური



ლავიით გივივილი



მელიტონე გოგონია

— **ბიოგრაფიული ლექსი**

ისილე გორგენელი.

— **ბიოგრაფიული იაკობ** (1840-1912)

დაიბადა სოფელ ვარიანში (ახლანდელი გორის რაიონი), ღარიბი მღვდლის ოჯახში, 1861 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, შემდეგ კი — კიევის სასულიერო აკადემია. სამშობლოში დაბრუნებისთანავე (1864) იგი თბილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად, ხოლო 1968 წელს მის ინსპექტორად დაინიშნა. 1874 წელს იგი, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, თანამდებობიდან მოხსნეს. იაკობ გოგებაშვილი დაუღალავად იბრძოდა საქართველოში სახალხო სკოლების შექმნა-დამკვიდრებისათვის. მას დიდი დავაწლი მიუძღვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებასა და საქმიანობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სასკოლო სახელმძღვანელოები: „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მისწავლეთათვის“ (1865); „ბუნების კარი“ (1868); „დედა ენა“ (1876), რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებასა და დამკვიდრებაში და რომელთა პრინციპებზე შედგენილი ქართული სკოლების დაწესებით კლასებში ამჟამად მოქმედი ქართული ენის სახელმძღვანელოები. გოგებაშვილი ქართული საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებელია. მის მოთხრობებში დიდაქტიკური ელემენტები რეგულარულად ერწყმის მხატვრულ რეალიზმს, მისი მხატვრული შემოქმედების ძირითადი წყაროა ქართული ფოლკლორი. ცნობილია მისი მოთხრობა „იავანანა რა ჰქმნა“ (1890). თავისი საბავშვო მოთხრობებით მწერალმა დიდი ამაგი დასდო საყმაწვილო ჟურნალებს: „ნობათს“, „ჯეჯილსა“ და „ნაკალუს“. იაკობ გოგებაშვილი არ იმურებდა სახსრებს სახალხო განათლებისათვის. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ სიკვდილის წინ მან მთელი თავისი ქონება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა.

მოწვევა სწავლაზე

ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი,
 დაურჩი დედაშენსაო;
 საქმე რომ არა გქონდეს რა,
 ჩამოიბრინე ჩვენსაო;
 გადგიშლი წიგნსა პაგარას,
 მეუ მოგიჯდები გვერდსაო,
 გასწავლი წერა-კითხვასა,



იაკობ გოგებაშვილი

არაკებს გეცვი ბევრსაო;
 გიმღერებ და შენც გამღერებ,
 ლექსებს გასწავლი ძველსაო

— **ბიოგრაფიული** (1979)

დაიბადა თბილისში. დაამთავრა 1-ლი საშუალო სკოლა, შემდეგ — თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. არის მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელი. ინგლისურიდან ქართულად ნათარგმნი აქვს არაერთი პოეტიკური და პროზაული ნაწარმოები მისი თარგმანებით და სტატიები დაბეჭდილია შემდეგ გამოცემებში: „არილი“, „ახალი საუზვე“, „ინდიგო“, „აფრა“, „ქართული მწერლობა“.

შპრონ ოლდსი, „პრიმიტივი“

თარგმნა **დალილა გომიამ**

მსმენია

ცივილიზებული ადამიანების შესახებ,
 მათი ქორწინება მოიცავს დახვეწილ,
 გულწრფელ და გონიერულ საუბრებს.
 მე და შენ კი ვეღურები ვართ.
 პარკით ხელში შემოღობიარ
 და უსიცივოდ მაწვდი.
 სურნელით ვხვდები — ხორცის Moo Shu,
 გზავნილიც მესმის: წუხელ
 გასიამოვნე. ჩუმად ვსხედვართ,
 გვერდიგვერდ, ვგზამთ გრძელ მაჭკაბებს.
 აქა-იქ ცომი სკდება, ხორცი ვარდება,
 სურნელოვანი სოუსი იწუწება.
 ერთმანეთს აღმაცნობ ვუყურებთ,
 უხმოდ. ჩვენი თვალის კუთხეები
 იმ ორი შუბის წვეგებივით ლაპლაპებს,

პარმალზე რომ დევს, იმის ნიშნად,
რომ აქ მეგობარი მეგობრის გვერდითაა.

— გობიაშვილი კუკური (1912 –1984)

დაიბადა ქუთაისში. 1928-1930 წლებში სწავ-
ლის პარალელურად მუშაობდა ქუთაისში თეა-
ტრში; სხვადასხვა დროს იყო თელავისა და
თბილისის მოზარდ მაყურებელთა და თოჯინე-
ბის თეატრების მსახიობი და დრამატურგი; ამავე
დროს ჟურნალისტურ საქმიანობას ეწეოდა. მისი
პირველი ლექსი, „შოთას“, გამოქვეყნდა 1934
წელს, ხოლო პირველი საბავშვო წიგნი „თინი-
კოს მამალი“ – 1940 წელს. მას ეკუთნის საბ-
ავშვო ლექსების, პოემებისა და მღაპრების კრე-
ბულები: „აბლი-ბაბლი“ (1961), „ვინ დალუპა აფრა-
სიონი“ (1964), „პაპა გიგო“ და სხვა.

* * *

- ვინ უფრო გიყვარს, გოგია?
 - ის, ვინც ბევრ კანფეტს მომიტანს!
 - ვინ უფრო გიყვარს, ხათუნა?
 - თოჯინა თვალგებატულა!
 - შენ ვინაა გიყვარს, ირა?
 - ვინც ნაყინს მაჭმევს ხშირად!
 - შენ, ჩემო ცუგრუქელავ,
 - ვინ უფრო გიყვარს, ლლა?
 - ჩემი ჭადარა ბაბუა
- სულ მირჩევნია ყველას!

— გობიაშვილი ნინო

იხილეთ *დეკანოზიშვილი ნუციკო*.

— გობიაშვილი შალვა

იხილეთ *კარმელი შალვა*.

— გობიაშვილი ღაპითი (1968)

უსეველიძე – დეფი.

დაიბადა თბილისში. 1992 წელს დაამთავრა
თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის
ფაკულტეტი, 1998 წელს – გოეთეს ინსტიტუტის
ენის შემსწავლელი კურსები. მუშაობდა გაზეთ-

ებში, რადიოში, ტელევიზიაში. ტელეკომპანია
„მეორე არხში“ დააარსა საავტორო მედია-
პროექტი „მეRA“. ლიტ. ნაწარმოებების შექმ-
ნა 25 წლის ასაკში დაიწყო. არის მთელი რიგი
პოეტური პერფორმანსებისა და აქციების სულ-
ისჩამდგმელი და მონაწილე. 2008 წელს ლვო-
ვის საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივა-
ლზე განახორციელა პოეტური პროექტი „ოსე-
რვაგორია“, 2010 წელს გამოვიდა მისი პოემის
აუდიოალბომი „დაფიონი Supernova Domine“. არის ავტორი პოეტური კრებულებისა: „მურმ-
უხტი და საფირონი“ (2005), „სამკაული“ (2007),
„იქ“ (2008).

* * *

ბინდია. ფერღობს ნახირი არწევს,
ნაბიჯების ხმა არ მესმის
და სადაცაა ჩრდილს მზე წააქცევს,
საღამოს წვიმა თავს მესხმის.
ელვამ იმკრთალა. ცას ელდა ეცა,
საწვიმარივით გაჩნდა იღვა,
მეცის ნატეხი მთაზე დაეცა
იქ სამოთხეა, იქ სიმშვიდეა.
წვიმის სურნელი აორთქლდა,
ჩვილი რომ წამოიგირებს,
მთას უნდა ნისლის გამოთქმა,
დუმს, ძილ-ბურანში გიგვივებს
და იღუშება სივრცე – უღვეი,
ნახირში კამეჩი დნავის,
არც ვარსკვლავები, ღრუბლები,
თითქოს ცა დაჭკნა ღამით.
დაჭკნა და წამში აყვავდა,
სიოც სუნთქვებად ვიხმარე,
ჭალამდე ჩრდილი ჩამყვა და
მთვარეში ამოვითხვარე.
მნათობთა ფიქრი თავს მესხმის,
დახუნძლულია მაფხულის დამე,
თითქოს მუსიკა ჩამესმის,
როცა ფრთოსნები ნაბიჯებს დგამენ.



დალილა
გობია



კუკური
გობიაშვილი



ღაპითი
გობიაშვილი

– **ბიოგრაფი** (1870 – 1908)

გიორგი ალექსის ძე ყაზახაშვილი.
ქართული პრესის თანამშრომელი, პედაგოგი, პოეტი. ლექსებს ბეჭდავდა „ივერიაში“, „ცნობის ფურცელში“ და სხვა. პეკერბურგში სწავლისას დაახლოებული იყო ივანე ჯავახიშვილთან, და სხვებთან; მონაწილეობდა ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს კულტურულ საქმიანობაში.

სურათი

ფიქრსა შავები ჩაიცო,
თავმანდილ ჩამაეხია,
მოთქმით გმინავდა, ხან სჭეხდა,
როგორც უღრანში მეხია.
წინ ედგა გირიფის სახლი*,
შიგ გულის ვარდი ჩნდებოდა,
თავს დახსნაოდა ყორანი,
ლიბოში გველი ძვრებოდა.
ცით მოწყვეტილი ვარს კვლავი,
ობოლი ცრემლით სჩიოდა,
მეც შევცქეროდი: ობოლი
ცრემლი მეც ჩამომდიოდა.

**გირიფის სახლი* – ხალხურ პოეზიას კუბო წარმოდგენილი აქვს, როგორც გირიფის სახლი.

– **ბიოგრაფი** (1879 – 1943)

პოეტი, სოციალ-დემოკრატი.
ეწეოდა აქტიურ ჟურნალისტურ საქმიანობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა საგირულ ჟურნალ „ეშმაკის მათრახში“, გარდა ამისა, იგი წერდა „მათრახში“, „მათრახი და სალამურში“, აგრეთვე, გაზეთ „კვალში“. 1902 წ. მისი ლექსები ცენზურამ აკრძალა, თუმცა სხვადასხვა გამოცემებში („საამეროვო ლექსები“, „ქნარი“, „საქართველოს კალენდარი“) სშირად იბეჭდებოდა ისინი. აქტიურად იყო ჩაბმული პოლემიკაში ილია ჭავჭავაძესთან და მის მომხრეებთან. მუშაობდა ბათუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში მონაგარიშედ.

* * *

დაე ვიწვავო, დაე დარდებმა
შსამ-მმარ-ნაღველმა შეი პყრონ გული;
დაე, აბნიონ ცრემლნი თვალებმა,
დაე, ნუ მწყალობს მე სიხარული!
დაე, ვიკნესო, დაე ლხენასა
ნუ ვედირსები, ჩავიდე შსამში,
განჯვით უშივიარ ქვეყნად დედასა,
განჯვით მოხილი ჩავალ საფლავეში!
დაე, მეხვიონ მგერნი მარადის,
მე არ გაეხდები უკუქცეული,

ვიბრძოლებ მედგრად მათთან,
სანამდის არ ამომხდება განჯული სული!
მე ამ ბრძოლაში გულს გამიმძაგრებს
და გამამხნევეს ტკიბილი ოცნება,
რომ მომავლის ბედს რამეს შემეგებს
ჩემი შრომა და ჩემი ეოდება.

– **ბიოგრაფიანი ჟუმაჟი** –

იხილე *ღებელი ჯუბა*.

– **ბიოგრაფიანი გაგა** (1978)

დაამთავრა თბილისის 55-ე საშუალო სკოლა. არის სამი პოეტური კრებულის ავტორი.

ნიოსტეტი

ღრიალით სცემენ ქარნი ღამაღებს,
ქარნი ძლიერი და უბრალონი,
ნამიან მკერდზე თავი დავადე
აისს და პირშიშო მშეს ბიალონი
გადასძვრა ისე ვით ასულს კაბა,
ტყეებზე კონცის მლოკავს ლენების,
მე ისევ ფიქრებს ვისრუტავ ხარბად
და ვფიქრობ რთულად მოვიძებნები
დავთარში ხეჭვად გარდაქმნილ ყოფის,
რადგანაც სხვა მაქვს გზები სავალი,
რაც გამაჩნია ისედაც მყოფის
და რასაც წამგლეჯს იყოს ალალი
ღრიალით სცემენ ქარნი ღამაღებს,
ბუნებაც ახლა გრიგალს უგალობს,
ბოლოს უბრალო ლოდი დამადეთ
და დააწერეთ "კაცი უბრალო"

– **ბიოგრაფიანი ნიჟო** (1970 – 2010)

დაიბადა თბილისში. 1992 წელს დაამთავრა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტი. მუშაობდა თავისუფალი თეატრისა და გრიბოედოვის სახ. რუსული დრამატული თეატრის მსახიობად. გადაღებულია ბევრ ფილმში. ლექსების პირველი კრებული 2001 წელს გამოვიდა. სულ გამოცემული აქვს ხუთი პოეტური კრებული.

* * *

ღრო ყველაფრის მკერნალია,
ოლონდ ჩემი – არა.
საოცარი უნარია დარდი წარა-მარა.
რასაც ვფიქრობ, გადმოვივსნი
უმარტივეს ლექსად,
წარსულს ვათრევ ჩემი კისრით,
ვერ ვიმორებ ვერსად.
როცა მოხუცს ვხედავ ვინმეს,
მახსენდება პაპა.

ცა, ვარსკვლავებს რომ ჩაიბნევს –
 ღელანქემის კაბა.
 ცის ცრემლებზე მახსენდება
 მე სიგყვები მამის...
 ღვინო სანამ გამეხსნება,
 მეც ავტირდე ღამის.
 ღამე სმაში მათენდება,
 ღამეკარგა ღერძი...
 კიდეც რა არ მახსენდება,
 კიდეც რას არ ვებრძვი.
 საოცარი უნარია დარღი წარა-მარა.
 დრო ყველაფრის მკურნალია,
 ოღონდ ჩემი – არა...

– **გომიავიზილი ალექსანდრა** (1911 –1997)
 დაიბადა სტეფანწმინდაში. 1933 წელს დაამთავრა ოსუ. 1938-1940 წლებში იყო ჟურნალ „მნათობის“ პოემის განყოფილების გამგე; 1929 წელს ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსი „მთის ბალადა“, 1931 წელს – პირველი პოეტური კრებული „ამხანაგმა მთამ აიღო სიგყვა“; ომის თემაზე დაწერილი აქვს ლექსები: „საქართველო, ხელი ხმალს იკარ!“ (1943), „დასაწყისი განთიადისა“ (1946), „მშვიდობის ჯარისკაცი“ (1950); პოეტურ კრებულთაგან აღსანიშნავია: „ანდემიტის სიმღერა“ (1932), „ლექსები“ (1933, 1937, 1978), „ღარიბი“ (1940), „ლექსები და ბალადები“ (1960).
 დაკრძალულია დიუბუის პანთეონში.

ბავბასი

სად ღარიბი სრავს მოგონებას
 და თერგი იბრძვის დაჭრილ ვეფხვივით,
 იმღინი თქმულა მასზე პოემა,
 რამღვინც არ აქვს კავკასის გრეხილი.-
 იღუნებიან „მთანი მაღალნი“,
 მოლოდინში რომ იღვწენ ზვიადად,
 ხევიდან მოდის ნაღმის ნაღარის
 ხმა, და მთა - გორი შეაბრიალა.
 მოხვევების მხრებზე ნაშენი
 აქ წარმოება სულ წინ მიდისო...

ბველ მთას არა აქვს თავის საშველი,
 მოსჭერიტი კლდენი ანდემიტისო!
 მოსჭერიტი კლდე და გულისფიცარი
 მოსხუც ხევესურის სამშობლოსა,
 რა უყუთი მერე, კლდენი ქვისანი
 თუ ღალღუმების ხმაში მოისრა.
 მოსჭერიტი კლდენი! - ნაღმის ხმეხია.
 გამოვიარეთ სხო და ქოსელი.
 ეს - ყაბბეველი მოხვევინია,
 ის კიდეც - ქვეების მიღელი ოსები!
 მოხვევების მხრებზე ნაშენი
 აქ წარმოება სულ წინ მიდისო...
 ბველ მთას არა აქვს თავის საშველი,
 მოსჭერიტი კლდენი ანდემიტისო!
 მოსჭერიტი კლდენი - გაღბბუველი
 კავკასიონის თითირი თიოსი!
 მოდის კლდეებში ნაღმის გუგუნით
 გამარჯვებული პრომეთიოსი.

– **გონავიზილი მავკალა** (1959)

დაიბადა სოფელ არბოშიკში (დღეღფლისწყარო). 1976 წელს დაამთავრა თბილისის 77-ე საშუალო სკოლა, 1981 წელს – ოსუს ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. 1990 წელს დააფუძნა ახალგაზრდა მწერალთა ასოციაცია „გულანი“. რედაქტორობდა 1995 წელს დაარსებულ ინგლისურენოვან შემეცნებით-გასართობ საყმაწვილო გაზეთს „ჰელოუ, ბებიი“. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი. 2004 წელს აირჩიეს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ. მისი პირველი ლექსები და მინიატიურები 1968 წლიდან იბეჭდებოდა საყმაწვილო ჟურნალ-გაზეთებში, გამოქვეყნებული აქვს კრებულები: „ყაყაჩოების კოცონი“ (1985), „მშის ცრემლი“ (1987), „მე თქვენ მიყვარხართ“ (1990), „სალოცავი ჩემი, საფიცარი ჩემი“ (1994), „სახეები და სახელები“ (1999), „მახილი“ (2001), „გუმბათებიდან მშის მაღლი ჟონავს“ (2003), „მართალს ვიგყვი“ (2006), „აქედანა და თქვენამდე“ (2009), „მვე შინა“ (2010) და სხვა.



გაგა
გომართვლი



ნიგო
გომვლაური



ალექსანდრე
გომიავილი



მავკალა
გონავილი

* * *

არა მარგოლენ მამულის, ანდა, არა მარგოლენ წინაპრის ვალთ საქართველოში ათგბის მხელია იყო პოეტი და იყო ქალი. ეს იმას ნიშნავს, რომ ცალი ხელით აკვანს არწევდე, სად სხივი ჩადგა, ხოლო მეორით კეშავდე ძველი მეტაფორებით გაცვეთილ ფარდავს, იყო ერთგული ცოლი და დედა, თანაც ფეხდაფეხ სდო ქარამოგს, ეს იმას ნიშნავს, ვით ცეცხლს ფარვანა სიკვდილს ბავშვივით შეეათამაშო და სხვა კეკლევი ქალების დარად არ შეგისრულდეს ნაგვრა აროდეს, არ იყოს ვინმე სიმარგოვიდანი შენს დასახსნელად მოუხაროდეს ეს იმას ნიშნავს არ წაიხოქო, სანამდის ძალა გიდვას მუხლებში, ეს იმას ნიშნავს, იყო ქალღმერთი კაცის და მიწის მიმე უღელში. არა მარგოლენ მამულის, ანდა არა მარგოლენ წინაპრის ვალთ, საქართველოში ათგბის მხელია იყო პოეტი და იყო ქალი.

– **პორტრეტული პანაპანე** (1921–1996)

დაიბადა თბილისში. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. 1948 წელს დაამთავრა ოსუს-ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1944 წლიდან დაიწყო ლიტ. მოღვაწეობა; 1947 წელს გამოაქვეყნა პირველი წიგნი „სიცოცხლის ტალღები“; მისი კრებულებიდან აღსანიშნავია: „გზა მთებში“ (1956), „მთელი გულით“ (1959), „გზები და მწვერვალები“ (1965), „ცეცხლი და ყვავილი“ (1969), „ყაყაჩოები არაგვის პირას“ (1976).

* * *

გამაფხულის მერცხალი ვარ, შორი გზიდან ნიავქარმა მაგარა, ნუ დამიშლი, შენს ლოყაზე ბუდე მინდა გავიკეთო პაგარა. ხედავ, გაშლილ მთებს და ველებს გამაფხული ყვავილებით ქარგავს, სხვა რა გითხრა, ჩემო კარგო, სიყვარულის და სიმღერის გარდა.

– **პორტრეტული პანსო** (1895–1973)

დაიბადა სოფელ ზედა ილეშში (მესტაფონი). 1915 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და სწავლა განაგრძო კიევის უნივერსიტეტში, საიდანაც გაიწვეა სამხედრო სამსახურში. 1916 წელს დაამთავრა პეტერბურგის სასწავლებელი, თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და შევიდა ახლად გახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. 1922 წელს ვასო გორგაძემ სანდრო ცირეკიძესთან, ნიკო ლორთქიფანიძესთან, ჯაჯუ ჯორჯიკიასთან და სხვებთან ერთად ჩამოაყალიბა საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილება; დააარსა ჟურნალი „უქიმერიონი“. 1924 წლიდან იგი მუშაობდა თბილისში, ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1914 წელს ჟურნალ „ჯეჯილაში“. ავტორია რამდენიმე ლირიკული კრებულისა: „უქსარესი“, „მიწა და ფოლადი“, „ორბის სიჭაბუკე“... თარგმნა ნიკოლოზ ნეკრასოვის ლექსები და პოემები, აღუქანდრე ბლოკის „თორმეტი“, ოსური ხალხური ეპოსი „ნართები“ და სხვა.

დამამდი (ღანღმუფტი) უბრლო, სუფთა ღანღმუფტი სოფლის, (ეგზოტიკური უცხო მორგანა), დარიბ ჩარჩოში სახე ღვთისმშობლის, დაუვიწყარი, ვით „ღონა ანა“. ცა – ჭორფლიანი მთვარით ნახური, გვერი – დაგვილ ღალის გვირთებით, საღამოს სერზე გაშლილი ბური და ვაზის რგობე – მწვანე კვირგები. ნისლეუბის საბანს მთეო იცილეს, ჭაღებში ძროხებს ჰშიათ ალერდი, ებოში ქორი აფრთხობს წიწილეს, ბარგყეს ახარებს დედის ალერსი. მარგლიან სიმინდს მაშაკაცები, ქანაობს ზანგად მაღალი ყანა. მზე გადისხება! და აღტაცებით ისმის ჩიგების წმინდა ოსანა.

– **პორტრეტული ზურაბ** (1937–2006)

დაიბადა სოფელ ხალაში (ქობულეთი). დაწყებითი განათლება მიიღო სოფელ გორგაძეებში 1944-1948 წლებში. 1956 წელს დაამთავრა ხალას საშუალო სკოლა და იმავე წელს გახდა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, რომელიც დაამთავრა 1961 წელს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა პიონერთა და მოსწავლეთა პარკში ქართული ენისა და ლიტერატურის წრის მასწავლებლად. 1963 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ჟურნალ „ჭორხის“ სარედაქციო


საბჭოში მხატვრულ რედაქტორად. 1961 წელს გამოვიდა მისი პირველი წიგნი „ნელი სალამური“. ავტორია პოეტური კრებულებისა: „დიდი თვალები“ (1964), „ლირიკული პოემები“ (1969), „მღვიმეანი აკრეფილი კენჭები“ (1970), „ლექსები“ (1973), „სინაზე“ (1977), „ლირიკა“ (1979), „მოფერება“ (1984) და სხვა. მისი ლექსების ძირითადი თემატიკაა სიყვარული, აჭარის ისტორიული წარსული და პოეტის მშობლიური კუთხის მკვიდრთა სულიერი სამყარო. პოეტის სიცოცხლეში გამოიცა 16 წიგნი, ხოლო გარდაცვალების შემდეგ კიდევ სამი.

* * *

შენ რომ ქუდი შემობრუნე,
 შენ რომ გული მომგაცევი...
 აწი რაღაი, ქედნიმხარში
 ვეღარ შეგელომკაცები.
 ნეგაი იმ დროს, განხერგალავ,
 ლენკარით თუ ბოკელათით,
 სათიბში რომ შეგისწრებდი,
 მვინებში რომ მოგბელავდი.
 ნეგაი იმ დროს! შენს წამწამებს
 რომ სცვიოდა ია მთების,
 აწი გულის კუკულებზე
 ვეღარ დაგინიავლები.
 დეიმრდება, დეიყივდება,
 ი, ჭიორაი ჭუჭულები,
 მე კი ყირმიზ ყურისძირში
 ვეღარ ჩეგუფურჩულები.
 კედლისკენ მაქვს პირი ახლა,
 კედლებს ჩხვერენ ქორბულები,
 ღმერთმა იცის, სასიკეთოდ,
 შენსკენ თუ გადმოვბრუნდები,
 ვაიმე! - რაფერ გიბერდება,
 და... რაფერ გინათესავდება.

— გორღუნიანი მიხეილ (18?? – 1919)

ფსევდონიმი – აბულაძე.
 დაიბადა თელავში. მის მიერ ხალხურ კილოზე დაწერილი ლექსების თემა იყო მუშათა მძიმე



ცხოვრება, გაუნათლებლობა; მის პოეზიაში მნიშვნელოვანია პატრიოტული მოტივი; 1893 წლის 24 ოქტომბერს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა მისი ლექსი „ჩიტი“; გამოცემული აქვს ორი კრებული: „სამშობლო ანუ ლექსთა კრება“ (1881), „ლექსნი“ (1893); 1880 წელს გაზეთ „დროების“ ცნობით მას განუმრავლავს „არჩილიანის“ გამოცემა, მაგრამ უშედეგოდ.

მეფემსი

ღუმელს მოუცავს მთა, ბარი,
 სუყველა მიწაზეგულა!
 საბრალო მწყემსი ობოლი,
 მას დარღობს, დაღონებულა...
 მას სალამური გაუხდა
 ნაშთი სამშობლოს იმედი;
 მით გაიქარვეს გულის დარღ,
 იქნებ განუქროს შავბედი.
 ნუ ფიქრობ, მწყემსო, საბრალო,
 რომ ბედით დაჩაგრული ხარ,
 თუ გულსა ნახავ ჩათხრობით,
 იმისი მომლხენიცა ხარ...
 მეც შენთანა ვარ, მით ვიცი,
 და ვუკრავ ჩემთვის საღამურს,
 დაუუკრავ, თუგინდ ვიცოდე,
 არც რას ვნახავდე საამურს.

— გორღუნიანი გურამ (1970)


დაიბადა სოფელ ჭრებალოში (ამბროლაური). 1987 წელს დაამთავრა ჭრებალოს საშუალო სკოლა. 1988 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ აქტიურად იყო ჩართული ეროვნულ




ვახტანგ ვორგანელი



ვასო გორგაძე



მიხეილ გორღუნიანი



გურამ გორღუნიანი

მოდრობაში. გარკვეული წვლილი მიუძღვის ქართული ჯარის ჩამოყალიბებაში. სწავლობდა საქართველოს ღია უნივერსიტეტის უნივერსიტეტში. იურიდიულ ფაკულტეტზე. იბრძოდა საქართველოს გერმანიული მილიტანტობისათვის სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. 1995 წელს დაპატიმრებული იყო პოლიტიკური ნიშნით, ცრუ ბრალდების საფუძველზე, ლექსების წერა დაიწყო პატიმრობისას, 26 წლის ასაკში. ცხიდან განთავისუფლდა 1999 წელს. 2004 წელს იყო ამბროლაურის კულტურის განყოფილების გამგე. 2009 წელს – გაზეთ „საქართველო XXI“ მთავარი რედაქტორი. 2010 წელს დაინიშნა ამბროლაურის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორად, სადაც მუშაობს დღემდე. არის ხუთი პოეტური კრებულის ავტორი: „არა გაქვს სადარდიანო“, „უშუშებული მეწვის იარა“, „მე ის ვარ...“, „მშის გენია“, „აღუღებული ცრემლით დაგხატე“ (2017), „ოდესღაც“ (2019).

აღუღებული ცრემლით დაგხატე
მ.ა.ს

ეს იყო შიში შენი დაკარგვის,
სიკვდილზე მეგად უფრო ვერაგი...
მიბრუნდებოდა ამპარტავენა,
როგორც მახვილი და ბუმერანგი...
ათას საფიქრალს ცეცხლი ეკიდა,
იფერფლებოდა ჩემი სახატე...
და, როგორც მერი გალაკტიონმა,
აღუღებული ცრემლით დაგხატე!..
მამის შეგნიშნე შენი დიდება,
მოკვდავისაზე უფრო ღიადი,
ვიგრძენი ჩემი სიპატარავე,
რამაც გაფანტა ჩემში წყვილიადი!..
მინდა დავიდე მუხლზე ვედრებით,
სისხლად და ხორცად რაკი გიწამე...
შემომღიმილე მშის მცხუნვარებით
და შენით სნეულს... სულში მიწამლე!..
სულში მიწამლე და მიმკურნალე
შენ, ანგელოზის შუქით მოსილო...
მარადისობის კალაპოტივით...
შენი სინათლით რომ მოვიცინო!..
ათას საფიქრალს ცეცხლი ეკიდა...
იფერფლებოდა ჩემი სახატე...
და, როგორც მერი გალაკტიონმა,
აღუღებული ცრემლით დაგხატე!..

— პორტრეტი (1995)

ლევან გოგაბერიძევილი - ფილოსოფიის ბაკალავრი, პოეტი, არტ-კრიტიკოსი.
დაიბადა ვანის რაიონის სოფელ ზედა გორა-

ში. 2009 წელს დაამთავრა ზედა გორას არასრული საშუალო სკოლა (9 კლასი), 2013 წელს – შუა გორას საჯარო სკოლა. 2018 წელს დაამთავრა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი და სექტემბერში სწავლა განაგრძო ამავე უნივერსიტეტის მაგისტრატურაში ფილოსოფიურელიგიის კვლევების მიმართულებით. ეწევა სამწერლო-სამეცნიერო მოღვაწეობას. ცხოვრობს ქუთაისში. საზოგადოებრივ-კულტურულ პროექტებში აქტიურად ჩაერთო 2014 წელს და გაავა გოგრიჭიანთან ერთად დააფუძნა პოემის ჯგუფი „ედელვაისი“, რომელმაც 5 წერი შედიოდა. ჯგუფმა 10 თვე იარსება და ამ დროის განმავლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქუთაისის ლიტერატურულ განვითარებაში. 2016 წელს გამოაქვეყნა ლექსების კრებული „არსებობის ედლოსი“. იბეჭდება სხვადასხვა ლიტერატურულ და სამეცნიერო პერიოდიკაში. 2018 წლის ბოლოს გამოაქვეყნა ორი წიგნი: წერილების, სექციისა და მეცნიერულ კვლევების კრებული – „ატარაქსია“ და მოთხრობების კრებული – „ფაიუმის პორტრეტი“; ამავე წლის დასაწყისში, დააფუძნა მეცნიერულ-ლიტერატურული ჟურნალი „აფინაქი“ და მისი მთავარი რედაქტორია.

არსებობის ედლოსი

გათენდა, შევა შეიმოსა სისხლისფერ გილოდ,
ავებდით დღეთა პერსონაჟად იქნა სიკვდილი.
ღმერთი ეძახის აღმანს: მომენდე, შვილო,
მომენდე, რათა აგარიდო სულის გკივილი.
მივარდნილს საღდაც.

მაწანწალად ქცეულ ღვთისმშობელს,
მე დავინახავ უღარდელი, ძალზედ მაძდარი,
თვალს ავარდებდ, მოწყალეების ფიქრებს ვიმორებ...
შენ, დიღო ღმერთო, თუ მიყურებ, ჭკუას გასწავალი!
აუხსენელია ჩვენი ყოფის ყველა რაობა,
მიზანს ვისახავთ, უსასრულოდ მივდივართ შორეთს.
არარსებული მითოსივით ქრება თაობა...
მოვა სიკვდილი და სიცოცხლე უმწუროდ გვეგოვებს.
გარდასულ დროთა მოგონება იმონებს აწმოს,
გექმნილი ღმერთი დავგისახავს ნათელ მომავალს?
გუმინ მესიმბრა, შემოქმედი თურმე „კარგს აწყობს“,
ირონიულად ამაყია, თან ქმნის მონახაზს.
სიცოცხლე ჩვენი, ამ მცირე ხნით მაინც გვეთმობა,
თქვენ, მოკვდავებო, შემოსხვით ცხოვრების ნავებ...
აბსტრაქტულია ამ ცხოვრების ავბელითობა,
სრულყოფილი კი არავინ არს ამქვეყნაზე!
ნუ ვეშინებით ღვებგურად შექმნილ სიუჟეტს
და მოკვდავები ჩვენი თავის ვავბედით მესია;

მარადისობა დავინახოთ ამ სიცოცხლეში...
ეს უბადრუკი არსებობის ეილოსია.
გათენდა, ზეცა შეიმოსა სისხლისფერ გილოდ,
ავებლით დღეთა პერსონაჟად იქცა სიკვდილო.
ღმერთი ეძახის ადამიანს: მომენდე შეილო,
მომენდე, რათა აგარიდო სულის გკივილი.

– **გოგია სოლომონ** (1880 – 1908)

დაიბადა თელავში. 1897 წელს დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი „კვალში“; 1905-1907 წლებში რევოლუციის პერიოდში მიიქცია ყურადღება სამოქალაქო და პოლიტიკური ხასიათის ლექსებით, რომლებსაც აქვეყნებდა ფსევდონიმებით: „სოლ. გ-მე“ და „ს. განწირული“; წერდა პიესებსაც; მისი პიესა „კიდევ ბნელა“ (1901) ცენზურამ აკრძალა; 1900 წელს ჩამოაყალიბა დრამატული დასი, რომელიც კახეთის რეგიონში სპექტაკლებს ღვამდა; ასევე მართავდა ლიგერატურულ სადამოებს, ხოლო შემოსავალს საქველმოქმედო საქმეს ახმარდა.

* * *

შეკრთა სუსხი... შავი ნისლი
უფსკრულს კენ მისრიალებს...
ჰა, დრომ დაჰკრა სანეტარომ
და მამთარიც ხუჭავს თვალებს!
ცას შეხედე, იქ კიდურმედ
მზე, მნათობი მძლავრი სხვიით,
მთის მწვერვალზედ დიდსა დროშას
აელვარებს ალმასივით.
რა კარგია! გაზაფხული
თოვლ-ყინულის ბორკილს ამტვრევს,
განახლებას ჰგრძნობს ბუნება
და სისარულს მით ჩვენც გვამცნევს!...
თავისუფლად სით დაჰქრის
მინდორ-ველის მახარობლად;
სხივ-ნაგყორცი იის ბუნქივ
ვარდს შესცინის ცრემლ-ქვეშ თლად.
არე-მარე რომ ბიბინებს, –
ეს სიცოცხლის ნიშანია,
მჩაგვრელ ნისლის დამარცხება



ლგგია
გორკვანწლი



მლა
გორგიაშვილი

მისი ნატვრის მიმზანი.
ამიგომაც შავი ნისლი
უფსკრულს კენ მისრიალებს,
მამთარი თრთის სულთ-მობრძავი,
სამუდამოდ ხუჭავს თვალებს.

– **გორგიაშვილი ლა** (1959)

დაიბადა სოფელ გურჯაანის სოფელ ვანნა-დიანში, დაამთავრა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, იბეჭდებდა 1985 წლიდან. ავტორია წიგნებისა: „მწუხრი მშვიდობისა“ (1989), „ფრაგმენტები ანამნეზიდან“ (1996), „პარასკევი ჩემი დღეა“ (2003), „მამამანი“ (2005), „მათქმევი, ღე“ (2010), „ცხოვრებაგაუმტარი“ (2014).

* * *

შენ რომ იბრალე, იმაში
არ გავიცილიან ჩირს;
გასწი ეგ ბოღმა, შენს გამრდას,
მე საკმარისად მჭირს.
„არა გჭირსაა?“ – დამჭყვივი,
ჩახმასს მოსინჯავ ნელიად;
მეტი რა უნდა მჭირდეს,
გული ისეთი ძნელია...
ეს ფუფუნება მაინც მაქვს,
ამსოფლიური, მჭირს:
შენ რომ დგახარ და მიმიზნებ...
მე რომ ვდგავარ და მჭირს...
„არა გჭირსაა?“ – ექოებს
გადააქეთ კილით კიდე;
მიყვარს, შე მართლა რკულდალო!
მეტი რა უნდა მჭირდეს!
„არა გჭირსაა?“ – ხორცს იჭამ,
მურით ითხუნი პირს;
ეგლა მაკლია, გადავრჩე!
საბედნიეროდ, მჭირს!..

– **ბრანწლი გერგანი** (1897 – 1934)

ნამდვილი გვარი – კვირკველია.
დაიბადა წალენჯიხაში, ღარიბი გლეხის სამსონ კვირკველის ოჯახში. დედა ხუთი წლისას გარდაეცვალა. სამსონმა ცოლად შეირთო ღარია მეზობიას ქალი, რომელიც მეტად სათნო დედინაცვალი გამოდგა. გერგანის ორი და ჰყავდა - მამო და ზოზია. დედინაცვალს განსაკუთრებით გერგანი ჰყვარებია. მორწმუნე ღარიას ხშირად დაჰყავდა პაგარა გერგანი წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიაში, კვირის წირვებზე. ამ თბილი დედაშვილური დამოკიდებულების ნიშნად პოეტმა სონეტი უძღვნა დედინაცვალს. მიუხედავად მაგერიალური ხელმოკლეობისა,



ტამარქანტი გვანცაძე

მშობლებმა შვიდი წლის გერენგი წალენჯიხის სოფლის სასწავლებელში მიაბარეს. სკოლაში „მოწაფეთა მეფეს“ ეძახდნენ. წიგნების სიყვარული გერენგის გაუღვივა მუგვილის მამბრაში საყოველთაოდ ცნობილმა მწიგნობარმა იაკობ შანავამ. პირველად მის ბიბლიოთეკაში ეზიარა მომავალი პოეტი კლასიკური ლიტერატურის შედევრებს. გერენგი სწავლასთან ერთად საოჯახო საქმიანობაშიც სიბეჯითეს იჩენდა: სკოლიდან მობრუნებული გვიან დამეძღე იჯდა მამის სახელოსნოში და წაღებს კერავდა. უბედურმა შემთხვევამ, როცა ოჯახს სახლი დაეწვა, გერენგი მეექვსე კლასიდან მოსწყვიტა სწავლას. 1918 წლიდან ცხოვრობდა თბილისში, მუშაობდა რკინიგზაზე, გაზეთების რედაქციებში. სწავლობდა შალვა ნუცუბიძის მიერ თბილისის უნივერსიტეტთან დაარსებულ კურსებზე, რომელიც ცნობილი იყო „ნუცუბიძის კურსების“ სახელით. ეს სასწავლებელი, რომელიც სრული გიმნაზიის უფლებებით მოქმედებდა, გერენგი გრანელია დაამთავრა 1920 წელს. შემდეგ თბილისშივე დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა (1917-1918). გრანელის ლექსები ხასიათდება სევდითა და მისტიციზმით (კრებულები: „სამგლოვიარო ხაზები“, 1921; „სულიდან საფლავები“, 1922; „Memento mori“, 1924; „გერენგი გრანელი“, 1926). 1927 წელს თბილისში გამოიცა ერთჯერადი გაზეთი „გერენგი გრანელი“ და მას შემდეგ მას თითქმის არც ერთი გაზეთი არ უბეჭდავდა ლექსებს; მასზე დაიწყო მეწოლა პროლეტარმა პოეტებმა და მთელმა სისტემამ. 1930 წელს იგი მოათავსეს სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, საიდანაც გამოიქცა და თბილისში „არამიანცის“ საავადმყოფოში გარდაიცვალა, დამარხეს პეტრე

პაულეს სასაფლაოზე, ხოლო შემდგომ 1987 წელს გადაასვენეს დიდუბის პანთეონში.

* * *

ავად ვიყავი, წუხელ ვკვდებოდი, ახლა მიგონებს ალბათ ზოზია. გალაკტიონში არის ღემონი და ჩემში უფრო ანგელოზია. ყოველდღე ვიღებ ძვირფას ბარათებს, ბაღში მივიდივარ, ეს ღლე ცივია. გალაკტიონში მიწა ანათებს და ჩემში უფრო მეცის სხივია. შორს ქარი კივის, ახლო მტერია, ახლა დამღება, შვიდია სრული. გალაკტიონში ლურჯი ფერია და ჩემს ლექსიდან მოჩანს უფსკრული ავად ვიყავი, წუხელ ვკვდებოდი, ახლა მიგონებს ალბათ ზოზია. გალაკტიონში არის ღემონი და ჩემში უფრო ანგელოზია.

— ბრიგალაშვილი ნოდარ (1958 – 2014)

დაიბადა სოფელ ყვიბისში (ბორჯომი). 1980 წელს დაამთავრა ოსსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. იყო ოსსუ-ს ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ასისტენტი; 1981 წელს მესიის სკოლა-ინტერნატის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; 1981-1987 წლებში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და 1-ლი საშუალო სკოლის პედაგოგი; 1984-1988 წლებში – აღმანახ „კრიტიკის“ განყოფილების გამგე; 1987-1990 წლებში – გამოქვეყნების მთავარი რედაქტორი; 1990-1998 წლებში – გაზეთ „საქართველოს“ მთავარი რედაქტორი; 1998 წლიდან – „ახალი საქართველოს“ მთავარი რედაქტორი და ჟურნალ „ცისკრის“ სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე. 1999-2003 წლებში არჩეულ იქნა ბორჯომის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატად. 2008-2013 წლებში იყო საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი. ავტორია ლექსების კრებულის „აღსავლის კართან“ (1987), ლიგ-



ნოდარ ბრიგალაშვილი

ერატურულ-პუბლიცისტური წერილების „სამ-
წუხარო პარალელები“ (1988).

ვ ა ლ ი


ვაკებო, ვისაც გაქვთ გული
და გულში ღაფა სმიანობს,
ვალია, ჩვენი მამული,
რომ ჩვენვე გავამთლიანოთ.
არწივო, ღონემისდილო,
არ დაჰყვე ყორნის ნებასა,
შენ მირჩენისხარ, სიკვდილო,
სოფლად ღაჩრულად გღებასა.

— ბრიშაშვილი იოსაბ (1895 – 1965)

ნამდვილი გვარი – მამულაიშვილი.

საქართველოს სახალხო პოეტი.

დაიბადა თბილისის უძველეს უბანში, ხარფუხ-ში. სწავლობდა თბილისის ქართულ გიმნაზიაში, თუმცა სწავლების კურსი არ დაუმთავრებია. მუშაობდა სტამბაში შეგირდად, შემდეგ თეატრში – სუფლიორად. 1906 წელს საკუთარი და სხვათა ლექსებისაგან შეადგინა და გამოსცა კრებული „ვარდის კონა“. 1907 წელს გამოსცა ლექსების მომცრო წიგნი „ფანტაზია“, სადაც უმთავრესად ქალაქური ყოფა და პოეტის ინტიმური განწყობილებებია წარმოსახული, თუმცა სოციალური პრობლემებისაღმე ცხოველი ინტერესიც შეიმჩნევა. 1909 წელს თანამშრომლობა დაიწყო გაზეთ „ივერიის“ რედაქციასთან. 1909-10 წლებში გამოსცა ლიტერატურული აღმანახები: „ძალა“, „გუშავი“, „606“. 1910 წელს გამოვიდა მისი საგრფიალო ლექსების კრებული „ოცნების კონცა“. გრიშაშვილის პოემების ძირითადი მოტივი ქალაქური ბოჰემური სულის გამოძახილი იყო; იგი გამოირჩეოდა პოეტურ სახეთა სიახლით, მისი ნიჭი სრულად გამოვლინდა თბილისური ყოფის კოლორიტული სურათებით აღსავსე ლექსებში: „გრიოლეტები შეითანბამარში“ (1918), „აშჰაშხანისკენ“ (1920), „გამოთხოვება ძველ თბილისთან“ (1925). შემდეგაც არაერთი ლექსი უძღვნა თავის სათაყვანებელ ქალაქს. იოსებ გრიშაშვილი XX საუკუნის ქართული ვერსიფიკაციის ერთ-ერთი რეფორმატორია; მისი ლექსების ორიგინალური რიტმი და რითმა, შთამბეჭდავი პოეტური გროპები, ოსტატური ბერწერა შედმიწვევით გამოხატავს პოეტის იდეურ ჩანაფიქრს. გრიშაშვილმა დიდი ამაგი დასდო ქართული საბჭოთა საბავშუო ლიტერატურის განვითარებას (ციკლი „თქვენთვის, ჩემო პატარებო“, 1923-1960). მას ეკუთვნის ფრიად საყურადღებო გამოკვლევები ლიტერა-



იოსაბ ბრიშაშვილი

ტურისა და თეატრის პრობლემებზე. ქალაქურ ფოლკლორზე, აშუღურ პოეზიაზე, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია: „საიათნოვა“ (1914-1918), „ძველი გფილისის ლიტერატურული ბოჰემა“ (1926-1927), „ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა“ (1940). ფასდაუდებელია გრიშაშვილის მიერ შედგენილი მრავალათასსიგყვიანი ქალაქური ლექსიკონი. იოსებ გრიშაშვილმა ქართულად თარგმნა და გამოსცა ჰოვანეს თუმანიანის „რჩეული“, აგრეთვე იგან კრილოვის იგავეები, შირვანზადეს, მირზა ფათალი ახუნდოვის, კოსტა ხეთაგუროვის, ანა ახმაგოვას, ნაზიმ ჰიქმეთის და სხვათა ცალკეული ნაწარმოებები. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

* * *

რად ავიხიერ არხივი
სულის და გულის მღაღველი
ან რაღა ვმრომობ ამდენსა,
განა ცოტა მაქვს ნადველი?
მინდა ავეცლქდე ვით უწინ
მაგრამ რომ არა მცალია?
სოსო, რა კარგი დღე არის!
სოსო, რამდენი ქალია!
რად ვეჭიდები ამ გუჯურებს,
ან ცხრა თავიან დევებსა,
ერთ კარგ რითმაში არ გავცვლი
მე ამდენ გამოკვლევებსა!
ჰაერში ოქრო ლივლივებს,
მთებზე - მურმუხსტი, ლალია...
აფსუს, რა კარგი დღე არის!
აფსუს, რამდენი ქალია!
საღა ხართ ღამამზანებო,
მოდით, დამათვრეთ ბუნებით.

ამივსეთ გუქის ყულაბა
მაგ კონცის უმაღლუნებით.
თორემ ვბერდები... და გულმაჲ
ლოდინის შხამი დალია.
ჰაუ, რა კარგი დლე არის!
ჰაუ, რამდენი ქალია!

– ბრუზინსკი პატრამ

იხილეთ ბავრბაციონი-გრუმინსკი პ.

– გუბუაშვილი ბორის (1935 – 2010)

დაიბადა ბაქოში. დაამთავრა ბაქოს ქართუ-
ლი სკოლა. სწავლობდა თბილისის პოლიტექნი-
კურ (მაშინ – რკინიგზის) ინსტიტუტში. 1966
წლიდან დაბრუნდა საქართველოში საცხოვრე-
ბლად. წერდა ლექსებს, მოთხრობებს, პიესებს,
სიმღერებს. 60-70-იან წლებში მისი რამდენიმე
ლექსი გამოქვეყნდა ქართულ პერიოდიკაში,
მაგრამ საბჭოთა ცენზურასთან შეურიგებლო-
ბის გამო თანდათან შეწყვიტა გამომცემლობე-
ბთან თანამშრომლობა და სცენიდან საჯარო
კითხვის ფორმატი არჩია. თუმცა მის საჯარო
გამოსვლებსაც ხშირად სდევდა ხმაური და ოფ-
იციალური წრეების უკმაყოფილება, რასაც, ძირ-
ითადად, მისი საგირულ-იუმორისტული ლექსე-
ბი და იგავები იწვევდა. არის რამდენიმე მუსი-
კალური ფესტივალის ლაურეატი, ავტორი-შემ-
სრულებელი სიმღერებისა „ყირამალა დუქა-
ნა“, „ქეგახეთილა“, „ოცი შვილი“, „მე სიღღრის
ჭირუკა“ და სხვა, რომლებსაც ახლა სხვადასხვა
მუსიკალური ჯგუფები ასრულებენ. ლექსების
კრებული „შვიდი უღელი გავცვით“ გამოიცა
მისი გარდაცვალების შემდეგ. ამჟამად გამო-
საცემად მზადდება მისი რომანი.

მერე

მერე, როდესაც არაფერი დაბრ იქნება,
ან, უფრო სწორად, მე არ ვიქნები,
მეც თუ დახვავადე თაროებზე მგვრიან წიგნებად,
ან არც მე ვიქნე და არც წიგნები;
...რა არის გლოვა, ან სიგვეები ფოფინ-ფოფინა?


და, საერთოდაც, არავისგან არაფერს ვითხოვ,
როგორც ჩემამდე არაფერი არა ვყოფილვარ,
ისე ჩემს მერე არაფერი არ მიხდა ვიყო.

– გუბუაშვილი ნინო (1961)

მუსიკოსი, მწერალი, პოეტი
დაიბადა ბაქოში. დაამთავრა თბილისის ი.
ჭავჭავაძის სახ. უნივერსიტეტი, ასევე – აუდიო-
ვიდეო მონტაჟის სკვლეა. პირველად მისი მო-
თხრობა („ხოლო“) დაიბეჭდა „პენმარათონის“
პირველ კრებულში 2001 წელს. მისი ლექსები
და მოთხრობები გამოქვეყნებულია პერიოდულ
გამოცემებსა და სხვადასხვა კრებულებში. არის
რამდენიმე ლიტერატურული და მუსიკალური
პრემიის ლაურეატი, 3 პროზაული კრებულის,
რამდენიმე სპექტაკლის მუსიკის და ასობით სიმ-
ღერის (გექსგის და მუსიკის) ავტორი.

მილიონერი

მე რა ვიცოდი, რომ შრიალა ჩვენი ბალები
ისხამდნენ მარჯანის ალიბუხარს
და ოქროს ვაშლებს,
მე რა ვიცოდი, რომ ნიავეში ნაქანავები
ლურჯი ლაინის ხშირი ყანები
მარგალიტიან ტაროებით, შვების რგოებით
გვაპარაგებდნენ უფასოდ ბავშვებს.
მე რა ვიცოდი, რომ მიწის ქვეშ ჩვენი ჭურები
პირსავსე იყო ლალისა და ძოწის ლიცლიციით,
ცვიოდნენ მუქთად ემერალდის ხეჭუჭურები,
ენარცხებოდნენ მალაქიგზე კვარცხის სიცილებს,
სავსე მოჭონდათ ჭემათობს განძით ცურები,
დუღდნენ ქარვიან კრაგერებით ხაჭაპურები,
მე რა ვიცოდი - იდაყვებ და მუხლდაკემისილი,
ქანგისფერ გყავის ქალამნებში თომჩაჩნეული,
ბაბუაჩემი, ხელისგულზე-გადახეხილი
და მზიან შუბლზე თექიან-ქულ-გადაწეული,
რომ მოუძღოდა
განძეულით დაგვირითულ ურმებს –
მილიონერი ყოფილა თურმე...



ბორის
გუბუაშვილი



ნინო
გუბუაშვილი



ნინო
გუბუაშვილი



ნინო
გუბუაშვილი



ნინო
გუბუაშვილი

— **გუზუნაპა სიმონე** (1839 – 1909)

სიზმარი

დაიბადა სოფელ ძიმიტში (ოზურგეთი). 1889-1898 წლებში იყო ოზურგეთის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი; 1898 წლიდან – ლეჩხუმის მაზრის მომრიგებელ-შუამავალი; თანამშრომლობდა პერიოდულ გამოცემებში „დროება“, „კვლი“, „მწყეში“, „მოამბე“; 1893-1895 წლებში ამ ჟურნალებში ბეჭდავდა საკუთარ ლექსებს; მას ეკუთვნის რამდენიმე პოპულარული ლექსი, მათ შორის: „დედებნა“ (1893), „მოხუცის ანდერძი“ (1895), „ვეძღვენი მოსწავლე ქართველობას“ (1895). 1888 წელს გამოვიდა მისი პოემა „თამარიანი“, რომელიც გ. ი. რეუელიშვილის ისტორიული რომანის „თამარ ბატონიშვილის“ პოეტური გადამუშავებაა; პოემაში შეინიშნება როგორც შთა რუსთველის, ასევე ხალხური ზეპირსიტყვიერების გავლენა; „თამარიანმა“ დიდი პოპულარობა მოიპოვა (1888-1970 წწ. ათგმის გამოცემა). მისი მშითვეში წადება პრესტიჟული იყო, მოგვირთი ადგილი სიმდერად იქცა. გუგუნავას პობი იყო ჭადრაკის თამაში. დაახლოებული იყო აკაკი წერეთელთან, რომელიც ხშირად სტუმრობდა მას ნავთომარში. გარდაიცვალა ქუთაისში. დაკრძალულია იქვე. საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

* * *

მომეწყინა ცხოვრებაში
მუდამ წლების ანგარაში
არ მაკვირვებს მითქმა-მითქმა
და ვერც მაგკობოს ქება-ვიში
ვინც შამათს ვერ გამოკეთებს,
რას დავებებ - მითხრას ქიში,
ვიცი ხვედრი არ ამცდება,
სიკვდილისა არ მაქვს შიში.
სათნოებით საესე გული
გადამექება ვესლის წურად,
მით საწუთროც აღარ მინდა,
თავისთავს ვვრძინებ უბედურად

— **გუგუნვილი გარაი** (1951 – 1996)

პროფესიით მშენებელი-ინჟინერი იყო. წერა გვიან დაიწყო. მუშაობდა მთარგმნელობით კოლეგიაში. 1980 წლიდან მონაწილეობდა მრავალ ლიტერატურულ თუ პოლიტიკურ აქციაში, ბოლოს განმარტოებით ცხოვრობდა სოფელ დილოში, თავის აგარაკზე. სადაც 1996 წლის ადგომას თავი ჩამოიხრჩო. გამოცემული აქვს წიგნები: „დღე კაცისა“ (1990), „შენს გვერდით მდგომი ადამიანი“ (1991), „შენდაში, უფალო...“ (1992), „გმა განწმენდის“ (1993), „ხორცის მუზა“ (1993).

მას ვესიმბრებით
ვისაც ექვსი დღე უშრომია დაუზოგავად.
ათასობით წელი
მხოლოდ ჩვენთვის გასულა.
მას კი დადლილს ჩასძინებია...
მას ვესიმბრებით, შრომისმოყვარეს!
ათასობით წელი მხოლოდ ჩვენთვის გასულა,
წინაა დიდი ორშაბათი.
აღამი, ევა – და-ძმასავით, გაღაღებულნი
მიმობრიან ეღემის ბაღში.
მას ვესიმბრებით.
მხოლოდ ჩვენთვის კამკამებენ
ჭრული წუთები.
სხვანაირი კი იქნებოდა სიგყვის სიმზარი,
სინამდვილე რომ არ დაგვერქვა მისთვის?

— **გულაპარიხა ნიკოლოზ**

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1149-1178 და 1184 წლებში, გიორგი III-ის დროს; მწერალი და ფილოსოფოსი. იყო კათოლიკოს-პატრიარქის სვიმონ IV-ს ძმისწული. მისი პატრიარქად კურთხევა უნდა მოხდარიყო 1149 წელს. იგი პროგრესულად მოაზროვნე იყო და სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაციას ემხრობოდა. დაახლოებით 1178 წელს იგი კათალიკოსობიდან გადამდგარა და იერუსალიმში წავიდა. 1184 წელს ნიკოლოზ გულაპერიძე თამარ მეფემ იერუსალიმიდან მოიწვია საქართველოში საეკლესიო საქმეების მოსაგვარებლად. იგი მიზნულია ავტორად თხზულებისა „საკითხავისა სუგისა ცხოვლისა, კუართისა საუფლოსისა და კათოლიკე ეკლესიისა“. მასში აღწერილია საუფლო კუართისა და წმინდა ნინოს მიერ ქართველთა გაქრისტიანების ამბავი, აგრეთვე სვეტიცხოვლის ძეგლი და ახალი სასწაულთმოქმედება, რომელსაც ბოლოში დართული აქვს შესხმა „გისაროდენ“. გარდაიცვალა არაუგვიანეს 1190 წლისა.

— **გულური პასილი** (1971)

დაიბადა გორში. 1995 წელს დაამთავრა სტუდენტთა არქიტექტურის ფაკულტეტი. მისი პირველი თარგმანები სტუდენტობისას დაიბეჭდა გაზეთებში „მესამე გმა“ და „რუბიკონი“. თარგმნილი აქვს გუმბოლიუვის, ახმაგოვას, ახმაღლინას, ცვეტაევას, ესენინის, გუმნოვას, კი პლინგის, ქრისტინა ლავანტის (გაგა კოტრიკაძესთან ერთად) და სხვა ავტორების ლექსები. მის მიერ ქართულად პირველად ითარგმნა ჯეიმს ჯოისის ლექ-

სების კრებული „კამერული მუსიკა“. მისი საბავშვო ლექსები პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „დილაში“. გამოცემული აქვს კრებულები: „მელაკუდას მალაზია“ (2007), „ჩიტის მოჭანილი ამბები“ (2007), „ხუთი ამბავი ლექსად“ (2009), „საბავშვო ლექსები“ (2009), „ზოოპარკი“ (2011), „ციცქნა ციკოს ცისქვეშეთი“, (2013)

ბეკა ახმადუშვილი

აზნაუზური ღაპრკაღმა
თარგმნა ვასილ ბულუქუძე

ორი გოგო გეორგიებს ყრიდა გზაზე, შიგადაშიგ, გამომოგვით ერთობ, და ქალები საუბრობდნენ დაბალ ხმაზე: - ყვევილები რა ძვირია - ღმერთო... დაბაბული, ძრწოლით, შშითი სახე ქუჩა წინ მიმავალ ორ გოგონას უშმერს, რა საზარლად ფერმკრთალი და თეთრი მოჩანს ორი ხელი, დაკრეული გულზე. თან მოქიწნატი გვირგვინები მძიმე გვირგვინად, მოხუცებს კი გამოღობი ახლდათ. ყველაფერი, აგროვებდნენ რასაც მშობივად, გვირგვინებდა გადაიქცა ახლა. გაიმართა ქელები და მხოლოდ მაშინ გამოცოცხდა, ახმაურდა ხალხი, ხოლო ქალებს ცრემლი ეღვათ ისევ თვალები და ღაწვებზე დაჰყვინდათ თაღსი. მაგრამ სვამდნენ, სვამდნენ ჭიჭით, ფინჯით, თასით, მწუხარებას იქარებდნენ ოღნავ, მერე დიღხანს ჭაჭის სუნს იღვა გზაზე, სისხლისე ხმებსაც შეროდა. ჭირ-ვათამის ჯიბრით უკვე მალად ხმაზე სურდათ სულ სხვა სიმღერები ეთქვათ... დიდი ხნის წინ, მიაბარეს მიწას ასე ერთი გოგო, გიული რომ ერქვა.

— გულუა ღათა (1984 – 2003)

დაიდუპა ავტოგარისის შედეგად და მისი გარდაცვალების შემდეგ გამოიცა კრებულები: „დავბრუნდი თქვენთან“ და „მე მაინც მიყვარს ის სასწაული, თეთრი კვიცივით უცებ რომ გარბის“.

ცრემლის ორღინი

წვიმა მოვარდა, ბინდი მოყარა, სარკეებივით გზას დააფინა ვუბენი. ახალუხებში მოდიოდა ნისლის მყარია, პეიზაჟს ხატავს ციდან რუბენსი. ქარი გააპეს სილუეტებმა, წამით შეჩერდა ფოთოლთა ვალსი და ილუზიის ჭრელმა ეგლებმა ჩამოგვყვს ჩემთან, გატეხეს ნავსი. მარგალიტები მკერდს ჩამოგვლია,

სხეული გიგავს ზამთრის სასახლეს, თეთრი ღამისთვის რომ უყვფია, თვით ნევის პირას კოლონადებით, იღუმალებით, მეფის სამარეს.

— გუგაშვილი სულიანა (1944)

ქისტი პოეტი, ჩენჩეთისა და საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. დაიბადა სოფელ ჯოყოლოში (ახმეტა). ჯოყოლოს შვიდწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ბუთანის და წყალტუბოს რაიონის სოფელ ბროწეულას სკოლა-ინტერნატებში. 1963 წელს სწავლის გასაგრძელებლად მისაღები გამოცდები ჩააბარა ჩენჩეთ-ინგუშეთის რესპუბლიკის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. სტუდენტობის პერიოდში გახდა ჩენჩეთ-ინგუშეთის ჩემპიონი „თავისუფალ ჭიდაობაში“ და „სამბოში“. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, გარკვეულ პერიოდს, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ჩენჩეთის სხვადასხვა სკოლებში. 1970 წლიდან მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა და მუშაობა დაიწყო მაგნის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1979-1991 წლებში იყო სოფელ ომალოს საშუალო სკოლის დირექტორი, 1991-1995 წლებში კი სოფელ ბირკიანის საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობდა. 1999 წელს დაამთავრა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურა. 1999-2007 წლებში ლექციებს კითხულობდა ოსსუს სიღნაღის ფილიალში. 1995 წელს გამოიცა მისი ლექსების კრებული „ჩემო ჩენჩეთი“ (ჩენჩურ ენაზე), 2001 წელს იგივე კრებული გამოიცა ქართულ ენაზე. 2002 წელს გამოიცა მისი მეორე წიგნი (ლექსების კრებული) „ჩემო საქართველო“ (ქართულ ენაზე).

აზნაუზური

უძღვნი აფხაზ პოეტს – ვანი მერქანიანს თვალ-მარგალიტი, ეღმის ბაღი – მსგავსი არ ჰყავდა ძველად და ახლაც.



ღათა გულუა



სულიანა გუგაშვილი

ცად აგყორცნილი ამაყი მთები, რომელთაც ნოხად შავი ზღვა ახლავს. სადაც ყოველი ხილი რომ გვარობს და ჰაჳა ვახლავთ ძლიერ ჯანსალი, სადაც ყოველი კუხზე კუნჭული კურორტი არის ღმერთის ნასახი. სად ცხოვრობს, შრომობს აფხაზი ხალხი, ჯიშით და მოღვმით იბერიული, ნაშთი ქაშქების და აბშლების, სისხლით და ხორციით ძმები ქართული. როგორ მოვიდნენ უტველესიდან, რა არ გადახდათ ბრძოლებში მგერთან, მაინც შემორჩნენ, არ გადამენდნენ, შეიძლეს ყოფნა, ცხოვრება ერთად. ერთ ქვეყნად ოდეს გაერთიანდნენ, ჰქონდათ საერთო ღვინი და ჭირი, ამიტომ მგერი ძრწოდა და ცხროდა, მას აშინებდა ძმათა კავშირი. დღეს რაღა მოსდით, ძმებს ვინღა ურევს, რუსმა შემოჰყო ღინგი ბინძური, არ წამოვევით ჩვენი სხვის ანკესზე, გვესმას ქართული და აფხაზური. არ შეიძლება, აფხაზეთი რომ იყოს გარეშე საქართველოსი, ან საქართველო უაფხაზეთოდ – შვენება ჩვენი შიის და მღელოსი. მიყვარს აფხაზი და აფხაზეთი, მიყვარს ქართველი და საქართველო, ქისტი მზად არის ცხოვრობდეს მათთან, რომ ძმებს ამ ქვეყნად სულ ერთად გვევლო.

– ზ. მენიჟარია –

იხილეთ *ვილსკი ვრიგოლ*.

– გურამიშვილი დავით (1705 – 1792)

დაიბადა მცხეთის მახლობლად, საგურამოს ზემოთ, გორისუბანში, თავად გიორგი გურამიშვილის ოჯახში. პოეტის დედა, მშვეინარი, კახეთში ცნობილი თავადების, ვახვახიშვილთა ასული გურამიშვილთა წინაპრები ზვედგინიძეები იყვნენ (ისტორიულ წყაროებში XV საუკუნიდან მოიხსენიებიან), რომელთა ერთი შგო ქართლ-კახეთის სამღვარზე დასახლდა, წარმოშობით კი კახელი თავადები იყვნენ.

დავითს სიჭაბუკე თავის მამულში, საგურამოში გააგარა. შემდეგ მისი ცხოვრება გრაფიკულად წარმართა. ფეოდალური შინაპოლილობით დაუძღვრებული საქართველო, ირანისა და ოსმალეთის გამუდმებული ცილობის საგანი გახდა. ლეკთა თარეშს ბოლო არ უჩანდა. 1724 წელს

მეფე ვახტანგ VI დახმარების სათხოვნელად დიდი ამალითურთ რაჭის გზით რუსეთს გაემგზავრა. 1727 წელს დავითი ოცდაორი წლის ჭაბუკი იყო, როგორც ჩანს, ახლად დაქორწინებული. მისი მეუღლე, აზნაურ გარაყანიძეთა ოჯახიდან. საგურამოს რამდენიმე ათეული კილომეტრით დაშორებულ სოფელ ლამისყანის მკვიდრი ყოფილა. ლეკიანობის მიშით, გურამიშვილების ოჯახიც თავის მოყვრებს შეჭვარებია ლამისყანაში. მაგრამ ჩანს, რომ დაღესტნელი მთიარეშენი აქაც თავისუფლად აღწევდნენ. მკათათვის ერთ დღეს აქ დავითს ლეკები დასხმიან თავს. იმ დროისთვის გურამიშვილის მოყვრები გარაყანიძეებიც მკისათვის ემზადებოდნენ. მამითაღისათვის თადარიგის დაჭერა დავითს ღავლებია, რომელიც ორი კაცითურთ დილადანვე შესდგომია სამზადისს. მდინარე ქსნის ჭალაზე, სადაც მღებარეობდა გარაყანიძეების ყანა-მამული, ახლაც მოჩქეფს ანკარა წყარო. მუშახელის მოლოდინში დავითს იარაღი აუხსნია, იქვე მუხის ძირას მიუყუდებია და პირის საბანად გასულა წყაროზე... ეს მოხდა 1728 (თუ 1729) წლის ივლისში, დავით გურამიშვილი ლეკებმა შეიპყრეს და დაღესტანში, სოფელ ოსოქლოში ჩაიყვანეს. იგი გყველიდან გაიპარა და თავი შეაფარა თერგის პირის მცხოვრებ რუს ახალმოსახლებებს. 1729 წელს სოლალ-ასტრახანის გზით ჩავიდა მოსკოვში, სადაც ვახტანგ VI-მ მას ჯაბადარბაშის (იარაღის საწყობის უფროსის) თანამდებობა უბოძა. ვახტანგის გარშემო შემოკრებილ ქართველობასთან ერთად გურამიშვილი ინტენსიურ კულტურულ საქმიანობას ეწეოდა. ეს წლები მისთვის ნაყოფიერი გამოდგა. ფიქტობრივად აქედან იწყება გურამიშვილის ბიოგრაფია. ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ, 1737 წლიდან, სამშობლოში დაბრუნების იმედგაწყვეტილმა ემიგრანტებმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს. 1738 წელს მათ შექმნეს ქართველ ჰუსართა ასული, რომელიც შემდეგ პოლკად გადაკეთდა და მამულები მიიღეს რუსეთის სხვადასხვა პროვინციასა და უკრაინაში.

დავით გურამიშვილი 1738-1760 წლებში მონაწილეობდა ოსმალეთის, შვედეთის და პრუსიის წინააღმდეგ რუსეთის ლაშქრობებში, თავი ისახეულა ერთგულებითა და სიმამაცით. პრუსიასთან შეიღწიან ომში (1756-1763) დავით გურამიშვილი გყვედ შეუპყროით და 1759 ლეკებმარადე მჯდარა მაგდებურგის ციხეში. 1760 წელს მას, პოდპორუჩიკის ჩინის მქონეს, თავი დაუნებებია სამხედრო სამსახურისათვის და თავის მეუღლესთან,

ტაგინა ვასილის ასულ ავალიშვილთან ერთად, საბოლოოდ დამკვიდრებულა უკრაინაში, თავის მამულში, ქალაქ მირგოროდში, მას სოფელ ბუბოვკაშიც ჰქონია ადგილ-მამული. და სიცოცხლის დარჩენილი წლებიც უკრაინის იმ რეგიონში გაატარა.

1787 წელს, როცა უკრაინაში (კერძოდ, კრემენჩუგში) პოტიომკის კარზე იმყოფებოდა საქართველოს ელჩიონი ერეკლე II-ის ვაჟის მირიან ბაგონიშვილის მეთაურობით, გურამიშვილმა სასოებით გადასცა მას ერთადერთი პირმო – როგორც მან უწოდა თავის ლექსების კრებულს. სწორედ ამ ბედნიერი შემთხვევის წყალობით გურამიშვილის «დავითიანმა» გაიკვლია გზა მშობლიური ქვეყნისაკენ.

დავით გურამიშვილი გარდაიცვალა 1792 წლის 25 ივნისს (ძველი სტილით) 87 წლის ასაკში. მოგვიანებით აღმოჩნდა მისი სამარე და საფლავის წარწერაც. პოეტის ნეშტი დაუკრძალავთ ქალაქ მირგოროდის ღვთისმშობლის მიძინების

გაბარში. დავით გურამიშვილის პოეტურმა მემკვიდრეობამ სწორედ ზემოთხსენებული ერთადერთი ავტოგრაფიული კრებულის სახით მოაღწია ჩვენამდე. მისი პოეტური კრებული მრავალჯერაა გამოცემული საქართველოში.

გურამიშვილმა პირველთაგანმა უკუაგლო „აღორძინების ხანაში“ უკვე გაცემული „ყვავილოვანი“ პოეტური სტილი და სადა, ბუნებრივი მეტყველება გააბატონა, რითაც პრინცი პულად დაუპირისპირდა აღმოსავლური პოემის შემოქმედებას. საგულისხმოა, რომ სასულიერო ჰიმნების დამუშავებისას მან მარტივი, სასაუბრო ენა გამოიყენა და ამით ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადა ისინი. „დავითიანი“ ქართულ პოეზიაში ე.წ. „ეპროპეიმის“ დამკვიდრების სათავეებითან ღვას

გურამიშვილის პოეტური კრებული მრავალჯერაა გამოცემული. პირველად იგი 1870 წელს დაიბეჭდა, ხოლო 1955 წელს გამოქვეყნდა აკადემიური გამოცემა.

ბუბოვკიდან მომავალმან ვნახე ერთი ქალი,
მეგად გურფა, შევნიერი, მაზე დამრჩა თვალი.
შავ თვალ-წარბას, პირად თეთრსა ასხდა შავი ხალი,
მისმან ეშმან დაცამლეწა, შემომუსრა ძვალი.

ვკითხე: მშეო, სიღამ მოხვალ, ხარ სად წამავალი?
გეაჯები, მაცოდინე შენი გზა და კვალი;
შენთვის გული ქვით გარდმექცა, გახდა, ვით კლდე სალი.
მასხი წყალი, ღამიშრიგე, მე შენი მწვავს ალი.

ხმა გამოტყა, გაგულისდა, სიგყვა მითხრა ავი:
«აჲო კაცო, ვით გაბედე, შენ მე მითხოვე თავი?
ბუბუღლთ ნაცვლად ვარდ-კოკობმან რად დაგისვა ყვავის»
მით ავსტირდი, ცრემლი ვღვარე ზღვათა შესართავი.

ასე მითხრა: «ჩამომესუნ, გამეცალე, მარი,
არ მინდიხარ, არ მიყვარხარ, სხვა მყავს კარგი მყვარი, –
შენგან თვალად უკეთესი, ვაჲო-კაცი, ქმარი».
რა ეს მესმა, ჯავრით ცხვირსა წამედინა ძმარი.

მითხრა: «შენგნით ნუმცა მსმია სიგყვა მაგის მეტო».
აიღო და ღამიშინა თავში დიდი კეგი.
ღავრეცრეცდი, გარდავიქცე, დამეხვა რეგი;
შაგებრალი, თავს დამადგა, ვით ბნელს, ნათლის სვეგი.

რა მოვბრუნდი, დაიხარა, ხელს მომკიდა ხელი;
ამაყენა, ასე მითხრა: «რად შექნილხარ ხელი?»
მე მიუთხარ: შენთვის გახდი ასე ჭკვაზე თხელი,
შენ რომ მწუნობ, მით მეღების გულსა ცეცხლი ცხელი!



ღ ა შ ი ი გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი

მერმე ტკბილად დამიყოფა, კიდეც გამიცინა;
ასე მითხრა: «აქ ნუ ვსხედვართ, გენახოს არავინა.
ახლა ავღვეთ, ჩვენ წავიღეთ თავთავისთვის შინა;
კულაჲ საღმე ამოივლი, მე დაგზებლები წინა».

სად წავიდა, ვერა ვნახე ჩემი საყვარელი,
მან დამიგლო საიშედო სიგყვა სახარელი.
მე მის მონას ნუმც ამხლია მისგან საფარველი!
სად მიჭირდეს, მამეშველოს, სხვას აღარას ველი.

დამპირდა, თქვა: «კიდეც მოვალ», აწ მე იმას ველი:
მისთვის ვსგირი, ცრემლითა მაქვს უბე, კალთა სველი.
სიკვდილის დროს მე მის მეტი არავინ მყავს მშველი,
მან გამიღოს სამყოფისა კარი შესასვლელი.

იმ ჩემისა საყვარლისა სამსახური მსურსა,
აჰა, მისთვის გამიჯნურდა, გული მისთვის ხურსა.
იმედი მაქვს, რასაცა ვსთხოვ, მომცემს, არა შურსა,
უკვლავების წყალს მიბოძებს, ცხოვრებისა პურსა.

ღვთისგან ვითხოვ, არ გამყაროს მე მის სიყვარულსა,
სხვას უკეთესს ვის ვიშოფნი სიღამაზით სრულსა?
ჩემის სიყვარულისათვის სცემეს ხელშეკრულსა,
სახით ვხედავ ჩემთვის მკვდარსა სისხლით გაბასრულსა.

აწ შენ, ჩემო საყვარელო, იმყოფები სადა?
ქვეყნად შენგან უკეთესი მე არავინ მყვანდა.
ქვესკნელსა ვარ, ვერა გხედავ, მეგულვები ცადა;
გეაქები, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა!

— **გურგენიშვილი მამუკა** (XVIII ს)

ვახტანგ მეექვსის ლიგერატურული წრის წევრის, ირიცხებოდა მისსავე ამაღაში, რომელსაც 1724 წელს რუსეთში წავიდა და ცხოვრობდა მოსკოვსა და პეტერბურგში; დაახლოებული იყო ვახტანგ VI-ის თანმხლებ ემიგრანტ მწერლებთან: დიმიტრი სააკაძესა და დიმიტრი ბაგრატიონთან; მამუკას დიდი პოეტური მემკვიდრეობა არ დაუტოვებია, ჩვენამდე მოაღწია მისმა სამიოდე ლექსმა, რომლებიც გიორგი ავალიშვილის ანოთოლოგიამ შემოგვინახა, ერთ-ერთი მათგანია, მირიან ბატონიშვილის დაკვეთით დაწერილი, დავით გურამიშვილის მიხედვით შეთხზული ვრცელი ლექსი „მზეთა-მზე“, მასვე ეკუთვნის მირიან და დიმიტრი ბატონიშვილებსა და მისი მიძღვნილი ლექსები („იქმენ მშვიდ“ და უსათაურო სახობგო ლექსი), რასაც აშკარად ეგყობა დავით გურამიშვილის მეგავლენა; გარდაიცვალა მოსკოვში (პრესნაში).

მზეთა მზე (ნაწყევგი)

ეო, მეო, დავითს მივბაძეო,
გამიგონე, რას მოგიხსრობ, ყური მამიგდეო.
ყველას მოგწონდესთ შევებით
ჩემი მზეთა მზეო,
არაგინ არის სახითა მისგან უკეთეო,
დიდად არის საყვარელი, ჩემგან იყოდეო.
ასეთი შევნიერია კილით-კიდეძლეო,
ანათებს უფსკრულამდინა მიუწითლამდეო,
შენ ესე მზე ნუ გგონია, ამას ვამბობდეო,
რომელი აქა ანათებს, ქვეყანათამდეო,
მაგისა შუქის მიმცემი არის მაღლა ზეო.
არაგინ არის მისთანა, ამაღ ამკობდეო,
ცასა და ქვეყანაშია ყველას უდიდეო,
გამოგიცხადო ამბავი, აქეთ მამხედეო,
ვინც არის ჩემი მზეთა მზე, მოდი, გეგყოდეო:
ღმერთია ყოვლის მპყრობელი უკუნისამდეო.

— **გურგენიშვილი ითორ** (1993 – 2014)

დაიბადა გურჯაანში, ბოლო წლებში კი რუსთავეში ცხოვრობდა; 2014 წლის 29 ივლისს

რუსთავეში გზაზე გადასვლისას, ავტოავარიის მანახალგამრდა გოგონა საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა.

მიჰვარსარ (*სიცილიური აქცენტით*)

ვენეციამო რომ ვსეირნობდით,
ჯანკო ბარონის ფუნჯით მოგხატე.
სიცილიელი მხატვრის პალიტრით,
ტუჩებს,კოცონის ალი მოგხადე.
ვიწრო ქუჩებში ჯეზირთა ხაზი,
გამოეკიდა ნავებს სვიარებს,
თოლიამ ფრთები გაშალა ნაზი
მენისზე ცაში, ნისბით სრიალებს.
დალაღ-მერების მწველი იარა,
გრფობით მფეთქავი სულის კვალა,
რომში ნაპოვნი გრძობა კი არა,
შენი სიცოცხლე,ჩემი ხალა.
იგალიური სუნის დასაბამს,
ვენეციური ამბორი ჰქვია,
ჩენი ცხოვრების განვიღლ ნასახლარს,
თვალს ვერ უსწორებს პრინცი პოს ტყვია.
თხუთმეტი ცენტი ფრანცო ფერდინანდ,
აღსდექით მკვლრეთით, გვაკურთხეთ წყვილად,
ცხრაშეტი ცენტი დილო მეუფევე,
მე მომიტევეთ,ვიყვარებ ფრთხილად.
რომის ხედებით ვტკებულობთ ღამით,
ბაგეზე დაქვარდს გწვავდა პომადა,
განგოც ვიციკვეთ ფიქრებში წამით,
სმენას ჩამორჩა გრფობის სონატა.
იგალიური მაქმანი გეცვა,
მკერდლი მითბობდო ლოყას,მიწვიერს.
შენი ტუჩები ამბორად მეცვა,
უშენოდ, ჩაივ ფილტვებს მიციებს.

— **გურგენიკა ავთანდილ** (1940 – 2004)

დაიბადა სოფელ ბუკისციხეში (ჩოხატაური). 1969 წელს დაამთავრა ოს.უ. სხვადასხვა წლებში მუშაობდა ქართული ენისა და ლიგერატურის მასწავლებლად, მთავარ ბიბლიოთეკარ-მეთოდისგად, ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილედ,




ითორ
გურგენიშვილი



ავთანდილ
გურგენიკა



ინოლა გურგულია



ნოდარ
გურგენიკა

თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის რედაქციის გამგის მოადგილედ, საქალაქო სამეცნიერო და საბავშვო ბიბლიოთეკის დირექტორად. 1958 წელს მისი პირველი ლექსი გამოქვეყნდა. იგი ავტორია ლიტერატურული კრებულებისა: „იმედის კონები“, „ლექსები“, „გზა და ოცნება“.

მს გავაფხვნილი მობრძანდება

გარბის ყინვა, გარბის თოვლი,
მზის სხივებით დაზაფრული...
კი არ მოდის, მობრძანდება
საყვარელი გაზაფხული.
მობრძანდება გადახატულ
მინდვრებით და ქუჩებითა,
სამ თვეს უნდა იმუშაოს
უხილავი ფუნჯებითა.
სილამაზით და სინამით
მარგო თბილისს კი არ მოსავს,
საქართველოს დაამსგავსებს
მწვანე მთების კრიალოსანს.
სისარული, სიყვარული
ლანქერებით მოძალდება...
გზა დაუთმეთ, კი არ მოდის,
გაზაფხული მობრძანდება!

— გვრამილი იროლი (1929 – 1977)

დაიბადა თბილისში. 1952 წელს დაამთავრა უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი. იყო ერთ-ერთი დამაარსებელი ქალთა ვოკალურ-საკრავიერი გრიოსი, რომელიც ასრულებდა გურგულიას მიერ (ხშირად თავისსავე ლექსზე) დაწერილ სიმღერებს. გრიოს შესრულება გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით, ნაგიფი ღირებებით, განცდის უშუალოებით. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული ხიბლი ჰქონდა თავად გურგულიას მიერ შექმნილ სიმღერებს, რომლებიც წარმოადგენდა თვისობრივად ახალ მიმდინარეობას ქართულ საესკრადო ხელოვნებაში და ნაწილობრივ ქალაქური სიმღერიდან მომდინარეობდა. 1999 წელს გამოიცა ინოვაციური გურგულიას ლექსებისა და თარგმანების კრებული.

ლიმილი მიხდა

მე განა ასე ბევრი რამ მინდა?!
მე განა მსურდა ოდესმე ბევრი?!
ლიმილი მინდა, ღიმილი მინდა,
სხვა არაფერი.
მე ვიცი, თმებზე დამეგყო თოვა,
მე ვიცი, მალე სიბერე მოვა,
ღიმილი მინდა, ღიმილი მინდა,

სხვა არაფერი.
შენ დამრჩი, მხოლოდ შენ.
გულს სტკივა შენი სიმორე,
მახრჩობ და ვერ მოვიშორე
და რად მიწინასარ,
რატომ მწვეურისარ ასე,
არ ვიცი, რას მერჩი, რა დაგიშავე.

— გვრამილი იროლი (1929 – 2004)

დაიბადა სოფელ მარანში (აბაშა). 1950 წ დაამთავრა ოსსუ-ის ფილოსოფიის ფაკულტეტი. იგი ავტორია პოეტური კრებულებისა: „ჩემი გაზაფხული“ (1955), „შინ და გარეთ“ (1959), „მიწა და ვარსკვლავები“ (1962), „ლექსები“ (1965, 1967, 1974, 1984), „გუშინ, დღეს, ხვალ“ (1974), „გზა“ (1985), „სამაღლობელი“ (1986), „კი და არა“ (1989) და სხვა. ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობასაც.

რეკვიამ ანაჰიმი, „ხვამლის მიწა“

თარგმნა ნოდარ გურამიძემ
ვხედავ ცამდე ამაღლებულს,
ჯიდად ყინვის ვარაყი აქვს,
გაფრენილს და გაღალღებულს
სიამაყე არ აკლია.
იმერეთის ლამაზ მკერდზე
ჩანს ლაღი და ბუმბერაზი,
ქარი მის შუბლს სტვენით ეძებს,
ოქროს სხივი მკერდზე აზის.
მაგრამ არც ქარს უმინდება,
არც თოვლწვიმას უკრთის ხვამლი,
უღრგვინველად, უშფოთველად
ცხელ მკერდთან ადის კვამლი.
ზამთარშიაც, ზაფხულშიაც
კვამლი მოლად გარს ავლია,
რა ცეცხლია აქვს მას გულში, ან
რა ნისლია, რა კვამლია?!
ძველთაძველი თქმული არის
და ირწმუნა ასე ხალხმა,
ამირანმა ნაკვერჩხალი
ხვამლის გულში შეინახა.
თავდაღებულს ხალხისათვის
უკვდავება აქვს თავდებად,
ცაში მისი ცეცხლი ადის
და სიცოცხლე არ თავდება.

— გვრამილი ირმა (1941)

პოეტი, მსახიობი, ტელეკურნალისტი. 15 წლის ასაკში უკვე პროფესიული თეატრის სცენაზე თამაშობდა. თეატრალური ინსტიტუტიდან დაწყებული, არაერთი როლი აქვს შესრულებული რუსთაველისა და მოზარდმაყურებელთა თე-

აგრების სცენაზე. წლების განმავლობაში იყო საქართველოს ტელევიზიის დიქტორი. არის ლექსების ორი კრებული ავტორი, ესენია: „ჩემი ცეცხლი“ და „ხევაგი ჩაწვევ ეულისთქმას“.

* * *

ოი, რა ყოფილა ეს აპრილი,
უსიგველ თაბერუ დამახვია...
მაინც, რა ყოფილა ეს აპრილი,
ვაი, რა ცეცხლში გამახვია!
კაბა ისე ჭრელი მომიქსოვა,
ველურ ყვავილების საღარია,
გული ველარ ღგება საგულეში,
კვირგთა აფეთქებამ გაღარია.
ვაი, რა ყოფილა ეს აპრილი,
ყაყაჩოს ცეცხლში გამახვია,
თავნება ველური ყვავილი
უსურვაშვით ამახვია!

— გურიელი მამია (1836 – 1891)

ფსევდონიმი – ფაშელი.
დაიბადა სოფელ ლესაში (ღანჩხუთი). აღიზარდა გურიის მთავართა სასახლეში. 1851 - 1853 წწ. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში. 1853 წლიდან იყო სამხედრო სამსახურში. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომებში (1853-1856წწ.). მალე თავი დაანება სამხედრო სამსახურს (1861). ლექსების წერა სიყმაწვილეში დაიწყო. მისი პირველი გამოქვეყნებული ლექსია „ფარვანა“ („ცისკარი“). მის პოეზიაში აისახა მოუწყობელი საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრებით, მარტოობითა და სიღარიბით გამოწვეული სულიერი განცდები, მელანქოლია. იგივე საფუძველი უდევს ბოჰემურ განწყობილებას, ღვინისა და ქალის გრფიალში თავდავიწყების თემას („რა კარგია ყმაწვილობა“, 1881; „რათ მინდა?“, 1887). მამია გურიელის პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი მთავარი პატივითი („პოეტი და ჩვენება“, 1883; „ჩემი ალავერდი“, 1879). ჰუმანიზმითაა გამსჭვალული მისი ცნობილი ლექსი „ადამიანი“ (1867). მასვე ეკუთვნის რომანტიული პოემა „რაშიდ

ვარდანოლი“ (1872 - 1879წწ.); თარგმნილი აქვს ჯორჯ გორდონ ბაირონის, ალექსანდრ პუშკინისა და მისილ ლერმონტოვის თხზულებანი.

ადამიანი

ვინც გინდა იყო ჩემი მკითხველი,
კაცი, ქალი, გინდ გასათხოვარი,
შენთან მაქვს ერთი შესახვეწელი,
გთხოვ, აღმისრულო ეს სათხოვარი:
ცხოვრებაში რა შესვლასა იწყებ
და ბედურ კეთილგუნებანი
თან დაგდევს, იმ დროს ნუ დაივიწყებ,
რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი:
იყავი გურფა, იყავ უებრო,
მდილარი, ბრძენი, მხნე და ჭკვიანი,
მაგრამ ფიქრისგან არ განიშორო,
რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი!
შემთხვევამ მოგცა ბევრი ქონება,
ხელმწიფედ დაგვცა, გქმნა სრულსვინი?
მაშინაც გმართებს უფრო ხსოვნება,
რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი.
ეგებ, კეთილო, ბელს არ უყვარდი,
მოგიკლა გული, გყო სევდიანი?
ნუ დაეცემი, დასდეგ, გამაგრდი,
გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი
დაე, იცვალოს ვარემოება,
თუნდ ხალხის სმამაც მოგცეს შინი,
თვით ნუ იცვლები მოვა დროება,
გიცნობენ, რომ ხარ ადამიანი.
ცხოვრების მიმნად სიმართლე გქონდეს
და სიყვარულე მოძმეთა ვალად,
სამშობლო შენი მარად გახსოვდეს,
თუ კი გსურს გახდე ადამიანად!

— გურული ქალი

იხილე შევლაძე საფო.

— გურჯი ითიში

იხილე იეთიმ გურჯი



ირაი გურიელი



მამია გურიელი



არჩილ გურჯიძე

— **გურჯიძე არჩილ** (1915 – 1974)

დაიბადა სოფელ ბილაში (ჭიათურა). 1935 წლ-
იდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქუთაის-
ში. პირველი ლექსი 1935 წელს გამოაქვეყნა
გაზეთ „სტალინელში“. კიევში სწავლისას ის
საფუძვლიანად გაეცნო უკრაინულ მწერლობას.
სიცოცხლის ბოლომდე მეგობრობდა უკრაინულ
პოეტებთან. მისი ნაწარმოებები სისტემატურად
იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში. ავტორია
კრებულებისა: „გაეთალე ნელი ლერწამი“,
„ლირიკა“, „ფესვები“, „ყველგან ჩემი სახლია“ და
სხვ. მუშაობდა კულტურის სახლის დირექტო-
რად, ალ. წულუკიძის სახლ-მუზეუმის დირექ-
ტორად, სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტ-
ის ბიბლიოთეკის გამგედ, საქართველოს მწერ-
ალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების ხე-
ლმძღვანელად, ამ განყოფილების პოემიის სე-
ქციის ხელმძღვანელად. იყო ჟურნალ „რიონ-
ის“ სარედაქციო კოლეგიის უცვლელი წევრი.
ბოლოს გამოემცემლობა „საბჭოთა საქართვე-
ლოს“ ქუთაისის ფილიალის რედაქტორი იყო.
მისი უშუალო რედაქტორობით არაერთი მწ-

ერლის წიგნი გამოვიდა. დაბეჭდა ტრაგიკუ-
ლად დაკრძალულია ქუთაისში, მწვანეყვავილ-
ას პანთეონში.

— **ზუსა** (1883 – 1965)

გიორგი ანდრიას ძე ნამორაძე
პედაგოგი, პოეტი, მთარგმნელი უკრაინულ-
იდან ლიტერატურის ნიმუშებისა; მისი ლექსები
იბეჭდებოდა ათიანი წლების გაზეთებში, ხოლო
კორესპონდენციები იბეჭდებოდა „ივერიაში“.
1904-1904 წლებში იგი დიდხანს ცხოვრობდა
კიევში.

* * *

დასდექი, გულო, ნუ ჰღელავ
ათასგვარ მითქმა-მითქმითა,
ზენამან ბრძანა პურისა
შოენა წვითა და ოფლითა.
მსურს იმის ნებას შევეუდგე,
ზეგარდმონაცემ მცნებასა,
ეგებ როდისმე ვედირსო
მეც სისარულს და შვებასა.

ზ

– ღაღიჯიანი ივთიო

იხილეთ ივთიმ გურჯია.

– ღაღუჭკელიანი ანაბა (1873 – 1922)

ანა ალექსანდრეს ასული დადიანი-ღაღუჭკელიანი; აკაკი წერეთის დის მავრა (მაგა) დადიანის ასული, ჯანსუღ ღაღუჭკელიანის მეუღლე. რამდენიმე ლექსი აქვს დაბეჭდილი „ჯეჯილში“, ნათარგმნი აქვს ა.ს.პუშკინის „ფერია“ (დაბეჭდა 1914 წ., ქუთაისში).

გაზაფხული

მიდის ზამთარი, მიიპარება,
თან მისდევს თოვლი, მიჰყვება ქარი,
და საქორწილოდ მომზადებულსა
გაზაფხულს ხელში უყვრია ქნარი.
რომ გკბილის ჰანგით გამოაფხიმლო
ბუნება, ზამთრით მიძინებული
და უცნაურის, მხიბლავის ძალით
აუთამამოს სული და გული.
აჰა, მერცხალი გკბილად ჰიკიკიკებს,
ეს გაზაფხულის წინამორბედი,
და ნაზი იაც მორცხვად თავს იხრის,
რომ დედა-მიწას უქაღოს ბედი.

– ღაღიანი გრიგოლ (1814 – 1902)

ფსევდონიმები – იოანე მეგრელი, კოლხიდელი, მეგრელი. 1828 წლიდან სწავლობდა პეტერბურგის პაჟთა კორპუსში. 1834 წლიდან პეტერბურგში მსახურობდა ჯერ ლაიბგრენადერთა, შემდეგ პრეობრაჟენკოვს პოლკში. 1844 წელს პოლკოვნიკი გახდა. მამის გარდაცვალების შემდეგ (1845) სამეგრელოში დაბრუნდა. ყირიმის ომის (1853-1856) დროს ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლ რაზმს მეთაურობდა კავკასიის ფრონტზე. 1854 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. გრიგოლ დადიანს ეკუთვნის ისტორიული პოემა „რუხის ბრძოლა“, რომელშიც აღწერილია მეგრული-იმერთა ერთობლივი ბრძოლა აფხაზთა და კავკასიელ მთიელ მომხდურთა წინააღმდეგ 1780 წელს, პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ლექსები და სხვა. თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში. წვლილი მიუძღვის იპოლიტ ბარგდინსკის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის საქმეში. მთელი თავისი ქონება და ბიბლიოთეკა დადიანმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა. დაკრძალულია მარტვილის მონასტერში.

ლა“, რომელშიც აღწერილია მეგრული-იმერთა ერთობლივი ბრძოლა აფხაზთა და კავკასიელ მთიელ მომხდურთა წინააღმდეგ 1780 წელს, პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ლექსები და სხვა. თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში. წვლილი მიუძღვის იპოლიტ ბარგდინსკის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის საქმეში. მთელი თავისი ქონება და ბიბლიოთეკა დადიანმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა. დაკრძალულია მარტვილის მონასტერში.

სოფელი (ფრაგმენტები)

ვჭურეგ სოფელს დაფიქრებული,
მე მისგან განკვირვებული!

ვინ იცნოს ძვალნი, მოყვასნო,
ცეცხლითა ძალთა დამწველის,
სასტიკის მეხის მებრძოლთა,
მეფეთა კვერთხის მტვრეველის,
დესპოტის, გმირის, ამაყის,
სიმხნისა სიმხნით მღვეფელის,
საძრწუნო ნაპოლეონის,
დიდთა მეფეთა მძლეველის?

ვჭურეგ სოფელს დაფიქრებული,
მე მისგან განკვირვებული!


საღა არნ ესე ოღენნი
გმირნი და მეფე ცხებულნი,
მდიდარნი, ბრძენნი, მოხუენი,
კეკლუენი გაელვებულნი?
ვინ იცნოს ძვალნი, მოყვასნო,
მაგლთაგან განშიშვლებულნი?
ერთთა ყველა საფლავშიდ,
სოფლისა დაბადებულნი.



გრიგოლ
დადიანი



ლულუ
დადიანი



ნიკოლოზ
დადიანი

— დალიანი ლულუ (1942)

დაიბადა თბილისში. 1964 წელს დაამთავრა ოსუს-ს დასავლეთ ევროპის ენებისა და ლინგვოლოგიის ფაკულტეტი, შემდეგ, 1973 წლიდან სწავლობდა ოსუს-ს ხელოვნების ფაკულტეტზე და იმავე წლიდან მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში; გაიმართა მისი არაერთი პერსონალური გამოფენა თბილისსა თუ უცხოეთის სხვადასხვა ქალაქში; ლულუ დალიანი ეწევა აქტიურ მთარგმნელობით მოღვაწეობას, თარგმნილი აქვს რუსული და გერმანული პოემების წარმომადგენელთა პოეტური ნიმუშები, მათ შორის — რაინერ მარია რილკეს „დუინური ელეგიები“ და „სონეტები ორფევისადმი“.

რაინერ მარია რილკე
ლულუ ალბერტ-ლაზაროსადმი
თარგმნა ლულუ დალიანმა

როგორც ფრინველნი, შეხიზნულები
ძველ სამრეკლოთა ვეება ზარებს,
გაეცლებიან ხმებს შემაზარებს
და დილის ჰაერს შეღწეობები,
ფრენამისჯილნი, ფრთაგაშლილები
კომკებს არშიად შემოუწრენ
მშვენიერ შიშის ასოხიარებს...
ამ ზართა მრიალს რაც ვემიარეთ,
გულისგულს ყოფნა არ გვიწერია.

— დალიანი ნიკოლოზ (კოკი)
(1878 – 1939)

დაიბადა სოფელ წყემში (აბაშა). 10 წლამდე სოფლის სკოლაში დადიოდა, შემდგომში სწავლა განაგრძო ქუთაისის გიმნაზიაში, რომელიც არ დაუსრულებია. 1904 წელს „პეტერბურგსკიე ვედომოსტის“ იანვარ-თებერვლის ნომერში დაიბეჭდა მისი პოლემიკური წერილი, იგი ცდილობდა შეეზღო ანბანის შემოღებას და ავგონომიის ჩამოყალიბებას. ბოლშევიკების შემოჭრის შემდეგ კოკი დალიანმა ოჯახთან ერთად, 1921 წლის 18 მარტს დატოვა საქართველო და სიკვდილამდე ცხოვრობდა პარიზში. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართულ ემიგრანტულ ცხოვრებაში, იყო პატრიოტული ორგანიზაციების — „თეთრი ვიორგისა“ და „ქართლოსის“ — წევრი. მისი ლექსები, მოგონებები და წერილები იბეჭდებოდა ემიგრანტულ პრესაში. კოკი დალიანის პოეზია განმსჭვალულია საოცარი პატრიოტული ღირებებით, სევდიან და გულისკვირვლით. ემიგრანტულ ქართულ გამოცემებში მისა წყეხელის ფსევდონიმით ლექსებს აქვეყნებდა მისი უფროსი ვაჟი მიხეილ დალიანიც.



შალვა დალიანი

კოკი დალიანი პარიზთან ახლოს, ლევილის ქართულ მამულში საძმო სასაფლაოზე განისვენებს მის საფლავს ამშვენებს მისივე შეთხზული უნიკალური ეპიგრაფია:

* * *

„მითხარ შენდობა... და ჩემს მხარესა,
ოდეს მოუთხრობ ამბებს მწარესა,
სიქვი რომ წარწერა იხილე ლოდზე -
ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე!...“

— დალიანი შალვა (1874 – 1959)

მწერალი, დრამატურგი, მსახიობი, თეატრის მოღვაწე, პოეტი.

დაიბადა მესტაფონში. სწავლა-განათლება მიიღო შინ მოწვეული მასწავლებლების ხელმძღვანელობით. უკვე ადრეული სიჭაბუკის წლებში გაიგაცა ეპოქის პროგრესულმა სოციალურ-პატრიოტულმა იდეებმა. ამ იდეებით არის განმსჭვალული მისი ლექსების პირველი კრებული „ნაპერწკალი“ (გამოიცა 1892 წელს) და პროზაული მინიატურები (იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიაში“ 1896 წლიდან). 1893 წლიდან შალვა დალიანმა მსახიობობა დაიწყო და შემდგომში ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი გახდა ქუთაისის თეატრში. 1908 წელს ჩამოაყალიბა „მოდრავი დასი“, რომელიც რევოლუციური შინაარსის სპექტაკლებს ღვაგბდა საქართველოს ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში, აგრეთვე ბაქოსა და ნოვოროსიისკში. შალვა დალიანს დაწერილი აქვს მრავალი მითხრობა, ნოველა, ლიბრეტო, კრიტიკული და პუბლიცისტური წერილი, რომანი; თარგმნა შექსპირის, შილერის, ბაირონის, ჰაუპტ-

მანის, ჰოფმან-სგალის, ანდრეევისა და სხვათა პიესები. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მსახიობთა კავშირს, იყო თეატრალური სამოგადოების თავმჯდომარე (1950-1959). ქართული თეატრის სცენაზე 200-ზე მეტი როლი აქვს განსახიერებული. აღსანიშნავია მისი რეჟისორული მოღვაწეობაც. დადიანის პიესებს თვალსაჩინო ადგილი ეკავა ქართულ საბჭოთა თეატრის რეპერტუარში.

– დადიანიძე ვაჟა (1934 – 2002)

დაიბადა გორში, იქვე, 1953 წელს დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა, 1958 წელს კი – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი; მუშაობდა გორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, მწერალთა კავშირის გორის განყოფილებაში – ლიტერატურულ კონსულტანტად. იყო გორში გამოცემული ალმანახების და მწერალთა კავშირის შიდა ქართლის სამხარეო განყოფილების ჟურნალ „ქართლის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. მისი რედაქტორობით გამოვიდა ჟურნალების „სილაში ვარდი“ და „შამათის“ რამდენიმე ნომერი. თაობებმა იცოდნენ მისი ლექსები: „დედას“, „ფორტეპიანოს აქლერება ევაგერინა“, „ტობი საქს“, „საქართველო ვისია“... გამოსცა წიგნები: „ლიტკური პოემის მცირე ანთოლოგია“ და ტრიოლეტების კრებული „ნათლის ყვავილები“.

შენი მიწიერება

ეს მოხდებოდა აუცილებლად,
ეს მოხდებოდა ბოლოს და ბოლოს,
მე შენში მუდამ ის მაშინებდა,
რომ მიწიერი იყავი მხოლოდ.
შენ ალერსი და სითბო გწყუროდა,
შენ ქალი იყავ მთელი სხეულით
და შეგჩნა ჩემი უცნაურობა,
როგორც ოცნება გადამსხვრეული.
მე სხვა ვიყავი, მაგრამ გიყვარდი



ვაჟა დადიანიძე



ნონა დავითაია

და როცა ჩემი გაგება სცადა,
არც ეს სიმორე აღარ გიკვირდა,
არც უსასრულო ნაფარდი ცაზე.
შენც გაღლებულა ჩემებრ შორეთი,
პაგარა სევდა შემოპარული
და შერე, როცა გახდი პოეტგი,
აღარაფერი შეგჩნა ქალური.

– დავითაია ნონა (1946 – 2015)

დაიბადა სოფელს ეკში (ახლანდელი სენაკის მუნიციპალიტეტი). საშუალო განათლება მიიღო ეკის სკოლაში. 1965 წელს ჩაირიცხა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდის ფაკულტეტზე. წლების განმავლობაში ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ და სამოგადოებრივ მოღვაწეობას. იყო ზუგდიდის მწერალთა კავშირის პოემის განყოფილების გამგე, ზუგდიდის სახელმწიფო გელევიზიის მთავარი რედაქტორი, რუსთაველის სამოგადოების საქალაქო განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი. 1999 წელს დააფუძნა არასამთავრობო ორგანიზაცია, ხელოვნებისა და კულტურის დაცვა-განვითარების ასოციაცია „ოქროს საწმისი“. ნონა დავითაია ექვსი წიგნის ავტორია, პოეტური კრებულების გარდა მას ეკუთვნის ნაშრომები ხელოვნების საკითხებზე, მათ შორის წიგნი-კატალოგი „მე ვცოცხლობ ჩემივე სიკვდილით“, რომელშიც 12 ნარკვევია შესული. იგეგმება მისი ლექსების ერთგომეულის გამოცემა. 2015 წელს მას გარდაცვალების შემდეგ მიენიჭა სამოგადო მოღვაწის წოდება.

* * *

მესაუბრე... მესაუბრე გულო...
იმ ზვავების... იმ გაღლების... იმ მთის...
ახლა, როცა ყველაფერი მორჩა...
ახლა, როცა ყველაფერი ითქმის...
მესაუბრე... მესაუბრე გულო...
ცა – მირაჟის... მიწა – მივარე – თითბრის...
ახლა, როცა ყველაფერი მორჩა...
ახლა, როცა ყველაფერი ითქმის...
მესაუბრე... მესაუბრე გულო...
იმ წვიმების... იმ ქარვების... იმ მზის...
მე, რომელიც დამავიწყდა უკვე...
შენ, რომელიც ხელისგულზე გიშის.



**მეფე დავით
IV
აღმაშენებელი**

— **დავით IV აღმაშენებელი** (1073 – 1125)

დაიბადა ქუთაისში. 16 წლის ჭაბუკი, 1089 წელს, აფხაზთა და ქართველთა მეფის გახტმე ავიდა, როგორც მეფე დავით IV, შემდგომში აღმაშენებლად წოდებული. იგი იყო შვილი მეფე გიორგი მეორის. დავით აღმაშენებელმა, ერთ-ერთმა ყველაზე წარმატებული ქართველმა მონარქმა, 1121 წელს დიდგორის ბრძოლაში მნიშვნელოვანი გამარჯვებით მოახერხა თურქ-სელჩუკთა ქვეყნიდან განდევნა. მის მიერ არმაიაში და მმართველობის სისგემაში გატარებულმა რეფორმებმა შესაძლებლობა მისცა ქვეყანა გაეერთიანებინა და მთელი კავკასიის მიწების საქართველოს დაქვემდებარებაში შემოეყვანა. ქრისტიანული კულტურის წამხალისებელი და თავად თავდადებული ქრისტიანი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად არის შერაცხილი. მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს დავით აღმაშენებელზე კეთილმსახური, ღირსი და თავმდაბალი მონარქი. მას მოძღვრის კურთხევის გარეშე ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს. სხვადასხვა დროს მისი მოძღვრები იყვნენ მამა ევსტრატე, მამა იოანე და მამა არსენი. დავითი აღმარდა მეფე ჭყონდიდელმა, რომელიც მეფისათვის უპირობოა და მამიანი ვახლდათ. დავით აღმაშენებლის სახელთანაა დაკავშირებული გელათის ტაძრის მშენებლობა (დაუწყიათ 1106 წელს). მანვე დააარსა ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა – გელათის აკადემია. დავით IV-ის განკარგულებით ააგეს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია ში-

ომღვიმეში. დავით აღმაშენებელმა თავისი წვლილი შეიტანა ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარებაშიც. მას ეკუთვნის ორიგინალური პოეტური ნაწარმოები „გალობანი სინანულისანი“ (პირველად 1865 წელს გახლადემ გამოცა), რომელიც შუა საუკუნეების ქართული კულტურის იდეოლოგიური და ესთეტიკური მრწამსის გამოხატულებაა. პავლე ინგოროყვას აზრით, დავითს უნდა ჰქონოდა ოლა-ჰიმნიც, დაწერილი დიდგორის ბრძოლაში ქართველი მხედრების გამარჯვების გამო.

გ ა ლ ო ბ ა ვ ი რ ვ ე ლ ი
რომლისაცა წინაშე
ქედღადრეკოდ არს ყოველი,
მუკლი ყოველი მოღრეკების და ენა?
ყოველი
შენსა კმობს აღსარებასა,
მეცა, სიგყვაო,
აღმსარებელსა მომხედენ!
ხატსა თუხსა მამსგავსე
და საკრველად გრძობადისა
და გონიერისა მყოფობისად დამაწესე
შენებრ არსთა სიგყუებისა
ჩემ შორისცა შეკრებითა,
ხოლო მე უმაღლო გექმენ.

ბუნებითი რაჲ ძალნი
არა სჯულთაებრ ვიკუმენ,
მსგავსებისაგან დავაკლდი და
დავპადავ ბოროცი,

ხოლო ხილულთამიერსა გემოვნებასა
ვრცელად განუხუენ გრძნობანი.

ქალწულო, ბრალეულთა
თავსმდებო, რომელმან სიგჳა?
განამრქე კორცითა და კარვითა მიწისაითა,
სიმრქე უსასოებისაა განმპარცუე,
რათა მონანული შეგივრდე შენ!

გ ა ლ ო ბ ა მ მ ც ხ რ ე

ეამი რაა წულილთა და
კმელთა აღმოფშენვითაა წარმოდგეს,
მარი მეფობისაა წარკვეს და ღიღებაა
ღამრგეს,

შუებანი უქმ იქმნენ,
ყვავილოვნება დაჭნეს,
სხუამან მიიღოს სკი პგრაამ,
სხუასა შეუდგენ სპანი,
მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!
გან-რაამ-ელოს წიგნი ღღესა შინა
სასჯელისასა და მე ქედღადრეკილი
წარმოგიდგე განკითხვად,
მსაჯული მართალ სჯიდე,
მსახურთა რისხვამ ქროდის,
მართალნი ნეგარებდენ,
ცოდვითა მგუემდეს ცეცხლი,
მაშინ შემიწყალე, იესუ ჩემო!
ვინამთვან აღსაარებით გრძნობად და
შეკრებად იწყო

ძუალი ძუალსა თანა და ნაწევარი ნაწევარსა,
და განკმელთა მოჰპერა
სული კუბალად-შობისაა,
მრწამს, ვითარმედ აღვსებაა
სრულ-ყოს ღმერთმან ჩემ შორის
ყოვლისავე სინანულით აღდგომისაა.

მარტიო, სრულო, სამ მგეო, ერთცისკროვნებაო,
განმინათლე მხედველობითი სულისაა,
რათა გიხილო ნათელი
ნათლისა უფლისაითა,
სულითა ღმრთისაითა მე
გამოგვბრწყინვო მაშინ
დაუსრულებელთა საუკუნეთა.

არაა უხილაეს მგესა ქალწული ღეღაა
თუნიერ შენსა,

არცა ჩემოდნად ბრალეულსა-ნათელი მისი,
გარნა მე შენითა ოხითა, ღედოფალო,
ვესავ ხილვად ნათელსა
მისა შენისასა

და ნათელსა გემთა საუკუნეთასა..

— ლავითაშვილი იოსებ (1850 – 1887)

დაიბადა სოფელ გარდაგენში (გორი). 1880 წელს გამოქვეყნდა მისი ლექსების პირველი კრებული – „სტეგირი“; მისი პატრიოტული ლირიკა („წუთისოფელში ცხოვრება“, „ახალ მოლექსებს“, „მოსუცის სინანული“) „თერგდალეულთა“ მებრძოლებს განიცდიდა; პოეტის ზოგი ლექსი სიმღერად იქცა („სამშობლო“, „მუმის სიმღერა“, „ბედის წყარო“); ცოცხალი სასაუბრო მეტყველება, გულწრფელობა და უშუალობა მის ლექსებს ხალხურ პოეზიასთან აკავშირებს.

ჰეპქილი

იზარღე, მწვანე ჯეჯილო,
დაპური, გახდი ყანაო;
იკურთხოს იმის მარჯვენა,
ვინც გთესა, მოგყვანაო!
დაპური, ჩემო ნუგეშო,
იზარღე თანდათანაო;
მეცამ ვიგზავნოს ცვარ-ნამი,
მგემ შუქი გფინოს თანაო.
ქარმა ვიღვევოს ღღვსახვით,
მწყრებმა მოგძახონ ნანაო;
იზარღე, გაახარევი
ყმაწვილი ჩემისთანაო.

— ლავითაშვილი ვჳმე (1947)

დაიბადა სოფელ გოგაძეებში (შუახევი). 1963 წელს დაამთავრა ხულოს საშუალო სკოლა-ინტერნატი, 1972 წელს კი – მსუშ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. გამოცემული აქვს ოცდაათამდე წიგნი, ავტორია ათეულობით მეცნიერულ ნაშრომისა, მონოგრაფიებისა, პირველმა შეკრიბა და გამოსცა ჯერ აჭარის სახალხო მეღეჭეთა კრებული „ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო“, ხოლო შემდეგ „აჭარის სახალხო მეღეჭეთა ანთოლოგია“.

მჳმა, თოკვლია

აუ, რამდენი სხივი თამაშობს,
რამდენ მარგალიტს გააქვს კრიალი.
თქვით, გასაკვირი რაა ამამი,



იოსებ
დავითაშვილი



ვჳმე
დავითაშვილი

გულში რომ სიმმა გაიწკრილოს.
 თქვით, გასაკვირი რაა ამჟამი,
 ლექსი და კაცი – ორნი ვინთებით.
 ხეზე ტოტები ჩანან მარმაშა,
 როგორც მღაპრული ორნამენტები.
 ასი ათასი ლალის მფლობელი,
 ველზე ვღვავარ და ვგავარ გოლიათს.
 მზიდან სხივების ტალღა მოღელავს,
 ჩემსკენ მოღელავს? – არა მგონია.
 ასი ათასი ლალის მფლობელი
 მიწა ვარ, ცა ვარ, მშეა, თოვლია...
 მზიდან სიცოცხლის ტალღა მოღელავს,
 მე რა მგონია, მე რა მგონია?!

– **დავით ბატონიშვილი** – იხილეთ ბაგრატიონი დავით გიორგის ძე.

– **დავით ჩაქაძორი** (1749 – 1824)

ნამდვილი გვარი – ალექსიშვილი-მესხიშვილი. მწიგნობარი, კალიგრაფი, პოეტი, პედაგოგი. დაბადების წლად სახელდება ასევე 1745 წელი. იყო მოწაფე და მიმდევარი ანტონ კათალიკოსისა. 70-80-იან წლებში იყო ერეკლე მეორის მდივან-მწიგნობარი, შემდეგ კი – თელავის სემინარიის პედაგოგი. 1783 წლიდან ასრულებდა ამ სასწავლებლის რექტორის მოვალეობას, ხოლო 1790-1801 წლებში (გაუქმებამდე) იყო ოფიციალური რექტორი, საიდანაც წარმოდგა ზედწოდება „რექტორი“ (ალექსიშვილობა კი მან და მისმა შთამომავლებმა მამის, ალექსის, სახელსივამი შეიძინეს). დავითმა სემინარიაში ჩამოაყალიბა ლიტერატურული წრე, თვითონვე განაგებდა და ამოწმებდა ქართლ-კახეთის სკოლებს, ცხოვრების მომდევნო ხანა კი მწერლობასა და ხელნაწერთა გადანუსხვა-გამრავლებას მოახმარა; ასე მაგალითად, შეადგინა ორგანიზაციის ანთოლოგია, რომლის პირველი ნაწილი პროზაულ თხზულებებს მოიცავს, მეორე კი – პოეზიას, მანვე გადაწერა და შეავსო სულხან-საბა ორბელიანის „სიგყვის კონა“. ეპოქის შესაბამისად, დავით რექტორიც გატაცებული იყო სალექსო ფორმათა მიხედვით, ქმნიდა სხვადასხვა ანბანთქებებს და აკროსტიქებს. იგი არა მხოლოდ ვადაშქერი კალიგრაფი იყო, არამედ გახლდათ არქეოგრაფიული და გეოგრაფიული ინტერესებით აღჭურვილი მკვლევარიც.

ბრძენისძე (გ) შინა

(ფრაგმენტი)
 გრვენივით ციურნო, მოით მზიურნო, რა არს სმინება,
 ლურჯმან ღრუბელმან, უღვთებელმან, მომცა წყინება,

სოფლის მგერობამ, ორფერობამ დამცეს მინება,
 მოყვრისა განხდამ, სულის წარხდამ ველს მცა რინება,
 მიგლოვეთ ზარით, ცრემლითა ცვარით თოვეთ დინება.

ჰყვანდა. მოყვარე, ბადრი მივარე, სოფლისა სწორად,
 სევდამ შეგვრანა, აღმან დაგნა, ვიხილენ ორად,
 დაეპარგენ გული, ჩემდ აღთქმული, მიფარეთ შორად,
 შემექნა მარად დანაცარად, სევდისა შორად,
 მე არდა დარი იგ სადარი მომეფინება.

– **დავით სარდალი** (1739 – 1796)

ნამდვილი სახელი და გვარი – დავით რევაძის ძე ორბელიანი.

დაბადების წლად სახელდება 1716 წელიც. იგი იყო დიდი ფეოდალი, საორბელის უფროსი, სიძე ერეკლე მეორისა (ცოლად ჰყავდა მისი ასული თამარი). 1768 წლიდან იყო მეფის სახლთუხუცესი, 1772 წლიდან კი – მეწინავე დროშის სარდალი. ახლო და გულთიადი მეგობრობა ჰქონდა ბესიკთან, რომელმაც, გარდა ლექსებისა, მთელი სახოცბო პოემა („ასპინძისათვის“) მიუძღვნა. დავით სარდალი თვავდაც აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა, კარგად იცოდა სომხური და სპარსული ენები; იგი იყო დიპლომატიც, რამდენჯერმე იყო სპარსეთში ლესპანის მისიით, საიდანაც ჩამოიგანა სათავგადასავლო რომან „ყარამანიანის“ სპარსული ხელნაწერი და 1762-1777 წლებში თარგმნა, ამ გეგმაში აქა-იქ ლექსებიც არის ჩართული. მის საგრაფიო ლექსზე „პირზე გაქვს ხალი“ შექმნილია ქალაქური ხალხური სიმღერა „კოკობო ვარდო“, სიმღერა ჩაწერილია დიმიტრი არაყიშვილის მიერ, ამ სიმღერის ჰანგი საფუძვლად დაედო გულჩინას არიზმოს არაყიშვილის ოპერაში „თქმულემა შოთა რუსთაველიმ“ (1919)

პირზემდ ბაძმს ს ხალი

(ფრაგმენტი)
 პირზემდ გაქვს ხალი და შავი თვალი,
 ნახვა მსურს შენი,
 განათლდა არე, მზე ხარ თუ მივარე,
 გურფად ნაშენი,
 სინამით ხელო, გრფიალითა მკველელო,
 ჰა, დანა შენი,
 სირინომისებრ გამაგონე უცხო ხმა შენი,
 კოკობო ვარდო, გრ დამაგლო მე, მონა შენი.
 მე შენის ეწყით ვარდავარდე,
 სად დავიკარგო?
 შენვე მასწავლე, ვის მივმართო,
 ჩემს თავს რა ვარგო?
 მოწყალის თვალით შემომხედე,

უცხოვ და კარგო,
ჩემს წყლულსა გულსა ემაღამე,
სამოთხის ნარგო,
ვინემ ცოცხალ ვარ, გემსახურო, ვიყო ყმა შენი.

— დაიაური გელა (1973)

დამთავრა სოფელ ბარისახოს სკოლა, შემდეგ — ოსუს ფილოლოგიის ფაკულტეტი, კავკასიური ენების სპეციალობით. ათი წლის განმავლობაში მუშაობდა შაგილის სკოლაში ქართული ენის მასწავლებლად.

* * *

ღამეა, ვეჭიფობთ, პირქეში ხეობა
ედღევა საოცარ ძილსა და სევნებას,
შეგვერგოს, შეგვერგოს ღღეს ჩვენ ეს ღრეობა,
არღუნი რომ აძლევს ბანსა და მშვენიებას.
დაახსით არაყი! ეს ერთიც დავლითო,
ღე, სული მივიდეს სიგიჟის კარამდე
სიმღერით რომ შევხვდეთ კიდეც ერთ ღლიონს,
შავ ღამეს აქამდეც ხომ ბევრჯერ ვზარავდით.
განა ბუერს დაგვაცდის ცხოვრება გიალი
ხევსურეთის ჭირ-ღხინი ერთმანეთს აბია —
გირილი, ღრეობა, ხანჯლების გრიალი
სისხლი და სიმღერა, შუღლი და კაფია.
დაახსით! დაველე და გიჟივით ვიციკვებ,
შევეშვით ჭირსა და სიკვდილზე ლაყბობას
წინაპართ ჯიში გვაქვს —
ალგეთის მგლის ლეკვებს
ფეხებზე ეკიდათ ყოფნა და არყოფნა.

— დაისელი მანლა (1903 – 1932)

ნამღვლილი სახელი და გვარი — ივანე ბაბუაძე. 1927 წლიდან სწავლობდა ოსუს ფილოლოგიის ფაკულტეტზე. იყო ლიტერატურული ორღენის „სომნამბულეების“ დამფუძნებელია. იგი თავისი შემოქმედებით მუღმივად აპროტესტებდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას და წითელ დიქტატურას. მხოლოდ 1922-1925 წლებში სამჯერ იქნა დაპატიმრებული ანგისა-ბტოთა საქმიანობისთვის. არაერთი ღაკვების

და სისტემატური ღღენის მიუხეღავად, არ უშინღებოღა არსებულ რეჟიმს. პოეტი ბოღმევიკებმა 1929 წელს მეოთხედ დაპატიმრეს და 3 წლით გაღაღასახლეს. იგი გაღაღასახლებღდან არ ღაბღრუნებულა, 1932 წელს არხანგელსკი ქრეღბა მისი კვაღი. საღვარაუღოდ ის 1932 წელსვე შეეწირა რეჟიმს, იმსხვერღლა პოღიტიკურმა რეპრესიეღბმა. ვანღერ დაისელი ავტორიღა პოეტური კრეღბუღებისღ: „მზის სისხლი“ (1926), „გული და ღღეღები“ (1927), „გუშინ და ხვალ“ (1928). ცალკე წიღღნად გაღმუღღა მისი მოთხრობა „ღიღიღა“ (1927).

* * *

გუღის მწვერვალღ ცას მიღვაღჯინე
მე ღამის გრღემღზე გული გაღვჭეღე
ვისფრი ვარსკღლავებს როგორღ ნაღერწკღებს
საუკუნეღებს ჭამენ ღანღეღბი
ბრიღიანტეღბის ღაბღრინთეღბი.
მღეღის ტუნი მკერღზე მადღნეღბა
ქართულ სუნთქვაში ნაბღვირღტეღბი.
გულში გაღვთხარე ღღექღის მადღნეღბი...
ენღა ქარეღბის ქარეღბის როღვეღიღა
გული გაღვიწვი ვნეღბის მაღუღლით.
სულღ! რარღიღად საღარღღელიღა,
პოეტის ცრემღლით მიწა ქართული.
გიჟღ ღღმერთეღბი საღღად მღღერიან...
აღბათ ის გღოღავც სიამაღყეღა.
ცხელი მკღღავეღბი მიწა მშობეღლის
გაღუღულ ღღეღებს სულში მაღყრიან,
რომ ღავიღმღღრო გული შოკენიღთ.
მე ღროს გაღვართობ ასე ნაღვეღიანს.
ამღღენი ღოღინთ ცა გაღაღიწვი
გრმნობაღ მმიღღეღბა ღღლის მოსვღამღღე.
შენს შესახეღღრად მღეს გაღღეღიღეღამ,
როგორღ შეღლი და როგორღ მოცარღტი.
მე გულმხურვალე გეღყვი: მობრღანღი...

— ღანგაღე მანანა (1950)

წერს 12 წღის ასაკიღან. გამოცემული აქეს კრეღბული „სეღვის ანარეღლი“; მის ღღქსეღზე სიმღღერეღბი აქეთ შექმნიღი, როგორღ მის მეუღღეს



გელა დაიაური



მანლა დაისელი



მანანა ღანგაღე

– ვაჟა ამბრაშვილს, ასევე ნუნუ ლუღაშვილს, მარიკა კვალიაშვილს და სხვებს.

* * *

მაინც მოვა გაზაფხული,
ჩამოდნება ყინული,
გადაიყრის ზეცა ღრუბელს
სველით შემომგინულით.
აყვავდება ყოჩივარდა,
ისევ მოვა მაისი,
შემომახვევს ფიქრებს დარდად,
ჩვეულ სიღარბასლით.
მაინც მოვა გაზაფხული,
მოვა, მაგრამ უშენოდ...
სვედასა და ამ კაეშანს
რბაღც უნდა ვუშველო...

– დანელია ბათუ (1950)

ნამდვილი სახელი – ბართლომე
დაიბადა სოფელ მანათში (აბაშა). 1987 წელს დაამთავრა მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. არის ავტორი შემდეგი კრებულებისა: „ქალაქი ფრთებქვეშ“ (1982), „წყნარი ქუჩა“ (1986), „გისხარი“ (1987), „მოგვსალმებით არსაიდან“ (1993), „მარტოობის მამთარი“ (1997), „გადასახელი“ (1998), „მთვარის დღესასწაული“ (2003), „სიყვარული ბალახგია“ (2013). გამოცემული აქვს ასევე იოსიფ ბროდსკის და ბორის პასტერნაკის ლექსების ქართული თარგმანები.

მთაწმინდის ფერილი მმტმს ჩ
როდესაც გაღათოვს მადათოვს,
თბილისმა სხვა საქმე გადალოს,
შეეშვას სათითე-სათათეს –
როგორც კი მადათოვს გაღათოვს.
მტკვრისაკენ არ მისცე გზა ტაგოს,
უთხარი, ფიქრები გადალოს...
ელოდოს თიბათევს, მკათათევს
და გულში დაგროვილ წვათათვის
დამოგოს გაძლება ცხრა დათვის...



ბათუ
დანელია



ლარსაან
დანელია



ზურაბ
დანელია

არ მისცე, არ მისცე გზა ტაგოს, –
უთხარი, დარდები გადალოს,
როდესაც გაღათოვს მადათოვს!
როდესაც მადათოვს გაღათოვს!

– დანელია ღარსაან (1959)

დაიბადა სოფელ ლეხაინდრაოში (მარტვილი). განათლებით არის ინჟინერი. 1986 წლიდან ოჯახთან ერთად ცხოვრობს საფრანკეთში. გამოცემული აქვს ერთი, აღრეული ლექსების კრებული «ვნება ჭიქაში», მისი ერთი ლექსი მოხვედა გამარჯვებულთა სიაში და დაიბეჭდა წიგნში «ასი ლექსი»; თარგმნის რუსული და ფრანგული პოემების ნიმუშებს.

* * *

ვაითუ ღამემ, უსასრულომ, ნათელი ვერ შვას
და უკუნეთმა დამბუროს ჩემი სამყარო,
ვაითუ, ჩემი განთიადი უყვია ეშმას,
გულსითქმა ერთი ხელის მოსმით დამსამაროს.
აწეწილ სულის ფორიაქი ღამეებს მითევს,
არ ქრება ნიბლი, იმ დაკარგულ, გონშემდილ დღეთა,
როდესაც სიგყვა, ფრთამესხმული, ეგრფოდა რითმებს,
კალმის წვლომამდე ახლო იყო შეხება ღმერთთან
წამომყევ ისევ, ცოღვილები ვეახლოთ ეროსს.
(გახსოვს?- ღვთაება, ოქროს ისრით, თავად გვეწვია),
ქელს მოვიხრით და პატიებას, შენდობას შევთხოვით,
განა რა არის გზა ჩვენს შორის, ერთი ბეწვია.
დაგრიადლება ისევ წაღმა ბორბალი ბედის,
სულცი ფარფაგით აუყვება მალაა, ცის კიბეს,
ისევ შეიგრძნობ, იღბალს შენსას თავადვე ხედნი
და «რასაც დახთეს, მხოლოდ იმას უნდა იმკიდუ».

წამო, წავიდეთ! კიდევ ერთხელ ვეწვით ეროსს!!!

– დანელია ზურაბ (1947 – 2018)

დაიბადა სოფელ ლეხაინდრაოში (მარტვილი). დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი. 2014 წელს გამოიცა მისი წიგნი, რომელიც აერთიანებდა ორიგინალურ პოემებს და თარგმანებს. გამოცემული აქვს ბავშვის ენის ლექსიკო-

ნი „მოგზაურობა საქართველოს წყლისქვეშეთში“, მეგრულად თარგმნილი აქვს „ვეფხისტყაოსანში“.

გამოთსოვება სამოცდაათიან
ქვას ვლოკავდი თუ ვძოვდი იალაღს,
სრას ვაგებდი თუ ერდოს ვცვეთავდი,
სულ მისხალ-მისხალ, თათარიახნად
მიჰქონდა წარსულს ბოლო წვეთამდი...
რომ ვუბერავდი ხანძრებს მე წინათ,
სხვა აგიზგიზებს დღეს იმ ხანძარებს...
მაგრამ ნუ ფიქრობთ, მთლად ჩამეძინა,
დღეს წარსულს ვცოხნი
ხან გკბილს... ხან მწარეს...

— **დარასული პანეონი** (1909 – 1954)

დაიბადა სოფელ კახითში (მუგჯიდი). პირველ-დაწყებითი განათლება მიიღო მისივე სოფლის არასრულ საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1923 წელს, შედის ბათუმის ჰუმანიტარულ გექნიკუმში, რომელსაც წარმატებით ამთავრებს 1927 წელს და იწყებს სოფლად პედაგოგიურ მუშაობას. ლიტერატურის სიყვარული ვანიონ დარასელს მოწაფეობის პერიოდში გაეღვიძა; მოწაფეობიდანვე წერდა ლექსებსა და პაგარა მოთხრობებს, მაგრამ ნამდვილი ლიტერატურული შემოქმედებითი მუშაობა სწორედ მასწავლებლად ყოფნის პერიოდიდან დაიწყო. 1928 წლიდან საცხოვრებლად გადავიდა ქუთაისში, სადაც აქტიურად ჩაება ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობაში და თავისი ნაწარმოებებიც გამოაქვეყნა უკრნალ-გამეფებში. ამავე პერიოდში იგი გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. 1934 წელს ქუთაისში გამოვიდა მისი ლექსების კრებული „ჩემი გყვია და ჩემი ლექსების“ სახელწოდებით. ვანიონ დარასელს მრავალი ლექსი, პოემა, მოთხრობა და პიესა დარჩა, ბევრი გამოქვეყნებული, ბოგიც ხელნაწერის სახით. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ბანაპის დილა

შემოიპარა სიო დილისა,
მზე იხედება მთიდან ბავშვივით,
ჯერ არ მინახავს ასე თბილი ცა
კარავის თავზე ფართოდ გაშლილი.
მზეზე ძლიერად თვალი ერთება,
მშოურ ანთია გული მებრძოლთა,
ჩვენთან ლამაში დილა თენდება,
კავკასიონის ქედის მეზობლად.
მტკვარი მოშუის, მისი გალღები
ლიახვის შვირთებს როგორ შეება...

და შორს ღრუბლებმა ცაში დაიწყეს
ფერად-ფერადი მთების შენება.
ველარ მოგვასწროს მგემ გაღვიძება,
მორიგის ძახილს ავეყვით უბალ...
მე აღარ მინდა მზის დამცილება,
მაგრამ მას დავძლევთ მხედრები მუდამ.
ჩვენ ვასწრებთ ახლაც, მუდამ ერთება
მებრძოლის ცეცხლი ასე მაღალი,
ჩვენთან შუქსავსე დილა თენდება,
დილა თვით მზეზე უმარამაზარი.

— **დარასული ნინო** (1961)

(ნინო სტრონი)

პოეტი, ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის დოქტორი.

დაიბადა თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. იბეჭდება 1974 წლიდან, ფართოდ დებიუტი შედგა 1977 წელს ქართული პოეზიის ყოველწლიურ ანთოლოგიაში „პოეზიის დღე“. 1992 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე – „ქართული თავისუფალი ლექსი“. არის სხუთი პოეტური კრებულის ავტორი („ახალღედები“, 1987; „ჩემი სიყვარულის პწკარედი“, 1996; „დილისპირული“, 2002; „დიოგომა“, 2005 და 2006; „ვიგა ბრევის“, 2010). სხვადასხვა წლებში მუშაობდა გამომცემლობა „მეცნიერების“ მთავარ რედაქტორად, „კავკასიური სახლის“ დირექტორის მოადგილედ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, „გადაკვირვის კვლევის ცენტრის“ პასუხისმგებელ მდივნად. ძირითადად თარგმნის ინგლისურიდან და რუსულიდან, გამოქვეყნებული აქვს ვერმანული პოეზიის თარგმანებიც. ამაჟამად ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ანა ახმატოვა

თარგმნა ნინო (დარასული)

ვით ჭის სიღრმეში თეთრი ლოღია,
მოვონება ძეგს ჩემშიც ის ერთი.
არ მინდა ბრძოლა, არც შემბილა...
ლხინია ჩემი და განჯვა ერთვისი.
თუ ღრმად ჩამსეღავს თვალებში ვინმე,
უმალ გახდება მხილველი მისი,
იქნება უფრო მწუხარე, ვიდრე
მსმენელი ამბის შესაბრაღისის.
ღმერთები საგნად აქცევდნენ როცა,
კაცს არ უკლავდნენ, ვიცი, გონებას,
რათა ეცოცხლათ დარდებს საოცარს.
შენ ხარ ქვეული ჩემს მოვონებად...

– **ღარბაიანი შოთა** (1955)

პოეტი, ჟურნალისტი, მუსიკოსი.

დაიბადა ცხინვალში. 1979 წელს დაამთავრა ცხინვალის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო 1970-იან წლებში. თანამოპრეზენტად ერთად შექმნა როკ-ჯგუფი „ბონვარონი“ (ცისკრის ვარსკვლავი). იყო ამავე ჯგუფის დრამერი – სოლისტი. 1974 წელს ანსამბლს მიენიჭა სახელმწიფო სტაგუსი. მისი ლექსები, წერნალები იბეჭდებოდა ადგილობრივ და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში, 1994 წელს მიღებული აქვს ჟურნალ „ნობათის“ პრემია. გამოცემული აქვს ოთხი პოეტური კრებული: „სამაჩაბლოში ქართლის ცრემლია“ (1992), „ლგოლივილი შევია“ (1994), „წარსულის ნაამბორალი“ (2000), „მივიწყებული წალოკი“ (2007).

მე და თოვლი

თოვს და ქუჩები აივსო თოვლით და გაინაბა ცხინვალი თეთრად, ჩემში შემოდის სიმშვიდე თოვლის და მე და თოვლი დავდივართ ერთად. თოვლზე ეშვება ფიფქი ზომინით, ფიფქები სულის ცხელი ცრემლია, თოვლი, მფარველი ანგელოზივით, ჩემი ქალაქის თეთრი მცველია... და მაინც, ასე რად მენატრები, რას მესიმბრები მუდამ ეული... და მერე ცხადშიც რად მელანდები ხან მიწიერი, ხან მთვარეული... ვით დიდი მაღლი, შენა ხარ ჩემში და მე, ამაყი შენი ღირსებით, ჩემი ცხოვრების თეთრ მოსახვევში თოვლის სპეგაკი სუნთქვით ვიფსები, თოვს და აივსო თოვლით ქუჩები და გაირინდა ცხინვალი თეთრად, თეთრი სიმშვიდე არ მეურჩება და მე და თოვლი დავდივართ ერთად...

– **ღარიანი ელენე**

იხილეთ ბაქრაძე ელენე.

– **ღარბაიანი მადონა**

იხილეთ დევალი მადონა.

– **ღაუსსროველი** (1874 – 1948)

ბარბარე ვლადიმერის ასული ხერხეულიძე. ცხოვრობდა სოფელ საციხურში (ახლა ქარელის მუნიციპალიტეტი), იყო რევოლუციური ბრძოლის მონაწილე. ლექსების წერა დაუწყო 1880 წლიდან; 1914 წელს გამოცემულ ლექსებში მას ცალკე აქვს გამოყოფილი 1885-1901 წლებში დაწერილი ლექსები, ცალკეა 1902-1914 წლებში დაწერილი. 1910 წელს გამოაქვეყნა ოთხმოცმედეზიანი დრამა „ცხოვრების გუბე“ და „პირველი სხივი“.

პატარა სურათი

ჩვენის ცხოვრებაში

მარად გყვებოდა, მარად ბორკილი ხვედრია განჯულ კაცობრიობის; არავინ არის სრულ კმაყოფილი, დიდი, პატარა გვირთ ქვეშა იბრძვის. სულით ობოლი, გონებით უნდო, გულით მშფოთარე, გამწარებული, უფრთხის ყოველ კაცს ადამიანი, ვითა ნადირი დაშინებული. ბელნიერება! თავისუფლება! ყველა ნატრულობს, ყველა იძახის, მაგრამ სად არის სხნა და იმედი, ბევრი ვერა სცნობს და მიგნობს გირის. მოგი კი ხედავს და უეჭვოდ სწამს, რომ ყველასა აქვს თვის დასასრული, და რომ მოისპოს უსამართლობა იბრძვის და იბრძვის თავგანწირული.

– **ღაუსნიანი ნათია** (1987)

დაიბადა ცაგერში. 2005 წელს დაამთავრა ცაგერის საშუალო სკოლა, ხოლო 2008 წელს ლალო ასათიანის სახელობის პროფესიული



ვანო
ღარასხელი



ნინო
ღარბაიანი



შოთა
ღარბაიანი



ნათია
ღაუსნიანი

კოლეჯი, პედაგოგიკის განხრით. მუშაობდა ცაგერის კულტურის სახლში, მღეროდა ფოლკლორულ ანსამბლებში „მერდინი“ და „სალაღობო“. ლექსებს წერს ადრეული ასაკიდან. არის რამდენიმე პოეტიკური კრებულის თანაავტორი.

* * *

სიგყვას წინაპრის ხმალივით ლესავს,
ღიმილით სულის ჭრილობებს მალავს,
მერე ტკივილი იქცევა ლექსად,
ძარღვებში ლექსის დაუღის ძალა
და არსებობის ნება თუ დართევს,
დაჯილდოვებულს ღვითური მუხით,
ის, ვინც სიცოცხლეს ჩუქნის და ართმევს,
მელანგამოცლილ კალამზე უმის...

- **დ. ბერიძე** – იხილეთ *ბერიევი დიმიტრი*.

- **დგაბაია შაჟარი** (1952)

დაიბადა სოხუმში. 1969 წელს დაამთავრა სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის პირველი საშუალო სკოლა, 1974 წელს – ინდუსტრიული ტექნიკუმი. 1976 წლამდე მუშაობდა საპროექტო ბიუროში, 1976-1992 წლებში კი – გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ ფოტოკორესპონდენტად. 1992 წლიდან აფხაზეთის გელევიზიის ოპერატორია. არის ლექსების ორი კრებულის ავტორი: „მარები რეკენ“ (1984) და „და იყო დღია“ (1988).

მარადიული ბრძნობა

ჩემია ეს ზღვა, ზღვის კენჭებიც,
ეს შთა და მღელოც,
ქარიც ჩემია, ზღვის ტალღებს რომ
ჩემს მკერდზე ამსხვრევს,
ეს ცაც ჩემია,
ღამდამობით აღერსს რომ მიძღვნის...
ცრემლიც ჩემია,
ძველ ჭრილობებს გამოპარული,
სიგყვაც, ვით ღმერთი,
მაგრამ სადღაც გაღაბიზნული...
ჩემია, ჩემი ეს სიმშარი აქ,
ჩემს მამულში...
კვლავ ვუბრუნდები მკვლრებით აღმდგარ
მე ძველ ნანგრევებს...
ჩემია, ჩემი ეს ბედიც
და ეს უბედობაც,
ეს ჟამთა სროლოაც,
ეს ხნულიც გულში დარი
რომ გაუვლია და მეც ამ ხნულში დავაბოგებ,
ვით მეოცნებე...
ჩემია, ჩემი ეს წუთი და წუთისოფელიც,
ეს მე ვარ, მხრებზე რომ შევიდგი

ჩემი ტაძარი,
ეს მე ვარ, გესმით,
მაიმედებს ჩემი აჩრდილი...
ჩემია, ჩემი ეს გრძობა და
ცრემლი დაღვრილი.

- **დჟანოზიზილი ნუსიკო** (1973)

ნამღვილი სახელი და გვარი – ნინო გოგიაშვილი. დაიბადა თელავში. არის თელავის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ლექსმცოდნეობასა და ლიტერატურის თეორიაში კითხვლობს ლექციებს. გამოცემული აქვს კრებულები: „ამინდები ბის-მე“, „ნამსხვრევები“ (2012).
საბაზაფხვ ულო აღსარება

ჩემს უსაყვარლეს იღუმენია იოანას!
მოვედი, დედაო,
მხდალი და ფერმკრთალი,
მიწის ღონიერმა მეწყერმა წაშილო...
ბავშვით ვწრფელი ვარ და მაინც ვერაგო,
თქვენ უნდა გამიგოთ!
ვეწვენი...
ღიმილს კი ვერაფრით ვიფიწყებ,
მაგიკებს აპრილის საღამოს სუნთქვა,
ტალანდოს რაკუნში მაცხოვარს ვუღიმი,
იქნებ მიშველოთ და
გამიგოთ უნდა...
გაზაფხულს მოვეყვი კაბების ფრიალით,
გზადაგზა დაღვრილი აპრილი ვავროვე,
მინდვრის ყვავილებით ოცნება შევკონც
და ისიც მაცხოვრის ფეხებთან დავგროვე...
ჩემს სულს რა ვუთხარი,
დედაო, გული კი,
სამინლად ღამაში ცოდვისთვის მაქეშებს...
თქვენს ძაბებს ვემთხვევი
და ხელებს გიკონცით,
უნდა მპატიოთ, დედაო!
გაგენდეთ...

- **დჟეგრა მუჟე** (1093 – 1156)

სახელმწიფო მოღვაწე, პოეტი-ჰიმნოგრაფი, დავით აღმაშენებლის უფროსი ვაჟი; მუჟობა 1125-1156 წლებში. ერთხანს დავით გარეჯის მონასტერში ბერად იყო აღკვეცილი დამიანეს სახელით. მწვავე შინაპოლიტიკური ბრძოლების გამო დემეტრე I-ის მეფობის დროს საქართველოს პოლიტიკური ზრდა ერთგვარად შეფერხდა. შემორჩენილია მისი ოთხი საგალობელი, შესრულებული იამბიკოს სახით: ორი – წმინდა შიომღვიმელის სახელზე, ხოლო ორი – ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი; საგალობელი „მენ ხარ

ვენახი...“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საეკლესიო (და არა მარტო საეკლესიო) საგალობელია; მისი საგალობლები საკმარისად დახვეწილი რითმეითაა გაწყობილი.

დაკრძალულია გელათში.

* * *

შენ ხარ ვენახი, ახლად აღუყვებელი, მორჩი კეთილი, ედემში დანერგული, ალვა სულნელნი, სამოთხით გამოსრული, ღმერთმან შეგამკო, ვერავენ გჯობს ქებული, და თავით თუსით მზე ხარ გაბრწყინებული.

– დავით

იხილე გოგებელაშვილი დავით.

– დავლაჟი ბაჟაჟი (XVII საუკუნე)

XVII საუკუნის პირველი ნახევრის სახალხო მელექსე; მოხსენიებული ჰყავს არჩილ მეფის „რუსთაველისა და თეიმურაზის გაბაასებაში“ (მწერლობას უწუნებს, შოთას ვერ წაჰბაძაო); ბაქარია ჭიჭინაძის ცნობით, დავალიძეს უნდა ეკუთვნოდეს „ცხენის ლექსი“.

– დავალი მაღონა (1966)

ნამღვილი გვარი – დარცმელია

დაიბადა სოხუმში. დაამთავრა სოხუმის სამხ-აგვრო სასწავლებელი, ფერწერის განხრით. რომანტიკული სულის კვეთებით განმსჭვალული პოეტი ქალბატონი სოხუმს, მშობლიურ კუთხეს, ბავშვობის წლებთან დაკავშირებულ სამყაროს დღემდე ერთგულებს და ლექსებს უძღვნის. ასევე საყურადღებოა, მის მიერ რუსულ ენაზე დაწერილი ლექსები და თარგმანები. გამოცემული აქვს პოეტური კრებულები: „ღამე ლექსებად გადათარგმნილი, „ცრემლების ფერწერა“ (2017). ცხოვრობს და მოღვაწეობს ქალაქ რუსთავში, არის რედაქტორი წიგნისა – „ვარ რუსთაველი“, რომელშიც წარმოდგენილია ქალაქ რუსთავის ისტორია და იქ მისი დაარსებდან დღემდე მოღვაწე ადამიანთა შემოქმედება.

* * *

ეს მძიმე გვირგვინი მაინც დავძარი, არც მგირალი ვარ, არც თავდახრილი... მე მესიზმრება პლაჟის ხანძარი და თოლიების თეთრი მარხილი. ცხადში არ მინდა ფიქრი ამაზე, თბილისის პაგრონს რა დამამძიმებს, – მაგრამ სოხუმის ცის სილაამზე ასე რატომ ჰგავს ცისფერ სამძიმრებს?!

– ლილიამიშვილი ელენე (1919 – 1997)

დაიბადა ახალციხეში. 1927 წლიდან სწავლობდა ახალციხის №1 საშუალო სკოლაში. იყო კლასის ხელნაწერი ლიტერატურული ჟურნალის „განთიადის“ რედკოლეგიის წევრი. 1937 წელს დროებით მსახურობდა ქალაქის ბიბლიოთეკაში, იყო დაწყებითი სკოლის მასწავლებელიც. 1938 წელს ჩაირიცხა ოსუს ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რუსულ სექტორზე. იგი წლების მანძილზე მუშაობდა გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში ჟურნალისტად. გამოსცა ლექსების 11 კრებული: „ვარძის გაზაფხული“, „გვიხმობს კამკაშა მაფხული“, „სიყვარულის კვალდაკვალ“, „გზები და წლები“ და ა.შ. მისი გარდაცვალების შემდეგ კი, 2007 წელს, გამოცა კიდევ ერთი კრებული „გადასახელი“, რომელშიც ძირითადად ქალბატონ ელენეს სიცოცხლის ბოლო წლების პოეზია შევიდა.

* * *

აქ ლურჯი ზეცის მიყვარს ყურება, აქ იღუპაღი დგას მზის გაროსი... აქ ერთი წყარო მეჩურჩულება: – მე სტრიქონი ვარ „ვეფხისტყაოსნის“. კლდეზე მიყვები დახლართულ ბილიკს, უხსოვარ დროთა ბედით დალოცვილს... ყელზე მეხვევია ნიავი დიდის: – მე სუნთქვა ვარო „ვეფხისტყაოსნის“. კლდეები დგანან, როგორც ვეფხვები, ველი წევს ვარდთა თეთრი სამოსით... მგკვარს მათი სხები მოაქვს შხეფებით:



შუშური დავაზაძე



ნუცვიძო დავაანოზიშვილი



მაღონა დვალი



ელენე ლილიამიშვილი

ჩვენ ფურცლები ვართ „ვეფხისტყაოსნის“.
 კრძალვით და რიდით ვარძიას აველ,
 (ვერ მოვიშორე ფიქრი ტაოსი)...
 ვარძიის ექო მოედო მთა-ველს:
 მე ძარღვი ვარო „ვეფხისტყაოსნის...“
 ამჟამ მთებსა თუ თავმდაბალ ბუჩქებს
 ვხვდები ლომგულთა ბედის წყაროსთან,
 და ვით ღადადისს, ვით ლოცვას უჩვევს, –
 მე მათგან ვისმენ „ვეფხისტყაოსნის“.

– **ლილიჰვილი ქვიციანი** (1968)

(ფსევდონიმი – კესო)
 დაიბადა თბილისში. დაამთავრა ივ. ჯავახი-
 შვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-
 ტის ქურნალისტიკის ფაკულტეტი და შოთა რუ-
 სთველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტი-
 ტუტის ასპირანტურა ახალი ქართული ლიტერ-
 ატურის ისტორიის განხრით. არის ორი პოეტ-
 ური კრებულის ავტორი: „ვევას მონოლოგი“
 (2008) და „მთავარი როლი“ (2012). არის ა/ო
 „ხელოვანთა დასის“ თავმჯდომარე.

* * *

რაგომაც არა, სიხარულო, რაგომაც არა,
 ხშირ-ხშირად შევეცვლი
 კალენდარზე ათვლის წერტილებს:
 დღეს გამიღიმე, ხვალ უბრალო მაჩუქე კაბა,
 ანდა, თოვლივით უცაბედად სტუმრად მეწვიე...
 გადავაფარებ მაგიღამე ფერად გობელენს,
 არხვევს დარბაზებს ორპირების დაუღვერობა,
 ჩამოსცენიათ ჰორგენიებს თეთრი ფურცლები,
 და მთვარეც ახლა
 მხოლოდ მათი ცქერით ერთობა.
 ვარჩევ კაბისთვის ქალწულივით
 შემკრთალ საფირებს,
 მარგივ სიხარულს ცხოვრებისთვის
 ვირჩევ მეგზურად,
 ჰო, ამ ოთახის დრაპირებულ
 მყუდრო სამოსხეს
 ნატურმორტივით შენი ყოფნაც მოუხდებოდა...
 შენ გამიღიმე –
 სიხარულად რა ცოტა კმარა...

– **დ. (ლილიჰვილი) მარხაშვილი** –

იხილეთ *ნადირაძე დიმიტრი*.

– **დ. მარხაშვილი** –

იხილეთ *ქარცივაძე ლავით*.

– **დ. ნინოშვილი** –

იხილეთ *როსტომიშვილი ლავით*.

– **ლოპოკზინიძე ჯავახი** (1941)

დაიბადა სოფელ მამათში (ლანჩხუთი). წლებ-
 ის განმავლობაში მუშაობდა სოფელ მამათის
 კულტურის სახლის დირექტორად, ლანჩხუთის
 მილიციის ბაჟშეთა ოთახის ინსპექტორად, ლა-
 ნჩხუთის საღებავი შემოქმედების განყოფილე-
 ბის გამგედ, ვალოდია წულაძის სახლის მეცნი-
 ერ-მუშაკად. მისი პირველი ლექსი გამოქვეყნ-
 და 1961 წელს გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“.
 არის 12 წიგნის ავტორი, მათ შორის: „იის გორა“,
 „იის გორიდან მოვლივარ“, „აღსარებები და საგ-
 ალობლები უფლისადმი“. გამოცემული აქვს
 არაერთი საბავშვო ლექსების კრებული.

არყის გამოსწავლის თქმული

არყის ქვაბი ორთქლით მივგრაღი,
 მთოუხთუხე რახიანი,
 მოღვა დამე – ქვრივი ქალი
 სახეც მთვარის სახიანი.
 შეგრილებულს ვცეცხლავ წინწვერს,
 შემომინთო გულზე ალი,
 ქვრივზე მინდა დაქვრივინდე
 ამისდება ნასიმბრალი!
 ქვაბქვეშ ცეცხლი ვგრძნობ სულს ღაფავს,
 ჩამომთუთქა ცრემლმა დაწვი.
 მე კი არა გივს დაბაბამს,
 ისეთი აქვს არაყს ჯაჭვი.
 ვკონი მთვარეს, ვხუჭავ თვალებს
 ვაი, ჩემი ცოდვის ბრალი!
 მოვიმთვარე, მთვრალი მთვარეც,
 დამეც მთვრალი და მეც მთვრალი.

– **ლოლაია პაპა**

იხილეთ ვერსიელი ვაჟა.

– **ლოლიკა ბენი** (1988)

დაიბადა ქუთაისში. ლექსებს წერს 10 წლის
 ასაკიდან. პირველი კრებული იყო „მთვრალი
 დაის“ (2007). არის რამდენიმე წიგნის თანაავ-
 ტორი. 2011 წელს მეგობრებთან ერთად გამოს-
 ცა პოეტური კრებული „მეცხრე გალა“. 2010-
 2011 წლებში მიჰყავდა საავტორო გადაცემა „პო-
 ემიის დღი“ რადიო „საქართველოს ხმაზე“. იყო
 გამომცემლობა „მერანის“ ვენ. დირექტორი. აქტ-
 იურად მონაწილეობს ლიტ. კონკურსებსა და სა-
 ერთაშორისო კონფერენციებში. არის რამდენი-
 მე საერთაშორისო კონკურსის პრიზიორი.

ღახურობა ზმცა! (ილიას)

წარსულს კალენდრის უკრაში ვკეცავ...
 ვერ ჩამოვწყვიტე ლაქვარდს ღრუბლები,

არ შემაწუხობ, დახურეთ ზეცა!
 ღმერთს გულახდილად ვესაუბრები...
 საკუთარ ძმბათა სისხლში ვიხრჩობი
 საგრაფოს ცრემლები მაწვივს ნოტივად.
 ვეპოგინები კალთას ღვთისმშობლის,
 მხოლოდ მას ესმის ჩემი გოდება...
 რა ვქნა, უფალო?! დრო დადგა რთული –
 იმედი ვთვსე, ამოდის ღვია...
 და ვისაც ჩემი ვუძღვენი გული
 მადლობის ნაცვლად მაჯახბა გყვია!
 ირინე, სანამ გყვია თბილია,
 დროს ჩამოგარჩენს ნაბიჯი ნელი!
 მოკვდე? – სიკვდილი ხომ ადვილია,
 დაბადება ამქვეყნად ძნელი!
 მაშ, სანამ ვცოცხლობ, ვირბენ მამულში,
 ჯანდაბას ჩემი გულისნაღები
 და რომ მოვკვდები, ქართველთა გულში
 მომავლის რწმენად დავიბადები!...
 ჩემს ცხოვრებაშიც დადგა ავდარი,
 გულს შეეხიზნენ რუსი ღრუბლები...
 დახურეთ კარი, დახურეთ კარი! –
 ღმერთს სამშობლოზე ვესაუბრები...

– ლოლიკა ნინო (1976)

დაიბადა თბილისში. 1998 წელს დაამთავრა
 ოსუს-ს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი.
 ამჟამად არაბისტიკის დეპარტამენტის ასისტენტ-
 პროფესორია. აკადემიურ საქმიანობასთან ერთ-
 ად მხატვრული თარგმნითაც არის დაკავებული
 – თარგმნის არაბული და ინგლისური ენებიდან.
 ნიზარ კაბანნი

წუთუ შენ მართლა გმსმის ძაღვების?!

(ფრაგმენტი) თარგმნა ნინო ლოლიკამ
 1

შემიყვარე, როგორც ვარ სინამდვილეში
 კოსმეტიკური საშუალებების გარეშე..
 შემიყვარე სულ მარტივად, თავისთავად
 ზუსტად ისე, როგორც ვიყვარს ყვეაილები
 მინდვრებში, ვარსკვლავები ზეცაში...
 სიყვარული – ეს თეატრი არ არის,

სცენა, სადაც ბოლო მოდას წარვადგენი,
 მოდას უცხოს და ყველაზე უცნაურს..
 ის ხომ მშვეა, ჩვენს გულებს რომ ანათებს
 მაღლა სვლაა, კეთილშობილებაა, თილისმაა,
 დიდი საჩუქარია..
 თუკი მართლა რაზე გეცმის ქალების,
 მზე მოქებზე, მე რომ ჩემში ავანთე.
 2

შემიყვარე მთელი შენი გულწრფელობით,
 ბავშვურობით შემეყვარე,
 ყველა იმ ლამაზი გრძობით, რაც კი ადამიანიშია.
 შემიყვარე ველად გაჭრილ იმ ქურციკად,
 ველურ ძაღვმომრეობას რომ გაჰქცევია
 და იმ ლექსად შემეყვარე,
 ჯერ რომ არ დაუწერიათ..
 შემიყვარე ღრუბლის ზღურბლზე
 გაშენებულ ლამაზ ბაღად
 იმ წალკოვად, არავის რომ არ უნახავს.


– ლოლიკა ქვითხვან (1968)

დაამთავრა ოსუს-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი,
 მისი ლექსები პერიოდულად იბეჭდებოდა
 „პირველ სხივში“, „ცისკარში“, „ნობათში“, „ახა-
 ლგაბრდა ივერიელში“, „რუბიკონში“. გამოცემუ-
 ლი აქვს კრებულები: „მაინც გათენებას ველო-
 დები“, „შავი ქრიზანთემები“, მითოლოგიური პო-
 ემა „დალი“, „ქალი-კენგავრი“ და „კონკიას ქოში“.
 * * *


რაგომ მიყვარხარ ასე ძალიან?! –
 მონუქერთმებულ სამრეკლოს ჰკითხე..
 მე ხომ არ ვიცი, რა მისხარია,
 მე ხომ არ ვიცი, სად განმიკითხეს.
 მე ხომ შემთხვევით დეღამიწაზე
 მომინანქრებულ ფიქრებს დავეცი...
 თუმცა ჭიშკარი გადამირაგმეს
 და დღესაც მტკივა ბეჭი ნალექი.
 მე ხომ არ ვიცი, რა მისხარია,
 მე ხომ არ ვიცი, სად განმიკითხეს..
 რაგომ მიყვარხარ ასე ძალიან?! -
 მონუქერთმებულ სამრეკლოს ჰკითხე.



ქვითხვან
ლილიკა



ჯეგალ
ლოპორუჰზინიაძე



გენრი
ლოლიკა



ნინო
ლოლიკა



ქვითხვან
ლოლიკა

— **ლონდარიჲ ნახალია** —

ისილე ამიანი ნახალია.

— **ლონდაჲ კახაბერიჲ** (1976)

დაიბადა თბილისში. დაამთავრა ილიას სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, ას-პირანტურა; ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონ-ომიკური ფაკულტეტი. არის ორი პოეტური კრე-ბულის ავტორი: „ეს გახედნილი ურჩი ფიქრე-ბი“ და „გრფობის ისრებით დაჭრილი ღამე.“ მისი ლექსები დაბეჭდილია სხვადასხვა პოეტურ კრე-ბულში. წარმატებით მონაწილეობს ლიტერატურ-ულ კონკურსებსა და ფესტივალებში.

* * *

შენი მშერის წინ სუსტი ვარ ისე,
როგორც რენგვენთან ჩემი ფილგვები,
შენი ღმილით ცხოვრებას ვივსებ
და გაზაფხულად ისევ ვირთვები...
თუ მყვირალობა შორია ჯერაც,
მე, რად აყვავდა სითბო მამისი,
მე გაზაფხულის მაშინაც მჯერა,
მერცხალთა ხმა რომ ჯერ სულ არ ისმის.


— **ღუმბაჲ იაკობ** (1647 – 1713)

ფსევდონიმი — შემოქმედელი.

საეკლესიო მოღვაწე (შემოქმედის მიგრ-ო-პოლიტი), პოეტი. მეფე გიორგი მეტიერთმეტის ბრძანებით ლექსად გააწყო ბაგრატ ბატონიშ-ვილის (XVI ს) პოლემიკური ანტიმამაქაძიანური თხზულება, რომელსაც იაკობისეულ ვარიანტში შევია „უსჯულოხსა მუჰამედის ქრისტიანეთა გაბაასება“. ამ თხზულების დაწერაც და ლექსად გაწობაც გამოწვეული იყო მამაქაძიანობის გაძლიერებული პროპაგანდით.

— **ღუმბაჲ ნოდარ** (1928 – 1984)

დაიბადა თბილისში. თავდაპირველად სწავ-ლობდა თბილისის მე-15 საშუალო სკოლაში, რომელიც არ დაუმთავრებია, 8 წლის ნოდარი საცხოვრებლად დეიდებმა წაიყვანეს აფხაზეთ-ში, საში წელი იქ გაატარა, შემდეგ საცხოვრე-ბლად ბუბიასა და ბაბუასთან გაგზავნეს ჩოხა-გაურის რაიონის სოფელ მენობანში. 1945 წელს დაასრულა ჩოხაგაურის რაიონის სოფელ ხიდ-ისთავის საშუალო სკოლა და თბილისში დაბრ-უნდა სწავლის გასაგრძელებლად. შევიდა ოსს-ს ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელიც 1950 წელს დაამთავრა. პირველი ლექსები ოსს-ს სტუდენტურ აღმანახში დაბეჭდა. უნივერსი-ტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო



ნოდარ
ღუმბაჲ

უნივერსიტეტის ლაბორატორიაში ასისტენტად, იმავედროულად ეწეოდა შემოქმედებით მოღ-ვაწეობას. 1959-1957 წლებში მან გამოსცა იუმ-ორისტული მოთხრობების სამი კრებული. 1957 წელს სამსახური მიატოვა, რათა მთელი დრო მწერლობისთვის მიეძღვნა. სხვადასხვა ჟურნ-ალთან თანამშრომლობის პარალელურად ნო-დარ ღუმბაჲ კინოსცენარებსაც წერდა. იმავედ-როულად იბეჭდებოდა მისი იუმორისტული მო-თხრობებიც. 1967-1972 წლებში იყო ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორი. თავდაპირველად დაკ-რძალული იყო ქალაქ თბილისში, საბავშვო ქალაქ „მზიურში“, რომლის აშენების იდეა თავ-ვად მას ეკუთვნოდა, ხოლო 2009 წლის 14 სექ-ტემბერს მისი ნეშტი მოაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენეს.

* * *

ღელიკომ და მამიკომ
ღამიგოვეს ქეთინო,
ასე მითხრეს: — მიხედე,
არაფერი ეტკინოს;
არაფერი გატეხოს,
არ დაკუწოს კაბები,
არ მოხატოს კვლები,
არ აბურღოს ძაფები;
დაუმაღე ნეშტები,
დაუმაღე ღილები,
მაკრატელიც დამალე,
არ დაჭრას ფრჩხილები;
არ გაადოს კარადა,
არ დახიოს პოეტიკები,
ფანჯარა თუ გატეხა,
ღამნაშავე იქნები;
არ მიუშვა ღუმელთან,
არ დაგვლუპო, მანანა!
არ დახაზოს პარკეტი,
დაუმაღე მანქანა;
არ ჩაუშვა ეზოში,
სურდო არვიზ დამართოს,
დაუმაღე ფანქრები,

ხელში დანა არ ანღო;
როცა გავალთ, კარები
გადაკეტე რაზმებით,
განჯინაში ჩაკეტე
ჭიქები და ვაზები.
მეტი რა დაგიბარათ,
თვით მისვლები დანარჩენს,
ჰო, ასანთი არ ანღო,
თორემ ხანძარს გააჩენს.
- ჰოდა, ასე თუ გინდათ,
დედიკო და მამიკო:
არაფერი შეემთხვეს
ჩემს პაგარა დაიკოს;
თუ გინდათ, რომ ქეთინოს
არაფერი ეგკინოს,
მე გამიშვით კინოში,
თქვენ მისვლეთ ქეთინოს.
* * *

როცა ავად ვიყავი,
ვსვი და ვყლაპე წამალი
და დედიკომ საჩუქრად
მომიყვანა მამალი.
ერთხელ ძია გვესტუმრა,
ბაბუამ თქვა: - რა ვქნათო?
ბებიამ თქვა: - სასწრაფოდ
მამლაყინწა დავეკლათო.
ჰოდა, ეს რომ გავიგე,
მამალს ხელი დავავლე
და ბებიას უხუმრად
კარადაში დავმალე.
მერე იცით, რა მოხდა?
ბებომ შიშით იკვილა...
იმ სულელმა მამალმა
კარადაში იყვილა.

— **ლუბუ მებრძოლი** (1867 – 1938)

ნამდვილი სახელი და გვარი – დიმიტრი თომას ძე ხომგარია. დაიბადა სოფელ სუჯუნაში (აბაშა). მწერალი, პოეტი და სამოგალო მოღვაწე. ანასტასია ერისთავ-ხომგარიას მეუღლე. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სახელმწიფო ხარჯზე სწავლა განაგრძო ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტში იურიდიული განხრით. ლექსების წერა ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს დაიწყო. მისი პირველი ლექსი გამოქვეყნდა 1888 წელს სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთ „თეატრში“; 1891 წელს ქუთაისში ლუბუ მეგრელის ხელმოწერით დაიბეჭდა „შეილი და დედა“ (ამბავი). 1892 წელს გამოქვეყნდა მწერლის პირველი წიგნი „სურათები ჩვენი ცხოვრებიდან“, 1893

წელს – ლექსების კრებული „ცრემლები“, ხოლო 1897 წელს – „მე პაგარა ქართველი ვარ“ (1902) და მოთხრობა „ქინაქინა“ შესულია იაკობ გოგებაშვილის „დედაენაში“ და „ბუნების კარში“. ლუბუ მეგრელი არ შესულა არცერთ სამწერლო გავრთიანებაში, გასაბჭოების შემდეგ კი ცდილობდა დაახლოებოდა პროლეტარულ მწერლებს.

მე პაგარა ქართველი ვარ!

მე პაგარა ქართველი ვარ,
კაკასიის მთების შვილი
და განცხრომით სხვაგან ყოფნას
მირჩევნია აქ სიკვდილი!
ქართლ, კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო,
რაჭა-ლეჩხუმი-ჯავახეთი
და მესხეთი - სასახელო;
ხევი, თუშ-შმაგ, ხევსურეთი,
სვანეთი და აფხაზეთი;
ტყელი ტაო, იმერსეთი,
საინგილო და ლაგეთი;
მთიულეთი საარაკო
და აჭარის ზღვა და მდელი;
ყველა ჩემი სამშობლოა,
საყვარელი საქართველო,
ქვეყნის თვალი, ეს ქვეყანა
ღვთის მშობლისა არის წილი
ბევრ მწარე დღეს მოსწრებია
და უნახავს ბევრიც ტკბილი,
ხან თუ მტერი აოხრებდა,
იყო მღვრელი ცრემლის ცხარის;
ბრწყინვალე დროც დადგომია,
დრო, დავითის და თამარის,
მე პაგარა ქართველი ვარ,
სახელოვან ერის შვილი
და მსურს მერგოს სასახელო
მე სიცოცხლე და სიკვდილი!



კაკაბჟინინა
ლონდელა



ლუბუ
მებრძოლი

ე

– **პანაიოძე ზაალ** (1939)

დაიბადა სოფელ დიმში (ბაღდათი). 1971 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. 1957 წელს პირველი ლექსები გამოაქვეყნა; 1973 წელს გამოიცა მისი პირველი კრებული – „ლექსები“; ავტორია პოეტური კრებულებისა: „მთვარის კელაპკარი“ (1977), „წვიმის შვილი“ (1979), „იწყება აღმართი“ (1981), „ხატი მამული“ (1985), „ციდან დასარეკი ზარები“ (1986), „მარადიული რთველი“ (1989), პოემები (1990), რჩეული (2008), „70 ლექსი“ (2009); ავტორია, ავრთვე, საბავშვო ლექსებისა; მისი პოეზია გამოირჩევა ვერსიფიკაციული თავისთავადობით და მრავალფეროვნებით.

აღარ ისმის „რამო-რამა“...

– აღარ ისმის „რამო-რამა“;

– სანატრელი ხმები

და გსურს საფრთხის ამორება

მეტაფორულ თქმებით.

ჩამირული ცხადი ძილში

მიმეზია სიზმრის

არც რო – სიურეალიზმში,

არც რო – ფუტურისტში.

იწყებ: „თუმცა“ ანდა „თურმე“

სიგყვას სმენით ირჩევ;

აფსუსს, რა ღრის აფათურებს

ხელებს სულში ნიჭზე.


სევდა უფრო გემაგება

და მძიმდება თვალი,

იწვის ცაში კელაპკრებად



ზაალ
პანაიოძე



კაკა
მერაბიშვილი

ჩინარები ჭალის.

ზოგჯერ – მესენაკე ბერი,

ზოგჯერ – სისხლის მონა,

შენსას ჭრი და შენსას მღერი,

შენი ადლით ზომავ.

მაგრამ, მაინც ლუმხარ, სადაც

ღვეს სასაზღვრო ზოლი

და გზა გაღის უფალსა და

ზარაგუსტრას შორის.

– **პერიშვილი კაკა** (1941)

ნამღვილი გვარი – დოლიბაია.

ხელოვნებათმცოდნეობის მეორეულ ფაკულტეტზე და აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდა მწერალთა წრის მუშაობაში. ლიტერატურული წერილი პირველად 1980 წელს გამოაქვეყნა, ლექსები – 1981 წელს. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, 1992 წელს, კვლავ გამოჩნდა ლიტერატურულ სივრცეში. ნუგზარ მაზანაშვილის ლექსების პირველი წიგნი „ასეთი დროა“ 1998 წელს გამოიცა, შემდეგ კრებული „გაუგზავნილი წერილებიდან“ (2006), კრებული „ცის“ (2010), „მეჩანაკური რიალი“ კი მეთოხე კრებულია. მისი ლექსები შეტანილია „თანამედროვე ქართული ლექსის ანთოლოგიაში: 1990-2004“ და წიგნში „ქართული ლექსი: XX საუკუნე“.

* * *

შუქი, ფანჯარა, ღამის პეპლები,
და – არეკლილი – მინაზე სახე...
ლექსი იმისთვის არ იწერება,
რომ იხსენებდნენ პოეტის სახელს.
ლექსი იმისთვის არ იწერება,
რომ იხსენებდნენ პოეტის სახელს...
ქრებიან: შუქი, ღამის პეპლები
და – არეკლილი – მინაზე სახე.

– **ჯალოვნილი მირიან** (1950)

მსახიობი, რეჟისორი, პოეტი, ჟურნალისტი. ცხოვრობს და მოღვაწეობს საბერძნეთში. გაზეთ „ელადას“ ეგიდით გამოცემული აქვს ოთხი წიგნი: „გამარჯობა, ელადა“, „ემიგრანტის თეატრი“, „შორია საქართველომდე“, და „ერთი სიცოცხლე რომ შეინდეს კიდეც“.

– **ჯამთარაჰა ჰერიკო** (1980)

დაიბადა თბილისში. დაამთავრა კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლიტერატურათმცოდნეობის ფაკულტეტი. 1997 წლიდან იბეჭდება ქართულ პერიოდიკაში (პოეზია, წერილები, თარგმანები, მინიატურები). 2005-2010 წლებში იყო გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ რედაქტორი. 2006 წლიდან მუშაობს ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ რედაქტორად. 2007 წლიდან „ახალგაზრდა ხელოვნანია სალონი“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელია.


დაიბადა თბილისში. დაამთავრა თბილისის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტი. 2005 წლიდან არის მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მსახიობი. 2006 წელს გამოვიდა მისი პირველი ლექსების კრებული ჩემს „თანაღელვამიწელებს“. 2007 წელს გამოვიდა პოეტური კრებული „სამკაული“, გიორგი შალაბერიძესა და დავით ლეფი გოგიბედაშვილთან ერთად. ამავე წელს ჩაიწერა სამკაულის აუდიო-ალბომი „ამიშვი ცამდე“. 2009 წელს გამოვიდა მეორე კრებული სახელწოდებით „წიგნი“. გამომცემლობა „ინტელექტა“ გამოსცა მისი სამი პოეტური კრებული: „სარეპეტიციო ლექსები“, „შენ. არავინ“ და „გამამეორე“. 2003 წლიდან თანამშრომლობს ცვლილებების თეატრთან. ამ თეატრში დაიდგა მისი ორი პიესა: დონორები და სახლი. მონაწილეობს რამდენიმე სატელევიზიო პროექტსა (სერიალები) და მხატვრულ ფილმში.

ღმდა არწივი

ნეგა რამდენად უნდა გამყიდოთ, რამდენმა უნდა დამინაწილოთ? მიმხმობს სოფლად ჩემი აკილო და დაჯიჯინილი მაინც ვარწივობ! მკორგნეთ, გამთილეთ თქვენი შეხება ბრძოლის ყიყინით სხეულს მიკაყებს, ვერ დაჯიჯინათ ჩემმა ფხებმა, მაგრამ რა ვუთხრა ხვალე იმ ვაყებს, რომ დაუფლითეთ უფლის კვარტივით – სამშობლო, მერე სულმთლად გაწირეთ. თუმც არ მქონია ბუღი მარტივი, თქვენს ჯიბრზე მაინც დაჯიჯინო არწივებს!

– **ჯანჯარი ბიორბი** (1982)

მსახიობი, პოეტი. დაიბადა თბილისში. 2004 წელს დაამთავრა თბილისის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტი. 2005 წლიდან არის მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მსახიობი. 2006 წელს გამოვიდა მისი პირველი ლექსების კრებული ჩემს „თანაღელვამიწელებს“. 2007 წელს გამოვიდა პოეტური კრებული „სამკაული“, გიორგი შალაბერიძესა და დავით ლეფი გოგიბედაშვილთან ერთად. ამავე წელს ჩაიწერა სამკაულის აუდიო-ალბომი „ამიშვი ცამდე“. 2009 წელს გამოვიდა მეორე კრებული სახელწოდებით „წიგნი“. გამომცემლობა „ინტელექტა“ გამოსცა მისი სამი პოეტური კრებული: „სარეპეტიციო ლექსები“, „შენ. არავინ“ და „გამამეორე“. 2003 წლიდან თანამშრომლობს ცვლილებების თეატრთან. ამ თეატრში დაიდგა მისი ორი პიესა: დონორები და სახლი. მონაწილეობს რამდენიმე სატელევიზიო პროექტსა (სერიალები) და მხატვრულ ფილმში.



ნუზჯარი ჯანჯარიშვილი



მირიანი ჯალოვნილი



ჰერიკო ჯამთარაჰა



ბიორბი ჯანჯარი

ბამონცანა

ნუშმა იმრუშა მდიდარ აპრილთან
 და უკანონო ეყობა კვირტი,
 ჭერამი იცმევს პერანგს ყვავილითა,
 აგამს გაუბა ნიავემა ფლირტი.
 ალუბლის ყვავილს ფუტკარი წველის,
 ვაშლის გოგებზე დახტის ბელურა,
 გირიფმა ხშირი მოუშვა წვერი,
 ალუჩას ქულად ნისლი ეხურა;
 მიეყრდნო ღობეს დაღლილი თხილი,
 მშემ ხელისგულზე შინდი დაისვა,
 თუთას დააჯდა პეპელა ფრთხილი
 და ბაღმა ჩუმაღ გაიმაისა...
 – გამაფხულია!

– ზარიკა ქიქოძე (1945)

დაიბადა თიანეთში. დაამთავრა ასპეტის სა-
 შუალო სკოლა, შემდეგ კი – უცხო ენათა პედა-
 გოგიური ინსტიტუტი გერმანული ენის სპეცია-
 ლობით. გამოცემული აქვს კრებულები: „ბოლო
 აკორდი“, „შემოდგომაზე მომანატრე მწვანე
 აპრილი“ (2017).

სულში წარსული სევდად რიალებს
 და ცრემლი ბრწყინავს თვალითა გუგებში,
 რა ცოტა გვეოფნის აღამიანებს,
 მაგრამ სად არის ხსნა და ნუგეში?
 ამაყი სული კვლავ ცისკენ იღვვის,
 ტკივილით მავსებს სევდიან პოეტს. . .
 მე წუთისოფლის სგუმარი ვიყავ
 და ჩემს სიცოცხლეს ლექსებად ვგოვებ.

– ზვიადური ღიმიბერი (1932 – 1934)

დაიბადა სოფელ ანდაქში (დუშეთი); პირვე-
 ლი ლექსები გამოაქვეყნა რუსთავის გაზეთ
 „ქიმიკოსში“. 1966-72 წლებში სწავლობდა ოსსუ-
 ს ისტორიის ფაკულტეტზე.

დამნავლა შენმა წყურვილმა,
 შენმა შორიდან ცქერამა,

შენთა დაღალთა სურნელის
 ჩემამდე ვერ მოღენამა.
 შენმა თვალების ბრიალმა
 მომსპო და გამავეერანა,
 „მიყვარხარ“ ფიცით მითქვია,
 ვაკეის სულის ლხენამა.

– ზვიადური ნიკო

იხილეთ *არღოტელი მურღვა*.

– ზოიკა ზურაბ (1959 – 2014)

დაიბადა სოფელ ახალდაბაში (შუახევი) გა-
 მოცემული აქვს 29 წიგნი, მათ შორისაა: „ლექსე-
 ბი, ბალადები, სონეტები“ (2004), „წელიწადის
 დროები“ (2015).

ვზივარ და ვითვლი ჩადენილ ცოდვებს,
 საკუთარ ცოდვებს და არა სხვათა,
 მეგონა, ვიყავ ყველაფრის მცოდნე,
 მაგრამ არ ვიცი, რად მიღალავა
 მესსიერებამ, რომლითაც ვიყავ
 სახეს პირთამდე და ვგრძნობდი მტკიცედ,
 რომ წუთისოფლის ყველა იგავი
 ამ აოსხრებულ გულავით მიცემს.

– ზოიკა შოთა (1941)

დაიბადა სოფელ ახალდაბაში (შუახევი). დაა-
 მთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. პედა-
 გოგიური ინსტიტუტი (1967), შემდეგ მოსკოვის
 მაქსიმ გორკის სახელობის ლიტერატურის ინს-
 ტიტუტის უმაღლესი კურსები (1977). პირველი
 ლექსები გამოაქვეყნა 1960 წელს, პირველი წიგნი
 – 1968 წელს. გამოცემული აქვს წიგნები: „ათა-
 სი ზარი“ (1972), „პაემანი წვიმაში“ (1974), „ელ-
 ლორადო“ (1982), „ბათუმის წვიმა“ (რუსულ ენაზე,
 მოსკოვი, 1979); 2000 წელს გამოსცა მონოგრაფია
 ანა კალანდაძეზე – „ანა დედოფალი“, 2003
 წელს – ლექსების კრებული „სვეტი ნათლისა“,
 2013 წელს – „რჩეული ნაწერები“ (2 ტომი).
 თარგმნა ლერმონტოვის, გიუგჩევის, ბლოკის, ეს-



ქიქოძე
ზარიკა



ღიმიბერი
ზვიადური



ზურაბ
ზოიკა



შოთა
ზოიკა

ენინის, ახმაგოვას, ცვეტაევის, პასტერნაკის, ვე-
გუშენკოს, მორიციის, ოკუჯავას, სიმონოვის და სხ-
ვათა ლექსები.

* * *

ჩემი სიცოცხლე ბევრზე უკეთესია,
ჩემი რწმენა და რწმენის სასახლე,
მე გამოგებრწე ჩემი ნეკნიდან
და ჩემს სალოცავ ხატად დაგსახე.
შენით მოვივე ომი მრავალი,
ვედ მტკვარზე შენთვის დავედი გაძარი,
შენა ხარ ევას შთამომავალი
და მე კი – შენი ცეცხლით დამწვარი
აღამის ძე ვარ... და რა მეღონა,
თუკი სიცოცხლე ბევრზე უკეთესია,
შენ ღმერთმა კი არ გამოგიგონა,
მე გამოგებრწე ჩემი ნეკნიდან.
თუ გული შენით არ აღეგზნება,
გული კი არა, ცივი ლოღია,
ძველი რომი ხარ და ყველა გზები
დასაბამიდან შენსკენ მოდიან.
მე შენს ვანგებას ვერსად წავუვალ
და ჩემი ლექსი როგორ გაკადრო
შენ – ჩემო დიდო დღესასწაულო,
ჩემო სათავევ და შენაკადო!
მზე კურცხალივით ცაზე ეკიდა,
მარგო ვიყავი და შენ გინაგრე,
მე გამოგებრწე ჩემი ნეკნიდან
და სამოთხეში დაგაბინადრე...

– **ზონიძე ნოე** (1880 – 1938)

ნამდვილი გვარი – ქურდიე.
დაიბადა სოფელ მომლეთში (ჩოხატაური).
1900 წელს დაამთავრა ხონის სამასწავლებლო
სემინარია. მუშაობდა მასწავლებლად. პირვე-
ლი ლექსი გამოაქვეყნა 1899 წელს. 1901 წლი-
დან თანამშრომლობდა გაზეთ „კვალთან“. 1905-
1907 წწ რევოლუციამი აქტიური მონაწილეო-
ბისათვის დააპატიმრეს. მისი ლექსები მებრძო-
ლი სულისკვეთებით გამოირჩეოდა („აღექ-
სანდრე წულუკიძის ხსოვნას“, 1906; „პოეტი“, 1913;



ნოე
ზონიძეთელი



ზინიბი
ზონიძე

„მშვიდობა ქოხებს“, 1921 და სხვა). ლექსების
პირველი კრებული 1924 წელს გამოაქვეყნა.
საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამ-
ყარების შემდეგ იყო ლიტერატურული ჯგუფის
„პროლეტარული მწერლობის“ ერთ-ერთი ხე-
ლმძღვანელი. ნოე მომლეთელის შემოქმედებ-
ის უმთავრესი თემა რევოლუციური ბრძოლა,
წერდა, ავრთივე, სატირული-უმორისტულ ლექ-
სებს, ფელეტონებს, საბავშვო ლექსებსა და
მოთხრობებს.

„აი ჩვენი გურია, ო, რა დახლართულია!“
ხალხური

ჯუმათის წვერი და საყონიანი,
გაღმოსაყარა და განდრეკილი,
სომლიას თხემი ცად უგყორცნია
და ღვას გრძელგორი გადაზნექელი.
სუფსას შეერთვის გუბამეული
და გუბამეულს ცელქი კალამა,
იქ ბახვის წყალიც ანაბდეული
მოშხუის სწრაფად ზვირთმოთამამე.
ქვევით ნაგანებს გზა დაუქნია,
მას ეგმასნება ანკარა ყუვი,
ამათთან ბრძოლა ერთობ უქმია:
ვერ უძლებს გზაში რკინა და თუჯი!
სიცოცხლე სწრაფი, სიკვდილი ხშირი,
ხალხი მოძრავე და გაბედული,
წაბლის ფიცარი, როკის ნახშირი,
ომურგეთი და მელიქედური...
ტირფა ზაფხული და გაზაფხული,
შემოდგომა კი - მულამ მგირალი,
ზამთარი თეთრქუდნამოფაფხული
და სახიფათო ნასაკირალი.

– **ზონიძე** (XI საუკუნე)

ჰიმნოგრაფი, ათონის სალიტერატურო სკო-
ლის წარმომადგენელი. ჩვენამდე მოაღწია ზო-
სიმეს ორმა საგალობელმა, მიძღვნილმა ილარ-
იონ ქართველისა და ექვთიმე ათონელისადმი.
საგალობლები დაწერილია 1072-1077 წლებში
ათონის მონასტრის მღვდლის იაკობის დაკ-
ვეთით. მათში უხვადაა გამოყენებული ილარი-
ონ ქართველისა და ექვთიმე ათონელის ცხ-
ოვრებათა მასალები. „გალობანი ექვთიმე მთაწ-
მიელისანი“ დაწერილია იამბიკოს სამომით,
ხოლო „გალობანი ილარიონ ქართველისანი“
– მარცვლელოვანი სამომით. ორივე საგალო-
ბელი აღბეჭდილია ღვთისმოსავი ავგორის ღრმა
განცლით. ზოსიმე ხელნაწერთა გადნუსხვასაც
ეწეოდა. ცნობილია, რომ მას ვადაუწერია გიორ-
გი ათონელის მიერ თარგმნილი „სგოლიერი“

და გიორგი ათონელისავე ოქტომბრის „თოუენი“.

– **ზოსიმე იონაძე**

იხილე *იონაძე მისიძე*.

– **ზაროშვილი ნალი** (1951)

დაიბადა თელავში. 1968 წელს დაამთავრა თელავის რუსული საშუალო სკოლა, 1971 წელს – თელავის სამუსიკო სასწავლებელი, 1978 წელს – ვანო სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორია, 1994 წელს – საქართველოს ხელოვნების აკადემია ფორტეპიანოს სპეციალობით.

მე და ძარი

ამინდი თბილი, ირგვლივ სიმშვიდე,
უქაროდ მომწყინდა... უეცრად ქარმა,
რომ არ ველოდი, ფოთლები მოწყვიტა,
ხე გააშიშვლა, წელში მოლუნა
და შეარხია: ქარმა ფოთლების
ოქროს სამოსი შემომახვია.
გაგიჟებულმა ცისფერი კაბა
შემომახია! და მერე ისევ
ოქროს ფოთლების ოქროს სამოსი
ძალზე სათუთად, თითქოს პატარას,
შემომახვია.

– **ზუსხაია გიორგი** (1978)

დაიბადა სოხუმში; სწავლობდა რამდენიმე სკოლაში, უმაღლესი განათლება მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გეოფიზიკის ფაკულტეტზე.

მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა 1997 წელს გაზეთ „ხელოვნება და გენიალობაში“, ხოლო შემდეგ ხშირად იბეჭდებოდა ქურნალ-გაზეთებში. არის ბევრი პოეტური წიგნისა და მუსიკალური ალბომის თანაავტორი სხვადასხვა შემოქმედებით ჯგუფებთან ერთად. ამ ჯგუფებიდან ყველაზე უფრო წარმატებულია „ზღვარი“, რომლის ერთ-ერთი ძირითადი წევრიც არის იგი უკვე მრავალი წლის განმავლობაში...

მსმ იტყოდა მარტოობის ძურუში...

როცა ჰაერი შემეხო ხელით,
მშვიდი მინდვრებით დასრულდა სივრცე;
ფიქრის გაძარში სიწუმეს ველი,
ფანქრით დახაგულ მთებად რომ ვიქცე.
ცისფერ ყვავილებს – თითქოს ქაღალმერთებს,
ესიმბრებოდათ მშებების ბოლო;
მე მარგოობის გრძნობით აღვენთ,
მე მარგოობა მინდოდა მხოლოდ.
ირგვლივ შესმოდა ღმერთის ჩურჩული,
თეთრი გაძარი მოერთით უკვე
ყვითელ ყვავილით, ფიქრიც, უსრული,
შეერწყა, ნელა, ღმინისფერ ღრუბლებს...
და განგის ხმაურს თანდათან აჰყვა
ვეება სპილო, თეთრი და წყნარი...
აქ მარგოობას მე ვცემდი თაყვანს,
აქ მარგოობის იყო გაძარი.
მესმოდა ჩემი უფალის გულთქმა,
მე, იმის ქურუმს, მქონდა საშველი,
ის იყო სულის გაღლაზე სუფთა,
მას მარგოობა ერქვა სახელი...

თ

— თაბაგარი თაა (1985)

დაიბადა ჭიათურაში. 2002 წელს დაამთავრა თბილისის 142-ე საშუალო სკოლა, 2007 წელს კი — ილიაუნის ფილოლოგიის ფაკულტეტი. პირველი ლექსი 5 წლის ასაკში დაწერა. 13-14 წლიდან წერს ინგენისურად. 2008 წელს გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებული „დუმბილი ისმინე“, 2012 წელს კი მეორე კრებული — „დაბრუნებადემ“; რამდენიმე ლექსი დაბეჭდილია ჟურნალებში „ლიტერატურული პალიტრა“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, „ხორნაბუჯი“. ბოლო წლების ლექსების ძირითადი ნაწილი ინტერნეტ-სივრცეშია განთავსებული.

ფერმიდნელი მგზავრის სიმღერა

ცა ჰგავს დიდებულ სპარსულ ხალიჩას,
ან მოზაიკას ძვირფასი ქვებით,
იქვე წითური მთვარის თვალი ჩანს,
დედამიწას რომ დაჰყურებს ქვევით.
ამქვეყნად ყველა საადრო ღრუბელს,
ხომ უსათუოდ გაუღის ფერი,
თუკი უეცრად არ დავიღუპე,
მე უნდა მოვკვდე ქართულ სიღვრით.
გემშვიდობები, გამზრდელი მიწავ,
რამდენჯერ მოგრწყე ცრემლით, ვინ იცის,
არ იფიქრო, რომ უმაღური ვარ,
ფერიდანო, შენი თბილი ცის,
ოცნებებისკენ მიხმობენ გზები,
მივყავს იმედს კარდას,
სხვა არაფერი ამგვარი გზებით,
არ მინატრია, არც მიდარდია.
ღრო სისხლში გამჯღარს დასაბამიდან,
სამშობლოსადმი სწრაფვას ვერ მოშლის,
მე ცისარტყელას მხრებზე დავისვამ,
რომ ჩავიგანო საქართველოში.

— თაბაგარი მარი (1975)

დაიბადა ჭიათურაში. დაამთავრა სოფელ ხალიფურის საშუალო სკოლა და შემდეგ სწავლა გააგრძელა სულხან-საბა ორბელიანის პედ. უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სტუდენტობიდანვე მუშაობდა „ქალთა გაზეთში“ კორესპონდენტად. ასევე მუშაობდა გელეკომპანია პირველი არხის შოუ-პროგრამა „ჩემი მშვენიერი ლედის“ სცენარისტად. მისი ლექსები დაიბეჭდა „მზის არილის“ სამ გომში, ასევე გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, ჟურნალ

„ოლეში“. მისი სცენარით დაიდგა სპექტაკლი „სიმზარა“ საბავშვო თეატრ „მეორე სახლში“.

* * *

ნღობა — ძნელად საპოვნელი განძი,
ერთგულება — საარაკო ოდა,
სიყვარული, იდუმალი მაინც,
გამეგებით არასოდეს მთმობდა...
ნაბიჯს არ ვღვამ წარსულისკენ ერთსაც,
მინდა თვითონ აუქმარო ფეხი;
დამეწიე თუ გიყვარვარ, ჰოდა,
შენში ისევ დამანახე დღერთი!

— თაბუკაშვილი რეზა (1927 — 1990)

დაიბადა თბილისში. დაამთავრა თბილისის მე-7 საშ. სკოლა და სწავლა განაგრძო მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში, რომელიც 1949 წელს დაასრულა. მისი ლექსები და თარგმანები იბეჭდებოდა 1940-იან წლებიდან. მისი პიესები წარმატებით იდგმებოდა თბილისის თეატრების სცენებზე. მისი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით საქართველოს დაუბრუნდა ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი, მსოფლიოს სხვადასხვა წიგნსაცავსა და არქივში გაბნეული ხელნაწერები, ლოკუმენტები თუ ფოტომასალა. რეჟიმ თაბუკაშვილმა სრულად თარგმნა შექსპირის სონეტები (გამოიცა 1966 წელს).

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

შილიამ შქმსპირი, 66-ე სტენტი

ყველაფრით დაღლილს, სანატრელად სიკვდილი დამრწა,
რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,
რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,
რადგან სიერე ერთგულების გახდა თვისება,
რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა,
რადგან მრუშობის შელახულა უმანკობა,
რადგან დიდებას სამარცხვინოდ უთხრიან საფლავს,
რადგან ძლიერი დაძინა კოჭლმა დროვამ.
რადგან უწმინდეს ხელოვნებას ასობენ ახვარს,
რადგან უეცი და რევენი ბრძენობს ადვილად,
რადგან სიმაბოლუე სისულელედ ითვლება ახლა,
რადგან სიკეთე ბოროტების გყვედ ჩავარდნილა.
ასე დაღლილი, ამ ქვეყნიდან გაქცევას ვარჩევ.
მაგრამ არ მინდა, ჩემი საგნო ობლად რომ დარჩეს.

- თავაძალაშვილი მამუკა

(სხვა ვერსიით – თავაქარაშვილი)

XVII საუკუნის პოეტი, კალიგრაფი, მხატვარი-მინიატიურისტი. მღივნად იყო იმერეთის მეფის კარზე. 1634 წელს გყვედ მოხვდა სამეგრელოში, სადაც ლევან II დადიანის კარზე ეწეოდა ლიტერატურულ და კალიგრაფულ მუშაობას. 1647 წელს გადაწერა „შაჰნამეს“ გაგრძელების ე.წ. „უთრუთიანსაამიანის“ ქართული პროზაული ვერსია; ვალექსა შაჰიანი“, რისთვისაც გამოიყენა „შაჰნამეს“ ქართული პროზაული თარგმანი. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1646 წელს გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც 39 მინიატიურითაა შემკული. მინიატიურებს ეყვება ქართული ხალხური ხელოვნების გავლენა. „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების გარდა, აქ მთავსებულია რუსთაველისა და თვით მხატვრის პორტრეტები. თავაქალაშვილი საკმაოდ დახელონებული მხატვარია, მისი კალიგრაფია გამოირჩევა საზგასმული დეკორაციულობით.

- თავაძა გიჴო (1959)

პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი, დრამატურგი. დაიბადა ჩოხატაურში. დათმავრა როსტოვის პედაგოგიური ინსტიტუტი, ისტორია-სამოგადოებათმცოდნეობის სპეციალობით. 1988 წელს ქუთაისში დააარსა ილია ჭავჭავაძის სამოგადოება. 1988-2002 წლებში იყო საქართველოს დემოკრაფიული სამოგადოების იმერეთის სადროლოს თავმჯდომარე. მოგივანებით ხელმძღვანელობდა ქუთაისის მერიის კულტურის სამსახურს, არის დირექტორი მოსწავლე ახალგაზრდობის პარკისა, სადაც დააარსა „ლიტერატურული სარდაფი“. ლექსების პირველი კრებული „მესიმზრება შორეთი“ გამოაქვეყნა 1991 წელს. გამოცემული აქვს 30 პოეტური და პროზაული კრებული. 2015 წლიდან არის ქურნალ „მწვანეყვავილას“ რედაქტორი. მისი პიესები დადგმულია ქუთაისის ლალო მესხიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე; მისი სცენარით რე-

ჟისორმა მამა კოლეღეშიღმა გადაიღო მხატვრული ფილმი „ქუთაისელი ბაბუა“.

აღზღიბსმ

იყო ბევრი ტბილი წელი, ალაგისე – მწარე წელი, მახსოსვს შენი წვრილი წელი და ცისფერი სარეცელი... იყო ბევრი ტბილი წუთი, ალაგისე – გივი წამი... ბეჭმე დაღი – კბილი ხუთი... თვალზე ცრემლი – გიშრის ნამი... იყო ბევრი სიყვარული, ალაგისე – ბეღი მწყარალი, გელოღები, სისარულო, მოღი, სილა გამაწანი!... იყო ბევრი ტბილი წელი, ალაგისე – მწარე წელი, მახსოსვს შენი წვრილი წელი და ცისფერი სარეცელი...

- თავაძა სოლომონ (1890-1960)

დაიბადა სოფელ ჩოხხათში (ლანჩხუთი). 1907-1910 წლებში მუშაობდა ბაქოს მექანიკურ ქარხანაში; 1918-1920 წლებში ქურნალ „ცისარტყელას“, 1923-1934 წლებში გაზეთ „მუშას“ რედაქციაში ლიტმუშაკად; 1905 წლიდან ეწეოდა რევოლუციურ პროპაგანდას, რისთვისაც 1910 წელს დააპატიმრეს; წერა ლაიწყო ქუთაისის ციხეში; 1912 წელს დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი „მუშა“ – გაზეთ „თემში“; 1918 წელს გამოიცა მისი პირველი წიგნი – „მომავალი“; ავტორია წიგნებისა: „საპატიმროს დღიურიდან“ (მოთხრობები), „შორი ნათელი“ (ლექსები და პოემები), „გზა მწვამული“ (რომანი), „მამა“ (რომანი), „მეგობრები“ (რომანი), „მაისის განთიადი“ (რომანი), „ახესალღო მუხიეული“ (რომანი), „კავკასიონი“ (ლექსები).

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ყვავიღნარში


ქუხა, თუ ბაღი არხევეს უჭნობ ყვიღღნარს?



თამა
თავაკვაშვილი



მარი
თავაკვაშვილი



რამკაშ
თავაკვაშვილი



გიჴო
თავაკვაშვილი



სოლომონ
თავაკვაშვილი

გულს გრფილით ჩაიხსახე, გავჰყვე მხარისმხარს.
 მწკრივში დგანან ქალ-ვალები სხვიმოსილები,
 სამშობლოს მშით ანანთები თვალისჩინები.
 ცამდის სწვდება ეს სიმღერა და სიხარული;
 ფოთლებსაც კი ესმით ქვარა ნიაქარული.
 იარ, კარგო!.. ერთი!.. ორი!.. თქვენი კვნესა მე!
 დააკვირდი, ხედავ შორით მახვილს ლესავენ.
 ცოფი ახრჩობთ შაფორიანებს, სიკვდილს თესავენ,
 თქვენი შემუსრავთ გესლიანებს, თქვენი კვნესა მე!
 იარ, კარგო!.. ერთი!.. ორი!.. სულ წინ იარე!
 წინ მიგვიძღვის ცათა აწორი, მშის მოზიარე.
 აგერ მოდის, მწყობრად მოდის რაგში მესამე...
 სულთ, გულით გეხვევოდით, თქვენი კვნესა მე!

— **თათარაიძე თეა** (1956)

დაიბადა სოფელ გემო ალვანში (ახმეტა, თუშეთი). 1984 წელს დაამთავრა ოსუს ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამავე წელს დაიწყო მუშაობა ოსუს შოგადი ენათმეცნიერების კათედრაზე. 1985-2006 წლებში მუშაობდა ფოლკლორის კათედრაზე. პარალელურად, 2004 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს ფოლკლორის ცენტრში მეპირისიგვეიერების მიმართულების ხელმძღვანელად. საკუთარი ლექსები ეთერ თათარაიძემ ქართველ მკითხველს პირველად 1979 წლის 14 აპრილს გამართულ ქართულ ფოლკლორის საღამოზე გააცნო. ასე შემოიგნა მან ქართულ პოეზიაში „თუშური ხმით ნატირლების“ ხიბლი. იგი ავტორია პოეტური კრებულებისა: „იმედის გვირილა“ (1979), „მთვარის ნალი“ (1988), „ჩამომართა საწუთრომ“ (1998), „100 ლექსი“ (2012) და სხვა. მისი სამეცნიერო კვლევის სფეროა ქართული დემონოლოგია, ქართული ლეგენდა.

* * *
 ჩემ გაჩენას ღმერთ არ იყვ,
 ჩემ წილ მასკვლავს ძაძებ ეცვ,
 ჩემზე გვაბანაკივიარ
 დედას გარ-მირველ გველებ ეწვ.
 ჩემ გაჩენასეშმაკ იჯდ,
 ნალმეკ პირში ერთ კმელ ეშკვ.



თეა
თათარაიძე



თამარ
შაჩავაძე

იცოდ, ღმერთ დაძალულ ხეყანდ,
 არ ეპარვოდ სულბნელს ეჭვ.
 საქსლოს თვალზე ჩაწყვ-მოწყვეგიდ
 ხამლ ფარდაგში ჩეჩარ ბეჭ,
 მელნად დაღვრილ ღურბლებში
 გაღ-გაღმემაღ მასკვლავთ კენჭ.
 ჩემ გაჩენას ღმერთ მკვდარ იყვ,
 ჩემ მასკვლავ – მგლოვ, მთვარე – ბერწ.

— **თამარაიძე თეა** (1976)

დაიბადა სოფელ კახისთავში (ისტორიული ჰერეთი, საინგილო). ოსუს ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა მშობლიურ სოფელში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1989 წელს დაწერა პირველი ლექსი და მიუძღვნა 9 აპრილის ტრაგედიას. ამჟამად მუშაობს პედაგოგად თბილისის 139-ე საშუალო სკოლაში.

ჩემი ბავშვობა

...ჩემი ბავშვობა დარჩა იქ, სადაც
 მიუწვდომელი დიდი მთებია,
 მე დღესაც მახსოვს შუბლდაღარული,
 თმაშევერცხლილი გკბილი ბებია.
 ის მოთიბული ბალახიც მახსოვს,
 სამყურას სუნი ცელს შერჩენია,
 მე იქ აღარ ვარ, მაგრამ ის წყალი,
 ის მთა, მინდორი ისევ ჩემია.
 ჩემი კლდეები, ვაზი, მგენენები,
 დღესაც, ვით მაშინ, ისევ მხვდებიან,
 იქ ცაც სულ სხვაა, ხასხასა, მშვიდი,
 ჯერ არახსული ღურჯი ფერია.
 ჩემი ბავშვობა დარჩა იქ, სადაც
 მიუწვდომელი, დიდი მთებია,
 მე დღესაც მახსოვს შუბლდაღარული –
 ლოცვას მითვლიდა გკბილი ბებია.

— **თაბაჩაძე** (1172 – 1273)

საქართველოს უკამოჩენილეს ხელმწიფეთაგანი, სახელმწიფო მოღვაწე, პოეტი. მეფე გიორგი III-ის ასული, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომადგენელი. გახტე ავიდა 1184 წელს. მისი მეფობის ხანა ქართველი ერის სულიერი და მატერიალური კულტურის მეობის ხანაა. თამარი თვით ჩაუღვა სათავეში ფართო მასშტაბის კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობას. სამეფო კარზე შემოიკრიბა სწავლულნი, მეცნიერნი, მწიგნობარნი, პოეტები. დიდად შეეწია ქართული კულტურის საზღვარგარეთულ ცენტრებსაც.

თამარ მეფეს თვითონაც უნდა ჰქონოდა ორი-



გინალური ნაწარმოებები. ხახულის ღვთისმშობლის ხატზე შემონახულია ზედწერილი იამბიკო, რომელშიც თამარი შეჰლაღადებს მარიამს:

ქალწულებრივთა
სისხლთა შენთაგან, სძალო,
თბელ საიდუმლოდ
შენაჲსა განგებხიად,
ძისა ღმრთისა – ძელ
მეშე იქმენ არსთა მცხოვნად!
მე, თამარ, მჩენი
გომთაგან დავითებრთათი
თვისად, შემამკვე,
მადიდე, აღმამაღლე!
აწ მეცა ხელგყავ
შემკობად ხატგა თქვენსა –
ღედისა ძითურთ, —
დაა და მეცა, ძითურთ, მფარევდ!

პავლე ინგოროყვას მოსაზრებით, თამარ ღვთსმ ეს იამბიკო ლაშა-გიორგის დაბადებასთან დაკავშირებით შეთხზა და ხახულის ღვთისმშობელს სწორედ თავის ძეს ლაშას ავედრებს.

მეორე იამბიკო, რომელიც აგრეთვე თამარს მიეწერება, ეძღვნება ქართველთა ღიღებულ გამარჯვებას შამქორის ომში. მემბაგინის ცნობით,

თამარს ამ გამარჯვების აღსანიშნავად გელათში ხახულის ღვთისმშობლის წინაშე წარუგზავნია შამქორიდან წამოღებული ღროშა ხალიფისა – ნიშანი მგრის სრული განადგურებისა. ამ ნაღვლისთვის ღურთავს იამბიკო-ხუთეული. იამბიკო მკაფიოდ გამოხატავს იმ საზეიმო განწყობილებას, რომელიც ქართველებს დაუფლებიათ ამ გამარჯვების გამო:

ზოგიერთი მეცნიერი თამარ მეფეს მიაკუთვნებს კიდევ ოთხ იამბიკოს, რომლებიც აღმოჩენილია ძველ ხელნაწერებში. ამ იამბიკოთაგან ერთ-ერთს აწერია: „თამარისი“, ხოლო დანარჩენებს: მარიამ მეფევი პეგელის, გიორგისი და თევდორესი. ეს იამბიკოები დახვეწილი პოეტური სიგყვის შესანიშნავი ნიმუშებია, მაგრამ დაბეჯითებით მტკიცება იმისა, რომ მათი ავტორი თამარია, ჯერჯერობით ძეგლია.

– თანდილა აბაიძე (1950)

დაიბადა სარფში. 1974 წელს დაამთავრა ოსუ. 1975-1988 წლებში იყო გონიოს საშუალო სკოლის პედაგოგი, ხოლო 1989-1996 წლებში – დირექტორი. 1996-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ბათუმის წარმომადგენლობის მეორე მდივნად. 2004-2006 წლებში იყო დიასპორასთან ურთიერთობის საქართველოს ცენტრის თანამშრომელი. გამოცემული აქვს კრებულები: „სულის ხვეულებიდან“ (1990), „მარაღი ტკივილი“ (1995), „მუხათა საუფლოში“ (2004).

– თანიუხილი ბეგთაბეგ (XVII ს)

ბეგთაბეგ მდივანი, XVII საუკუნის II ნახევრის მწიგნობარი და კალიგრაფი. მოღვაწეობდა ქართლის მეფის გიორგი XI-ის კარზე. 1680 წელს მეფის დაკვეთით გადაწერა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მდიდრულადაა მორთული. პოემა XVII საუკუნისათვის დამახასიათებელი მხედრულით არის გადაწერილი. ნაწერი ლამაზია და გამოირჩევა დეკორაციულობით; ბეგთაბეგ თანიაშვილი ცნობილია, აგრეთვე, როგორც პოეტი. მან დაასრულა თავისი ძმის, სულხან თანიაშვილის, მიერ დაწყებული საქმიანობა, გალექსა „ამირანდარეჯანიანის“ 9 კარი. თითოეულ კარს წაუძმდვარა შესავალი. ბოლო ორ კარს კი – ბოლოსიგყვობა, რომელიც გამოცემულია გექსტის გალექსვის მოკლე ისტორია. მასვე ეკუთვნის გიორგი XI-ის ქება, რომელიც ღურთავისთვისავე გადაწერილ „ვეფხისტყაოსანს“.

— **თანიამვილი სულხან** (XVII ს)

XVII საუკუნის პოეტი, ქართლის სამეფო კარის მდივან-მწიგნობარი. არჩილ II-ის ცნობით, განსწავლული პიროვნება და ცნობილი პოეტი ყოფილა. XVII საუკუნის იგალიელი მისიონერისა და მხაგრის კრისტოფორო დე კასტელის ალბომში მოთავსებულ სულხან თანიამვილის პორტრეტზე წარწერილია: „ბერია-კოლხეთის სამეფოში განთქმული პოეტი სულხან ავთანდილაშვილი“. მის თხზულებათაგან ჩვენამდე მოაღწია მის მიერ გალექსილმა „ამირანდარეჯანიანმა“ ერთადერთი ლექსიკური ნუსხით. თხზულებას თან ერთვის ავტორისეული შესავალი გრადიციული მსჯელობითურთ მიჯურთობაზე, პოეზიაზე, პროზასთან შედარებით ლექსის უპირატესობაზე და ა.შ. გალექსილი ვერსიის დასრულება სულხან თანიამვილის არ დასცალდა. მისი სიკვდილის შემდეგ ეს საქმე მისმა ძმამ ითავა. ძეგლის ძირითადი ნაწილი სულხანის გალექსილია; რუსთველისა და თეიმურაზ I-ის გრადიციების მიმღევარმა სულხან თანიამვილმა შემლო საკმაოდ ოსტატური თხზულების შექმნა.

— **თარგამაქა ნაზი** (1929 – 2010)

საბავშვო პოეტი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე.

დაიბადა ბორჯომში. 1951 წელს დაამთავრა თბილისის პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ჟურნალებში – „მნათობი“ და „საქართველოს ქალი“. გამოცემული აქვს კრებულები: „მეგობრები მოდიან“, „ვინ არის ამის მხატვარი“ (1975), „მოგეფერებით ლექსით“, „რომ ავიხდეს ნაგვრა“ (2006).

* * *

დამცინიან – ყველა გასწრებს
გაღვიძებს დილითო,
რად ხარ ასე ძილისგულა,
რომ ვერ ძღები ძილითო?!
ძილით როგორ უნდა გაძღვი?! –
მიკვირს, მიკვირს ძალიან,



ნაზი
თარგამაქაძე



ნინო
თარიშვილი

არასოდეს, არასოდეს,
ძილი არ მიჭამია.

— **თარიშვილი ნინო** (1904 – 1990)

დაიბადა სოფელ მირზაანში (დელიფლისწყა-რო). დაამთავრა ოსპს-ს პედაგოგიური (სიბრძნისმეტყველების) ფაკულტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის განყოფილებები. 1926 წელს დაიბეჭდა მისი ლექსების კრებული „მზეში“, 1980 წელს – ლექსების კრებული „გვირილა“. ერთ-ერთმა პირველმა გამოაქვეყნა წერილი „ბახტერიონში“ (1923) ფიროსმანის შესახებ. ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას. ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო ნაშრომი. ნინო თარიშვილის პირადი არქივი ინახება გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში.

* * *

ვიცი, რომ მშობივად
არ მომცემენ „ვეფხისტყაოსანს“,
არც წასაღებად დაკეცავენ ქირმანის შალებს,
არც ქართულ კაბას
ჩამაცმევენ ჯვარის საწერად,
არც ვერცხლის ქამარს
მომავლებენ დარდიან წელზე.
ცაში ოთახი განათლება იაპონურად,
ბედნიერებას მომილოცავთ უცხო კოლოზე,
მრავალ წერილებს გამაყოლებთ
გზის საპოვნელად,
მრავალ მოკითხვას დავეხუდებო,
ვით მკვდარ მიმომეხს.
დავიბალებო სიყვარულის ცისფერ სუნთქვაში,
დიდი იქნება აღტაცება მზე გადასული,
უხვი კონცები, ვით კახეთში ღვინის მარნები,
და საღვებრძელოს მოიგაცეხს
სიგყვა ქართული.
ნამჯისფერ ფრჩხილებს დაამძიმებს
მთვრალი ჰაერი,
გულის პასუხი ყარამფილებს ვედარ დაყნოსავს
და მე ვიქნები სიკვდილივით გაუხარელი
რადგან მშობივში არ მომცემენ
„ვეფხისტყაოსანს“.

– **თბილელი იოსებ** –
იხილეთ *იოსებ გვილელი*

– **თალორაქა ღაჰით** (1949)
დაიბადა სოფელ ერგეშში (ბათუმი). დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. ლექსების წერა 10 წლის ასაკში დაიწყო.

ავტორია წიგნებისა: „ბეჭვის ხიდი“ (1977), „ორ-
ლანი უკრავს“ (1979), „მზე ჩუქურთმებში“ (1981),
„ცეცხლის პერანგი“ (1984), „გუგულის ძახილი“
(1987), „შენი ვარ“ (1993), „ერთგომეული“ (1999),
„სამგომეული“ (2004).

* * *

ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა
და მე, როგორც მშვე,
თვალნათლივ ვხედავ –
ჩემთან ივლიან ჩემი და-ძმები.
ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა
და ეს ზამთარი იქნება თბილი,
ვივაზირებთ და ვიმუსაიფებთ
სალამობით დედა და შვილი.
ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა,
ჩემი და-ძმების შუქით გამთბარი,
და მე, როგორც მშვე, თვალნათლივ ვხედავ,
მიახლოვდება ტკბილი ზამთარი.

– **თიშუაჲამ ანდრო** (1912 – 1967)

დაიბადა სოფელ გომში (სამტრედი). 1940 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქურნალ „ოქტომბრელის“ პასუხისმგებელ მდივნად და თანამშრომლობდა სხვადასხვა გაზეთებთან; 1952 წლიდან დანიშნული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივნის, ხოლო 1953-1958 წლებში – გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის“ ღირექტორის თანამდებობაზე; 1936 წლიდან დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა; მისი ძირითადი პოეტური კრებულებია: „ვარსკვლავების ღიმილი“, „ლექსები, პოემა“ და სხვა.
დაკრძალულია დიღუბის პანთეონში.

– **თიშუაჲამ ბაღრი** (1955)

დაიბადა ბათუმში. 1972 წელს დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1976 წელს გა-

მოსცა ლექსების პირველი წიგნი. არის ლექსების რამდენიმე კრებულის და ლოკუმენტური პროზის – „პარიზში წასვლას რა უნდა?“ – ავტორი. გამომცემული აქვს „ფრანგული პოეზიის მცირე ანთოლოგია (XIX საუკუნე)“, „100 ფრანგული ლექსი“ და ყველაზე მთავარი, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ გამოცემული „ფრანგული პოეზიის ათასწლეული“, სადაც თავმოყრილია მეთერთმეტე საუკუნიდან მოყოლებული მეოცის ბოლომდე 80-ზე მეტი ფრანგი პოეტის 250 ლექსი.

შარლ ბოლღარი

თარგმნა ბაღრი თიშუაჲამ სიმკარული და თიშუაჲამ ქველი თიშუაჲამ

ვით სამეფო გახტმე მჯდარი,
კაცთა მოდგმის თავის ქალას,
აზის გრფობა უტფიარი
და სიცილით ურცხვით ბლადავს
და ბუტეულეს, როგორც ბავშვი,
სუნტქვით მაღლა ერეკება,
თითქოს უნდა მოხდეს ცაში
სამყაროთა შეერთება.
ეს ნათელი მყიფე სფერო
აღმაფრენით არს მოცული
და – მზანება ოქროსფერი,
– თვით დაფლითა თვისი სული.
მოცახცახე ქალა ცდილობს
შეარბილოს თხოვნით ვნება:
„ავთამაში სასაცილო
ნეგა როდის დამთავრდება?
ო, ურჩხულო, მკვლეელი პირით
ჰაერში რომ მხეფავდ ისვრი,
არის მხოლოდ ჩემი გვინი,
ჩემი ხორცი, ჩემი სისხლი!“

– **თიშუაჲამ ბეჲუა** (1589 – 1663)


თეიმურაზ ბაგრატიონი. კახეთის მეფე 1606-1648 წლებში, ქართლ-კახე-



დავით
თიშუაჲამ



ანდრო
თიშუაჲამ



ბაღრი
თიშუაჲამ



მეფე თეიმურაზ I

თის მეფე 1625-1632 წლებში. გამეფდა 16 წლის ასაკში; მას დიდი ბრძოლები მოუხდა ანტიირანული აჯანყების დროს. მალე თეიმურაზ I-მა თავი ირანის ვასალად აღიარა, მაგრამ მაინც განაგრძობდა ბრძოლას სრული დამოუკიდებლობისათვის; ომში გამარჯვებისათვის სამხედრო დახმარებას სთხოვდა ოსმალეთს და რუსეთს, მაგრამ უშედეგოდ, მან მიზანს ვერ მიაღწია. 1661 წელს ბერად აღიკვეცა. თეიმურაზ I ირანში ვაიწვიეს და კახეთის სამეფო ტახტის დაბრუნება აღუთქვეს, თუ მაჰმადიანობას მიიღებდა. თეიმურაზმა უარი თქვა, რის გამოც იგი ასტრახადის ციხეში გამოამწყვდიეს, სადაც გარდაიცვალა. თეიმურაზ I კარგად იცნობდა სპარსულ ენასა და მწერლობას და წერდა კიდევ ამ ენაზე. მან გადმოქართულა სპარსულენოვან სამყაროში ფართოდ გავრცელებული პოემები: „ვარდბუღიანი“, „ლეილმაჯნუნიანი“. თეიმურაზ I უპირატესობას სასულიერო თემატიკას ანიჭებდა, თუმცა მის პოეზიაში საერო ნაკადიც ბატონობდა. თეიმურაზ I ერთ-ერთმა სცადა ქართულ პოეზიაში ეროვნული თემატიკის დამუშავება. პოემაში „ქეთევან ღვლოფის წამება“ მან დიდი მღვდლებით აღწერა თავისი დედის, ქეთევან ღვლოფის თავდადება სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის. მასვე ეკუთვნის ღირსიკული პოემა „მაჯამა“, „თამარის სახე დავით გარეჯას“ და სხვ. თეიმურაზ I ქართულ მწერლობაში შემოიღო სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრი. მან დაამკვიდრა მაჯამური ლექსის ფორმა, განავითარა გაბაასების ჟანრი, რამაც მკაცრად მოიკიდა ფეხი ქართულ მწერლობაში.

დაკრძალულია ალავერდის მონასტერში.

(მეფე თეიმურაზ I-ის მაჯამის ნიმუშები)

რად, სოფლო, სხვა არ დასწვი
ჩემებრ, მე მქენ დასადაგე,
გლახ ლახვარი სასიკვდივე
ყველა მე მკარ, დასად აგე:
დამიკარგე ძე, ასული,
ძმა არ ვიცი, და სად აგე?
სხვა ნაყოფი მათებრ გურფა
რა აშენე და სად აგე?
* * *

მზე ცუდ მაშვრალობს, ვერ ნათობს,
ეგლმე შენ ზიხარ, ის არა.
სხვამ შენგან კილე, სამყარო
ვინ გაისახლა, ისარა?
მელნისა გბამან გიშერი
ტევრად გარ ივლო, ისარა,
მუნით მკრა გულსა გყვექმნილსა,
გლახ, შავმან მშვილდმან ისარა.

— **თეიმურაზ II მეფე (1700 – 1762)**

თეიმურაზ ბაგრატიონი. დაიბადა თბილისში, მამამისი იყო ქართლის მეფე ერეკლე I. იყო კახეთის გამგებელი 1709-1715 წლებში, მეფე – 1734-1744 წლებში, ქართლის მეფე – 1744-1762 წლებში. თეიმურაზ II ე. წ. „აღორძინების ხანის“ ქართული მწერლობის წარმომადგენელია. იგი იყო პოეტი და მთარგმნელი. ისტორიული რეალიზება გადმოცემული თეიმურაზ II-ის ავტობიოგრაფიული ხასიათის ლექსში „თავგადასავალი“. მისი ლირიული ლექსების უმრავლესობაში გამოხატულია ქრისტიანული რელიგიური განწყობილება. პოეტის ლიტერატურული მრწამსის გასათვალისწინებლად მნიშვნელოვანია „გაბაასება რუსთველიან“ და სხვა. თეიმურაზ II-ს ეკუთვნის იმხანად პოპულარულ თემაზე დაწერილი „ხილთა ქება“, თავშესაქცევი და ფორმალისტური ხასიათის ანბანთქებები, კიდურწერილობა და ა. შ. მან სპარსულიდან თარგმნა იგავ-არაკების კრებული „თისარინი“.

დაკრძალულია ასტრახანში.

— **თაქლა ბაგრატიონი**

იხილე *ბაგრატიონი თეკლე*.

— **თხალაიშვილი ხოსნა (1949)**

დაიბადა სოფელ ახალსოფელში (ყვარელი). სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ოსუს ფილოლოგიის ფაკულტეტის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებაში, რომელიც 1972 წელს დაამთავრა. შეშობდა სხვადასხვა სკო-

ლასა და ინსტიტუტში მასწავლებლად. ამჟამად მუშაობს თელავის გურამ რჩეულიშვილის სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის გამგედ. ლექსების და მინიატურების წერა დაიწყო სტუდენტობის წლებში. გამოცემული აქვს ერთი კრებული – „სიყვარულის თვალებით“. გამოსაცემად ამზადებს საბავშვო კრებულს.

შემოდგომა

დაქანცულობით გამოწვეულ
სიბერის გრძნობას
კვლავ უკუვაგდებ, ცას შევხედავ,
ვფხიზლდები იმ წაშს...
ო, ეს ცაც ჯამთა სიავისგან
დაღლილ ქალს მოჰკავებს
დედამიწა კი ჩემს ჯინსზე
ჭრელ კაბას იცვამს.

– თხალჭრელიძე პარკენ

იხილეთ *ცახელი პარკენ*.

– თხარაძე ზაზა (1957 – 2007)

დაიბადა თბილისში, მწერლის და საზოგადო მოღვაწის, რეჟამ თვარაძის ოჯახში. 1979 წელს დაამთავრა თსუ-ს ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. იყო ჟურნალ „ბალავერის“ მთავარი რედაქტორი და ჟურნალ „არილის“ პროზის განყოფილების რედაქტორი. მწერალთა გაერთიანება „არილის“ და „პენ-ცენტრის“ წევრი. სიცოცხლეშივე გამოსცა ორი პოეტური და ორი პროზაული კრებული. რომანი „სიგყვებით“ პირველად დაიბეჭდა 1994 წელს ჟურნალ „ცისკარში“. 2009 წელს შაშა თვარაძის წიგნს „მონტეპულსუ ანუ ელის არაჩვეულებრივი მოგზაურობა“ მიენიჭა ლიტერატურული პრემია „გალა“ (სიკვდილის შემდეგ).

* * *

ცარიელია ღამე და ღლე და
საღამო, დილა და ყველა წამი,
და ყოველ საგანს, რომელსაც ვხედავ
ელევა ჩუმი სიკვდილის ნაში,

და შხამი შიშის, და თრთილი წახვლის,
და სიცოცხლიდან დაძრული აზრი,
რომ ყველა იმედს სინელებე წაშლის
და კაპიკია სიცოცხლის ფასი,
რომ ყველა გრძნობა, არსებობს რაც კი,
არარსებობს შემკვერელი არის,
ქვეყნად მყოფნიც კი ერთმანეთს ავცდით
და უკვე საღაღე მიგვრეკავს ქარი,
არის სინათლე, მაგრამ სინათლემ
ღაბადებითვე არაფერს მალავს,
ცარიელია ღამე და ღლე, და
თვით სინამდვილეს აკლია ძალა.
მაგრამ შემხედავს დაცნვით ვინმე:
მამ, ასე მწყობრად რაგომლა რომავე?
ეს არის მხოლოდ უამრო ჰიმნი,
და ნარცისების კეკლეუცი ღროშა.

– თხარაძე რეჟამ (1928 – 2006)

დაიბადა სოფელ უხუთში (ვანი).
1952 წელს დაამთავრა თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1966-67 წლებში მუშაობდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების რედაქციის გამგედ, 1967-68 წლებში – ვანთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორად, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორად (1973-75), ჟურნალ „ცისკრის“ პასუხისმგებელ მდივნად, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის განყოფილების გამგედ და სხვა. თარგმნილი აქვს ლერმონტოვის, ბლოკის, ისააკიანის თხზულებანი, უილიამ ფოლკნერის რომანები: „სოფელი“, „ქალაქი“ და სხვა.

აკმბიტმ ისააკიანი

თარგმნა რეჟამ თხარაძემ

სიმბრად ვიხილეთ: თითქოს მძინარი
ზღვა ლივლივებდა ლურჯი,
ნაპირთან ვიწვექ სისლხდამდინარი,
დაჭრილი, ბედის ურჩი.
გაფაყლებდი მზერას ზღვისაკენ,
ზღვას ჰქონდა ფიქრი შორი,
მე კი განწირულს სიცოცხლისაგან



ცინსანა
თხალღიაშვილი



ზაზა
თხარაძემ



რეჟამ
თხარაძემ



ბაგალი თოდუა

სისხლის დამდინდა გბორი.
უკეთესმა მესმის სევდით ნაფერი,
დაფარა იგი არე –
ოჰ, ეს ხომ დედა შორი ნაპირით
მიხმობდა მშობელ მხარეს.

– თორმეტი წელი (1927 – 2016)

დაიბადა სოფელ სალხინოში (მარგველი).
1949 წელს დაამთავრა თსუ-ს აღმოსავლეთ-
თმცოდნეობის ფაკულტეტი. 1950-1961 წლებში
იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
უფროსი ლაბორანტი და უფროსი მასწავლებელ-
ი; 1961-1966 წლებში – აღმოსავლეთმცოდნეო-
ბის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელ-
ი, 1968 წლიდან – სპარსული ფილოლოგიის
განყოფილების გამგე. 1991-1995 წლებში იყო
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმ-
წიფო უნივერსიტეტის რექტორი. 1995-2008 წლებ-
ში იყო გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზი-
დენტი. 2008 წელს მიენიჭა ირანის ისლამური
რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დაწესებული
პრემია – „მოსოლიში საუკეთესო ირანისტი“.
თარგმნილი და გამოქვეყნებული აქვს სპარსუ-
ლი კლასიკური პოეზიის წარმომადგენელთა
მრავალი ნაწარმოები.

კაფუზი, ყაზალი

თარგმნა მკბალი თორმეტი

ათასი მგერი რომ მყავდეს ქვეყნად
და ასაკლებად მომიხგეს კარად,
სანამ შენ ერთი მყავსარ მოყვარე,
არ ვემიშობ, რადგან შენ ხარ და კმარა!
ეს მე შენია, რომ მაქვს იმედი,
ჩემს ვეკრდით მდგარი მეგულები ფარად,
თორემ უშენოდ მე როგორ გავძლებ, –
სიკვდილის მიმი მზაფრავს და მზარავს!
თუ სუნთქვა შენი არ მოაქვს ნიაფს,
ჩემს ნიადაგზე ვერ ვღვავარ მყარად
და ვარდის დარად პირს ისე ვიხოვ;
სისხლი დაწვებზე ჩამომდის დარად.
ოცნება შენზე და მოსვენება?
გაყრა შენი და რაიმე ჩარა?
არა, სიცოცხლე, ასეთი რაზე
ჯერ არ მომხდარა, არა და არა!
შენ რომ დამკოდო, უფრო მრგებს, ვიდრე
სხვამ წყულს საღბუნი დამადოს წყნარად;
სხვის მოწვილ თაფლს და გოლეულს
მიჯობს შენი სამსალა და ძირიმწარა.
სიკვდილით ჩემით დავთრგუნავ სიკვდილს,
ხმლით შენით ჩემს სისხლს თუ აღენ დვარად;

მკვლად ნუ მახსენებთ, – ვკვები სიკვდილით,
რათა სიცოცხლით ვიცოცხლო მარად!

– თორმეტი წელი (1954)

1978 წელს დაამთავრა თსუ-ს ფილოლოგი-
ის ფაკულტეტი.

თიბათივი

მოპირუღია მალალი ცელი,
სათიბში კვდებიან შიშილები,
თივის მეინიდან სევდა და ცრემლი
და სიყვარული იმზრება.
ღმერთო, ეს თიბათივი როგორ მიყვარს,
ერთად დაახვავებს დარს და ავდრებს.
ნეგავი ბალახი ვყოფილიყავი,
თივის სიყვარულში დამმარხავდენენ.
ნეგავი, რა მინდოდა იმ სოფელში,
ნეგავი, რა მინდოდა იმ ქალაქში,
ამ მწვანეფეხება დედლოსთან
ნეგავ სამუდამოდ რად არ დავრჩი.
არა, არ ჩასულა მზე იმ მთებში,
არა, არ ჩასულა მზე იმ მღვივებში,
ბალახში ჩავიდა, ცელის ეშვამ
უცბად დაიჭირა ბასრი ეშვით.
ესაა თიბათივის სასწავლი –
სიყვარულს წაიღებს ბალდახინით,
ასე თივასავით ხმელი გული
გირის მოთიბული ბალახივით.
რისთვის ეს სული და რისთვის თიხა,
თუ ვერ მოუვლიდი, რაგომ მანდეთ,
ნეგავი ბალახი ვყოფილიყავ
თივის სიყვარულში დამმარხავდენენ.

– თორმეტი წელი (1876 – 1952)

ნამდვილი გვარი – თერეშიძე.
დაიბადა სოფელ ჭოლევეში (წყალტუბო). და-
ამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელ-
ი და ხონის სამასწავლებლო სემინარია. პირ-
ველი წერილი 1896 წელს გამოაქვეყნა ჟურნალ
„კვალში“, პირველი ლექსი კი – იმავე წელს ჟუ-
რნალ „ჯეჯილში“. 1898 წლიდან სახალხო მა-



ლალი
თორმეტი



ლომენტი
თორმეტი

სწავლებლად მუშაობდა სამეგრელოსა და ქვემო იმერეთში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლებში, ხოლო 1911 წლიდან ენისა და ლიგერატურის მასწავლებლად ქართულ გიმნაზიაში. 1912 წლიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქუთაისში. მეფის მოხელეების დევნის მიუხედავად ქართული გიმნაზიის მასწავლებელი და უღალავად იღვწოდა, მოსწავლე ახალგაზრდობაში ღრმად დაენერგათ ეპოქის მოწინავე იდეები, მშობლიური ენისა და კულტურისადმი სიყვარული. თანამშრომლობდა გამეთებში: „ივერია“, „ახალი დროება“, „სახალხო გამეთი“, „ისარი“, „ამირანი“ და სხვა. მისი პოეტურ ნაწარმოებთა ერთგომეული პირველად 1939 წელს გამოვიდა, მეორედ – 1955 წელს. ლექსების თემა: სამშობლოს სიყვარული, პიროვნული და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა, ადამიანური ფასეულობების შექმნება და სხვა. იოსებ ოცხელიან და სამსონ ყიფიანიან ერთად თანაავტორია ანბანის შემდეგ სახმარებელი წიგნისა „მნათობი“ (1918, ქუთაისი). მისი რამდენიმე ლექსი ს. გორგაძემ შეიგანა 1906 წელს გამოცემულ ქართული ლიგერატურის ქრესტომათიაში, როგორც სკოლაში შესასწავლი მასალა. დომენგი ოყრეშიძე-თომაშვილი დაკრძალულია ქუთაისში, შწვანყვავილას პანთეონში.

საახალწლო სურათი
 კერაში ცეცხლი ვუგუგუბებს,
 ციმცირებს ალი ალმედა;
 გარშემო სხედან ბავშვები,
 ძილი არ მოსდით თვალებზე.
 დედა პურსა ზელს, ბებიას
 მოაქვს ხაჭო და ყველია;
 ქოთნით რძე შესადედებლად,
 შავ ძროხის მონაწველია.
 მამა საფუტკრეს ყოფილა,
 მას თაფლი მოაქვს გობითა,
 ვით ქარვა, ისე ბრწყინავენ
 ფიჭვები გარეგნობითა.
 კალათში რაღა აწყვირ? -
 ვაშლები, ბროწეულია,
 ჩურჩხელა, ტკბილი კვერები
 და მსხალი მოწეულია.
 კერიის ახლო მჯდომარე
 ჩინილაკებს თლის ბაბუა;
 ტკბილად უმზერენ ბავშვები
 სუყველა კისერ-ღაბუა.
 ამ კულაბბეკილ კატუნას
 ნეტავი რაღა სწავლია?

ესეც გრძნობს ალბათ, რომ ხვალე
 ახალი წელიწადია...
 დედა შევით ემუღარება -
 დაწეით, ვენაცვალეთო,
 ამდენ ხანს ჯდომამ-მგერთია
 განა არ დაიდალეთო?!
 პირჯვარი გაღამწერეთ,
 დალაგდით, დაიძინეთო,
 დილაზე ადრე ადექით
 და ტკბილად მოილხინეთო.

— თოფურია თია (1977)

დაიბადა სოხუმში. 1998 წელს დაამთავრა თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. იმავე წლიდან მუშაობს ჟურნალისტიკად და რედაქტორად ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვის მინისტრის განყოფილებაში. არის სხვადასხვა ლიგერატურული კონკურსის ნომინანტი და ლაურეატი. გამოცემული აქვს ლექსებისა და მოთხრობების კრებულები: „პიგნის კალო“, „ზღაპრების წიგნი“ – „პარადის არდადეგები“ და „გასაღებიანი ზღაპრები“, პოემების კრებული „ეკოციდი“.

* * *

ცხრა მზე მინდოდა მქონოდა,
 რვის მეტი ვერ შევგატოვე.
 მეცხრე ვერ გაღმოვიბირე,
 ციდან ვერ გაღმოვავორე.
 მზით ჯიბეგამოტყევილმა
 შენს სახლს შეველე ჭიმკარი.
 შენ გმები გვივროვებია
 ჩემგან რომ წასულიყავი.

— თოფურია თიანგი (1970)

პოეტი, მთარგმნელი, საჯარო მოხელე. დაიბადა ქუთაისში. დაამთავრა თსუ-ს ეკონომიკის ფაკულტეტი და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახ. უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, შემდეგ – თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტი. მუშაობს ცენტრალურ და რეგიონულ



თია თოფურია



თიანგი თოფურიძე

სახელისუფლებო სტრუქტურებში წამყვან თანამდებობებზე. პირველი ლექსები ადრეულ ბავშვობაში გამოაქვეყნა. სხვადასხვა დროს იყო ლიტ. გაზეთ „ცაის“ რედაქტორი, გაზეთ „სპორტული ქუთაისის“ რედაქტორის მოადგილე, საბავშვო ლექსების კრებულ „ლილე“-ს თანაავტორი. მისი ლექსები, ნოველები, პუბლიცისტური წერილები იბეჭდება ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. მისი პოემებისა და თარგმანების კრებული 2007 წელს გამოიცა. ლექსები შესულია ანთოლოგიაში „1980-90-იანი წლების ქართველი პოეტები“ (2010). გამოცემული აქვს თარგმანები: ჩინური პოემების მცირე ანთოლოგია - „ჩინური პეიზაჟური ლირიკა“ (1998), ლუ სინის რჩეული თხზულებების კრებული „მოწოდება“ (2001).

ჩემს შვილს – ბიორბის

გადაიღვავ
 ვარსკვლავებით შეკრულ სადილეს,
 დახვალ სინათლით,
 მამასავით გურგზე ხალებით...
 მე მამაგაგი,
 ვერ შევნიშნე გრუნვით დაღლილმა,
 როგორ გაბრდილხარ,
 ჩვენი ეზოს ნეკერჩხალივით.
 ვერ მოვიცალე,
 ვერ მოგხვია მხრებზე ხელები,
 აწ კი არ ვიცო,
 იქნებ, ვედარე შემოგაწვდინო!
 განმეშორები,
 პირს იბრუნებ სახეგალოდ,
 მერე წუხილი
 ჩვენს სახლშიაც შემოაწვიმებს.
 დაგელოდები,
 დავიყენებ ხარს და დეკულს,
 ყურძენს დავწურავ,
 სანადიმოდ მოვემზადები...
 კედელს შერჩება შენი წლები
 ფანქრის ხაზებით,
 და ყრუ გკივილი
 მოუტყელი მამის სიშორის.
 ბავშვურ სახეზე
 დაგთამაშებს დედის სინამე,
 ნასახსოვრები
 ქალღვევლთა შუბლი უზალო,
 უმანკობის
 დარაბები გადაირაბე,
 ანგელოზები
 ჩაისახლე სამარადკამოდ.

– თეზაურიზმილი ბივი

XVII-XVIII საუკუნეების ქართველი პოეტი და კალიგრაფი. 1688-1721 წლებში იყო ერეკლე I-ის, არჩილ II-ის, ლევან ბატონიშვილისა და ვახტანგ VI-ის კარის მდივან-მწიგნობარი. 1701-1705 წლებში არჩილ II-ის დავალებით გადაწერა „არჩილიანი“, მასვე ეკუთვნის ვახტანგ მეექვსის სახელზე დაწერილი ეპიგრაფი, რომელიც მხატვრული ღირსებებითაც საყურადღებოა და ინგონაცურადაც ენათესავება თვით ვახტანგისა ლექსთა ტონალობას. 1721 წელს ვახტანგ VI-ის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილთან ერთად აღწერა საბარათიანი. მისი ლექსები დაცულია ხელნაწერების სახით. გვიე თუშანიშვილს ვახტანგ მეექვსესა და სულხან საბასთან ერთად მონაწილეობა მიუღია „შვიდი მთიების“ თემაზე გამართულ ლიტერატურულ შეჯიბრში.

– თეზაურიზმილი ბიორბი ეგნატეს ძე
 (1774 – 1837)

პოეტი, კალიგრაფი. 1790 წლიდან იყო ჯერ ერეკლე II-ის, შემდეგ გიორგი XII-ის მდივან-მწიგნობარი, ხოლო მოგვიანებით ჩაირიცხა რუსეთის სახელმწიფო სამსახურში; 1820 წელს მან სტაგსკი სოვენიკის ჩინი მიიღო; დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ლიტერატურის ძეგლთა შეკრებისა და გამრავლების საქმეში. მისი დავალებით გადაიწერა მრავალი ქართული ხელნაწერი. გიორგი თუშანიშვილი ბესიკისა და საიათნოვას პოეტური სკოლის მიმდევარია. ის ასევე არის „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ინტერპოლატორი.

– თეზაურიზმილი ბიორბი (1854 – 1920)

დაიბადა თბილისში. 1871 წელს დაამთავრა თბილისის ვიშნაზია, 1875 წელს კი – ნიჟნოროსის (ოდესის) სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართლის კანდიდატის წოდებით. გარკვეული დროით მსახურობდა ფოთის სასამართლო უწყებაში, შემდგომ მეფისნაცვლის კანცელარიაში საგლეხო განყოფილების უფროსად. მისი სტაგეები და წერილები იბეჭდებოდა იმდროინდელ პროგრესულ პრესაში; თანამშრომლობდა „დროებასა“ და „ივერიაში“; 1878-1879 წლებში გამოსცა ქართული „ალმანახი“; შექმნა ქართული საგამომცემლო ამხანაგობა, რომელმაც პირველად გამოსცა წიგნად ნ. ბარათაშვილისა და სხვა ქართველი პოეტების თხზულებანი. გიორგი თუშანიშვილს სხვადასხვა საკითხზე გამოცემული აქვს მრავალი ნაშრომი. იყო

ქართული თეატრალური ამხანაგობის ერთ-ერთი დამაარსებელი. სამოგალო მოღვაწე.

— **თუშანიშვილი ლავით** (1780 – 18??)

კალიგრაფი, პოეტი. მოღვაწეობდა რუსეთში; 1826 წელს მიიღო ნადვორნი სოვეტნიკის წინი; ღავით თუშანიშვილის შემოქმედებას აშუღური პოეზიის გავლენა ეგყობა; თემატურად პოეტის ლექსები ერთფეროვანია, ძირითადია სატრფიღლო მოტევი. მას ღიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში. ღავით თუშანიშვილმა გაღანუსხა და მოკაშმა მრავალი ქართული ხელნაწერი.

— **თუშანიშვილი ღიშიბრი** (1760/1770 – 1821)

XVIII-XIX საუკუნის პირველი ნახევრის პოპულარული პოეტი იყო. ბიოგრაფიული ცნობები მასზე ძალზე მცირეა. ის ეკუთვნოდა ქართლ-კახეთის სამეფო კარის მღივან-მწიგნობარ თუშანიშვილთა იმ შტოს, რომელშიც ეს თანამღებობა შემკვიდრებით გადაღიდა. 1803 წელს ღიშიბრი თუშანიშვილი პეტერბურგში გაჰყვა ღავით ბატონიშვილს. 1806 წლის შემოღგობამე სამშობლოში დაბრუნდა. გარღაიცივალა 1821 წელს. მისი პოეზია ფორმითა და შინაარსითაც აღმოსავლური ყაიღისაა. მისი სალექსო ფორმეზი: მუსამბაზი, მუსგამაღი, თუჯნისი, გაფი, ბაიათი, ღუბეითი და ა. შ. უმეტესობა სიყვარულის თემაზე შექმნილი, რომლებშიაც ბესიკის პოეზიის ღიდი გავლენა იგრძნობა. აქვს, აგრეთვე, მიძღვნილი-სახოტბო და რელიგიურ-ფილოსოფიური ხასიათის ლექსებიც. განსაკუთრებით ფართო გავრცილება ჰპოვა ღიშიბრის აქ ლექსმა „ახალ აღნაგო“, რომელიც რუსულად და ინგლისურად აღრევე ითარგმნა და პოპულარულ სიმღერად იქცა როგორც ჩვენში, ისე რუსეთშიაც. მას შთამბეჭღავი გავლენა მოუხღენია აღლქსანღრე პუშკინზე, რასაც თვითონვე აღნიშნავს თავის მეშუარულ თხზულებაში „მოგზაურობა არბრუმში“.



მიხიღი
თუშანიშვილი



თუშანიშვილი

ბაიბათი

1. ვარღი მეც მხვეღს ეგების, ღაწვეღ ბაგე ეგების, ლხინი, შვება განქარღღს, სიყვარული ეგების.
2. სურვილი აქვს მას რისა? შაქარ-ყანღს, მასრისა... მისი ბაგის შარბათი ნეტამც გუხსა მასრისა.
3. განი წვრიღი ახევეღს, გულსა სხივით ახევეღს, ვინც ვერ შეხვეღს თანასწორს, სულთქმით ბევრჯელ ახევეღს.
4. მთვარე საღაგ ველისა, ჩემის საღაგვეღისა, მის უებროს ყელისა, მიღფი – ხაღ ა გვეღისა.
5. სეღა გექმნათ ვისობით? - ვინ ეკელუკობს ვისობით, თქვენ გმისაგან შემღღარბართ, ჩვენ ემყითა ვისობით.
6. სიგყუას ვჰსთხზავ შინებით, ნუ იმნებით შინებით, თუ პასუხი ვერ უღლოთ, ნუ გამოსხვალთ, შინ ებით.

— **თუშანიშვილი მიხიღი** (1818 – 1875)

ფსევღონიში – მოღაყბე. ღაიბაღ სოფელ ხელთუბანში (გორი). 1831-1836 წლებში სწავლობდა თბიღისის გიმნაზიაში. 1837 წლიღან იმყოფებოღა სხვაღასხვა სამოსნელი თანამღებობამე. მიხიღლ თუშანიშვიღს მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის და ჟურნალისტიკის განვითარების ისტორიაში მნიშვნელიოვანი აღგიღი უკავია; ჯერ კიღვე გიმნაზიაში სწავღის ღროს ნ. ბარათაშვიღთან ერთად მონაწიღეობღა პოეზიის „ანთოლოგიის“ შეღღენაში (1833, გაღაწერიღია მისი ხელით); ხელმძღვანელიობღა ხელნაწერი ჟურნალის „თბიღისის გიმნაზიის ყვაიღის“ გამოციემას (1835, რუსულ ენაზე); ითვლებოღა თეატრის პირველ კრიტიკოსად საქართველოში; მის წერიღებში, მოციემულია გორიგი ერთიავის თეატრის დაარსების ისტორია, მსახიბებების აზახიბთება, განხიღულია პიესები. წერიღებს

ბეჭდავდა გამოცემებში: „კავკაზი“, „დროება“ და ქურნალ „ცისკარში“; 1857 წლიდან მოლაყბის ფსევდონიმით ქურნალ „ცისკარში“ იბეჭდებდა მისი ცნობილი ფელეტონები. თარგმნა პუშკინის „ბახჩისარაის შალრევანი“, „კავკასიის გყვე“ და სხვა.

– **თურამანიძე ვიხილი** (1979)

ლაიბადა ხაშურის რაიონში. 2001 წელს დაამთავრა პედაგოგიური უნივერსიტეტი. მისი შემოქმედება იბეჭდებოდა ლიტერატურულ ქურნალ-გამცემებში. არის ლიტერატურული გაზეთის - „მესამე ათასწლეულის“ დამფუძნებელი.

– **თურამანიძე მზარ** (1959 – 2019)

პოეტი, პროზაიკოსი, ფრანგულად და ფრანგულადან მთარგმნელი.

ლაიბადა სოფელ ხილიანში (დუშეთი). 1990 წელს დაამთავრა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი, ფრანგული ენის სპეციალობით. მისი პირველი პოეტური კრებული – „დღე-ღამის დედა“ – დაიბეჭდა 1984 წელს. ავტორია პოეტური კრებულებისა: „ცოდვები და გვირილები“ (1991) და „რა“ (1994). თარგმნიდა ფრანგულ პოეზიას. მონაწილეობდა აფხაზეთის ომში, იქიდან დაბრუნების შემდეგ გამოსცა ომის დღურები „აფხაზეთი... ჯარისკაცის ჩანაწერები“ (1993). ამჟამად ცხოვრობს საფრანგეთში, სტრასბურგში. წერს პროზას ფრანგულ ენაზე. 1998 წელს გამოვიდა მისი რომანი: „ქერივი, მერცხალი და ნათელმხილველი“. ქართულად თარგმნის ფრანგულ პოეზიას, ხოლო ფრანგულად კი ქართულ პროზას. ფრანგულ ენაზე უკვე დაიბეჭდა მის მიერ თარგმნილი ბესიკ ხარანაულის რომანი „წიგნი ამა ბესარონისა“.

* * *

როგორ მჯობნიან ჩემი ლექსები!..
ჩემზე სუფთანი არიან და ჩემზე წმინდანი;
ჩემზე ღიანი და ამაღლებულინი;
თუ უყვართ ჩემზე მეტად უყვართ,
თუ წუხან, ჩემზე მეტად წუხან,
ფიქრითაც ჩემზე უკეთ ფიქრობენ
და ჩემზე უფრო ჭკვიანურად
ამბობენ სათქმელს...

მერე მიდიან,
როგორც მოხუც მშობელს, მგოვებენ
არც ერთმა მე არ მიერთგულა,
ჩემი დაუშთავრებელი,
ხეიბარი ლექსების გარდა...

მაგრამ ისინი,
ჩემგან თვითონ საპატრონონი,
უკვე გარეთ, სხვის გულებისკენ იყურებიან,
სხვას უღიმიან, სხვას მესტირიან...
არც ერთმა მე არ მიერთგულა,
ვერც ერთმა სრულად ვერ გამიგო
გულისტკივილი.

– **თურამანიძე სოსო** (XVI-XVII სს)

პოეტი, ფილოლოსის „მაჰნამეს“ ქართული ვერსიების – „როსტომიანის“ – ერთ-ერთი მთარგმნელი ქართულ ენაზე. სვიმონ მეფის დავალებით უშუალოდ სპარსულიდან უთარგმნია „ბარზუნამეს“ შემცველი ტექსტი. სულ გაულექსავს 972 სტროფი; გარდა ამისა, შეავსო სერაპიონ საბაშვილის მიერ გადმოღებული პირველი ნაწილი. ხოსრო თურამანიძის თარგმანი მუსტია, მაგრამ მხატვრულად მდარეა (ამას არჩილ მეფეც აღნიშნავს).

ი

– იაგორაშვილი ნოდარ (1945)

დაიბადა თბილისში, ბავშვობა გაატარა სოფელ კალაურში (გურჯაანი). სწავლობდა თბილისში, თეატრალურ სკოლაში; დაამთავრა სოფელ ვანნაძიანის საშუალო სკოლა. შემდეგ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. პირველი ლექსი დაწერა ათი წლის ასაკში და მას დადებითი შეფასება მისცა თვით იოსებ ნონეშვილმა.

* * *

ჩემი თელავის ყველა ქუჩას თითქმის დავითვლი, უფალმა ღმერთმა ნაღიკვარზე ცრემლად დამაღწოს, შაქარყინულის ნაგეხივით გულში ჩაგითლით, რომ თქვენი სითბო სიყვარული ჩამებზადგოს. ჩავემუხლები, დავუწოქებ ჯვარპატიოსანს, გული უბოროტო სიყვარულით ლოცვას შენაგრებს, ჩემი თელავის ყველა ვაჟიკაცს და მანდილოსანს საკუთრად თითოს, გაგინათებთ თაფლის კვლავაგრებს. მოვასწრებ, ალბათ... თვით უფალიც ამბავსინებს, სანამდის ბოლო ამოსუნთქვა ვაღამთელავებს წინანდლის ბაღში ამოვარჩევ ღამამ ყვავილებს, რომ ფანდაზად დაგიფინით ყველა თელაველს. ვიგოს გორაზე სიყვარულის ეშხით დავეთვრები და გადმოვბახებთ:

- თქვენთანა ვარ, თქვენთვის ვმღერვივარ!
თქვენც გამისხენეთ.. შემეყვარეთ, სანამ გავქვრები...
ნაღი თუ არა, გულით მაინც თელაველი ვარ!

– იათაშვილი შოთა (1966)

1992-1994 წლებში იყო ლიგერატურული გამეფის „რუბიკონის“ რედაქტორი; 1995-1997 წლებში გამეფის „სერაფიმის თეატრის“ მთავარი რედაქტორი; 1996-2006 წლებში – ლიგერატურული გამეფის „ალტერნატივის“ (შემდგომ ქურნალი) მთავარი რედაქტორი. 2003 წლიდან არის გამომცემლობა „კავკასიური სახლის“ რედაქტორი და ლიგერატურული ქურნალის – „ახალი საუნჯე“ – მთავარი რედაქტორი. ავტორია 8 პოეტური და მოთხრობების სამი კრებულისა: „საღეჭი რეზინა“ (1994), „ფანქარი ცაში“ (2004), „სანამ დროა“ (2006).

პოცნა

როცა უსიგვეო დაიბეგი ვაქვს
სამ ჩაის კოვზ სიგვეას

ვერი შენს სისხლში და კარგად ვურევ.
თან სულსაც ვუბერავ,
მაღე რომ შევგერილო და
მერე ფინჯნის პირით მივიყულო პირზე.
ამ დროს ფინჯანი ორივე ხელით მაქვს
მაგრად ჩაბლუჯული.
და როცა დაცლილ ფინჯანს
მიწაზე ვდგამ და მისი ფსკერიდან
ამოსული რამდენიმე დაუჯერებელი
ბგერა მესმის, მე ვგვრძნობ მათში
ჩემს მიერ ჩაყრილი შაქრის
ლინგვისტურ სიგტოს.

– იაკობაშვილი რაულ (1945)

დაიბადა თბილისში. 1969 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. წლების მანძილზე ეწეოდა სამედიცინო მოღვაწეობას. გამოცემული აქვს ლექსების კრებული „მიჯნა მიჯნურობისა“ (2010).

– იაკობ შაჰოშაძელი (1945)

იხილეთ *შემოქმედელი (დუმბადე) იაკობ*.

– იალონი –

იხილეთ *იასამანი (მიხეილ კინწურაშვილი)*.

– იალღუჩია იოანე (1775 – 1830)

მთარგმნელი, პედაგოგი, პოეტი. დაიბადა სოფელ შალადაში (ცხინვალი). დაიბადა აზნაურის ოჯახში. მან ჩინებული სასულიერო განათლება მიიღო ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის კარზე. იყო ქართული, ოსური და რუსული ენების შესანიშნავი მცოდნე. ეწეოდა პედაგოგიურ და მისიონერულ საქმიანობას. მან დიდი როლი ითამაშა კავკასიონის სამხრეთით მც-



ნოდარ
იაგორაშვილი



შოთა
იათაშვილი

ოვრები ოსების გაქრისტიანებაში. ქართული გრაფიკის საფუძველზე, იოანე იალღუბიძემ შექმნა ოსური ანბანი (1802). ამ ანბანს იყენებდნენ როგორც კავკასიონის სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრები ოსები. ქართულ-ოსურ ენაზე გადათარგმნა „კატეხიზმო“, „ღვთისმსახურება“. მისი გარდაცვალების შემდეგ ქართული აღფაბეგი ცარიზმის რუსიფიკატორული რეჟიმის შედეგად რუსული ანბანით შეიცვალა. ი. იალღუბიძემ ოსების ისტორიული წარსული გააცოცხლა პოემა „იალღუბიანში“.

– **იარღუბიძე იოსებ** (1971)

დაიბადა ქუთაისში. 1993 წელს დაამთავრა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახ. უნივერსიტეტის მეორად პროფესორთა ფაკულტეტი ქრნალისტიკის სპეციალობით. 1988-1993 წლებში გამოცემული აქვს წიგნები: „საზღაური“ (1997), „ცვალებადი მორალულობა“ (2006), „ბუტერბროდი“ (2008), „სარკის პოლოკონიკი“, „სრემელის ნამცხვარი“... და სხვა. მისი ნაწარმოებები ქვეყნდება ქალაქისა და რესპუბლიკურ ქურნალ-გამეთეში.

გახტანგ ჯაფახაძეს

გაწვიმდა – ციდან დაეშვა დღეგმა –
 ქალაქი შეკრთა წვეთების შვავში...
 და სველი ქუჩის კუთხეში დაღვა
 სიმშრალე, როგორც დასჯილი ბავშვი...
 მხრებში მოხრილი სილუეტები
 ბრაზობდნენ დრუბლით დახურულ სახლზე
 და გულისცემას უწყობდნენ ნახტომს
 გუბებზე – წვიმის დადებულ ნაღმზე...
 ფანჯრის მინაზე მიდებულ შუბლებს
 ემძიმებოდათ ცრუ ბედისწერა...
 ვერ ეწეოდა გაფრენილ ფიქრებს
 წვიმის წვეთებში გაჩრილი მშერა...
 ერთფეროვანი მრუშე სისველე
 ხდებოდა დროზე უფრო უხეში...
 კრამივს სწვდებოდა დრუბელი ისევ,
 ბავშვი ჯერ ისევ იღვა კუთხეში..

– **იასაანი** (1885 – 1955)

ნამდვილი სახელი და გვარი – მიხეილ კინწურამვილი. ფსევდონიმები – იალონი, ეგმბარიონი.

დაიბადა სოფელ შხეფში (სენაკი). 1912 წელს დაამთავრა ხარკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. 1912-1916 წლებში მასწავლებლობდა შუშის რეალურ სასწავლებელში, 1916-1919 წლებში კი – გორში,

ჯერ ვაკეთა გიმნაზიაში, შემდეგ ქალთა გიმნაზიაში; 1919-1922 წლებში იყო ფოთში ვაკეთა გიმნაზიის დირექტორი, შემდეგ ფოთის გექნიკუმის დირექტორი და განათლების განყოფილების გამგის მოადგილე; 1928-1929 წლებში მუშაობდა გამოქვეყნების „რედაქციაში“ მთარგმნელად; 1904-1905 წლებში ეწეოდა რევოლუციურ პროპაგანდას სამეგრელოს სოფლებში; ლექსებს აქვეყნებდა „ივერიაში“, „მწყემსში“, „მოგზაურში“, „ჩვენ ხმაში“, „თეატრსა და ცხოვრებაში“, ასევე სხვადასხვა კრებულებში; 1922 წელს დაიბეჭდა მისი ოთხულებების პირველი ტომი; თარგმნიდა უკრაინულ და რუსულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს.

პიქსტი

თუ სიმებად გაიხალდე
 დახვარული ხალხის გული
 თუ თითებს მელ ათამამებ,
 წმინდა გრძნობით გამოჭვლეული...
 თუ რომ კალმით აღარ ხაზავ
 შენ ორმაგად ბედის ქაღალდს,
 ხალხს თუ ძველსაც შეაყვარებ
 და გარდასცემ რასმე ახალს;
 თუ ორჭოფად აღარა ჰყეფს
 რჩეულთ ხვედრი – შენი ჩანგი,
 და ერთს საგანს მსახურებენ
 მისი სმები, მისი ჰანგი;
 გაიხარე! შენი არის
 ამოდენა ხალხის გული,
 წმინდა ნაყოფს გამოიღებს
 თესლი, მასში ჩანერგული!.

– **იანვილი აპოლო** (1894 – 1937)

დაიბადა სოფელ გამბოლა არგვეთში (სახხერე). 1900 წლის 1 სექტემბრიდან პაოლო იანვილი მშობლებმა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს. მასთან ერთად სწავლობდნენ „ციხფერყანწელთა“ მომავალი ლიტერატურული ჯგუფის გამოჩენილი წარმომადგენლები: ვალერიან გაფრინდაშვილი და გიციან ტაბიძე. 1911 წელს პოეგმა სწავლა განაგრძო ანაპის კერძო



იოსებ

იარღუბიძე (მკინწურამვილი)



იასანი



გიმნაზიაში; 1913 წელს იგი პარიზში გაემგზავრა და ლუვრთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში შევიდა; მისი უშუალო რედაქტორობით, ქუთაისში ორი ჟურნალი გამოიცა: „ოქროს ვერძი“ და „ცისფერი ყანწები“; 1911 წელს გამოაქვეყნა ლექსები გაზეთ „კოლხიდაში“; 1912–1913 წლებში, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სათავეში ჩაუდგა და რედაქტორობდა ყოველთვიურ ლიტერატურულ-მხატვრულ ჟურნალს, „ოქროს ვერძს“; ამავე წლებში პოეტი გაიტაცა მხატვრობამ; ბუჭდავდა წერილებსა და თარგმანებს „თემში“, „მეგობარში“, „თეატრსა და ცხოვრებაში“, „კოლხიდაში“ და სხვა ჟურნალებსა და გაზეთებში; ქართველ მწერალთაგან პირველია, რომელიც რეპრესიებმა შეიწირეს, მან დაპატიმრებას დაასწრო და მწერალთა სახლში 1937 წლის 22 ივლისს თავი მოიკლა. პაოლო იაშვილი თავდაპირველად დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე, ხოლო 1955 წელს გადასვენეს დიდუბის პანთეონში. იმავე წელს გამოიცა პაოლო იაშვილის ლექსების კრებული.

თბილისი

მინდა ავევარდე მამადავითზე,
 იქ აირჩიე, სულო ბინა შენ;
 მინდა უეცრად მუხლზე დავეცე
 ჩემი თბილისის და მშის წინაშე.
 ჩემო ქალაქო! არ დამაკელი
 შენ სისარული მშისგან ფერილი,
 თავზე გადგია, როგორც კანკელი,
 ცა მოელვარე და აკლერილი.
 ვხედავ, ურმები ლორთქა თივებით
 გზას ახარებენ აჭრიალებით;
 მტკვარს მოჰყვებიან ფიჭვის ტივებით,
 ვით მოცურავე თეთრი ქალები.

სლუდან ოქროს და წითელ ღვარებად
 კვირა ღლეებით შენი ქუჩები,
 და იცვლებიან ოხშივარებად
 შენს გარემუმო მთები თუჯების.
 შენს ალაყაფთან მსურს დავაღაგო
 ლექსები, როგორც სისხლის წვეთები...
 მილიონ სმებში საგზე ქალაქო,
 დიდი საგახგო ხარ პოეტების.

— ი.ა.ლოპუხილი —

იხილეთ *ველთქელი იროლიონი*.

— იაზაიკილი

XI-XII საუკუნეების ზღვარზე მოღვაწე მწერალი, სასულიერო პოეტი, ფიქრობენ, რომ ბერი იყო. ანტონ I „წყობილისიგვაობაში“ (XVIII ს.) მას „საკვირველ პიტიკოსს, ღმრთისმეტყველ-რიტორს, ჭეშმარიტ ფილოსოფოსს“, იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის „თანასწორად“ მიიჩნევს. მას თვლიან იოანე პეტრიწის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლად. ჩვენამდე მოღწეულია მისი სამი იამბიკო, აქედან ორი აკროსტიქულია.

მშსამე იამბიკო (წმიდა სვიმეონს)
 ნათელსა შორის უღამოსა მბრწყინავმან
 დაუვალისა მშისა ელვარებითა
 უმიმწუხრო, მართალთა საშეებულსა თან,
 შეებულება მთხოვე უფლის, სვიმეონ,
 მოსავსა შენსა მრწემსა იემეკიელს
 და აწისაცა დღევიანისა ზღვისა
 შუოთთა მშვიდობით დირს მყავ განწიადებად.

— იაითი გუჯაი (1875 – 1940)

სახალხო მელექსე და ლოგბარი, ძველი თბილისის აშუღური პოემის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი; მისი ნამდვილი სახელი და გვარია იეთიმ იბრაჰიმის ძე დაბღიშვილი.

დაიბადა თბილისში, ღარიბი ხელოსნის – დაბადის (მეგყავის) – ოჯახში. მისი წინაპრები თურქეთში გადასახლებული და გამაჰმადიანებული ქართველები ყოფილან. გვარის შემცვლელი ზედწოდება – „გურჯი“ (ქართველი) – მათ მერე შერქმევიათ. თბილისში ჩამოსულმა იეთიმის მამამ ცოლად მუხათელი სომეხი ქალი სარა შეირთო. მალე სომხური წესითაც მონიათლა. თავის ვაჟს მან იეთიმი დაარქვა, რაც თურქულად „ობოლს“ ნიშნავს. მამის გარდაცვალების შემდეგ, 15 წლის იეთიმი დედასთან და დასთან ერთად სიღარიბეში ცხოვრობდა. მალე ის მუსიკალური საქრავების ოსგაგს შეგირდად დაუ-



იეთიმ გურჯი

გა და პროფესიონალურად შეისწავლა დაირის, ჭიანურისა და ჩონგურის კეთება. ის შინაჯ აშმა-ღებდა ინსტრუმენტებს, პარალელურად წიგნებსაც ყიდდა. ოჯახი ხარფუხიდან მეტეხის ხიდთან მდებარე ერთ მიწურში გადმოსახლდა. 1905-1907 წლებში იეთიმ გურჯი ბაქოს ნავთობის სარეწებში მუშაობდა, 1905 წლის მოვლენების შემდეგ განვითარებული რეაქციის შედეგად იგი გადასახლეს, სადაც მან ხუთი წელი დაჰყო და 1912 წელს დაბრუნდა თბილისში. იგი 1895 წლიდან თხზავდა ლექსებს ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ამავე წელს დაწერა მან პოემა „ანაბაჯის ლექსი“, რომელიც მის პირველ წიგნად 1909 წელს გამოიცა; მას მოჰყვა „ახალი მგოსანი და სიმღერები“ (1911), „იეთიმის ახალი ლექსები“ (1913), „განგო“ (1914) და სხვა. 1928 წელს იოსებ გრიშაშვილმა, ხოლო 1958 წელს ანდრო თევზაძემ გამოსცეს პოეგის „რჩეული ლექსები“, ყველაზე სრული გამოცემა კი 1979 წლით თარიღდება, რაც ალ.პარნოვის რედაქციითა და წინასიტყვაობით გამოცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოიცა. იეთიმ-გურჯის ლექსები უმთავრესად სიმღერების სახით ვრცელდებოდა, რომლებსაც თვითონვე ქმნიდა და ასრულებდა. მის პოეზიაში ასახულია ქალაქის მუშების, ხელოსნების, წვრილი ვაჭრებისა და გლეხების ცხოვრება, ძველთბილისური ბოჰემა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

* * *

გამარჯობა, ჩემო თბილის-ქალაქო, დაკარგული შენი შვილი მოვედი, საქართველოს მიწა-წყალი, ალაგო, თორმეტი წლის გაგანჯული მოვედი.

მთაო წმინდავ, მამა დავითისაო, შენ, დარაჯო ქალაქ თბილისისაო, წმინდა მიწავ, უკვდავ მწერლებისაო, მათ საფლავზე სალოცავად მოვედი. ჩვენი ციხე, ძველო ნარიყალაო, საქართველოს ძველო მკვიდრო ძალაო, შენი შვილი პოლშის ციხე მშალაო, სისხლგამშრალი სალოცავად მოვედი. დილო ზარო, ჩვენი სიონისაო, ნაგრული ვარ შენ დიდებულ ხმისაო, ჩვენი მტკვარო, ძმაო რიონისაო, ნაწამები საბანაოდ მოვედი. ძმანო ჩემო: ჰაოს, ქართლოსისაო, გაგანჯულსა მიცნობთ დიდი ხნისაო, გაყიდული ორპირ მეგობრისაო, გამარჯობათ! იეთიმ გურჯი მოვედი!

— იესა გლახაძე —

იხილეთ *გლახაძე იესე*.

— ივარაკა ღილაკი (1940)

პირველი ლექსი („დიოსკურია“) გამოაქვეყნა 1957 წელს უურნალ „მნათობში“. გამოცემული აქვს 40-ზე მეტი პოეტური კრებული, მათ შორისაა: „რგოები არ იმსხვერვეიან“ (1968), „ჩუქურთმა ხეზე“ (1969), „ლერჯემის ხმები“ (1971), „ნათლის სამოსელი“ (1973), „ყინული ლღვება“ (1975), „გყვ დაიწყება“ (1976), „ლექსები“ (1978), „მელოდე“ (1980), „გმირული ორაგორია“ (1981), „ზაფხულის ელვა“ (1982), „თიბათე“ (1985), „ჟამი“ (1986), „მეკარი“ (1991), „ჟამი გოლდებისა“ (1998), „სიმშარეული მღვა აფხაზეთის“ (2005).

ჩემო პოლსემიო

ყინულთ ჩუქურთმებს შევხარი სოფლად, თოვლის ნიათით ნათდება ეზო, როგორ ვნატრულობ შენს გვერდით ყოფნას მიმზიანად და უმიზნოდ.

ზოგჯერ ვერ ვამჩნევთ დასაფასებელს, ჩვენს შეცდომებს კი მივხვდებით გვიან, გულს, სიყვარულით ახაფეთქებულს, თუ არ აფეთქდა, თქვე, რაღა ჰქვია?! მუდამ ვისხენებ კოლხელ ადონისს, მის ხმაში დართულ ღვთის მისტერიას, ათასი ჯურის ასარგადონი ჩვენს საეგრაგო ბეღზე წერიო. ხომ გვესასტიკეს შეუბრალებლად, შინაურმაჯ ხომ ბევრი გვიგანა, მაგრამ პონგოს მღვა, ცისფერთვალემა, მგერს უხვდებოდა მესხად, გრიგალად. ვერ წაგვიხოცეს ზღაპრების ბუდე,

ის ეოქება არყოფნის ქარებს, იყავი, ხარ და იქნები ყუდე, ჩემო კოლხეთო, ზღაპრების მხარევე!

– იპრისპირაქი

ისილე ტივინაშვილი დავით.

– იპრია –

ისილე იმედაშვილი იოსებ.

– ილია ბაგრიანი

ისილე ბაგრიანი ილია გიორგის ძე.

– ილ. კონსტანტინე (1869 – 1951)

ილია პონგოელი, ნამღვილი სახელი და გვარი – ილია მანუჩარის ძე ჩიქოვანი.

პოეტი, დრამატურგი, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების ავტორი. მისი მასალები იბეჭდებოდა „ივერიაში“, „ცნობის ფურცელში“; გამოდიოდა სცენაზე ქუთაისში და ამავე ქალაქის დრამატული საზოგადოების წევრი იყო. 1911 წელს აირჩიეს ქუთაისის ქალაქი თავად.

– ილ. ჩხარიალისპირაქი (1866 – 1928)

ნამღვილი სახელი და გვარი – ილია ივანეს ძე ფერაძე, სხვა ფსევდონიმი – ნებომირელი.

პედაგოგი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე. დაიბადა ხარაგაულის რაიონის სოფელ ნებომირში. დაწყებითი განათლების შემდეგ შედის ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. 1882 წლიდან – თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომლის დამთავრების შემდეგ 1889 წელს სახელმწიფო ხარჯზე გაიგზავნა კიევის სასულიერო აკადემიაში. 1921 წლიდან იგი დაინიშნა ხაშურის ჰუმანიტარული ტექნიკუმის (ახლანდელი ხაშურის პირველი საჯარო სკოლა) დირექტორად. მისი ლექსები იბეჭდებოდა „მწყემსში“, „კვალში“, „განათლებაში“, „თეატრსა და ცხოვრებაში“ და სხვა.

– ილ. მონაქილი


ისილე დანიშაშვილი მიხეილ.

– იმედაშვილი იოსებ (1876 – 1952)


დაიბადა სოფელ ხაშში (საგარეჯო). ბავშვობა მწყემსობაში გაატარა. სწავლობდა თბილისის სახელოსნო სასწავლებელში. 1890-იანი წლებიდან ეწეოდა რევოლუციურ აგიტაციას თბილისის ქარხნებსა და რკინიგზის სახელოსნოებში, ავრცელებდა არაღივალურ ლიტერატურას. 1903 წლიდან რსდმპ-ის წევრი იყო. 1906 წელს აირჩიეს I სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩეველად. 1905-1906 წლებში ხელმძღვანელობდა ივრის ხეობის, ე. წ. „გარეკახეთის ერთობის“, რევოლუციურ მოძრაობას. 1905 წელს თბილისში გლეხთა რაზმთან ერთად პროტესტით წარუდგა მეფის ნაცვალს გურიაში დამსჯელი რაზმების გაგზავნის გამო. 1910 წელს რევოლუციურ-პროპაგანდისტული მუშაობისათვის 4 წლის კეტორდა მიუსაჯეს, რაც ავადმყოფობის გამო შეტეხის ციხეში პატიმრობით შეუცვალეს. ნაყოფიერად იღვწოდა ლიტერატურისა და კულტურის საზოგადოებაში. ბეჭდვა დაიწყო 1895 წლიდან. 1893 ავჭალის, ხოლო 1902 წელს ავღაბრის მუშათა თევრების დამაარსებელი იყავი და პირველი რეკისორი იყო. 1903 წლიდან პროზაული ნაწარმოებების გარდა, გამოსცა ლექსთა რამდენიმე წიგნაკი („სიყვარულის ძალა“, 1904; „პროლეტარიატის პიშინი“, 1905; „წითელი დროშა“, 1904) და სხვა.

სიმღმრდა (ფრანგენტი)


ქმანი, ხანგრძლივ მონობაში მთლად გაგვიქრო გმირის სული, დავგვალანარა, არც კი ვიცით, რასა ჰქვია სიხარული, უსასოოდ ვიგანჯვებით ყველასაგან დანაგრული.. მაგრამ, რაკი იმედებით ავგვიქროლდა მონებს გული, ნუ შედრკებით, გამოვიდეთ



ილია ბაგრიანი



ილ. ჩხარიალისპირაქი



იმედაშვილი იოსებ



იმედაშვილი იოსებ



ნათო ბაგრიანი

სამუშაოდ დარამბულნი.
შრომის ველზე გავიწვრთნები
სიბნელისგან დანაგრულნი.

— **ივარელი ქალი** (1878 – 1969)

იგივე – ლილია მგალობლიშვილი.
პირველი ლექსი გამოაქვეყნა ჟურნალ „კვალ-ში“ 1896 წელს. მისი ლექსები იბეჭდებოდა გაზეთებში „ივერიასა“ და „სახალხო ფურცელ-ში“, ჟურნალებში „თეატრი და ცხოვრება“ და „მეგობრობა“. ავტორია ლექსთა ერთი კრებულისა, რომელიც 1960 წელს გამოიცა. მისი ცნობილი ლექსია „ამას ამბობდა ქართველი“.

* * *
ამას ამბობდა ქართველი,
სპარსეთში გადახვეწილი:
„რაც უნდა მგანჯონ, მაწამონ,
მაინც დავრჩები ქართველი“.

— **ივარელი ივანი ხეთისო** (1867 – 1946)

მეგსახელად – გოკა
ხეთისო იმერლიშვილი, იგივე გოკა, დაიბადა სოფელ ბაჩალში (თიანეთი). ბავშვობა სიღარიბესა და მოჯამაგირეობაში გაუტარებია. გასული საუკუნის 10-იან წლებში ჩასახლებულა ლაფანყურში, საიდანაც შემდეგ მემბოტელ სოფელ გრძელჭალაში გადასახლებულა.

გოკა და უცნობი მოლექსე:
უცნობი
ჩემიმეც ძადლი გეზა, გოკაო,
დამები ბაკის ახლოსა.
კვირაში ერთხელ გაჭმევიდი,
ცივ წყალსა, ასლის ქაგოსა.

გოკა
ერთხელ ხო დავმეზღებოდი,
ცოლს ვუტვირებდი პატრონსა,
სუ დავაჭმევიდი ნადირსა
პატრონის ცხვარსა და საქონსა.

— **ინგოროყვა ნაბო** (1967)

დაიბადა სოფელ მაკვანეთში (ოზურგეთი). გამოცემული აქვს ოთხი პოეტური კრებული: „და სახლობს ჩემში პოეტი ევა“ (2003 წ.), „ხმელები და ნელლები“ (2011 წ.), „წონასწორობა“ (2013 წ.) და „Porcellanae პოეზია“ (2015 წ.). ქართულად თარგმნა გამოსცა ავსტრიელი პოეტის, რაინერ მაირა რილკეს პოეზია. არის მასწავლებლთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ჟურნალ „მასწავლებლის“ და ინტერნეტ-

გაზეთ „mastsavlebeli.ge“-ს მთავარი რედაქტორი, ინფორმაციული წიგნიერების საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი.

სიკვდილის რამპტიცია

ერთხელაც
ყველა მკვლარი გადაგიბრუნდება საფლავში
მიწა დაიძვრება.

ერთხელაც
ყველა ცოცხალი ზურგს გაქცევს
გაკოტრდება სიგყვა – სამშობლო.

ერთხელაც
ველარ შეგვსებ სისხლის ბანკით,
რადგანაც ვახსოვს:
გადაიგანე სიგყვა – სიყვითლე.
ერთხელაც
სარკმელს ორპირი ქარი
ერთჯერადი გასროლის ხმით შემოგცხურავს.

ერთხელაც
მოვიკვებოდი, მაგრამ,
ვიცი, ამით ვერ დაგსჯი.
ერთხელაც

ველარ იქცევი აჩრდილად,
ეკრანზე გადაგანელი შიშებით
რომ შემამინო.

ერთხელაც
ველარ ჩამკეცავ
ელექტრონულ ციხესიმაგრეში,
შემოგყვები ცოფის სიღრმეში,
ჩაგცხურავ ყველა ფანჯარას.
ერთხელაც
გეცყვი: ეშმაკსაც წაუღიხარ.

— **ინჯია ჯავახი** (1937)

დაიბადა გორში. დაამთავრა გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა გორის კულტურის საქალაქო განყოფილების გამგედ, გაზეთ „გამარჯვების“ განყოფილების გამგედ, შიდა ქართლში საქინფორმის საკუთარ კორესპონდენტად. გორის განათლების მუშეუმის დირექტორად, გაზეთების „ქართლისა“ და „ლიტერატურული გორის“, ჟურნალ „ქართლის“ მთავარ რედაქტორად. 1981 წლიდან ხელმძღვანელობს მწერალთა კავშირის გორის ორგანიზაციას. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1955 წელს ალმანახ „ლიახვიში“. გამოცემული აქვს კრებულები: „ლიახვი თქვა“, „კალენდარი“, „ლირიკული დღიური“, „სილუეტი“, „ლი-

რიკა“ „თავთავები“, „ნამუსის ქედი“, „ასი ლექსი სიყვარულზე“, „დავიწყებული ვალსები“, „სონეტების გვირგვინი“, „ასი ლექსი“, „რჩეული“, ეწევა აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობასაც, თარგმნილი აქვს ლუს დე კამონენის, ბლოკის, მზიაკოვსკის, ესენინის, ლუკონინის, გიხონოვის, მარშაკის, ასაევის პოემების ცალკეული ნიმუშები.

პირო

მეგრულ მაყრულის, ძველი არმაზის მწუხრი ვიწამე, მაგრამ გორი მყავს მე გულნაკლული და ამ ცოდვილ თავს ვუხრი მიწამდე. მე არ მახსოვდა გორიჯერის ფერდი, როცა დარიალს ვუქებდი ექოს. ღრუბლებზე ვწერდი... წვიმაზე ვწერდი, რა დამიშავე; ქართილელი ვლახო?! რად დავივიწყე შენი კილო, აბა რით არის სათაკლიო?! ბევრჯერ ჩემ თვალწინ დადგა მთაწმინდა და გორის ციხე სად გადამცილდა. მე შემეძია ზღვების სტიქია, ვეგრფოდი მარტო გაღლებს გორგმანს და ეს კი დიდი სისასტიკეა, შენდამი, ჩემო პაგარა გორგლავ. მე ქება მითქვამს მეგრულ მაყრულის, ძველი არმაზის მწუხრი ვიწამე, მაგრამ გორი მყავს მე გულნაკლული და ამ ცოდვილ თავს ვუხრი მიწამდე

— იონან ანჩილი

XII-XIII საუკუნეების ქართველი საეკლესიო მოღვაწე, ჰიმნოგრაფი, ანჩის მთავარეპისკოპოსი, თამარ მეფის თანამედროვე. ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო სკოლის წარმომადგენელი. მის შესახებ ჩვენამდე მოღწეული ცნობები ერთობ მწირია. ტბეთის სახარების (XII საუკუნე) ანღერძში იგი არსენ ბერის (XI-XII სს.) ძმად იხსენიება. XII საუკუნის საგის (ანჩისხაგის) წარწერიდან ირკვევა, რომ ის იოანე ანჩელს მოუჭედინებია, თამარ მეფის ბრძანებით. იოანე



ჯემალ ანჩია

ანჩელს ეკუთვნის აკროსტიქული საგალობელი „გალობანი ანჩისხაგისანი“ (კიდურწერილობა – „საშინელსა ანჩისა ხაგსა უგალობ უნდოი იოვანე ანჩელი“), რომელიც გამოსცა მოსე ჯანაშვილმა 1903 წელს.

— იონან-ზოსიმე

X საუკუნის (გარდაიცვალა 987 წელს) ქართველი სასულიერო მწერალი, ჰიმნოგრაფი. მის შესახებ მოგად მწირი ბიოგრაფიული ცნობები მოგვეპოვება. როგორც სინის მთის ქართული ხელნაწერების ანღერძ-მინაწერებიდან ჩანს, მოღვაწეობდა პალესტინაში, ჯერ საბაწმინდის ლავრაში, ხოლო X საუკუნის 70-იანი წლებიდან - სინის მთაზე. იოანე-ზოსიმეს ეკუთვნის ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი „საგალობელი იაღგარნი“, რომელიც სხვადასხვა ლიტურგიკული ძეგლიდან გამოკრებილ თხზულებათა კრებულაა. ორიგინალური თხზულებათაგან აღსანიშნავია პაგრიოგული საგალობლები „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“ და „ქართულისა ენისათვის“. იოანე-ზოსიმეს წვლილი მიუძღვის ხელნაწერთა დამზადება-გამრავლებაშიც. იგი ცნობილია როგორც ხელნაწერთა „განმაცხოველებელი“, „შემოსელი“, „მომგებელი“ და გექსის „მხსრეკალი“.

— იონან შინჩხი

X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფი. დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მეფის გიორგი II-ის (922-957) თანამედროვე. წარმოშობით დასავლეთ საქართველოდან, სოფ. ინჩხიდან ყოფილა, რამეც მისი მეღწოდება (მინჩხი) მიუთითებს. ვარაუდობენ, რომ პალესტინაში, სინის მთაზე მოღვაწეობდა. მისი ჰიმნოგრაფიული შემკვიდრეობა სწორედ სინურმა ხელნაწერებმა შემოინახა. მიქაელ მორეკილის „იაღგარში“ (978-988) მთითაგებულია იამბიკური საზომით დაჭერილი იოანე შინჩხის 4 საგალობელი (გამოაქვეყნა ი. ჯავახიშვილმა 1947). ჰიმნოგრაფიაში მან შემოიღო ახალი საღეჭო ფორმა „მინჩხური“.

— იონან მგაბაჰარი

X საუკუნის ქართველი საეკლესიო მოღვაწე, ჰიმნოგრაფი, მთარგმნელი. როგორც ტბეთის სახარების (995) მინაწერიდან ჩანს, 978 წლიდან ტბეთის ეპისკოპოსი ყოფილა, 995 წელს კი მაწყვერელად დაუდგენიათ. მიქაელ მორეკილის „იაღგარში“ (978-988) დაცულია VII-IX საუკუ-

ნების ბერძენ ავტორთა ჰიმნების თარგმანები, რომლებიც იოანე მგბევერს ეკუთვნის. მის სახელთანაა დაკავშირებული ქართული ჰიმნოგრაფიული ტერმინი „მოკამბული“.

— იოანე ავაჩიანი

XI-XII სს ფილოსოფოსი, ნეოპლატონიკოსი (გადმოცემით იოანე ფილოსოფოს ჭიმჭიმელსაც უწოდებდნენ). ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება, მხოლოდ XVIII საუკუნის მწიგნობარნი იუწყებიან, რომ იოანე პეგრისში სამცხიდან იყო, დიდგვაროვანი ჩამომავლობისა. სწავლობდა კონსტანტინოპოლში, მანგანის აკადემიაში, სადაც მას ასწავლიდნენ ბიზანტიური რენესანსის წარმომადგენლები. იოანე პეგრისის ფილოსოფიური შემკვიდრება წარმოდგენილია თარგმანებითა და ორიგინალური თხზულებით („განმარტება პროკლესთვის დიაღოსოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისად“). თარგმნა არისტოტელეს ორი თხზულება: „გნოზიკა“ და „განმარტებისათვის“ („პერი-ჰერმენეია“). ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“. იოანე პეგრიშა დიდი გავლენა მოახდინა ძველ ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაზე, საერო პოეზიასა და საისტორიო მწერლობაზე, განსაკუთრებით კი ანგონ I-ის ლიტერატურულ სკოლაზე. ქართველი ფილოსოფოსის, საეკლესიო მოღვაწის, ღირსი იოანეს თხზულებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სასულიერო მწერლობისათვის. ღირსი იოანეს ფრესკა გამოსახული ყოფილა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში.

— იოანე შავთელი (1150 – 1215)

XII-XIII საუკუნეების ქართველი პოეტი, სასულიერო მოღვაწე, როგორც ზედწოდებიდან ჩანს, წარმოშობით სოფელ შავთიდან ყოფილა. მას მიეწერება ძველი ქართული ლიტერატურის კლასიკური ეპოქის ძეგლი „აბდულმესიანი“. „ქართლის ცხოვრების“, ცნობით, იოანე შავთელი იყო „ფილოსოფოსი და რიტორი, ლექსთა გამოთქმელი და მოღვაწეობათა შინა განთქმული“. იგი თამარ მეფის თანამედროვე და სანდო პირი ყოფილა. მემკვიდრეთა ცნობით, თამარს ახლდა ვარძიასა და ოძრხეში, ბასიანის ბრძოლის (1203 წ) დროს, აქვე შეუთხზავს „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“. მასვე მიეწერება სასულიერო ხასიათის სხვა თხზულებებიც. იოანე შავთელი სასულიერო პირი ჩანს, რაზეც მიუთითებს მის თხზულებებში გამოვლენილი ღრმა საღვთისმეტყველო განათლება. ზოგ

წყაროში მოხსენებულია „ნეტარად“, „წმინდანად“. „აბდულმესიანიში“ იგი თავის თავს „მწირსა“ და „მსხმებს“ უწოდებს. იგი შოთა რუსთაველს მოხსენიებული ჰყავს „ვეფხისტყაოსანში“.

აბდულმესიანი, შმსავალი

(ფრაგმენტი)

სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან მომცეს მე სწავლა თქვენდა შემკობად! გიძღვნა ქებანი: მწაღს აქ ებანი, დავეითის დავით ვჯღე მუსიკობად. მესმა ზვესური: რა ვნახე, ესური, რომ სიყვავა მეთხზნეს მეფისა ძნობად, მუნ გულისხმობით თვით გულის კმობით კარი სიბრძნისა სულელთა ცნობად.

შემოკრბით, ბრძენო, ათინელთ ძენო, თამარს ვაქებლეთ მეფედ ცხებულსა, კრიგს, ალაბს, მადრიბს, ევეიპტეს.მამოიყს, ჩინეთ-მანინეთს, თარმის ქებულსა! რომელნი ელნით, რომელნი ელნით თავს სოგრაგისებრ სწავლით გებულსა, ვარსკვლავთ-მრიცხველნო, სხვით ბრძენი მკიცხველნო, ვერ ძალ-გიცთ ქებად, თავს ჰყოფთ ვნებულსა.

3
ძე ადამისი, მსგავსად ამისი, ვისცა ეხილვონ, მამცნონ, სად არი? ღმერთმან სამოთხით მოგვცა სამოთხით ეთერ ბრწყინვალე, მზეებრ სადარი; აღმოსავლეთით და დასავლეთით, სამხრით ჩრდილომდის ჰჰოონ, სად არი მესკნელ-ქვესკნელით და გარესკნელით, უკანასკნელით უფსკრულთ სადარი?

— იორაგაშვილი მიჩიან (1946 – 2015)

მამა თადეოზი დაიბადა სოფელ ფლაკში (გორი). 1973 წელს დაამთავრა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1973-1974 წლებში მუშაობდა სოფელ ქვეშის საშუალო სკოლაში; 1974-1977 წლებში სწავლობდა მცხეთის სასულიერო სემინარიაში; 1979 წელი – იყო წილკნის ეპისკოპოსი, 1982 წელი – აგარა-წალკის ეპისკოპოსი, 1984 წელი – მანგლელი მთავარეპისკოპოსი, 1993-1995 წლები – ცაგერისა და ლეჩხუმ-სვანეთის მთავარეპისკოპოსი, 1995-2003 წლები – ბოლნისისა და ღმანისის მთავარეპისკოპოსი, 2003 წელი – ბოლნისის მთავარეპისკოპოსი; 2005 წელი – თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი, 2010 წელი – მიგრ-

პოლიტი; 2013 წლიდან პენსიაზე იყო და ეწოდა მარაბდელი მიგროპოლიტი. სისტემატურად აქვეყნებდა ლექსებს პერიოდულ პრესაში.

* * *

ჯერ არ ვაგუსლვარ ცხოვრების გზაზე, მაგრამ მიზანი სწორი გზით მისმობს და ღავალ ასე, იმედით სავსე და მომავალზე ვფიქრობ და ვფიქრობ. მიდის ცხოვრება სწრაფი დინებით, გალღას გალღაზე გააქვს გუგუნი, ვერას ვუშველი აქვეითებით, მეც ფოთოლი ვარ ამ საუკუნის. და ცხოვრებაზე ვულგარებილი მინდა ვეგონო ქვეყნად არავის. მინდა ვიქუხო მგრგვინავ მხვივით და ან კი რა მაქვს დასაფარავი?! მაგრამ სიღინჯე სიბრძნის მძა არის და თუ რამ გგანჯავს, თუ რამ გაწუხებს უნდა როგორმე არ შეიძნინო, უნდა გაუძლო ყველა მარწუხებს... ...მიდის ცხოვრება სწრაფი დინებით, გალღას გალღაზე გააქვს გუგუნი ვერას ვუშველით აქვეითებით, მეც ფოთოლი ვარ ამ საუკუნის.

– იოსებ ბჟიღელი (1620 – 1688)

თბილისის მიგროპოლიტი. აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იბრძოდა ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად. დაიღუპა როგორც გიორგი XI-ის მომხრე განდგომილ არაგვის ერისთავთან ბრძოლაში. მის პოეტურ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული პატრიოტული ეპოსის თვალსაჩინო ძეგლს – პოემა „დიდმოურავიანს“ (1681-1687). მან ნოტება შეასხა დიდ მოურავს გიორგი სააკაძეს; ამავე დროს გამოკვეთა საზოგადოებრივი აზრი საქვეყნო გასაჭირზე. ერის ტკივილი და საწუხარი საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოიგანა. „დიდმოურავიანი“ მნიშვნელოვანი


ისტორიული წყაროცაა. იოსებ თბილელს ეკუთვნის, აგრეთვე, სასულიერო შინაარსის თხზულებები: „ცხოვრება და მოქალაქეობა ალექსი კაცისა ღმრთისა“, „წმინდანთა კრებათათვის“, „ქება და წამება წმიდისა მარინასი, თქმული შაირად“; აგრეთვე „ანბათქება“. იგი „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი გამგრძელებელია (დაურთო 67 სტროფი). მის სახელთანაა დაკავშირებული თბილისის სიონის ბიბლიოთეკის დაარსება, რომლისთვისაც იოსებ თბილელს მრავალი ხელნაწერი წიგნი შეუძენია.

– იოსელიანი ოზია (1930 – 2011)

დაიბადა სოფელ გვიშვიტში (წყალტუბო). დაამთავრა სსრკ მწერალთა კავშირთან არსებული უმაღლესი ლიტერატურის კურსები 1961 წელს. თხზულებებს აქვეყნებდა 1954 წლიდან. მოთხრობების პირველი კრებული „კარის მემობლები“ გამოცა 1957 წელს. ნაყოფიერად მუშაობდა როგორც ნოველისტიკაში, ისე რომანის ჟანრში, წერდა პიესებსა და კინოსცენარებს. ავტორი ყურადღებას ამახვილებდა მნიშობრივ-ეტიკურ პრობლემატიკაზე. იოსელიანი ინტენსიურად მუშაობდა საბავშვო მწერლობის დარგში. ავტორია ათამდე პიესისა, რომელთაგან რამდენიმე დაიდგა საქართველოს თეატრების სცენაზე. ავტორია კინოსცენარებისა. იოსელიანის ცალკეული თხზულებანი თარგმნილია მრავალ უცხო ენაზე. 2002 წელს გამოიცა მისი ახალი კრებული, რომელშიც 99 ლექსია შეტანილი.

დამძრკმძია

მსურდა, შენთვის დამერქმია ცისაფერა, დამერქმია ოცნებების ცისარგველა, როცა ვარეთ ასე ცრის და ბეულა, დამერქმია უმიდოს შევლა, დამერქმია ნათლის სხვიის თანმდევი, დამერქმია უგზო-უკვლოს გზამკვლევი, დამერქმია სხვისთვის რწმენის გამჩენი, დამერქმია კაცის კაცად დამჩენი, დამერქმია სულის, გულის ფეთქვა,



მირიან იორაგაშვილი



ოზია იოსელიანი



შალვა იოსელიანი



სჟჟერიანი ისიანი



ლუპა ისარლიშვილი

დამერქმია...

მაგრამ უკვე სხვა სახელი გერქვა.

— **იოსელიანი შალვა** (1914 – 1941)

დაიბადა წყალტუბოში. მეორე მსოფლიო ომის სსრკ-ს გერიტორიაზე დაწყებისთანავე მოხალისედ წავიდა ფრონტზე. როგორც ბაგალაონის კომისარი მონაწილეობდა ქერჩის ბრძოლებში და იქვე დაეცა 1941 წელს. შალვა იოსელიანის პირველი ლექსი დაიბეჭდა 1934 წელს. პირველი წიგნი – „სიმღერები“ – გამოვიდა 1937 წელს, ბათუმში. 1940 წელს გამოვიდა მისი ლექსების კრებული – „დაბრუნება“. შალვა იოსელიანის პოეტური სტიქია იყო საქართველოს წარმტაცი მხარის – აჭარის ბუნება და მისი ადამიანები. ახალგაზრდა პოეტის ლექსებში მომხიბლავად იძვრებოდა მღვისპირეთის მშვენიერების ბათუმის სურათები. მშობლიურ ქალაქს უძღვნა მან თავისი საუკეთესო ლექსები.

* * *

არ დარჩენილა არც ერთი პალმა, რომ შენს ლექსებში არ აშლილიყო, აგაცისკროვნა ლექსმა და ქალმა და სიყვარულმა მგონსად მიგიღო. ფორთოხლის გოგებს უმღერე ღღემლი, მღვამ ჭაბუკობა დაგიდასტურა, სივრცეში გაჭრილ თოლიას სდევდი, გალამ რამდენჯერ შეფი გაპკურა. პერანგას მკერდზე დაანთე ცეცხლი, შენს თვალებს ცრემლი არ ეკიდება და სტრეიქონებზე დათილი ვერცხლი ჰგავს მღვის უფსკრულში ნაპოვნ დიდებას. შენ გამოგზარდა მშობელმა კერამ და დაგილოცა ვაჟეცის მკერდი. შენ გმირობაზე რომ არ გემღერა, რა იქნებოდი ლაჩარის მეტი. შენ უნდა გაჰყვე გრიგალის ჭიდილს, არ დააჩრდილო მას სარგოეთი. და რა იქნება იმაზე დიდი, ბედნიერების იყო პოეტი. იმღერე ასე, მღელვარე ბიჭო, ქარიშხალს სჭრიდეს მდაპრული ნავი. შენ დაღუმებულ ცხოვრებას გიჯობს ბრძოლაში მაშულს შესწირო თავი.

— **ი. აონგოელი** —

ისილეთ *ილ. პონტოელი*.

— **იროდიონე კვლიშვილი** —

ისილეთ *ველოშვილი იროდიონე*.

— **ისარკიშვილი ლუკა** (1814 – 1893)

იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის თანამედროვე, ისინი ერთ სკოლაში სწავლობდნენ და მან თავის თანასკოლელებს მოგონებაც დავეციგოვა. ისარკიშვილი ლექსებს ბეჭდავდა „ცისკარში“, „ივერიანში“, 70-80-იან წლებში მსახურობდა ქართული ენის ცენტრად. 1894 წელს მაქარია ჭიჭინაძემ მისი ლექსები ცალკე წიგნად გამოსცა.

ნიკოლოზ ბარათაშვილს

ნეგარ მას, ვინცა სიჭაბუკესა სიყვარულისას შესწირავს ეშხსა და ამა მსწრაფლსა ჩვენსა სიცოცხლეს, – გრფობისა ცეცხლით თავსა ისარებს და გულსა ეშხით მარადის იგზნებს; ვინცადა გებოდა სიყვარულისა, ამა საწუთროს ნეგარებისა ფიალა შევსა სიჭაბუკესა!.. ვინცა გამოვლის მაცურსა სოფელს, და სიყვარულის განჯვას და სევდას, ოხვრითა სსოვნა თან არ დაჰყვება – და დროს წარსულსა, მარად გამქრალსა ოდენ სიამით მოიგონებსა!..

— **ისიანი სევერიანე** (1913 – 1943)

დაიბადა სოფელ შოგოში (ცაგერი). 1937 წელს დაამთავრა ქუთაისის წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა 1930 წელს ქუთაისში გამთეთრებული „მუშა და კომუნისტური“ პირველი კრებული გამოვლიდა 1940 წელს. 1939 წლის შემოღობილებაზე სევერიანე ისიანი გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც მოუსწრო მეორე მსოფლიო ომმა. შემოქმედებითი მუშაობა მწერალს სიკვდილამდე არ შეუწყვეტია. იგი ფრონტიდან გზავნიდა ლექსებსა და ოპტიმისტური შინაარსის წერილებს. ს. ისიანის ნარკვევი „სახუბარი ფრონტულ მეგობართან“ და ოცი კერძო ბარათი დ. კვიციანიასადმი ინახება ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. 1957 წელს გამოქვეყნდა სევერიანე ისიანის ლექსების კრებული „ყველაფერს ვხედავ“.

სამშობლოდან

საით წასულან შენი ვაჟები, შენი გმირები ცეცხლის თვალება, რომ იგაგებდათ გარემოებები და ქარიშხალში დროშის გარება. მათი გულები გყვით დახრული ნუთუ წყვიდადის ქვეშ იფარება, აღარ მოეწროთ გამოზაფხული,

მეცის ამგვარი გამოღარება!
 აღარ ჩამქრალა მათი მნათობი—
 ვეღარ უხილავთ ეს მთა-გორები,
 მიწა—მათივე მკერდით ნათობი
 და სიკვდილის წინ ნაამბორები.
 მაგრამ სანგრებში ღამენათივე
 არ დაკარგულან სისხლის გბორები.
 შენ შეგემაგა მათი ნათელი
 და სიჭაბუკე უმეორები.
 მათზე შაირებს მთებაც არხევენ,
 ქარი ამღერებს ჭაღარა ჭადრებს.
 არ იფიწყებენ გმირთა სახელებს,
 რომ დაცემულან რიყრაჟზე აღრე-
 ვერ გაიხარონ ღამის ბინდებმა,
 ბნელი ხეგებც მშით აელვარდნენ.
 ქვეყნად გაისმის შენი ღიდება
 და მათ საფლავებს აყრიან ვარდებს!

— იურკევიჩი ანება (ანა) (XIX-XX სს)

ანება (ანა) იურკევიჩი ცნობილი ქართველი პოეტისა და მოღვაწის ვიქტორ იურკევიჩის (1854-1920) ქალიშვილი გახლდათ. მამამისი ძირითადად სახეურეში ცხოვრობდა. ფსევდონიმად რუს-იმერელს იყენებდა. თანამშრომლობდა „დროებასთან“, „სახალხო ფურცელთან“, „ივერიასთან“ და სხვა. ვიქტორ იურკევიჩის ოჯახში მეგობრობდა აკაკისთან. ანება იყო პედაგოგი, გარკვეული პერიოდი მოღვაწეობდა ჭიათურაში. ლექსებს აქვეყნებდა „ცნობის ფურცელში“, „ივერიაში“. 1904 წლის ზამთარში აკაკი ავად ყოფილა. დიდ პოეტს მრავალი წერილი და ღვეპემა მოსლიდათ თაყვანისმცემელთაგან. 7 დეკემბერს დაუწერია ლექსი „უკანასკნელი“, ამ ლექსზე პასუხად ანება იურკევიჩმა დაწერა ლექსი „აკაკის“.

გული უზომო განჯვით მეცხება,
 თვალთაგან მცვივა მღუღარე ცრემლი,

მას შემდეგ, რაც რომ გადავიკითხე
 მე შენი ლექსი — „უკანასკნელი“.
 რამ დაგაღონა, გმირო მგოსანო?
 რამ შეარყია ეგ მტკიცე გული?
 არა ერთ-გვარი ჭირის მნახველი
 რისგან ხარ აგრე შეშინებული?
 ნუთუ მისგან, რომ ავაღმყოფობამ
 მცირე რამ ხნობით მოგაკლო ძალი?
 არა, მან ყველას უნდა გაუძლოს,
 შენებრ ვისაც სჭრის გონების თვალი.
 მიეშურები შენ წინაპრებთან,
 გინდა მოგაკლო შენი ნათელი
 და მის სანაცვლოდ გსურს დაგვიგოვო
 მხოლოდღა მარტო „უკანასკნელი“.
 მაგრამ, მგოსანო, ვერ გაგიმეგებთ,
 ჯერ ჩვენ არ ძალგვიძს შენი შელევა,
 და მისთვის მარად გავედრებ ჯვარცმულს,
 რომ იმან მოგცეს შენ ჭირთა ძლევა!
 მრავალ-კამიერ იცოცხლე კვლავიც,
 ისრად და ეკლად შენი მგერისთვის...
 სნეული თვალი მიაპყარ აწმყოს
 განჯვით აღსავსეს ჩვენი ერისთვის;
 საღი თვალით კი დასტკიე მომავლით,
 მიეცი ღებნა შენ დაგანჯულ გულს
 იმ, იმ მომავლით, რომელსაც ხედავ
 თავისუფლებით კვლავ აყვავებულს...
 და შენებურად უმღერე მამულს
 ახალი ნათლის სხივით შემკობილს,
 სადაც შეხედავ შეკავშირებულს
 შენს თანა-მომემით და მამულის შვილს!
 მანამდისინ კი, სულის მკურნალო,
 ნუ დაგვაჯერებ „უკანასკნელით“,
 გამამხნევებელს შენგან მოძღვრებას,
 სულ სხვა იმედით... ველით და ველით!

— ი.ჩხარტიელისიპირელი —

ისილეთ ილ.ჩხერტიელისიპირელი

3

— კაიშაური რუსუღან (1957)

დაიბადა თბილისში. დაამთავრა თბილისის 62-ე საშუალო სკოლა, 1982 წელს კი – ოსსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა და განათლების სამინისტროში კოლეგიის მდივნად, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად იმუშავა თბილისის 116-ე საჯარო სკოლაში. 2001 წლიდან მუშაობს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ „კავკასიურ სახლში“ მულტიეთნიკური სკოლის პედაგოგად, 2007 წლიდან – კოორდინატორად. იბეჭდება გაზეთ „ალტერნატივაში“ და ჟურნალ „არილიში“. არის ოთხი კრებულის ავტორი, მათ შორისაა 2002 წელს გამოცემული „ლექსები“

* * *

რა სჭირდება ჩემს ბედნიერებას?

ერთი მაგარგარიანი ცოცხი,
პრილა ქვაბი და თავის სიცარიელე,
რომ შიგ გვინმა ისირიგინოს,
როცა უარის ნიშნად თავს ვაქციენებ.
თანხმობა იმდენჯერ ვთქვი,
რომ ჩემი სახლი გაივსო
ყველა ჯურის საგყვართი:
ზოგს შვილი ჰქვია, სხვას – წიგნი,
კიდევ – ხარახურები.
და მე მათ წრეში მოქცეული –
ცოცხით ხელში, ქვაბით თავგმე
ვოინბაზობ, თუმცა ძნელია.
შიგადაშიგ, თუ ტაშს მიკრავენ,
ბედნიერი ვარ.

— კაკაბაძე ზურაბ (1926 – 1982)

ფილოსოფოსი, პოეტი, მთარგმნელი. მურაბ კაკაბაძე ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის ევროპული ფილოსოფიის აქტუალური საკითხ-

ების კრიტიკული ანალიზი დაიწყო. ეს იყო – ადამიანის ფილოსოფიური პრობლემა, თანამედროვე ევროპის ხელოვნება, კულტურისა და ცივილიზაციის მიმართება და სხვა.

* * *

მე ვიცილი სალექსოდ და სანექტაროდ
და ოცნებას ფრთები ჯერ არ გაეშალა,
როცა შენი სიახლოვე სანექტაროდ
იგრძნო ჩემმა მარტოობის კაეშანმა.
ქარი, ქარი და ფოთლები ქარდაქარი,
ქარი, როგორც ფრთაგამილი არწივი...
შენ ეს გული სასმისივით გადაჰკარი,
მანც შენით პირსავსეა ყანწივით.
მზე ამოდის, ანდა უკვე ამოვიდა,
ცეცხლში დაწვეს, დარჩა ცეცხლის დადარშივე...
მოვალ შენთან და სიყვარულს თან მოვიგან,
თუ ამ ქარებს, თუ ამ ქარებს გადავურჩი მე.
ქარი, ქარი და ფიქრები ქარდაქარი.
ქარი, როგორც ფრთაგამილი არწივი...
შენ ეს გული სასმისივით გადაჰკარი.
მანც შენით პირსავსეა ყანწივით.

— კაკაბაძე შირა (1928 – 2003)

ბავშვობიდან წერდა ლექსებს. მისი არაერთი ლექსი ამღერებულა ქართველი კომპოზიტორების მიერ, მათ შორის განსაკუთრებით პოპულარულია ჯემალ სეფიაშვილის მიერ შექმნილი სიმღერა „სანთლები“.

სანთლები

მე ღმერთს შევავედრე შენი სიყვარული,
ხაგის წინ დამხობილს ცრემლი დამდენია;
ახლა ეს ცრემლები სანთლად ანთებული
სულ ყველა ხაგის წინ ხედავ რამდენია?!
ჩემი სანთლებია ასე მწუხარებით,
ასე მოწოწებით ჩუმაღ რომ იწვიან,
ჩუმაღ ლოცულობენ პაგარა სანთლები,



რუსუღან
კაიშაური



ზურაბ
კაკაბაძე



ცირა
კაკაბაძე

ჩუმაღ ლოცულობენ, ის კი არ იცინა,
რომ ღმერთს შეგავედრე შენი სიყვარული,
მეტი ქვეყანაზე მე რა დამძრენია
და ყველა ხატის წინ ასე დათებული
შენდა შესაწირად ჩემი სანთლებია.
ნეგაჟ შემისმინოს ღმერთმა ეს ვედრება
და თუ შემისმენს და თუკი არ გამწირავს,
რაც კი ქვეყანაზე წმინდა სანთლებია
სულ ყველას დავანთებ შენდა შესაწირად!

– **კაკალაშვილი სერგი** (1961)

პოეტი, ბიზნესმენი; სკოლის დამთავრების შემდეგ, 1983 წელს გიუმენის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. გამოცემული აქვს ლექსების კრებული – „მე დაბერუნდები“.

გასსოვს, კვირვასსო?

ჩემი წარსული დრომ რომ დაგესლა,
სულ ამოდ დამგრა სულის გოდება;
ნაზამთრალ ბაღებს შემოთრჩა ესაღ –
იქ სიყვარული მე მელოდება.
ნეგარ არს, ვინაჟ კი გამიმხილა
ის საოცნებო, ძველი ზღაპარი
და ვინც შორეულ სიმშრად მიხილა
ქარს მინდობილი, მიუსაფარი.
ვინც რომ მეძახდა: – ვის ელგვი, ვისა?!
გრძნობა – მხიბლავდა ფუჭი სინამე
და მელოდია შორი წვიმისა
მწარედ გიროლა სარკმლის მინამე.
მარგოსულობის შემომრჩა სენი,
სიბერეც მედგრად მე შემტკერება,
გახსოვს, ძვირფასო, გახსოვს ის დენი,
როცა ვგანჯავდით ბუდნიერებას,
როცა წვეთ-წვეთად ჩამოიღვევითა
შანდალზე ცვილი... განა ცდებოდა,
ვინც უკანასკნელ იმედთან ერთად
მოკვდა მზედ დღეთა საოცნებოთა?
გულში ჩავიკლაჟ ფაგალურ დარდებს
და მივენდობი საწუთროს შვებით
და ზღვაში, სადაც ჩვენ ვყრიდით ვარდებს,

თავდავიწყებით გადავიშვებო.
ასე ვამთავრებ და ასე ვიწყებ
ჩემი ცხოვრების რთულ ბედისწერას
და სიკვდილამდის არ დავივიწყებ
შენი თვალების ნაღვლიან მშერას.

– **კაკიაშვილი ირა** (1970)

ლიტერატურული ფსევდონიმი – ირინოლა ორბელიანი. დაიბადა ხაშურში, ცხოვრობს თბილისში. დაამთავრა ხაშურის მე-3 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო სამედიცინო უნივერსიტეტის პედაგოგიულ ფაკულტეტზე, 20 წლის შემდეგ კი დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი. გამოცემული აქვს კრებული „გარდასახვა“ (2017).

* * *

არ ვიცი ვინ ხარ... იქნებ იმელი,
მთელი ცხოვრება გვერდით რომ დამდეგს,
იქნებ, სხივი ხარ, შორით მოსული,
გულში ფარულად დამეს რომ ათივს.
იქნებ, ლოცვა ხარ ფაქიზად თქმული,
გულის სიმებს რომ უქუმრად არხევს
და, რომც ვცდებოდე, მაინც ისა ხარ,
ვინც მათებს და ლოდინით მავსებს.
არ ვიცი ვინ ხარ, იქნებ, წამი ხარ,
რომელმაც უნდა ვიშვა, განვახლდე,
იქნება, ჩემი დასტაქარი ხარ
სასთუმალს მჯდომი გარიკრახამდე.
იქნებ, ფარი ხარ გამობრძმედილი
და ჩემი სულის გახილ მეკარე,
იქნებ, გმირი ხარ ომგადახდილი
და გამარჯვებულს გადაგყარე.
არ ვიცი ვინ ხარ, იქნებ ჩრდილი ხარ,
პაგარა წვეთს რომ გადაეფარე,
იქნება მხოლოდ ნაგვრის დილი ხარ
და ფრთხილად შეგხსენ რომ დამენახე.

– **კაკიაშვილი კოტე** (1989)


დაიბადასოფელ დერწში (წყალტუბო), პედაგოგების ოჯახში. დაამთავრა ქუთაისის პედაგოგ-



სერგი
კაკალაშვილი



ირა
კაკიაშვილი



კოტე
კაკიაშვილი



ანა კალანდია

იური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1982 წლიდან მუშაობს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში. 1990-98 წლებში იყო ოსუს-სახელმწიფოს ფილიალის ქართული ენის კათედრის გამგე და ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, 1998 წლიდან სულხან-საბა ორბელიანისა და თბილისის სახელმწიფო – უნივერსიტეტების პროფესორი. 1996-99 წლებში რედაქტორობდა ლიტერატურულ აღმანახს „სიგეკია“, 2005-06 წლებში კი – ჟურნალ „მერმისი“. 2008 წლიდან საერთო უნივერსიტეტ „რეალის“ სამეცნიერო შრომების კრებულის მთავარი რედაქტორია. მისი რედაქტორობით დაიბეჭდა რამდენიმე მონოგრაფია, ლექსების არაერთი კრებული და რომანი.

აფარფაგდა ბინდში შიში,
შიში, სუნთქვის გახშირებით,
ჩხაპნის გულის უხეშ კონტურს
უსულგულო ნახშირებით.
ისერება სიერცე რუხი
მუგუზღებით და ჩხირებით,
ოჰ – ოჰ, კი – კი, ან – ან, თუ – თუ...
უთავბოლო ახირებით.
ხაზოთა უსრულ ლაბირინთებს
ნიქავენ ჟამნი და ჭირები.
და ცახცახებს ბინდში ძარღვი,
ძარღვი – შიშით ნაჭირვები

– კალანდია ანა (1924 – 2008)

დაიბადა სოფელ ხიდისთავში (ჩოხატაური). 1941 წელს ქუთაისში დაამთავრა საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა განაგრძო ოსუს-

ფილოლოგიის ფაკულტეტზე კავკასიური ენების სპეციალობით. 1952 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. ლექსების წერა დაიწყო 11 წლის ასაკში. პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1946 წელს, გამეთ „ლიტერატურა და ხელოვნებასა“ და ჟურნალ „მნათობში“. ლექსების პირველი კრებული გამოცხადდა 1953 წელს, რომელმაც დიდი პოპულარობა და საყოველთაო სიყვარული მოუტანა. ანა კალანდიას შემდგომი პოეტური კრებულები გამოიცა 1958, 1960, 1967, 1976 და სხვა წლებში. იარგმნილი აქვს პუშკინის, მალარმეს, ახმადულის და სხვა პოეტების ლექსები.

დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.
მ(ი)ლი(ა)და ნინ(ო) მ(ი)მ(ი)ძი

„ხოლო მე დავითი ეკალთა შინა ვარდისათა, რამეთუ ვარდი და ნუში ყვიადა მას ეახლა“. ნინო

ლურჯ მწვერვალებს
ქარი რძისფერ ნისლში ხევედა...
და, როდესაც ბარში ვარდნი ყვადღენ,
თოვლი ილო ჯავახეთის მთათა ზედა
და გყვებში ქარიშხლები ბლაოდენ...
მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰკიოდა
და ფარავანს გაბასა ზედა ძრწოდა ქარი...
მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა
და მოჰქონდა სანაგრელი ვამის ჯვარი...
თოვლის მთებით ჰკვირდებოდა უცხო მგზავრი,
– ვის უნახავს ვარდობისას თოვლი მთებზე?
მწყემსსა კიოხთა: რომელია ქართლის გზა?
მწყემსმა უთხრა: საქართველო არის ესე...
მიეძინა... ერთ წალკოგში მიეძინა
და ფშაგებმა მშისგან მოუწრდილო; ო,
ეს ვინ არი, გამოცხადდა მგზავრის წინა?
„ნუ გეშინინ!“- ეუბნება იესო...
ვაეღვიძა... წუთით იგრძნო მშობლის სევდა,
მაგრამ რწმენა ავალედა რაოდენს?
თოვლი ილო ჯავახეთის მთათა ზედა
და გყვებში ქარიშხლები ბლაოდენ...

– კალანდია გიორგი (1912 – 1979)

დაიბადა სოფელ ძირულაში (მესტაფონი). 1927 წელს, შვიდწლედს დაამთავრებს შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის ინდუსტრიულ გექნიკუმში, ხოლო 1933 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1938 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმ-

წიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 1942-1949 წლებში იყო რეპრესირებული საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ჯგუფში თანამშრომლობისათვის, იგი გადასახლებული იყო შუა აზიაში, შემდეგ, გარკვეული დროით, აკრძალული ჰქონდა დელაქალაქში ცხოვრება. 1955 და 1957 წლებში გამოსცა ლექსების კრებულები. გიორგი კალანდიაძის პოეზია ოპკიმისტური ელენადობისაა. გამოჩენილს წარმოადგენს თვით გადასახლების დროს შექმნილი ლექსების ნაწილი. ეწეოდა აქტიურ მთარგმნელობით მოღვაწეობასაც.

არმაზის ხმები

სახსოვარი ლევან გოთუას

ეს უკვდავების კლდეთა ხევია,
სიკვდილს არ ძალუძს აქ შენი ძლევა:
მარჯვე ადგილი ავირჩევია
საასპარებოდ, ძვირფასო ლევან!
კაცი საქმითა თვისით იცნობა,
ჟამი განკითხვის დარეკავს ოდეს.
აქ მტკვრის ცისფერი მარადისობა
ელამუნება ჟანგისფერ ლოდეს.
გმირთა ვარაზის მეურვევ, სიბრძნით
ყურთ მიუპყრობღე ჟამთა სვლის გუგუნს!...
წინ სერაფიგას აჩრდილი გოდვის,
მიანათებ და მთარღვევ უკუნს.

— კალანდიაძე სიო (1888 – 19??)

დაიბადა სოფელ მეგნეთში (ოშურგეთი). 1915 წელს დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი „ტირი, დედა მშობელო“. მასვე ეკუთვნის წიგნები: „პროლეტარული პოეზია“ და მოთხრობა „წამების ჯვარი“. მისი პოეზიიდან გამოირჩევა შემდეგი ლექსები: „უსინათლო“, „ოქტომბერი“, „ათი წლის შთაბეჭდილება“, „ჩემს ქვეყანაში“, „წითელ ლაშქარს“, „თებერვალი“, „თბილისი“, „მოწოდება“, „ფლვის სიმღერა“, „წითელ მურინავებს“, „1905 წელი“, „ოქტომბრის ათი წლის ბეიში“ და სხვა.

— კალანდია ბენო (1940 – 2017)


პოეტი, ჟურნალისტი, სამოგადო მოღვაწე. დაიბადა აფხაზეთში. 1964 წელს დაამთავრა ჟურნალისტიკის უმაღლესი კურსები. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე. გამოსცა რამდენიმე პოეტური კრებული: „ცა და ფოთლები“ (1967), „თოვლის სასახლე“ (1972), „ზაფხულის სიმბრები“ (1987), „გრაალი და კარიადიები“ (100 სონეტი, 1994), „100 ლექსი“ (2009).

სონეტი XII

მითხარი რამე, მშვენიერო, მითხარი რამე,
ნახე ეს გული, ეს თვალები შეჭმული ჯავრით,
მშვენიერება, ვით მაისის ქათქათა კრავი,
შენს სასთუმდლოთ მამოქებს და მაწამებს დამე.
რად მინდა ოქრო, სამკაული, სახელი მგონის,
ამ დეთაბრები სილაშამის მოწმეს და მნახველს,
ო, ერთი ვინმეც რომ შეგეხოს უცნაოდ მხარმე,
გახდება მგვერი სურვილსა და ოცნებას შორის.
ო, ერთი სუნთქვა, ერთი კონცაგ აჩუქო ვინმეს,
ჩემი ცრემლების წყაროდ აქცევე სამყაროს წვიმებს,
უღაბნოს ქვიშად – სანთიბობს მშესა და ბირვილს.
თვალი სარკვა სიყვარულის და ყოვლის შემდეგ
უბრალო წყენა, საყვედური რომ დამცდეს შენზე,
ვით უზენაეს მოწყალებას, მივიღებ სიკვდილს.

— კალანდია რენე (1944 – 2014)


დაიბადა მუგდღღში. დაამთავრა გორკის სახ. სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მისი პირველი კრებული სახელწოდებით „ხსოვნის ყვავილები“ აფხაზეთში 1972 წელს დაიბეჭდა. 2011 წელს სერიით „ასი ლექსი“ გამოიცა რენე კალანდიას განახლებული კრებული, სადაც მანამდე გამოუქვეყნებელი ლექსებიც შევიდა. მის შემოქმედებას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უცხოეთშიც კარგად იცნობენ. მთლიანობაში რენე კალანდიას ეკუთვნის 15 პოეტური კრებული, მათ შორისაა: „კონცერტი“, „გამოყვანა“, „სეზონის დახურვა“, „ოთხი სიმის ოთხი სხივი“, „კვადრატული



გიორგი კალანდიაძე



ბენო კალანდია



რენე კალანდია



ამირან კალაძე



კარლო კალაძე

დრუბელი“, „გამოთხოვება „ალკოჰოლიანი“, „ნერვული ქვაფენილი“ და სხვა. რენე კალანდია მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა, მას თარგმნილი აქვს ფრანგი, პოლონელი, ბალტიისპირელი და შვედი პოეტების ლექსები.

თივის და გოგონს ბაღადა

ყველაფერში დამნაშავე იყო თივა (თითქოს ყველა ისტორიულ ამბავს), ყველაფერში დამნაშავე იყო თივა, მაფხული და შენი მოკლე კაბა. ყველაფერში დამნაშავე იყო თივა, ვარსკვლავები უპირველეს დამის ყველაფერში დამნაშავე იყო თივა, უცნაურად მოცახცხე წამი ყველაფერში დამნაშავე იყო თივა თივის სუნი და ნაცნობი სუნთქვა ყველაფერში დამნაშავე იყო თივა, წავიდა და არაფერი უთქვამს

— კალაპე ამირან (1945 – 1995)

სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ ღარჯა ესტონეთში და მუშაობდა იქ სხვადასხვა თანამდებობებზე: შეისწავლა ესტონური და ფინური ენები და სისგემატურად აქვეყნებდა ქართულ პრესაში მასალებს აღნიშნული ქვეყნების ლიტერატურის შესახებ, თარგმნიდა პოემას. 1991-92 წლებში იყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პარლამენტის წევრი.

მინეო ლინეო (მინელი პიეტი)

თარგმნა ამირან პალატი

ფეხშიშველი დავეყვები გყის ბილიკებს, სადაც დამე ძმობილივით მელოდება... ამღერდება გული ჩემი ნეგარებით, თითქოს ვიყო ისევ ისე – ცეროდენა. აქ, გორაკის შორიასლო, ჭალასპირებს გახვებდავ და ფიქრზე ფიქრი ჩამოდნება... მაგონდება იმ საღამოს ათროლოება, უნაზესი ფოთოლცვენა მაგონდება. დავეყვები მოგონების ბილიკებზე, – ცელქი სიო თითქოს იყოს შენი სუნთქვა... იმ საღამოს საიდუმლო ვიცით, ჩემო. მე და შენ და... არყის ხემ და... ყოლოს ბუქქმა.

— კალაპე კარლი (1907 – 1988)

დაიბადა სოფელ ეწერში (ჯიქთუბანში, სამგრელი). სწავლობდა ჯერ ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, შემდეგ – თბილისში. პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1920 წელს ახალგაზ-

რდულ პრესაში. 1924 წელს რედაქტორობდა ქურნალ „პროლეტარს“. 1927-1930 წლებში იყო მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორი. 1931 წლებში მისი ინიციატივით ქუთაისში დაარსდა ლიტერატურული გაზეთი „სიგყვა და საქმე“. იყო 1924 წელს ჩამოყალიბებული ახალგაზრდა პროლეტარული მწერლების ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი. აქტიური როლი შეასრულა მწერალთა კავშირის შექმნაში. 1968-1977 წლებში მუშაობდა გამოცემლობა „მერანის“ დირექტორად. მისი ლექსების პირველი კრებული დაიბეჭდა 1926 წელს. 30-იან წლებში დაწერილი ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია პოემა „უხარდიონი“ (1932), „მთების ეპოსი“ (1935), ლექსების ციკლი „ხერთვისის განთიადები“ (1935) და სხვა.

დაკრძალულია ღიდუბის პანთეონში.

ლაზური ლემსი

რაა ეს – ბასრი თვალი თუ ალღო? –
 ბნელს რა მინათებს, მითხარით, ხალხო!
 შავი მღვის პირად კლდე არის ერთი,
 მშემ ნადირივით გამოხრა ფერდი,
 არ ვიცი – რაგომ?! – და გამახსენდა
 დღეს, როცა სწორედ ამ სტრიქონს ეწერდი.
 რაა ეს? რომელ სიმპარში არის
 შავი გოგების შრიალ-შრიალი?
 შავ კლდეზე შავი მუხაა მხოლოდ
 და შავი დამე ქარიშხლიანი.
 მნახა თუ არა მარგოკა მღვარი,
 ბრმად ჩამაფრინდა მკლავებში ქარი;
 სმას განწირულად იმალღებს მუხა,
 ურჯულთ ღამის მოჭლიჯოს მხარი.
 და ეს ჭიდილი ისე მკაცრია –
 გოგებს ღრუბლებიც გაუკაწრია!...
 რაა, ჩემს რომელ სტრიქონს ეხება,
 შეკრთომა რომელ ძვლებს აკრიალებს?!
 დამე თუ მხრებზე შემომეხვევა,
 ხე უკანასკნელ სუნთქვას შეაღვეს
 და წელმგარი, მაგარფსევება
 მიწამდე ტანის ლეწვით ეშვება...
 განა პირველი საუკუნეა,
 რაც ეს ბრძოლაა და გუგუნია,
 ითხრება სველი მიწა და კირქვა...
 მაგრამ ძნელია ხის ამოძირკვა.
 იგი სიმწარით მეცას გასწვივის
 და იბრძვის, როგორც ფრთები არწივის!
 ...არა, ჩემს ქართულს არ ემინია
 არც იმ ქარიშხლის და არც ქარწვიმის!

— **კაპანაძე ანა (ანუზა)** (1880 – 1945)

ნამდვილი გვარი – გიგიბედაშვილი.

დაიბადა სოფელ გემო ხანდაკში (კასპი). სოფლის სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა გორის გიმნაზიაში განაგრძო, მაგრამ მძიმე ოჯახური პირობების გამო, მისი დასრულება ვერ შეძლო. მშობლების გარდაცვალების შემდეგ, კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში პეტრე გრუმინსკის მოურავ იოსებ კაპანაძეს გაჰყვა ცოლად; აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებთან („ნაკადული“, „თანამედროვე ამრი“, „თემი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ბრძოლა“, „კლდე“ და სხვა); 1902 წელს ლექსების პირველი წიგნი გამოსცა; მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციაში. მენშევიკურმა მთავრობამ იგი რამდენჯერმე დააპატიმრა. იყო ქალთა უფლებების დამცველი; მისი ინიციატივით, სოფელ ახალქალაქში დაარსდა სკოლა და საბავშვო ბიბლიოთეკა, ასევე სახალხო თეატრი; ხშირად წარმოდგენებში თავადაც მონაწილეობდა. 1911 წელს იგი საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საპატიო წევრად დაუსწრებლად აირჩიეს. აღნიშნული საზოგადოებისათვის ის ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ნივთებს აგროვებდა. ასევე ფოლკლორისტულ საკითხებზე მუშაობდა. ხალხური სიგყვიერების ნიმუშებს სოფელ-სოფელ აგროვებდა და შემდეგ ჟურნალ-გაზეთებში ბეჭდავდა. 1921 წელს იგი საქართველოს უპარტიო ქალთა პირველი ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

საბრალო დედა

საბრალო დედა გულ-მდუღარედ
წყალში ჩასვს და ნანასა,
ამ სევდას, ფიქრებს, დარღებსა,
როგორ გაუძლოს ვარამსა.
„შვილო, წასულს სხვა მხარეს,
საომრად ბრძოლის ველზედა,
ვაი, თუ მგერმან დაგმარცხოს,
გაგაპოს ნორჩ მკერდ გულზედა.
შენი პაგარა ცოლ-შვილი


მე დამიგოვე ცეცხლადა,
იმათის ცქერით აქამდის
ან კი როგორ ვარ ცოცხლადა?
ვაი შენს მშობელ დედასა,
ვაი ამ ღროსა მომსწრესა,
ნეკავი კიდევ თუ განახავ.
შვილო, ამ არე-მარესა.
წყალო, უამბე, თუ შენთან
მოვიდეს დასალევებათა,
თუ კიდევ არის ცოცხალი,
მზე არ უნათებს შავათა!
ყველა უთარგმნე, მდინარეც,
რასაც მე სიგყვას გაბარებ,
უმისოდ ჩვენ შავ სიცოცხლეს
ამ მწარეს ფიქრით ვაგარებ.

— **კაპანაძე გიორგი**

იხილეთ *კონსტანტინე ვიორცა*.

— **კარელი შალვა** (1899 – 1923)

ნამდვილი გვარი – გოგიაშვილი.
დაიბადა ქუთაისში. 1918-19 წლებში თბილისში ცხოვრობდა. 1920 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიგყვიერების ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. 1921 წელს შალვა გოგიანიშვილი-კარმელი აირჩიეს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად და ამავე წელს იგი ოფიციალურად შედის „ცისფერყან-წყალთა“ ორდენში, როგორც ნამდვილი წევრი. იგი ყველაზე ახალგაზრდა იყო მათ შორის. თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში: „საქართველო“, „სამშობლო“, „მეოცნებე ნიაშორები“, „ბარიკადი“, „რუბიკონი“ და ა.შ. 1921 წელს გამოვიდა მისი პირველი წიგნი „ბაბილონი“, გამოსაცემად გამზადებული ჰქონდა ორი ახალი კრებული: „აპოკალიფსის ცხენები“ და „ეთერი ვიორცი“. ეს ორი გამოსაცემად გამზადებული წიგნი შალვა კარმელის გარდაცვალების შედეგად გამოუცემელი დარჩა. 1982 წელს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორისა და საქ-



შალვა კარელი



გიორგი კაპანაძე



კონსტანტინე ვიორცა

რთველის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის დახმარებით ხელმეორედ გამოვიდა შალვა კარმელის ლექსების წიგნი „ბაბილონი“.

* * *

ჩვენ შარაბანით მივქროდით გზაზე.
ვაშობობდი: კვდება გული უდამოდ.
თქვენ ჩემს დღიურში ჩასწერეთ ასე:
მცივა! მშვიდობით, ო, სამუდამოდ!
დამსახურე გყის კავალერი
ლურჯ პეიზაჟით ცივი თვალების.
ახლა მაწვალებს სივრცე ქალური
და შემოხვედრა ყრუ ვაგზალების.
სად არის ფრთები, რომ ავცდე ბორკილს...
ქება ერთსებს, ღმერთებს ფრთიანებს.
რა ეშველება ამ მაქსიმ გორკის –
ყველას მაშორებს და მაგვიანებს.
ვხედავ ციფერბლაცხ: საათის შვიდზე
ჩვენ მიგველოდა პაგარა ხიდი.
ვადავდებოდით გაფრენილ ხილზე
და გვიგაცნებდა შორს მაინ რიდი.
სასახლე, ბაღი და გყე შერევის,
დაღუპულ პრინცის მოჩვენებები.
თქვენ დედოფალი ორანჟერეის –
პანის ყვავილებს კრეფდით ვნებებით.
მზანებამია ეს ყველაფერი...
ახლა ვაგზლები მაწვალებს გრძელი,
და მუნაგრება ჭლეკით ნაფერი –
შეყვარებული ქალწულის ხელი!

— **ქარაიძე პარიზონი** (1926 – 2005)

1952 წელს დაამთავრა ოსუს-ის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1944 წლიდან გამოდიოდა პროფესიულ ესტრადაზე, როგორც სალაპარაკო ჟანრის მსახიობი, კონფერანსიე (1957 წლიდან – საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრში – „რერო“, ა. გელოვანთან ერთად). ესტრადაზე მოღვაწეობის მანძილზე მონაწილეობა მიიღო ორი ათასამდე კონცერტში, კონცერტი მიჰყავდა 19 სხვადასხვა ენაზე ყოფილ სსრკ-ს ქალაქებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. ავტორია წიგნების: „გრიუმფით მსოფლიოს გმებზე“ (1971) და „გრიუმფი გრძელდება“ (1980), „ფრანაჟამი“ (1986), „სოსილო“ (მამასთან, დ. კასრაძესთან ერთად, 1988), ავტორია პოპულარული სიმღერების ტექსტებისა. იყო თბილისის განუყოფელი კოლორიტი.

* * *

ლურჯი აპრილი შენს თავს მაგონებს
მე შენზე ფიქრმა მკლავს,
მკლავს და მალონებს.

ლურჯი აპრილი – ფოთოლითა მღერა,
მე შენზე ფიქრმა მომკლა და დამაბერა.
გავიდა და დრო და ჩვენ
ვერ შევხვდით ერთმანეთს,
რაც შენ მიმატოვე მე ვუშვდრი დამეს,
მოდი მოდი... ჩემთან მოდი...
გისმობს, ვით ზღაპარი, ლურჯი დამე.

— **ქაშაია ვალვა** (1904 – 1955)

მუსიკოსი, პუბლიცისტი, პოეტი. ფსევდონიმი – სილეორიანი; დაიბადა სოფელ ბაშში (სამტრედიის რაიონი). 1918 წელს დაამთავრა ქუთაისის უმაღლესი დაწესებითი სასწავლებელი, შემდეგ – თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტი. ჰქონდა ბარიტონი და კერძოდ მეცადინეობდა ვოკალში; მუშაობდა საქართველოს დემოკრატიული რევოლუციის სახელმწიფო ორკესტრში; იყო საქართველოს ფილარმონიის ლიგერ-აგურული ნაწილის გამგე.

— **ქაშაია კარლო** (1964 – 1994)

მხატვარი, მწერალი, პოეტი. დაიბადა სამტრედიის რაიონის თბილისის სახელმწიფო აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი. 1984 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, მან მამუკა ცეცხლაძესთან, გაალორისა და გოგა მაღლაკელიძესთან ერთად ჩამოაყალიბა ჯგუფი „არქივარიუსები“, მათი პირველი გამოფენა გაალორის სახლში მოეწყო. ჯგუფის მანიფესტის ავტორი კარლო კაჭარავა იყო; 1986 წელს სამხატვრო აკადემიის მეათე სართულზე, ერთ პაგარა ოთახში ახალგაზრდა მხატვრებმა შექმნეს ავანგარდისტული ჯგუფი, რომელსაც შემდგომში „მეათე სართული“ ეწოდა. ეს ჯგუფი უფრო ფართო შემადგენლობის იყო. 1989 წლიდან იყო ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ რედაქციის წევრი; 1991 წელს მუშაობდა გერმანიაში, კიოლნში, ფრანსუაზა ფრიდრიხის გალერეაში; 1989-1994 წლებში ვაშლიანში – „რუბიკონი“, „კოლაი“, „მესამე გზა“ – სისტიმატურად იბეჭდებოდა მისი ლექსები.

ბაშვიძე, ვიქტორია

ცარიმალ მაწვინი ძილძე...
ბავშვებს, წვიმებს, ცარიელ მაწვინს ბოთლებს
გადაუფრენს ნოსტალგია მფრინავ თევზებზე.
კარაქსა და საპნის რიგში მღვთვ ადამიანებს
ძალუკით მსოფლიო ჩემი სისხარული.
მიმავალი სამარეაქსეულ საწოლისაკენ.
რა აზრი აქვს აფიქრებს, რომლებზეც უფრო
თხოვნას ჰგვანან, ვიდრე ციუნებას.

რომელ თეატრში ვნახავთ მეტ სიმართლეს, ან დავიხიბებთ უკეთ, ვიდრე ჩვენს საწოლებში, მას შემდეგ, როცა რიგმული მოძრაობებით ვარღვევთ ერთმანეთის სიმყუდროვეს და მერე არეული სუნთქვით, არეული სიმძრებით ერთად გვძინავს.

– **ქაჯანიძე გიორგი** (1907 – 1979)

დაიბადა სოფელ დიდ ჯიხაიშში (სამტრედიის). საშუალო განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო. იმავე წელს სწავლა გააგრძელა ოსუს ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1930 წელს დაამთავრა. სტუდენტობიდანვე დაუკავშირდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ გარშემო არსებულ ლიბერატურულ წრეს, აქვე გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსებიც. საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ნიჭიერი ლიბერატორის პირველმა წიგნებმა; განსაკუთრებით აღსანიშნავია ვრცელი პოეტური ნაწარმოები „ის უბანი და ის კარმიდამო“, რომელიც მწერლის ნახევარსაუკუნოვანი თავდადებული შემოქმედებითი შრომის შედეგს წარმოადგენს. მან არაერთი პოეტური კრებულით გაამდიდრა ჩვენი საბავშვო ლიბერატურა: „ალუბლები ყვავიან“, „სწავლასა და სიხარულში“, „მალხაზებისათვის არც მიმღერია“ და სხვა. გიორგი კაჭახიძეს ეკუთვნის მონოგრაფია შიო მღვიმელზე.

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ყვავილები დედას

დედის სითბო, დედის ხელი
ვის არ უღებს ქვეყნის კარებს!
ცნობდენა რომ ვიყავი,
სულ ვნაგრობდი შინ და გარეთ:
სახუქარი კარგზე კარგი
რა მემოვნა იმისთანა,
სიხარულით, სიყვარულით
დელიკოსთვის მიმეგანა.
ყელსაბამი ვერ შევკადრე,
ვერც პაგარა ჭრელი ბურთი...
ვარჩიე და ბოლოს დედას

მიეუტანე ბატიბუტი.

ცნობდენა რომ ვიყავი,
სულ პაგარა ცელი ბავშვი,
არაფერი, არაფერი
არ მიყვარდა ისე მაშინ,
როგორც თეთრი ბატიბუტი
ჩაფიფქული კალათაში.
დღეს დიდი ვარ, სკოლაში ვარ,
ნაკადულებს წყაროდ ვერთვი,
მომავლისკენ მივბიჯებ,
არ მერევე შავში თეთრი.
გაიბარდა ჩვენი ებოც,
ჩვენი სახლის აივნები
და დედისთვის მიმაქვს ახლა
ჩემი ბადის ყვავილები.

– **ქახაძე ვახტანგ** (1925 – 1984)


დაიბადა სოფელ დიდ ჯიხაიშში (სამტრედიის). 1948 წელს დაამთავრა ოსუს ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1943 წელს მუშაობა დაიწყო ბორჯომის რაიონის სოფელ დვირის აგროუნის გამგედ. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. სხვადასხვა წლებში მუშაობდა მასწავლებლად. იყო ჟურნალ-გაზეთების რედაქციათა გამომცემლობის თანამშრომელი, ჟურნალ „სკოლა და ცხოვერებას“ რედაქტორი. ავტორია მრავალი საბავშვო მოთხრობისა.

– **ქახიანი დალი** (1954)

მხატვარი, პედაგოგი, პოეტი.
დაიბადა თბილისში. 1975 წელს დაამთავრა ოსუს ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი, სოლო 1976 წელს – იმავე უნივერსიტეტის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი, მხატვარ გრაფიკოსის სპეციალობით. არის მრავალი სამხატვრო გამოფენის მონაწილე. მხატვრულად აქვს გაფორმებული რამდენიმე საბავშვო წიგნი. სხვადასხვა წლებში პერიოდულად შეთავსებით მუშაობდა თბილისის საჯარო სკოლებში და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში. მისი ლექსე-



გიორგი
პაჭანიძე



ვახტანგ
კახაძე



დალი
კახანიძე

ბი წარმატებით იბეჭდება ქართულ პერიოდულ გამოცემებში: „ჩვენი მწერლობა“, „ლიტერატურული პალიტრა“, ქართული მწერლობა“, „მწერლის გაზეთი“ და სხვა.

* * *

ჯიხვის რქის წვერებზე
მზე შემდგარა ცერებზე,
თვალს უშგერებს ნალ-მარაოს
სვეტიცხოველის,
სულ ასეა,
გაღმომდგარა ვარსკვლავთ ხომლი,
ელამ ელვას რქის წვერებზე
სულ ბრჭყალები ულესია,
ჯიხვის რქის წვერებზე,
მთვარეც შემდგარა ცერებზე,
გაღმომხობილა სერებზე,
თვალს არიდებს ბელშავ ას კუნის
უმწერს ნდომით არნახულით,
მშგს ხახულის,
კვეთილ ფასკუნჯს.
ყანწის ყურყუმა ფსკერებზე
მზე-მთვარეც ჩავარდა ცერებზე,
რქის ყანწის წვერებზე
ლეკურიც შემდგარა ცერებზე
ხანჯალს იმარჯვეს წელებზე
საგრაფობო წვეკულებებზე.

— **ახიამ მაია** (1969)

ფსევდონიმი – ბუნდოვანი. ამჟამად – საეკლესიო მორჩილი გიორგი. დაიბადა თბილისში. 1993 წელს დაამთავრა სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 80-იან წლებში იყო გერენტი გრანელის საფლავის მცველი და გრანელის ღიღის პანთეონში გადასვენების შემდეგ, დიდი პოეტის ნასაფლავარი შეინარჩუნა იქ. შემორიალის დაღვთით. 90-იან წლებში იბეჭდებოდა ჟურნალებში „რუბიკონი“, „მესამე გზა“ და სხვა ლიტერატურულ პერიოდიკაში... 1990 წელს მეგობარ პოეტებთან ერთად ჩამოაყალიბა - „ქართული პოეტთა ორდენი – ქრონოფაგები“, რომელმაც მაშინ გამოსცა 2 პოეტური ერთობლივი კრებული... 2000-იანების დასაწყისიდან აქტიურად იბეჭდებოდა გაზეთ „ალიტერნატივაში“ და ჟურნალ „აფრაში“, ასევე სხვადასხვა ლიტერატურულ და არგ-გამოცემებში. მისი ნაწარმოებები შესულია სხვადასხვა დროს გამოცემულ „თანამედროვე ქართველ პოეტთა ანთოლოგიებში“. 2006-2012 წლებში იყო მულტიმედია არგ-ჯგუფ „სტიგმატის“ დამფუძნებელი და რეჟის-

ორი. გადაიღო სამოცდახუთი მინი-არტ ფილმი (კინო-პოემია). იყო და ახლაც არის, მრავალი ცნობილი ლიტერატურული და არგ-სადაამოს ავტორი, თანაავტორი და ინციატორი. მუშაობდა ძირითადად ავანგარდული პოემიის ქანრში და პერფორმანსში. ბოლო 5-ნ წელია, რაც ეკლესიად შედგა, წერს ძირითადად ქრისტიანული თემატიკის პოეტურ ნაწარმოებებს და აღარ მისდევს არგ-აქციონიზმს.

მს ქანძარა-ქანრი

ქარი, როგორც არხარი რქებით უგვეს სახლებს,
აგორგმანებს, ახელეს მაღაზიებს, დახლებს;
ქარმა იცის ხმაურში მოფერებს ზოგჯერ,
შლეგურ აურზაურში ამ სკრიქონებს მოგწერ.
მოგწერ, როგორ მიყვარდი ქარიშხლიან დამით,
როგორ მენატრებოდა თუნდ მესილე წაით...
და ქარებით მოსილი დამე რთაფა ბორცვებს,
ჩუმ გრფილაში მძინარეც ივარცხნილი ძოწებს.
დალალებზე გეფრქვია ვარსკვლავური სეფა,
ქარბორბალა ღრიალით უკუხეთში მღეფა...
და ლოცვებში მოღილი ქარამოგმა მთელა,
მე მოგელი ნიდაგ, ქარბუქითი ველაფ.
ქარი, ქარი – ქანქარა, ქრის ქურდულად რაგომ?
მეც ქურდივით გიგაცებ ჩემს ფიქრებში, მარგო;
ყიხვის ეფლავისად გავფურჩქნა ბაგე,
გულის ლაბირინთებში უშურველად გაქე!..
მე წარმტყად მევლინა შენი ლაღი ქროლვა,
თვალებდან გვლინა ბურმუხტივით თოვა;
ისევე ამ თებერვალმაც დაიწოქა მარგთან,
თრთივლის ცრემლებს დასგურად უანგაროდ გაგან..

— **ახიამ მაია** (1957)

დაიბადა თბილისში. 1974 წელს დაამთავრა თბილისის 87-ე საშუალო სკოლა, შემდეგ მიიღო თეატრალური განათლება და მოღვაწეობდა საესტრადო ქანრში, ასევე მუშაობდა ჟურნალ „საქართველოს ქალში“ და აქვეყნებდა წერილებს და ელქსებს. გამოცემული აქვს ლექსების კრებული – „ფიქრიმიამები“ (2016).

თბილისური წვიმა

აუ, როგორ აშხაპუნდა წვიმა,
„მიყვარხარო“, – დაეხატა ღრუბელს.
სიყვარულის დროა თურმე ახლა –
„შენმა დარმაც იდარაო“ – ხალხმა.
სველ ნოტებზე ჩაიმღერა წვიმამ,
თბილის-ქალაქს მოეფერა თბილიად,
ასკინკილად დაწკაპუნობს, დახტის...
როგორ მიყვარს თბილისური წვიმა!

— **პანოპი მელა** (1933 – 2015)

დაიბადა ახალსოფელში (ყვარელი). 1954 წელს დაამთავრა ოსუს-ს იურიდიული ფაკულტეტი, ხოლო ერთი წლის შემდეგ – მაქსიმ გორკის სახ. ლიტერატურული ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1950 წელს გამოაქვეყნა პირველი ლექსი გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“. 1955 წელს გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებული – „სიყვარულის ასაკი“. ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. თარგმნა იუგოსლავიელი პოეტი ქალის დესანკა მაქსიმოვიჩის ლექსები „მიწის სურნელი“, კრებული – „იუგოსლავიელი პოეტები“, სომეხი პოეტის სევეტჰარადის ლექსები.

* * *

ყველას ვიღაცა გვიწოდებს ლამაზს, ხან გარეული, ხან შინაური, ყველა ადვილად მიხვდება განა, ხუმრობაა თუ ქათინაური. ვინმე ვინმესთვის გზა არის დიდი, ვინმე ვინმესთვის არის იმედი, განა ყოველთვის სიმღერით მიდის სიჭაბუკიდან გზა სიბერემდე. მე ვინც მგონია მკაცრი და ცუდი, ჩემთვის ვინც არის კაცი უგულო, არის სხვა ქალი – ვინც წლობით უცდის, და საწუთროში მისით სულდგმულობს. მოგჯერ სიცოცხლეს დაუსვამ წერტილს, სახეს ღრუბელით ჩამოიქუფრებ, და მაინც სადმე სიყვარულს შენს წილს იპოვი, როგორც გრემის სიგურფეს. ხან დაბერდები კაცთან შემთხვევით, მოკვდები, როგორც მამთრის ცივი ღღე, ხან უცხოხ სადმე შეეფეთები და მთელ სიცოცხლეს ვეღარ ივიწყებ. რადგან ბუნება არ გვრჩება ვალში რაღაც სიკეთით ყველას მოგვმადლის, იმედის ზღვაში თეთრი აფრებით ვტივტივებთ, როგორც შორი ხომალდი. ყველას ვიღაცა გვიწოდებს ლამაზს,

ხან გარეული, ხან შინაური, ყველა ადვილად მიხვდება განა, ხუმრობაა თუ ქათინაური.

— **პანოპი რევაზ** (1936 – 2012)


ლიტერატურული ფსევდონიმი – უჩინო. დაიბადა თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩააბარა სპი-ში, ინიჟინრის სპეციალობის დასაუფლებლად, შემდეგ განაგრძო სწავლა და დაამთავრა მოსკოვში მიფი წარჩინებულ და წითელი დიპლომით. ბავშვობიდანვე გატაცებული იყო რადიოტექნიკა, უკრაინა და გიტარაზე, წერდა ლექსებს, მოწიფულ ასაკში კი ჭედურობის ხელოვნებასაც დაეუფლა. 60-70-იან წლებში მისი ლექსები, მოთხრობები და მინიატურები იბეჭდებოდა ჟურნალებში – „ღროშა“ და „ნიანგი“ და გაზეთ „ალტერნატივაში“. 1982 წელს დაიბეჭდა რევაზ კახიძის პოეტური კრებული – „დაუვიწყარი ყვავილები“, გარდაცვალების შემდეგ კი გამოიცა მისი კიდევ ერთი კრებული.

მხატვარი (ფირ)სმანს

გულგასენილი იანვრის ქარი მესტვირესავით იბრუნებს ტუმბებს, საღღაც სარღაფში ქვითინებს თარი და კაემანი აგყვია ქუჩებს. მწუხრი გვიწყობდა ღამის რვიანებს, ვჭრიდით ღღეებით – თეთრი ტუმბით, ღღეს კი ის კაცი დაიგვიანებს დიდი ოცნების ლურჯი ღუმებით. გული ბუღიდან არ ამომხგარა, არ წაქეულა თოვლი ჭადარი, უბრალოდ, დიდი არა მოხდა რა – მოღბერგით ხელში მოკვდა მხატვარი. გაქრა ძლიერთა ფერთა მწერალი და გულს მისერავს ფიქრთა ქაოსი... მან გააცოცხლა სხივთა ჩქერალით კოლხის სული და სუნთქვა გაოსი, აახლა ფრესკა და ნახატარი, გვასმინა ღრუბელთ თეთრი გალობა



გიორგი პანოპი



რევაზ პანოპი



მაია პანოპი



მელა პანოპი

და დიდ გილოებს შერნა მხაგვარი
ვით უკვდავების გარდუვალობა!
ქვეყნის ტკივილი ფუნჯით აგარა,
მაგრამ სიკვდილი არის უხათრო...
მე მცნოდება განა მხაგვარი –
მე მებრალეა ქუჩა უმხაგვროდ!..

– **ქაქელიძე გიორგი** (1983)

დაიბადა ოზურგეთში. 2009 წელს დაამთავრა
თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი, ჰუმანიტარ-
ულ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხით. 2006
წელს დააფუძნა პირველი ქართული ელექტრო-
ნული ბიბლიოთეკა kb.ge; 2008 წელს გამოს-
ცა პოეტური კრებული „ოდები“; 2009 წელს –
ქურნალი „ფოკუსის მესვევე“; 2009-2010 წლებში
იყო „რადიო – ქალაქის“ ლიტერატურული გად-
აცემის „ლიტერატურული ქალაქი“ თანაავტორი;
2012 წელს დაინიშნა საქართველოს პარლამენ-
ტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურ დი-
რექტორად. 2013 წელს დააარსა ლიტერატურუ-
ლი პრემია საბავშვო წიგნებისთვის; თარგმნილი
აქვს რამდენიმე ავსტრიელი პოეტის ლექსები.

აღმსარებლის მკისტოლქ

ერუ ვარ მე.
მე მოგაგყუე, ღეღაჩემო, როცა დავიბადე
და ყველა მართალ იმელს
ახლა ერთად გივრუებ.
მე მოგაგყუე, ჩემო ცოლო,
მშებთან საუმისას ზღაპრად მოგიგყუე
და შენც მოგაგყუე, ლამაზო სამშობლოო,
მშებთან სადილისას სიკვდილი გიმღერე.
მე თქვენ მოგაგყუეთ, მზეო და მთვარეო,
ღრუბლის ღობეს ამოვეფარე,
ვარსკვლავების ხშიადს გაწვიდით,
როცა გაძეხით და დაიძინეთ,
შემოვედი და თქვენს ეზოში დავთესე ღამე.
მე თქვენ მოგაგყუეთ, მზეო და მთვარეო,
ისევე, როგორც სევდა გაიგყუე
და ლექსი მოვიგყუე –
ლექსი არის ჩემი უდიდესი გყუილი.



**გიორგი
კაკელიძე**

და თქვენ გაგყუებდით, სიყრმის ოცნებანო,
უსაშველოდ გაგყუებდით,
მაგრამ მხოლოდ თქვენ იცით,
რომ ვახშობისას,
როცა სიმათლე მომშივდება,
როცა მიმშილი ვახლება გაუსაძლისი,
მე მართლა გავთლი პაგარა ნავს,
მართლა შევაცურებ ქარიშხლიან ზღვაში,
ჩავწევი შიგ და თვალს მოვაცყუებ.

– **ქაქელიძე ვახტანგ** (1924 – 1952)

თურქოლოგი, პოეტი, ნაზიმ ჰიქმეთის ლექსე-
ბის პირველი მთარგმნელი.

ნაზიმ ჰიქმეთი, სემვლა

თარგმნა **ვანტანგ კაკელიძემ**

ზღვასთან მინდა დაბრუნება,
ზღვასთან მისვლა მინდა...
ლურჯი გაღლა და ბუნება,
სარკესავით წმინდა...
მე მზე მინდა, მინდა გამზრდა,
რომ სულ ვნანდე დიდად...
დაბრუნება მინდა ზღვასთან,
ზღვასთან მისვლა მინდა.
შორს ნავების და გემების
თეთრ იალქნებს ვხედავ.
მათ არა აქვთ ნავგემები
ასე შავი სევდა.
იქ მსურს ვიყო, რომ ვისმენდე
მებღავურთა ღიღინს,
იმ გემებზე ყოფნა ერთ დღეს –
მთელ სიცოცხლედ მიღირს.
თუ სიკვდილი მემუქრება,
უნდა მოვკვდე თუკი, –
ჩავქრე ისე, როგორც ქრება
ზღვის სიღრმეში შუქი.
რადგან კაცი მაინც კვდება
და არ ცოცხლობს მარად,
იქ ერთი დღის გაგარება
მთელ სიცოცხლედ კმარა!...
მაშ, მეც დავდნე, როგორც დნება
მეერთზე სხვი წმინდა...
ზღვაზე მინდა დაბრუნება,
ზღვასთან მისვლა მინდა.

– **ქარსელიძე ივანე** (1829 – 1892)

დაიბადა თბილისში. 1850 წელს დაამთავრა
თბილისის პირველი გიმნაზია. 1851 წელს სამეც-
ნელოც მთავარმა დავით დადიანმა მიიწვია ზუ-
გდიდში შვილების აღმზრდელ-მასწავლებლად.
1852 წლიდან დაიწყო საგანმანათლებლო მოღვაწეო-

ბა. 1854 წლიდან მეთურობდა ქართულ დრამატულ დასს. 1857 წლის იანვარში ალაღინა და გამოსცა ჟურნალი „ცისკარი“, რომელსაც ხელმძღვანელობდა 18 წელი. 1862 წელს დააარსა გაზეთი „გუთონის ღელა“, 1887 წლიდან უშვებდა გაზეთ „ცისკარს“. მისი პირველი ლექსები დაბეჭდა 1851 წელს, გაზეთ „მაკაკეაშვილის ვესტნიკში“, შემდეგ იბეჭდებოდა „დროებაში“, „იმედში“, „ივერიაში“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში. მისი ლექსები „შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი“ და „ჩემო თვალის სინათლე“ პოპულარულ სიმღერებად იქცა. 1855 წელს ცალკე წიგნად გამოსცა პოემები, 1859 წელს – ლექსთა პირველი კრებული.

სიმღერა

შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი,
დაჰკა გრძნობით დაირასა,
თუ ხარ საქართველოს შვილი,
ნუ მომაკლებ მაგ ტკბილ ხმასა!
მაგა ხმამან საწეგარომ
მომიგანა მწუხარება,
მასში ისმის სევდიანი
ჩემი ქვეყნის მდგომარება.
მამა-პაპათ ეგ მაგონებს,
ეგ მიწყლულებს განჯულ გულსა,
ეგ არის, რომ წარმომიდგენს
ჩემს სამშობლოს დაჩაგრულსა
ტურფავ, დაჰკა, დაჰკა გრძნობით!
შემოსძახე ქართველურად;
დაჰკა, მაგ ხმას მსურს დავაკლა
მსხვერპლად თავი ჩემი სრულად.
შენმა მღერამ დამადრებულა,
მომიმაგა მწუხარება.
მასში ისმის სევდიანი
ჩემი ქვეყნის მდგომარება.

— ქაქასალიკა მთავარისა (1942)

სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს რადიოს ახალგაზრდული გადაცემების განყოფილების რედაქტორად, გაზეთ „სახალხო გაზეთის“ ლიტერატურისა და ხელოვნების გა-

ნყოფილების გამგედ... მისი დაარსებულია გამოცემის „პოეზია“, რომლის მთავარი რედაქტორიც თავადვე იყო, დამფუძნებელი და პრემიერენგია შემოქმედ ქალთა ასოციაციისა – „ოცნება“; მთავარისა კერესელიძის პირველი ლექსი „მე დავიბადე ივლისის თვეში“ 1963 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „საქართველოს ქალში“. გამოცემული აქვს პოეტური კრებულები: „სათავი“, „ჭრელი გაზაფხული“, „ლონდონის იმინი“, „ფრესის დაღადი“, „მოგონება“, „პოეზია“, „ლუმილის შემდეგ“, „წაგვლენა მტერმა მოყვრულად“, „თუკი დღეს გადარჩა საქართველო“, „ასი ლექსი“.

ლილა ზემთაძინა

მთები, მთები, ო, რა მთები
და ფერები იისა,
რა ლამაზად მობრძანდება
ლილა ბეთანიისა.
მოქნეული ბილიკები, –
მთების ნაიარევო;
გზას აქ ერთად მივიკვლევდით,
დღეს სად დაიარებო?
მთებზე ნისლი მიბალახბოს,
სუსტი, გაუბედავი.
ორბელანთი სამოსახლოს
შევეფეთო ნეტავი.
მთები, მთები, ო, რა მთები
და ფერები იისა.
რა ლამაზად მობრძანდება
ლილა ბეთანიისა!

— ქაქასალიკა ნუნე (1932)


დაიბადა სოფელ შარდლობეთში (თნი). დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1961 წელს გამოვიდა მისი პირველი ლექსთა კრებული. ავტორია პოეტური კრებულებისა „ია და ნიბლია“, „ოთხი სიმღერა“, „მივეშველოთ დათუნისა“. 1972 წელს გამოიცა ლირიკულ ლექსთა კრებული „ლექსები“ და პოემა „მურას მოგზაურობა“. თარგმნა ინგლისური და ამერიკული საბავშვო ლექსები, ანა



**ოშანი
კერესელიკი**



**მთავარისა
კერესელიკი**



**ელდარ
კერესელიკი**



**ლიკა
კასალიკი**



**ზალკა
კემოშვილი**

ახმატოვასა და მარინა ცვეტაევას პოეზია.

მს რა დილა გაგვიტყობდა

მოდის ფიქვი, ფარფაგელა,
ნაძვის ხესთან ვმდებრით ყველა.
თოვლის პაპამ, კარგმა პაპამ
ეს რა დილა გავითენა.
მიგვიწვია ნაძვის ხესთან,
გოგო-ბიჭი კოკროჭინა,
საჩუქრებიც დაგვირიგა,
ყელი ჩაგვიკოკლოზინა.

— ქარაქაქაი პლარ (1942 – 1991)

დაიბადა სოფელ საყაროლოში (თიანეთი). 1955 წლიდან ოჯახი გადმოსახლდა თბილისში და ელდარმა 1959 წელს დაამთავრა რკინიგზის №3 საშუალო სკოლა. სწავლა ჯერ პედ. ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე განაგრძო (1959-61 წწ), თუმცა მერე ოსმ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტზე გადავიდა და 1969 წელს დაამთავრა. მისი პოეტური დებიუტი 1960 წელს შედგა. ლექსების პირველი წიგნი „მწვანე ქუჩა“ კი გამოსცა 1970 წელს, რომელსაც მოჰყვა კიდევ 12 პოეტური კრებული (მათ შორისაა: „სინათლის ფრთები“, „ქარის ჩრდილები“, „ისევ თქვენთან ვარ“, „მახსოვს“, „თუკი ერთმანეთს გავუფრთხილებით“, „სიყვარულია ესაა მთავარი“ და სხვა), თარგმნიდა უცხოური პოეზიის ნიმუშებსაც (ვაჰან გერიანი, ალექსანდრ ბლოკი, მიხაილ ლერმონტოვი...).

შოთა ჩანგლაძე მესიმერა წუხელ –
კი არ მესიმერა, ნამდვილად ვნახე...
თავისი წიგნი მივართვი, ვუქე,
სივრცეს გახედა მწუხარე სახით.
ლაპარაკში ვერ ავიყოლიე,
მხარზე გამხდარი შემხრო ხელი.
„ახლა თბილისში გამარონია...“
თქვა და თვალზე შევიწმინდე ცრემლი.
– მშვიდობით იყავ, ჩემო მშობილო,
ეს წიგნიც ჩემგან სახსოვრად გქონდეს...
გაშალა მიწა, როგორც ლოგინი,
და წაიფარა ვეება ლოდი.

— ანსოლი ლეანე (1985)

დაიბადა სოფელ დაგვაში (ქობულეთი), ბერძნულ-ქართულ ოჯახში, რომელიც მალევე გადავიდა საცხოვრებლად მარტვილის სოფელ ვედიკარში. საშუალო განათლება მიიღო მის-ურჩის საჯარო სკოლაში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველო“-ს, რამდენიმე ლექსით შევიდა ანთო-

ლოგიური ტიპის გამოცემა „მზის არილის“ რამდენიმე ტომში, დაიბეჭდა ასევე „მწერლის გაზეთში“ და ჟურნალებში: „ახეული“, „ემიგრანტი ქალი“.

გაქეცა სიცივის ქართულ ორგანიზმს,
გაასწრო დროსაც, საკუთარ მესაც,
მიმართა ხმები ჰანგზე ორღანის
და კვირის წირვებს უწოდა მესა,
ამაყობს სხვისი ვენური ვალსით,
ამაყობს სხვისი თეთრი ვერსალით
და საკუთარი თავიდან წასვლით
ველარ წასულა მაინც ვერსალით.

— ქალოშვილი გიორგი (1946)

ცნობილია ჩიხორიშვილის გვარიითაც. დაიბადა სოფელ ხიმბაბერაში (ასპინძა). საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, მსახიობის სპეციალობით, ხოლო, მოგვიანებით, დაამთავრა გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ქართული ენისა და ლიტერატურის განხრით. იგი დიხანს მოღვაწეობდა ახალციხისა და გორის სახელმწიფო თეატრებში. შალვა კელოშვილმა ერთი პერიოდი ჟურნალისტიკაშიც სცადა ბედი, ბოლოს კი პედაგოგის აირჩია, იგი დიხანს მოღვაწეობდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კითხულობდა ლექციებს; 1988 წელს იგი დაინიშნა ადიგენის რაიონის კულტურის განყოფილების გამგედ და ოცდასამი წლის განმავლობაში უძღვებოდა მისადმი მინდობილ საქმეს. შალვა კელოშვილი ორი პოეტური კრებულის ავტორია: „ცოცხალი და ქალი“ (1997), „ვაგს ცრემლები ვინ სწმინდოს?“ (2007).

აღიშნა

ადიგენში, ჭულეს ახლოს,
სოსნისთვალა გოგო სახლობს,
ვინძლო, ვინძემ ხელი ახლოს,
გადავუწვავ სამოსახლოს.
მარმის ბოლოს, იქვე, გაფოს,
აგამს სახლენს, საკუბენ-საპობს,
სურნელეა ისე სჭარბობს,
ფერთა მღვაში ხევეს ახრბობს.
გოგო ფიქრობს,
ბიჭი დარდობს,
ერთი ყვავის, ერთი ვარდობს,
ისიც ნაგრობს, ესეც ნაგრობს,

მათი ცრემლი ქვა-ლოდს აღნობს.
 მზე გაზაფხულს ძუძუს აწოვს,
 ფუტკარი კი აპრილს თაფლობს,
 მე რად მაწვიმს, მე რად მათოვს,
 ამისთანა გოგოს პაგრონს.
 ადიგენში, ჭკულეს ახლოს,
 სოსნისთვალა გოგო სახლობს,
 ვინძლო, ვინმემ ხელი ახლოს,
 გადავუწვავ სამოსახლოს!

— **კვანტალიანი შარლობა** (1950)

დაიბადა აბაშაში. დაამთავრა რუსთავის მე-15 საშუალო სკოლა; 1975 წელს დაამთავრა თბილისის პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1991 წელს დაინიშნა მწერალთა კავშირის ქვემო ქართლის ლიტერატურული ორგანოს, აღმანახ „ალგეთის“ მთავარ რედაქტორად, სადაც დააფუძნა გამომცემლობა „ვეფხისტყაოსანი“. 1997 წელს დააარსა სამეცნიერო-სალიტერატურო გაზეთი „კალმასობა“. საქართველოს მწერალთა ლიგ. ფონდთან დააარსა სალიტერატურო გაზეთი „ლიტერატურული ქრონომეტრი“ (გამოვიდა 2 ნომერი). გამოცემული აქვს სხვადასხვა პროფილის ათზე მეტი წიგნი (პოეზია, პროზა, საბავშვო ლექსები, სამეცნიერო სტატიები, თარგმანები). მის ლექსებზე შეიქმნა არაერთი სიმღერა.

* * *

მერე მუდამ გვიანია,
 ვლით ცაში მისი სულის მტრელებს,
 სანამ ღედა ცოცხალია,
 მოეფერეთ ღელებს.
 სიყვარულს ნუ დაამადლით,
 თბილი სიგყვა ხშირად გაუბედით,
 სანამ ღედა ცოცხალია,
 მოეფერეთ ღელებს.
 მანამდე ვვაქვს ფრენის ნიჭი,
 ვეჯიბრებით არწივებს და ვეღებს, —
 სანამ ღედა ცოცხალია,

მოეფერეთ ღელებს.
 თუ ბავშვობა გენანებთ,
 ნაადრევად შიშობთ, არ დაბერდეთ,
 სანამ ღედა ცოცხალია,
 მოეფერეთ ღელებს.
 ღედის თვალთა კეთილ ზღვაში
 სარკესავით ხშირად ჩაიხედეთ,
 სანამ ღედა ცოცხალია,
 მოეფერეთ ღელებს...
 თორემ მერე გვიანია
 სლით ცაში მისი სულის მტრელებს,
 სანამ ღედა ცოცხალია,
 მოეფერეთ ღელებს.

— **კაკაბახიანი გენა** (1940)

დაიბადა თბილისში. 1963 წელს დაამთავრა ოსუს ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართველურ ენათა განყოფილება. წლების განმავლობაში მუშაობდა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში და პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტში. 1999-2006 წლებში იყო ოსუს მოვადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის პროფესორი; 2005 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი. გამოქვეყნებული აქვს 130-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და პოეტური კრებული „მართალია და უღმრთოთა გზები“ (2000).
 სიტყვებითი მონატრება
 კარგა ხანია,
 ჩაიღურის წყალი დალია,
 მანძილს არ ვგომავთ
 წყრითია და ალლით,
 აღარც ჩარეჭი, კოლდ ვიცით,
 აღარც ბათმანი,
 მაგრამ დამთბარი
 არის მაინც სხვაგვარი მაღლით:
 „სამი ურემი შეშა“,




შარლობა კვანტალიანი



გენა კაკაბახიანი



კაკაბახიანი



რინოს კაკაბახიანი



ნანა კაკაბახიანი

„ტარო – ერთი ნალია“,
 „კვერცი მარილი“,
 „ორი აცმა მაფრანის კოჭი“,
 „სამ ნაბაღს თავზე მოეველება
 თორმეტიგაკალიანს“;
 „ყოველ არშინზე თითო-თითო
 დამაკლეს გოჯი“
 და კიდევ ბევრი საწყაული
 ძველი ქონების...
 გრინვიჩის, სევრის
 და მსოფლიო ეტალონების
 არ მიფიქრია ათვალწუნება,
 მაგრამ რა ვქნა, რომ
 გული იხარებს,
 თუ ვინმე იცყვის
 ეპიკური ღიღებულებით:
 „მზე შუბის ტარზე გადაიხარა“.

— **კვარახხელი პაპა** (1979)

მამა პეგრე, პეგრე კოლხი.
 სამების ტაძრის ღეკანობი. წარმოშობით არის
 წალენჯიხიდან. პირველი ლექსი 12 წლის ასაკ-
 ში დაწერა. გამოცემული აქვს 15 წიგნი, აქედან
 12 ლექსების კრებულია.

* * *

ისეთი ცრემლით მინდა ვიგვირო,
 არ ჩანს და სადღაც გულში იგრძნობა.
 მსურს სიწუმეში რომ ჩავიძირო,
 მაფორიაქებს მარადისობა...
 ისეთი სიგყვით მინდა ლოცვები,
 რომელიც ღღემდე არსად არ თქმულა.
 მერე ბურუსით შევიმოსები,
 როცა ჩაქრება ყველა ნათურა...
 მე გავეცევი სხეულს ადრიან,
 შემოგეხვევი მხრებზე ლანდებად.
 ზეცა ღვთისმშობლის თეთრი ჩადრია,
 როცა ნისლები გაიფანტება...
 აირევიან გზაზე ჩრდილები,
 და ვერ გაიგებ საით მიდიან...
 თუ კი ოდესმე გემორჩილები,
 ეს ნება არა, მხოლოდ რიდიან...

— **კვარახხელი რინოს** (1934 – 2014)

დაიბადა სოფელ ნაკიფეში (წალენჯიხა).
 1941 წელს შევიდა ამავე სოფლის საშუალო
 სკოლაში. 1960 წელს ჩაირიცხა ა.ს. პუშკინის
 სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1965
 წლიდან მუშაობდა რაიონული გაზეთ „ვერის-
 ის“ რედაქციაში, ჯერ ლიტმუშაკად, შემდეგ ამავე

რედაქციაში სოფლის მეურნეობის განყოფილებ-
 ის გამგედ. 1981 წელს ქუთაისში გამოიცა მისი
 პირველი ლექსების კრებული „მოვა აპრილი“,
 1983 წლიდან იყო საქართველოს კურნალისტ-
 თა კავშირის წევრი. 1992 წელს გამოიცა მისი
 მეორე წიგნი „სევდის მწვერვალი“, 2004 წელს
 ლექსების ახალი კრებული – „ტკივილის აფრა“,
 ხოლო 2014 წელს ასევე ლექსების კრებული
 „წრებუნჯა“. რინოს კვარახხელია 2014 წლის
 2 თებერვალს გარდაიცვალა.

ზორბიას წინაშე

სოფლის ბოლოში პაგარა დედე
 გადააქცა ქოხი წისქვილად,
 ბრუნავდა მერე, ბრუნავდა მერე
 და შემოდგომას ფქვევდა წვრილ-წვრილად.
 აფეთქებული სოფლის იმედად
 წისქვილი ღამამ ოცნებას ჰგავდა,
 ხშირად ღამითაც არ იძინებდა
 და სიმინდით ზღაპრებსაც ფქვევდა.
 ბევრი დაფქვა და ბევრი წაიღეს,
 მაგრამ ყოფილა ღონემისდილიც,
 სოფლის სიმდიდრეს და სიღარიბეს
 გლესის გულივით გრძნობდა წისქვილი.
 ხან სავესე ჰქონდა სიუხვით უბე,
 ხან დაღვრემილი კაცივით ღუმდა
 და ჰგავდა ჩიგის ცარიელ ბუღეს
 ხის ფულუროში დარჩენილს უქმად.
 ახლა, გოგია, შენი წისქვილი
 ბრუნავს, თოვლია, თუ მზე აცხუნებს,
 დედე ჩხრიალებს შენი სისხლივით,
 წყალი კი არა, სვავი აბრუნებს...
 და მე მგონია, დედე თავს იხრჩობს,
 ღარში ხმაურით გადამინარია;
 ნუ შეჩერდება, გოგიას სისხლო,
 ნუ დაგერქმევა ნაწისქვილარი!

— **კვილიაშვილი ნანა** (1968)

დაიბადა ზუგდიდში. 1985 წელს წარჩინებით
 დაამთავრა ზუგდიდის მე-9 საშუალო სკოლა და
 იმავე წელს ჩაირიცხა ქუთაისის პედაგოგიურ
 ინსტიტუტში რუსული ენისა და ლიტერატურის
 ფაკულტეტზე. ორი კურსის შემდეგ სწავლა გან-
 აგრძობ თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში და
 დაამთავრა 1992 წელს. ორი წელი იმუშავა ზუგ-
 დიდის მე-9 საშუალო სკოლაში მასწავლებლად.
 1994 წლიდან პედაგოგიური მოღვაწეობა გაა-
 გრძელა მოსკოვის ქართულ სკოლა-ლიცეუმში.
 ეწევა მთარგმნელობით მოღვაწეობას, არის
 ავტორი პოეტური კრებულისა „ღმილი ჩემი
 ავტოგრაფია“ (2018).

* * *

ყველაფერზე შეიძლება წერო!
 მაგრამ თუკი სამშობლოა შორი,
 და შენ, როგორც გაბაფხულზე წერო,
 ვერ ბრუნდები სხვა მრავალთა შორის...
 დაგვადლა თითქოს ფრენით ფრთები,
 მშობლიური არსად მოჩანს ყურე,
 ცა – სიმშვიდით, ქალაქი კი უცხო,
 აღმაცერი მზერით შემოგყურებს.
 ბედისწერის რომ წააგავს ნიშანს,
 (წერო ცაზე რასაც მივამსგავსე) –
 ჩემს ფურცელზე სამკუთხედი ღია
 ვერ შევკარი, ვეღარ დავასრულე!..
 ყველაფერზე რადგან არ მსურს ვწერო,
 რადგან ისევ შორი რჩები, ჩემო...
 ისევ კალმით დავიხატე ფრთები,
 გზა მშვიდობის, გზა მშვიდობის, წერო!

— კვიციანი პირა (1931 - 1989)

პოეტი, პუბლიცისტი, დრამატურგი.
 დაიბადა ქუთაისში. ოსუს-ს ქურნალისტიკის
 განყოფილების დამთავრების შემდეგ აქტიურ-
 ად მოღვაწეობდა პრესაში, აქვეყნებდა ლექსებ-
 საც. სიცოცხლეში დაბეჭდა რამდენიმე მონოგ-
 რაფია კულტურის მოღვაწეობებზე. მისი გარდაც-
 ვალების შემდეგ, უმცროსმა დამ, მსახიობმა და
 მწერალმა ნესტან კვეციანმა, გამოსცა კირა კვეციანის
 ლექსების რამდენიმე კრებული: „იმედი“ (1992),
 „ფრესკის კარები“ (1997), „მზის სიმღერა“ (საბ-
 აფშო ლექსები, 1995), „ვარდის ფურცლები“ (2001),
 „უბრალო კაცი ვარ“ (პიერ ბერანტეს ლექსების
 თარგმანი), „აბანთ-მეჯლისი“ (2005) და სხვა.
 კირა კვეციანის პიესები იღვებოდა ქუთაისის,
 რუსთავის, თბილისის თეატრების თეატრებში.
 მის ლექსებზე შექმნილია კომპოზიციონერების რუ-
 სუდან სების კვეციანის, ალექსანდრე ბასილაი-
 ას, ჯუმბერ ჯანდიერის და სხვათა პოპულარუ-
 ლი სიმღერები.
 გარდაიცვალა 9 აპრილის აქციაზე მოწამე-
 ლის შედეგად.

* * *

ჩემში ერთ-ერთ ქალს ლექსი აწვალეს,
 ერთსაც მუსიკა, ერთს კიდევ – ცეკვა,
 ერთს ფუნჯის მოსმა უნაბავს თვალს
 ერთს სიყვარული მიუძღვის მეკუდელ.
 ჩემში ერთ-ერთი დიასახლისობს,
 ერთ ქალთაგანს კი ღვინო სწყურია,
 ერთს ფარი შვენის, ერთსაც სახნისი,
 ერთს სურს დაიპყროს მთელი დღია.
 ერთი შვილის და ერთი ყრმის – დედა,
 ჩემში ერთ-ერთი მხნეა, ფხიანო;
 მე რამდენიმე ქალი ვარ ერთად
 და რამდენიმე აღამიანი.
 იცოდეს ღმერთმა, კაცმაც და ერმაც
 მე დედაკაცი მიგომ მიწოდეს,
 საღღაც კაცისაც დასაღარი ვარ,
 მიწა ვარ, ცა ვარ, მზეო, იცოდეს;
 საღღაც წვიმა ვარ, საღღაც ქარი ვარ,
 საღღაც კლდეებად ჩამოვითლები
 ერთი კი არა, ათი ქალი ვარ,
 ათივე როგორ გარდავიცვლები?!

— კვიციანი ნესტან (1939 - 2010)


მსახიობი, მწერალი, პოეტი, პედაგოგი.
 დაიბადა ქუთაისში. 1962 წელს დაამთავრა
 ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი. წლების
 მანძილზე იყო ლალო მესხიშვილის სახელმწიფო
 აკადემიური თეატრის გამორჩეული მსახიობი,
 გაღალტულია რამდენიმე ქართული მხატვრუ-
 ლი ფილმის ეპიზოდურ როლებში. აქტიურად
 თანამშრომლობდა პრესასთან, წერდა კულტურ-
 ის თემებზე. ნესტან კვეციან მთხრობებისა და
 მინიატურების რამდენიმე კრებულის ავტორია.
 ლექსებს დროდადრო აქვეყნებდა პერიოდულ
 პრესაში, წიგნებად მოგვიანებით გამოცემა.
 გამოცემული აქვს ლექსების კრებულები: „მუხ-
 აბზაზური“ (1993), „მშვიდობით, ჩემო სიყვარუ-
 ლო“ (1994), „მზის სიმღერა“ (1995), „გაბაფხულე
 მაინც მოვა“ (2002).



პირა
კვიციანი



ნესტან
კვიციანი



მუზარ
კვიციანი



დავით
კვიციანი



კიკა
კვიციანი

— **კვარნაძე-შიქაძე სინანა** (1945)

დაიბადა თბილისში. დაამთავრა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის გერმანული ენის ფაკულტეტი. წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს გელერადით კომიტეტში უმცაგო კორესპონდენტად, საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებლად; ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიწვეულ პედაგოგად. გამოცემული აქვს კრებულები: „უწყვეტი სული“ (1991) და „ლექსები“ (2011).

— **კვიციანი ნოდარ** —

იხილეთ *ბერეთელი ნუკრი*.

— **კვიციანი ბერნედი**

იხილეთ *ვრახელი გერენტი*.

— **კვიციანი ივანე** (1936)

დაიბადა თბილისში. 1959 წელს დაამთავრა ოსუს ფილოლოგიის ფაკულტეტი. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა 1957 წელს „ცისკარსა“ და „პირველ სხივში“. 1963 წელს გამოქვეყნდა მისი პირველი კრებული - „გზაში ნათქვამი სიმღერა“. 1963 წლიდან ჟურნალ „ცისკარის“ ლიტერატურულ მუშაკი იყო, ხოლო შემდეგ — შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის ახალი ქართული ლიტერატურის განყოფილების მეცნიერ-მუშაკი. მისი კრებული „სიმღერა ვნახე“ 1975 წელს გამოიცა, 1989 წელს — კრებული „ახალი წელი გყვით“, ხოლო კრებული „ნამუადღევი“ — 1999 წელს.

შენაძნე მოვილტოვი

(*მიიღეთა სიყვარული*)

ბელი ჰქონია, გარგუნეს ვისაც...
ნეტავი თავი არ დამეოგა —
ჯიუტი, შლეგი და ავი მნისა,
შემოვხიზნოდი იმ შენს ემო-კარს.
მედიმედ, ვისგან გეყოლა ძენი,
მეტყუტურს, ღვარად დავდინდა სხენი...
მეც მოვმიდავდი ფეხკავმას ლაგამს,
ნეტა ცხვარ-ძროხა მემწყემა შენი.
დამამწახრებდა უფრო სხვა რაღა...
ვის დარჩა ძველი ეზო და კალო?!
ვაითუ დაჭკნი, ის აღარა ხარ,
თინიბეგაის თვალჭრელი ქალო!..

— **კვიციანი დავით** (1920)

მწერალი, პოეტი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. დაიბადა ქუთაისში. 1941-43 წლებში იყო ბელ-

ორუსიაში მოქმედი ერთ-ერთი პარტიზანული რაზმის დამფუძნებელი უფროსი და რაზმის მეთაურის მოადგილე. 1943 წელს, ბრძოლაში მიღებული მძიმე ჭრილობის შედეგად დაბრუნდა სამშობლოში. 1957-1989 წლებში იყო საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი. მისი პირველი ლექსი გამოქვეყნდა 1946 წელს. 1947 წელს გამოაქვეყნა, 1957 წელს — პირველი პროზაული წიგნი „ორდიშევის გყვით“. ლექსების პირველი კრებული „გზა“ 1959 წელს გამოიცა. ავტორია ლექსისა „ქეთაისი“, რომელზეც შექმნილია კომპოზიტორ ნუნუ ღვლაშვილის პოპულარული სიმღერა. დაკრძალულია მწვანეყვავილას მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

* * *

განა შენთვის გული არ მითხოვია,
ეგ თვალები რა სინაზით დახარე?!
აბა, ქუჩებს ისე როგორ მოვიარ,
შენი ქუჩა თუ არ მოვიინახულე.
მოდის წვიმა, მოდის შეყის ნაკადი,
წვეთებია, ჩემს გულს რომ ახარაგებს,
შენ არა ხარ, შენ სადა ხარ აქამდის,
ნამქერს ვაგან ჩემი გულის ბარათებს.
გულო ჩემო, შენ ხომ მაინც იხარებ,
მშის სხივები გულს ეშვება მძივებად,
ისე, როგორც არ მეძინა წუხელის,
ამალამაც აღარ დამეძინება.

- **კვიციანი შა** (1974)

დაიბადა სოფელ ბეჩოში (მესტია); 1997 წელს დაამთავრა ოსუს ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა პედაგოგად, ჟურნალისტად, მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების რესურს-ცენტრის ინსტრუქტორად.

* * *

საით წამსულელი სად მივდივარ, სად მივიქარო,
თვალებში ნისლი გამბლანგდა, სულში ნადველი,
არცერთი სიგყვა, რის სხაური, ანდა რის ჩქამი,
ღუმილის შადა აქვს ყველა ბეგრას, ჩემგან აღლუნილს.
ბეჭებზე მდევს ფერმომხრალი მივარის სივრცულ-
ლოკოკინების წებოვნება და ჟრუანტელი...
რწმენა, რისთვისაც ვიმარხულე, დღემდე ვიზინდი,
სულში სისველედ ჩამომადნა, როგორც ფანტელი...
დავკარგე გემი, სად ბნელია, საით ნათელი,
სელისცეცებით სიარულს კი როდემდე შევძლებ,
დღე, გამოთვრალი, მერამდენედ დამენათევი,
დღე, მხოლოდ ფუჭი ფიქრების და ტკივილის შემძლე
გულგრილად მდის, რას დავებებს გაღაბს და წვირის,
არაფრად ავდებს მომაკვდავი ფოთლების წუხილს,

გმა გაბრისაკენ, ოდესღაც რომ გულიდან ვწირე, დამეკარგა და ახლა სულში ქეთითებს მწუხრი... ცის თაღზე სანამ მშველ ეკიდნენ შენი თვალები, რას დამბფრთხობდა ქარის სგვენა ანდა სიბნელე, ახლა ლოდინით გაბებრებულ-შემომწყურალები აღარ მწყალობენ, მეძღურიან და გზებს მიბნევენ...

— **კიკნა-ფაჩაველა**

იხილეთ *ბაღურაშვილი სიკო*.

— **კიკნაძე ზურაბ** (1933)

დაიბადა თბილისში. 1940-1951 წლებში სწავლობდა თბილისის მე-7 ვაჟთა სკოლაში. 1951 წელს ჩაირიცხა ოს უ-ში, რომელიც დაამთავრა 1956 წელს სემიოლოგიის განხრით. 1960 წლიდან და 1977 წლიდან დღემდე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია. 1977 წლიდან არის ოს უ-ს ფოლკლორისტიკის კათედრის გამგე. ზურაბ კიკნაძემ პირველი თარგმანი – „გილგამეში“ (შესავლით, ლექსიკონითა და კომენტარებით) 1963 წელს გამოაქვეყნა; 1978 წელს თამაზ ჩხენკელთან ერთად თარგმნა ჰომეროსის „ოდისეა“. ზურაბ კიკნაძის კვლევების სფეროა შუამდინარული ლიგერაგურა, შუამდინარული მითოლოგია და შუამდინარული რელიგია; ქართული მწერლობა, ქართული ფოლკლორი და მითოლოგია; ქრისტიანობა და ქრისტიანული კულტურა; ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმის) თარგმანი და ეგზეგეტიკა, საზოგადოებრივი პრობლემები.

— **კიკნაძე ფილადელფოს** (1794 – 1832)

მშობლებმა 7 წლის ასაკში სასწავლებლად ნათლისმცემლის მონასტერში მიაბარეს. მისი ნათლობის სახელი ნიკოლოე იყო. ბერად აღკვეცის შემდეგ ნიკოლოში შეარქვეს, ხოლო მონაზვნად კურთხევისას (1822 წელი) ეწოდა ფილადელფოსი. 1826 წელს კათოლიკოს ანტონს გაჰყვა რუსეთში. 1832 წლის აჯანყება სწორედ რუსეთში,


იქ გადასახლებულ ბაგონიშვილთა წრეში ჩაისახა. მათ გარს შემოიკრიბეს რუსეთში სასწავლებლად ჩასული ქართველი ახალგაზრდები და შეუდგნენ მომზადებას მომავალი შეიარაღებული აჯანყებისათვის. 1827 წელს შეთქმულების ცენტრმა თბილისში გადმოინაცვლა. ფილადელფოსი საქართველოში დაბრუნდა 1828 წელს და აქტიურად ჩაება შეთქმულების საქმიანობაში. მან შეადგინა შეთქმულების წესდება. წესდებას ერქვა „აკგი გონიური“, რომელსაც საფუძვლად დაედო მის მიერვე შედგენილი ფიც. შეთქმულთა მიმოწერისათვის შექმნა საიდუმლო ანბანი, რისთვისაც გამოიყენა ძველი ქართული დამწერლობა, ნაწილობრივ კი ლათინური ანბანი. ეწეოდა ლიგერაგურულ მოღვაწეობას, წერდა ლექსებს საქართველოს მდგომარეობასა და სამშობლოს სიყვარულზე.

— **კილასონია ნაზი** (1926 – 1993)

დაიბადა სოფელ აბისში (ქარელი). 1954 წელს დაამთავრა ოს უ-ს დასავლეთ ევროპის ენები-სა და ლიგერაგურის ფაკულტეტი. 1955-1959 წლებში მუშაობდა ჟურნალ „პიონერში“ ლიგ. მუშააკად. 1959 წლიდან კი – ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციის ლიგერაგურისა და ხელფონების განყოფილების გამგედ. მისი პირველი ლექსები გამოქვეყნდა 1952 წელს ალმანახ „პირველ სიხვისა“ და გაზეთ „ლიგერაგურულ საქართველოში“, ხოლო პირველი წიგნი – „ლექსები“ – დაიბეჭდა 1954 წელს. მისი კრებული „გზაფერადი“ 1972 წელს გამოიცა, ხოლო „დიდება შენდა“ – 1987 წელს.

* * *

მინდა ეს ლექსი შენც მოგხედვს გულთან, მინდა მეც მქონდეს პწკარი ძლიერი, საქართველოში რომ ერთად ვსუნთქავთ, სწორედ ამიტომ ვარ ბედნიერი... მეც ხომ მივლია იმ მთების გაღმა, მგზავრად მომძევდა ლექსი ხმისი,



ზურაბ კიკნაძე



ნაზი კილასონია



გიორგი კლდიაშვილი



სამურაო კლდიაშვილი



ლავითი კობიძე

მეც ხომ შემისვამს ლიახვის ცალდა
 და სამუდამოდ ვარ ბედნიერი.
 მეც მინატრია ია მუხლამდის,
 რომ ვაბაფხულის მწვევდა იერი,
 მიყვარდა... მაგრამ, რომ არ ვუყვარდი,
 იქნებ ამიტომ ვარ ბედნიერი.

— **ქინწარაპილი მინილი**

იხილე *იასამანი*.

— **ქლიაპილი გენო** (1938)

პოეტი, წიგნების ავტორი, მრავალი წელი მუშაობდა დავით კლიაშვილის სახლ-მუზეუმში ექსკურსიამძღვლად.

გაზაფხულის

ოცნება ისევ ანთებს კელაპტარს
 და მზე კალთაში უზით წინარებს.
 გაგიჟებამდე რომ მომენატრა,
 მისთვის მოვარდა ფერთა მდინარე.
 ახლა, ამ წუთის ნამდვილი გვეყვარ,
 მზედ ირეკლება წვეთის ციმციმი,
 დიდხანს ვდარაჯობ ანთებულ გვერდს,
 რომ სულში ჩამრჩეს თეორი სიცელი.

— **ქლიაპილი გვარამ** (1929 – 2018)

პოეტი, დრამატურგი, ჟურნალისტი.

დაიბადა სოფელ მეომ სიმონეთში. 1956 წელს დაამთავრა ოსუს-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. შემდეგ მუშაობდა ბეჭდვითი სიგევის სახელმწიფო კომიტეტში, სხვადასხვა თანამდებობებზე, 1965 წლის დეკემბერში დაინიშნა კასპის რაიონული გაზეთის რედაქტორად, რომლის ხელმძღვანელობით, 1966 წლის 1 იანვრიდან აღდგა წლების წინ გაუქმებული გაზეთი „განთიადი“ (დღეს „ახალი განთიადი“). გურამ კლიაშვილი ქართულ მწერლობაში 60-იანელთა თაობას შემოჰყვა, დიდი პოპულარობით სარგებლობდა მისი წიგნები: „წუთისოფელი“, თვალი მიჭირავს შენგად“, „ნანცობი სახეები“ და სხვა, მან გამოსცა 17 პოეტური კრებული და მრავალი იუმორისტული და დრამატული ნაწარმოები; მისი პიესები იღვებოდა მთელ რიგ თეატრებში.

იქნებ ვაგასწრო, იქნებ ვამაწრო,
 ამ წუთისოფლის უმოკლეს ვაბზე,
 მაგრამ იცოდე, არსად, არასდროს,
 არ მყვარებია არავინ ასე...
 იქნებ ვაგცვალო, იქნებ ვამცვალო,
 არავინ იცის რა ხდება მაშვე,

დღეს რომ მიყვარხარ,
 შენ გენაცვალე,
 არ მყვარებიხარ არასდროს ასე!...

— **ქლიაპილი სარგო** (1893 – 1986)

პოეტი, მწერალი, ნოველისტი. იყო ქართველი სიმბოლისტების ლიტერატურული ჯგუფის „ცისფერყანწელთა“ წევრი.

დაიბადა დავით კლიაშვილის ოჯახში. 1913 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, შემდეგ სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ მოუსწრო რევოლუციამ და იძულებული გახდა დაბრუნებულიყო სამშობლოში. მისი პირველი ლიტერატურული მინიატურა ჯერ კიდევ 1911 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „სინათლეში“. იგი ქართველ მწერალთა იმ თაობას ეკუთვნის, რომლებმაც დააარსეს „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ორდენი. მკითხველი დიდი ინტერესით შეხვდა მწერლის 2 რომანს „ფერფლს“ და „მყუდრო საფანეს“. ს. კლიაშვილის სახელს უშუალოდ დაუკავშირდა ქართული ნოველის შექმნა. ასევე უნდა აღინიშნოს სერგო კლიაშვილის როგორც დრამატურგის დეაწლი. მისი პიესები „გმირთა თაობა“, „ირმის ხევი“, „დაბრუნება“ წარმატებით იღვებოდა რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების სცენაზე.

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

— **ქობიძე ლავიტი** (1906 – 1981)

დაიბადა სოფელ შუა ამაღლებაში (ჩოხაბაქური). 1933 წელს დაამთავრა ოსუს. იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე; 1948 წლიდან – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; 1953 წლიდან – ოსუს-ს ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგე. იკვლევდა სპარსული ენისა და ლიტერატურის ისტორიას; კლასიკური და აღორძინების ხანის ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების და ქართული და სპარსული პოეტიკის საკითხებს. თარგმნა სააღის „ბუსთანი“ და „გოლესთანი“.

საალი შირაქელი

ფრაგმენტი „ბუსთანიდან“

თარგმნა ლავიტი კობიძემ

სახელი შენი თუ გსურს დარჩეს უკვდავი მუდამ,
 კეთილი საქმე ხალხისათვის აკეთი უნდა!
 შენც იგივე ხარ, შენი სახეც იმგვარად ბრწყინავს,
 როგორც იყვნენ მეფეები წინათ და წინათ.
 მათ სწავლათ ძინი, აღგაცება და სიმწუხარე.

დაბოლოს გაქრნენ, სამუდამოდ თვალს მიეფარნენ. ერთი ღიღების ბეგლს დაიდგამს და ისე წავა, მეთორეს სახის მოიფონებს წყრომით და ავად.

— **კოლაჰვილი გიორგი** (1903 – 1975)

ფსევდონიმი – გალაური.

დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფელ ბოტკო-ში. 1936 წელს მისი მშობლები ლაფანყურში გადასახლდნენ. 2-3 წლის ასაკში გიორგი კოლაშვილს გადაუტანია მენინგიტი, რის გამოც ორივე ქვედა კიდურის დამბლა ჰქონდა. მუხლის თავებით მოძრაობდა ჯოხზე დაყრდნობილი. მიუხედავად ამისა, იყო კარგი ღურგალი და მთელი სიცოცხლე შრომობდა. გიორგი იყო თავისი დროისათვის დიდად ნაკითხი კაცი, თუმცა სკოლაში არ უვლია.

* * *

გალაურმა თქვა – ბევრი რამ
დავგოვე სახსოვარადა.
გამოვიცვალე სახელი,
„ტალი“ ვისმარე გვარადა.
მგრისგან რო ვიყო განჯული,
არ დავიდედლი ვალადა.
მაგრამ ბუნებას რას ვუბამ,
რკინაც რო მქონდეს ძვალადა?!
მაგან დამგანჯა წყეულმა,
ცეცხლს ამაღინა ბოლადა.
როდის იქნება ნეგარა,
მიწას დავეტყო გორადა.
როცა სული და სხეული
გაიყოფიან ორადა.
ხო მაინც უსარგებლოა
ამათი ყოფნა სწორადა.
სული სამოთხეს ესტუმროს,
ხორცი აქ დარჩეს მძორადა.

— **კოლაჰვილი მარიამ** (1959)

დაიბადა სოფელ კისისხევში (თელავი). საშუ-
ალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გა-
ნაგრძო თელავის გოგებაშვილის სახ. ინსტიტუტ-

ში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ადრ-
ეულ ბავშვობაშივე იბეჭდებოდა მისი ლექსები
იმდროინდელ ქუნალ-გაზეთებში. 2008 წელს
მოულოდნელად აღმოაჩინა ქვა, როგორც ხე-
ლოვნების ნიმუში, დაიწყო მათი შეგროვება და
სუვენირების დამზადება. ჰქონდა ორი პერსონ-
ალური გამოფენა ქალაქ თელავში, ასევე, პოემი-
ის საღამოები – სამეხების ახალგაზრდულ ცენტრ-
ში და მწერალთა სახლში. არის ოთხი პოეტუ-
რი კრებულის ავტორი.

* * *

ციდან მზე იღვრება მირონივით,
ველზე გვირილების ქორწილია...
მივალ სიყვარულად აღერილი,
გზა-გზა ღმილები მომწვივია.
ისე უსაშველოდ მომენატრე,
სადმე არა გნახო, ზღაპარია...
მხრებზე რომ მეხვევა სააღერსოდ,
ბეცის ლილისფერი ფაფარია.
თითქოს ფრთები მომცეს მზეწვიებმა,
მიწას არ ვვხები ნაბიჯებით...
გნახავ, ჩაკეტილ გულს გადაგისხნი
და შიგ სამუდამოდ დავგირჩები!..

— **კოლხიჯალი**

იხილე *გრივოლ დადიანი*.

— **კოლნი პაპია**

იხილე *კვარაცხელია პაპია*.

— **კოლახიკა თიონა** (1989)

დაიბადა ლანჩხუთში. 2006 წელს დაამთავრა
სოფელ სუფსის საშუალო სკოლა. 2010 წელს კი
– თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტი. არის
ხელოვნებათმცოდნე. 2010 წელს მისი ლექსები
დაიბეჭდა „ლიტერატურულ პალიტრამში“ და
„ჩვენს მწერლობაში“.

შოკოლადი

მე დამავიწყდა იმის მოყოლა,
რომ ჩვენ გაგვეყოფდნენ როგორც შოკოლადს.



მარიამ
კოლაჰვილი




თიონა
კოლახიკა



ანი
კოპალიანი



გიორგი
კორაშვილი



მერაბ
კოსტავა

ამიტირდები... და დავეცემით,
დაგველეწება ფრთები და ძვლები,
დაარბიე, დაო, სხეული,
შენი კანია შენი საკანი,
დაარბიე, დაო, სხეული,
ჩემი სულის მორევს შეუერთდი.
ჩვენ გვიყვებოდნენ უცნაურ მღაპრებს
და ღლეს მე ვაფრენ,
შენ ოცნებებში ბედნიერობდი
და სამყაროში წვიმად ცხოვრობდი.
ვერ მოვიცალე მეთქვა, დამთავრდა,
ჩემი ნაწნავების დაფნა,
ჩემს გულს აგმის ნაყოფში სძინავს,
შენ ჩიტის სხეული გმოსავს.
მე დამავიწყდა იმის მოყოლა,
რომ ჩვენ გაგვეყოფდნენ როგორც შოკოლადს.

— **კოპალიანი ანა** (1984)

ფილოლოგიის მეცნიერების მაგისტრი; ოსუს
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფილოლოგიის
სადოქტორო პროგრამის ლიგ. ურთიერთობების
პროფილის დოქტორანტი; „აღმოსავლეთი ევრო-
პის უნივერსიტეტის“ მოწვეული პედაგოგი. არის
რამდენიმე კონკურსის გამარჯვებული თარგ-
მანის სფეროში. მისი თარგმანები იბეჭდება
ცალკე კრებულებად და პერიოდულ პრესაში.

ნიკოლაი გუმბელინი

თარგმნა ანა კოპალიანი

სიმშარი ვნახე, ვიწვეით უბრად
გვერდიგვერდ — მკვდრები ვიყავით ვითომ.
ორი ქათქათა, ქათქათა კუბო
გვერდიგვერდ იღო.
— ეს როგორ მოხდა? — ვითხოვდი პასუხს,
— ან როდის მოხდა? ან გასტანს რამდენს?
უცნაურია, რომ გული არ წუხს,
ლოდი არ ადევს.
გრძნობები ისე შორს დაგვლავდნენ,
ფიქრები გახდნენ ისე ყუხები,
და აღარ მსურდნენ, თუმც კვლავ ელავდნენ,
შენი გუჩები.

აღსრულდა ბოლოს: ვიწვეით უბრად
გვერდიგვერდ — მკვდრები, ვიწვეით მშვიდად.
ორი ქათქათა, ქათქათა კუბო
გვერდიგვერდ იღა.

— **კორნაევი გიორგი** (1932 — 1997)

ნამდვილი გვარი — კაპანაძე.
დაიბადა სოფელ პირველ სივრში (შესგაფო-
ნი). 1950 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა,
1957 წელს — ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო

ინსტიტუტი. გამოცემული აქვს ლექსების კრე-
ბულები: „ლურჯი სათიბი“, აგრეთვე წიგნები:
„გაზაფხულის მარები“, „მღვის ტაძარი“, „კამი სი-
ნათლისა“, „მარადიული პაემანი“ და სხვა. გიორ-
გი კაპანაძის პოეტური აზროვნება გამოირჩევა
ფანტაზიით და მეტაფორულობით. დაკრძალეს
მშობლიურ სოფელში, არა სასაფლაოზე, არამედ,
ანდერძისამებრ, ე.წ. კორნაის სერზე.

მს გაზაფხულის

ჩემს სულს ეხება ზეცის თავანი
და ლურჯი ფრთები ზევით იწვევენ.
უცხო მშვეები, უცხო მშვეები
დამიძახებენ უცხო მიწებზე.
ეს გაზაფხული გბორდება მწვანედ.
მწვანე გოგებად, მწვანე ბალახად,
დაღის სიცოცხლე ყველაზე ღიდი
ყველა წყვილია რომ გადალახა.
ჩემს სულს ეხება ზეცის თავანი
და ლურჯი ფრთები ზევით იწვევენ.
უცხო მშვეები და გაზაფხული
დამიძახებენ უცხო მიწებზე.

— **კოსტავა მერაბ** (1939 — 1989)

დაიბადა თბილისში. 1958 წელს დაამთავრა ვანო
სარაჯიძის სახ. კონსერვატორია. მისი დამ-
თავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო მუსიკის მას-
წავლებლად. იყო ჟურნალის — „ქართული ენა
ლიტერატურა სკოლაში“ — რედაქტორი. საქართვე-
ლოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაო-
ბის ლიდერი, დამოუკიდებლობისათვის მებრძო-
ლი, სშირად იყო რეპრესირებული, დაპატიმრებუ-
ლი, გადასახლებული. ბოლოს 1987 წელს დაბრუნ-
და გადასახლებიდან და ზვიად გამსახურდიასთან
ერთად ისევ განაგრძო ბრძოლა სამშობლოს დამ-
ოუკიდებლობისათვის. მერაბ კოსტავა წერდა ლე-
ქსებს, ფილოსოფიურ, თეატრალურ, ლიტერატურულ
ესეებს. თარგმნიდა ცნობილი მწერლების ფილ-
ოსოფიურ ნაწარმოებებს.

ლიდგორი

ვით მღვრიე ჭაღლები, შეიხნი, ხოჯები
ვაპირულ ცოფით და საგანურ ღოჯებით
აღიძვრნენ, უძლოდათ მშერათა მზარავი
არაბულ ტაიჭით მქროლავი არავი.
ღუმშანს გაეგება ღავით თოროსანი
მესიის ელვა და ეღმის სოსანი
და ბოცომკალივით მომღვარი საპარა
მკლავზე დაიგრისა, მშვილდვით წახარა.
გულდაგულ შემუსრა მგარავალთა კერპები,
გვეს ბახილისკოს დაასო გერეფები,

ბაღდადურ ღრიანკალს დასთხარა ჭანგები,
იდიდოს მაღლი და კურთხევა განგების!
აქეთ იყალთოთი, იქეთ გელათითა,
მაცხოვარ, მან შენი სახელი ადილა,
აღსავლის კარიდან ასგყორცნა არწივი,
ზეცას დაუბრუნდა სერაფიმ-ბარძიმი.

– **ქოტაპიშვილი ვახუშტი** (1935 – 2008)

დაიბადა თბილისში. 1959 წელს დაამთავრა ოსუს-ს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ირანისტიკის განყოფილება. 1965-1977 წლებში იყო ოსუს-ს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დოცენტი, 1994 წლიდან – ფოლკლორის კომპლექსური კვლევის მეცნიერ-ხელმძღვანელი. პირველი ლექსი 1954 წელს გამოაქვეყნა, პირველი თარგმანები – 1958 წელს. სამეცნიერო ნაშრომები ძირითადად სპარსულ პოეზიაზე აქვს გამოქვეყნებული, თუმცა ეკუთვნის მრავალი მონოგრაფია ლიტერატურის სხვადასხვა ეხანში. სპარსულ პოეზიასვე ეხება მისი პოპულარული თარგმანები: ომარ ხაიამის „როზაიათი“, აბდ-ორაჰმან ჯამის „ლირიკა“, შამს ედ-დინ ჰაფეზის „ლირიკა“ და სხვა. გარდა ამისა, თარგმნილი აქვს გერმანული (რაინერ მარია რილკე), რუსული (პასტერნაკი, ბროდსკი) და ესპანურენოვანი ლიტერატურა. დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ფოლკლორის შესწავლისა და მისი პოპულარიზების საქმეში. 2007 წელს ირანის სამთავრობო კომისიამ იგი სპარსულიდან ექვს საუკეთესო მთარგმნელთა შორის დაასახელა და საგანგებო სამთავრობო სიგელით დააჯილდოვა.


ვახუშტი ქოტაპიშვილის თარგმანები
ომარ ხაიამი, როზაიათი

ქვეყნად რაიმე, ქარის გარდა, არ არსებულა
რადგან ყოველი დაქცეულა, არ აესებულა,
არ არსებული არსებულად ჩათვაულა, ძმო,
არსებული კი მიიხნიე არ არსებულად
* * *

ვისაც ეწადა ვარდის კონა, თუნდაც პაწია,
მან ჯერ ეკლები იგემა და ჯაფა გაწია,
ეს საგარცხელიც სანამ ასე არ დაისერა,
მანამ სწადად მიღფეხამდე ვერ მიადწია.

შამს ედ-დინ ჰაფეზი შირაზელი
შაზალმე

* * *
შენ ცისკარი ხარ,
მე – მიმქრალი სანთლის მუღარა,
მაგრამ განთიადს
სანთლისაგან არა უნდა-რა.



ვახუშტი ქოტაპიშვილი

სული მხდება და
მებნდება სიცოცხლის დღენი,
შენმა ღმირმა
ჩემს სულს ველარ გამოუღარა.
სამარეს ია ამიყვავებს,
რადგან ამ გულმა
მედ დაჭლეული
მიღვსი დადი იას უღარა.
ჰ ა ფ შ, შენს საფლავს
საგროფომ სიოდ რომ ჩაუქროლოს,
შემოგვხევა
ენებისაგან განმე სუღარა.

რაინერ მარია რილკე
„შემოდგომა“

ფოთლები ცვივა, თითქოს შორით მომწყდარან იმედს.
თითქოს ჭუნებთან შორეული მეცის ბაღები.
ცვივიან ცივად, უგუნებოდ და ხელაღებით.
და ვარსკვლავთაგან დაბეული მეცის თაღებით
სიმარტოვეში დედამიწვ ეშვება მძიმოდ.
ყველანი ვცვივით. ხელიც, როგორც ფოთლი სხელი
ვარდება. ხელავ? – საერთოა ცვენა და ბარდნა.
მაგრამ არსებობს ერთადერთი, ვინც ყოველ ვარდნას
უკიდურესად ნაზად იჭერს თავისი ხელით.

– **ქრანაშვილი დათო** (1963 – 1980)

დაიბადა თბილისში. სწავლობდა 31-ე საშბავ-
გერო სკოლაში. დაამთავრა თბილისის მეორე
ექსპერიმენტული სკოლა და ვანო სარაჯიშვი-
ლის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორი-
ასთან არსებული მუსიკალური ათწლედი,
ფორტეპიანოს განხრით. იმავე წელს თბილი-
სის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო
სასწავლებლის ფერპერის განყოფილებაზე
ჩაირიცხა, რომლის მხოლოდ ორი კურსის დას-
რულება მოასწრო. 1980 წლის 13 ივლისს დათო
კრწანული ოპერაციის შემდგომი გართულე-
ბით გარდაიცვალა (თორმეტგოჯა ნაწლავის წყ-
ლულის ოპერაციიდან მეთხუთმევე დღეს დაიღ-

უკა). დათომ დაგოვა 1000-მდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი, 35 ლექსი და 10-მდე დღიური. არ შემორჩენილა მისი მუსიკალური იმპროვიზაციები, რადგან არასოდეს ვადაპქონ-და ისინი სანოკო სისგემამზე.

* * *

გაირბენს დრო, ჩაივლის წყლები, საათი დარეკს და ისიც მოვა. გამიფრინდება ბავშვობის წლები, მოვა ზაფხული და შემოდგომა. შემოდგომაზე დაგხატავ სურათს და მე ეს გილო გამითქვამს სახელს, დაეულოდები მერე ცივ ზამთარს, და მაინც ბოლო ნახაგი მამხელს. მოვა ზამთარი, გამოიყვებით, ჩაიძირებით მოგონებებში ოთახში ჩუმად გარდავიცვლები ჩემი პალიტრით და ფურჯით ხელში. გასვენების დღეს იქნება წვიმა. წვეთები უკვე წუწუნს იწყებენ, მიმაბარებენ თბილისის მიწას და მერე ალბათ დამივიწყებენ.

— **სპარაკა მთარა** (1925 – 1997)

დაიბადა სოფელ ძველ აბაშაში (აბაშა). 1952 წელს დაამთავრა მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. პირველი ლექსი 1940 წელს გამოაქვეყნა, პირველი წიგნი – „ლექსები“ (1946); მისი პოეზური კრებულებია: ლექსები (1952), „ნაყარსფერი ყაბალახი“ (1966), „მგზავრული“ (1976), „მალალი მთები დაუთოვია“ და სხვა. მისი რომანი „ლურჯი იების მლაპარი“ (1972) ასახავს ქართული სოფლის ცხოვრებას. ნათარგმნი აქვს ნიკოლაი გიხონოვის, ალექსანდრ სურკოვის, ანატოლი სოფრონოვის, მუსტაფა ქარიშის, კოსტა ხეთაგუროვის, მუშნი ლასურიას და სხვათა ლექსები.

მშვენიერია სახლის ჩუმი მშვენიერა
ამ სახლში ერთი მოხუცი მახსოვს,

გათეირბული, ჩუმი რიფსიმე. ისე წავიდა იმ სამოსახლოს, მისი სიცილი ვერ მოვისმინე. დაბადებული ის იყო თითქოს შავი თავსაფრით და შავი კაბით, დაბადებული ის იყო თითქოს თავზე დაფენილ თმის თეთრი კვამლით. თითქოს ამ სახლის იყო ნაწილი, შეთვისებული გრანიტის კედელს, და მოხალმება თავისი წილი სითბოდ იკმარა სიკვდილის დღემდე. არ გაჩენილა იგი პოეტად, ო, მიუგევე, ცოლ მაღალ! პატიოსნების დიდი პოემა შექმნა უკალმოდ და უქაღალდოდ არც წაუკითხავს არასდროს წიგნი, არც შეუხედავს ვინმესთვის ცერად. ყველა მწერალში ეძებდა იგი გულკეთილობას და არა მწერალს. დაბადებული ის იყო თითქოს შავი თავსაფრით და შავი კაბით, დაბადებული ის იყო თითქოს თავზე დაფენილ თმის თეთრი კვამლით. და მოკვდა, როგორც ღამით სოსანი, იქნებ იმ წამზე არც უნახვლია! დღეს, როგორც სითბო წასულ მგოსნების, ამ კედლებს მისი სითბოც აკლია.

— **სპარაკა რამაზ** (1939 – 2010)


დაიბადა გუგუდში. დაამთავრა თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მიავლინეს სოხუმში, ქართულენოვან გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქციაში. გასული საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთის გელერადიოკომპანიის ქართული პროგრამების რედაქტორად მუშაობდა. რამაზ კუპრავას გამოცემული აქვს ლექსების კრებულები: „ლურჯი ბორანი“, „მონოლოგი“, „მიხაკები მთვარეზე“, ასევე მეგრული ლექსების წიგნი – „ლაზონა დო მარგალინი“.



ლათო კრააშვილი




მთარა კუპარავა



რამაზ კუპრავა



ილია კუსხალაშვილი



ზურაბ კუსიანიძე

— კურდნაია

X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფი, მესხეთის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელი. X საუკუნის 70-იანი წლებიდან მოღვაწეობდა სამღვდარგარეთ, სინის მთაზე. ჩვენამდე მოღვაწეულია კურდნაიას ერთადერთი აკროსტიქული საგალობელი (კიდურწერილობა „თაფნი იტყუნ კურდნაია“), რომელიც შესულია მიქაელ მორეკილის „იაღვარში“ (978-988).

— კახალაშვილი ილია (1962)

ცხოვრობს და მოღვაწეობს მარტვილში. დაბრუნებული აქვს ოსუს ფილოლოგიის ფაკულტეტი. გამოცემული აქვს ორი კრებული: „ფოტოასლები“ (2004), „ყოველ გამაფხულს იმედით ველი“ (2016)

მარადიული თქმები

(წუთისოფელი რა არი...)

ვინც მიყვარს, ნეტავ რად მიყვარს?

ვინც არა, ნეტავ რად არა?

აფერუმ იმას, სოფელო,

ვინც წუთისოფელს გადარა.

ვის, ვის რა გვრჩება ამქვეყნად,

დარდის და ჭმუნვის გარდა რა?

ხომ ყველგან გვინდა რომ ვიყოთ,

სადაც მივიღვართ, მანდ არა!

იქ ღამე უმთვარ-უშვეო,

ჯერ ველარავინ აღარა.

აქ დავიფერფლოთ იქნება

გული ღველფად და ღადარად,

ვერც რა ყორანმა წაიღოს

ვერც რამ დაგვშალოს რად რა რად!!!

უფალს მაღლობა სულისთვის

მეცა აქვს გურფა ბაღნარად!

ვინც მიყვარს, ნეტავ რად მიყვარს,

ვინც არა, ნეტავ რად არა?

— კახიანიძე ზურაბ (1930 – 2003)

მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი

დაიბადა ქუთაისში. დაამთავრა ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1954-1977 წლებში იყო ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი, ხოლო 1977 წლიდან – გამომცემლობა „საქართველოს“ ქუთაისის ფილიალის „უქიმერიონის“ დირექტორი. მისი პირველი ლექსი გამოქვეყნდა 1951 წელს, 1958 წელს კი გამოიცა მისი პირველი კრებული. არის 40-მდე წიგნის ავტორი, მათ შორის: „კალიების კარნავალი“ (1975), ლექსების, ბალადებისა და პოემების ერთგომეული (1980), „რაც ვთქვი, გულით ვთქვი“ (1990).

დაკრძალულია ქუთაისის მწვანეყვავილას პანთეონში.

* * *

აბრიალებს ციქა თვალებს,

როგორც ცერზე მიმინო..

ჩვენ თუ არა, სხვა ვინ დალევს

ჭურისთავზე იმ ღვინოს.

მთაზე ცისე გადმომდგარა,

როგორც ცერზე მიმინო..

ვინც ღამარცხდა, კარით - კარად

ღარბოდა და ირბინოს.

საქართველოვ, ოღონდ ერთი

წყნარად ჩამიღმილო, –

გასაფრენად მზად ვარ შენთვის,

როგორც ცერზე მიმინო!

მ

— ლაბაპა გიორგი (გოგი) (1940-1993)

მწერალი, ჟურნალისტი. დაიბადა სოფელ დიდ-ველაში (ბაღდათი). 21 წლისამ გაიმარჯვა რესპუბლიკურ ლიტ. კონკურსში და წიგნად გამოსცა მოთხრობა „მაღალი ცა“ (1961). ავტორია წიგნებისა „მაგარებლები გადადიან ხიდზე“, „ავგობი-ოგრაფია-1982“, „ერთი დამის უარყოფა“, „მოჩენებები ჩვენს სახლში“, რომანისა „თოვლი“, ლექსების კრებულისა: „მწვანე ფარდა“. იყო ქართულ-ინგლისური გაზეთი „პროგრესის“ რედაქტორი, მუშაობდა ჟურნალ „განთიადში“, იყო ბაღდათის რ-ნს რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე. დაიღუპა ავტოკატასტროფაში. დაკრძალულია მშობლიურ სოფელ დიდველაში.

შემოქადაგება სოფელში

ხან გყეზე მედო ბილიკი,
 ხან გავივაკე მთილად,
 ხან ჭალა-ჭალა ვიარე,
 ხან გადავიარე მთა.
 ბონდი დავაგდე ხევის პირს
 და შევეყევი წყალს,
 მზე ბანაობდა მორეკში,
 ნაწნავი შვიდი წყრთა...
 შემომადამდა... საყვარლად
 ამიხურჩულდა გზა,
 სულ დამილურსა ყურები
 ჩემი წყალ-ჭალის სმამ.
 ვიარე, კიდე ვიარე,
 სოფლის შუკებიც ჩნდა,
 რაიც მიმქონდა – მიჰქონდათ,
 მეფანტებოდა თან.
 ორლობით გამორაცრაცდა,
 გაგითენებო გზას,
 ეჰ, ჩემო ცინცნათელა,
 დამბერებინარ მთილად.

— ლანჩავა თიმიშრაჟ (1947)

მწერალი, პოეტი, დრამატურგი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე.

ნოველების პირველი კრებული „ჩემი მხიარული მოწყენილობა“ 1974 წელს გამოსცა. ავტორია ორმოცამდე პროზაული და პოეტური კრებულისა, მათ შორის: „ამბავი სიმშრის აბლაბუდთან“, „საადან მოღისხარ, სიყვარულო“, „გამთრის თუთრი მერცხლები“, „ჩამქრალი ვულკანი“, „ბედნიერი ხარ უსასრულობით“, „გარდასულ დღეთა

უსასრულობა“, „ჩემი სიკვდილის სინათლე“, „მისვენებენ ქარები ფოთლებს“ და სხვა. გამოცემული აქვს ნაწარმოებების ორგომეული, ოთხგომეული, რჩეული ლექსების ერთგომეული და სხვა. 1989 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის იმერეთის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარეა, რედაქტორობს მწერალთა და ხელოვანთა გაზეთი „უქიმერიონს“ (ქუთაისი). ასევე საზოგადოება „ქუთაისელის“ პრეზიდენტია. მინიჭებული აქვს „ქართული კულტურის რაინდის“ და „ხელოვნების ქურუმის“ წოდება.

* * *

რაგომ მოხდა, ვერ შევძელით,
 ჯავრი მტკრზე გვეყარა,
 ილიას გზით წასულიყო
 რუსთაველის ქვეყანა.
 თუმცა შინაურობაშიც
 მტერი ბლომად გვერია,
 მაინც, რაგომ ვერ გვიშველა
 რუსთაველის გენიამ.
 ფარსადანი ვამჯობინეთ,
 ახლობელს და მოკეთეს
 დავივიწყეთ, არსაკიძეს
 მკლავი რისთვის მოჰკვეთეს.
 უარეყავით სალოცავი
 ჩვენი ციხე-გამრებით,
 რაგომ ცხოვრობს საქართველო
 უარესის გაძლებით.
 რად არ გვიკვირს, მოსარგებლე
 ჩვენთვის რად წერს განაჩენს,
 რად არ ვცდილობთ, საქართველო
 ქართველისთვის გადარჩეს.
 რად ვერ შევძელით, ჩვენი ჭკუით
 ჯავრი სხვაზე გვეყარა,
 სხვისი ჭკუით რაგომ ცხოვრობს
 რუსთაველის ქვეყანა.



გიორგი
ლაბაპაძე



თიმიშრაჟ
ლანჩავა

- ლარაჰა პებრა (1760 ან 1770 – 1837)

იყო პოპულარული პოეტი და ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახთან დაახლოებული პირი. ცნობილია მისი ფსევდონიმები: „ყარიბი“, „ვერისელი“ და „არგანუჯელი“. მისი წინაპარი XVII საუკუნეში სამეგრელოდან გადმოსულა ქვემო ქართლში და იქ დამკვიდრებულა. განაგებდა თბილისის სამეფო წიგნსაცავს; მონაწილეობდა პოლიტიკურ დაჯგუფებაში; 1803 -1810 წლებში თეიმურაზ ბაგრატიონის დროს ერთად სპარსეთის იყო გადახვეწილი; 1810 წლიდან პეტერბურგში ცხოვრობდა; მე-19 საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში დაბრუნდა. მას ეკუთვნის ლირიკული ლექსების კრებული „მრავალფეროვანი ღვინო“, პოემები: „საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი“, „დიდარიბინი“, „სახე-მოსანი და სხვა. ლარაჰის პოეზიაში აისახა ყველა ის საკითხი, რომელიც აღელვებდა მე-18-19 საუკუნეების მიჯნის ქართულ მწერლობას. იხსენიებოდა „ყარიბის“, „ვერისელისა“ სა „არგანუჯელის“ ფსევდონიმითაც; ცნობილია, აგრეთვე, პეტრე ლარაჰის მთარგმნელობითი, ლექსიკოგრაფიული და კალიგრაფიული ნამუშევრები.

მზმ მნახმ მჭმუნვარემ

მზე ვნახე მჭმუნვარელ, ეამი მხვდა მწარე. ვიქმენ დამწყევველი სვისა და სვისა, ამაღ გლოვა ჩემი ვერდა დაეფარე, ვსგირ მომღერავი სვისა და სვისა. დავემხვე მკადრები, შიშით მძრწოლარე, ვჭკადრე: მზეო, ღრუბლით რად დაიფარე? გავსილო მთოვარევე, რად იბუნდარე? ჰბრძანა: უპირობა სვისა და სვისა. ვიგრძენ, მრისხანებდა ამაყად ვარდი, კვლავდა მოხსენებდა შიშით შევზარდი, ვსოქვარე სისხლის ცრემლი, შემექმნა დარდი, დავემე მალი ბრუნვა სვისა და სვისა. გულსა გამეხებით ინდელთ ისარნი დამეხსნეს საკვდავად, მდის სისხლის ღვარნი, ნარინჯთა მიდამო ტკბილად საყვარნი ჰკრძალა, დახე, ქვევა სვისა და სვისა! ჰმუნვა მთიებისა შემექმნა მკვლელად, უწყის, მგემან მისმან, ვარ მისთვის ხელად, სახმილი მეგზნების გულსა შემწველად, მასვე ძალუქს შეცვლა სვისა და სვისა.

- ლარსულიანი ნინო (1976)

დაიბადა რუსთავში. 1999 წელს დაამთავრა ოსუს-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი თარგმან-სოლნგობის სპეციალობით. გამომცემელი აქვს

ლექსების კრებული „ლაზარე, გამოდი!“
მლის – ()

(ანუ ეძღვნება ყველას, ვინც ელის)

საგრაო ჩემი ელისო, იცით, როგორ მელისო? მისი სულისფერია ყვავილები ველისო, ისე მომხიბვლელია, ყველაფერი შევინსო, თვალბთაფლისფერია, როგორც ნუკრი შევლისო! ელო – აყვავებული ხეა ბროწეულისო, უნდა გარს შემოვარგვა ღობე წნული წნელისო, რომ არავინ იგემოს სიგებო მისი წვენისო, მტრედებს ვაგან ყოველდე საგრაფილო წერილსო... შორიდან ვგრძობო სინაზეს მისი ხელის რხევისო, ელო მესმინება, უნაზესად მღერისო, მესმის ანტი ლიკიკი მისი თვალის ცრემლისო, გულისცემა ყოველი მოქნევა ცელისო!

- ლაზარია ნინა (1959)

დაიბადა სოფელ ხეთაში (ხობი). დაამთავრა თბილისის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი. ცხოვრობს ბათუმში. მისი ლექსები და სონეტები დაბეჭდილია თანამედროვე ქართული პოეზიის ოცგომეულის მე-7 ტომში.

მიწაც გიყვარდეს

ააფერადებს მხაგვარი როცა, მოლბერტზე დილის ლიცილიცა შგრისებს, სულიც, ჯერ კიდევ სხეულში მბორგავს, ცისკართან, საზრდოდ მშის სხივებს იხმევს. გაღამილი ტაგნობს ზეცისა, მერე დაადნობს ხილვა მესულ ოცნების და სიყვარულის ნაცრემლ ლიანებს, მედ ბაგეთ თრთოლვით დაეკონები. მშით და იმედით მაძღარ სიცოცხლეს, კვლავ დაუკონი სმათა ხვერდებს... არ წარიკვეთო არასდროს სასო, სოფელს მწყურვალი არ შეაბერდე. მოგჯერ თუ ნაბიჯს გადადგამ უკან, ორი ნაბიჯით წინ წაიწიე, კერპად ნუ გახდი მაინც ნურავის, ღმერთს ენდე მხოლოდ, არა-მიწიერს... მიწაც გიყვარდეს... ვინც გვზრდის და გვმარხავს, მაგრამ გეჭიროს ზეცისკენ თვალთ... შენი სიცოცხლე იქ გაგრძელდება, აქ თუ იგულე ცეცხლი ჩამქრალი...

- ლაზარია-ნინა (1986 – 2018)

დაიბადა სვანეთში. სწავლობდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში

ფილოლოგიისა და ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტებზე, შემდეგ კი თბილისში ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა. გამოცემული აქვს კრებულები: „მთვარის სევდა“, „მეოცე გაზაფხული“ და „თეთრი და შავი“.

წიგნი

წვიმს... და იწვიმოს... არაფერია,
მტკივა და იყოს! – დაე, მტკიოდეს,
წვიმდეს და სევდა, როგორც ეს წვიმა,
სახურავეებზე გადადიოდეს.
წვიმს... ნესტიანი სულის კედლები
ათასმეერთედ უსმენენ მოცარგს...
ვერცერთ ნასახლარს ვერ შეედრები
შენ, ჩემო თავო, მარტო ხარ როცა.

– **ლევანია ელგუჯა** (1937 – 2014)

პირველი ლექსი – „ამაღლება“ – 1962 წელს გამოაქვეყნა ოსუს-ს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“, თუმცა დებიუტს გაგრძელება არ მოჰყოლია და ქართველმა მკითხველმა ელგუჯა ლევანიძე გაიცნო, როგორც სერიოზული და ნაყოფიერი ჟურნალისტი. გამოქვეყნებული აქვს პროზაული თუ პოეტური კრებულები: „თბილისში ბარათებს არ ავზავნიან“, „გადაწიეთ ფარდა, შემოუშვიეთ სინათლე“, „არა ოდენ მახვილით“, „ბული მღვვარი“, „ახსიდან დაისამდე“, „ვიდრე ნაფესურები წაშლიდა“; სისტემატურად აქვეყნებდა საყმაწვილო ლექსებსა და მოთხრობებს.

წლები

რაც წლები გადის, სულ უფრო
არა ჩანს საქმე ავღილად –
ცუდად დადგმული მზინივით.
წაფერდებული დავეივარ.
* * *

რაღა დროის ლექსიო, –
შემომბეღეს მორიდებით...
ნურაფერი გედარდებით,
მე და ლექსი მოვრიგდებით.



მურგან ლევანიძე

– **ლევანია მურგანი** (1922 – 2002)

დაიბადა აზერბაიჯანის დაბა აღსტაფაში. 1948 წელს დაამთავრა ოსუს-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. მეორე მსოფლიო ომმა სწავლა გააწყვეტინა და 19 წლისამ ჯერ კავკასიის უღელტეხილზე წარმოებულ ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა, შემდეგ – ყუბანში. 1943 წელს მძიმე ჭრილობის გამო დაბრუნდა თბილისში. 1946 წლიდან მუშაობდა საყმაწვილო-სალიგურატურო ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში. ღირსი ლექსების პირველი კრებული 1950 წელს გამოაქვეყნა. ლევანიძის შემოქმედების წყარო სათავეს იღებს ქართული კლასიკური ლექსიდან და ხალხური ხელოვნებიდან. მის ლექსს ახასიათებს პოეტური ფრაზის მოქნილობა, სიტყვის ეფექტურობა და რითმის დინამიკურობა. მისი შემოქმედებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია პატრიოტიზმის, სიცოცხლის, სიკეთისა და სიღამაზის, დიდი სამამულო ომის, სიყვარულისა და მეგობრობის თემები. თარგმნილი აქვს არაერთი უცხოური პოემის ნიმუში, რომელთა შორის გამოირჩევა ძველევგეპტური პოეზია, იაპონური პოეზია, რობერტ ბერნსის და ხოსე მარტის ლექსები, რუსული პოეზია და ა.შ.



ნინო
ლარცელაიანი



ნონა
ლატარია



ანა ლაშ-
ვილი-ონიანი



ელგუჯა
ლევანიძე



მიხაილ
ლელავიძი

* * *

ჩემო თვალნათელი, ჩემო სანაგრელო,
 ოღესმე დიდი ყოფილა საქართველო.
 ყოფილა დავით-მეფე – აღმაშენებელი,
 ყოფილან ოპიზრები – გასაშკერებელი;
 ყოფილა მოდრეკილი, ყოფილა ცურტაველი,
 რასაც მოჰყოლია შოთა რუსთაველი...
 ჩემო მიმინო და ჩემო ფრთხანათელი,
 ოღესმე დიდი ყოფილა საქართველო.
 ყოფილა ნიკოფსით დარუბანდამდე
 გაჭენებული და გამოჭენებული;
 რგოებგაშლილი და გამოჩინებული,
 ყოფილა ორ-მღვას-შუა აღმოცენებული.
 ფიე, საქართველოს ჰყოლია ვასლები!
 თამარს უკრეფია სულ ოქროს ვაშლები!
 ტვერი გვიწაღია, ისე გვიზარღია,
 რომ გაგვზადებულვართ ახალ ბიზანტიაღ.
 მაგრამ უცაბედად მაღლი არეულა,
 ბორბალი უკუღმა დაგრიალებულა.
 ჩვენთვის მონღოლია პირველი სისჯელი.
 მონღოლს მოჰყოლია თურქი და სპარსელი.
 ტურფა საქართველო ყორნებს წაუღიათ,
 სპარსეთს და ოსმალეთს შუაზე გაუყვიათ.
 ჩაშლილა თვალი და ჯაჭვი ჩარღვეულა,
 იყალთო დაკეტილა, გელათი დანგრეულა.
 ოთხ მეფეს სულ სისხლს ცრემლები უცრემლია,
 ოთხივეს საბრალო ლექსები უწერია,
 – რა ღროს ლექსიაო, მოუკვდა პატრონი! –
 ხმლით შემოვარდნილა ერეკლე-ბატონი...
 ამას მოჰყოლია: „ვაპ, ღრონი! ვაპ, ღრონი!“
 ჩემო თვალნათელი, ჩემო ფრთხანათელი,
 ოღესმე დიდი ყოფილა საქართველო!


– **ლელაშვილი მიხეილ** (1869 – 1915)

დაიბადა თბილისში. რედაქტორობდა საგირ-
 ულ-იუმორისტულ ჟურნალებს: „მურნა“, „აურზა-
 ური“, „შურდული“, „მოლგი“, „ქრისტე აღსდგა“,
 „ალიაქოთი“ და სხვა. წერდა სოციალური და
 რევოლუციური ხასიათის ლექსებს: „ქარხნების
 მუშები“, „მენახშირე“, „მეცხვარე“, „ღარიბი“ და
 სხვა. 1913 წელს ჟურნალ „სუსხში“ მითავსებულ
 მთავრობის საწინააღმდეგო სტატიისთვის დაა-
 პატიმრეს. გარდაიცვალა ციხეში.

– **ლემ** – იხილეთ *ციციშვილი ლევან*

– **ლენიკა გიორგი** (1899 – 1966)

მწერალი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე. საქა-
 რთველოს სახალხო პოეტი (1959), საქართველოს
 მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.



გიორგი ლენიკა

დაიბადა სოფელ პაგარტეულში (საგარეჯო).
 1907 წელს თბილისის სასულიერო სასწავლებ-
 ელში მიაბარეს. ამ პერიოდში მან თანამოაზრე-
 ებთან ერთად ლიგერატურული წრე ჩამოაყა-
 ლიბა. 1913 წელს სწავლა განაგრძო სასულიერო
 სემინარიაში, რომელიც 1918 წელს დაასრულა.
 რედაქტორობდა ხელნაწერ ჟურნალებს „გვირ-
 გვინი“ და „ფანდური“, რომლებიც სემინარიაში
 გამოდიოდა. 1916 წელს დააარსა ლიგერატურე-
 ლი აღმანახი „საფირონი“. პირველი ლექსი –
 „მცხეთა“ – ყრმობის ვაჟს გამოაქვეყნა (1911, გაზე-
 თი „სინათლე“). ერთი წლის შემდეგ ლექსი უძღ-
 ვნა ვაჟა-ფშაველას, რომელიც საპასუხო ლექსით
 (1912, დაიბეჭდა გაზეთ „განათლებლება“) გამოეხ-
 მაურა პოეტს. 1922-1923 წლებში იგი „ცისფერ-
 ანწელთა“ ყოველკვირეულ სალიგერატურო
 გაზეთ „ბახტრიონს“ რედაქტორობდა. ლენიკე
 მაინც შორს იყო ორიოლოქსული სიმბოლიზმის-
 აგან. შემდგომ პოეტის ღრმა პატიოგულმა გან-
 წყობილებამ და ქართველ კლასიკოსთა ძლი-
 ერმა შეგავლენამ საბოლოოდ ჩამოაშორა ეს-
 თეტიზმს. გიორგი ლენიკის მოთხრობების წიგნ-
 მა „ნაგერის ხე“ (1962) სრულიად ახალ მხ-
 აგვრულ სამყაროს ამიარსა მკითხველი. იგი ნაყ-
 ოფიერად იღვწოდა ლიგერატურაიმცოდნეობა-
 ში. იყო ქართული ლიგერატურის, განსაკუთრე-
 ბით ძველი ქართული მწერლობის, ქართულ-
 რუსული, ქართულ-უკრაინული ლიგერატურის
 ურთიერთობათა მკვლევარი. დაკრძალულია
 მთაწმინდის პანთეონში.

პატარაქმული

პაგარტეული... ჩემი სოფელი,
 ბავშვობის კერა – პაგარტეული,

ჩემი აკვანი წნორის გოგისა
 იქა ყოფილა გადარწეული.
 იქ მშრლიდა ხალხი... იქ მშრლიდა დედა
 და ხალხის ფიქრი ათასწლეული...
 მახსოვს ებოში დიდი ფშაგის ხე,
 სიბერისაგან გადაქცეული...
 იმ ხის ფესვებში მელანდებოდა
 ხალხის მშის ოქრო და განძეული...
 ჩემს მშეს ბორბლები არ დამგვრევია,
 ჯერ შუადღე მაქვს არ-დალეული...
 მე მინახია ბუერი ქვეყნები
 და ქალაქები ათასეული,
 მაგრამ სუყველგან მე ხელს მიქნევდა
 ჩემი პაგარა პაგარბეული.
 * * *

ღიმილის ბიჭი ვიყავი,
 ბუჭმელ არწივი მუხაგა,
 ცხრამეტი წლისა შეგსრულდი,
 ოცი არ გადამეხადა,
 სამშობლოს დროშა მეჭირა,
 მტერს ვეცემოდი მუხადა!
 ვისაც უნდოდა, ქართველი
 რომ გამხდარიყო სიზანი,
 დაეკარი, ვიყავ მართალი,
 ვით ჩემი გყვიის მიზანი...
 ნუ დაიდარდებ, დედაო,
 მწარე სიკვდილის სევედასა.
 დღეო, გადიდი, გადიდი,
 შვილი ეყრება დედას!
 არ დაიდარლო, დედაო,
 რაც მე სიკვდილით გაწყინე;
 მე შენი ბუქუს ნათელი
 საქვეყნოდ გამოვებრწყინე.
 მე გავიხუნე ლეჩაქი,
 მაგრამ დაგხურე შუქური,
 სამშობლოსათვის დაეთხიე
 სისლ-ცვარი სიჭაბუკური.
 მე არ დამკარგავს სამშობლო,
 სულ ვეხსომები ლევანი,
 სანამდის საქართველოში
 იწურებოდეს მტევანი...
 ცხრა ძმათი მეათედ მიმიღეს,
 პირზე მაყარეს ვარდები,
 დაჭრილს, დამძრალს და გზადაღილს
 დამხურეს მუზარადები.
 თუ გაუჭირდა სამშობლოს,
 კელავ ცეცხლით დავიდაგებით,
 ჩვენ გამოვამგვრევი საფლავებს,
 ხმლით ქართლის მთებზე დავდგებით.
 არ დაიდარლო, დედაო,

ნუ მიეცემა სევედასა.
 დღეო, გადიდი, გადიდი,
 შვილი ეყრება დედასა!

— **ლიონიკი ღაკიტი** (1848 – 1921)

შვილიშვილი ერეკლე მეფის მსაჯულის სო-
 ლომონ ლეონიძისა. მისი კორესპონდენციები
 ქვეყნდებოდა ხან ინიციალებით (დ.ლ.), ხან ფსევ-
 დონიმებით (კაცხელი, შემთხვევით ჭიათურელი).
 მისი ლიგურაგურული მემკვიდრეობა მთლი-
 ანად გამოქვეყნებული არ არის. სხვა ნაწარმ-
 ილებითა შორის აქვს დაწერილი ვრცელი ლექსი
 („მოგონება“), რომელიც დაიბეჭდა 1876 წელს
 გაზეთ „დროებაში“ და ეძღვნება სოლომონ მსა-
 ჯულის სსოვნას.

— **ლიპარბელიანი თაბაზ** (1958)

დაიბადა სოხუმის რაიონში. 1975 წელს და-
 ამთავრა კელასურის საშუალო სკოლა. სკოლის
 ასაკიდანვე წერდა ლექსებს, იბეჭდებოდა ჟურ-
 ნალ-გაზეთებში. 1992-93 წლებში მონაწილეობ-
 და აფხაზეთის ომში. გამოცემული აქვს ლექსე-
 ბის კრებულები: „დედის ცრემლები“, „აფხაზე-
 თო, ეღმე-ბალო“.

— **ლიმოკელი ლია** (1986)

დაიბადა და ბავშვობა გააგარა ხევისურეთში,
 სოფელ ბარისახოში. 16 წლის ასაკში თბილისში
 ჩამოვიდა და სწავლა განაგრძო თეატრალურ ინ-
 სტიტუტში, კინორეჟისურის სპეციალობით; ერთხანს
 დუშეთის სახალხო თეატრში მუშაობდა. გამოცემუ-
 ლი აქვს კრებული „დევის ცოლის სიცილი“ (2013).
 * * *

დღეს წვიმაში არ მივლია და
 არც წვიმას უვლია ჩემში.
 ერთ ხესთანაც არ მიგირია,
 ერთ ხესაც არ უგირია ჩემთან.
 ერთი ქვისთვისაც არ მიკონია,
 ერთ ქვასაც არ უკონია ჩემთვის.
 ერთი ხილიდანაც კი არ გადავმხგარვარ



თაბაზ
 ლიპარბელიანი



ლია
 ლიმოკელი

და ერთი ხიდიც არ გადამხტარა ჩემგან.
ერთი მდინარეშიც არ დაემხრჩვალავარ
და ერთი მდინარეც არ დამხრჩვალა ჩემში.
თვალები არ გამიხელია და
არც თვალებს გავუხელივარ.
ერთი სიგყვაც არ წამომცდენია,
ერთ სიგყვასაც არ წამოვცდენივარ.
არაფერი გამიფიქრებია.
არაფერს გავუფიქრებია.
დღეს ჩემი თავიდან არ გავსულვარ,
და არც ჩემი თავი გასულა ჩემგან.
მიწაზე ვიწევი და მიწა იწვა ჩემზე.
ბალახი ამოდიოდა
და მზე ამოდიოდა ჩემგან.

– ლოპაინიკა გიორგი (1974)

დაიბადა სოფელ ნაბახკევეში (ხაშური). დაამთავრა ოსუს-ს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი არაბული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 1996-1999 წლებში სწავლობდა თეორიანის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის ასპირანტურაში რელიგიათა და მისტიკის ისტორიის სპეციალობით. არის სამი პოეტური კრებულის ავტორი („ბაბუაწვერების თიოგული“, 2004, „არაბულის მასწავლებელი“, 2013). თარგმნილი აქვს შუა საუკუნეებისა და არაბული და სპარსული ლიტერატურის არაერთი ნიმუში.

ბავშვობა

გამარჯობა, მე ეს წყალი უკვე გავტოპე,
და აღარაფრის აღარ მჯერა:
არც სიყვარულის,
არც ჭაბუკური გულჩვილობის,
არც სიწმინდისა,
ყბაში მოქნეულ მუშტის მჯერა,
კბილის ტკივილის,
ცხედრის, რომელიც საბოლოოდ
ძლივს იმად იქცა, რაც ნალდად იყო.
სადაც წავედი, ყველგან მგლები შემომემუიან,
მე ვლგავარ და მთვარეს შევყვები,
მავრამ არა – როგორც გიჟი შეყვარებული,
არამედ მგელი:
მშიერი და კბილმტკივანი,
მიუსაფარი, მუხსამდე თოვლის გამკვავლავი
გყიდან სოფლამდე.
გამარჯობა, ახლა უკვე დავიყვავილე,
ყველა მდინარე გადავტოპე,
ყველა ქარს გავყვებ,
ათივე მცნება დავარდვიე,

ვიდრე ბოლოს, ძლივსძლივობით
იმაღ არ ვიქეც, რაც ნალდად ვიყავ:
ბელნიერი მიცვალბული
სიყვარული აღარ სჭირდება,
შიშველი თიხა:
პრეტერვატივს ვერაფერში გამოიყენებს,
მიწის გარდა, ველარავის შეეწებება.
ვინც შენ გინდა, ის გამაცანი:
ნარჩევ-ნარჩევი სატროფობიკ წარმომიდგინე,
სიყვარულის ბოლო ერთია, უკმარია,
ვიდაცაში შენდა შეთავაღეს...

– ლოლა გიორგი (1919 – 1990)

დაიბადა სოფელ ზემო ქვალონში (ხობი). მეორე მსოფლიო ომში მობხალისედ წავიდა, მალე გყვედ ჩავარდა. 1944 წელს ნაწილი, რომელშიც გიორგი ლოლა ირიცხებოდა, გერმანელებმა ჩრდილოეთ იტალიაში გადაიყვანეს, თუმცა ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღია, გიორგი ლოლა იტალიაში დარჩა, საიდანაც ემიგრანტებმა გამოიხსნეს, ერთხანს პარიზში ჩაიყვანეს და შემდეგ ამერიკაში გადაგზავნეს. გიორგი ლოლა კანადაში, ქალაქ ჰამილტონში დასახლდა და 33 წლის მანძილზე უდიდეს მეგალურგიულ ქარხანაში ერთ-ერთი საამქროს მთავარ ინჟინრად მუშაობდა, საიდანაც დიდი პატივითა და ჯილდოებით გააცილეს პენსიაში. ლექსების წერა საქართველოში დაიწყო. მისი ლექსების ხელნაწერი კრებული 1940 წლით თარიღდება. 1941-1942 წლებში მისი რამდენიმე ლექსი გაზეთებში „კომუნისტსა“ და „თბილისში“ დაიბეჭდა. ასევე რამდენიმე ლექსი ომის წლებში ემიგრანტულ გაზეთებში „ქართველი ერი“ და „საქართველო“ დაიბეჭდა. ომის შემდეგ კი ერთი ლექსი გამოქვეყნდა ჟურნალ „ბედი ქართლისაში“. 1939-1990 წლებში დაწერილი ლექსების ხელნაწერი კრებული გიორგი ლოლამ საქართველოში გამოუგზავნა, თუმცა მათი ერთ წიგნად გამოცემა ვერ მოასწრო.

– ლოლა სარგი (1976)

დაიბადა ოზურგეთში. სწავლობდა თბილისის 141-ე საშუალო სკოლაში, შემდეგ კი ოსუს-ს ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ლექსებს და პოემებს ბავშვობიდანვე წერდა. პირველად მისი ლექსი დაიბეჭდა 1994 წელს გაზეთ „სიგყვა ქართულში“. იმავე წელს შექმნა ჯგუფი „მირაჟი“, ხოლო 1999 წელს მანვე შექმნა ჯგუფი „მღვარი“ და დღემდე მობამრება მის ერთ-ერთ ლიდერად. არის მრავალმხრივი პოეტი, ბევრი ლიგნისა და

მუსიკალური ალბომის ავტორ-თანაავტორი. მანვე დაულო საფუძველი სხვადასხვა მიმდინარეობებს ხელოვნებაში, მაგალითად: მირაქიმს, რაიმ-როკს...

უშანდილობა...

მანდილი, რომელიც შენამდე ვერც აღწევს, მაინც ხომ დაიგევე უდაბნოს (და ფიქტებს)... მერე ჩემს ცხოვრებას ვიდაცა გადაწერს... მთავარი სხვა არის, - გული არ ჩამიქრეს! მე ახლაც ჩამესმის, კოსმოსის სპეკულში როგორ იღუპება მძივები ვარსკვლავთა, ვიცო, - გადავეში დიდ აურზაურში, საუკუნეები კი არქივებს ჩაბარდა... ალბათ, დამივიწყებ... მე დამივიწყებენ... ჩემი უკვლავება დავიწყებაშია. ხომ მოგი სინცხლავ გყვითათ წყებაშია... და მე მისარია, რომ დამივიწყებენ. გავქრები, როგორაც ვარსკვლავები ქრებიან, მერე ლეგენდები შენს გულზე დაწერენ, რომ უღიანესი არ იკარგებიან, რადგან უსიტყვოდ გოვებენ ნაწერებს. ამ სიტყვებს მიღმა თუ ვერ ხედავ სხვა სიტყვებს, ვით უთქმელ თაჯ-მაჰალს ან მთავრის სონაგას, მაშინ შეიძლება ეს ხალხი ვაგიგებს, მაგრამ ის სამყარო შენ აღარ მოგმართავს, სადაც ზღვის გაღლები ევერესტს ასკდება, სადაც სიყვარული ღმერთობად ფასდება!.. მე კი სხვა რა გითხრა... მე ვუშმერ იმ ველებს, სად სეტყვამ წაშალა გაღლები ყანათა. მე ვუშმერ მონასტრებს, რომელთაც აბერებს ის, რომ აღამის შვილი სინხელე წარმართავს. მე ვუშმერ დაცემას საკუთარ ბედისაც, (მეცის ფერულს შეერთვის გემები ღრუბელთა), მაგრამ ვგრძნობ, - მეფე ვარ, ახლაც რომ მეღირსა ეს გრძნობა, ამიგომ ბელს შემბას ვუბედავ! არა დიოს განსჯანი მოგება-წაგების... გზა ჩემი ჯვარია, ცამ ახე ინება... ემაგ შენს მშერიდან გაძართა თაღები თუკი ინებებენ ცრემლების დინებას, მაშინ არ ფინანებ, მაგრამ... ზღაპარია...

ყოველ შემთხვევაში, - სცილ ჩემს დავიწყებას... თუმცა პოემის მაინც აბარია მთავრისფრად ელვარე სულის გასივრცება. იქ, მეცის გუმბათში, განცდა მშისებრია, და ანგელოზები გასწვევენ ამქრობას... გული ჯვარცმულია, სული ბსივია... მე მაინც შევძელი მანდილითა გაქრობა!..

— ლომია ლიანა (1985)

დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.

* * *

ჩარეკა წლები ჯამის დინებად, დიდი ვარ, აგერ უკვე ხანია, რაც ვნახე მგანჯავს და მეფიერება, მაშინებს, რაც ჯერ უნახავია. წუთიერ საშველს დახარბებული, მთვლემარეც თითქოს ფსიზლად ვღარაჯობ, ნაძრახ სინცხლეს ყვედრიდა გული, ამას სიკვდილი როგორ არა სჯობს?! მზე ჩაეკიდათ ჭადრებს ფოთლებში, აღამიანებს ცოდვის ალუბა, რა სხვანაირად, ცუდად მოვეში, რომ არაფერი არ მენადლევა.

— ლომია თაბარ (1969)

პოეტი და მხატვარი. სწავლობდა ოსუს-ს ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1993 წელს წარჩინებით დაამთავრა. თამარ ლომიძის პირველი პერსონალური გამოფენა და პოემის საღამო მოეწყო 1993 წელს. გამოცემული აქვს კრებულები: „მოვლდი, ერთი სიტყვა რომ შეთქვა“ (1995), „ჯამი კვირგობის“, „ზღვარი“, „მე სხვა ცას ვეძებ“. 1995 წლიდან თარგმნის; ნორვეგიული ენიდან თარგმნილი აქვს საბავშვო ნაწარმოები – თურბიორნ ვენერის საბავშვო წიგნი „კარიუსი და ბაქტუსი“ (2010), აქტიურად ეწევა ქართული კულტურის პოპულარიზებას საზღვარგარეთ.



გიორგი ლომიძე



გიორგი ლოლუა



სამურჯი ლომიძე



ლიანა ლომიძე



თაბარ ლომიძე

დ. ბ. -ს

ქარში იფრინა ჩემმა თოლიამ,
 ცაში აუშვა სულის აფრები...
 რაც კი უბეში ცეცხლა მქონია
 ზღვას შეაღწა ამაყი ფრთებით...
 გზარეული ნისლივით შესვა
 მთაში დაჭრილი ირმის ბლავილი...
 იასამნების მომიძღვნა ზეცა
 უფლის თვალით თუ ქარვის ყვავილით.
 დამამსხვერველი ძვლების გალია,
 ამაშლევისა ხარაჩობები...
 - ახია ჩემზე!.. და ალაღია...
 შემოსეული ყაყაჩობები!

– ლომოური ნიკო (1852 – 1915)

დაიბადა სოფელ არბოში (გორი). გორის სა-
 სულიერო სასწავლებლისა და თბილისის სა-
 სულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, 1875
 წლიდან სწავლობდა კიევის სასულიერო აკადე-
 მიაში, რომელიც 1879 წელს დაამთავრა. ერთხ-
 ანს თბილისის ქართულ გიმნაზიაში, 1881 წლ-
 დან კი გორის სამასწავლებლო სემინარიასა
 და ქალთა პროგიმნაზიაში მასწავლებლობდა.
 პირველი ლექსები 1871 წელს ჟურნალ „მნათობ-
 ში“ გამოქვეყნდა. 1885 წელს მისი ლექსები და
 მოთხრობები ცალკე წიგნაკად გამოიცა. მწერ-
 ლის პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რო-
 მელმაც განსაზღვრა მისი შემოქმედებითი მანერა,
 იყო მოთხრობა „აილი“ (1878, გამოქვეყნდა
 ჟურნალ „ივერიამი“, 1879). ნიკო ლომოური ეწე-
 თადა აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობასაც
 და თარგმანებს აქვეყნებდა XIX საუკუნის 70-
 80-იანი წლების პერიოდულ პრესაში.

ჩემს პარსკვლავს

ჩემო ვარსკვლავო, მწუხარეს გულით
 შენ შემოგეჭერი ყოველსა ჟამსა;
 შენსა ბედზედა ვაგებით, ჭმუნვით
 ვგოდავ და ვსგირი – ვღვრი ცხარე ცრემლსა!
 შენზედ, მნათობო, ყველა სულღმული
 მოსთქმიდა ასე აღგაცებულად,
 რომელსაც უხლა მე, დამაგრული,
 ვერც მოვიაზრებ, ვერც ვნახავ სიმშრად.
 რა უყავ, გურუფავ, შენი სხივები,
 რომლითაც ყველა მხიარულებდნენ,
 რომელთაც ჩვენი მამა-პაპები,
 ქორუას აკვანში გაგვავებობებდნენ?
 ვიცი, მნათობო, შენი სხივები
 ისევ ისევე გარს გახვევიან;
 მაგრამ წყეული შავი ღრუბლები
 მძღავრი ქარისგან გადაიფრება

და ისევ კვლად შენი სხივები
 ჩემსა არუმედ გამობრწყინდება.
 ნეტავ იმ ქარმა, იმ დალოცვილმა,
 სანამ ცოცხალ ვარ, ამოიქროლოს,
 რომ შენზედ ჯავრი ჩემ წყლულმა გულმა
 საფლავში მაინც არ ჩაიგანოს.

– ლომსაძე შოთა (1925 – 2003)

დაიბადა სოფელ ჩუნჩხაში (ახალქალაქი). 1950
 წელს დაამთავრა ოსსუს ისტორიის ფაკულტეტი.
 მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში.
 პირველი ლექსი 1943 წელს გამოაქვეყნა 392-ე
 ქართული დივიზიის საფრონტო გაზეთში. ლექს-
 თა პირველი წიგნი „მეხსეთის ბუხრები“ 1957
 წელს გამოსცა. ავტორია ლექსთა კრებულები-
 სა: „დაკარგული რაფოდები“ (1959), „ჯავახ-
 ური ქრონიკები“ (1963), მასვე ეკუთვნის მონო-
 გრაფიები: „მიხეილ თამარაშვილი“ (1975), „გვი-
 ანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორი-
 დან“ (1979).

ჰუმარ ჰონემ მესხი მელქმსე

(ფრაგმენტი)
 თუ ღვთის წყალობით იმ მესხთა
 წყალი ჩვენც გადაგვესხმება,
 ჩვენს ხეს აქამდის რაც ესხა,
 იგივე ნაყოფი ესხმება.
 ვენახს ავად ნასხლავი
 თუ აღარ გამოგვესხლება,
 იგივე ხმა გამოგვასხივებს
 რა ხმითაც სული მშვეს ხვდება.
 ნუ გვეფიქრებით, ვერ გვითნებს
 მგერი, ზოგან რომ ეს ხდება,
 დარჩება მესხი მესხადვე,
 მესხი არ გადამესხლება.
 შენ მამადმერთო, უფალო,
 ვინც ეს ბაღნარი შენარა,
 ზოგი ქმნა უგზო-უკვალო,
 ზოგი აფრინა მენარა,
 ზოგს მიუჩინა ბაღდადი,
 ზოგს შირაზი და ბენარა,



ნიკო ლომოური



შოთა ლომსაძე

მაგრამ ეგ შენი ბაღნარი
ვერვინ ვერ გადიშენარა;

– **ლონგიშვილი იოსებ** (1926 – 1988)

დაიბადა ახმეგის რაიონის სოფელ ზემო აღ-
ვანში. სოფელშივე დაამთავრა საშუალო სკო-
ლა. 1953-55 წლებში თბილისის კულტურულ-სა-
განმანათლებლო გეჟნიკუმში სწავლობდა, სი-
ოცხლის ბოლომდე აღვანში ცხოვრობდა და
მოღვაწეობდა. 1988 წელს გავიდა პენსიაზე. სამ-
წუხაროდ, ბოლო წლებში ჯანმრთელობა შე-
ერყა და თვალის სინათლე დაკარგა, თუმცა, მისი
პოეტური შედეგრები კვლავ ნახულობდა დღის
სინათლეს.

* * *

- შაგისის ასულო, ლერწამო ხადიშად,
გოლეში აგარჩევე ვაჟეკაცის ხელითა,
შაგისის მთებიდან თუშეთში წაგიყვან,
კლდეებზე მფრინავი ხაღარა ცხენითა.
- ვაჟაჲ, მეც მათრთოლეგს ხუჭუჭა თმები და
კლდეებზე მტრიალი მაგ ცხენის ნალისა,
პაგარძლად წამიყვა შაგისის მთებიდან,
მაყრებად გაგვეყვა ვარსკვლავნი ღამისა.
- ფრიალოს ბილიკზე ამ მკერდით გაგარებ,
გრიალში დაგიცავ მეცხვარის ნაბღითა,
კლდის ზგავის ნაჟურით დაგიბან მაგ თვალებს,
შეგმოსავ პირიმშით ნაქარგი კაბითა.
- მზითვევად ცხერის ფარას მოვრეკავ მთებიდან
და მაყრულს დავეურავთ შურთხების ქნართა,
დღის სიქეს დავანობ წამწამთა ფრთებით და
ჯარჯივით დაყრილი ამ თმების ქართა.
- შევეუდღეთ, შევერთღეთ, ლერწამო ხადიშად,
ვით მთათა ჩანქერნი ერთმანეთს ერთიან,
თუშეთში მზე ნათობს ხევსური ქალისა,
თუშთა და ხევსურთა დღეს ფიქრნიც ერთია.
- გრფიალი ვაკურთხოთ ვაჟაჲ, ცივი წყლით,
მირონი ავიღოთ ბორბალოს ხევიდან,
შაგისის მთებიდან მოყვრობის ბილიკი,
აღვინის კენ გადავჭრათ ხაღარა ცხენითა.

- თუშ მოქმეს თვალითაგან ცრემლები დამცვივდა,
მთებისკენ ცქერაში და გიალ ლოღინში,
უშენოდ აღვანში ყინვა მწვავს და მცივა,
სალი კლდის შავ ნაგეგს იოსებ ლონგიშვილს.

– **ლონღარიკა შალვა** (1975)

სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გამო-
ცემული აქვს კრებულები: „სულის თარგმანები“
(2016), „ვერგეიკალური ჰორიზონტი“ (2017).

შაჰმედი ღა მორჩა!


წავედი და მორჩა!
ნახვამდისაც არ ვითხარი,
წამით ვრძნობას რომ აბრუნებს
და მშერას ცრის ნაწვიმარი...
გონებაც რომ დაასველა
და ჩამოჰკრა გლანქი მარი,
მარგოტობის ერთგულების...
მას რომ კეგავს გულის კარი.
ნულარ იგყვი, რომ გიყვარვარ,
ჩვენ ორშია ერთი ბზარი
და შენს დამშრალ ლიგონ სიგყვეს
არ მსურს ჰქონდეს თუნდაც კვალი...
ერთ დროს, გზა რომ ამირია
და შემხბო ყალბი განი,
მიხაროდა შენი ყოფნა,
ვგიჟდებოდი კარგა ხანი.
წავედი და მორჩა, აღარც
წერილს დავწერ კალმისგარით,
არ გამიშვებ? ის დრო - მორჩა!
მე არა ვარ პატიმარი.

– **ლორთქიშანიკა ზურაბ** (1919 – 19??)

დაიბადა სოფელ ჩუნეშში (წყალგუბო). 1941
წელს დაამთავრა ქუთაისის პედ.ინსტიტუტის ფი-
ლოლოგიის ფაკულტეტი. პირველი ლექსი გამ-
თაქვეყნა 1940 წელს, ლექსების პირველი წიგნი
კი – 1951 წელს. ავტორია პოეტური კრებულ-
ებისა: „სოფლის გზაზე“ (1957), „ორი სილაზამზე“
(1957), „მართალი სიგყვა“, „მარად ცოცხალი“




შალვა
ლონღარიკა



იოსებ
ლონგიშვილი



ზურაბ
ლორთქიშანიკა



კონსტანტინე
ლორთქიშანიკა

(1971), ლექსები და პოემები (1974) და სხვა. დაწერილი აქვს ბავშვებისთვისაც ლექსთა კრებული „მოვლიდართ“ (1979). ქართულ ენაზე თარგმნა დიმიტრი გულიას, რევამ ასაევის, მისაილ ლედინის და სხვათა ნაწარმოებები.

მეტი წუთიც

ხშირ გყევის თრთოლვა მაკრავს,
მოვონება ელავს ჩემი;
რა წუთები დამიკარგავს,
რა დღეები... დამეები.
ჩემგან განვლილ დღეთა ექოს
უფსკრულებზე მუხლი უთრთის,
ჯიუტ სიკვდილს გინდ ესესხო,
არ გასესხოს ერთი წუთიც.

– ლორთქიფანიძე კირილე (1839 – 1919)

დაიბადა სოფელ დისაშოში (ქუთაისის მაზრა). გიმნაზიის დამთავრების შემდეგ პეტერბურგში გაემგზავრა სასწავლებლად. უგამოდოდ ღაირიცხა უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1861 წელს მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებისთვის, სხვა სტუდენტებთან ერთად დააპატიმრეს და უნივერსიტეტიდან გარიცხეს. 1864 წელს პეტერბურგში გამოსცა ქართული ლექსების პირველი კრებული – „ჩონგური“; სამწერლო ასპარეზზე თერგდალეულებთან ერთად გამოვიდა. 1894-1904 წლებში იყო ჭიათურის შავი ქვის საზოგადოების მუდმივი წევრი, ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დირექტორი. მაგერიალურ დახმარებას უწევდა ქართველ მწერლებს; წერდა ლექსებს, მოთხრობებს, კრიტიკული და თეორიული ხასიათის სტატიებს. დაკრძალულია ქუთაისში, მწვანეყვავილას პანთეონში.

– ლორთქიფანიძე კონსტანტინე (1905 – 1986)

დაიბადა სოფელ დიდ ჯიხაიში (სამგრედია).

1924 წელს დაამთავრა ქუთაისის ჰუმანიტარული გექნიკუმი. ლექსების წერა მოწაფეობის წლებში დაიწყო. პირველი ლექსი 1924 წელს გამოაქვეყნა, ლექსთა პირველი კრებული – 1926 წელს. დიდი სამამულო ომის წლებში მოქმედ არმიშია აქტიურად იბრძოდა კავკასიის დაცვისთვის. 1942–1944 წლებში იყო ფრონტული გაზეთების სამხედრო კორესპონდენტი. 1962-1966 წლებში რედაქტორობდა ჟურნალ „ცისკარს“, 1977 წელს დაინიშნა აღმანახ „განთიადის“ მთავარ რედაქტორად, იყო გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორი. მწერალი ნაყოფიერად მუშაობდა თარგმანის სფეროში. თარგმნილი აქვს შევჩენკოს, მიცევიჩის, ელუარის, მაიაკოვსკის, ფრანკოს, აბოვიანის, ისააკიანის, ისიკავა გაკუბოკუს პოეტური ნაწარმოებები, სომხური ეპოსის – „დავით სასუნცის“ – რამდენიმე თავი.

ინიკაპა ტაკუზოკუ

თარგმნა კონსტ. ლორთქიფანიძემ * * *

ერთხელ ხუმრობით
დედაჩემი მხარზე შევიცი,
იგი ისეთი მუსუქი იყო,
რომ უცბად ცრემლი მომერიო
და ვვლარ ვზიდუ.
* * *

კომას ნისლიან ველ-მინდორზე
სადგურის ახლოს
მღერის ათასი ჭრიჭინობელა...
ვინ მეტყვის – რატომ?
რა ემღერებათ?
* * *

როცა ერთბაშად ვაგონიდან
შორს, ცისკიდურზე
ჩემი სამშობლოს მთები გამოჩნდენ –
ჰოი, რარიგად მევიწროვა
მამინ საყელო!

ა

— მაკრინა მონაჟონი —

იხილეთ მარიამ-მეკრინე.

— მაღაჟონია ნესტორი (1892 – 1984)

დაიბადა სოფელ მამათში (ოზურგეთი). 1908-1911 წლებში იყო სოფელ ძიმითში სასოფლო სამმართველოს კურიერი; 1919 წლიდან დაიწყო მასწავლებლობა ჯერ სოფელ აცანაში, შემდეგ მამათში; 1925 წლიდან მუშაობდა ბათუმში, ინდუსტრიულ გექნიკუმში აღმზრდელ-მასწავლებლად, შემდეგი წლიდან – განათლების მუშაკთა კავშირის საოლქო გამგეობის პასუხისმგებელ მდივნად; 1941-1951 წლებში იყო გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ სტილისტ-მთარგმნელი, 1951 წლიდან – გამომცემლობა სახელგამოს რედაქტორი; 1926 წელს გამოაქვეყნა პირველი ლექსი. ავტორია წიგნებისა: „პატაკი ოქტომბერს“, „გულიზნარი“, „გულის ხმა“ (ლექსების კრებული), „ჩვენი ყვაილები“, „თავი“, „დაბადებულან გვირები“ (ლექსების კრებული), „რჩეული“ (ლექსების კრებული), „ჩვენი ყვაილები“ (საბავშვო ლექსები).

პაწაწინა ლუიზა

საწერ-კალამს წავეტანე,
მამამ მითხრა: – ნუ იზამ!

ხელში უთო დავიკავე,
ღელამ მითხრა: – ნუ იზამ!

მუთაქები გადმოყვარე,
ღეიღამ თქვა: – ნუ იზამ!

აბა, რა ქნას, თქვენ მითხარით,
პაწაწინა ლუიზამ?

რა ვაკეთო მუღამ სახლში,
ჯერ არც ისე დიდი ვარ:

ვერც სკოლაში, ვერც კინოში
და ვერც ბაღში მივიღვარ.

რვეული მაქვს სახატავი,
უხატე, უხატე ვარიკა,

მაგრამ ფეხი და ვერც თავი
ვერ მოვაბი, არ იქნა.

წიგნიც კი მაქვს, რაა მერე,
მე ხომ კითხვა არ ვიცი,

და რომ მკითხონ – შიგ რას წერენ,
ხომ სირცხვილით დავიწვი!

ადვილია თქმა და დამლა:

„ნუ იზამ“ და „ნუ იზამ“,

მაგრამ რა ქნას, თქვენ მითხარით,

პაწაწინა ლუიზამ?

— მაჰარაჯაჟილი ნათელა (1939)

დაიბადა ცაგერის რაიონში. 1966 წელს დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი; 1958 წლიდან ცხოვრობდა სოხუმში. 1968 წელს მუშაობა დაიწყო სოხუმის რაიონის კელასურის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ასწავლიდა ასევე რელიგიას და კულტურას. 1990-1993 წწ. აფხაზეთში იყო დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოების პრეზიდენტი. არის 15 წიგნის ავტორი. დენილოვის შემდეგ იმერეთში გადავიდა საცხოვრებლად, მუშაობდა ხონის მეთოხე საჯარო სკოლაში. მან და სერგო წურწუშიამ ქუთაისში აღადგინეს გაზეთი „ცხუმი“, რომელიც უსახსრობის გამო მალე დაიხურა.

ლაღოს

სარეწკელას მთებში ისმის,
ლაღო, შენი ძახილი,
მიღის, როგორც დიღის ნისლი
შენი სულის სამხილი.
ხვამლის წვერზე მზე ამოვა,
სხივს დაათოვს ბარდნალას,
მთის მწვერვალზე შენი ჩრდილი
სიმღერებად დამღვარა.
ცხენისწყალის მღვრიე გაღლებს
და ლეჩხუმის სანახებს,
შენი ლექსი ალაამბებს
და სიცოცხლეს ალაღებს.
ოცდაექვსი გაზაფხული
ვაქკეცურად იარე,
თვალბრიალა ყაყაჩოებს
უშუშუბდი იარებს.
საოცარი ბედი გვერგო
მოვიხატავს გზა ფარჩით.



ნესტორ
მაღაჟონია



ნათელა
მაჰარაჯაჟილი

შენ სიმღერად დაიბადე
და სიმღერად გადარჩი!

– **გაჰაფლი იიჩი** (1957)

დაიბადა სოფელ ფაშინში (კასპი). დაამთავრა მეომო ხანდაკის ქართული სკოლა და შემდეგ – ოსსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ ამერბაიჯანულ ენაზე. ნაწარმოებებს ორ ენაზე – ამერბაიჯანულად და ქართულად – წერს. გამოცემული აქვს ლექსების კრებული „ფიქრთადრიცხვა“ (2003). 2004 წლიდან ცხოვრობს და მოღვაწეობს ბაქოში.

საქართველოს დილა

1.
თითქოს ცისკარმა სოფლის ქალივით
ცხელი თონიდან ამოგდო ქართული პური,
მზე ისე უცებ ამოსრიალდა.
და მერე იმავე დიასახლისმა
ღასღასა მთვარე
შოთი პურივით ჩააკრა დაისს,
რომელიც, ალბათ,
ხვალამდე ახალ მზედ გამოცხვება.

2.
მზე ჰორიზონტზე გაწვა დაღლილი,
დაღლილი გაწვა დაისის კართან.
სოფელი კაცის მდიდარ დახლივით
მზე ყველა სხივში მალავდა მართალს
და დასალიერს ჩაცურდა ყვითლად,
დღეც ჩაიყოლა ერთის დაწოლით...
სიწითლე შერჩა ჰორიზონტს დიდხანს,
ვით მწვანე მინდორს ვეფხვის ნაწოლი.

– **გაჰაფლი იიჩი იოსია**

ისილე *კრიშაშვილი იოსია*.

– **გაჰაფლი იიჩი ლილია**

ისილე *მეგრელიძე ლილია*.

- **გაჰაფლია გელა** (1961)

დაიბადა ზუგდიდის რაიონის სოფელ ოქტომბერში. დაამთავრა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. სტუდენტობის წლებიდან ბეჭდავდა ლექსებს, ლიგერატურულ წერილებს, ესეებს. გამოქვეყნებული აქვს ლექსების კრებული „გვირთი“ და მონოგრაფია „დათოვლილი სანთელი – გერენგი გრანელის პოეზია.“ არის ფილოლოგიის დოქტორი, 30-ზე მეტი ლიგერატურული და სამეცნიერო ნაშ-

რომის ავტორი. წლების განმავლობაში მუშაობდა ჟურნალ „რიწის“ პასუხისმგებელ მდივნად, ოსსუ-ს სოხუმის ფილიალის ლექტორად. დენილობის შემდეგ მუშაობდა ოსსუ-ს ზუგდიდის ფილიალში სხვადასხვა თანამდებობაზე: სწავლულ მდივნად, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანად, დირექტორის მოადგილედ. ამჟამად არის საზოგადოებრივი კოლეჯი „ცხუ-მეგრისის“ დამფუძნებელი და დირექტორი.

ნოსტალგიური

უცერად მწუხრის დაეშვა ფარდა,
რადაც შეირხა სარკმელთან ახლოს
და თეთრი, თეთრი სიმბრების გარდა
შენ მომაგონდი, მშობელო სახლო.
იმ წამში მთელი სამყარო ჩანდა,
სამყარო ჩანდა – სარკმელთან ახლო
და რა დიად ნათელი გადგა,
რა საოცარი – გამზრდელის სახლო!

– **გაჰაფლია იოსია** (1924 – 2000)

დაიბადა ქუთაისში. 1951 წელს დაამთავრა ოსსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი, ხოლო შემდეგ – მოსკოვის ვორკის სახელობის უმაღლესი ლიგერატურული კურსები. ავტორია ლექსების, მოთხრობების, პიესებისა და საზაგველო მოთხრობების 50-მდე კრებულისა („ცისკრის ვარსკვლავი“, 1959, „საქართველო ჩრადლანდ მინთია“, 1999). თარგმნა ესენინის, ბლოკის, ევგუშენკოს, პასგერნაკის ლექსები.

თოვლი

ამ სისხამ დილით თოვლში პირველად
ხელის მოჩრდილივით ცეცხლი ვაკვსე-
ვით მოფარფავტე თეთრი პეპელა,
ისე დამაკვდა ფიფქი ბაგეზე.
ალბათ, თბილისში ახლა არ ცივა,
კოჯრის ნიავე ფოთლებს აქემებს,
მწვანე ფერებში ელავს მთაწმინდა
და სხივებს აბნევს მზე რუსთაველზე.
აქ კი არყები გოგებდახრილი,
ელიან სხივთა ამონათებას.
შორს დათოვლილი მიქრის მარხილი,
შორს არის ჩემი ციციანთელად...
ცივი და ცვივა ფრთადასტევილი
ფიფქები – მამთის თეთრი პეპლები,
მივდივარ თოვლში სმაგაკენილი,
მივდივარ, მაგრამ სად შეგეყრები.

— მანანა

XVIII საუკუნის ქართველი პოეტი ქალი, მეფე ერეკლე მეორის (1720-1798) თანამედროვე. დაიბადა სოფელ ძევერაში, ვორის მახლობლად. ჩვენამდე მოღწეულია მისი რამდენიმე ლექსი, რომლებიც ხანდაზმულობაში შეუთხზავს. მანანას პოემიას ახასიათებს რელიგიური-მისტიკური განწყობილება, ორიგინალური თემატიკის ძიება, სკეპტიციზმი. ლექსი „შიირნი“ ეძღვნება ერეკლე II-ის სამხედრო ძლიერებასა და პიროვნულ სიდიადეს. ხალხურ პოეზიაში ვარიანტების სახით გავრცელდა მანანას გაბაასების ჟანრის ნაწარმოები „მანანასაგან ციების ბაასი“, სადაც სილაღითა და ღიმილით გადმოცემულია ავადმყოფის ბრძოლა სნეულების წინააღმდეგ. მისი ლექსები გამართულია რუსთველური 16-მარცვლიანი შაირით.

მანანას თქმულნი შაირნი

(ფრაგმენტები)

ევა გარდახდა მცნებასა,
ჭამა ურჩების ხილია,
წაიღო, ადამს შაირთო:
ნახე, როგორი ტკბილია!
აღამის მონათესავეთ,
ჩვენ გვევა სიკვდილის შვილია,
ღმერთო, მათებრი წყალობა
ჩემშედაც მოიხილია!

იესო, ყოვლად მოწყალეც,
ჯვარცმულო ძე ღვთისაო,
განრღვეულობის მკურნალო,
აღმდგინებლო მკვდრისაო,
ჯოჯოხეთისგან დამსხნელო
მრავაყვალთა სულებისაო,
ღირსმყავ მარჯვენით დადგომად,
მსაჯულო სამართლისაო.


ჩვენის სხნისათვის რავდენი
სასჯელი მოითმინეო,
მართას და მარიამისა
რომ ცრემლნი შეიწირეო,



იმირ
ბაკხელძი



გელა
ბაგშორია



ოთარ
ბაგშორია



ლანა
მანიჟაჰვილი

ოთხი დღის მკვდარი ლაზარე
საფლავით აღადგინეო,
ცოდვილი დედაკაცი ვარ,
ჩემიც რამ შეისმინეო!

— მანაელი ლანა (1971)

დაიბადა თელავში. გამოცემული აქვს ლექსების კრებული „ამ გზას არ მივყავარ საქართველოში“, ნოველები – თურქული სახეები („აილინი“), ნარკვევი – „თურქული კინოს ისტორია 1914-1988 წწ“, ლექსები, თარგმანები – „ჩემი სულის ანაბეჭდი“. 2014 წელს გამომცემლობა „უსტარმა“ გამოსცა თურქი კლასიკოსი მწერლის რეშათ ნური გიუნთექინის რომანი „ნარჩიგა“, რომლის თარგმანი ეკუთვნის ლანა მანაველს. ლანა მანველმა ასევე 2014 წელს გამოსცა „ვირტუალური ურთიერთობები“, სადაც შესულია 38 ვირტუალური ამბავი.

შენი ტაძარი

როდესაც გული ვახეთქვასა გაქვს
და ვედარ უძღებ ამდენ სიყრუეს,
როცა ათასი ცბიერი მშერის
ასხლეგვას ცდილობ, ხედები სიცრუეს.
როს ვისლართავენ ნაცნობ ბილიკებს
უცნობი გზების ყვებიან ზღაპარს;
ვერ მიხვდებიან რომ უხეზურად
მოგანაგრებენ შენს ნაცნობ გაბარს.

— მანიჟაჰვილი ნანა (1962)

დაიბადა სოფელ ჭანდარში (გურჯაანი). 1985 წელს დაამთავრა თელავის იაკობ გოგებაშვილის სახ. ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. იმავე წლიდან დაიწყო მუშაობა სოფელ ჭანდრის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. შემდეგ მუშაობა განაგრძო თელავის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელად. მისი ლექსები პერიოდულ პრესაში ქვეყნდება 1983 წლიდან: „სოფლის ცხოვრება“, „ალამ-

ნის განთიადი“, „მუზა“. ლექსები შესულია კრებულში „ირმების გადმოსახედი“.

შვილს, ქმითმპანს

ო, როგორ მსურდა მემღერა შენთვის და მშის სხივები ჩამეწვნა თმებში, როცა პაგარა იყავი, კარვო, და არა მღლიდა გიგინი შენი. ვერ მოვასწარი, დრო შეუქმნევლად და სიმშარივით გაქრა, გაფრინდა, ახლა დიდი ხარ და მოფერება თითქოს გინდა და თითქოს არ გინდა.

– მარაღველი ბათია (1979)

დაიბადა ქუთაისში. გამოცემული აქვს კრებულები: „თეთრი ნისლი“ (2010), „იღუმალთა მარში“ (2010).

* * *

ნაკეთებზე გრძნობა ისე აწყვია, ისე ატყვია თვალებს დახვეწა, რომ ამ სიგურფეს ვნების მღვა ჰქვია და ბერად მინდა შენში აღკვეცა. მინდა გაგანდო, როგორ ვილოცებ და გითხრა ის, რომ სულში ქარია და თუ ავტირდე, ნუ გაიოცებ, ეს ჩემი გრძნობის ნიაღვარია, ეს სიმძაფრეა შენი შეგრძნების და სურვილია დაუცხრომელი, რომ მაგ წამწამთა გაშლილ ძეწნების სველ ჩრდილთა ვიყო მარად მღომელი. და თუ შეგეზე, თუ მოგანათე ამ ჩაუქრობელ ცეცხლის სურვება, გთხოვ, ნუ უარმყოფ ღამეგანათევს, რომ შექძლო შენი მშის დაურვება და ავიხილო ის უსასრულო და უსაშველოდ თბილი თვალები, ახლა რომ ნაბავ, ღმერთის ასულო, და არხევ ქალურ აკანკალებით.

– მარტოშვილი ბათია – იხილეთ *ახვანი (აკაკი დარისპანის ძე მარგიანი)*

– მარტოშვილი ბათია (1916 – 1984)

დაიბადა სიფელ მულახში (მესგია). 1940 წელს დაამთავრა ოს-შს ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1942 წელს მოხალისედ წავიდა დიდ სამამულო ომში. ომის შემდეგ იყო ჟურნალისტის „ოქტომბრელის“, „პიონერის“, „დროისის“, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი, გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნების“ დირექტორი. 1979 წლიდან გამომცემლობა „მერ-

ანის“ დირექტორი. პირველი ლექსი „მირანგულა“ 1934 წელს გამოაქვეყნა, ლექსების პირველი წიგნი – 1940 წელს. გამოცემული აქვს კრებულები: „მუმილი მუხასა“ (1946), „მხოლოდ ახალი“ (1958), „მთანი მაღალნი“ (1960), „ლილე“ (1965), „გამოღვიძება“ (1966), „თოვანი შეხვედრა გამაფხულთან“ (1975) და სხვა. მის თხზულებებში წარმონაქმნილია სვანური ბუნება და მითოსი, მის პოეზიაში ფოლკლორული საწყისი მაღალ პოეტურ კულტურასთან არის შეერწყმული („ამბავი რუსთაველის უმგულს მისვლისა“, „მარხისი“, „მუმილი მუხასა“). ეწეოდა ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობასაც.

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

* * *

მთის კალთაზე სახლი მედგას, ხეც ხარობდეს ათიოდე, იისფერად, განუწყვეტლად ცაში კვამლი ადიოდეს. ბუხრის პირას მუხლმორთხმული ვით მღაპარში, ვიჯდე მწყრალი, ჩემზე იყოს გულმოსული ჩემი თეთრი დედოფალი. ბუხარივით გუმგუმებდეს – მხიარული მქონდეს გული, ჩემს ბავშვობას მაგონებდეს ცოლის გკბილი ჩონგურული. გასაზრდელი ბიჭი მყავდეს, გოგო მყავდეს თაფლისთვალად, შეგვერემანი მამას ჰგავდეს, დედას – მისი თეთრი ქალი. დამემარდონ სანაქებოდ და მათ დაჰყვეთ დედის გული, მამასავით იცინებონ საქართველოს სიყვარული. მთის კალთაზე სახლი მედგას, ხეც ხარობდეს ათიოდე, იისფერად, განუწყვეტლად ცაში კვამლი ადიოდეს.

– მარტოშვილი ბათია (1986 – 2015)

მსახურობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციაში. ბექა მარგიშვილი 2015 წლის 4 აპრილს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოკლეს. გარდაცვალების შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალისხმევით დაიბეჭდა ბექა მარგიშვილის ლექსების კრებული.

ველი თიოკა

ველი თიოკას და სინემეს, ფიქრის ქროლვას უხსენებოდა,

დღეს ითოვებს, დღეს ითოვებს,
 დღეს ითოვებს უშვეულოდ.
 გავისხენებ ლურჯ გაზაფხულს
 და ჩაქრება, რაც კი ენთო...
 ამ დასასრულს, ამ დასასრულს,
 ამ დასასრულს ველი ღმერთო!

– **მარიამ-მეკინა** (1696/98 – ?)

ნამღვილი გვარი – ბაგრატიონი. პოეტი, სამეფო ოჯახის წევრი (თეიმურაზ მეორის ღვიძლი და), სასულიერო პირი.

დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი გუსტად არაა ცნობილი, დაახლოებით დაიბადა 1696/1698, გარდაიცვალა 1744 წლის შემდეგ. იყო მეფე ერეკლე I-ის (ნაზარ ალი-ხანის) ასული, ედიშერ ჩოლოყაშვილის მეუღლე. მალე დაქვრივებულა, 1716 წლიდან მონაზონი გახდა და მაკრინად იწოდა. მოღვაწეობდა ალავერდის ტაძარში. მარიამი დაახლოებული იყო კახეთის სამეფო კართან. მარიამ-მეკრინეს ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ცნობილია იოსებ ალავერდელისადმი მიძღვნილი 2 ჰიმნოგრაფიული კანონი, ამავე წმინდანის სვინაქსარული ცხოვრება და ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი აკროსტიქული შესხმა.

– **მარიჯან** (1890 – 1978)

ნამღვილი სახელი და გვარი – მარიამ გყემალაძე-ალექსიძე

დაიბადა თბილისში. 1922 წელს დაამთავრა ოსუს-ს ფილოსოფია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. პირველი ლექსი „გზა“ 1916 წელს გამოაქვეყნა, პირველი კრებული „ლექსები“ – 1921 წელს. 1926 წელს გამოვიდა მისი საბავშვო პოემა „ნელი ცირკში“, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა პოეტის შემოქმედებითი გეზი – შემდგომში იგი ძირითადად საბავშვო მწერლობაში მუშაობდა. მარიჯანი მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა. მის მიერ თარგმნილია ჩუკოვსკის, ა. გოლსტოის, მისაღკოვის საბავშვ-

ვო თხზულებანი, ხოლო იოსებ გრიშაშვილთან ერთად თარგმნა მოლიერის „ტარტიუი“, ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“.

სატიშვაროდ

- დღეს რა კარგი ამინდაა! -
 უხარია რამაზს,
 სათევზაოდ მეც გავეყვები
 ჩემს საყვარელ მამას.
 დედას ასე დაუბარა:
 - ნუ მოხარშავ სადღეს,
 იმდენ კალმასს ჩამოგიგანთ,
 რომ ეყოფა ნადიმს!...
 დარცხვნილი შინ დაბრუნდნენ
 რამაში და მამაც –
 რა ქნან, თუკი ვერ მიაგნეს
 იმ გემრიელ კალმასს...

– **მაროზაშვილი ხიშინი** (1947)

დაიბადა თელავში. დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ფორტეპიანოს სპეციალობით და მუშაობა დაიწყო ნიკო სულხანიშვილის სახ. თელავის სამუსიკო სასწავლებელში ფორტეპიანოს კლასის პედაგოგად. წერს ლექსებს, ეწევა ლიტერატურულ-კუბლიცისტურ საქმიანობას. გამოქვეყნებული აქვს წერილები და პოეტური თარგმანები სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.

პეტიკოპენის მმ-9 სიმფონია
 შეჩერდით! – გყვით, ეგ ირონია,
 გულს ნუღარ ივსებთ ბოღმით და შხამით,
 კოსმიურ სმათა ამ სიმფონიას
 ყური მიუგდეთ სულ ერთი წამით.
 ეს მელიდია, ეს ჰარმონია,
 შობილი ციური არემარეში...
 ო, როგორ სცდება, ვისაც ჰგონია,
 რომ იარსებებს ღმერთის გარეშე!!!



მათი მარადელი



რეკვაზ მარბიანი



ბეშა მარბიშვილი



მარიჯან

– მარსიანი (1960)

პოეტი, პუბლიცისტი, მხატვარი. ნამდვილი სახელი და გვარი – ვია ბენიძე. დაიბადა სოფელ ხომულში (წყალტუბო). მისი შემოქმედებითი კარიერა ქუთაისში ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტობისას დაიწყო. სტუდენტობის შემდგომ პერიოდს მოჰყვა ოცწლიანი მუშაობა ჟურნალ „განთიადში“. ორჯერ იყო წარდგენილი „საბას“ პრემიაზე“.

* * *

მოდის სიციხადე ულმობელი ძალით ინთება წარსულის მიღმა ხეხება სსოვნა – მამონტი ვითარ ოდესმე თქვი რაი არს ჭეშმარიტება – არც არაფერი – მთვარე ჩადის და მზე ამოდის.

– მარია ელგუჯა (1963)

1983-1990 სწავლობდა ოსსუს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. 1985-2001 წლებში მუშაობდა სხვადასხვა პერიოდული გამოცემების რედაქციებში, როგორცაა: „ქართული ქრონიკა“, „ფენიქსი“, „მესამე გზა“, „ცისკარი“, „კრიმინალური ქრონიკა“. 2001-2004 წლებში იყო საქტელერა-დომპუწყებლობის სტუდია „პუბლიცისტის“ და შ/გ „აღლინის“ პოლიტიკური მიმომხილველი, კორესპონდენტი და რედაქტორი. 2004-2011 წლებში – სამოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილის“ დამფუძნებელი, საკონსულტაციო ჯგუფის ხელმძღვანელი, საინფორმაციო ანალიტიკური პორტალი „ქართული ბრენდის“ მთავარი რედაქტორი და ჟურნალ „ცისკრის“ სამოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი. გამოცემული აქვს პოეტური კრებულები: „როგორც წყვდიადში შე მოდის თოვლი“ (1993), „დუმილის სივრცე“ (2001).

მტიუღი

საოცარია ზამთრისპირის დილა სისხამო: კაკლის ხეები ნაყოფივით ჩიგებს სისამუნ და ბუხრის კვამლიც იგოგება, მიიკლა კნება ნაკადულივით ცის წიაღში და იკარგება. ძალი ყფუს შორით ხრიწიანად ყივის მამალი თვლემს ირგვლივ თეთრი მღუმარება – თოვლის გრამალი

– მაღრაქა დავით (1962)

დაიბადა თბილისში. სწავლობდა თბილისის 53-ე და მე-4 საშუალო სკოლებში, 1984 წელს დაამთავრა ოსსუს ფილოლოგიის ფაკულტეტი. პირველი ლექსები გამოაქვეყნა ბავშვობის ასაკში, მე-7 კლასში სწავლისას. 1992-1995 წლებში იყო საქართველოს კულტურის მინისტრი. არის საქართველოს ახლანდელი ჰიმნის გექსტის ავტორი. გამოცემული აქვს კრებულები: „გულო, ჩაღექ საგულესა“ (1984), „მარულა“ (1987), „შანდლის ასული“ (1990), ლექსები (1994), „გახუნებელი აფიშა“ (1998), „მეფური ნაკლი“ (2001), „ნიკალა“ (2002), „Salve“ (2004), „ქარი ფოთლების ბილეთს არიგებს“ (2006), „შეჩერდი, წამო!“ (2008), „შენთვის“ (2008).

* * *

ის მიდის ჯვარზე ერთი პერანგით – ჯვარს აცვი! – ისმის ანჩხლი კიკინი და მოსროლილი ვით ბუმერანგი ბრუნდება ჩვენში ეკლის გვირგვინით. ირევა ხალხი, როგორც ამინდი, ცოცხა მართალი, ბევრი ვერაგი, მზე ჩადის, როგორც ძოწის ქლამინდი, ის მიდის ჯვარზე ერთი პერანგით. გყვიაგაუმგარ ფანჯრების სისქეს უსაფრთხოება მიაქვს კეისრის, ჩვენ ხან ლექსუსით მივიღვართ ჯვრისკენ, ხან საკუთარი აირვეისით. და საფინანსო ვაჭვეულ რისკებს თან გაკოგრების ახლავს მიშები, მიევალი... მივიღვართ... მივიღვართ ჯვრისკენ, ჩვენი საბანკო ანგარიშებით. იერუსალიმს აღდგომა მოდის, დღეეგაციის საუბარს ვისმენ, - ბარგის წონამე მოვიხდით ბოდიშს - და ოქროს ჯვრებით მივიღვართ ჯვრისკენ. ის მიდის ჯვარზე თეთრი პერანგით.

– მაყაშვილი კობე (1875 – 1927)

დაიბადა სოფელ იყალთოში (თელავი). ცხრა წლისა დაწერა პირველი ლექსი რუსულად, ათი წლის ასაკში კი სათავადაზნაურო სკოლის პირველ კლასში მიაბარეს, შემდეგ კლასიკურ გიმნაზიაში გადავიდა და 1895 წელს დაამთავრა ეს სასწავლებელი და სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო. 1903 წლიდან იგი აქტიურად თანამშრომლობდა პერიოდულ გამოცემებში, გამოეთქვა: „ივერია“, „სახალხო გაზეთი“, „სიანი“, „საქართველო“, „ლომისი“, „თემი“ და სხვა. ჟურნალებში: „საქარ-

თველო“, „ფასკუნჯი“, „პრომეთე“, „ლომისი“. 1914 წელს გამოვიდა მისი ლექსების პირველი და ერთადერთი კრებული – „ლირიკა“. 1921 წელს იგი აირჩიეს ხელოვანთა კულტურული კომიტეტისა და ხელოვანთა სასახლის თავმჯდომარედ. დაკრძალულია დიღუბის პანთეონში.

ჩემს ვაჟს

„შენც მიღიხარ იქ, საით კენ
ქართველები იქჟარიან,
გული სევდით მეკუმშება
და თანდათან მისხარიან!
მართალი ხარ: საქართველო
გაჭირვების წუთს განიცდის,
ამგვარ წუთში წმინდა გრძნობა,
წრფელი გრძნობა აღარ იცდის,
რომ გაფუჭდე უსარგებლოდ?!
არ მიჯერებ, თქმას არ მაცდი –
ჯერ ბავშვი ხარ უსუსური
და სულით – კი დავაჟაკადი!
წაიღე შეილო, შესარულე,
რაც გიბრძანა შენმა გულმა,
თავდადებულ გმირთ წინაპართ
გიწინამძღვროს დიდმა სულმა.
ჩემი სისხლი და ხორცი ხარ –
და მისმინე, რის ვარ მოქმელი:
შენ მიყვარხარ მე იმდენად,
რამდენადაც ხარ ქართველი,
საქართველოს მე ვადმერთებ,
არას ვეგრფი იმის გარდა,
ესლა მით ვარ ბედნიერი,
რომ შენც იგი შეგიყვარდა.“

– მამუკაშვილი ალიო

იხილეთ *მთრეხულაგა ალიო*.

– მაჩაბელი ლავითი (1814 – 1873)

დაიბადა სოფელ თამარაშენში. სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში. 1832 წელს დაახლოებული იყო შეთქმულების მონაწილეებთან, რომელთა სულისკვეთება გამოხატა თავის პირველ გამო-

ქვეყნებულ ალგორითული შინაარსის ლექსში „თოვლი“ (1832, „სალიგერატორნი ნაწილინი გვილისის უწყებათანი“); გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1835) ჯერ თბილისის მთავარ სამმართველოში მუშაობდა მოხელედ, შემდეგ სამხედრო სამსახურში იყო; 1839 წლიდან თამარაშენში ცხოვრობდა; აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკართან“ (ჯერ 1852-1853 წლებში, შემდეგ 1864 წლიდან – სიცოცხლის ბოლომდე); მის პოეზიაში ძირითადია პეგრიოტული (ლექსი „საქართველო“, ისტორიული პოემა „მთიული“) და საგრფიალი (ლექსები „ვარდი“, „ლოცვა გრფილისა“, „ჩემს მინერვას“) მოტივები.

ალმრსი

მგეო მივი, მფინე სივი,
დილით ძილით აღდგომილსა;
აგრეაგრე მომეფრქევი;
ვიშ მაგ გურფას შენს ღიმილსა!
თვალთ-აღით ციალით ისრად,
ჰფენს მჭვრეტელთა სავალალოდ.
მისრად მის-სრად მსცემს რად, ის რად?
ბულბული რამშითა შესაბრალოდ.
დილის ცრემლი, მონამული,
ვარდსა ნარდსა და იაშვდ,
ღელავს, ელავს, კრიოლვით სრული,
ცისკარი სჩანს მის წიაღმედ!
აჰა, მწველთა მათ ისართა
გულს დაუღვამ გასაგანად;
ცრემლთა მისთა მოსისხართა
აღგზნებულს გონს მოსაგანად.

– მაჩაბელი ივანე (1854 – 1898)

დაიბადა სოფელ თამარაშენში. ბავშვობა უკიდურეს გაჭირვებაში გაატარა. 14-15 წლის ასაკში დაიწყო ლექსების წერას. საშუალო ცოდნა თბილისში, გიმნაზიაში მიიღო. გიმნაზიის კურსის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ კი, 1871 წელს, გაემგზავრა პეტერბურგში, ამ დროს იგი ბუნებისმეტყველებით იყო გატაცებული და სწორედ ამ დარგზე შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში,



მარსიანი



მღვშვჯა
მარლია



ლავითი
მალრაჰი



კოტე
მამუკაშვილი



იოსებ მანაბალი

თუმცა მალე იურიდიულ ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა და ეს ორივე ფაკულტეტი წარმატებით დაასრულა. 1873 წლის ზაფხულში, ბანკის საქმეების გამო, პეტერბურგში ჩავიდა ილია ჭავჭავაძე, რომელიც ახლო ურთიერთობაში იყო ვასილ მანაბელთან. ივანე მანაბელმა ილიას გაუზიარა თავისი განზრახვა და სთხოვა ერთად ეთარგმნათ შექსპირი. 1873 წელს „კრებულის“ მეათე ნომერში დაიბეჭდა „მეფე ლირის“ პირველი მოქმედების თარგმანი. 1874 წელს ივანე მანაბელი სამშობლოში დაბრუნდა და იმავე წლის ბოლოს, აგრონომიულ მეცნიერებათა შესწავლის მიზნით, გაემგზავრა ოპენჰაიმის აკადემიაში (შტუტგარტის მახლობლად), სადაც ორი წელი დაჰყო. 1879 წელს იგი საბოლოოდ დაბრუნდა საქართველოში და ლიგერაგურულ-მუბლიცისგურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი. 1883 წელს იგი გაზეთ „დროების“ რედაქტორი ხდება. მაგრამ 1885 წელს სექტემბერში, გაზეთი დაიხურა მთავრობის მიერ, მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგო წერილების სისტემატურად ბეჭდვის გამო, გაზეთის რედაქტორი კი პასუხისვებაში მისცეს და სამუდამოდ აუკრძალეს რაიმე გამოცემის რედაქტორობა. 1897 წელს მაისში ივანე მანაბელი მძიმე ავად გახდა ჩირქოვანი პლეკრიგით. 1898 წლის 26 ივნისს ქალაქში ხმა დაირხა ივანე მანაბლის უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ. შექსპირის გრაველების ბრწყინვალე თარგმანებმა ივანე მანაბელს ღრსეული ადგილი დაუკვიდრა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ეს იყო ახალი სიტყვა ქართულ მხატვრულ მთარგმნელობით ლიტერატურაში. ივანე მანაბელმა თარგმნა: „ჰამლეტი“ (1886), „ოგელო“ (1888), „მაკბეტი“ (1892), „რიჩარდ III“ (1893),

„იულიუს კეისარი“ (1896), „ანტონიო და კლოპატრა“ (1898) და „კოროლიანოსი“ (1898). ცნობილია, აგრეთვე, ივანე მანაბლის ვრცელი ლექსი „ოცნება“, რომელიც 1879 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიამი“.

– **მანაბალი სპიროსი** (1794 – 1858)

სვიმონ ფარსადანის ძე მანაბელი. გიორგი მანაბლის მამა და ვასილ და ივანე მანაბლების პაპა.

იგი იყო სამანაბლოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფეოდალი XIX საუკუნეში, ასევე ჰქონდა მამულები თბილისის მაზრის სოფელ გაბახმელაში, ცხოვრობდა ლიახვის ხეობაში, სოფელ თამარაშენში. იყო საქართველოში რუსიფიკაციის წინააღმდეგი, 1832 წლის აჯანყების მონაწილე. ჰქონდა ახლო და მეგობრული ურთიერთობა გრიგოლ ორბელიანთან და გიორგი ერისთავთან. 1833 წლის 3 იანვრიდან ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო დაპატიმრებული ავლაბრის ყაზარმაში, ამ პერიოდში შექმნა მან თავისი ცნობილი ლექსი – „საპყრობილესა შინა უეცრად ფრინველის შეფურენა და პყრობილისაგან ლაპარაკი“.

– **მანანელი დიმიტრი** –

იხილეთ *დ. (დიმიტრი) მახჩანელი*

– **მანაპიანი ლალო** (1893 – 1939)

დაიბადა სოფელ ოლეშში (გესგაფონი). დაამთავრა ოსსუ-ს ისტორიის ფაკულტეტი. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას; პირველი ლექსი 1910 წელს გამოაქვეყნა; 1916 წელს რედაქტორობდა თავისივე ჟურნალ „აისს“; 1921 წლიდან თანამშრომლობდა სხვადასხვა საბჭოთა ჟურნალ-გაზეთებში, მათ შორის: „პოემის დღე“, „ქართული მწერლობა“, „მნათობი“, „სალიგერაგურო გაზეთი“; მისი პირველი ლექსი „მთის ყვავილი“ დაიბეჭდა გაზეთ „ერში“; 1924 წელს გამოცემა პირველი ლექსთა კრებული „სარკოფაგები“.

ტარილქტი

მარგალიტები და გომრები რომ აგირდება, იაგუნდები დაიმსხვრევა ზურმუხტ-გალალებად, ჩუმი სიმღერა დაგყდება და ანაფირდება, მარგალიტები და გომრები რომ აგირდება, მამთრის თვალები ზღაპრების თქმას მე დამპირდება დაილევიან ვარსკვლავები მშის ვალალებად, მარგალიტები და გომრები რომ აგირდება, იაგუნდები დაიმსხვრევა ზურმუხტ-გალალებად.

– მამაპარიანი მალხაზ (1949)

წლების განმავლობაში გესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის მუზეუმის დირექტორი იყო. ამჟამად ცხოვრობს გესტაფონში.

იანვრის ღამე

ირეალური რეკვაზარების
და სმენად ქცევა... (თოვაა გარეთ):
სული-სხეული ნაიარევი
დამაქვს... სიმძიმით კი დავიდალე
და შემოგზივლებ, შემიმსუბუქე
სხივებალესილ დღეთა ნათელი.
თუ წასასვლელად მამზადებ უკვე,
ნუღარ დაათოვს მეგად ქვაფინილს...


– მამაპარიანი მუხრან (1929 – 2010)

დაიბადა სოფელ არგვეთში (სახხერე). დაამთავრა თსუს ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1957-1988 წლებში მუშაობდა სხვადასხვა ჟურნალის რედაქტორად („დილა“, „პიონერი“, „საუნჯე“...); იყო საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე 1988-1992 წლებში. პირველი ლექსები 1952 წელს გამოაქვეყნა უნივერსიტეტის ლიტერატურული წრის ყოველწლიურ აღმზანს „პირველ სხივში“, პირველი წიგნი – „ლექსები“ – გამოსცა 1955 წელს. 1958 წელს გამოვიდა პოეტის ორი კრებული - „წითელი მზე და მწვანე ბალახი“ და „სიხუმე უშენოდ“. შემდეგი კრებულებია: „გზადაგზა“ (1965), „იარონ“ (1970), „თქვი“ (1971), „დუმილი რეკავს“ (1974), ერთგომეული (1979), „გიკვირს?“ - ნუ გიკვირს!“ მუხრან მაჭავარიანის მთელი შემოქმედება სამშობლოს სიყვარულითაა შთაგონებული. მისი პოემების ესთეტიკას განსამღვრავს მისი მოქალაქეობრივი კრელო, შეურიგებლობა და წინააღმდეგობაში ყოფნა არსებულ რეალობასთან.

დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

მიწაჰ ჩემო

შენი, მიწაჰ ჩემო,
ვინც კი იცის გემო;
როგორ დავიჯერო, –



მუხრან მაჭავარიანი

თავს არ შემოგველოს!
იმერეთო ქვემო,
იმერეთო ზემო, –
სიყვარულო ჩემო,
სისარულო ჩემო...
ძამა გურულებო,
ჯიმა სამგურელო,
ძმხო ქართლ-კახეთო,
მესხეთ-ჯავახეთო;
მარნის ჩვენის ეშხი
მგერსაც ჩაეხეთქოთ,
ოლონდ ჩვენს საქმეში
ნაკლებ ჩაეხეთქოთ.
დიდგორისა ველო, –
ახლა ცრემლისმგერელო,
კრწანისისა ველო, –
დღესაც გულისმკველელო...
რაღა გავგერძელო,
მთელო საქართველო, –
სასოებაჰ ჩვენო, –
რა ვქნა, რა გიშველო!
შენი მიწაჰ ჩემო,
ვინც კი იცის გემო;
როგორ დავიჯერო, –
თავს არ შემოგველოს!

– მასრაჰი ირმა (1975)

დაიბადა ოზურგეთში. 1998 წელს დაამთავრა თბილისის ამისა და აფრიკის ინსტიტუტი არაბული ენისა და კულტურის სპეციალობით. 2001-2007 წლებში მუშაობდა თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში არაბული ენის მასწავლებლად. თარგმნის არაბული და ინგლისური



მალხაზ
მაჭავარიანი



ირმა
მასრაჰი

ენებიდან. მისი ნათარგმნი არაბული ლიტერატურის ნიმუშები დაბეჭდილია „ჩვენს მწერლობაში“, „არილში“ და სხვა გამოცემებში.

მაკჰმუდ ღარჰინში, „ღმელას“

თარგმან ირამ მასხარაძემ

მენაგრება ღელაჩემის პური,
ღელაჩემის ყავა, ღელაჩემის შეხება.
ბავშვობის მოგონებები იზრდება ჩემში

ღლითიღლე.

ვეგრფი სიცოცხლეს, რადგან, რომ მოვეკვდე,
შემრცხვება ღელაჩემის ცრემლებს.

თუ ოღესმე დავბრუნდები, წამიყვანე

შენი წამწამების საბურველად,

დააფარე ჩემს ძვლებს ბალახი,

შენი ნაფეხურებით ნაკურთხი.

ავგვიჩიე შენი თმის კულუღით,

ძაფით, რომელიც შენი კაბის ქობას ჰკიდია.

შეიძლება გავხდე ღმერთი,

ღმერთი გავხდე.

თუ ჩავწვდები შენი გულის სიდრმეებს!

თუ დავბრუნდები,

გამომიყენე ცეცხლის დასანთებ შეშად,

სარეცხის გასაფენ თოკად

შენის სახლის სახურავზე.

მე ძალიან სუსტი ვარ

შენი ლოცვის გარეშე.

დავბერდი,

დამბრუნე ჩემი ბავშვობის ვარსკვლავები,

რომ პაგარა ჩიტებთან ერთად გავიკვილო

შენს მომლოდინე ბუდეში

ასაბრუნებელი გზა.

– **მასარობლიძე გიორგი** (1960 – 2017)

დაიბადა თბილისში. 1976 წელს დაამთავრა გორის მე-10 საშუალო სკოლა, 1985 წელს კი – გორის ბარათაშვილის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი, ქართული ენისა და ლიტერატურის განხრით. წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე, იყო გორის მოსწავლეთა სასახლის მეთოდისტი და შემოქმედებითი წრის ხელმძღვანელი. 1989 წლიდან კი საქართველოს მწერალთა კავშირის გორის განყოფილების ლიტერატურული კონსულტანტი გახლდათ. იყო გორის ქალაქის საპატიო მოქალაქე. გამოცემული აქვს კრებულები: „პარილის გამოძახება“ და „პეპლის ფრთებზე“.

* * *

განა არ მჯერა იქაც ბინდია,
სული ფათურობს წყვიდად ღამეში.
ვიცი და მაინც გგოვებთ, მივდივარ,

ამ არაფრიდან იმ არაფერში.

არც ცა მეგუღვის იქით სხვაფერი,

არც უკეთესის რწმენა მამობეს.

მე მახსოვს, გუშინ კარგად დავთვერი

და ვაგინებდი არარაობებს.

საყვეღურებით კვლავაც ამიკვლეს,

რომ მცდარი არის ჩემი ნაბიჯი,

ვიცი, მივდივარ მე არსაითკენ

და ხოხვით მიმაქვს სული ნაჯიჯანი.

არ ვარ ჯიუცი და არც ავყია,

არც იქით წასვლას ვიშე მექემებს,

თვითონაც კარგად ვიცი რა ყრია,

ამ სანაგვეში, იმ სანაგვემეც.

თქვენთან სადამდე უნდა ვღაობდე?

მე ჩემი ბუდი ჩემს თავს მივანდე,

ვმომარაობ, რადგან არ დავჭაობდე.

ვფართხალე, რომ არ დავხვავსიანდე.

ცხრა მთას იქითაც, ვიცი, ბინდია,

სამოთხე მხოლოდ გვხვდება ზღაპრებში,

ვიცი, და მაინც ხოხვით მივდივარ

ამ არაფრიდან – იმ არაფერში.

– **მასხარი ბრინჯანი** (1959 – 2018)

დაიბადა სოფელ გომეწარში. 1978-1984 წლებში სწავლობდა ოსსუს ფილოლოგიის ფაკულტეტზე. პირველი ნაშრომი „მესგვირეობის გრადიცია ფშავში“ გამოაქვეყნა 1981 წელს ჟურნალ „ცისკრის“ მე-4 ნომერში. გამოქვეყნებული აქვს ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული და ლიტერატურულ-კრიტიკული ხასიათის წერილები, რეცენზიები, ნარკვევები, საკუთარი ლექსები, თარგმანები.

ბადარჩანა

გადმოვიარეთ მყინვარები, ღრმა უფსკრულები,

თვალს მიეფარა სილუეტი შორი ქედების.

შენს თვალწინ ვდგავარ დამაშვრალნი

ღარღით უღვევით,

შენერდი, ვულო, წარსულის კენ ნუ იხედები!

აქ სხვა მხარეა, სხვა სამყარო, ღილა მშინი,

ცაში აჭრილა მოღულენე გუნდი მგრედების.

დასრულდა გმები უვალი და გმები გიალი

და მაინც გულო, ისევ უკან რად იხედები?!

– **გვალხოლიშვილი ლილია**

იხილე *იმერელი ქალი*

– **გვალაძე საჟო** (1894 – 1936)

ნამღვილი გვარი – ვიცი ვიცი. ფსევდონიმები: გურული ქალი, ეწერელი ქალი, მუშა ქალი.

დაიბადა სოფელ ჯურუყვეთში (ლანჩხუთი).

ლიტერატურული მოღვაწეობა პოეზიით დაიწყო, შემდეგ კი ბელეტრისტიკაშიც სცადა ბედი, მაგრამ ლექსების წერა არ შეუწყვეტია. ის ქართული პრესის ფურცლებზე გამოჩნდა ფსევდონიმებით; გამეთებლან მას ყველაზე ხშირად მასპინძლობდნენ: „კავკასიონი“, „ჩვენი გზა“, „გრიბუნა“, „კომუნისტი“, „ხმა ქართველი ქალისა“; ჟურნალებიდან: „ლიტერატურული საქართველო“, „პროლეტარული მწერლობა“, „ლომისი“, „ქართული მწერლობა“, „მნათობი“. მისი პირველი ლექსი „საქართველო“, დაიბეჭდა 1908 წელს. პირველი წიგნი (პოემა „ბახმარო“) გამოვიდა 1927 წელს. 1932 წ. გამოვიდა მისი ლექსების კრებული „პრელუდია“. საფოსტო პოეზია ფერთა სიუჟეტითა და თემატურით მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ბევრი ლექსი საგრძობად ლირიკის ეანრს განეკუთვნება. საფოსტო პოეზიით პოპულარული იყო ქალებს შორის. მისი ნაწარმოებების გმირები არიან ქალები, რომლებიც თვითონ იბრძვიან საკუთარი ცხოვრების შესაქმნელად. თანამედროვენი მას ქართველ ქორეოგრაფს უწოდებდნენ.

ბუხრის პირას დღიურების წყება
შეგკრიბე და გაღვიძიებე ხელად.
ზოგში შემხვდა უცნებელი ვნება,
ზოგე რამეც მომეჩვენა ძველად.
რისთვის, ვისთვის ან რად მინდა ნეგაჲ,
რვეულეში შეკრიბული ბოღა,
რაც მიმაჩნდა მე სინათლის სვეტად
იყო თურმე მშვენიერი ცოდვა
- „მე ვიქნები თქვენი გულის მცველად“ -
ეპისტოლეს ვინმე ასე იწყებს...
მე ვაგებრაზდი და ცეცხლს მივეც ყველა
აღმოდებულს დავენიონი სიგყვებს!
ნერონივით მახარებდა ალი!
შევეყრებდი გადაგრუსულ ფურცლებს
და ნაწერზე სამუდამოდ მწყვრალი,
მე დავმშვიდიდი, მე დავმშვიდიდი უცებ.

- მლიხანი ონანა

ისილუ ონანა მდივანი.

- მუხარამ ლავით (1892 – 1961)

1910-იანი წლებიდან აქვეყნებდა ლექსებს. მისი ფსევდონიმი იყო „ცვარ-ნამი“. პოეტის ლექსები იბეჭდებოდა გამოცემებში - „კოლხიდა“, „სახალხო ფურცელი“, „იმერეთი“, „ჩანგი“, ჟურნალებში „თეატრი და ცხოვრება“ და სხვა.

გურფავ! გვედრი, ხელს ნუ ახლებ
მივიწყებულ ჩანგის სიმებს,
ნურც მიმღერი სიყვარულის
კაემნიან, დამწველ ჰიმნებს.
უძღურია ხმები იგი,
უძღურია სიმთა კვნება,
ვერ ვენდობი შემოდგომის
უსიცოცხლო მზიან დღესა.
დაკრავს სუსხი, დაბერს სიო,
მთებზე ნისლი ჩამოწვება,
ქარიშხალი ქვეთინს მორთავს,
მშვე შავ ღრუბელს ქვეშ მოყვება.
დამტკნარ ფოთოლს ხეს შეაცლის
სველით სავსე ცივი ქარი,
მწარ-მუმუნით შორს გასგორცნის,
დამწუხრდება მთა და ბარი...
ვაი, შენი სიყვარული
იმ მტკნარ ფოთოლს თან გაჰყვება,
და უკვალთო, მასთან ერთად
სამუდამით დაინთქმება...
ნუ, ნუ გურფავ, ხელს ნუ ახლებ
მივიწყებულ ჩანგის სიმებს,
ნურც მიმღერი სიყვარულის
კაემნიან, დამწველ ჰიმნებს.

- მუხარამივილი ირაპ (1959)

დაიბადა თბილისში. 1976-81 წლებში სწავლობდა ოსუს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის არმენოლოგიის განყოფილებაში. მუშაობდა რუსთაველის საზოგადოებაში.



გიორგი მახარაშვილი



ტრისტან მახარაშვილი



საზო მამულაძე

* * *

ბაღში ქარი აზავიდა, ქარი ქართ-უქარესი,
ბობოქარი სისინით და ხმებით მუქარისა,
გაიტაცა ფიცი და გაიტაცა ალერსი,
ფიქრიც, ჩემთა ყოველთა ფიქრთა უწინარესი,
ისიც, რაიც სიცოცხლის ფასად არ დამითმია,
რაც კი სულმა იწამა, რაც კი სულმა ითნია,
გაიტაცეს, დანდობა ვის უნახავს გრიგალთა,
სისინებენ, საღაა, საღაა, ვინც გიყვარდა,
ვისად მაქვებრებული ხარ მაგ შენი ქნარისა,
ამაო მომლოდინევი გამოვინილ ქმარისა,
ნუ მაშინებთ, ქარებო, ხმით ყალბით და მქისეთი,
მოვა, მოვა ის ერთი დამით მომბასეთი
და თუ არა, სიკვილითან დღესევი ვიყოფ სარეცელს,
სიკვილია სიცოცხლე სიყვარულის გარეშე.

– მებრეპიკი ბაბუ (1934-2007)

დაიბადა სოფელ ფერეთაში (ვანი). 1957 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. პირველი ლექსი 1956 წელს გამოაქვეყნა, ლექსების პირველი წიგნი „მზე მაღლა იწევს“ (1966). მისი მომდევნო პოეტური კრებულებიდან აღსანიშნავია: „ლექსები“ (1976), „მე ვფიქრობ შენზე“ (1977), „თანდათან“ (1979), „სიყვარული და ცდომილება“ (1989), „თავისუფლების მზე ბორკილს ამსხვრევს“ (1990) და სხვა.

თამარემ ბაბისძე

სევდიანი სიმღერა ისმის: – რერა, რაშოვდა,
თამარიე გათხოვდა, თამარიე გათხოვდა!
მაშინ გადასხვაფერდა, თავალი თვალს რომ დამორდა,
ჩემი ცხენი ოჩნობდა, სხვისი ცხენი რაშობდა.
გაგანია სიცხეში გაწვიმდა და გათოვდა,
თამარიე გათხოვდა, თამარიე გათხოვდა!!!

– მებრეპიკი ღვაზ

იხილე ღუგუ მეგრელი.

– მებრეპიკი ანთონილი (1938)

მისი პირველი ლექსი („დღეაქალაქს“) გამოქვეყნდა 1958 წელს გაზეთ „ჭიათურის მადაროელში“. გამოცემული აქვს საბავშვო პოეტური კრებულები: „ხელს აღარ ვახლებ იასა“, „სწავლე და იმამაცე“, „ნაკადული ვარ პაგარა“, „საქართველოს ვხატავ ღამამს“. გამოსცემდა საყმაწვილო გამოცემის – „პაგარა ქართველი“.

ბექურაძის სინარული

ამ მარგით და ამ ქარით,
ამ მშითა და ამ მთვარით

კულამოუბებული
გაი პარა მამთარი!
მზემ გაგვათხო მზეწვიამ,
აღარ ვირთივართ სიცვიით,
გაზაფხული გვეწვიო,
ყვავილების სიცლით!

– მებრეპიკი ბრიგოლი (1898 – 1919)

ფსევდონიმი – მთის ნიავე.
დაიბადა სოფელ შუა ფარცხაში (ჩოხაგაური). სწავლა ქუთაისში დაიწყო, მაგრამ 1914 წელს გადმოვიდა ქუთაისიდან თბილისში და სწავლობდა ქართულ გიმნაზიაში. ლექსებს სიმამწვილიდანვე წერდა. მისი პირველი ლექსი 1914 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „თემში“. 1918 წელს გრიგოლ მეგრელიშვილი გახდა ახალდაარსებული ქართული უნივერსიტეტის სტუდენტი, იმავე წელს მოხალისედ წავიდა ფრონტზე და აჭარაში, ბათუმთან ებრძოდა თურქებს, იმერეთში, საჩხერეთში – ოსებს, აფხაზეთში, უფრო სწორად – ჯიქეთში, დენიკინის რუს ბანდიტებს. შემდეგ მესხეთში, ფოცხოვში იცავდა საქართველოს, სადაც მოკლეს კიდევ სამშობლოსათვის თავგანწირული 21 წლის პოეტი, 1919 წლის 30 იანვარს.

ლტოლვა

ვერავინ მნახავს მე სულ ბედნიერს
და ვერც მიხილავს სასოწარკვეთილს,
რადგანც მარად ეამს იცელება ლგოლვა
და გაკვეთილი მისდევს გაკვეთილს.
დღეს თუ შემიპყრობს ერთი სურვილი,
ხვალ ვემუნებო სულ ახალ ვენებას,
ზევ ჩემ შექმნილ კერპს თვითონვე ვამსხვრევ,
ვერ ვეთვისები ერთფეროვნებას.
და ვით არწვივი, მძლავრფრთებიანი,
ეამსა დილისას მიჭქრის მზისაკენ,
ისე მიჭქროლავს სული ლგოლვილი
იღუმალებით სავსე ცისაკენ.
მე მინდა მისწვდე მეცას, განგებას,
მოკვლა წყურვილი აზრის, გულისა
და მსურს გავიგო, რაა მიზანი
ჩვენი სიცოცხლის აღსასრულისა.

– მებრეპიკი ლილია (1883 – 1968)

ნაღვილი გვარი – მამულაშვილი.
დაიბადა სოფელ ბაილეთში (ოზურგეთი). 1905-1917 წლებში ეწეოდა პოლიტიკურ მოღვაწეობას, იცავდა აღმშენებელ, უმეტესად ქალთა უფლებებს; დაარსა საკვირაო სკოლა წერა-კითხვის უცოდინართათვის და საღამოს კურსები მცირეწლოვან ნოქრებისათვის; 1910 წელს დაიბეჭდა



**ზეზვა
მედულაშვილი**

მისი პირველი ლექსი „გაზაფხული“ ქურნალ „ნაკადულში“; 1925-1927 წლებში პირველად გამოსცა საბავშვო ლექსების ორი პაგარა კრებული; გარდა მხატვრული ლიტერატურისა, წერდა მრავალ წერილებს მუშების ცხოვრებაზე და სხვა წვრილმან საჭირობებზე საკითხებზე; ავტორია წიგნებისა: „მზა და ფისო“ (1939, საბავშვო პოემა), „მარგალიტის მძივები“ (1941, ლექსთა კრებული), „დარღვეული ოჯახი“ (1941, მოთხრობა), „ბაბუა და ლელა“ (1949, მოთხრობა), „მშობლიურ ცის ქვეშ“ (1952). 1990 წელს გამოიცა მისი კრებული – „პეპლები და ღელ-ოფლები“. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ქეთოს მერცხალი

გაფრინდა ქეთოს მერცხალი,
აღარ ჭიკჭიკებს ბანზედა,
ქეთო მოწყენით გაჰყურებს,
ცრემლი უბრწყინავს თვალებზედა.
და ასე ამბობს: – ნეგავი,
მეც რად არა მაქვს ფრთებიო,
რომ მისებრ გადავიქროლო
ცად აბჯენილი მთებიო.

- **მეგრული იონა**
იხილე *იონა ვაკელი*.

- **მედულაშვილი ზეზვა** (1939 – 2018)
დაიბადა სოფელ არაშენდაში (გურჯაანი).
1957 წელს დაამთავრა არაშენდას საშუალო

სკოლა და მისაღები გამოცდები ჩააბარა ოსუს ალმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე – ჯერ სწავლობდა სპარსულის და მერე არმენოლოგიის განყოფილებაზე. 1961 წელს მისი პირველი თარგმანი დაიბეჭდა ალმანახ „მეგობრობის ცისარგველაში“. მისი თარგმანები სპარსული, სომხური, ტაჯიკური, უზბეკური, თურქმენული, თურქული, ჩეჩნური, რუსული, გერმანული, ამერბაიჯანული, ოსური ენებიდან იბეჭდებოდა სხვადასხვა ქურნალ-გაზეთებში. 1974 წლიდან მუშაობდა მწერალთა კავშირთან არსებულ მხატვრული თარგმნისა და ლიტ. კურთხეობაში მთავარ სარედაქციო კოლეგიაში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.

**აზმერბაიჯანული ბაიათმეტი
თარგმნა ზეზვა მედიუმიშვილმა**

ვარდების თაიგულზედა
ცვარი ჰკიდა სულ მედა;
საგროფოს მოწერილ წერილსა
მალიმალ ვიკრავ გულზედა.
* * *

მეზადემ ბაღი შეღობა,
ქურდს უჭირს ცხვირის შეყოფა,
მე სევდის ბაღი ვაშენე,
ღობეღაც სევლა ეყოფა.
* * *

მონადირე დასდევს ირემს,
ირემი კი გზა-კვალს ირევს,
მე შენი ვარ და შენ ჩემი,
თუკი ბედი დააბირებს.
* * *

მთიდან ფეხით მოველი,
დარდი მწვავედა ცხოველი;
ერთხელ შეგხვდით და ჩვენზე
ჭორ-მაჭანკლობს ყოველი.
* * *


თავრიზი და მარაღა,
მეტი არ მაქვს ჩარაღა:
ჩემს საყვარელს დავეძებ,
დამრჩენია სხვა რაღა?!



**ირმა
მედიუმიშვილი**



**ტაბუ
მედიუმიშვილი**



**აზიანილი
მედიუმიშვილი**



**გრიბომელ
მედიუმიშვილი**

— **მელაშვილი კობე** (1923)

1942 წლიდან იგი გაიწვიეს სახელმწიფო უმროების ორგანოებში სამუშაოდ. მონაწილეობას იღებდა საბრძოლო ოპერაციებში გერმანული ჯარისკაცებისა და დივერსანტების წინააღმდეგ ასრულებდა მთავრობის დავალებებს. მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები. კოგე მელაშვილი საბჭოთა შეიარაღებული ძალების თავადის ოფიცერი იყო.

ლაღსორი

აქოჩრილ სათიბს ვარცხნის ბორით,
მერე ხევეებში შედის და მღერის,
თითქოს უკითხავს ნაძვებს შორიდან
ბარის მორთმეულ მოკითხვის წერილს.
აგერ, კლდეების თეთრი ქიმები
ულაყებივით ღვანან ყირაზე,
აგერ, სულ ახლოს აციმციმდება
უშმის გუმბათის ლურჯი მირაჟი...
და საძოვრების მწვანე სიმორე,
ფიჭვის და წიფლის შავი უღრანი
შეჭიდებია ღრუბლების მორევს,
მთები შუბებით მეცის ბურღავენ.
ისევ კლდეების თეთრი ქიმები
ულაყებივით ღვანან ყირაზე,
ისევ სულ ახლოს აციმციმდება
უშმის გუმბათის ლურჯი მირაჟი..

— **მელია იაკობ** (1922 – 1995)

გამოცემული აქვს კრებულები: „ლექსები“ (1955), „ლექსები“ (1968), „მზე და სანგარი“ (1970)

ჭირისნი

გადმოჰყოლია მთებიდან ქუხილს,
ვინ შეზღუდავდა გალღებს დღეგმიანს, —
გაუკაფია გზა ღვეის მუსლით,
გზადაგზა კლდენი დაუნგრევია.
წყალს დაუფარავს ხმელეთი ლამის,
წამოუღია მიწა ერთიან,
მოუძებნია შავი ზღვა მაინც
და კახაბერთან კიდევ შერთვია.
აღსდექ! მომძახის ჭოროხი დეღვით,
ყრმაო, შენ შენი ძალა გასცადე!
თუკი საკუთარ გზას არ მიჰყევი,
როგორ მიადწევ გულის საწაღელს?!
აი, ეს არის მართლაც მთავარი —
სიყვარული და ნაღდი ხარება,
სამშობლოსადმი ღვთოვანი ამგვარი
და ჭოროხივით გამქუხარება.

— **მელაშვილი გიორგი** (1957)

დაიბადა ქუთაისში. დამთავრებული აქვს ისტორია-ფილოლოგიისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტები. 1986-99 წლებში მუშაობდა ბეჭდურ მედიაში. არის ორი პოეტური და რამდენიმე სამეცნიერო-პოპულარული წიგნის ავტორი. გამოსცემდა და რედაქტებდა საკუთარ გაზეთს, ჰქონდა საავტორო პროგრამა რადიოში. ხატვა დაიწყო ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში. არის აშშ-ს ჯოჯოხის შტატის Landings Art Association-ის წევრი.

* * *

ისევ სევდის ხეივანი მათობოს,
გული ჭკნება, როგორც ია-ია,
ბინდი სიძრავეს ხილურჯაში მადლოს,
ვნაღვლობ,
სამრეკლო რომ გამოკეტილია.
მაინც უნდა შევევდრო უფალს,
(ჩემი ბედის ეკლის გვირგვინია)
მადისსებდეს მამულს თავისუფალს, გურფას,
როგორც მთიდან ჩამოფრენილ ნიავეს

— **მარაგოვილი ინესა** (1950)

დაიბადა გორში. 1967 წელს დაამთავრა გორის მე-8 რუსული საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ოსუს დასავლეთევროპული ინებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც 1972 წელს დაამთავრა. ინესა მერაბიშვილი არის ოსუს პროფესორი და თარგმანმცოდნეობის კათედრის ხელმძღვანელი, საქართველოს ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტი. არის გორის საპატიო მოქალაქე. ძირითადად იკვლევს და თარგმნის ბაირონს ქართულ ენაზე, ხოლო გალაკტიონს — ინგლისურ ენაზე. 2011 წელს დიდ ბრიტანეთში გამოიცა გალაკტიონის 50 ლექსის მისეულ თარგმანში. არის თხუთმეტი წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი, მათ შორის „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა“ (2005) და „თარგმანი — კულტურათა დიალოგი“ (2005).

რიტორული პარანსი, „წითელი პარალი“

თარგმნა ინესა მარაგოვილი
ჩემი სიყვარული წითელი ვარდია,
მაისში კოკორს რომ აიშლის,
ჩემი სიყვარული ის მწველი ჰანგია,
ტკილ სიმღერად რომ გაისმის.
რაც უფრო ღამაში ხარ, უნდა გავგანდო,
ეს გული მით უფრო არ ცხრება,
ქალაქ. მეყვარები, მარად მეყვარები,
ვიდრე ყველა ზღვა დაშრება.
ვიდრე არ დაშრება

მართლაც რომ ყველა ზღვა
 და არ ჩამოდნება ყველა კლდე.
 გვამდეს, მეყვარები, მარად მეყვარები,
 ვიდრე ქვიშანი ღელავენ.
 მშვიდობით, გმორღობი, ჩემო ერთადერთო,
 გჯეროდეს გულწრფელი ფიცის!
 ცხრა მთას გადაღმაც
 რომ ბედმა გადახვეწოს,
 შენთვის დაგბრუნდება, ვიცე.

— **მესხი ლაიო** (1860 – 1943)

დაიბადა ქუთაისში. 1880 წლიდან მუშაობდა თბილისში, გაზეთ „დროების“ რედაქციაში; 1908 წელს რედაქტორობდა გაზეთ „შრომას“, თანამშრომლობდა სხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში; 1879 წლიდან დაუკავშირდა ქართულ თეატრს, რომლის სცენარზეც დაიდგა მის მიერ გამოკეთებული პიესები. იგი იყო აგრეთვე მსახიობი, თეატრის დეკორატორი და რეჟისორი. 1935 წელს ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა მისი „მოგონებანი“. გამოცემული აქვს კრებულები: „გასართობი იმერული სცენები პროზად და ლექსად“ (1900), „იმერული სცენები“ (1902).

* * *

(ედვინება მსახიობ კოგე მესხს)

მოგილოცავ დღესასწაულს,
 შენს იუბილეს, მშაო კოგე!..
 მარჯვე დრო გაქვს, ჩვენი ქვეყნის
 მდიდრებს თუ რამ ჩამოკოტე.
 ოცდაათ წელს იმარხულე,
 სვალზეუ „ჩაუანტრიკოტე“.
 მაგრამ მერე რაღას შვრები,
 შენ, ქართველი მსახიობი,
 როცა წელში მოიხრები,
 როცა მოგედება ობი?
 ვაჰ, თუ მაშინ შეგვეხარბოს
 მემწვანისლის პრასის გობი!
 სულ ხომ ასე არ იქნება: —
 ვედარ დასძლევ ბონაპარტეს,
 მრისხანეთ ვერ ვადმოხედავ

ლოქას, ქანდარას და პარტერს,
 ვერც ჭირვეულს მორაჯულებს,
 ვედარც დასძლევ ნერონს, ბაზანს!
 ო, რა ბევრი დააკლდება
 შენს ღარბს დასხს და შენს ბაზარს!..
 მაგრამ ხალხის დაბალი წრე
 არ ივიწყებს აქტორთ შრომას...
 თუ მდიდრებმა არ მოგხელონ,
 არ მიეცე გულის წყრომას.
 მართალია, შენ ეს ხალხი
 ვერ მოგიგანს ლოქის ფასებს,
 ხოლო გვამდეს — იგი შენს ღვაწლს
 ღირსეულად დაფასებს.
 ყოველ სიმდიდრეს გერჩიოს
 ხალხის ძახილი ვაშისა; —
 რომელს ჩვეს აქტორს ჰქონია
 ყოფა მდიდარის ფაშისა?!
 არა უშავს!.. ხან გამოძებს,
 ხანდახანაც იმარხულე,
 სანამ მკერდში გული ვიძვრის,
 სცენას ემოჭირნახულე!..

— **მესხი რობერტ** (1973)

დაიბადა სოხუმში. 1990 წელს დაამთავრა ამავე ქალაქის მე-17 საშუალო სკოლა, ხოლო 1996 წელს — მისს-ს სოხუმის ფილიალის (სოხუმის სახ. უნივერსიტეტის) ფილოლოგიის ფაკულტეტი. ლიტერატურულ პრესაში იბეჭდება 1989 წლიდან. 1997-2000 წლებში მუშაობდა გაზეთ „აფხაზეთის ხმაში“, 2000 წლიდან ღვთაებთმცოდნეობის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2001 წელს გამოიცა მისი პირველი პოეტური კრებული — „აპრილი უშენოდ“, რასაც მოჰყვა: „წაშლილი ბაიათი“ (2004), „ნიქარები“ (2008), „მთვარე და ქუჩა“ (2010), „მზის რაფსოდია“ (2013).
 ძირითადი თემატიკა


სიმშრის ავეყვი,
 გავადვიძე თეთრი ნაძვები,
 ვადმომილაგა ნოსტალიამ
 ფოტოარქივი, — ამ მუხის კასრში



კოტე
 მარჯანიშვილი



ინესა
 მარჯანიშვილი



გიორგი
 მერაბიშვილი



ლავიო
 მესხი



რობერტ
 მესხი

უჭირფასეს სევდას ვაძველებ
 სარაჯიშვილის ქარვისფერი
 კონიაკით.
 ქრისტეშობისთვე
 მოშიშვლებულ
 ნაპირს დახატავს,
 შენ და სოხუმი –
 რა შორსა ხართ ახლა ორივე...
 მარსის მინდორზე
 მეწაპული მიმაქვს ლაბადა,
 ხარის წელიწადს უნდა დაეხვედ
 მაგალითით.

– მეტონიამ ლელა (1972)

დაიბადა თბილისში. დაამთავრა ქუთაისის მე-10 საშუალო (რუსული) სკოლა, შემდეგ – ეროვნული სამედიცინო აკადემია (სამედიცინო უნივერსიტეტი); პროფესიით არის ონკოლოგი, ონკოგინეოლოგი, მუშაობს ქირურგიაში. პირველი ლექსი გამოაქვეყნა სოციალურ ქსელში; მისი ლექსები დაიბეჭდა თანამედროვე პოეზიის „მზის არილის“ ორ ტომში, შეყვარებულთა სამაგიდო-საპაეზო წიგნში, ასევე „ამ საუკუნის ფოლიანტები“ – კრებულში; მზად აქვს გამოსაცემად ლექსების პირველი კრებულის. არის ავტორი ახალი მიმდინარეობის – ალიგერაციის ახალი ვარიანტისა, რასაც ავტორმა „ანბანთქება“ უწოდა.

* * *

ერთხელ, მეც მჭირდა ვარდის ფურცლობა,
 ბლის ნასხეპ შტოებს ჩურჩულით ვთვლიდი,
 მსუბუქ ნაბიჯით, ემოს ბოლოდან,
 ვემიღებოდი ფიჩხსა და ფითილს...
 ერთხელ მეც ვიყავ თოვლზე ალალი
 და მოქარგული ფიფქით
 ნაფრთები, თეთრი მკლავების
 ურჩი კანკალით და ლურჯი მშერთი,
 ცისკრის ზარების!
 ერთხელ მეც მითქვამს პაგარა ლექსი,
 სულ ერთი ცრემლის – მხოლოდ იამე,
 მას მერე ქარებს უვლიათ შეშლით
 და სულ ფურცლებად გამანიავეს...

– მეტონიამ ლელა (1957)

დაიბადა სოფელ ფლაგში (გორი). დაამთავრა გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. გამოცემული აქვს ორი რომანი: „საყდრის ჩიგები“ და „ჯალათის მუნდიონი“. მისი მოთხრობები იბეჭდებოდა სხვადასხ-

ვა ჟურნალ-გამებებში, მკითხველმა იგი უფრო ინტერნეტ-სივრცეში და სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული ლექსებით გაიცნო.

* * *

შორს იისფერად, მთაზე თრთის ნისლი,
 ამოდის მთვარე ღრუბლის ხველებით,
 დაისის კუნძუზე დაკლულ მშის სისხლით
 შეღებილი აქვს ღამეს ხელები,
 დღეს იმ დარდზეა სული გამწყვრალი,
 ჩემთან ყოფნის რომ სურვილს უბრუნებს
 და ცრემლის ქანგი თუ შეჭმულ წაწმამით
 ვლურსმავ გარინდულ ღრუბლის კუბოებს...
 ემოს გადაღმა ვიღაცა მგზავრი
 „გამარჯობაო“ – დამიგდებს ისე,
 თითქოს კრწანისის ბრძოლაში ვგზავნი
 და ვაგან მურგში ჩაგვხილ ისრებს.
 გამგყდარ სხალივით ფლიდა და მოკლეს
 საწუთროს ასე მიგომ განვიციდი,
 ასე მგონია სიცოცხლით მომკლეს
 და რომ აღარ ვარ, დღესაც არ ვიცი...
 დღეს იმდენ მსგოვარ, „მოკეთეს“ ვიღებ,
 სახლში იმდენი ერთგულიც არ მყავს,
 როგორ გაუკლეს ბებერი ცისე
 ამდენ უჯიშო მომხდარის ალყას...
 „არ გათვრდების ყორანი-მეთქი“,
 ჩვენ მაინც ვხვხავთ ქვითა და ქვითა,
 მე ჩემი მინდა კაცი და ღმერთი
 და ამ ღმერთით ვამაყი ჯიშში...
 მაგრამ... ეს სიგყვა დაშნის პირებით,
 ისე მიგზავნის სულის ამომცლელს,
 ქრისტეცა კი ვერ დავიგვირებოდი,
 ამდენ იუდას რომ არ ვაძობდე...
 არც ევროპა ვარ და არც აზია,
 მე არ მჭირდება არვის მისნობა,
 ჩემს ჯიშს შტრისკოდის ორი ხაზი აქვს –
 ცისა და მიწის მარადისობა...

– მეტონიამ ლელა (1947 – 2014)

პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი.

დაიბადა თელავში. დაამთავრა თელავის მეცნიერებათა ინსტიტუტი და შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. წლების განმავლობაში მუშაობდა ჟურნალისტად პრესაში და რადიო-ტელევიზიაში. ავტორია 35-მდე ორიგინალური და გადმოქართულებული პიესისა. „შაბა ვაჩნაძის“ ფსევდონიმით ჟურნალ „გმა“-ში გამოქვეყნებული აქვს სუთი რომანი. მისი პირველი ლექსი ახალგაზრდობაზე 1965 წლის ავგუსტში გამოქვეყნდა; „თბილისში“ დაიბეჭდა; გამოცემული აქვს ლექსების კრებულები:

„სულის სანთლები“ (2014) და „სასწაული“.
გაზაფხულის უღი

გაზაფხულა, გაზაფხულა,
მზის სხივებმა გვახარეს...
ყვავილებმა ჭრელი ფთილა
მიწას მიმოაფარეს.

არაკრავა ნაკალუა
ამრიალდა გყეები,
თოვლი გაქრა, ყინვა გადნა,
დაღვა თბილი დღეები.
მივლოცოთ ყველას, ყველას
დიდება და პატივებს,
ვისაც ქვეყნად გაზაფხულის
მოსვლა ასე ახარებს.

— მებრძოლი ლაღ (1955)

დაიბადა ონში. დაამთავრა ოსმის ქიმიის, სამ-
გადაღობრივ პროფესიათა და იურიდიული ფა-
კულტეტები. სხვადასხვა დროს მუშაობდა სკაბ-
ილური იმუგოპების სამეცნიერო-კვლევით ინსტი-
ტუტში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემი-
ის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტ-
ში, საქართველოს ლგოლვილთა და განსახლებ-
ის სამინისტროში, გამოქვეყნებულია „დიფენეში“.
არის ქიმიის ლექტორი, ქიმიის მასწავლებელ-
თა ასოციაციის თავმჯდომარე. გამოქვეყნებ-
ული აქვს 20-მდე სასკოლო სახელმძღვანელო
ქიმიის. ლეღა მეტრეველს დღემდე გამოცემუ-
ლი აქვს ლექსების 5 კრებული და ერთი ზღა-
პარი. სხვადასხვა გამოცემაში დაბეჭდილი აქვს
რუსული, ფრანგული და იაპონური პოემების თა-
რგმანები. არის აღმანას „ამერ-იმერის“ პასუხ-
ისმგებელი მდივანი.

ანლაზამბის თემაზე

წყალნი წავლენ და წამოვლენ როცა,
თქვენ ხომ დარჩებით მაინც, ქვიმანო?!
თორემ ირგვლივ სულ არავინ მოჩანს,
ამ ბეწვის ხიდზე რომ გავიყვანოს.
ეამი, უღრუბლო დღეთა მპარავი,
არც მოგკლავს და არც ცოცხლად დაგარჩენს...

არც გეგულეღა ქვეყნად არავინ,
რომ ჩამოყერდნო, როგორც ყავარჯენს.
მოგაგებარ ბაკანს – მგლების არჩივი,
ან ფოთოლს, ხევეში ქართი ჩანაგანს
და უჭიღები ლექსებს ხავსივით,
რადგანაც ირგვლივ ხავსიც არა ჩანს.

— მეფარა ზვიად (1978)

ნამდვილი გვარი – ნეფარიძე.
დაიბადა რუსთავეში. სწავლობდა მე-15 საშუ-
ალო სკოლაში, დაამთავრა მე-7 საშუალო სკო-
ლა. 1996-98 წლებში მსახურობდა საქართველოს
სასამღვრო ძალებში. უმაღლესი განათლება არ
აქვს. 2004 წელს იწყებს რადიოპოეზიების, პიესე-
ბის და სცენარების წერას. ლექსების წერა გვი-
ან, 2005 წელს დაიწყო. 2012 წლის იანვარში სა-
ცხოვრებლად გადავიდა ქუთაისში და თავისთ-
ვის შერჩენა ფსევდონიმი „მეფარე“. გამოქვე-
ყული აქვს კრებულები: „აკალუსის ხურმა“ (2012),
„უცხო“ (2013), „შავი კარნავალი“ (2014), „გვი-
ვილები“ (2015), „ნოგების სახლი“ (2016), „ყო-
რნის ეფექტი“ (2017); თარგმნილი აქვს შექსპირის
სონეტები. მისი ლექსები შესულია ჟურნალებ-
ში „განთიადი“ (2012-2013) „უქიშერიონი“ (2014)
„ოლე“ (2018) წიგნებში „ჩვენ რუსთაველები“
(2013) „ქრისტიანული პოემების“ ორ ტომში (2014-
2015) „წმინდა ნინოს ჯვრის“ I ტომში (2017)
„ლისს იქით და ლისს აქეთ“ (2016) „სიყვარუ-
ლის წიგნი“ (2018).

ზარი


დიდი ხანია, რეალობის შავი დეგები
რაც აღარ მხვდება:
მას აღვიქვამ ვერასდროს ვერსად,
ვიცი, შავ სიგყვად მომავალში დავითესები,
არ წამიკითხოთ,
ჩემს წაკითხვას არ ვურჩევ მგერსაც,
თუმცა, აღარსად არის მგერიც. მე მათ ვუგანე
ჩემი ცხოვრების ბურუსიდან უღრმეს ორმომში,
ასე მგონია, დავაძინე ჩემში ვულკანი,
თუმცა, ახლახან შემისრულდა წელი ორმოცი.



ლეღა
მმტრმმმმ




ზმინაბ
მმტრმმმმ



თამაზ
მმტრმმმმ



ლეღა
მმტრმმმმ



ზვიად
მეფარა

ჩემს თავს ვაკუთვნებ გაუგებარ, უცხო, იშვიათ პოეტს, რომელმაც კონტაქტები დღემდე არ იცის. თქვენ, უჯრედებო, ეს რა უცხო ხილი გიშვიათ; იგი კალმითაც მოიპოვებს ნაღველს პარისის, მაგრამ არ უნდა; რაც ჩემია, ჩემთან არი და აქ რჩება, მე კი არსად გავალ ჩემი ფარიდან.

– მეხვეწიანი სოსო (1974)

დაიბადა ქვემო სვანეთის სოფელ ნანარში. დაამთავრა ლენჯინის საშუალო სკოლა. 1993 წელს ჩააბარა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორია-ფილოსოფიის ფაკულტეტზე, თუმცა, მიზეზით გამო, იძულებული გახდა სწავლისთვის თავი დაენებებინა და საზღვარგარეთ წასულიყო. ჩვიდმეტი წელი გააგარა უცხოეთში, ბოლო ცამეტი წელი ცხოვრობდა ესპანეთში. ლექსებს წერს სტუდენტობიდან. თუმცა პირველი პუბლიკაცია მოგვიანებით ჟურნალ „ცისკარში“ შედგა, შემდეგ კი – „ჩვენს მწერლობაში“. გამოცემულია მისი პოეტური და ლოკუმენტური პროზის ოთხი კრებული: „ღამესასწაული“ (2011), „მიჯაპარ“ (2014), „ქუნარეშ“ და Arboles Altos.

მითი მპროკული სოფელი

აქ ახლოს, ერთი მეუღლე სოფელია, სპორტ-კლუბით, ერთადერთი შუქნიშანი და ბანკის პაგარა ფილიალით. მე კი თვითმარქვია შოპენი ვარ, დავდივარ პიჯაკით და მუქი შარვლით ღამე კი ისეთი თბილი არი, ახლა ერთი კათხა ლუდი მინდა და ცოტა გართობა, ბილიარდით. მე ხომ, თვითმარქვია შოპენი ვარ. (ვარ და ამ აბსურდულ თამაშშიაც მთელი ბავშვობა მაქვს წაგებული) ახლა გამოვდივარ ოპერიდან, მინდვრიდან, ყურთასმენა წაღებული. ურიცხვი გენორი ჭრიჭინები, მღერიან იმას, რაც მე მომპარეს. ხმა მიყვარს ამდენი ნიჭიერი, ერთ წუთში გაჩენილი მეგობარის. უკვე არ მაწუხებს მარტოობაც; (ყველა ხმას რა თქმა უნდა არ მოეუხსენ) ცხოვრება ემსგავსება განტოლებას, რთულსა და ბოლომდე ამოუხსნელს. ჰაერი ბგერების ბუსუსებით, სულივით სუფთა და ქდერადია. ცამე ვარსკვლავები ფუსფუსობენ და მხხველვენ. რომ დავდუმდე ჯერ აღრეა.

– მთიარელია მურაღ (1953)

დაიბადა საშურში. 1978 წელს დაამთავრა გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან. მისი ლექსები და გამოცემული იბეჭდებოდა აღმანახებსა და ჟურნალებში: „პირველი სხივი“, „სათავე“, „ცისკარი“, „მაცნე“ და სხვა, ასევე სხვადასხვა პერიოდულ გამოცემასა და პრესის ფურცლებზე.

* * *

იყო მღაპარი და მის კარებთან როგორც ყოველთვის, თვლემდა მეკარე, ჯერ შევეფარე ქართა ხეივანს და მერე ჩუმად გამოვეპარე. ჯერ სიყვარულით სული დავითვერ, მივესათუეთ მშის და ცის თავანს, მერე კი თითქოს ვიღაც გამიწყარა და გაძევება ჩემი ითავა. და წამიც თითქოს საგულდაგულოდ საუკუნეთა კამად გაწელეს, სულმა ტკივილი ვერ დაიგია, ჩამოვჯექი და ლექსი დაეწერე...

– მთიელაშვილი ილო (1901 – 1953)

დაიბადა 1901 წელს ჩარგალში. მალე მისი მშობლები საცხოვრებლად ჯერ წითელწყაროს რაიონის სოფ. ქვემო ქედში გადასულან, შემდეგ – ყვარლის რაიონში. საბოლოოდ კი ლაფანყურში დამკვიდრებულან. ილო მთიელაშვილს სკოლაში არ უვლია, წერა-კითხვა მწყემსობაში უსწავლია. ძალიან უყვარდა წიგნები და ბევრსაც კითხულობდა. თითქმის მთელი სიცოცხლე ცხვარში გაატარა. იყო მეცხვარეობის ბრიგადირი, ბოლოს – ფერმის გამგე. 1953 წელს, როცა კოლმეურნეობის მანქანით შამთრის საბოლოოდ დაბრუნებულან სოფელში ბრუნდებოდა, მანქანა გადაეარდა და დაიღუპა. დაკრძალულია ლაფანყურში. 40-იანი წლების ახალგაზრდობამ მისი ყველა ლექსი შეპირად იცოდა. ამ ლექსებს მღეროდნენ ფანდურზე.

* * *

მოიდა ლექის მთხრობელი დილასა თენებისასა. შაუკრავ გადასავალი შეიღებსა ლექებისასა. გაუმართით საყუჩი, მისვლას ელიან მგრისას.

ბნელ კეცებზე ჩაჰყეფს ყორანი,
 ნასისხარს მისდევს ყმისასა.
 თან მონადირე ჩაჰყევა
 ბრძამს ეკიდება კლდისასა.
 შამაჰხვევია ნისლები
 ციხესა ყადორისასა.
 ცხენო, იარე, ფეჭოთითო,
 გავლას ნუ ჰზარობ გმისასა.
 ნუ უფიქრდები, ჰყოყმანობ,
 ვიწრო ბილიკებს კლდისასა.
 მოვის ანკარა წყალს გასმევ,
 ქუჩს გაჭმევ მაღლის მთისასა.
 იარე ჩქარი ნაბიჯით,
 გავცილდე ლეკის მიჯნასა.
 ბნელაში ურჯულოები
 თოფს ვერ უნახვენ ლიშანსა.
 თუნდა გვესროლონ, აგვეცდება,
 ვერ გასტყვენ გულის ფიცარსა.
 შენ თუ მოგარგყეს, ოკერო,
 ჯაფრს არ შაგაჭმევ მგრისასა.
 ვეცდები, ვანანიავებ,
 სისხლით შავლებავ ქვიშასა.
 ან მეც შენ გვერდზე მოვეკვდები,
 შუქს დავიბნელებ მშისასა.
 და თუ მე მომხვდა, გიალო,
 კელთ არ ჩავარდე სვისასა,
 აქ არ გასჩერდე, ჩაუღი
 ველებსა კახეთისასა.
 პაგრონის სიკვილის ნუ იგყვი,
 თუ ვინ ჩემ ამბავს გკითხავსა.
 ხანდახან იქაც მიხვდები,
 საცა მე მისვლა მიყვარსა.

— **მთიგელაშვილი ლუკა** (1927)

დაიბადა ლაფანყურში, გლეხის ოჯახში. დაამთავრა 4 კლასი და დაიწყო შრომითი საქმიანობა კოლმეურნეობაში. ხშირად ავადმყოფობდა, მაგრამ საკუთარ ჯანმრთელობას ყურადღებას ვერ აქცევდა. 1973 წლიდან მესამე ჯგუფის ინვალიდია. მალე მხედველობა დაუქვე-

ითდა და 1980 წლიდან სრულიად დაეკარგა. მაგრამ ამას არ შეუშინდა, ჯერ გონებაში თხზავდა ლექსებს, შემდეგ კი კარნახობდა ჩასაწერად. ბეპირად იცოდა არა მარტო თავისი ლექსები, არამედ ძალიან ბევრი ხალხური ლექსი და ვაქას თითქმის ყველა პოემა.

* * *

მიყვარხარ, ჩემო სამშობლოვ,
 ადგილო მთა-გორიანო,
 თვალუწვედნელო ჭაღებო,
 მთების კალთებო, გყიანო,
 მთებო, ყოველთვის მღუმარევი,
 ჭიუხნო ნადირიანო,
 ჯიხვების კვალზე მავალო,
 ვაჟავ, ფეხწრიაპიანო,
 როდისა ნახო გივლები,
 სიათა გაახშიანო,
 კლდის ძირში ცეცხლი დაანთო,
 შამფურებ დააგრიანო.
 შენაც მიყვარხარ, ლოპოგავ
 მთების ანკარა წყლიანო,
 ხან ამდგრეულო, მყვირალო,
 ხან დროს წყნარო და ჭკვიანო,
 ფრთხილად იარე, ძმობილო,
 არაფრით დაგვაშინო.
 ჩემო ლამაზო სოფელო,
 სამოთხევე ყვავილიანო,
 დედის რძესავით გკბილო და
 დედის მკერდით რძიანო,
 წყლითა, გყიანო მიწითა –
 ყველაფრით ბარაქიანო.
 ფშავლების დედაქალაქო,
 ლაფანყურს გეძახიანო.

— **მთის ნიპი** —

იხილე *მეგრელიშვილი ვრიგოლ*.

— **მიხარაოვლიძე თადეოზი**

იხილე *იორაბაშვილი მირიან*.

— **მიხინოშვილი რომან** (1928 – 1999)

დაიბადა სოფელ სიჯუნაში (აბაშა). 1952 წელს დაამთავრა ოსუს-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. პირველი ლექსი 1945 წელს გამოაქვეყნა, პირველი წიგნი – „ელადის მუზა“ (ანტიკური ბერძნული პოემების ანთოლოგია) – 1963 წელს. მასვე ეკუთვნის ნაშრომები „იონან დამასკელის გარდამოცემის“ ქართული თარგმანები“ (1966), „მომემე ლიტერატურათა მეგობრობა“ (1972), „გვიამბობს მოხუცი ჰომეროსი“ (1978). ქართულად



ნოსო
გოგოლაშვილი



მურად
მთხვარაშვილი

თარგმნა ვერგილიუსის „ენეიდა“ (1976) და ჰომეროსის „ილიადა“ (1979).

**მკვლამრძნული მკიზრამკვი
ლიონიდიოს სოფისტო**

თარგმნა რომან მიმინოშვილი
პარღვების გაყვილები ბოზო

ვარდებიანო გოგოვ,
თვითონ ვარდო! რას ჰყიდი?
ვარდს თუ საკუთარ თავს?
თუ ერთსაც და მეორესაც?
სატრჯოს

მსურს ვიყო სიო,
ზღვის ნაპირზე რომ ისეირნებ,
მაგ შიშველ მკერდზე გავრძობინო
ჩემი ალერსი.
მსურს ვიყო ვარდი,
რომ მომწყვიტო და შენი ხელით
ძოწულის ფერს ბინა მომცე
ქათქათა მკერდზე.

— მონღალური პოეზია (1940 – 1991)

დაიბადა ცნობილი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის ალექსი მინდაძის ოჯახში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც 1964 წელს დაამთავრა. მისი დებიუტი ლიტერატურულ ასპარეზზე 1960 წელს შედგა, როდესაც სალიტერატურო პერიოდიკაში გამოაქვეყნა პირველი ლექსები. იგი თერთმეტი პოეტური კრებულის ავტორია, მათ შორისაა: „თბილი თოვლი“, „მესამე ზარი“, „სახელები“, „უპირველეს სიყვარულს“, „მიზეზი ღმერთსა ლევინსა...“; მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე „საყმაწვილო ლექსების კრებულები „ორი ჭიანჭველა“ და „ეკამ ვარდი დახატა“.

„შლაგაჯესი ბოზო“ ძალაქის

არც იშვიათად, არც ისე ხშირად,
არც ისე ადრე, არც ისე გვიან,
ულამაზესი გოგო ქალაქის
გამოჩნდებოდა მთავარ ქუჩაზე.
მაგნიტოფონის ლენტგივით უცებ
წყდებოდა ფიქრი და ლაპარაკი.
მოედებოდა ჩურჩული ქუჩებს:
– ულამაზესი გოგო ქალაქის
არც იშვიათად ასე ხდებოდა:
გოგო ვიდაცას ესალმებოდა.
– ეს გაუმარჯოს ლოდინს და იმედს
და გულუბრყვილო ბუნებას კაცთა!
მან გააიარა და გამიღიმა
და დარდი ჩემი თოვლივით გადნა.

ეს იყო წინათ: არც ისე ხშირად,
არც ისე ადრე, არც ისე გვიან,
ულამაზესი გოგო ქალაქის
გამოჩნდებოდა მთავარ ქუჩაზე,
და როგორ მოხდა, არ ვიცი, ბოლოს,
რომ გახვეწულ ბიჭების თვალწინ
გაუჩინარდა საღამოს ბინდში
ულამაზესი გოგო ქალაქის.
ლაპარაკი და ჩურჩული მიწყდა,
ასე დასრულდა ერთი არაკიც
– ბელნიერია, ვინც დაიწვივა
ულამაზესი გოგო ქალაქის.

— მინდოლაური ხეთისო (1906 – ?)

დაიბადა სოფელ არგანში (თიანეთი). დედიო ადრე დაიბლესულა და ბავშვობა სიღატაკეში გაუტარებია. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. 1924 წლიდან ცხოვრობდა ლაფანყურში და აქვე გარდაიცვალა. მას მეტოქეობა გაუწყვია თითქმის ყველა ცნობილი მოლექსისათვის. სამწუხაროდ, მისი კაფიებიდან ძალზედ ცოცხალი შემორჩენილი.

ხეთისო მინდოლაურის და
ხეთისო ბაიაშვილის კაფიობა:

მინდოლაური

შენ ცოლის გუჩებ დავეკონე,
აკი მეც ხეთისო მქვიანა.

ბაიაშვილი

ცოლისდაია ის შენი,
მოდი, თუ შაგილიანა.
შენ ცოლს ეხლა მეც ვაკიცებ,
თუკი აქამდე კი არა.

მინდოლაური

შენ არ იცოლი გინება,
რამ ეშმაკმ გადაგაიარა?

ბაიაშვილი

იცვლება კაცის გუნება,
ზოგ ადრე, ზოგი გვიანა.

— მიჩხუნალაური პლიო (1903 – 1971)

ნამღვლი ვვარი – მაშაშვილი.
დაიბადა სოფელ ხორგაში (ხობი). სწავლობდა მოსკოვის ვ. ბრიუსოვის სახელობის სრულიად საკავშირო სალიტერატურო ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ ჩაირიცხა ქურნალისტიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1927 წელს. 1921 წლიდან მუშაობდა დაიწყო კომკავშირის ცკ-ს ბეჭდვითი სიგეების განყოფილების მდივნად. 1940-1944 წლებში იყო პარტიის ცკ-ის თანამშრომელი, ხოლო სხვადასხვა წლებში ქურნალების –

„მნათობისა“ და „დროების“ რედაქტორი, 1968 წლიდან – საქართველოს წიგნის პალატის დირექტორი. 1923 წელს გამოქვეყნდა მისი მოთხრობები და პოემები, ხოლო ლექსთა კრებული – „მერჩხი“, ბუმერანგის ფსევდონიმით, გამოვიდა 1924 წელს, დრამატული პოემა „სურა დაიმსხვრა“ – 1959 წელს. 1947 წელს გამოსცა რჩეული ლექსები, შემდეგ – კრებულები „მაღალი ოცნება“ (1950) და „ჰიმნი სამშობლოს“ (1951). დაკრძალულია დიღუბის პანთეონში.

* * *

ერთხელ ქალი მიმავალი დავინახე ყველა, მის ემზიან სიღამაზე გზას უთმობდა ყველა. სწორედ ირმის აღნაგობა, სწორედ ირმის ყელი, განზე თმები გაღმრეშვა, როგორც ცისარგველა. ქალო, იქნებ ყარობ მგოსანს გზები ვაუკვალო, დამანახო შენი ბინა, საღ ხარ, ვის უგალო? შენი ფხვით გალწვინო ჩემი ველის კალო, ვენაცვალის ჩემი თავი შენ, კახეთის ქალო!

– მიქაბერიძე ლია (1969)

დაიბადა თბილისში. 1986 წელს დაამთავრა თბილისის 160-ე საშუალო სკოლა, 1993 წელს კი – ოსუს ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1992-94 წლებში მუშაობდა თავდაცვის სამინისტროში, აფხაზეთის ომის დროს ერთ-ერთი სამხედრო შენაერთის საინფორმაციო სამსახურს ხელმძღვანელობდა.

ა ღ ს ა რ მ ბ ა

ასე თუ ისე, ყველა კითხვას უკვე გავეცი პასუხი, თანაც, ახლა ვიცე, როგორ გვიძო, გამოვიცნადე, – იმდენგზის და ისე დავეცი, ან კი, როგორღა უნდა გთხოვო, კვლავ შემეწიო... ანდა როგორღა უნდა შეეძლო, შეგახო სიგყვა, ჩავეკიდებო საკუთარი სულის უფსკრულებს, ცოდვების სუსხი გახურებულ ყვრიმალში მირტყამს, ვღრკვინავ, ისეთი რა ალექივა, რომ ავისრული?!


განსაცდელსა და განცდილ ტკივილს ცალკე ვალაგებ, და ცალკე ვაწყობ მშეთ უნახავ დღეთა ფორიაქს, სული კი, ფუჭი ოცნებების ძვალთშესალაგი ტოვებს სხეულს და მიუყვება მშის ჰარმონიას... ვაბრუნებ... შენი ნებისაებრ; საკუთარ სხეულს ვაგარებ, როგორც გლანქ ფეხაცემელს, რომელიც მიჭერს, შენკენ მომავალ გზას ვაღვაჯარ, გზას მიმოხვეულს, – თავისუფალი გამაჩინე და მე შენ გირჩევ!..

– მიქაბერიძე რუსლან (1939)


დაიბადა ხარკოვში (უკრაინა). 1960-1962 წლებში სწავლობდა თბილისის მხატვრული თვითმობილური კულტურის ინსტიტუტის სასწავლებელში, რომელიც არ დაუთმავრებია. 1969 წელს დაამთავრა ოსუს ფილოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა მოზარდ მაყურებელთა ქართულ (1960-1970), მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ (1971-1972) თეატრებში. 1972 წლიდან არის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი. შესრულებული აქვს მრავალი კინოროლი. რუსლან მიქაბერიძის პოპულარობას არანაკლებ მრდის ნიჭიერად დაწერილი ეპიგრამები და მახვილგონივრული ფუნაგორიები. გამოცემული აქვს კრებულები: „სულიკო“ (1997), „საღლეგრძელი“ (1998), „ლაღ“ (2000).

* * *

ვისია, ქალი ლამაზი, ბოლოს და ბოლოს ვისია?! ისევ საღო გაგვიხდა, რაც ჩემ და ჩემი ძმისია. ჯერ რუსი შემოგვესია, მერე სხვა წამოგვისია, სუყველამ გულზე გვიკბინა, უბეში ვინც ჩაგვისია. ვისია გურუა ქვეყანა, ეს მიწა-წყალი ვისია? იქნება მართლა არ ვიცი, იქნება მართლა სხვისია. იქნებ აფსუას ვგირა ნაპირი შავი ზღვისია,



რომან მიხიშვილი



ზაიმნა მიწლამი



ალიო მირცხულავა



ლია მიქაბერიძე



რუსლან მიქაბერიძე

ანდა ქსანი და ლიხვი ოსების საბრძანისია.
 ან ყიზილბაშის სამშობლო ბოლნისი და ღმანისია,
 მაშინ დიდგორი რა არი, კრწანისის რა კრწანისია?
 არ მოსათმენის მოთმენა ძალიან საბრძანისია,
 გადაგვაიწყადა ნაომრებს სისხლის ვალებს მისია.
 რომ აქ მხოლოდ ის ვიგუოთ,
 ვინც ჩვენთან ძმობის ღირსია,
 რადგანაც მიწა ჩვენ ფეხქვეშ
 მამა-პაპათა ძვლისია.

ვისია ეს საქართველო? უნდა გაირკვეს ვისია!
 მისთვის ის კვლილი, კაცებო, სიცოცხლის დასაწყისია!

– **მიაძაღ მორაპაილი**

X საუკუნის ქართველი პოეტ-ჰიმნოგრაფი, მწიგნობარი, კალიგრაფი, მგალობელი, შემდგენელ-რედაქტორი ვრცელი იადგარისა, რომლის ხელნაწერი უნიკალურია, როგორც შედგენილობის, ისე მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით, X საუკუნის ქართული წიგნის ხელნაწერების ბრწყინვალე ნიმუშია; კრებული შედგენილია 978–988 წლებში შატერდის მონასტერში; თავდაპირველად მასში 1264 გვერდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენამდე მოღწეულია 544 გვერდი; მან თავი მოუყარა მისი დროისათვის ქართულ მღვდელმსახურებაში გავრცელებულ საგალობლებს (ორიგინალურსა და ნათარგმნს), როგორც ქართველ (მიქაელ მორეკილი, იოანე მტებეარი, იოანე მინწხი, სტეფანე სანანოსძე-ჭყონდიდელი, ებრა, იოანე ქონქოსძე, ბასილი, კურდანი, მერჩულე), ისე ბერძენ ავგორთა ჰიმნებს. მიქაელ მორეკილის მიერ შედგენილი ქართული საგალობლების კრებული ძველი ქართული სამუსიკო კულტურის დიდებული ძეგლია.

– **მიაძაღ მია** (1966)

დაიბადა ვალში. დაამთავრა ვალის მე-2 სკოლა-გიმნაზია, 1989 წელს – აფხაზეთის სახ. უნივერსიტეტი და შემდეგ – ოსკ. პროფესიით ქურნალისტი და სამართალმცოდნეა. გამოცემული აქვს პოეტური კრებულები: „მონოლოგი ტკივილთან“, „მურიმშიე“, „სულისცალი“

მამა

სნეული მამა ვედარ სწევდა
 თავის წილ უღელს,
 ნადვლიან დედას
 ჰპირდებოდა ფეხზე დადგომას,
 მალე სამყოფი ექნებოდათ
 რძე და ნადული,
 თეთრშუბლა ფური
 მოიგებდა ხბოს ამ აღდგომას.

აყურადღება შექმის ტკაცუნს,
 თვლემდა ბავშვი და
 დედა ქვეყანას უხატავდა
 ზღაპრულ ფერებში.
 დილით მერცხალი შემოფრინდა
 ღია ხარკმლიდან
 და მამის სული გაიყოლა
 სასუფეველში...

– **მიაძაღაპა პიირან** (1929 – 2014)

დაიბადა ამბროლაურის რაიონში. 1947 წელს ჩაირიცხა ოსკ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ერთი წლის შემდეგ სწავლა განაგრძო სოხუმის გორკის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე; მისი ლექსების პირველი კრებული გამოვიდა 1967 წელს, სოხუმში. 10-მდე პოეტური კრებულის ავტორია. 1952-1953 წლებში იყო აზერბაიჯანის ზაქათალის რაიონის სოფელ ალიაბადის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. შემდეგ სოხუმში დაბრუნდა და მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, გაზეთის კორესპონდენტად.

– **მიაძაღ მოთარ** (1943 – 2005)

დაიბადა მარტვილში. 1952 წელს დაამთავრა ქალაქ სოხუმის პირველი საშუალო სკოლა, შემდეგ გორკის სახ. სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. მუშაობდა ასოთამწეობად ჯერ გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“, შემდეგ კი თბილისში, გამოცემლობა „საქართველოს“ სტამბაში. სოხუმში გამოიცა მისი ლექსების კრებულები „თოვლის ვარდები“ და „ლირიკ“ ასევე მის კალამს ეკუთვნის პოეტური კრებულები: „ვერვის შრი-ალში“, „გაცისკროვნება“, „აივანი ზღვაურში“, „მთვარე ვარდის ფოთლით“, „აკორდები“, „ლირიკა“, „კარაველა“, „ძველი რომანსი“, „ოქროს ძმები“, „ფაზარის კოშკი“. ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობასაც.

სომალდი

რა ხმაურობით, ქარო, მომადლი,
 ჰა, ლაქვარდებიც აიძღვრა ზღვისა,
 მაინც მიცურავს ლურჯი ხომალდი,
 ოცნების ჩემის და არა სხვისა.
 ზღვასაც აოცებს, ცასაც, ალბათ როს
 არ უფრთხის ზვირთებს გემი სრულიად.
 ფრთა გაუშლია ამაყ ალბატროსს
 და თითქოს იგი ჩემი სულია.

ვარ ამ ქარივით თავისუფალი,
 ვარ ამ მღვასავით თავისუფალი,
 თავისუფალი სივრცეებით,
 თავისუფალზე თავისუფალი.
 იცდილეს ყველა ნაფსაყულადრი,
 ან რაღად მინდა ღუმის ჩაშვება, –
 შვებაა ჩემთვის ასეთი დარი,
 სული სივრცეებს ეთამაშება.
 დაცხრები, ქარო, როგორც მომალდი,
 დაიწმინდება ლაქვარდი მღვისა...
 შორს მიირწევა ლურჯი ხომალდი,
 ოცნების ჩემის და არა სხვისა...

– მიქელაჟე კაპო (1878 – 1942)

დაიბადა სოფელ კულაშში (ქუთაისის მაზრა). დაამთავრა საბუთო ინსტიტუტი 1900 წელს და ცხინვალში წავიდა სამუშაოდ, სადაც დააარსა ბიბლიოთეკა, სცენის მოყვარულთა წრე, დადგა უფასო წარმოდგენები. ცხინვალში ყოფნის დროს დაუახლოვდა მესამე დახელებს, დაიწყო არალეგალურ წრეში მუშაობა. გაზეთ „ბრძოლას“ უგზავნიდა თავის რევოლუციურ ლექსებს და „ხ“-ს ფსევდონიმით აქვეყნებდა მათ. „ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების“ რეკომენდაციით მოსკოვში გააგზავნეს სასწავლებლად ახალგაზსნილ პედაგოგიურ კურსებზე, მაგრამ მალე საზღვარგარეთ წავიდა და განათლება ევროპაში მიიღო. დაამთავრა ბრიუსელის უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ქალთა მოძრაობის ევროპულ გამოცდილებას პარიზში გაეცნო და 1916 წელს საქართველოში დაბრუნების შემდეგ, თანამომარებთან ერთად ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა დაიწყო. მისი თაოსნობით, 1917-1918 წლებში რეგიონალური ქსელი „ქალთა ღიგა“ ჩამოყალიბდა. გამოცემდა და რედაქტორობდა გაზეთ „სმა ქართველი ქალისა“.

ი. ჭამჭაძის დასაფლავებას ქვეწარმავალთგან მარად ღვინილა,
 დღეს ვიგრძენ მწარე სულის წრიალი,

შორს, სამშობლოდან მესმის ქვითინი,
 გლოვისა ზარის რეკვა, წკრიალი.
 ავაზა კთაგან განგმირულს მგოსანს,
 დღეს ასაფლავებს განჯული მხარე,
 დაღლილ, ჯვარცმულ შვილს

მკლავგაშლით უცდის,
 სამშობლოს მიწა, მისთვის მწუხარე.
 ლაქვარდ ცას ჭმუნვით შეუკრავს პირი,
 ჩახელებულა არე და მარე,
 მოხთქვამს ისრაილ, სგირის პილაგე,
 კაიაფა კი მორცხვოს მღუკრავს.
 მიახენებენ, გლოვისა ზარი,
 ნელ-ნელა უკრავს, განს აბზრიალებს,
 მოყვარე, მგერი, წმინდა ცხედართან
 ერთად ისეველებს ცრემლებით თვალეებს.
 მალდა კლდიდან კი კაკო ყაჩაღი,
 თოფით დასცქერის ბრბოს მგლოვიარეს,
 გაფითრებული ცას ეფიცება,
 რომ ის განკურნავს მომაკვდავ მხარეს!
 მაშინ, მგოსანო, წრფელი ცრემლებით,
 კვლავ დაგიტრებს სამშობლო, ერი,
 დღეს კი ამ ჯალათთ სამფლობელოსა,
 რომ ეთხოვები, ხარ ბედნიერი.


– მიქელაჟე მამა (1964)

ექიმი, პოეტი, ჟურნალისტი.

დაიბადა თბილისში. 1989 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი ფსიქიატრის სპეციალობით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ანატომიის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, შემდეგ რესპუბლიკურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, 1986-1991 წლებში – მოღვაწე სააგენტო „ნოემა“-ში, შემდგომ – ტატიშვილის სახელობის რეაბილიტაციის ცენტრ „ნაუტილუსში“ – ფსიქოთერაპევტად. გამოცემული აქვს ლექსების და მოთხრობების კრებულები: „ქალი ოცდაცამეცამდე“ (2000), „Flash“ (2003), „რეეული“ (2008), „ბარათი“ (2008), „წეროს ჯვარი“ (2008), „მე და ჩემი კუსტურიცა“ (2010).



მაია მიქელაჟე



იოსარ მიქელაჟე



კატო მიქელაჟე



მამა მიქელაჟე

კუნძულის უბანი

იცო, რომ „მახილს“ ვამჯობინებ
 შენს „წერტილ-მძიმეს“;
 თუმც გვაკავშირებს და გვაშორებს
 ვეება გირე.
 ჩვენ გვაქვს შეხების „მრავალწერტილი“...
 ვღვავართ დაძაბულ „კითხვის ნიშნებად“
 და „ორწერტილით“ თვალთ შევცქერით
 ერთ-მანეთს.
 ვერ დაგვისვამენ, ვიმედოვნებ,
 ვერასდროს „წერტილს“,
 ვერ დაგვისვამენ!
 ესეც არ გჯერა (კითხვა-მახილი)?!

– მიხეილ ნიკოლოზი (1896 – 1937)

ნამდვილი სახელი და გვარი – ნიკოლოზ სირ-
 ბილაძე. დაიბადა სოფელ ჯვარისში (ამჟამად
 გვიბულის მუნიციპალიტეტი); 1903 წელს შეიღ
 წლის ასაკში, შეიყვანეს ქუთაისის სამოქალაქო
 სასწავლებელში, შემდეგ სწავლა გააგრძელა
 ქუთაისის რეალურ სასწავლებელში. დაამთავრა
 ორწლიანი სამასწავლებლო კურსები. პედაგო-
 გურ მოღვაწეობას ეწეოდა ვანის რაიონის სო-
 ფლებში გობანიერსა და საჩინოში. 1912 წელს
 ქურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ პირველად
 გამოაქვეყნა ლექსი „მთებში“. შემდეგ პერიოდ-
 ულად იბეჭდებოდა მისი მინიატურები და სტაგ-
 იები. 1918 წელს შეუერთდა „ცისფერყანწვლითა“
 ორდენს და მისი ერთ-ერთი აქტიური წევრი
 გახდა. სისტემატურად თანამშრომლობდა სიმ-
 ბოლისტა ბეჭდვით ორგანიზებთან („მეოცნებე
 ნიაშორები“, „პოემების დღე“, „ბახტრინი“, „ბარ-
 იკაი“, „რუბიკონი“). 1922 წელს თბილისში გამ-
 თიცა პოეტის პირველი წიგნი „წმინდანანი“. იმ-
 ავე წელს ნიკოლოზ მიწიშვილი საზღვარგარეთ
 გაემგზავრა. მან რამდენიმე ხანი დაჰყო სტამბ-
 ოლში, სადაც დაიბეჭდა მისი მეორე წიგნი „შავი
 ვარსკვლავი“. 1922-25 წლებში ნიკოლოზ მიწიშ-
 ვილი საზღვარგარეთ ცხოვრობდა და აქტიურ
 ლიტერატურულ საქმიანობაში იყო ჩაბმული.
 1924 წელს მან პარიზში ჩამოაყალიბა „ქართო-
 ელ ხელოვანთა კავშირი“. სამშობლოში დაბრ-
 უნების შემდეგ, ნიკოლოზ მიწიშვილი აქტიურად
 მონაწილეობს ლიტერატურულ-საზოგადოებრივ
 ცხოვრებაში. იყო სახელმწიფო გამომცემლობის
 სამხატვრო განყოფილების ხელმძღვანელი, 1926-
 28 წლებში რედაქტორობდა მწერალთა კავშირის
 ქურნალ „ქართულ მწერლობას“. უკანასკნელ
 წლებში რედაქტორობდა „მარია ვოსტოკას“. ც-
 დილობდა შუამავლის როლი ეთამაშა საბჭო-

თა ხელისუფლებას და ქართულ ინტელიგენციას
 შორის. 1937 წლის 2 ივნისს ნიკოლოზ მიწიშვი-
 ლი დააპატიმრეს, 13 ივლისს დახვრიტეს.
საქართველოს მზიან სმრმზმ
 დაპატიმრავს ქარი საქართველოდან
 და მოგონებას გავეყვები ჩქარა –
 ასეთი ბედი რად მომელოდა,
 რად ავეკიდე კარიდან კარა.
 გადამეშლება წარსული დღენი,
 პოეზია და ცივი თითები.
 გადამიარენ ვით ამორძლები
 ამბები, მღვებით განადიდები.
 მაშინ გავიწვევ ცისკენ ცერებმე,
 გავიმართები, გულს გაავსორებ
 და საქართველოს მზიან სერებმე
 ცრემლიან თვალებს გადავავტოვებ...

– მიქაილ ნიკოლოზი (1981)

დაიბადა კასპში. დაწყებითი საფეხურის გა-
 ნათლება მიიღო თვალბლის სკოლაში, 1998 წელს
 დაამთავრა კასპის №1 საშუალო სკოლა. ამავე
 წელს ჩაირიცხა ოსუს-ს ქურნალისტიკის ფაკულ-
 ტეტზე: პროფესია – ქურნალისტი. მეორადი სპე-
 ციალობა – კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების
 სპეციალისტი. ლექსებს ბავშვობიდან წერს. მისი
 ლექსები შესულია შემდეგ კრებულებში: „ოცნ-
 ება“ (გორი, 1995), „გარა“ (თბილისი, 1993), „ლექსე-
 ბის გამოფენა“ (ბათუმი, 2013), „მეკარტონ“ (შუახ-
 ვეი, 2013, 2014 , 2015), „გამოუქვეყნებელ ლექსთა
 კრებული (თბილისი, 2014), „ემიგრანტის წერილი“
 (თბილისი, 2014), „ჩანაწერები ინგას უნიდან“
 (ბათუმი, 2015)), „მოდინახე“ (სახხერე, 2015), „ოდე-
 ნი“ (ხარაგაული, 2015), „წმინდა ნინოს ჯვარი
 (თბილისი, 2015), „ინსპირაცია“ (თბილისი 2015),
 „13 სტიქია“ (თბილისი, 2015). გამოცემული აქვს
 პოეტური კრებულები: „სულის ქარავნი“ (2014),
 „ფერნაცვალ ფიქრთან“ (2016), „ქვაკაცა“ (2018).
მზის სათინობა
 მემე იყავილა ზეღამენზე ვვირილის ფერად,
 შეხსნა გვიანი სტუმარივით სამთავროს კარი,
 უფალო, ჩემო, ნინოს დრომდე ვინ იფიქრებდა,
 დასრულებოდა ქარიშხლებით გაცი და გაიმ.
 აღიგვებოდა უძლეველი კერპთა დროება,
 ცისარტყელა და შვიდი ფერი
 მორთავდა მცხეთის,
 რომ არა „ძალა ლომისა“ და „მზის სათინობა“,
 ვინ მოუვლენდა კვართის მიწას
 ძის გულისფთქვას...
 „ხეთა კეთილთა ნაყოფმა“ შვა რწმენა გულებში,
 ფარავნის გბასთან,

მწყემსებისთვის ჩიგი – მზეწვია, ვით მთის ნაქურის, წყაროს წყალთან შებმა უღელში აჭიკჭიკდა და... წმინდა ნინოს ჯვარი გვეწვია. უფალო, ჩემო, ანდრიას და მაგათას კვალებე, ასკილის ველურ სიტუფიდან – სვეტამღე ნათლის... ნინომ ხელები შეაშველა, ვით ქრისტეს, ჯვარზე... და ჩამორეცხა, ნათლისღებით, ცოდვები ქართლის...

– **მოლჩაგა** - ისილე თუმანიშვილი მიხეილ.

– **მოლაშხია ზაურ** (1946)

პირველი წიგნი დაბეჭდა 1962 წელს 16 წლის ასაკში, 1988 წელს ზაურ მოლაშხიამ გამოსცა ლექსების კრებული – „ვარსკვლავთა გალანი“, 2012 წელს კი გამოიცა მისი შემოქმედების მეტ-ნაკლებად ამსახველი „ერთგომეული“.

შენც ხომ მოკვდები, სიკვდილო
მე ვესარჩლები ამ მხეცებს,
ამ გვრიტებს, მერცხლებს, თოლიებს...
ღრო მკაცრობს, როგორც ნამცეცხს
მიწის შვილთ მიიყოლიებს.
მიღმეთისკენ მიხრილო, –
(ათენ-აღამებს მლოცვარო...)
შენც ხომ მოკვდები, სიკვდილო,
თუ არვინ დარჩა ცოცხალი.

– **მოლოღინი მამი** (1955)

ნამდვილი სახელი და გვარი - შედეა ვადე-ლია. დაიბადა სოხუმში. 1976 წელს დაამთავრა სოხუმის გორკის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მისი პირველი ლექსები გამოქვეყნდა გაზეთ „ავანგარდში“ 1976-77 წლებში. სხვადასხვა ღროს იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში: „საქართველოს სამრეკლო“, „გრაალი“, „მწერლის გაზეთი“, „განმათავისუფლებული“ და სხვა. მისი ლექსები შესულია „მზის არილის“ რამდენიმე ტომში, კრებულ-

ში – „საუკუნის ფოლიანტები“, არის მთარგმნელთა კოლეჯის წევრი. მისი მთარგმნები დაიბეჭდა ჟურნალებში „ანელი“ და „ისინდი“, რამდენიმე მთარგმანი და ლექსი შესულია „მეყვარებულთა წიგნი“ (ქართულ და უცხოელ პოეტთა საგროფილო ლირიკა) და „მსოფლიოს პოეტ ქალთა ანთოლოგიაში“ (2019). გამოცემული აქვს ლექსების კრებული – „გაკარული მთვარეულები, ამჟამად იბეჭდება პოეტური მთარგმნების კრებული „უსიმბრეტო სახლი“.

სოხუმის ჯვამა

„...აფხაზეთის წვიმა მიყვარს, იცი, რად? მგოსნის ხმა აქვს, როს ფთილებზე ხმაურობს...“ *გალაკტიონი*

სოხუმის წვიმავე, კვლავ ჩემში წვიმობ, უფლის ჩამოცრილო თაიგულო... ნაწნავებს იმკობდი მურმუხტებით, მანდობდი შენეულ საიდუმლოს... ლურჯო აკვნის სხვიო მეცის ჩვილის, ცრემლო მითიური ფსკუნჯების, ცხუმის ცის წვიმაო. ჩემში სტირი და წვიმობ, მომხმობ, გაბუღებით... ფთილებს მგოსანივით ესებოდი, ღრუბლის, ჩამოგყავდა მგალობეთი, მახსოვს, მაცეკვება სანაპირო შენი დაღალუბის სამოთხეთი; ცისკრის ღვინოსავით პეშვით გსვამდი, ჩემო მეციურო ხმინანბაჲ... შენი საოცარი ზარ-წკრიალის გალობას ვისმენდი მთარებდა, ახლა ნოსტალგიით დაღალუბის, სიღვა ხარ, წვიმაში, მანოლიაჲ... წვიმაო, ოღონდაც წამიყვანე და ზღვიდან მურმუხტებს ამოვიყვან!..

– **მოსაზრებით ილო** (1896 – 1954)

ღრამაგურგი, მთარგმნელი, მწერალი, პოეტი, სცენარისტი. დაიბადა სოფელ ჩარგალში. 1914-1917 წლებში სწავლობდა პეტერბურგის ფსიქო-ნევროლო-



ნიკოსია
მიწიშვილი



ნიწი
მოღრამილაჲჲ



ზაურ
მოლაშხია



მამი
მოლოღინი



ილო
მოსაზრებით

გიურ ინსტიტუტში; დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1926-1932 წლებში იყო ჟურნალ „შოლის“ პასუხისმგებელი მდივანი და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი; 1937-1940 წლებში – საქართველოს ლიტერატურული ფონდის დირექტორი; 1911 წელს დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი გაზეთ „სინათლეში“; აქვეყნებდა ლექსებს, მოთხრობებს, ნარკვევებს, პიესებს; მის რამდენიმე ლექსზე დაწერილია სიმღერა; არის ფილმების სცენარის ავტორი: „ის კიდეც დაბრუნდება“ (1943), „სადარაჯო ჯისურ“ (1941), „ქალიშვილი გადმიდან“ (1940), „ორი მეგობარი“ (1937), „მდინარის გაღმა“ (1935), „არმაულა“ (1935); ასევე წერდა ნაწარმოებებს ბავშვებისთვის, თარგმნა შეფჩენკოს, ფრანკოს, მაიაკოვსკისა და ესენინის ნაწარმოებები.

ლემის ძალი

ძელები დაბიფშენა, დამკრა ციებამ,
ბუხართან ქალი ნაწანავებს ნასკვავს.
ქალს სიციხიანი თვალი მიება,
როგორც დაღესტნის კრიალა ვარსკვლავს.
მას ქმარი ჰყავდა, გიალ ბორანთან,
ალანის პირას, მოჰკლეს თუშებმა,
საცაა იგი ჩონგურს მომართავს
და ძველი სევა მთეშუშება.
ფანჯრებში მთვარე შემოპარულა,
ქალს ად დახსნია დარდი ორგული:
- ისევ ქმარს სვირი? – ვკითხე ფარულად.
- სიყვარულს ვვირი! – ამბობს ჩონგური.

– მოსია ტიტა (1946)

დაიბადა სოფელ კახათში (ბუგდიდი). სწავლობდა ქვემო კახათის შვიდწლიან სკოლაში, შემდეგ კი – ხეთის (ხობის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო გექნიკუმში. 1970 წელს დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი და იქვე დატოვებულ იქნა სამუშაოდ ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე 9 წელი მუშაობდა ლაბორანტად. 1979 წლიდან აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელია, ხოლო 1984 წლიდან – დოცენტი. აფხაზეთის ომის შემდეგ წლების მანძილზე ლექციებს კითხულობდა სახელმწიფო და საერო უმაღლეს სასწავლებლებში: ოს-შს სოხუმის ფილიალი, ბუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი (განაგებდა ქართული და საზღვარგარეთული ლიტერატურის კათედრას), სოხუმის ილია ვეკუას სახელობის უნივერსიტეტი (იყო ფილოლოგია-იურიდიული ფაკულტეტის დეკანი). ფოთის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, სოხუმის ცოგნე დადიანის სახ-

ელობის ჰუმანიტარული ინსტიტუტი. 1996 წლიდან ისუ ბუგდიდის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. 2009 წლიდან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. გამოცემული აქვს 15 პოეტური კრებული.

– მოქალაქეობილი სპეკული (1913 – 1969)

დაიბადა დაბა კულაშიში (სამტრედია), ქართველი ებრაელის ოჯახში; მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში.

ორი მუჭა მიწა


ორი ბელგი, ორი მუჭა მიწა,
ლევის ძირას ეგლო მწვანექორიანი.
იქვე ჩრდილში, საწუთროზე მომჩივანი,
მოლის ნოხზე ორი კაცი იწვა
ორი ბელგი, ორი მუჭა მიწა,
ლევის ძირას ეგლო მწვანექორიანი.
საუბრობდნენ კაცნი, სიგყვის ფიწალს
წაბოსდებდნენ ხოლმე აზრის ბურბუშელას:
- სიკვდილს შემდეგ
არ არსებობს ნუთუ შველა?
არ ბრუნდება მიიცვლება ვინცა?
აღამისძის არა ესმის იმ ცას?
ცაა იგი თუ ლაქვარდის ბურბუშელა?
- გყუილია, არ არსებობს ღმერთი!
- მაშ, სად არის უკვდავების დასაყრდენი?
არც იმედი, სიმშარვიით ასახდენი,
იმქვეყნიურ ქარებს აღარ ერთვის...
- გყუილია, არ არსებობს ღმერთი!
- მაშ, სად არის უკვდავების დასაყრდენი?
- ორი ბელგი, ორი მუჭა მიწა,
წინათ იყვნენ კაცნი ლამაზქორიანნი...
იქვე ჩრდილში, საწუთროზე მომჩივანი,
მოლის ნოხზე ორი კაცი იწვა.
ორი ბელგი, ორი მუჭა მიწა,
ლევის ძირას ეგლო მწვანექორიანი.

– მუხა ქალი

იხილე *მგელადე საფო*.

– შიკელიშვილი მათაია (1909 – 1992)

დაიბადა სიღნაღში. 1925 წელს დაამთავრა თბილისის მე-8 საშუალო სკოლა, ხოლო 1930 წელს ოს-შს პედაგოგიური ფაკულტეტის ლიტერატურული განყოფილება. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, სხვადასხვა დროს, მუშაობდა საქართველოს რადიოკომიტეტის საბავშვო გადაცემათა რედაქტორად, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მეცნიერ-თანამშრომლად, იყო მოსწავლეთა რესპუბლიკური



განა დასამალია?
როგორ მოთხუქნულია,
სად იარა, სად არა!
ბანაობა გაამოს,
სუქდი, სუქდი, პაგარაჲ!

– მრეწველი ლალო (1926 – 2006)

დაიბადა სოფელ იყალითში (თელავი). 1950 წელს დაამთავრა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. პირველი ლექსი „ლაზი ვიყავ და ლაზი ვიქნები“ 1948 წელს გამოქვეყნდა „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა, პირველი წიგნი – პოემა „ზარი სამგორში“ – 1955 წელს. იგი ავტორია პროზაული და პოეტური კრებულებისა, აღსანიშნავია საყმაწვილო წიგნი „იყალითოელი ბიჭები“ (1957), „ლექსები“ (1959), „განკვეთილი საღაფე“ (1970), „თავგადასავალი სამი ღამისა“ (1971), „გზები საყვარელ მოულოდნელობებში“ (1973).

სასახლის მხაგვრული კითხვის წრის ხელმძღვანელი, საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო სექციის ბიუროს მდივანი, ჟურნალ „დილას“ მთავარი რედაქტორის მოადგილე. პირველი ლექსი „წერილი აბასთუმნიდან“ 1927 წელს გამოქვეყნდა, ხოლო პირველი წიგნი – „ლექსები“ – 1940 წელს. ბავშვებს შორის პოპულარული იყო მისი ლექსები: „დილა მშვიდობისა“, „საწყალი კურდღელი“, „ჩიტი-ჩიტი“, „შენ გიგალობ პაგარაჲ“, პოემები: „ჭანჭიკელა“, „გოგია და გოლია“, „მიყვარს ყველა ცისარგველა“ და მრავალი სხვა. მან გადაამუშავა და გამოსცა ქართული ხალხური მღაპრები „ირმისა“ და „კომბლე“. ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობასაც. ქართულ მკითხველს გააცნო ფრანგული ხალხური საბავშვო ლექსები, შარლ დე კოსტერის რომანი „უღელმთივლის ლეგენდა“.


დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ჭ უპა-ჭ უპა!

ჭუპა-ჭუპა წყალი მაღე!
თავი უკვე დავიბანე,
უკ, რამდენი ქაფი დადგა,
შიგ ყელამღე დავიმაღე!
თურმე ჩემი თოჯინა
ძლიერ დასაბანია.
დაბანა რომ არ უყვარს

შემოღწევა

შემობრძანდა შემოდგომა დახუნძული ვენახებით, მინდვრებო და გყეჭალებო, რა ღამაზად მენახებოთ. სიო ფოთლებს სიმინდისას ისე ნაზად აშრიალეხს, შემურდებოთ ბაღში ხეებს ხეებს, ღამაზ თავშლიანებს. ნეგავ საით მიიქარის მოლი კოკე ნაკადული მაფხულიდან ბალ-ბოსგნებში მიმოფანტულ-დაკარგული. როგორ სუნთქავს არემარე, რა სიუხვით, რა ბარაქით; დროა, ხილის მთავორეხო, სარდაფებში დაბანაკლით. ხარბად ნთქავენ საწახლები მგვენებს – ქარვის „კიჭიანებს“, კარო, კარო მარნისაო,



ტიმპ არისია



სამშველ მიქელშვილი



ლალო მკიტარიშვილი

უფრო მაგრად იჭრიალე!
უფრო მაგრად დაიბერგყე,
უფრო უხვად, ცაო, კალთა,
რომ კვლავ იყო პირნათელი
საქართველოს მომავალთან.

– **გვლელიაშვილი თინათინ** (1955)
პოეტი, მხატვარი, საზოგადო მოღვაწე.
დაიბადა ქუთაისში. დაამთავრა თბილისის 55-
ე საშუალო სკოლა, შემდეგ – თანამედროვე და
ტრადიციული ხელოვნების კოლეჯი, მასობრივი
ლონისძიებათა რეჟისურის განხრით. მუშაობ-
და მსახიობად. არის მხატვარი და მხატვართა
კავშირის წევრი. ავტორია წიგნებისა: „დე, ვიყო
მეცამდე მართალი“ (1996), „აპოთეოზი“ (2002),
„მომიგონე მე“ (2007), „მარტოხელა, მარტოსუ-
ლო ქალბატონო“ (2008), „100 ლექსი“ (2008), „სმა-
ლი ავლესოთ, ქართველებო“ (2011), „მთელი
თბილისი ციხეშია, ანუ საკანი № 7“ (2015).

* * *
ჭრელ კაბაში დაგაბეროს ღმერთმა,
ფარად მოგცეს არწივივით ქმარი...
შეგიყვაროს კაცმა ერთადერთმა,
მარად იყოს სიყვარულით მთვრალი!..
იყავ მშვიდი, მორჩილი და მთმენი,
შეგიყვაროს კაცმა ერთადერთმა...
ბედნიერად ჩაგემარცვლოს ღღენი,
ჭრელ კაბაში დაგაბეროს ღმერთმა!..
როგორ გმეყნის ღერწმის ტანზე ფარჩა,
ვიწრო წელზე გიშრისფერი თმები,
ღვთისმშობელი აგარიდებს ავღარს
და მფარველი ანგელოზის ფრთები.
აშრიალე ღერწმის ტანზე ფარჩა,
აფრიალე თმები გიშრისფერი...
ქვეყანაზე არსად აღარ დარჩა,
ერთი ქალიც, - შენი ფეხის მტვერი.
ჭრელ კაბაში დაგაბეროს ღმერთმა!..

– **გვიგელი შიო** –
იხილეთ *შიო მღვიმელი*.

– **გვიგელიაშვილი თინათინ** (1976)
დაიბადა ლანჩხუთში. 1992 წელს დაამთავრა
ლანჩხუთის ნომერ პირველი საშუალო სკოლა;
1997 წელს – თბილისის ჟურნალისტიკისა და
სამართლის ინსტიტუტის ჟურნალისტიკის ფაკ-
ულტეტი. წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხ-
ვა ადგილობრივ თუ თბილისის გაზეთსა და ინ-
ტერნეტ-გამოცემებში. იყო ადამიანის უფლება-
თა ცენტრის გურიის კოორდინატორი. ამჟამად

არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საზო-
გადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაცი-
ის განყოფილებაში მთავარი სპეციალისტი.

წერილი მხკვარს
მზერა – დაღლილი ცხოვრებისგან,
გზა – ბონდის ხიდი...
მიერწევინ ეს დღეებიც, სვენებ-სვენებით,
რა სათქმელია, ჰერ ემხვარო,
სიგვეებს არ ვყიდი,
უბრალოდ ვწერ და სულ უბრალოდ,
გეკეკლავებით...
სანამღე სხვები ჩაქოლავენ გზებს და ბილიკებს
ჩემთან რომ უნდა მოგიყვანონ
რწევით, გორგმანით,
ვაბობ: რომ უკვე არ გიხსენებთ,
სულაც – გივიწყებთ,
რომ პიანთი დაიღალა ჩემი ვოკალი...
არადა, გულში რა ცეცხლია,
ჩვენ ორმა ვიცით და კიდევ მეცამ,
სიწუმისგან გაფითრებულმა...
ჩამოვიფარე სულზე შენგან
ნაბოძი რიღე და სიყვარული –
თვალეში რომ ააღებულა –
მივანუმათე და თვალები დაგვუჭე, რადგან
თვალდასუკული უფრო გხედავ,
უფრო გიყვარებ...
ვღგავართ პირისპირ ერთმანეთის,
პირისპირ ქართან,
და ხელისგულსგაწვდენაა ერთმანეთამდე...
მზერა – დაღლილი ცხოვრებისგან,
ცა – ფერწასული,
და მაინც შენზე ოცნებებმა გული გამითბო...
რა სათქმელია, ჰერ ემხვარო,
რომ დღეებს ვითვლით...
რომ შეგიყვარდა ერთმანეთი
ფერით – აგვისტოს...

– **გვიგელიაშვილი შალვა** (1923 – 2007)
დაიბადა სოფელ ანაგაში (სიღნაღი). 1930 წელს
სასწავლებლად პირველ საცდელ-საჩვენებელ
სკოლაში (დღევანდელი თბილისის კლასიკური
გიმნაზია) შეიყვანეს, რომელიც 1940 წელს
დაამთავრა. სკოლის დამთავრების შემდეგ მას
საბუთები შეუტანია ენისა და ლიტერატურის
ფაკულტეტზე, მაგრამ მშობლებს შვილის უნივერ-
სიტეტში შეტანაში საბუთები გამოუტანიათ და
სამედიცინო ინსტიტუტში შეუტანიათ. 1945 წლის
27 მარტს 22 წლის შალვა მჭედლიძე იყო „იდ-
ეოლოგიურად მიუღებელი“ ლექსების გამო და-
აპატიმრეს და თორმეტი წელი გაატარა გადა-

სახლებში; იქიდან ამნისგით დაბრუნდა, მაგრამ დედაქალაქში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა; გამოცემული აქვს ათზე მეტი წიგნი, არის ავტორი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილების.

ლაშვილი

მშვიდობით, ვგოვებ მშობლიურ ქალაქს, სადაც მაწამეს და ჯვარზე მაცვეს, სადაც ყოველდღე ვხვდებოდი ჯაღათს, სადაც ყოველდღე ვხვდებოდი გამცემს. რა მახსოვს ან რას ვნაგრობდი ნეგავ, ან სიყმაწვილის წლები სად არის! მამულის ყველა საპყრობილეთა გამხადეს მკვიდრი მე ბინადარი. კურთხეულ იყვნენ სხივნი მშისანი, მშე – ღვთაებრივი ქალის ხაგება, ო, უბედური მხოლოდ ის არის, ვინც არასოდეს დაიბადება.

– მკვლელი ლავითი (1947 – 2006)

დაიბადა სოფელ მიგრიაულთაში (დუშეთი). 1970 წელს დაამთავრა ა. ს. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა მასწავლებლად, სკოლის დირექტორად, საქართველოს რადიოს მხატვრულ გადაცემათა რედაქციის განყოფილების გამგედ, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ და ჟურნალ „ცისკრის“ კრიტიკის განყოფილების გამგედ, გამომცემლობა „მერანის“ მთავარ რედაქტორად. გამოცემული აქვს ლექსების 10 კრებული („პირმითი“, 1975, „დამშვიდობება საგვარეულო სახსოვან“, 1980, „მონაგრება“, 1982 და ა.შ.), მე-11-ე – „მოგონებები სიცოცხლეზე“ – დაიბეჭდა გარდაცვალების შემდეგ, აგრეთვე, რომანი „პირველი“, ისტორიული ჟანრის – „ლავერენტი ბერიას მთავარი დანაშაული“, კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილების სამი წიგნი.

* * *

მომწყინდა ეს სოფელი, როდემდე უნდა მეკადა, გულისა თვალი ავაღენ,

ავყევი, აველი მე ცაღა. ვერ შევძელ, ან თუ შევძენსა, ან ცისთვის კარი შევება, ვინ მაპაგია აფრენა, სამყაროს ქარი შევება. დამცა, დამრია, დამამხო, ველაროთ ავალ მე ცაღა? გული კრთის... მხრების აწევა ნეგავი სულ არ მეცაღა!

– მხარბრაქი სტაფანი (1924)

პოეტი და მთარგმნელი რუსული და ინგლისური ენებიდან. თარგმნილი აქვს რუსული კლასიკური და ყოფ. სსრკ-ს ხალხთა პოემების არაერთი ნიმუში. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1941 წელს; იღვწოდა ამიერკავკასიის ფრონტის გაზეთების რედაქციებში. ეროვნულ მოძრაობაში იყო 1980-იანი წლების ბოლოს. სხვადასხვა დროს მუშაობდა გურჯაანის რაიონული გაზეთის პასუხისმგებელ მდივნად, გაზეთ „კომუნისტის“ კულტურისა და ყოფაცხოვრების განყოფილების გამგედ, გაზეთ „წიგნის სამყაროს“ რედაქტორის მოადგილედ. გამოცემული აქვს ლექსების კრებულები: „უკვდავი სახელები“, „საქართველოს წყაროები“ (1963), „წამო, გომბორზე გადაგახელო“ (1982), „ჯაგანი“.

* * *

მე უფრო ადრე გარდავიცვალე, ახლა მიყვარ, სიკვდილს ჰგონია, ჩემი სიცოცხლე ჰგავდა სიმშარეთს, ჰგავდა კომშარეთს და აგონიას. მკლავად დროება უნდო, მშაკვარი, მტკნარი სიცრუით გამრუდებული, მე უფრო ადრე ჩამცეს ლახვარი და დამანატრეს მამულ-დედული. ჩემი ცხოვრება გაჰყვა გრიგალებს, წელი ყოველი სიმწრის გოლია, მე უფრო ადრე გარდავიცვალე, ახლა მიყვარ, სიკვდილს ჰგონია.




თინათინე



ნინიკო



შალვა



ლაშვილი



სტაფანი

მღვდელმთავარი

მშვიდლობა

მკვლელი

მკვლელი

მხარბრაქი

– **ნადარია ფაშს** (1955)

პოეტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი.

ფაუსტ ნადარიაის ლექსები, თარგმანები, ლიტერატურული წერილები და სხვადასხვა სახის კრიტიკულ-კვლევითი შრომები სისტემატურად ქვეყნდება პერიოდულ პრესაში. არის რაიონულ გამეფი „მარტვილის რედაქტორი, ავტორია წიგნებისა: „მარტვილის სახელოვანი შვილები, „გიორგი ჭყონდიდელი, საცნობარო წიგნი „მარტვილი (ბურაბ ბიგვაფასთან ერთად), „გონების საფარჯიშო ბავშვებისთვის, „სამეგრელო-ზემო სვანეთი, ლიტერატურული წერილების კრებული „რეპლიკები და მოსაზრებები. 2016 წელს შეადგინა და გამოსცა მეგრული ლექსების კრებული „ბეა დია ჩქიმი“. მის ერთ ლექსს-„ჩქიმი ჭიჭე სამარგალო“ - რომელზეც მშვენიერი მუსიკაა შექმნილი, მთელი სამეგრელო მღერის.

პმრსი ბიში შმლი,

სალამო მშვიდობის

თარგმნა ფაშსტ ნადარიაამ

„სალამო მშვიდობის“ – ეს როგორ იქნება, უშენოდ სიმშვიდეს მომიტანს რამე? ნუ წახვალ, აქ დარჩი, სხვა არც რა მჭირდება და მაშინ შექნება მშვიდობის ღამე. ჩემთვის უშენობა დარდია გიალი, სხვა ენს დამიაშებს ამ მწუხრის წამებს, მოდი, ერთად დავტკბეთ ჩვენ გრფობის სიაშით და მაშინ გვექნება მშვიდობის ღამე. გულები მარადეაბს, ღამით და დღისითაც, სულ ერთმანეთისკენ იღვვიან მინლობით, აქეთ დილა-სალამო საკმაოდ მშვიდი და არასადროს ეტყვიან ერთმანეთს: „მშვიდობით“

– **ნადარიაშვილი ღაზა** (1959)

გამეფი „საავალ-დასავალის“ მთავარი რედაქტორი. გამოცემული აქვს კრებულები: „ფიქრები ბაბილონის გოდოლთან“ (1987), „ეშაფოგზე წარმოსათქმელი ლექსები“ (2012)

შენ ქართიმქლი მქომეშვანს...

ანანურთან შუბი ვეყორცნე,

მთებს მათრახი შემოვკარი...

დარკვეთელი ქალი ვკოცნე,

ის ხოსობიც მე მოვკალი!

გელათს მუხლი მოვიყარე –

გამრად, უფლის მინათითებს...

შენ ქართველი მომიყვანე,

ღავითი კვლავ იღავითებს!

ყაბარლოზე გაღავრეკე

ჯარი, სისხლით დამშეული...

ქაშუეთის მარი ვრეკე,

ციდან ღმერთის დამშეული!

მგერო, კვლავაცმოსირები

ხმლით – წინაპრის შემშვენისა...

ხაგს ვდარაჯობ ოპირების –

ბეჟასი და ბეშქენისა!

მაზღვევინე საკადრისი

მოცილესთვის ამ მიწისა...

სად ვებებო სხვა საყდრისი,

მხარეც, ოქროს საწმისისა!

გაღავვენე დარდის ფარას,

თაფლს სურნელი უღის წმინდა...

საქართველოს დაიფარეს

მამა, ძე და სულაწმინდა!

– **ნადარია ლიშიზრი** (1861 – 1903)

ფსევდონიმები – ღმანხანელი, თერგდალეულო, მთაღილეი, ლახვარიძე.

ნამღვილი სახელი და გვარი – ღმიბერი მისხილის ძე ნადირაძე.

მწერალი, პუბლიცისტი. იყო მოსკოვის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი. ლექსების პირველი კრებული „ახალი სიმზარი“ 1880 გაემოსცა, მეორე – „სიყვარულის კონა“ – 1881. მანხანელის მოთხრობები, პიესები, პუბლიცისტური წერილები იბეჭდებოდა ქართულ პრესაში („ივერია“, „მოამბე“, „აკაკის კრებული“, „ჯეჯილი“ და სხვ.). 1887 ცალკე წიგნად გამოქვეყნდა მანხანელის „მშური სიყვავა“, რომელიც პუბლიცისტური ფელეგონების სახით იბეჭდებოდა „ივერიაში“. მანხანელი განიცდიდა ხალხოსნების გავლენას. მანხანელის ზოგიერთი ლექსი („ჩემ საყვარელ სამშობლოს“, „ვედრება“, „გურფავ მონი, ნუ ხარ მგრულად“) სიმღერად იქცა (მუსიკა ნიკოლოზ სულხანიშვილისა). ნათარგმნი აქვს ა.ს.პუშკინის „ფერია“ (დაიბეჭდა 1904 წელს ქუთაისში).

მმსტპირი

საქართველო მოვიარე, ვადიდე და ვაძლიერე; მღვის ოღენა შაირები სგვირით გავაქვეყნიერე, დელა-ენაც გავამღიდრე, კილო გავუმშვენიერე, გავატკბილე, გავათაფლე, გავამაღლანაყოფიერე; განჯულს გული მოვეშაქრე, მკედარი მოვასულიერე,

ჭკვიანს გონი მივეუბნებო. უფრო გავაძევიერებო.
 უნუგემო ვანუგემო, უჭკვეო მოვაგონებო.
 ვაჟო კაცსა ვაჟკაცობის წაღლი გავუღებო;
 ღარბი გავალმობებო, უგრძობ გავაგრძობებო;
 მრულს ღალატი შევაზობებო, გულქვა გავალმობებო;
 ვირს წიხლი მოვაშლავებო, ბრიყვი გავაგულბებო;
 ეშმაკს გული დავუდაღებო, უღვით მოვაღვთებო;
 მტრობა დავწვი, დავანებებო, ძმობა გავაგულბებო;
 მშვილობას თაყვანი ვეცი, კეთილი ვაბებებო;
 სიყვარული გავამეფებო, მადლი გავასახებო,
 მოძმე მოძმეს შევაყვარებო, გავაკეთებებო;
 ერთობა და სიყვარული გავუმრავლებებო...
 ეგრე სგვირო, ჩემო სგვირო, - უკარ და იღვთებო;
 ავი მავნე შეარცხებო, კარგი მოიბაღებო;
 მძინარეს ძილი დავუფრთხებო, უქმი გაასაქმებო!

– ნაღირაძე კოლაუ (1895 – 1990)

დაიბადა ქუთაისში. სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. პირველი ლექსი დაბეჭდა 1916 წელს ჟურნალ „ცისფერ ყანწებში“. იყო „ცისფერყანწელების“ სიმბოლისტური მიმდინარეობის თვალსაზრისით წარმომადგენელი. პირველი წიგნი გამოსცა 1920 წელს. ავტორია პოემებისა: „თერამეტი წელი“, „ფონტანებზე“, „როაღდ ამუნდსენ“, „რიონი-პორტი“, მოთხრობებისა და ნარკვევებისა, წერილებისა ქართულ, რუს, სომხ მწერლებზე, მხატვრებზე, თეატრალურ მოღვაწეებზე, ნათარგმნი აქვს პუშკინის, ბუნინის, ბალმონის, ბლოკის, ბოლშევიჩის, ვერლენის, ისაკიანის ნაწარმოებები. მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია „წიწამურიდან საგურამოდ“, რომელიც პოეტს 1939 წლის შემოდგომაზე საგურამოში, ილიასეულ სახლში დაუწერია. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

25 თებერვალი

თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
 ღუმდა სიონი და ღუმდა ხალხი.
 ძილ-ღვიძლად იყო ქალაქი ჩვენი,
 სამიწელებას კვლავ სჭედდა გრდემლი –

ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!
 მშობელო ღეღავ, ისევ გაგყიდეს,
 ისევ წამების ჯვარი აგყიდეს,
 არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!
 თოვდა და თბილისს ებურა თალხი.
 ღუმდა სიონი და ღუმდა ხალხი.
 დაცხრა კოჯორი და გაბახმელა,
 მხოლოდდა თოვლი ცვიოდა ნელა,
 ეფინებოდა გმირების გვაგებეს –
 განგმირულ მკერდებს, ღალეწოდ მკლავებს,
 და უძრავ იყო თებერვლის დამე.
 თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
 ღუმდა სიონი და ღუმდა ხალხი.
 იმ გზით, საღ წინათ ელავდენ ხმლები,
 საღ სამას გმირთა დაიფშვნა ძვლები,
 საღ ქართლის დედის ცრემლით ნანამი,
 მძიმედ დაეშვა ჩვენი ალაბი,
 საღ გმირთა სისხლით ნაოხიერი,
 თოვლს დაეფარა კრწანისის ველი, –
 წითელი დროშით, მოღეროდ ყელით,
 თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
 შემოდოდა სიკვდილი ცელით!
 თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
 ღუმდა სიონი და ღუმდა ხალხი!

– ნაღირაძე სპეარიონ (სოსო) (1962)

დაიბადა თბილისში. დაამთავრა თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა ახალგაზრდულ ასაკშივე დაიწყო, 1989 წელს გამოსცა პირველი წიგნი „ორი ნაპირი“. შემდეგ „ზამთრის მონოლოგი“ (2002).

შობის ღამეა

ამ დღეს ბავშვივით ველი და ველავებო,
 იმედის ნერვი ცოცხლდება ჩემშიც,
 შობის დამეა, ვარსკვლავი ყველა
 სოფლის გომურებს უჭირავთ ხელში...
 დააქვს ბალთაზარს მხრებით ოცნება,
 გაღმოსავლელი მღვა და მიეზია,
 ისე შეიკრეს სუნთქვა ბოსლებმა,
 თითქოს სასწაულს ელოდებოდა...




ვაშახტ ნაღირაძე



ლაშა ნაღირაძე



კოლაუ ნაღირაძე



სპეარიონ ნაღირაძე

სხვანაირია მწვემების მეცაც,
ლოდინისაგან გზაც კი მოკლება,
არ შეგეშინდეთ, დღეს ყველა დღეს,
მუცელში ჩვილი გაუტოკდება...
ამ დღეს ბავშვივით ველი და ველეავ,
იმედის ნერვი ცოცხლდება ჩემშიც,
შობის ღამეა, ვარსკვლავი ყველა
სოფლის გომურებს უჭირავთ ხელში...

– ნაპროზაჰ30020 (1954)

დაიბადა ქუთაისში; 1972 წლიდან ცხოვრობს თბილისში; პროფესიით არის ექიმი. გამოცემული აქვს ლექსების კრებული „მეორედ დაჭრილი პირილი“, თარგმნილი აქვს ბაირონის, ცეცხლიანის, ესენინის, მანდელშტამის ლექსები.

ჟიჰრალს – ათასი წლის მამრე

თურმე, აღმსდგარხარ ყორღანებიდან,
ჩამსაფრებისარ, მუხრანს, ყივჩაღო.

ისევ მოგწყურდა, ისევ მოგინდა,
გუნს ნაკვერჩხალი რომ გამიჩაღო.
კაი ყმის ცოლის გვწავდა წადილი,
სისხლი გიდულდა – ბადავით შემიღის,
ხმლებში გაგყვორენე ჩემი მანდილი –
მანინ სიკვილითან ვაითარაშე.

ქმარიც მომიკალ, შენც დაილექე,
დავრჩი ქვრივ-ოხრად, მიწად-გიალად,
ჩემი ქალობა გაჰკიდე ბეწვზე,
წავედი, მაგრამ სხვისას კი არა...

...ღამე მშფოთვარედ ეძინა ქსანზე,
ქარი მასხამდა სისხლიან შეხვევებს,
ვწყვევლე ხოხობაზე, ეს სილამაზეც
და ლეგენდაში გადავიჩეხე.
ახლა, ცხრაკლიგულს რომ უმგერვე გაძრებს,
ლომის ღმუილით დადაღე ღამე.

მამის რაისთვის არ გამიგაცე
და ყაბარდოში არ გადამშალე?!
ათას წელს ითვლის შენი ურცხვობა,
(რა სააყადო შეგყარე ვენა)
ქსნის პირს დაბიჭვან ვარდისფურცლობა
და უკვე აღარ შეჰაქმნება.

– ნათელაჰე ქითაჰანე (1992)

დაამთავრა დელოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლა. წერა დაიწყო ადრეული ბავშვობიდან. ჯერ კიდევ მოსწავლეობისას, 2009 წელს, გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებული – „ყვავილების ინტერლუდია“, მეორე კრებული – „რეპორტაჰე ციდან“ – გამოსცა 2014 წელს, მე-სამე კი 2016 წელს („პიზნოზი“). 2015 წელს დაამთავრა ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი,

პროფესიით არის ჟურნალისტი.

* * *

გრძნობის ამოიხსნა ყველა განტოლება,
მეგად უფალმეც კი ცა უშორესია,
ქალაქს რომ მოიცავს ნისლი მარტოობის,
შენი გახსნება არის პოეზია...
ისე ურითმოა მამთრის შესავალი,
დღეებს აღარ მივსდევ, დროის შარლატანებს,
ეს ვბა აღარაა ახლა მშის სავალი,
ქარში ოლქანდრებს სული გავაგანე.
საიქმელს მომლოცველი დმერთებს უბარებენ,
და ქრის ქარიშხალი მეცი განაზმებით,
შორი ღამეები ისევ მდუმარებენ -
მთებში ჩაწოლილი შავი ავაზები.
რაც დრომ თან წაიღო მასთან დამგვანებით,
მეგად უფალმეც კი ცა უშორესია,
ქუჩა რომ ირთვება თოვლის მაქმანებით,
შენი გახსნება არის პოეზია...

– ნაკაჰიჰე ნინო (1872 – 1963)

ქალიშვილობის გვარი – ათიაჰე.

დაიბადა სოფელ ბახეში (ოზურგეთი). დაამთავრა ოზურგეთის ორკლასიანი სასწავლებელი, ხოლო 1892 წელს თბილისის საბუთო ინსტიტუტი. ლიგერაგურული მოღვაწეობა 1902 წლიდან დაიწყო. მისი პირველი ლექსი „იმედი“ ჟურნალ „კვალში“ დაიბეჭდა, პირველი მნიშვნელოვანი მოთხრობა „ძიძა“ კი 1903 წელს გამოქვეყნდა. პირველი საბავშვო მოთხრობა - 1904 წელს. აქტიურად იღვწოდა საზოგადოებრივ სარბიელზე. მონაწილეობდა 1905-1907 წწ. რევოლუციაში. 1906 წელს რამდენიმე თვით დააპატიმრეს. 1908 წელს ვადაასახლეს ვიაკის გუბერნიაში. მან დიდი ამაგი დასდო ქართულ საზოგადოებრივ მოღვაწეობას და ჟურნალისტიკის განვითარებას. დააარსა საბავშვო ჟურნალი „ნაკადული“ და 1910-1928 წლებში რედაქტორობდა ამ ჟურნალს. იგი იყო პირველი ქართული საზოგადოებრივ თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი. ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას. დიდხანს ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო ლიგერაგურის სექციას.

იხმლო

როგორც სასტიკი, მკაცრი მამთარი
ყოველ წელიწადს მგარვალობს, მეფობს,
ისე ჩემ გულში გამეფდა სევდა
და თავისუფლად, მკაცრად მშრძანებლობს.
მაგრამ გინახავი, რომ ხანდისხანა
ღრუბლებს შორისა მშის სხივი კრთება
და გათოშნელისა ძირს არე-მარეს

ვით საგრფო საგრფოს ეაღერსება?!
 ის გაზაფხულის მოციქულია,
 მახარობელი განთიადისა,
 ვარღვე კოკორის ამფეთქებელი
 და შემმუსვრელი მკაცრი ზამთრისა!
 ასე ჩემს გულსა ოღესვე მოფენს
 იმედი სხივებს განახლებისას
 და წმინდა რწმენის ამფეთქებელს,
 ვით მზე კოკორებს ყვავილებისას.

— ნაშრომა გიორგი — იხილეთ გეოა.

— ნანუჩა (XVII საუკუნე)

ნამდვილი სახელი და გვარი მანუჩარ ციციშვილი. XVII საუკუნის I ნახევრის ქართველი პოეტი, „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორი. მას ჩაურთავს სტროფები პოემის გექსტში, II სტროფი დაუმატებია „ავთანდილის ანდერძისათვის“. ნანუჩას მიერ ჩართულ სტროფებს პოემის ზოგიერთ ხელნაწერში (ე.წ. ზამასეული ხელნაწერი) მიწერილი აქვს „ნ“ ან „ნა“. არჩილ II „თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაასებაში“ მოიხსენიებს ნანუჩას და ლექსს უწუნებს მას. ნანუჩა თანამედროვეთა მოწონებით სარგებლობდა. მამუკა თავაქარაშვილი მას „გკბილი სიგყვების მხმობელს“ უწოდებდა და გვერდში უყეებდა XII საუკუნის ქართველ კლასიკოსებს.

— ნარიანიკა სილოვან (1925 – 2007)

დაიბადა სოფელ მდარაინში (ახმეტა). 1952 წელს დაამთავრა TISU-ს ორიდიული ფაკულტეტი. იყო მწერალთა ასოციაცია „მწერალის“ თავმჯდომარე; გამომცემლობა „მწერალის“ დირექტორი. 1952-1975 წლებში მუშაობდა გაზეთ „სამგორის“ რედაქტორად. იგი არის 30-მდე პოეტური, პროზაული, პუბლიცისტური და პოეტური თარგმანების ავტორი, მათ შორისაა: „როცა იფიქრებენ გყეები“ (1957), „ნისლეზე მალდა“ (1962), „შორეული დღე“ (1979), „მშის სიახლოვეს“ (1980) და სხვა.

ბ.ზ.სართან

თან გამოჰყვა დროის ქარებს
 დარდი მარადიული,
 ვის უგზავნის ნეგავ აღერს
 ის ქედანი გყიური,
 მე რომ გულით გამიხარდეს,
 არვინ მოვა ისეთი,
 ისე დარდს რა გაშიქარვებს,
 მე რომ მახსოვს ის ერთი.
 მაშ, ბუხარო, ნუ მაცდუნებ,
 დაწვი შავი ფიქრები,
 ხვალ აღარც შენ იგუგუნებ,
 და აღარც მე ვიქნები!..

— ნარიანი ჯურაბ (1955 – 2000)

დაიბადა თბილისში. 1981 წელს დაამთავრა TISU-ს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. პირველი ლექსები: „ჩემი სახლია...“, „მიძინებენ ლაქვარდების ლურჯი ბაღები...“, „სივრცის მსუბუქი...“, „ღამეს მშობერი მისდევს ავგაზა...“, „თუმცა არ ვიცო...“ გამოქვეყნდა ჟურნალ ცისკრის 1977 წლის მეოთხე ნომერში. პირველი პოეტური კრებული „უსაფეხურო კიბე“ 1986 წელს გამოსცა „მერანში“. 1992 წელს ამავე გამომცემლობამ დასტავაზა ზურაბ ნარმანიას მიერ თარგმნილი აბდურაჰმან ავგორხანოვის „სგალინის სიკვდილის საიდუმლო“, ხოლო 1998 წელს წიგნად გამოსცა ქართულად თარგმნილი მაქსიმილიან ვოლოშინის პოემა „კაენის გზით“ (მაგერიან-ლური კულტურის გრაველია). 1983-2000 წლებში იყო ჟურნალ „ცისკრის“ თანამშრომელი.

* * *

ცაბე კრუხივით ჩამოვდა მზე და
 თბებოდა კვერცხი ჩაძირულ ნაფში;
 და ჭიშკარივით გაიღო დედა
 და შინ გირილით დაბრუნდა ბავშვი:
 — ვისია კოვზი ვარსკვლავით საფე?
 მცის სიფითრე ვის სახეს შეენის?
 ამ უღაბნოში ვის დავემსგავსე?
 მითხარით ვინმემ სახელი ჩემი.
 — ის, ვინც გისროლა, ალბათ, ცის არი,




მზისო
ნაპროზაშვილი




ქეთევან
ნათელაძე



ნინო
ნაკაშიძე



სილოვან
ნარიანიძე



ჯურაბ
ნარიანი

მაიყურად სივრცეთა სიცილს –
ისე მიფრინავ, როგორც ისარი,
მაგრამ სამიზნე არავინ იცის.

– ნაროუზილი ლია (1957)

დაიბადა შუკვლიძე. სწავლობდა გლდანის პირველ რესპუბლიკურ სპორტულ სკოლაში, მუგდლის რაიონის სოფელ ოქტომბრის საშუალო სკოლაში. რიგის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სპეციალობით არის ფილოლოგი. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა, როცა ის მეოთხე კლასში იყო, მუგდლში გამოშვებულ გაზეთ მებრძოლში. ქართულ ენას და საქართველოს ისტორიას ასწავლიდა მოსკოვის კეთილშობილთა სასწავლებელში. გამოცემული აქვს ექვსი პოეტური კრებული, მათ შორის – „მზის ბილიკი“.

წმინდა იმპერატორი

აქ ფოთლები შეუყვითლდა აკაციას,
ფარნის კაბა აღუჩახსენ არ აცვია,
საქართველოს მეგნები და დაბლობები,
ვიცი, ამ დროს გასაოცრად წარმგაცია.
მომიკითხე რუსთაველზე მოარული
ანცი მთვარის განაჭორი ქარი,
მომიკითხე ჩემი უბნის მათხოვარი
მსოფლიოზე გადაღლილი დარდი.
ვერ ვაივებ, აქაური მრუდე კიბე
ჩაისხნება ცა – ძაბრული როდის,
ერთი ვიცი, იქნებ უთხრა ყველას –
საქართველოს გაბრწყინება მოდის!

– ნარსია ნოდარ (1931 – 1991)

დაიბადა სოფელ ძველ აბაშაში (აბაშა). საშუალო სკოლა დაამთავრა 1951 წელს და სწავლა განაგრძო თბილისში ეკონომიკა-ორგანიზაციის სპეციალობით. პირველი ლექსები დაიბეჭდა 1952 წელს. 1960 წლიდან პერიოდულად გამოდიოდა ნოდარ ნარსიას დამოუკიდებელი კრებულები: „სიმღერის დაბადება“ (1960), „მშვენიერ მომენტით“ (1966); „ლაშაშო დღეო“ (1966), „ლექსები“ (1967), „ფიქრიანი ღღე“ (1971), „ჩემი ფრთოსნები“ (1974), „იშუშალებს გამოხსივება“ (1976), „ლაყვარლები ცა“ (1979); „სიცოცხლის საგალობელი“ (1981), „ლგოღვა ცისაკენ“ (1985). მუშაობდა მთარგმნელობით დარგში, ნათარგმნი აქვს ჰაინრიხ ჰაინეს და ისიდორ კობათის ლექსები.

* * *

გრამფაისის ხამთან იდგა გოგონა,
ყელმართული და სხივმოსილი.
მე გაზაფხულის სუნთქვა მეგონა,
რა გოგო იყო ის დალოცვილი!

მხრებზე ნაწნავი ისე ეყარა,
მელანდებოდა შორი ქორწილი
მისთვის მინდოდა ცა და ქვეყანა,
რა გოგო იყო ის დალოცვილი.
ელვა – ღიმილი მიძვინა წამითა,
ერთი მოხედვა მაინც ინება
და მერე, ისე უცებ წავიდა,
როგორც მდინარე მიედინება.
ინისლეობდნენ ღიანდაგები,
თითქოს ქალაქი გახდა გრამალი,
მივაცილებდა წყლიან თვალებით
და მაფრთხილებდა მარი გრამფაისი.
იმ წუთში არვინ აღარ მახსოვდა,
მასზე ფიქრებს კი ვერ ვიშორებდი
გამომაფხიზლა ვიღაც ნაცნობმა
და დამახვია ქვეყნის ჭორები.
გავეპასუხე: უცებ მოვეცილი,
არც არაფერი აღარ მეწადა
რა გოგო იყო ის დალოცვილი,
რა უცნაურად გამომეცხადა.
წყვილი ნაწნავი მხრებზე ეყარა,
და ჩახჩახებდა როგორც ქორწილი.
მისთვის მინდოდა ცა და ქვეყანა,
რა გოგო იყო ის დალოცვილი!

– ნაფთავაკია გიორგი (1919 – 1942)

დაიბადა სოფელ შუამთაში (ვანი). პირველ-დაწყებითი განათლება შუამთის სკოლაში მიიღო, რის შემდეგაც ჯერ ვანის არასრული საშუალო სკოლა დაამთავრა 1931 წ., შემდეგ კი – სამგრელიის პედაგოგიური გეგნიკეში 1935 წელს. 1936 წელს სწავლა განაგრძო ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. სწორედ იქ გაიცნო და დაუმეგობრდა პოეტ ლალო ასათიანს. მისი და ლალო ასათიანის პირველი ლექსები 1936 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „სტალინელში“. გიორგი ნაფთავაკი და ლალო ასათიანს აქტიური მეგობრობა აკავშირებდათ ახალგაზრდა შემოქმედებთან, რომლებიც თბილისში მოღვაწეობდნენ, განსაკუთრებით მეგობრობდნენ პოეტებთან, ალექსანდრე საჯიასთან, მირზა გელოვანთან და პუბლიცისტ ნიკა ავაიშვილთან. ამ პერიოდში ლალო ასათიანი და ალექსანდრე საჯია უკვე მძიმედ იყვნენ ჭლებით დაავადებული. 1939 წელს ვიორგი ნაფთავაკიმ დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი და მუშაობა განაგრძო წულუკიძის რაიონის სოფელ მათხოჯში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1941 წელს გაიწვიეს ჯარში და 1942 წელს სევასტოპოლისის მისადგომებთან ბრძოლაში დაიღუპა.

გიორგის გარდაცვალების შემდეგ, მისი მეუღლის წვლილით, გამოქვეყნდა მისი შემოქმედების კრებულები: „გაფრენილი ღერუჯი“ (1957), „ღაუშთაფრეული ბალადა“ (1961), „სიყვარული“ (1965), „ლექსები, ბალადაები, პოემები, მოთხრობები, ფრონტული წერებები“ (1970), „ნახვამღის“ (1979), „ჩვენთან ქუხილი ღამეს ათევედა“.

აკაკის სიკვდილი

ხალხი მღეროდა აკაკის ლექსებს, ბროლოგიით სუფთას, აზრივით საღას, ჰგავდა პოეტი კრწანისის ველზე ხმაღადაგეხილ უჯარო სარდალს. კვებოდა... მაინც უსისხლო ხელით მოჩრდილა მისი ნაწილი ცისა, აღობდა თურმე ცრემლებით ცხელით გულ-მკერდზე ღაფშენილ მშობლიურ მიწას. ელანდებოდა ნესტანის რიდე, იფრფლებოდა და არ ღნებოდა, ელანდებოდა თამარი კიდე და საქართველო ელანდებოდა. ეძახდა ვაჟას – „რაბიკაშვილო, შემინდე წყენა, გულში თუ ჩაგრჩა!“ ნაგრობდა თრთოლვით ხელებგამღილი ბაკურის ხმაღს და ერეკლეს ჩაჩქანს. ის მოკვდა, როგორც ვარღობის თევეში და სიმღერებში ტბის გედი კვებდა, ქართული ლექსის სიგებო და ეშხი ღარჩა ღერწამში მის საღიდებლად. ვაჟასთან ერთად ლექსს აბარებდა ანღერძს ცახცახით და შთაგონებით. მე შივალ ახლა მათ სამარესთან და მუხლმოყრილი ვეამბორები.

– ნაცვლიშვილი ნათია (1981)

ღაამთაფრა ოსუს ფილოლოგიის ფაკულტეტი. შემდეგ სწავლა განაგრძო ამავე ფაკულტეტის ღოქტორანტურაში. სწავლობდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აქტიურად თარგმნის თანამედროვე ფრანგულ ღიგერატურას. ლექსებსა და თარგ-

მანებს პერიოდულად აქვეყნებს სხვადასხვა ღიგერატურულ გამოცემაში. 2002 წლიდან მუშაობს ქართული ენისა და ღიგერატურის მასწავლებლად.

ბარბაროლა


რომ გავვიმღება და ყვეღანი ნაპირს მიამურებენ თაფიანთი ნავეებით, და შორიღან ხელს დაგვიქნევენ, შენ ნაღის გასწვრივ მიამაგრე ჩვენი ნიხბები, მშვიღად მიენღე ტალღების ნებას, და მიმღერე „ბარკაროლა“,... ჩემი ნაპირი წვიმისა და შენი ხელისგულების ნაპირია, საიღანაც უფრო შორს და უფრო უცხო ჩანს სხვების მიწები და ნაპირები. შენ იცი, როგორ უნდა ღამაბრუნო სხვისი მიწებიღან შენთან! რომ გავვიმღება, და ყვეღანი თაფიანთი ნაპირებს მიამურებენ, და შორიღან ხელს დაგვიქნევენ, შენ ნაღის გასწვრივ მიამაგრე ჩვენი ნიხბები, მშვიღად შეაგებე ჩემი და შენი ნაპირები წვიმას, და მიმღერე „ბარკაროლა“...

– ნაცვლიშვილი ააბაბ (1952)

ღაიბაღა თბიღისში. 1974 წელს ღაამთაფრა ოსუს ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, 1976 წელს კი – ხელოვნების ფაკულტეტი. 1974-1976 წლებში მუშაობდა გაზეთ „თბიღისის უნივერსიტეტის“ ღიგმუშაკად, 1976-1978 წლებში – გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს კორესპონდენტად, 1978-1984 წლებში ჟურნალ „მართვე“-ს ღიგმუშაკად, 1980-1984 წლებში – საქართველოს საზღვაო სანაღსნოს შორეული ნაღსნობის მაგროსად, 1984-1985 წლებში – საქართველოს რაღიღის ახალგაზრდული პროგრამების მთაფარი რეღაქციის მთაფარ რეღაქტორად, 1988 წლიღან გაზეთ „სამშობლო“-ს რეღაქტორია. გამოცემუ-



ლია ნაროშვილი




ნოდარ ნარსია



გიორგი ნავტპარიძე



ნათია ნაცვლიშვილი



ააბაბ ნაცვლიშვილი

ლი აქვს არაერთი პროზაული კრებული, ასევე ლექსების კრებულები: „სიყვარულის გაგრძელება“ (1983), „სიყვარულის დასაწყისი“ (1986), „სიყვარულის დასასრული“ (2001), „ხელოვნური ყვავილები“ (2014).

გვანცა ბასაბინაძე

საბას ღედას სახელად უნდა ერქვას საბინა, საბას შემოუკეცოს უნდა ღამით საბანი. ეს ბლოკნოტი ნეგატი მალე გამავსებინა, ბევრი მყავლეს მკითხველად ნეგატი სულხან-საბანი. რომში, საოცნებოში, ნეგატი გვადირსა ბინა, აიამატი გვადირსა ნეგატი პირდასაბანი, „ნივეს“ და „სეიფგარდს“ ეტოლება „საბონი“, სამივეს მიჩვენია პრინცი მანაბლის „აბანი“. პარიზი და მადრიდი, ბონი და ლისაბონი, არაბულ ცხენს მოელის რომში ვირის აბანი... როგორ მშვიდად დღვიძებს პლენანოვის უბანი, მახუბმა ეყვანი უნდა კატას აბანი! ხმები საკრიმანჭულე, საპირველე, საბანი, ნეგატი ამ სიჩუმეში ისრად ჩამასობინა, საბობმარლო, საპრინცი, სასტინგი და საბონი, „რაე“ ვერ ვიქვი, საბრინა უცებ გახდა საბინა. ტაიმს-ნიურომანი, არიალი, საბონი... „ბრასელს აირლანდისად“ გადაკეთდა „საბენა“, აფერანგული: „ქვევუმე“, „სელავი“ და „სებონ“-ი... გვანცას უნდა დავარქვა მე დღვიძან საბინა!

ნახაზიშვილი ბაბა (1971)

დაიბადა მოსკოვში. 1988 წელს დაამთავრა თბილისის 530ე სკოლა, 1993 წელს კი – მსუ-ს ისტორიის ფაკულტეტი. 1995-1997 წლებში იყო ისტორიის მასწავლებელი; 1996-2000 წლებში – ჟურნალისტი; კითხულობს ლექციებს თანამედროვე ქართული ლიტერატურის შესახებ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში; თანამშრომლობს ჟურნალ „ანაბეჭდთან“. გამოცემული აქვს ლექსების კრებულები: „უაზრო მგზავნი“ (1996), „სიმარგოვი“ (2000), „გამგზავრება და მოლოდინი“ (2002), „უცაბედად“ (2006), „სხვანაირი დრო“ (2007), „გოგო ფა ვეროპა“ (2009).

ბაღაბრ უნაშვილი დედაძიძა

არაფერს ვგმობ და არაფერს ვებრძვი, და სიგყვით ვინლა უნდა ვცდუნო, სად არის ღერძი, მომეცი ღერძი, დედაძიძა რომ გადავაბრუნო. რომ არაფერი აღარ შევცვალო და დასალევცი უკვე დავლიე, რომ აღარავინ არ შევიყვარო,

მხოლოდ ვუყურო მეცას ცარიელს. არაფერს ვამხელ, არაფერს განვსჯი, არ მინდა რამეს ცილი დავწამო, მე მარტო ვზივარ ჩემს მყვდრო სახლში და გარეთ მოდის მყვდრო საღამო. არაფერს ვცდი და არაფერს ვაკვებ, და არ ვარ ბოლო და არც პირველი, ვინც იცნობდა სულელურ მლაპრებს, ვის ჯადოსნური სწამდა ფრინველი. არაფერს ვგმობ და არაფერს ვებრძვი, და არ მსურს ისევე თავი ვაცდუნო, სად გაქრა ღერძი, მომეცი ღერძი, დედაძიძა რომ გადავაბრუნო.

ნახაზიშვილი მერაბ (1951)

დაიბადა სოფელ შრომაში (ლაგოდეხი). 1976 წელს დაამთავრა მსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. გამოცემული აქვს კრებულები: „ქვიშის ღრუბელი“ (1986), „სინათლის ლიდი“ (1992), „მამაკენური უღაბნის მგე“ (2006).

პოსტალინი ილუმალაძე

ნათლის უჩინარ სამყაროდან გადმოხრილი კოსმიური ილუმალაძე, მთიმინებით სიმშვიდეს მახვევს. ნისლიდან ნელა იკვეთება პლანეტების თბილი ჩრდილები და გარეგნულად მე გულგრილი, ვიმეორებ ნაცნობ საგნებს და ყოველდღიურ ოცნებებთან ყიალს ვუნდები... ცხოვრებისეულ წვრილმანებზე შემბრა წუხილმა, როცა ბუნება ქაოტური წესრიგით მფოთავს, მკაცრი დუმილით მხრებზე მყვდნობა და საყრდენი ბუნების მე ვარ, დიდგულა და სრულყოფილი არსება მიწის.

ნახაზიშვილი ქვიციანი (1967)

დაიბადა ლეჩხუმში, სოფელ უცხერში (ცაგერი). დაამთავრა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახ. უნივერსიტეტი. მუშაობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მასწავლებლად, იყო ქუთაისის 37-ე საჯარო სკოლის დირექტორი, ამჟამად არის ქუთაისი მე-7 საჯარო სკოლის დირექტორი. არის ავტორი წიგნისა „უბელი რამები“.

ფურცელი

ორღობე. ჭიშკარი. ურდული. უღელი. ემომი ნახევრად დამლილი მარხილი. მთოთვა. საყენი მთოთვა წუხელის, არც ძაღლის ყუფაა, არც კაცის ძახილი.

დათბება, გათხლიშავს ამ თოვლებს მარგის მზე, ნადირთა ნაკვალევს წაშლიან ტვერები, ვერ რწყავენ საფლავეებს, აღდგომის ნადიმზე, უღვივონ მშირალი, პირმშრალი ქვევრები. ბალახი მოეღო, გზებსა და ბილიკებს, ღამეებს აჯაგებს, ტურათა არია, იმშრალებს ღღის მზეზე დამღილულ ქილიქებს, უკაცო ოღა და უგარო ნალია. ვინ მეგყვის პასუხად ანდა მე ცის მშირალს, ღარიბი რაგომ ვარ, რად არ ვარ მდიდარი?! და გირის ობოლი სოფელი მთისძირას ვით დედა საფლავთან, ქერივი და შვილმკვდარი. ორღობე. ჭიშკარი. ურღული. უღელი. ემომი ნახევრად დაშლილი მარხილი. მოთოვა. საყენი მოთოვა წუხელის, არც ძაღლის ყეფაა, არც კაცის ძახილი.

— ნუჰარიძე ზინიად

იხილე მეფარე მზიად.

— ნუჰარიძე ჯიბო (1933)

ფსევდონიმი - ჯიბო ჯიბერი.

* * *


ვინ იფიქრებდა, ვინ მოელოდა ჩემს ამგვარ განჯავი-გოდებას გაბმულს. უცნობ შვილიშვილს საქართველოდან გისმობ, გეძახი, სადა ხარ, ბაბუ? როცა დავექერი შენს ღვთიურ ფოტოს, გული პოულობს გკივილის საღბუნს. ემომი ყველა ვარდსა და ფოთოლს ვკოცნი, თითქოს შენ გკოცნიდე, ბაბუ! როდესაც ბალიშს გამოვფენ დილით, მონატრებული ცრემლებით ნამულს; გამახსენდება სიმშარი, – გკბილი და ყვაველებში დაგეძებ – ბაბუ! ვერ ვპოულობ და ჩიგი ნიშნს მიგებს: – ვერ ნახავ ცხადში, გაფრინდა, ფაფუ!.. ვღონდები და ვთხოვ არსთა გამრიგებს: – სიმშარში მაინც გხედავდე – ბაბუ! ოღესმე მაინც, ფრთებს გამლი როცა,

გამოსდგომოდ შენს განჯულ მაბმულს. შორს უცხოეთში ამ ლექსით გლოცავს შენი უცნობი პოეტი-ბაბუ!

— ნიკოლეიშვილი აპთანდილ (1948)

დაიბადა სოფელ გორაში (ვანი), 1966 წელს იქვე დაასრულა სკოლა. 1971 წელს დაამთავრა ქუთაისის პედინსტიტუტი ისტორია-ფილოლოგიის სპეციალობით. 1970 წლიდან მუშაობს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სხვადასხვა დროს იყო ფაკულტეტის დეკანი, პრორექტორი, უნივერსიტეტის რექტორი (1996-2005 წწ.). წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტს. არის სამეცნიერო ჟურნალ „ქართველური შემკვიდრების“ (ქუთაისი) პასუხისმგებელი რედაქტორი, რუსთაველის სამოგადღობის იმერეთის რეგიონულ განყოფილების ხელმძღვანელი. პირველი პოეტური კრებული გამოსცა 1975 წელს, 2002 წელს დაიბეჭდა მისი მეორე წიგნიც – „გამწყრალი მუზა“. გამოქვეყნებული აქვს ქართულ პოეზიასთან დაკავშირებული ლიტერატურული ნარკვევები: „მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები“ (შვიდი ტომი), „ქართველოლოგიური ეტიუდები“ (ორი ტომი); მონოგრაფიები: „პაოლო იაშვილი“, „ტიციან ტაბიძე“, „გიორგი ლეონიძის ლირიკა“ „ქართული ემიგრანტული მწერლობა“ და სხვა. * * *

ღღეს სულ ერთია, რას დაგარქმევ - გუბაშს თუ წაითეს, იქნებ, არც ღირღეს, ჩაღის ფასიც დაეღოს ვეღრვეინს, მაგრამ ვიდაცის ან რაღაცის სომ უნდა გწამღეს, სულში ვესვენოს წმინდანით გკივილი იგი. თეთრ აკლამაბზე სერაფიგას ვედრება დარჩა და ცვივა მგვერი მარადიულ სარკოფაგიდან, ეს შენ შემომრჩი უწმინდეს და უნაზეს საგად და ამ ღიდ სმაურს თუ ავიტან, შენით ავიტან. ეს შენ ხარ რწმენა გარდაცვლილი ამოვების, გელათი გქვია, მესეთა გქვია, არმაში გქვია და თუ კვლავ მწამხარ და სათუთი მშით მაგონღები,



ბაბა ნახუტრიშვილი



მურად ნაბიძერიძე



ენდი ნემსიშვილი



ნიკოლეიშვილი

მისთვის, რომ სულში წარმავლობის ქარები ქრიათ. ყოვლის დასასრულს აღარ ნიშნავს სიკვდილი მაინც, არც სულერთია, რას დაგარქმევ - გუბავს თუ წათეს, სანამ ცოცხლობ და გკვირვამდე განიცდი დაისს, ქვეყნად ვიდაიც ან რადაცის ხომ უნდა გწამდეს...

– ნინუა რაბი (გაგო) (1977 – 2000)

1983-1994 წლებში რაბი ნინუა თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა, 1994-99 წლებში – ოსსუს ფილოლოგიის ფაკულტეტზე, თარგმანის სპეციალობით. რაბი ნინუამ ლექსების წერა და რუსული პოემის თარგმნა გიმნაზიაში დაიწყო. უნივერსიტეტში სწავლისას თარგმნიდა ოსკარ უაილდის ზღაპრებს, ბაირონის, პუშკინის, ესენინის ლექსებს, თარგმნა იულიუმ სლოვანკის ერთი სონეტი, ბუნინის მცირე მთხრობები. მისი თარგმანები ხშირად იბეჭდებოდა ოსსუს-ის ალმანახ „ექო სახიერში“, ორენოვან პოეტურ კრებულებში, „ლიტერატურულ საქართველოში“. გამოცემულია მისი კრებულები: „ალუბლის იალქნები“ (1994), „ნაგალი“ (2004), „სინდბად მეზღვარე“ (2004), „ავფორინდები მე და შენ“ (2005).

ქმრა გოგო და ველოსი კმდი

გახსოვს მანგლისი – ლურჯ გყემი სოკო, იები ძაფით შენაკონებზე?

პატარა ბიჭი მოწიფულ გოგოს რა გულბრწყვილოდ თაგს გაწონებდი. გახსოვს, შორიდან გეგახდა დედა (შენით მიყვარდა მე დედაშენიც) და მაწვალებდა ბავშვური სევდა იმ შენს ჭიშკართან მარგო დარჩენილს. იქ იდგა შენი ველოსი პედი ნათელ მზისაგან სხივდანახატი, და ვიძინებდი ჩუმი იმედით, რომ მეორე დღეს ისევ გნახავდი. რომ სხივთან ისევ ითამაშებდნენ ეგ კულულები დასაკონნარი, მე ის დღევ მახსოვს, რომ დაგვაშორეს და შენს ქერა თმას თვალი მოვკარი. ახლი კი... წლები გავიდნენ ფარჩად, შენ ალბათ გზაზე მშვეს გაიფენდი, მაგრამ სსოვნაში სიმზარი დარჩა, ქერა გოგო და ველოსი პედი.

– ნიქარაჰა გივი (1934 – 1999)

მსპანური სტალსური პომეზილან

თარგმნა ბიძი ნიქარაჰამ

ოღეს ერთვის ბაგეს ბაგე, მჯერა, ვნების ცეცხლში შესულს,

რომ, სიცოცხლით გადამთვრალი, შენს ტუჩებზე ვკონი შენს სულს. ჩიგმა კლანჭში ოქროს ძაფით გაღუფრინა მწვანე დაბას... ჩიგო, ძაფი გაღმომიგდე, გული გულს რომ გადავაბა. შემიკერეთ წყვილი ჩექმა, რომ მაღალი ქუსლი ჰქონდეს, შევედგე ქუსლზე – ბაგე ჩემი საგრფოს ბაგეს გაუსწორდეს. ვცხოვრობ ქვეყნად მარგოსული. ჩემი დარდეს სულ თან მახლავს, ხეს რომ ვთხოვე ცოცხა ჩრდილი, ყველა გოგი შემოახმა.

– ნიქარაჰა ვენკერ (1946)

გამოცემული აქვს კრებულები: „მარადიული დღესსწავლი“ (1977), „მაღალი აფრა“ (1979), „ვარსკვლავები ქალაქის თავზე“ (1981), ლექსები (1984), „ხე მსხმოიარე“ (1989), „მზე ამოვა ქართველთა“ (1990). თარგმნილი აქვს ებრაელ პოეტთა ლექსები. 1990 წლის შემდეგ 25 წლის განმავლობაში მოუხდა ემიგრაციაში ცხოვრება და იქ შექმნა წიგნი „გრივოლ (აველონ) რობაქიქი“.

შემოღობის სიმღერა

გაფითრებული და სევდიანი დღე ეფინება მინდვრებს მოთელილს, გესმის, ძვირფასო, ჩუმი შრიალი – ეს სიმღერაა ხმელი ფოთლების. ახლა ჩვენი გყვებს ირგვანო სხვა უელის, წყლის პირად ბუქქებს უჩანთ წვივები, ყურა დაუგდე... გესმის სმაური – ეს სიმღერაა შორი წვიმების. ცა, შემოდგომის მზით ნაფურები, თვლემს დაყრდნობილი მთების ყავარჯნებს, დაიმასხოვრე ეს სიმღერები, მოგენატრება კიდევ მრავალჯერ. დაიმასხოვრე, ბოლო სურვილსაც სანამდე კამი სულ მთლად მინისლავს, სიმღერა ჩვენი სიყვარულისა, სიმღერა ჩვენი სიყმაწვილისა.

– ნიქარაჰა შოთა (1923 – 1987))

პოეტი, დრამატურგი, ჟურნალისტი. დაიბადა ქუთაისში. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქალაქო გამეთების – „სიმართლის“, „სტალინელის“, „ქუთაისის“ რედაქციებში, გაზეთ „ლელოს“ საკუთარ კორესპონდენტად ქუთაისის მონაში. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო მეოცე საუკუნის 50-იან წლებში. ავტორია ლირიკული

ლექსების კრებულებისა: „სიჭაბუკის ბაღადა“, „ლექსები“, „მზიანი ბილიკები“ და სხვა. მისი საბავშვო პიესები ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრშია დადგმული.

* * *

წლებმა გადახნა ჩემი შუბლი და მხოლოდ სიმართლე მალაპარაკა. ნელა ამომაქვს ალალ გულიდან ხელი სითბო და სიგჳვის ბარაქა. ყველაზე გამძლე ფესვი მემზრდება, როს ცვრიან მიწას ვფარცხავ ხელებით. მე ჩასაწურავ ლექსის მემგრე ვარ ადამის ძეთა საწახელებში.

— ნიშნიანიკი გიორგი (1928 – 2011)

დაიბადა თბილისში. 1950 წელს დაამთავრა ოსუს-ს იურიდიული ფაკულტეტი. მუშაობდა ქურნალ-გამეთევის – „ახალგაზრდა კომუნისტის“, „თბილისის“, „კომუნისტის“, „ნიანგის“ რედაქციებში. მას ეკუთვნის წიგნები: „სიცილის არქივი-დიან“ (რევოლუციამდელი საქართველოს საგირულ-იუმორისტული პრესის ისტორია. 1881-1921), ავტობიოგრაფიული მხატვრულ-ლოკუმენტური წიგნი „გიზო ნიშნიანიკი“, შეადგინა კრებული „დავით სარაჯიშვილი“ და სხვა. პროფესიით ქურნალისგმა ლექსების წერა 53 წლის ასაკში დაიწყო. თბილისს, კერძოდ მის ერთ-ერთ უბანს ეძღვნება პოემა „პაემანი ვერაზე“. პოემის მხატვრული კომპოზიცია დაიდგა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, გამოვიდა ორ ვიგანტ-ფორფიგად. 2010 წლის 4 მაისს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზის წინ გიზო ნიშნიანიკის ვარსკვლავი გაიხსნა.

* * *

გათითოკაცება გვაოხერგიალებს, ვიცე ამ ცხოვრების მე ავან-ჩავანს. რაცა გვეოფს კი არა, რაც გვაერთიანებს ეს არის, ეს არის, ეს არის მთავარი! თუ ასე არ ფიქრობ, ძალიანაც ცდება! ცუდად გამსარჯე და მრუდად გაისარჯე

შენი გამარჯვებით მე არ დავმარცხდები, ჩემი დამარცხებით შენ ვერ გაიმარჯვებ.

— ნიშნიანიკი გიორგი (1935 – 1998)

დაიბადა თბილისში. 1959 წელს დაამთავრა ოსუს-ს დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. მუშაობდა ქურნალ „ცი-სკარში“ რეცენზენტად, მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის რედაქციის გამგედ. ქართულ ენაზე თარგმნილი აქვს მსოფლიოს პოემის არაერთი დიდი წარმომადგენლის პოეზია, განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობდა ინგლისელ და ამერიკელ ავტორებს.

ინგლისური ხალხური ბალადა

თარგმნა გიორგი ნიშნიანიკიმ

„მარტოღმარტო სად მიდიხარ, მშვენიერო ალვა?“ „ბაკში – ძროხის მოსაწველად, სერ“, – მიუგო ქალმა. „რომ გამოგყვე, გეწყინება, მშვენიერო ალვა?“ „რასა ბრძანებთ! – როგორც გსურდეთ, სერ“, –

მიუგო ქალმა.

„ნეტა ვისი ასული ხარ, მშვენიერო ალვა?“ „მამაჩემი ფერმერია, სერ“ – მიუგო ქალმა. „ცოლად ხომ არ გამოთყვე, მშვენიერო ალვა?“ „დაიხ, თქვენ თუ თანახმა ხართ, სერ“, – მიუგო ქალმა. „მაგრამ მშითვად, მშითვად რა გაქვს,

მშვენიერო ალვა?“

„მხოლოდ სახე, მშვენიერი, სერ“, – მიუგო ქალმა. „მაშინ, ალბათ, ვერ წაგიყვან, მშვენიერო ალვა“, „კალთებს არვინ არ დავახვეო, სერ“, – მიუგო ქალმა.

— ნიშნიანიკი შოთა (1929 – 1999)

დაიბადა თბილისში. 1953 წელს დაამთავრა ოსუს-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1958-1960 წლებში სწავლობდა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტის უმაღლეს ლიტერატურულ კურსებზე. 1964 წელს დროებით დაიწყო მუშაობა გამომცემლობა „მერანის“ ქართული მხატვრული ლიტერატურის რედაქცი-



რატი ნიშვილი




გიორგი ნიშვიანიკი



მამი ნიშვიანიკი



გიორგი ნიშვიანიკი



გიორგი ნიშვიანიკი



შოთა
ნიშნიანიძე

ის გამგედ. 1974 წელს მუშაობა დაიწყო მწერ-
ალთა კავშირის მთავარ ლიტერატურულ კონ-
სულტანტად. 1976-1982 წლებში იყო აღმანახ
„საუნჯის“ მთავარი რედაქტორი, სიცოცხლის
ბოლო წლებში ასევე რედაქტორობდა ჟურნალ
„საუნჯეს“. მას დაწერილი აქვს ბელეტრისტე-
ლი ოცი პოემა, რომელსაც არ გამოქვეყნებულა.
შოთა ნიშნიანიძის პირველი პოეტური კრე-
ბული „მე და შენ“ გამოვიდა 1956 წელს. ამ დრო-
იდან მოყოლებული პოეტმა არაერთი წიგნი
გამოსცა, მათ შორისაა პოეტური კრებულები:
„კაფუთესე“ (1959), „მეთისხილის რგო“ (1961),
„მზე და ჩრდილი“ (1963), „ხილვები“ (1966), „გა-
დასახედი“ (1977), ერთგომეული (1979), „უპირვე-
ლეს ყოვლისა“ (1988), 100 ლექსი (2007).

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

* * *

მე ვარ მისანი ხარი წიქარი,
შენი ღვრიგა ვარ, მამულ-დედულო,
ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე,
რომ გემსახურო და გიერთგულო.
შენი უღელი მემჩაგოს აგრემც,
ქედზე რო მაღვას განაჩენივით.
არ მომიღერო გეთაყვა სახრე,
სიყვარულისთვის ვარ გაჩენილი.
და თუ გქონია რამე ტკივილი
ან რამე ჭირი ზნეკეთილიანს, –
ამილოკია ქვაშარილივით
და ხარის ცრემლით დამიგინია.
რამდენჯერ ვმდგარვარ სამოთხის კართან
ქედგახეხილი, გადაგყავი...
ღმერთთან საუბრის და ნიჭის გარდა
არაფერი მაქვს დანაშაული.
და როცა მიწას მივებარები,

ნაჯაფარი და განდაკორძილი, –
შენზე დამრჩება ისევ თვალები
ანგელოსების ამოკონცნილი.

– ნოზაქა ლაპიტი (1919 – 1997)

დაიბადა სოფელ ფერსათში (ბაღდათში). არ-
მიაში გაიწვიეს 1939 წელს. იბრძოდა ლენინ-
გრადის მისადგომებთან, იყო სანაღმტყორცნო
ოცეულის მეთაურის მოადგილე. 1942 წლის სე-
ქტემბერში მძიმედ დაიჭრა და სამშობლოში
დაბრუნდა, როგორც დიდი სამამულო ომის ინ-
ვალიდი. მისი პირველი ლექსი გამოქვეყნდა 1945
წელს. იგი ექვსი წიგნის ავტორია.

ფრონტში მშრომლის ბარათი

აღგაის მხრიდან მოფრინდა
სასისარულო ბარათი.

სიმღერის ეშხით ავენთე,
მშის ბრწყინვალეებით გავენათდი.
გულმა სიაძე შეიგკბო.
ვით მობრძანება მაისის...
ხსოვნაში ძველი დღეების
გუგუნი ისევ გაისმის.
თუმც ისევ ისე აღარ მსურს,
რომ გაიხსენო ყოველი:
შიმშილი, წვა და წუხილი,
თავგანწირული ბრძოლები.
მგრის განლაგება დაშლილი,
გზა ჩვენგან გადათელილი.
გვსდევდა სიკვდილის აჩრდილი,
ბედზე ვართ გადარჩენილი.
ბედზე ვართ გადარჩენილი...
- გვაქვს სამშვიდობო მიზნები.
ის იქით მეპატიეება, მე აქით ვეპატიეება.

– ნოზაქა ლარი (1955)

1972 წელს დაამთავრა საშურის მეორე საშ-
უალო სკოლა, ხოლო 1978 წ – ოსუს-ს მექანიკა-
მათემატიკის და ხელოვნებათმცოდნეობის ფაკ-
ულტეტები. დიდი ხნის განმავლობაში მუშაობ-
და აგრარულ უნივერსიტეტში, დამოუკიდებელ
უნივერსიტეტ „ეკრისში“, ეკონომიკისა და სა-
მართლის ქართულ-ბრიტანულ და სხვა უნივერ-
სიტეტებში. 2011 წლიდან სამცხე-ჯავახეთის სახ-
ელმწიფო უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტ
„გორგასალის“ ასოცირებული პროფესორია.
ათი პოეტური კრებულის და რამდენიმე ბიოგ-
რაფიული ესეს ავტორია.

* * *

გამოსავალი ვანა არა ჩანს?
წარღვნის დროსაც კი ვიდაც გადარჩა

და არც გვალვის დროს წახდა ყოველი. ჩვენ მოვიშუშებთ ბევრ მკაცრ განაჩენს და შვიციქმნებით ყოვლის მშობენი. ღრუბლები კვლავაც გადაიყრება, მგონი, მათაც სწყინთ არად ჩავლებ! კაცობრიობა თვის გემს მიჰყვება, ომს რომ აცხადებს ამპარგავენებთან. უსასრულოა ასეთი ფიქრი. კეთილმზრახველნი გზას მოძებნიან. დადგება ყამი ახალი მირქმის, სამსხვერპლოდ ისევ თავს გავიმეტებ! ერთმანეთისა ჩვენ უფრო გვეხმის. ვგრძნობ, ამ მძიმე ჯვარს როგორ მიველტვი, როს წამადგება თავს „ვინმე მეხსი!“ ის, რაც მიაჩნდათ უკიდევანოდ, დღეს დაიგია აქ ფრამამ მომცრომ, მე ვაათმაგებ თქვენს ღვაწლს ღედანო, სული უბიწო რომ კვლავ დავლოცო, მსურს, მოვილიო მძიმე განცდები და წარვედგინო საკუთარ თავთან. მიგზაგ ცხოვრების თითო მარცვლები.

— ნონეშვილი იოსებ (1920 – 1980)

დაიბადა სოფელ კარდანახში (გურჯაანი). 1942 წელს დაამთავრა ოსუს-ს ფაკულტეტი. მეორე მსოფლიო ომის დროს, 1943-45 წლებში კავკასიის ფრონტზე იბრძოდა. 1947-50 წლებში იყო ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორის მოადგილე. 1952-63 წლებში რედაქტორობდა ჟურნალ „ღილას“, ხოლო 1963-1966 წლებში იყო გამვით „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი. პირველი ლექსი ჟურნალ „ჩვენს თაობაში“ გამოაქვეყნა 1938 წელს. 1940 წელს გამოსცა პირველი პოეტიკური კრებული. მისი ლექსის დამახასიათებელი თვისებაა პოეტიკური ემოციურობა, ექსპრესიულობა, მხაგრულ სახეთა სისადავე. ნონეშვილის შემოქმედებაში ჭარბობს საგრფილო ლირიკა, რომლის საუკეთესო ნიმუშებია: „საუბარი ნაძვებთან“, „ფრთხილად იყავი“, „შენ საქართველოს დედოფლობა დაგმშვე-



იოსებ ნონეშვილი

ენდებოდა“ და სხვა. ნონეშვილის პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის თემებს: „ჩუქურთმის მჭრელის ეპიგრაფია“, „შემოდგომა თბილისში“, „ელადის ყვავილები“ და ა.შ. მასვე ეკუთვნის პოეტიკური ციკლები სომხეთზე, ყაზახეთზე და სხვა. გამოცემული მისი ლექსების შემდეგი კრებულები: ლირიკა (1961), „ყვავილების მეჯლისი“ (1987), „რამ დამავიწყოს“ (1989), „თუ დედა ენით არ ხარ გამრდილი“ (2008).

ჩუქურთმისმჭრელის პატივად

მე ქაშუეთის ჩუქურთმას ვჭრიდი, ჩემი მღელვარე სულის ჩუქურთმას. გამოლიო მქონდა ვარსკვლავთა წიგნი, ლოდებს არ ელო ხავსი, ვით ფიქრი და გული თითქოს ჩემებრ უხურდათ... მე ქაშუეთის ჩუქურთმას ვჭრიდი, ჩემი მღელვარე სულის ჩუქურთმას. გვიმრის ფოთლოი თუ რტო ვაზისა, ძელქვაზე ფრთხილად ასული სვია ისე დავხაგე ქვაზე ფაქიმად, რომ ჩემს სუნთქვაზე იწყებდნენ შრიალს. და როს დაადგა ღვთის თვალი გამარს,



ლპერი ნოშაძე



ლავითი ნოშაძე



ლილი ნუნეშვილი

ანგელოსებმა მარჯვენა მიქცს,
 მე ღმერთი ვიყავ და ვიქეც კაცად,
 მე კაცი ვიყავ და ღმერთად ვიქეც-
 მაგრამ, უცნობო, როს სანთლის შუქი
 აგიჩირაღდნებს მწუხარე სახეს,
 მე მადლობელი ვიქნები, თუკი
 შენღობას ეგყვი ჩემს ცოდვილ სახელს.
 რადგან მე – უღირსს, ცოდვა რამ მაძევეს,
 ო, ცოდვა მაძევეს მე მეტად დიდი...
 როცა ბოლნისის ვარდისფერ ქვაზე
 ღვთისმშობლის წმინდა ხატებას ვჭრიდი,
 მე თვით არ ვიცო, საიდან განწნა
 ჩემი მიჯნური შემართულ ისრით
 და ღვთისმშობელის თვალების ნაცვლად
 როგორ დაეხატე თვალები მისი.
 მე თვით არ ვიცო, რად დავამგვანე
 ეს ჩუქურთმები მის დაღალ-კავებს.
 და ვგრძნობ: არა არს ქვეყნად თუ ცაში
 გულთამხილავის მიუწვდომელი.
 წარბს შეჰკრავს რისხვით და, ალბათ, მაშინ
 განკითხვის მძიმე ჟამი მომელის...
 და, ჰე... უცნობო, როს სანთლის შუქი
 აგიჩირაღდნებს მწუხარე სახეს,
 მე მადლობელი ვიქნები, თუკი
 შენღობას ეგყვი ჩემს ცოდვილ სახელს.

– ნუგუზიამ ლილი (1927 – 2002)

დაიბადა ქუთაისში, განათლება იქვე მიიღო, სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური სასწავლებელი 1948 წელს; 1953 წელს კი ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. ლექსებს ადრეული ასაკიდან წერდა. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ორმოცამდე პოეტი-

ური კრებულია და უამრავი ამღერებული ლექსი. 1954 წელს გამოქვეყნდა, მისი პოეტური ნაწარმოებები სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, კრებულებში, ალმანახებსა და ანთოლოგიებში. 1959 წელს გამოიცა მისი ლექსების პირველი კრებული. პირველ წიგნს მოჰყვა კრებულები: „ღეღა და პოეტი“ (1967), „ყველა ვარსკვლავი ციმციმებს შენთვის“ (1969), „ვინ მიაშობს ზღაპარს“ (1969), „გიყვარვარ თუ არ გიყვარვარ?!“ (1970), „ყვეაილების დელოფალი“ (1972), ლექსები (1972), ლექსები (1975), „მამული ჩემო“ (1975), „უცნობი კარუსელი“ (1976), „ჩემი აკაცია“ (1978), „ვალი გაღაუხდელი“ (1981), ლექსები (1982), „მზე უღიმის პატარებს“ (1982), „ჩემი ლაქვარდი“ (1986), „ფიფქის სიმღერა“ (1987), „მამთარი მაინც არის მამთარი“ (1988), „მოვლივარ შენთან“ (1989), „სიმღერა სიყვარულზე“ (1990), „მოლოდინი“ (1990), „მურიას თავგადასავალი“ (1992), „სიყვარული და ცრემლები“ (1993), „სათაფლიაზე ორი კვალია“ (1995), „ქუთაისისთვის რაც მიმღერია“ (1995), „თუ ვინმე გიყვარს“ (2008), „რაც გულზე ამოვიქარგე“ (2013)

* * *

აბა, მითხარ, სად წავიდე,
 გაზაფხული მოდის...
 ამ ჭადრების გადაძევიდე,
 მივეჩვიე ლოდინს.
 როგორ დავთმო მე რიონს
 ჩქერი წმინდა ყოვლად,
 ჩემი უქიშერიონი -
 ჩემი ფიქრის გორა.
 ამ ლაქვარდებს ავეკიდე,
 მზის წამწამთა ჩეროს...
 მე შენს იქით სად წავიდე,
 სიყვარულო ჩემო...

ო

— ოლივარი გურამ (1951)

დაიბადა სოხუმში. 1975 წელს დაამთავრა სოხუმის პედ. ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა სოხუმის რადიომაუწყებლობის კორესპონდენტად, აფხაზეთის საოლქო გაზეთის კორესპონდენტად, აფხაზეთის მწერალთა კავშირის ლიტერატურულ კონსულტანტად, ჟურნალ „რიწის“ მთავარ რედაქტორად, გამომცემლობა „მერანის“ აფხაზეთის ფილიალის დირექტორად. 1969 წელს დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი. არის 9 პოეტური კრებულისა და 5 პროზაული წიგნის ავტორი. 2012-2014 წლებში იყო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი. გამომცემელი აქვს პოეტური კრებულები: „საგალობლები შენთვის“ (1978), „მშვილობა სახლსა ამას“ (1982), „უნებლიე ვედრებანი“ (1984), „წვიმის გამოხმობა“ (1984), „შვიდი სურათი ბავშვისათვის“ (1986), „შუალამის ხე“ (1990), „ზღვის გასაღები“ (1991), „სონატა სოხუმზე და შენზე“ (1994).

იმეღვე კაცში

იელვე კაცში, სინანულო, და გაახევე გზაზე, მერე წარსულში გადახიზნე, ქარქუხილს მიეც ფოთლად. შემისმინე მე, მდინარეო, და განუღეძე მას, მწყურვალს, წვიმებით აღარ წაშალო, ცაო, მისი ღვართქაფი გვაღვოს. შენია იგი, სიყვარულო, და აღარ გაიკარო ახლოს, შენი სიმღერები აგალობე, მარად აძებნინე თავი. ცოდეა იგი, ისამანო, და მონაგარე გეცა, სვედის თვალები მოალანდე — შენი სიმშვიდით საჯსე. ისევე მიხედე მარგოსულს, ღეღაო, და — მიუმტაგე ის ზღვის ჟამს, ცრემლთა ბებური მოსავალი ისევე დაადინე ღაწვზე. ასე თუ იხსნიო მას, ჩვენებურებო, და ასე გამოგლიჯავთ კივილს, რომელიც მიწის გოლია, იავ, და დარი მომაკვდავ ბაღლის.

— ოლიველი — იხილე გვეთა ივანე.

— ოთარაშვილი ვაჟა (1955)

დაიბადა კასპში. 1976 წელს დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი. 1989-1992 წლებში იყო გამომცემლობა „გულანის“ დირექტორი; ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. არის ავტორი ლექსების კრებულებისა: „ხილვადობა“ (1986), „თოვლისფერი ღამეები“ (1989), „გველის წელიწადი“ (1990), „ჩემი გულბრწყინო ღანი“ (1991), „ცრემლები ქარში“ (1999), „სეკორძულელის აღსარება“ (2001), „ცის სარკმელები“ (2003), „მწუხარე ბედნიერება“ (2006), „XXI“ (2008). აზვინტო-2008, სოფ. ძმებო ტალა აგვისტოა, სოფლის შარას მივლევ. სიცხისაგან ყველა ფშანი დაშრა... გაიარა რუსის განკის ჩრდლდზე ამ ფშატივით ჭორფლიანმა ბავშვმა... ისევე ძველი ნასაყდრალი გვიცავს, სხვილოს ციხეც მეცხოვრებდ შერჩა... საქართველო დარდით გაიცრიცა და ცის ნამი ენაგრება ბეჩავს...

— ოთხანი ძანა (1963)

დაიბადა მესტიის რაიონში. წლების განმავლობაში ცხოვრობდა სოხუმში. 1987 წელს დაამთავრა მსსს-ის ფილოლოგიის ფაკულტეტი, შემდეგ — ამავე ფაკულტეტის ასპირანტურა. მუშაობდა ჟურნალ „რიწის“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ. აქვეყნებდა ლექსებს და ესეებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „მნათობი“, „ცისკარი“, „რიწა“, „ლიტერატურული საქართველო“. 2012 წელს გამოიცა მისი ლექსების კრებული „ჩაგრულთა ლოცვა“, რომლის მთავარი სათქმე-



გურამ
ოლივარი



ვაჟა
ოთარაშვილი

ლი, პოეტის ამრით, „არის ის, რომ ადამიანის უმთავრესი ვალია, არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სამშობლოს თავისუფლების გადარჩენა.“

* * *

ბიბოს მიყვები, სავეს ნარ-ეკლით, –
ციცაბო კლდეზე რა ძალა მიცავს? –
ეს არც მთვარეა – მზის ანარეკლი,
არც მზე – ბრწყინვალე ხატება ღვთისა...
შორს, საოცარი სანახებისკენ,
ალმასდაფრქვეულ ბალახებისკენ,
ცოცხალი სიგვეთი, ცოცხალი შუქით
ცივი წყვილიაღის დამარცხებისკენ –
მთვარეულივით მივემართები...
რადღე მინათებს გზას ნარ-ეკლიანს...
ღმერთია ყველგან, და ეს ნათელიც –
ცოცხალი შუქის ანარეკლია...

– **ოკუპაცია რეჟავს** (1951)

დაიბადა სოხუმის რაიონში. 1977 წელს დაამთავრა გორის სახ. სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. იმავე წლიდან დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა. დევნილობის წლებში მუშაობდა სოხუმის ალ.შერვაშიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში. არის უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი. ორი პოეტური კრებულის ავტორია.

– **ონანა შილიანი** (1657/58 – 1728)

ონანა ქობულაშვილი
მდივან-მწიგნობარი ერეკლე I-ისა და მისი შვილების კარზე. აქტიურად მონაწილეობდა ვახტანგ VI-ის თაოსნობით გაჩაღებულ კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობაში. 1724 წელს ვახტანგ VI-ს გაჰყვა რუსეთში. ასტრახანში გაღვქმა პოემა „ბარამგულიჯანიანი“, დაწერა ანბანთქებანი, რომლებშიც გადმოსცემდა ეკლესიურ-სარწმუნოებრივ მოტივებს, სატრფიალო განწყობილებებს, XVIII საუკუნის ქართველ ემიგრანტთათვის დამახასიათებელ შეხედულებებს წუთისოფლის დაუნდობლობაზე. ლექსად გადმოიღო ვახტანგ VI-ის მიერ პროზაულად თარგმნილი „ქილილა და დამანასა“ პოეტური ფრაგმენტები. 1726 წლიდან მოსკოვში ცხოვრობდა.

– **ონაშვილი ნათელა** (1934 – 2005)

დაიბადა თბილისში. 1955 წელს დაამთავრა ოსუს ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტის, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტის

ლიტერატურის კათედრებზე ლოცნის თანამდებობაზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, ილ. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა და კულტურის უნივერსიტეტში ლოცნებად. იგი ავტორია ლექსისა „თუ ასე გურფა იყავი...“, რომლის სტრუქტურაზე შექმნილი სიმღერა განსაკუთრებით პოპულარული გახდა ჰამლეტ გონაშვილის შესრულების შემდეგ. ავტორია ლექსთა კრებულისა „გოდება“ (1998).

– **ონელი არემი** (1901 – 1979)

ნამდვილი გვარი – ბურდილაძე.
დაიბადა სოფელ მოედანში (ონი). მისი პირველი ლექსი – „შემოღამების ესკიზი“ – დაიბეჭდა 1922 წელს „გალაკტიონ გაბიძის ჟურნალში“, ხოლო პირველი წიგნი – „მთები“ – გამოიცა 1927 წელს. არის ავტორი საბავშვო ლექსების კრებულებისა: „ერემლი და სისხარული“ (1935), „ფრიადოსნები“ (1940).

ტმის ზღაპარი

მისი ღუმელი ღამით, დღითაც იქნებ მზანება ჰგონია ვისმე, მე კი ნიადაგ ამ ღუმელიდან რადღე იღუმალ გალობას ვისმენ. ვისმენ და სული ჩემი სავსეა შეუცნობელი მუნჯი ბგერებით და სხვანაირი გრძნობიერებით მამცნობს ბუნება თავის ხასიათს, მზე ამოვა და ცისფერ ივით მორთულ სივრცეს რომ მიეფარება, ჰიმნს უმღერებენ გყის ფერიები სილამაზეს და მშვენიერებას.

– **ონიანი უსა** (1938 – 1999)

მხატვარი, პოეტი.
დაიბადა თბილისში. 1956 წელს დაამთავრა თბილისის 23-ე ქალთა სკოლა. 1957-1963 წლებში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე (უჩა ჯაფარიძის სახელობის). საღიპლოში ნამუშევარმა „უფროსკლასელები“, მიიღო უმაღლესი შეფასება და გამოფენილი იყო მოსკოვში სსრკ სამხატვრო სასწავლებლების დიპლომატთა X საკავშირო გამოფენაზე. 1966-1967 წლებში მუშაობდა საქართველოს ტელევიზიაში დამდგმელ მხატვრად. 1969-1999 წლებში იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის კათედრის პედაგოგი. მისი შემოქმედება ძირითადად თბილისს უკავშირდება; შექმნა თბილისელთა პორტრეტები. 1969 წლიდან

პერიოდულ პრესაში იბეჭდებოდა მისი ლექსები, წერილები, ავტორია 4 კრებულისა, რომლებშიც შესულია ლექსთა ციკლები თბილისურ ყოფასა და თბილისელებზე. 2000 წელს თბილისში მოეწყო მემორიალური გამოფენა და პრემიენტაცია წიგნისა „ლექსები, ესეები, წერილები“.

„უშუპერთა ლოცვა აბჟუსადმი

აბჟუ*,
ნუ მოხვალ! ფისისფერი თვალი გვაშორე!
სადაც ხარ, იყავი!
ბებერ მეფესავით ბარდებში იბოლიაღე
გასი პულ ფლასგებით.
ფშუგეთვალეზიან კვერთხ-გვირგვინს
ჩამქრალ ოქროსას აგარებ.
აბჟუ, შენთან წამოსულნი დაითვალე
ნელ-ნელა, არ იქჟარო;
მშერა მოანაცვლე,
სუყველა გაისხენე სათითაოდ:
მოხუცების თეთრი ხუხულები,
წვერებით, წაქისფერებით,
აბჟუ, კაცები, შეწყვეტილი, ძალადაუღვეი,
ბებერი ქალები ფქვილიან თვალებით,
აბჟუ, ბაბუშეები მობარბაცე,
აბჟუ, რძესავსე დელები,
ძეძუ სამუდამო შედელებით,
აბჟუ, თოთო-ფრცქვინი ქალწულები
სარეცელს მიჯაჭვიან ეკლიანს,
აბჟუ, ჭაბუკები თმების მზიანი ხვრელებით,
ენებადაუძცხრაღი გახელებით,
ყველას შეხედე –
კაცისფერ მშემეი კრიჭა შეკვრიათ!
აბჟუ, ნუ მოხვალ,
ჯერ შენთან წამოსულნი
დაითვალე სათითაოდ,
ნელა დაითვალე,
არ იქჟარო!

*აბჟუ - სიკვდილის ღმერთი შუმერულ მითოლოგიაში

– მონიანი ანა

ისილე ლაშხელი-ონიანი ანა.

– ორბაღლიანი ალექსანდრა (1802 – 1869)

(ჯამბაკურ-ორბელიანი)

დრამატურგი, ისტორიკოსი, პოეტი, პუბლიცისტი, სამეფო ოჯახის წევრი.

სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, შემდეგ პეტერბურგის სამხედრო სასწავლებელში ეწვოდა თვითგანვითარებას. 1828 წელს აირჩიეს თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლად. ალექსანდრე მონაწილეობდა სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლებში. 1829 წელს მსახურობდა მრჩეველის თანამდებობაზე გუბერნიის სამმართველოში. იგი იყო 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ორჯანიზატორი, რისთვისაც დააპატიმრეს და გადაასახლეს ორენბურგში. სამშობლოში დაბრუნებისთანავე, 1840 წელს, ჩაება სამოგადოებრივ ცხოვრებაში: მონაწილეობდა ეურნალ „ცისკრის“ აღდგენაში (რომელშიც აქვეყნებდა თავის თხზულებებს), მრუნავდა ქართული თეატრის აღორძინების, ეურნალ-გაზეთების დაარსების, სკოლების გახსნაში. ალექსანდრე ორბელიანი ავტორია ლექსების, მოთხრობების, დრამების, მემუარების და პუბლიცისტური წერილების. მისი პირველი ლექსი „მთოვარე“ გამოქვეყნდა 1832 წელს „სალიგერატორნი ნაწილნი გვილისის უწყებათაში“. ალექსანდრე იყო ერთ-ერთი პირველი ურითმო ლექსის ავტორი ახალ ქართულ პოეზიაში. მისი საკმაოდ მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა თემატურად თითქმის ერთ საკითხს ეხება. მწერლის მშერა საქართველოს წარსულს იყო მიჰყრობილი, წარსულის იდეალიზაცია, მისი სიდიადის წარმოჩენა იყო ალექსანდრე ორბელიანის მთავარი მიზანი.

საქართველოს გაზაფხული

ნიმუნი რხევით სეირნობენ
ასფოდელსა დარამბულნი;



შანა
ოთხკვანი



რამკაშ
ოკუშკავა



ნათიმლა
ონაშვილი



არნო
ონელი



მსაბა
ონიანი



პრინცი ორბელიანი

ყვავილთ სწავლებელ, ნაბათ სტრუქტურის, ცნობის სუნთა სხარულნი. ნორჩებზედა გაზაფხული, დასწრწის სუფთად ხან დაბმული, დააკვლებათ შეკონილი მღელვართ სითთ სიყვარულნი. ეფორ მღელოს მოუფინვის სიაბითა შეხვევის, იქ ფოთლებში მოიბზინვის შარავანდი მხიარული. კარგნი ჩიგნი ჭიკჭიკობენ, ხმის წყაროთი მოეხმობენ. წვრილად, წყნარად გულთ იდნობენ სურვილითა შესამქრულნი. მუშნი ეთერთ ცეცხლთ ისვრიან, საწყალთ ამურთ გულს აყრიან, სულს შეწირვით კვლად შესტრფიან, გრფილებით გაბასრულნი. ცა, ქვეყანა, სულიერი, გაზაფხულსა შეეხარვის, ამ დროს რომე კაცის ბერი მოკვდეს, ვფიცავ, ცლო არის.

— ორბელიანი გეგლარი (XVIII-XIX სს)

ნაბდელი სახელი – პეტრე. XIX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი თვალსაჩინო პოეტი. საქართველოში რუსეთის პოლიტიკას ემსახურებოდა, თუმცა ერთ ლექსში ანტირეჟიმულ განწყობილებასაც ამჟღავნებს. მონაწილეობდა მთიულეთის 1804 წლის აჯანყების ჩახშობაში, თურქებთან ბრძოლაში (1807); 1809 წელს ახალციხის ფაშასთან მოსალაპარაკებლად იქნა გაგზავნილი; 1811 წელს გაემგზავრა პეტერბურგში; 1814 წელს სამეგრელოში; 1818 წლის

ერთი საბუთის თანახმად, ღმანისში იმყოფებოდა. უფრო გვიანდელ დოკუმენტებში მისი კვალი აღარ ჩანს. იცოდა რუსული. მის ლექსებში გვხვდება რუსიციზმები - „სევერ“, „პარიჟელი“, „პოლშა“, „სტინინი“. უთუოდ მასვე ეკუთვნის „პეტრე, ქართველთა დღეს დიდებო...“ რომელიც არაერთგზის გამოქვეყნებულა.

— ორბელიანი გიორგი (1818 – 1883)

პოეტი, მთარგმნელი და „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელი. 1862-1863 წლებში ცხოვრობდა ქუთაისში, 70-იანი წლებიდან თბილისში. დაახლოებული იყო თანამედროვე მოწინავე ადამიანებთან. მონაწილეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ საქმეებშიც. 1879 წელს გიორგი იყო საადგილმამულო ბანკის შემფასებელი კომისიის თავმჯდომარე. მისი პირველი ლექსი „ჰე, საყვარელო.“ გამოქვეყნდა 1852 წელს ჟურნალ „ცისკარში“. 60-70-იან წლებში პოეტის სატრფიალო და პაგრიოტული ლექსები ქვეყნდებოდა „მნათობსა“ და „ცისკარში“. თარგმნილი აქვს კრილოვის „მელა და ყურძენი“ (1863), ბერანეს „შეგარდი“, „ბებია“, ბაირონის „სიბნელე“.

— ორბელიანი გიორგი (1804 – 1883)

პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ინჟინერი გენერალი. დაიბადა თბილისში, დიდგვაროვანი ფეოდალის ოჯახში, იყო ერეკლე II შვილიშვილის შვილი. სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, შემდეგ საარტილერიო სკოლაში. მონაწილეობდა სამხედრო ოპერაციებში დუკების წინააღმდეგ (1822-30), რუსეთ-ირანის (1826-27) და რუსეთ-თურქეთის (1828-29) ომებში. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს. განთავისუფლების შემდეგ, 1859 წლიდან, თბილისში მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებლად მუშაობდა. პროგრესული საზოგადოება დიდად აფასებდა გრ. ორბელიანს, როგორც საზოგადო მოღვაწეს. იგი ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. პოეტმა სამშობლოს წარსულს, მის აღდგენელ ბრწყინვალეებას მიუძღვნა „იარაღის“ (1832), „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ (1877). თავის ძირითად თხზულებაში, ლირიკულ-რომანტიკულ პოემაში „სადღეგრძელო“ (1827-1870) გრ. ორბელიანმა გააცოცხლა სამშობლოს მოჭირნახულე, დიდებითა და ბრწყინვალეებით მოსილ ისტორიულ გმირთა სახეები; იგი რამდენიმე მუხამბაზური ლექსისა („მუხამბაზი“ - 1829; 1833; 1835). პოეტს ნათარგმნი აქვს ჟეკოვის კის, კრილოვის,

ლერმონტოვის თხზულებანი; შექმნა ლექსები ა.ს. პუშკინის მიხედვით.

მუსაბეგოვი (ფრაგმენტი)

რგო აღვისა, შენი წელი მგონია,
 მაგ წელზედა ცისარტყელა მგონია,
 ევ თვალები – ცაში ელვა მგონია.
 ვარდის სუნთქვა – შენი სუნთქვა მგონია.
 როს მეღირსოს, ვჰსთიქვა: „გეთაყვა, ჩემი ხარ!“
 გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
 თვალთ ავახელ, მედ წამწამზედ მიზიხარ!
 ათი გზა მაქვს, ათივე შენკენ მოდის!
 ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის!
 მინდა რამ ვჰსთიქვა – შენი სახელი მოდის!
 ჩემს გულში რა ამბებია, რა მოდის?
 ერთხელ მაინც შეკითხე: „აგრე რათა ხარ?“
 გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
 თვალთ ავახელ, მედ წამწამზედ მიზიხარ!
 ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ,
 დარდიმანდის ღბინში მნახე, ვინა ვარ!
 ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ!
 აბა მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ! —
 მაშინ შეგიყვარდე, სთქვა: „ძვირფასი ხარ!“
 გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
 თვალთ ავახელ, მედ წამწამზედ მიზიხარ!

— **ორბელიანი ღაიით**
იხილე *ღაიით სარდალი*.

— **ორბელიანი ღიმიობრი** (168? – 1739)
 დაიბადა სოფელ განძიაში (ბოლნისი), გავლენიანი ფეოდალის ვახტანგ ყაფლანის ძე ორბელიანის ოჯახში. იყო სულხან-საბა ორბელიანის ძმა. ქართლის სამეფოს სახლთუხუცესი. ვახტანგ VI-ის თანამდგომი, 1724 წელს მას გაჰყვა რუსეთში. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო რუსეთში. აღსანიშნავია მისი ლექსნარევი პროზაული თხზულება „ცოლთან მიწერილი ალერსი გაყრისათვის“, სადაც ავტორი აღწერს მგანჯველ სევდას სამშობლო ქვეყნისა და მეუღ-

ლესთან განშორების გამო. სულხან-საბა ორბელიანისადმი მიძღვნილ ლექსებში ავტორი აღნიშნავს მისი დამსახურებას სამშობლოს წინაშე, სოციალურად დაქვს მისი ლექსიკონრაფიული ღვაწლი. მას გაუღიქვას სახარების ეპიზოდები, და დაუმუშავებია „ანბანთქება-ნის“ ახალი ნიმუშები და სხვა.

* * *

შეჭირვებისა გვირთები
 რაეღნი მაძევს ბეჭასა,
 მღუღარად მგირალხა ვინც მნახავს,
 დამამსგავსებუნ მე ჭასა,
 უგულოს გულით სიცილი
 მიგავს მკვდართ კბილთა კრეჭასა,
 ხან იმედი მაქვს სოფლისა,
 ხან კი დავიწყებ ხმეჭასა.

— **ორბელიანი ელისაბად** (1871 – 1942)
 ფსევდონიმი – საზანდარი
 დაიბადა თბილისში. განათლება მიიღო პარიზში. 1919-1920 წლებში რედაქტორობდა გაზეთებს ფრანგულ ენაზე – „თავისუფალი საქართველო“, „საქართველოს რესპუბლიკა“; ინგლისურ ენაზე გაზეთ – „საქართველოს მოამბეს“; წერდა ლექსებს ფრანგულად; ფრანგულადვე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“; აღ. ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის თხზულებანი; მ. ლერმონტოვის პოემა „დემონი“, ოპერა „აბესალო და ეთერი“.

— **ორბელიანი ვახტანგ** (1700 – ????)
 ვახუშტის ძე. მწერალი, სახელმწიფო მოღვაწე 1735 წლიდან იყო ჯერ მოსკოვში, შემდეგ პეტერბურგში. 1738 წელს დაბრუნდა საქართველოში. რუსეთში ყოფნისას დაწერა თავისი პირველი თხზულება – მოგზაურობის ჟანრის „პეგერგოფის აღწერა“, რომელშიც გადმოსცა რუსეთის მეფეთა საგაზაფხულო რემიდენციის ნახვით გამოწვეული შთაბეჭდილებანი. წერდა ლექსებს,



ალმესანდრე ორბელიანი



ელისაბად ორბელიანი



ვახტანგ ორბელიანი



თამაზ ორბელიანი



ნინო ორბელიანი

ანბანთქებებს. ვახტანგ VI-ის კვინკლოსისთვის შეადგინა „კვინკლოსით სარგებლობის წესი“.

— **ორბელიანი პასხაზი** (1687 – 1739)

(ჯამბაკურ-ორბელიანი)

ერეკლე II ასულის თეკლე ბაგონიშვილის უმცროსი ვაჟი. სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელსა და პეტერბურგის პაჟთა კორპუსში, რომელიც არ დაუთმავრებია. 1830 წელს დაბრუნდა საქართველოში. იყო 1932 წლის შეთქმულების მონაწილე, რის გამოც კალუგაში გადაასახლეს. მონაწილეობდა სხვადასხვა სამხედრო ოპერაციაში. 1855 წელს ქართველ გენერალერთა პოლკის უფროსია. 1860 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. ვახტანგ ორბელიანი ქართული რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მის პოეტურ შემოქმედებას სათავე დაუდო სამშობლოდან გადასახლებით გამოწვეულმა ღრმა განცდებმა („გამოსალმება“ - 1834). ვ. ორბელიანი ინგენიურ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა 80-იანი წლებიდან. მისი პოემების ძირითადი თემა საქართველოს წარსულია. დიდ ყურადღებას ამახვილებს ქრისტიანობაზე („ჯვარი ვაზისა“, 1880), რამაც, მისი აზრით, საქართველო იხსნა; უკვდავი სული, რაც ქვეყნისა და ხალხის გადარჩენის საწინდარია („იმედი“, 1888); სამშობლოს წარსული სილიადა, მისი უღამაგესი ბუნება, ქართველი ხალხის შემოქმედების მაღალი ნიჭი გამოვლინდა ვ. ორბელიანის ლექსებში „კახეთს“ (1880); „სამშობლო ქვეყნის პასუხი“ (1883) და სხვა. საქართველოს აღდგენისა და გაძლიერების პერსპექტივას იგი ქრისტიანულ მოთმინებაში ეძიებდა, იმედი ჰქონდა წარსულის აღორძინებას. მისი პოეტური მრწამსის გასათვალისწინებლად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება პოეტის დაუთმავრებელ ლექსს „პოეტი“ (1884), აშუღურ-ყარაჩოხულ პოემიას – „მუხამბაზის კილოს“. ვახტანგ ორბელიანის ლექსთა ნაწილი გამოიცა 1879 და 1881 წლებში. პირველი მნიშვნელოვანი კრებული – 1894 წელს, 1949 წელს ასევე გამოიცა მისი ლექსების კრებული.

პოეტის

მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა,
კინგოთ კილო, კილო შუა-ბაზრისა;
იმ კილოთი რა იმღერო, პოეტი,
თუ არ ღვინო, გოლუბაში და კინგო,
მათ ღუღუკი, დილი პიგო და ზურნა,
მათ უაზრო ლაზღანდრობა, ფიქინა?
მე არ მიყვარს სურათები ამგვარი.

მუხამბაზით სხვას რას იტყვი, მითხარი?
მე მომეცი კილო რუსთაველისა,
გაფურჩხნილი, ვით ყვავილი ველისა,
მოკამკამე, როგორც წყარო მცინარი,
ვით მღინარე, მშვენიერად მომღინარი.
იმ კილოთი გვაჩვენე სხვა სურათი,
დაგვანახვე ველნი, ბორცვნი და მთანი;
მალდა მეცა, ქვეშ ზღვა განუსამღვრელი;
მთლად ბუნება, ღიდი, ვასაკვირველი.
ველნი, ბორცვნი გურფად იფურჩხნებოდნენ,
წვერნი მთათა ცის კარს ეჯახებოდნენ;
ცის კამარა ბრწყინავდეს მნათობთ სხივით,
ან გრვავინავდეს ელვითა და ქუხილით;
კამკამებდეს მზის სხივითა ზღვის გული,
თვის ნაპირზედ მშვიდად მიძინებული;
ან მოსხანე ცაში ზვირთებს ისვრიდეს
და თვის მკერდზედ
ნავთ ხომალდებს მუსვრიდეს.
დაგვანახვე ღიდეული ბუნება,
იმის ღიდი მრავალგვარი მვენება.

— **ორბელიანი თაგაზ** (1768 – 1815)

იყო მეფე ერეკლე II-ის დის, ანას, შვილიშვილი. 1801 წელს თავის ბიძა (ღვიდის ქმარი) ფარნაოზ და იულონი ბაგონიშვილებთან ერთად გადაიხიზნა იმერეთს; როცა ფარნაოზ და იულონი იმერეთს გადაიხვეწნენ, მაშინ მათ და მათ მხლებლებზე გამოითქვა ლექსი:
„ლომნი კაკურად გარბიან
ერთითა შეძახილითა
ამილახვარი მოჰყავდათ
ერთითა შეძახილითა,
იულონ თქმით, თამაზ ბანით,
ფარნაოზ მოძახილითა“.
1812 წლიდან იყო თავადაზნაურობის საგუბერნიო მარშალი. 1813 წელს სხვა თავადებთან ერთად გაჰყვა რგიშჩევს გულისგანის მავის დასაღებად სპარსეთთან.
დაკრძალულია სიონის ტაძარში.

— **ორბელიანი ირინოლა**

ისილე *კაკიაშვილი ირმა*.

— **ორბელიანი მხაჭაბუკ** (177? – 1794)

ისხენიებენ, აგრეთვე, როგორც ჭაბუა ორბელიანს. პოეტი, მწიგნობარი. ერეკლე II-ის მდივანბეგი (1777-1791 წწ). გონებამახვილ და ენამოსწრებულ, მაგრამ ვულგარულ და გონჯ ორბელიანს უსიამოვნება ჰქონდა ბევრ თავის თანამედროვესთან. მასზე საგირული ლექსები დაუ-

წერით საიათნოვას, ბესიკს, ღვით რექტორს და სხვებს. ცნობილია ბესიკისა და ორბელიანის მწვევე პოეტური პაექრობა. სიცოცხლის ბოლო წლებში ბესიკმა მას მისწერა ვრცელი რიგორიკული ეპისტოლე, რომელშიც სთხოვდა შერიგებას. ორბელიანმა ხალხური ლექსების გავლენით ქართულ პოეზიაში დაამკვიდრა „იავნანასი“ და „ძებობის“ კანრი.

ძმობაში თქმული

(ფრაგმენტი)

აღმკულ სრასა, უცხოღ მზასა, მშვე შინ შემოდიო, ვჰხედავ ლომსა, მშის ნაშობსა, მშვე...
 ვეფხ ნაკვეთით, უსაზომსა, მშვე...
 მკვირცხლსა ყმასა, თვალად კმასა, მშვე...
 დემურს მგილს მონაყვანსა, მშვე...
 მსგვენს ბულბული ამოს ხმასა, მშვე...
 უხმეთ ქნარსა დასაწყნარსა, მშვე...
 საღაღითოს მონაგანსა, მშვე...

— ორბელიანი ნინო (1838 – 1919)

პოეტი და მსახიობი.

ნინო ღვითის ასული აბაშიძე, მაკრინე თარხნიშვილის და სვიმონ აბაშიძის ქალიშვილი, გრიგოლ ჯამბაკურ-ორბელიანის მეუღლე.

დაიბადა შიდა ქართლის სოფელ ახალქალაქში. ხუთი წლის გოგონა დედის ძმამ, იასონმა სოფელ დილიკაურში (მესტაფონი) წაიყვანა, სადაც ბიწოლა, მაიკო ამირეჯიბი საათობით ასწავლიდა წერა-კითხვასა და ხელსაქმეს. ორ წელწადში კი გარიყულაში, იმ დროისათვის სახელგანთქმულ მწიგნობარის, თამარ თარხნიშვილის მოსწავლე გახდა. 14 წლისა მიათხოვეს ქუთაისელ ევგენი მაისურაძეს რომელიც მალე გარდაიცვალა. ნინო მონაწილეობდა კულტურულ-სალიგერატურო ცხოვრებაში, თეატრალურ წარმოდგენებში. 1864 წელს მეორედ გათხოვდა, გრიგოლ ორბელიანის (1836-1887) მეუღლე გახდა. 1870-იან წლებში ნინო უკვე თბილისში ცხოვრობდა და ნაყოფიერ ლიგერატურულ, თეატრალურ, საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი გამორჩეული სილამაზით, ორბიტორული ნიჭით, იყო ბრწყინვალე იმპროვიზატორი... სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ნინო უკიდურეს სიღატაკეში, უსახლკაროდ ცხოვრობდა. ყველასგან მივიწყებული, გარდაიცვალა 1919 წლის 12 მარტს თბილისში დაფრთხილდა თავშესაფარში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში. მან 45 წელი იღვაწა ქართულ პოეზიაში; ლიგერატურულ სარბიელზე გამოვიდა XIX საუკუნის 60-იან წლებში; მრავალი ლექსის ავტორია, გა-

მოქვეყნებული აქვს მხოლოდ ერთი მცირე მოცულობის კრებული; თანამშრომლობდა ჟურნალ-გამეთებთან („ცისკარი“, „მნათობი“, „ღროება“, „ივერია“, „კვალბი“, „ცნობის ფურცელი“); მისი პოეზია ვითარდებოდა ქართველ რომანტიკოსთა და „სამოციანელთა“, განსაკუთრებით იჭავჭავაძისა და ა.წერეთლის გავლენით; მისი ლირიკის ძირითადი თემაა საქართველოს წარსული „განათებული თამარის სხივით“, სამშობლოს უნუგეშო მდგომარეობა, საკუთარი ცხოვრების მოუწყობლობის განცდა, თანაგრძობა ჩავრულთა მიმართ, რაც სევდიან ელფერს ანიჭებს მის ლექსებს; მისი საგრფილო ლექსები: „ნეგავ ეხლა საღა ხარ“, „ვიცნ მიყვარდა“, „სონაბაჯის ხმაზე“, სიმღერებდ იქცა (მუსიკის ავტორი უცნობია). მისი ლექსების კრებულები დაბეჭდილია 1885, 1894 და 1905 წლებში.

* * *

მოხუცდი, მაგრამ გრძნობა კი არ დამიკარგავს აროდეს, ღმერთსა ვიხთვ, ძმარ, კვალდაღაც რომ ჩემსკენ მოგისაროდეს. თორემ მარტოკა რაღა ვყო? ეს დრო მოელის ყველასა? ხომ ცოცხალი ვარ ჯერ კიდევ და ვამოტრავებ ენასა! ერთგულნი ძმანი მიყვარან სულთ და გულთ ყველანი, მათ შესამკობად ისარჯოს მღვათა ქცეული მელანი.

— ორბელიანი სულხან-საბა (1658 – 1725)

დაიბადა სოფელ განიში (ბოლნისი); ერისკაცობაში ერქვა მხოლოდ „სულხანი“, ბერობისა დაირქვა „საბაკ“; სულხანის მამა ვახტანგ ყაფლანის ძე ორბელიშვილი (ორბელიანი) ქართლის სამეფოს მოსამართლე თუხუცესი (ანუ დივანენი) ქართლის მეფეების ახლო ნათესავი იყო. იგი დიდად განსწავლული პიროვნება ყოფილა. სულხანი ბავშვობიდანვე ჩაება სახელმწიფოებრივ, სამეწარმო და სამეცნიერო საქმიანობაში. იყო ირანოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლის ერთ-ერთი თავკაცი. საქართველოს შინაური არეულობის გამო, იძულებული გახდა გასცლიდა ქართლს და, როგორც ჩანს, პოლიტიკურ მიზეზთა გამო, საბას სახელით ბერად აღიკვეცა ღვით გარეჯის ითანე ნათლისმცემლის მონასტერში. 1703 წლიდან სულხანი დიპლომატიურ საქმიანობას იწყებს. ორჯერ იყო სპარსეთის ევროპაში. 1714 წლის აპრილში ვერსალში საბა



სულსან-საბა ორბმლიანი

მიიღო ლულოვიკო მეთითხმეგემ. პარიზიდან გამობრუნებული იმავე წლის ივლისში საბა ორჯერ მიიღო რომის პაპმა კლიმენტოს მეთერთმეტემ. ამავე პერიოდში სულსან-საბამ კათოლიკობა მიიღო. ქართლის აწეწილი პოლიტიკური ვითარების გამო მეფე ვახტანგ მეექვსე იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა. იგი 1724 წელს რაჭის გავლით 1200 წარჩინებულ ქართველთან ერთად გაემგზავრა რუსეთს. სხვა მრავალ ორბელთან ერთად სულსანიც გაჰყვა მეფეს რუსეთში, სადაც მალე, 1725 წლის 26 იანვარს გარდაიცვალა ვსესხვიაგსკოეში (ქართული გამოთქმით – „სესენწკაში“), არჩილ მეფის სასახლეში. იგი იქვე, კარის ეკლესიაში დაასაფლავეს. მისი განმანათლებლური მოღვაწეობა, მწერლობის აღორძინებასთან ერთად, მიზნად ისახავდა სამეცნიერო დარგების განვითარებას. ენციკლოპედიურ ელემენტებს შეიცავს მისი „ქართული ლექსიკონი“ („სიტყვის კონა“, 1685–1716), რომელიც იმ დროისათვის მოწინავე მეთოდოლოგიით გამოირჩევა. ს. ს. ორბელიანის ორიგინალურ თხზულებათაგან უმნიშვნელოვანესია იგავ-არაკთა კრებული „სიბრძნე სიცრუისა“ (1686 – 1695 წწ.). იგი თავის იგავებში ძირითადი იდეური მიზანდასახულობის გამოკვეთას ემსახურება. აღსანიშნავია, რომ რიგი იგავ-არაკებისა თვითონვე შეთხზა. ს. ს. ორბელიანმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული სასულიერო მწერლობის განვითარებაშიც. ქრისტიანული მოძღვრების ძირითადი ღვგებია გადმოცემული მის სასწავლო-აღმზრდელობითი და-

ნიშნულების თხზულებაში „სამოთხის კარი“. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ორბელიანის ქადაგების კრებულს, ე. წ. „სწავლანს“. მასვე ეკუთვნის მიწოდებული თხზულებანი; დიდი წვლილი მიუძღვის ბიბლიის შესწავლა-რედაქტირებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია „ქილილა და დამანა“. მანვე გალექსა ამ კრებულში ვახტანგ VI-ის მიერ პუკარედის სახით გადმოღებული სპარსული ლექსები. იგი ქართული ლექსის ნოვაგორადაც მოგვევლინა და ერთმა პირველთაგანმა სათავე დაუდო ქართული ლექსის რეფორმაციას. (ფრაგმენტები „ქილილა და დამანადან“)

* * *

მეშფოთე კაცსა ერიდე,
 ნუ ისმენ მეშურნისასა,
 რადგან შურითა დაბნელდა,
 სძულს ნათელსა დღისასა,
 ერთს წამზე აშლის თემსა და
 მას მშვიდობასა ღვთისასა,
 დიდი ქვეყანა მოუწვავს
 ენასა მამბმღრისასა.

* * *

რასაც გეგყვი, ეს რჩევა
 შენდა დაიღე წინარე
 გულთაგან მრუნვა გააძე,
 ნადველი მოსაწყინარე.
 სისხლის სმა არის ურგებად,
 თავი შრომაზედ ვინ არე,
 რაც შენი ბედი არ არის,
 ვერ ჰპოო შესაძინარე.

* * *

რა ჯამი ესე გაირყენას, შ
 ფოთის ისეგმდეს ყანანი,
 გაცლა ხაშს მისგან, მონახოს
 მალ სიშორისა ვანანი,
 გაცლა არ ძალუქს, რამცა ქნას,
 გულს ვერ დაიყვას დანანი,
 მარტოდა დაჯდეს, ისი სჯობს,
 ხანი რაც დაყოს, ხანანი.

* * *

სოფელი ბრუნავს, იცოდე,
 დავალს სახითა ჭრელითა,
 მაშა, ხაშს ცნობა აუკარგოთა,
 ივაჭრო სავაჭრელითა.
 კუთილთა მისვლეს კუთილი,
 გულით ველს გაუჭრელითა,
 ბოროტის მქნელი არ დარჩეს
 ლახვრითა დაუჭრელითა.

— **ორჯონიძე ნათია** (1971).

განათლებით – ფილოლოგი. 15 წელია აქტიურად მუშაობს ტექსტების რედაქტირებასა და თარგმანზე. თარგმნის რუსულ მხატვრულ და საღვთისმეტყველო ლიტერატურას. არის ავტორი რამდენიმე ნათარგმნი წიგნისა.

ალექსანდრ ბლოკი

თარგმნა **ნათია ორჯონიძემ**

როცა ამქვეყნად დაგივიწყებენ,
როცა დარღები შემოგაწვება,
და ყველაფერი რაც კი გხმობდა,
საფლავის ქვის ქვეშ ნელა გაქრება;
როცა ქალაქის მოკირწყულ გზებზე,
თითოს დაგადეს ფეხზე ხუნდები,
ღნემისბილი, უცყვი, სნეული,
შებინებისას სახლში ბრუნდები,
გზად შეისვენე სულ ერთი წაბით
და მოუსმინე სიჩუმეს ღამის:
სმენით შეიცნობ სულ სხვა ცხოვრებას,
რომელიც ღღისით ვერ შეიცანი;
სულ ახლებურად შეხედავ ირგვლივ
თოვლიან ქუჩებს, კვამლს რუსს და მწარეს,
თეთრ, მიგოვებულ, მოუვლელ ბაღნარს,
ღღის მომლოდინე მწუხარე ღამეს;
იისფერ მიცას – ამ ბრძენ წიგნთაწიგნს;
სულში იპოვი შენ უფრო მეტსაც;
მოსუცი დღის დადარულ სახეს;
ამ უბაღლო წამს ისევ გაკრთება -
ეს დამქანცველი ყინვა-სიცივე,
და მინა ჭირხლით უხვოდ ნაქარგი,
მაღლიერ გულში ისევ აღდგება
გრფობა, დიდი ხნის წინ დანაკარგი.

— **ორჯონიძე იზა** (1938 – 2010).

დაიბადა თბილისში. 1947-57 წლებში სწავლობდა 23-ე ქალთა საშუალო სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ოსსუს-ს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე განაგრძო. 1965 წელს დაამთავრა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის სლავური გან-

ყოფილება. იყო საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი. პერიოდულ პრესაში იბეჭდებოდა 1954 წლიდან. მისი პირველი წიგნის სახელწოდებით „ორი დღეკითილი“ გამოიცა 1968 წელს, მეორე – „ნათელი“ – 1969 წელს, მესამე კი („ქვის სასთუმალი“) – 1971 წელს. წლების მანძილზე მუშაობდა გამომცემლობებში: „ნაკადული“, „საქართველო“, „მერანი“. გამოცემული აქვს მრავალი კრებული ლექსებისა („ავტოპორტრეტი, 1977; „ერთ ყინულქვეშ წყალი, 1987; „დაბინდებადღე“, 1993; „ოდესღაც და... სულ ახლახან...“, 1999). იზა ორჯონიძე მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა, მას ეკუთვნის ახალბერძნული პოეზიის პირველი თარგმანიც. არის ასევე ანთოლოგიის ავტორი, რომელშიც თანამედროვე საბერძნეთისა და მსოფლიოში აღიარებული პოეტების საუკეთესო ნაწარმოებები გაერთიანდა. ნათარგმნი აქვს ანა ახმაგოვასა და იან პოლახის ლექსები.
დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

სალამი, სემვლამ!

„*Bonjour Tristesse*“, *ფრანსუაზა საგანი*

სალამი, სევდავ, სინათლევ ღამის,
შენს სანოდ მკლავზე მინდა დანდობა!
სალამი განჯვის უნაღდეს წამებს,
გაღახდილს ვით ომს, ახალგაზრდობას!
სალამი დიაცთ – სასტიკ მსაჯულებს
და ჭორიკანა მშიშარა კაცებს,
სიცრუით ერთურთს გადაჯაჭვულებს
და გულგრილობის ლოგინში ნაცემთ!
უკანასკნელო ჩემო მაისო,
გაღამიმწვანე ლოდი და რიყე,
მინდა სამარე ვარდით ამივსო,
მინდა ქორწილი ევონოთ ბრიყვეს.

— **ორჯონიძე მარიკა** (1962)

პოეტი, მხატვარი, მათემატიკოსი. ხატავს და მუსიკა ბავშვობიდან უყვარდა, თუმ-




ნათია
ორჯონიძე



იზა
ორჯონიძე



მარიკა
ორჯონიძე



გური
ოტოზაია

ცა მერე მათემატიკას გაჰყვა ხაგვა 24 წლის ასაკში დაიწყო; დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სპეციალობით ეკონომისტი-მათემატიკოსია. მუშაობს თბილისის მე-5 საჯარო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად. გამოცემული აქვს ლექსების კრებული „ის მზე, რომელიც სახლობდა ჩემში“.

* * *

მაცვალი, ასკილი, კუნელი, ცირცელი...
 სულ ცოტა მადროვე, ცოტაც გამიძელი,
 ხმაძალა ნათქვამი სიკეთის არ მჯერა...
 მე უკვე დიდი ვარ პეპლების საჭერად...
 წვიმისგან ფშაგივით გაფითრდა შიფერი,
 მიყვარდა თვალეში ის მუქი, ის ფერი...
 რომელიც დაგიმრა, ვით ხეზე ფუღურო,
 გამხდარხარ უფხო, უთვალო, უყურო.
 ფრთხილვებს, დაფრინავს, ჭიკჭიკებს მშვევია,
 დინჯად ღვას კოპიტი, ირხევა ლეწია
 მიფრებვარ, მიფარღვევ, ეკლიან ჯაგნარებს,
 მთვარესაც არ სძინავს,
 ხის გოგზე ამთქნარებს...
 გულს როგორ გავუღებ, გემოდან დამყურებს
 ვამაგრებს საძირკველს, დაფაწყობ აგურებს...
 ზაფრანა, შაშკელავი, პიგნა და რეჰანი...
 ჰორიზონტს გაჩრილი მოლურჯო შეგანი,
 წერტილად ვერ დაესვი ყაყაჩოს ხალი და...
 მე ისევ გაირღები ხვალედან... ხვალედან,
 მოვწყვიტავ მშემტყენის ქარვისფერ აკიდოს
 და მერე თუნდ ბედმა ქარებს გადამკიდოს...
 ალმასი, გურმუხტი, ქარვა და საფირი...
 შორს არის, მაგრამ ჩანს ნანატრი ნაპირი.

— **ოტობაია გური** (1953).

ნამღვილი სახელი და გვარი – გულადი ფეგელავა. პოეტი, ჟურნალისტი, კინოსცენარისტი, რედაქტორი.

დაიბადა სოფელ ოტობაიაში (გალი). 1975 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. წლების მანძილზე იყო ჟურნალ-გაზეთების რედაქტორი. წერს ლექსებსა და

რომანებს ქართულ და მეგრულ ენებზე. გამოცემს ყოველკვარტარულ ჟურნალს „კირიბისი“ (ოქროს საწმისი), თიხტომეული ბელეტრისტიკული მაგაინეს „სუფევას“ ავტორი.

ოცდაშვიდი ცრემლი

უკვე გავციდი, ხენო, თამამ კენწეროებს,
 მეხთაგეხამ აწი მაინც ამ გულს სჭექოს,
 ისე დავგმე წუთისოფლის სიმყუდროე,
 რომ მზემ ლამის ფრჩხილებიან დამაჭლექოს.
 ოცდაშვიდი ცრემლის ჩქერი წამოვასხრე,
 ოცდამეგრე გამოყენებს, ალბათ, ერწოს,
 პოი, ლექსო, სააქაოს უნდა დამრჩე,
 საწუთრელომ რარიგადაც ვადამბერწოს.
 კოლხეთიდან წამოვხეთქე წყაროსავით,
 ჩემს სახებსაც ვგავდა მზე სადიადონი,
 ვავეკიდე მამულის შუქს სალოცავად
 და სულშიგან ჩავისუტე იადონი.
 არ ფანუნობს ჩემს წიაღში კვდომის ფთილა,
 მკერდზე მუცა ვარსკვლავებით მაჭვდია,
 როგორ ფიქრობთ, გამოვიცვლი აწი ჯიდაღს?
 თუმცა ირგვლივ უსულგულო ქაჯეთიამბულს
 ნაკული გემეკრობა ყოველივე,
 ავბობოქრდი, ავმვირთდი და ავიმღვერი,
 სულს ისეთი ჰანგი უნდა მოვეუცინო,
 რომ ვერ მიდოს ქედმა რიხით დანამღერი.
 წლებო, წლებო, დაიღეწა ბორკილები
 ოცდაშვიდი ცრემლის ჩქერი წამოვასხრე,
 წინ ხომლია ლურჯად ამოკოკრილები,
 პოი, ლექსო, სააქაოს უნდა დამრჩე!
 ამნაირი აღგკინება კაცს არ ახსოვს,
 ვინაც ერთხელ სიკვდილით არ დაგეშილა,
 ყველა ბალდამს და სამსალას რომ ამოექსოვ,
 მემჩაგება გულს რაც ყამა ვახეშილა!
 უკვე გავციდი, ხენო, თამამ კენწეროებს,
 მეხთაგეხამ აწი მაინც ამ გულს სჭექოს,
 ისე დავგმე წუთისოფლის სიმყუდროე,
 რომ მზემ ლამის ფრჩხილებიან დამაჭლექოს.

— **ოტობაია გური**

იხილეთ *თობაშვილი დომენტი*.

– **პანწო** (1966)

ნამდვილი სახელი და გვარი – ლევან მგალობლიშვილი. კომპოზიტორი, მომღერალი, პოეტი. დაიბადა თბილისში. სცენაზე გამოვიდა 1995 წელს. მღერის მხოლოდ საკუთარ სიმღერებს (საკუთარ ტექსტებზე); ალბომები: „ხვალ“ (1998), „რომ მქონდეს ფრთები“ (2001); სიმღერებიდან განსაკუთრებით პოპულარულია „უბერავს ქარი“, „ახედე ცაში“, „ახალი წელი“ და სხვა.

სიმღერის ტექსტი (ფრაგმენტი).

ცაში ახელე,
რა ღამაშია ვარსკვლავთა ცვენა,
ცაში ახელე,
რა ღამაშია ეს თეთრი მთივარე.
რა ღამაშია თეთრი ღრუბლები,
თავი ღამაღე, ნუ იღრუბლები,
მე შენთვის მინდა ეს ვარსკვლავები,
მთივარე და ღამე.
ცაში ახელე,
რა ღამაშია ეს სიყვარული,
რა ღამაშია, რომ ამ სიყვარულს
ფერება უნდა.
რა ღამაშია ამაზე ფიქრი,
თავი ღამაღე, მომეცი ფიცო,
რომ გეყვარები ამ ცხოვრებაში,
პაგარავ, მულამ.

– **პაპიაშვილი ზურა** (1978)

პოეტი და ღრამაგურგი. დაიბადა თბილისში. პირველი ლექსი 15 წლის ასაკში დაწერა. განათლებით არის იურისტი, ავტორია სამი პოეტური კრებულისა, მათ შორისაა: „ლექსები“ (2001), „ანრდილი“ (2012), „დრო იყო უცხო“ (2017). რაღაც უცნაური სიმშარია, რაღაც უცნაური მღვა,

საღდაც ღიღებული გაღლებია,
ეთამაშებიან მღვას;
მშის სხივზე გაღიან და გამოღიან,
ფერები ეკეკლუცებიან ცას,
ღროში შეწყვეტილა მთივარის მოძრაობა
მშეც კი მისცემა ღარღას,
ხავსი მარადმწვანე გაღამშმარა,
ცეცხლი მოსღებია ცეცხს,
სოკო შხამიანი გაღამწვარა,
ვეღარ უმკლავღება ცეცხლს.
ბაღი უღიმღამოღ გაცრეციღა,
ბინდი შეჰპარღვია სოფელს.
საკვამურებიღან კვამლი ბოღავს,
საქმე მოღეღვით ფოთღელს.
თითქოს სიყვარული გაბუღღლა,
აღარ ეღაპარაკება ღმერთს.
სიღამაზე, მისი შემხეღვარე,
მგონი, თავს მოიკლავს ღღეს.
რაღაც უცნაური სიმშარია,
რაღაც უცნაური ღამე...
სიმშარს თავს ვერ ვაღწევ.
მაგრამ არაფერი –
მაინც მოვახერხებ რამეს.

– **პაპიაშვილი თამარ** (1941)

წარმოშობით არის ჰერეთიდან. პირველი ლექსი („შენი ფოთლებით ვსუნთქავ“) დაბეჭდა 1951 წელს გაზეთ „გაგრაში“. ქართველი მკითხველის დაინტერესება გამოიწვია მისმა ისეთმა პოეტურმა კრებულებმა, როგორცაა: „ქურმუხმა არაგვს გასძახა“, „ბედის ვარსკვლავი“, „შენმა მშემ ამბარიალა“. მის კალამს ეკუთვნის საყურადღებო მთხრობები და პუბლიცისტური სტატიები. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ზოოვეტერინალურ ინსტიტუტში ბიოქიმიკოსად, თბილისის მე-9 საავად-



პანწო



ზურა
პაპიაშვილი



თამარ
პაპიაშვილი



ირაკოზ
პაპიაშვილი

მყოფოს რეაინმაციის განყოფილების ექიმ-ლაბორანტად, ლექციებს კითხულობდა თბილისის მე-3 სამედიცინო გეჩნიკუმში.

— **პაპიაშვილი იაკოვ** (1942)

ინჟინერი, მთარგმნელი, მკვლევარი, მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი.

დაიბადა ქუთაისში. 1966 წელს დაამთავრა სპი ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით. 1958-1966 წლებში თამაშობდა თბილისის „პოლიტექნიკის“ რაგბისტთა გუნდში; სხვადასხვა წლებში მუშაობდა ინჟინრის სპეციალობით. 1990-1996 წლებში ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციების კურსს — „ქართულ-ებრაული ურთიერთობები“; 1972 წლიდან იყო გაზეთ „ქუთაისის“ და „სოფლის ცხოვრების“ შტაგგარეშე კორესპონდენტი. ამავე წლიდან ეწევა პროფესიონალურ ლიტერატურულ და მეცნიერულ კვლევით მუშობას; მისი მეცნიერული ნაშრომი „ჭურბიათა ქართველთა“ კავკასიური წარმომავლობის შესახებ ახალ ფურცელს შლის ქართველთა და ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიოგრაფიაში. 1989 წლიდან მისი რომანები („ქართული ლეგენდა“ და „ხანისწყალთან“), მოთხრობები და ლექსები იბეჭდებოდა ისრაელის ქართულენოვან გაზეთში — „ალია საქართველოდან“.

— **პაპიაშვილი ნათია** (1982)

დაიბადა თბილისში. დაამთავრა მსსს-ს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. არაბული ენის განხრით. წერს პროზას, პოემიას, თარგმნის, მისი ნაწარმოებები გამოქვეყნებულია წიგნებსა და პერიოდულ გამოცემებში: „ხელოვნება და მწერლობა“, ქართული მწერლობა“, „ჭოროხი“, „ცისკარი“, „მერანი“.

* * *

ღმერთო, შენ, ჩვენო,

ან, ღმერთო სხვათა,

რომელიც კიდევ ითარგმნები

ბუღალ, ალაჰად,

სინამდვილეში — ერთო ღმერთო,

ვისთან სხვადასხვა გზით გვერგო მოსვლა;

ან, პირიქით, მოსასვლელად ჩვენამდე, —

(ვერ გვთმობ, ვინაიდან, მაინც მოღიხარ)

ათასობით დაგიკეთ გზები, —

ოღონდაც მოდი,

სულერთია, რომელი გზით და

ვისთვის და ვისთან რა სახელით.

შენ ოღონდ მოდი...

შენ ოღონდ მოდი...

არ დაგაფრთხოს ჭურვების სმა და არ გამოროს ჩვენგან, ღმერთო, ჩვენივე თავმა.

და თუ არ მოხვალ,

თუ ვერ სცანი შენ ჩვენი გზები

სუფთად, შენს ღირსად,

სა-შენფეხოდ,

უფალო, ღმერთო,

ღარჩები ისევ, როგორც უწინ,

შენ — მხოლოდ ერთი.

რადგან, ომებში ვაფრიალებთ

შენს სახელს, ერთობ მონღომებით...

სახელს, რომელიც ითარგმნება

ალაჰად... ბუღალ.

შენ კი, ასეთი დედამიწა

სულაც არ გასურდა.

— **პარნასელი (ი.პარნასელი)** —

იხილეთ *აბაშელი ალექსანდრე*

— **პაპარიძე მიქაელ** (1895 — 1959)

დაიბადა ქუთაისში. სწავლობდა პეტერბურგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, წერდა ლექსებს, სიმღერებს, ნარკვევებს და ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას; წლებების მანძილზე გვერდში ედგა გიორგი ნიკოლაძესა და მის თანამოაზრეებს იმ დიდ წამოწყებაში, რომელსაც ისინი ეწოდებენ ერის ფიმიკური გაჯანსაღებისათვის; იყო შესანიშნავი ათლეტი, განმთავრებული და ალპინისტი; საზოგადოება „შევარდენი“, სადაც ეს ენთუზიასტები გაერთიანდნენ, წმინდა სპორტულის გარდა, დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მისიასაც ასრულებდა. მისმა პოეტურმა ტალანტმა გამოსავალი ძირითადად თარგმანებში პოვა; მან დაგვიტოვა რუსული პოემის პირველხარისხოვანი თარგმანები: პუშკინი, ლერმონტოვი, ბლოკი ბალმონტი, ესენინი, სურკოვი, სვეტლოვი და სხვები; მანვე გააცნო ქართველ მკითხველს შეგნეკო, ფრანკო, პაუანი, მიკევიჩი, ხეთაგუროვი; აღსანიშნავია, აგრეთვე, მის მიერ ფრანგულიდან ნათარგმნი რონსარის, ჰიუგოს, ბოლდერის, ვერლენის, როლანის, ვალერის, რემბოს ცალკეული პოეტური ნიმუშები; განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი დამსახურება მაიაკოვსკის თარგმნის საქმეში, რასაც მან 30 წელი შეაღია.

შემოღობა

აღარ მოდიან ვირები მაწვნით:
 აპკიდეს საწყლებს შემის გულდრო.
 ტყის მწვანე დიბა კონცონზე დაწვით,
 ენგიან ფოთლებს უნდა ვუყუროთ.
 Saison d'hiver-ი ვიგრიანებს ამკობს
 და თვალებს აბამს ლამაზი ბაწრით,
 კაბებს შეჰკერავს „მოლისტკა“ მაკო
 და თბილ ბუხართან ვიქნებით აწი.
 მოგვავაგონდება ჩვენ აგარაკი,
 მაფხულის მითი და ნაზი კონცა,
 სამა თვემ რაღაც უცხო არაკი
 ჩვენს სულში ნაზი ხელებით მოწნა.
 ქვის ტყვეობაში ვიქნებით კენგად
 და ავგანერმლებს სოფელზე ქუჩა,
 მლაპარი იყო თუ მართლა ნეგავ
 გყვ, მთები, ყანა, სიმინდი, ქუჩა.

— პატრიარქული ღვაწლი (1918 – 1944)

დაიბადა სოფელ არბოშიკში (დღევანდელი სოფ. არბო). 1941 წელს არბოშიკში დაიწყო. ლეიტენანტი და ვით პატრიარქული იბრძოდა უკრაინაში, სტალინგრადში, მონაწილეობდა ლაგვის განთავისუფლებაში. დაიღუპა 1944 წელს. თანამებრძოლებმა მის ოჯახს გამოუგზავნეს უბის წინააღმდეგობისთვის პოეტის ლექსები იყო ჩაწერილი. დავით პატრიარქის პირველი ლექსები თმის წინა ხანებში გამოქვეყნდა, პირველი წიგნი გამოვიდა 1961 წელს.

მს რეგი შემქმნის მკომას ახალს
 ეს ომი შექმნის ეოქას ახალს,
 ეს სისხლი ვარდად გადაიშლება,
 მიწა კვლავ ნახავს სხვა დროს და სხვა ხალხს
 და მზე გეცაბე არ წაიშლება.
 ომიც ჩადგება, ვით ქარიშხალი,
 მოვლენ დღეები მშვიდი და მყუდრო,
 მკერდს დაანდება ბროლის ნიშანი
 და სიყვარული ალაღებს უფრო...

ეს ომი მრავალ გმირობას ბადებს...
 მიგომ იბრძვიან გოლიათები,
 რომ ხალხს და მეცას, მიწას და ბაღებს
 ადგეთ სიმშვიდე, როგორც ნათელი!

— პატრიარქული

ისილე გელათელი პეტრე.

— პატრიარქული გზა (1942)

პოეტი, მწერალი, კინორეჟისორი.
 1964 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, 1978 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტი (თენგიზ აბულაძის სახელობის). სხვადასხვა დროს იყო სამუშაო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინჟინერი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეკვიზიტორი, რეჟისორის თანამემწე. არის დამდგმელი რეჟისორი და სცენარისტი ფილმებისა: „რად სკვენს ბუბუბუ“ (1980) „ელისა და რუსუს თავგადასავალი“ (1986). გადაღებულია 21 მხატვრულ ფილმში, როგორც მსახიობი.

* * *

ახალსოფელი, მარტყოფი,
 დიდი ლილი და ნორი...
 აქეთ კასპი და გლდანია,
 იქით ხაშში და წნორი...
 ამით რომ დაგვკბე, მჭირდება
 სიცოცხლე ასჯერ ორიო.
 * * *

წითელწინწკალი თევზები
 წყლიდან მალიმალ ხელებიან,
 ჩამავალი მშის სხივებში
 ლამაზად იდრიკებან.
 უნდა ავეყვინთოთ ცაშიო,
 ერთმანეთს ეჯიბრებან.




ნათია აპაკიძე



მიხაილ პატარკაცი



დავით პატარკაცი



გურბაგ პატარკაცი

ჟ

– ჟიიპარიონი –

იხილეთ *იასამანი (მიხეილ კინწურაშვილი)*

– ჟიქიაშვილი ნოდარ (1974)

დაიბადა სოფელ გოლოშში (ასპინძა), იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. მისი მამა იყო წარმოშობით მთიული, ღუშეთის რაიონის სოფელ ხორხიდან. 2003 წელს დაამთავრა თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული კურსი წიგნთმცოდნე, წიგნსაცავთმცოდნე, წიგნთაღმწერის სპეციალობით (კულტურის ფაკულტეტი, ფილოლოგიის კათედრა). 2005 წლიდან ღღემღე მუშაობს თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებაში. პირველი ლექსები გამოაქვეყნა ჟურნალ „ცისკარში“ 2001 წელს, ხოლო 2002 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ქართულ კულტურაში“. შემდგომ წლებში იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, მათგან აღსანიშნავია გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“. 2007-2008 წლებში გამოსცა სამი წიგნი: „მე პოემის ანგელოზი მაღაპარაკებს“, „მესხეთის არწივები“ და „შავფაროსნები“.

* * *

ო, ღმერთო ჩემო, რა დრო მოვიდა,
რა უწმინდური დაღის მრავალა...
ფულს სამშობლოზე მაღლა აყენებს
ალგეთის მგლების შთამომავალი.
ასე რომ ვცხოვრობთ ლუარსაბივით,
დახლართულია გმები სავალი...
სინდისი, სიბრძნე და სიყვარული,
აი, რა არის ახლა მთავარი!

– ჟორჯოლიანი არჩილ

იხილეთ *სეგიდანი*.

– ჟურული პარლამ (1908 – 1965)

დაიბადა სოფელ ჩიბათში (ლანჩხუთი). 1935 წელს დაამთავრა მისუხ ფილოლოგიის ფაკულტეტი. პირველად საზოგადოების წინაშე წარდგა პოეტური კრებულთ – „ვარდის ფურცლობა“; 1924 წელს გამოქვეყნდა მისი პირველი ნაწარმოებები ქართულ ჟურნალ-გაზეთებში; თავდაპირველად იყო ფუტურისტ-ლეფელთა ჯგუფის წევრი, მაგრამ მალე დაუახლოვდა პროლეტარული მწერლობის წარმომადგენლებს ევრეთწოდებულ „ახალთაობელებს“; ოთხი ათეული წლის მოღვაწეობის შედეგია პოეტური კრებულები: „ვარდის ფურცლობა“, „ნარამენი“, „ჩრდილოეთის დაპყრობა“, „ჩემი გაზაფხული“, „ლირიკა“, „ჩემი მერცხლები“, „ვამის ცრემლები“ და სხვა.

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ნიკო ფიროსმანს

შველად მოხატე გადაჭრილი ხე,
შველი წამოდგა სამეკლდუროდა;
კლდე შეითოვლა, ხე შეიჭირხლა,
შველს ხევი ერგო, ღრე ემდუროდა.

შველი ცხოვრობდა უბინადროდა,
კლდედ მოიწყენდა, ხეემი ჩარბოდა.
ითქმოდა ქება პურის კალოთა,
ვაზთა დიდება, ხილთა მკობანი,
მზე ერთო ცამდე საბრიალოთა, –
იხანძრებოდა ცის კაბადონი.

ვამის წვენიობა კალოს ხეაობა,
იყო კახეთის სახახაობა.
იმწვანა მდელი მშობელ მიწამა,
მთა იწალკოგა, ბარი შეითბო,



ნოდარ
ჟიქიაშვილი



პარლამ
ჟურული



სანდრო
შლმნტი

ყურძენი გატკბა სიმწიფილამა,
სურნელი დაღვა მვარ-ნაშენით.
მწვანით მორთული მთელი სამდელო
სხვა სურათია, სხვა საქართველო.
სიმღერა მიწყდა, როგორც წვიმის სმა,
მე კი ვიმღერი, გულს რომ ვავედრო,
შხიოდა მწვადი, იყო ღვინის სმა,
ისმოდა სიგყვა სააღავედრო:

– კიდევ ბევრია პური და ღვინო,
ჭიქა დასცალე, არ მოიწყინო.
ხე შემოხატე – შევლი აივო,
შველმა ინატრა გყის სმაურობა,
თურმე შამილის კლდემაც გაივო
ხისა და შეველის სადაურობა.

შველი შეღონდა, – ცის შესვლის მან,
ბედგანწირული ნიკო ფიროსმან?

— ქალაქი სანდრო (1908 – 1943)

დაიბადა სოფელ ცხრაწყაროში (ზესტაფონი).
სამშალო განათლება ზესტაფონში მიიღო. 1926
წელს შევიდა ოს-ს-ს პედაგოგიური ფაკულტე-
ტის უნივერსიტეტის განყოფილებაში, რო-
მელიც 1930 წელს დაამთავრა. სანდრო ქალაქმა
სტუდენტობის დროიდანვე დაიწყო სოფელ თე-
ლეთის პირველდაწყებით სკოლაში მასწავლებ-
ლად მუშაობა. მისი ლექსები პრესაში პირველად
1930 წელს ჟურნალ „დროშაში“ დაიბეჭდა. 1938
წელს საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურა-
ცემლობამ ცალკე წიგნად გამოსცა სანდრო
ქალაქის საბავშვო ლექსების კრებული „გაზაფხ-
ულის სიმღერების“ სახელწოდებით. დიდი სამამ-
ულო ომის დაწყებისთანავე იგი ჯარში გაიწვიეს
და გერმანელთა წინააღმდეგ ერთ-ერთ ბრძო-
ლაში გმირულად დაეცა. ორი დღით ადრე პო-
ემა მგერეთან განაღებული ცეცხლის ქვეშ დაწ-

ერა ლექსი „ფიცი სამშობლოს“ და გაუგზავნა
გაზეთის რედაქციას. და როცა ეს ლექსი იბეჭდ-
ებოდა, იმ დროს მისი ავტორი უკვე განისვენებ-
და ხუგორ კალაპატკას ძმათა სასაფლაოზე.

პოეტის სიკვდილი

კლდის წყაროდან მოგანილი
შესვა მთების ნაკურთ;
თვალმა კედლებს შეანათა,
მოწყდა სმა ვაჟაური.
შეანათა ცალი თვალი
ვეფხვზე უფრო ძლიერად;
დაბინდა და ყორნის ფრთებით
მწუხრის ქამმა იელვა.
თითქოს მთები გადმოლახა
არაგვიდან გაღლებმა,
ვარსკვლავებმაც მონინდომეს
მეცის კალთის დარხევა,
რომ გმირულად შერჩენოდა
პოეტს თვალის გახელა...
გაეგონა კიდევ ერთხელ
მთიდან ხარი ბღავილი,
გულზე გკბილად გადაშლოდა
ფოთოლი ან ყვავილი,
დაელა წყაროს წყალი
მთიდან ჩამოგანილი...
რომ ნიაფსაც გაეღელა
მისი მკერდი გაშლილი,
შელის ნუკრთან და
მთის წყაროსთან
ეკურგულა ბავშვივით...
ვაჟაკური ყოფილიყო
ჩოხის კალთის დარხევა,
როს სიკვდილი შეაშინა
ვაჟას თვალის გახელამ.

3

– რაზიკაშვილი თეოდ (1869 – 1922)

დაიბადა ჩარგალში (დუშეთი, ფშავი). 1889 წელს დაამთავრა გორის სამასწავლებლო სემინარია. 1905 წელს რევოლუციური საქმიანობისათვის, სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს, მაგრამ მანიფესტმა მოუსწრო და ფშავში იმალებოდა. 1890 წლიდან ეურნალ-გაზეთებში სისგემატურად იბეჭდებოდა მისი ლექსები, მოთხრობები, პუბლიცისტური წერილები და სხვა. იგი, როგორც მწერალი, აღიზარდა სამოციანელების შემოქმედების პრინციპებზე. მის ლექსებში („კოლალა“, 1890; „ვაი თუ სოფელმა...“, 1906 და სხვა.) ჩაქსოვილია სამოციანელების პროგრესული იდეები. მისი შემოქმედების მთავარი თემაა პატრიოტიზმი, ადამიანის რაობა და მისი ამქვეყნიური დანიშნულება. განსაკუთრებით პოპულარულია მისი საბავშვო მოთხრობები („ნიბლია“, 1886; „იის ამბავი“, 1890; „მონადირე“, 1903; „ქორის ბახალა“, 1908). იგი იყო ხალხური სიგჳვიერების შემკრები და შემდგენი ხალხური ლექსიკონისა, რომელიც 1900 წელს დაიბეჭდა „ივერიაში“.

* * *

მიყვარხარ, ჩემო სამშობლოვ,
გეტრფი და გენაცვალები,
შენი სურვილიც ვაგარო,
სანამ ლეშს კვიდნენ ძვალები.
ცოცხალი შენი შვილი ვარ,
მკვდარიც შენ მოგებარები,
წყეული ვიყო, ვტყუოდე
დამქვშოს ქვეყნის კარები.

– რაზიკაშვილი ლუკა

იხილე ვაჟა-ფშაველა!

– რაზიკაშვილი ნიკოლოზ

იხილე ბაჩანა.

– რაზმაძე თამარ (1973)

დაიბადა თბილისში. დაამთავრა სტუდ-ს მანიგარულ-ტექნიკური ფაკულტეტი ეურნალისტიკის სპეციალობით. წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა ეურნალ-გაზეთში, ტელეკომპანია TV-4-ზე. მისი ლიგერატურული ლებიუტი შედგა ეურნალ „სხივიში“, სადაც დაიბეჭდა ორი მოთხრობა, ლექსები კი პირველად ეურნალ „ათინათში“ გამოაქვეყნა.

* * *

მახსოვს, მითხარი, რომ არ ვებრლები,
(იქნება ფიქრობ, გული დაბერდა?)
თავს იწამლავედა შამთარში გრძნობა,
მაისში - ეჭვევს ნთქავდა, არბევდა!
ქამთასვლა ჭენებ-ჭენებით, როკვით
მგვერს ყრიდა, თუშტა საფლავეთა ქვამზე,
მწამს, სერაფიგას ლანდიც - ლიცლიცა
იოღმანჯანის იციღდა კარმე
ანღა, ვინ თქვა, რომ ცოღვას ვუკმევი,
რომ მოწაგრებით არ ვარ მართალი?!
სიბერეს გრფობა რომ მიეწრღიღა,
არ იბრწყინებღა მამ თაჯ-მაჰალი! .
ვითომ გაყინავს დრო სუნთქვას ლგოღვის?
განა ვარსკვლავებს არ ახსოვთ ფიცი?
სომ ვერ შერისხე წარსულად ჩემი
შენსკენ ნასროლი მგერის კისკისი?!
რომ „არ ვებრლები“, დრო განა არ ქრის,
მეც ღამიგოვა თვალთან რკალები,
ქამი ვერ წაღკვს ერთდღერთ ბომონს,
თუ სიყვარულში ღავიკარგებით!

– რაზმაძე სოლომონ (1797 – 1860)


რომანტიკული სკოლის წარმომადგენელი პოეტი. 1810 წელს მშობლებთან ერთად გადასახლდა პეტერბურგში. 1832 წლის თებერვლამდე, სოლომონ რამზაძე თეიმურაზ ბაგონიშვილის



თეოდო
რაზიკაშვილი




თამარ
რაზმაძე



სოლომონ
რაზმაძე



ზარნაოც
რაინაული



ნიკო
რაზიკაშვილი

მზრუნველობითა და მეთვალყურეობით იღებდა განათლებას (სწავლობდა ლიცეუმში). პოეტს საფუძვლიანად შეუსწავლია რუსული და ფრანგული ენები. იგი ლიგერაგურულ საქმიანობაში ეხმარებოდა თეიმურაზ ბაგონიშვილს და ასრულებდა მისი მდივნის მოვალეობას. 1832 წლის თებერვალში პეტერბურგიდან გამოსული რამზაძე მოსკოვისა და თბილისის გავლით სპარსეთს გაემგზავრა, თუმცა თბილისში გავლისას აქტიურად ჩაება 1832 წლის შეთქმულების მომზადებასა და მსვლელობაში. ამ შეთქმულების დამარცხების შემდეგ იგი გადაასახლეს პენზაში, სადაც სხვადასხვა ჩინოვნიკურ თანამდებობაზე მსახურობდა და გარდაიცვალა იქვე. სოლომონ რამზაძის ლიგერაგურული შემკვიდრეობის უმეტესი ნაწილი დაკარგულია. პირველი პერიოდის ლექსები, საფიქრებელია, რომ, სიფრთხილის გამო, თვითონვე მოსპო, გადასახლებაში დაწერილი ლექსები და პოეტის სხვა ლიგერაგურული მასალა კი დაიკარგა მისი შვილის, ალექსანდრე რამზაძის არქივთან ერთად.

პარადი

მოაღვარებს ბუნებას მზე რა,
 მაშინ შიამის მე შენი მზერა,
 იაღონისა, ჰოი მიჯნურო,
 შენს სიახლოვეს სხვა რა ვისურვო.
 მომენიავა სიო ცხოველი,
 მან განმიოგა ურვა ყოველი,
 მაპკურა გულსა სიანის ნაში
 და გადამბანა კაემნის ღამი.

— ჩინაული ფარნაოზ (1936)

ფსევდონიმი — ფარნა რაინა. დაიბადა სოფელ ქვემო ალვანში (ახმეტა). 1953 წელს დაამთავრა თუშეთის ომალოს რვაწლიანი სკოლა, 1956 წელს — რუსთავის მეორე საშ. სკოლა, 1963 წელს — თელავის გოგებაშვილის სახ. პედ. ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენის, ლიგერაგურის და ისტორიის სპეციალობით. ინსტიტუტში სწავლის დროს, რედაქტორობდა საინსტიტუტო გაზეთებს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1963 წლიდან 1990 წლამდე, რედაქტორობდა პერიოდულად სხვადასხვა დროს გაზეთებს: „კოლმეურნის ხმა“, „განახლებული თუშეთი“, „ბახგრიონი“. 2004 წლიდან დღემდე მუშაობს მწერალთა ასოციაცია „ლიგერაგურული კახეთის“ თავმჯდომარედ. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1954 რუსთავის გაზეთ „მეტალურგში“.

ჰიმნი პანკიმო

გმირო, ხმაღლაგუბეულო,
 ჯაჭვგაუხელო კახეთო,
 ღმერთმა გვიბოძა სამოთხე,
 მაგრამ რა ჯვარცმა ვნახეთო...
 დასაბამიდან მოვდივართო,
 გოლგოთის გზები ვლახეთო,
 აქ, ფესვი — სისხლით ნარწყავი
 ამურმა მარდა სხვა ხელო.
 უკეთეს წალკოგს საღ ნახავთო,
 სხვა ჭაბად, სხვა ველს, სხვა ხევთო,
 მლაპრულო, ნაგვრის ხალიჩავ,
 რა ცავ, რა მიწავ, რა ხელო!..
 იტყვი: მშის გახტი აქ არის,
 ცივის მთიდან რომ დახელო,
 ვაზით მიქარგი გულ-მკერდი,
 ყინწვისის ხატი — სახელო.
 ვინც დაგინახავს, გულიდან —
 ნისლი, წკვარამი ახვევოს,
 მოყვრისთვის — ღვინის ფიალავ,
 მგრისთვის — შხამო და წმახეთო.
 ალალი თვალი — ახარო,
 ბოროტი — შურით გახეთქო,
 სტუმარს, ვით კეთილ ანგლომს,
 სულ სიყვარულში ვახვევთო.
 მაშინვე სუფრას გავეშლით,
 აროდეს ვხვდებით მკვახელო,
 რამდენმა, ჩვენი სიკეთე —
 ჩვენვე დაგვიგო მახელო...
 შენთვის ავანთე სანთელი,
 გეფერო, გრძნობით ნახელო,
 სიმღერავ, უკვდავებისა,
 უფლის ბაღნარო, კახეთო!..

— ჩამიზიზილი ოთარ (1934 — 2011)

მომღერალი, კომპოზიტორი, პოეტი. დაიბადა თბილისში. დიდ ესტრადაზე გამოვიდა 1982 წელს. მღეროდა საკუთარ სიმღერებს ძირითადად საკუთარ და ქართველი პოეტების ლექსებზე, თავისებური მანერით, ემოციურად უმღეროდა თბილისს, სიცოცხლეს, სიყვარულს. გამოცემული აქვს ლექსების კრებულები: „იების თოვლი“, „იების თოვლი —2“, „ფიქრების ზღვა“ და სხვა.
ბულბული

ბულბულის სკვენა, შამვის გალობა,
 გელის სიმღერა და დღის ნანა,
 ასე ტკბილია, ასე თბილია
 ჩემი ხალხი და ჩემი ქვეყანა.
 მესმის გალობა ედემის ბაღში,
 მესმის რომ გალობს ნაზი ბულბული,

სიოს ჩურჩულში, ფოთოლი შრიალში, ვუსმენ და ვტკბები გატაცებული. როგორ ვინატრე მეც რომ მქონოდა, ნარნარი სმა და წარმტაცე ბგერა, რა იქნებოდა მეც შემძლებოდა იმ ბუღბუღივით ნაზი სიმღერა.

– **რატიანი ზვიალ** (1971)

დაიბადა თბილისში. დაამთავრა თბილისის 190-ე საშუალო სკოლა და საქართველოს გეოქიურ უნივერსიტეტის (სტუ) კავშირგაბმულობის ფაკულტეტი. წლების მანძილზე მუშაობდა ლიტერატურულ ორგანიზაციებში, შემდეგ – მთბილური ოპერატორის „ჯეოსელის“ სისტემაში. თარგმნის ინგლისურ და გერმანულენოვან პოემას (ელიოტი, პაუნდი, ფროსტი, სენდბერგი, ოდენი, ლოუელი, სტრენდი, უოლკოტი, სიმოკი, პინი, რილკე, ცელანი და სხვ.). გამოცემული აქვს კრებულები: „გამომიგონე“ (1993), „ჩურჩულის გაკვეთილი“ (1994), „ჯიბის ჰაერი“ (2000), „გზები და დღეები“ (2005), „ნეგატივი“ (2009), „შენთვის შეიძლება“ (2015).

* * *

როგორც ზღვისპირა ქალაქების ბინადრებისთვის – ზღვა, რომელიც ყოველთვის და ისედაც არის, იმაღლე იქცა პოეზია ორმოცის შემდეგ: ჩანს თუ არა, ის მუღმივად სადღაც ახლოა, იგულისხმება სახლების და ხეების მიღმა, ღელავს, მშვიდდება, ცივდება, თბება, და მას შემდეგ, რაც ცხოვრება საპირისპირო მხარეს დაცერდა, ორმოცის შემდეგ, დახრილი ფერდით სულ უფრო ღრმად ეფლობა მასში. და სულ უფრო იშვიათად გიმიდავენ თვითონ ლექსები – როგორც ზღვისპირა ქალაქების ბინადრები, რაც წლები გადის, რაც ასაკი ემატებათ, უფრო და უფრო იშვიათად შედიან ზღვაში.

– **რთველიაშვილი ზურაბ** (1967)

პოეტი, მულტიმედია არტისტი, პერფორმერი. დაიბადა ყარაღანდამში (ყაზახეთი). დაამთავრა ოსსუ; 2009 წლიდან ცხოვრობს და მოღვაწეობს შვედეთში. გამოცემული აქვს კრებულები: „ირექცია“, „აპოკრიფი“, „ანარქია“, „პოემების დიქტატურა“ (შვედურ ენაზე).
მე პარ ვენახსო

ყური დამიგლე, შენ კი არა, მე ვარ ვენახი!
ფოლადის მტევნებს ვაჩხრიალებ მზაგე სხეულზე,
ენისელი ვარ, რქაწითელი და კარდენახი, ყურძნის გვერი ვარ,
საწნახელში გამომწყვდეული.
კარგად შემხედვ, შენ კი არა, მე ვარ ვენახი!
ზვრები ვავსურე, რომ დამედგა თავზე გვირგვინი.
სგროფებს ვაფუთქებ, როგორც ნადმებს ვისვრი სელაღმა!
არ სცდება მიზანს ცეცხლოვანი ჩემი სიყვავი.
ყური დამიგლე, შენ კი არა, მე ვარ ვენახი!
ფოლადის მტევნებს ვაჩხრიალებ მზაგე სხეულზე.
სისხლივით მძიმე საფერავი და კარდენახი – ყურძნის ღმერთი ვარ,
საწნახელში გამომწყვდეული.

– **როპაჰიძე გრიგოლ** (1880 – 1962)

მწერალი, პუბლიცისტი, სამოგადო მოღვაწე, თანამედროვე ქართული და გერმანული ფსიქოლოგიური რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელი. დაიბადა სოფელ სვირში (გესტაფონი). 1890 წელს იგი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს, 5 წლის შემდეგ სწავლა სასულიერო სემინარიაში განაგრძო. 1901 წელს გარტუს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირ-



ზვიალ რატიანი



ზურაბ რთველიაშვილი



ლაპიძე როპაჰიძე

იცხა, თუმცა იმავე წლის დეკემბერში გარიცხეს სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო. 1902 წელს მან სწავლა განაგრძო ლაიპციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტზე. ტარტუს უნივერსიტეტში აღდგენა თავად არ ისურვა. 4 წლის შემდეგ, უნივერსიტეტის დამთავრების მერე, ორი წლით დარჩა სამღვარვარეთ და სხვადასხვა უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს. 1908 წელს დაბრუნდა საქართველოში. დაიწყო ლექციების კითხვა ქართულ და რუსულ ენებზე. პირველად მან გაბედა საჯაროდ ქართულ ენაზე ლექციების კითხვა. 1931 წლამდე გრ. რობაქიძე საქართველოში ცხოვრობდა. შემდეგ კი გერმანიაში გაემგზავრა და იქვე ემიგრაციაში დარჩა. 1945 წელს გერმანიიდან შვეიცარიაში, ქალაქ ქენევაში, გადასახლდა. სამშობლოდან გადახვეწის მიზმი, მისივე თქმით, ბოლშევიკური დიქტატურა იყო. რობაქიძისთვის გერმანიაში წასვლისთანავე არ ჩამოურთმევით საბჭოთა მოქალაქეობა. ეს მოხდა მხოლოდ 1935 წელს, როცა ხელისუფლებას გადაეწურა მისი დაბრუნების იმედი. მწერალი 1962 წლის 1 ნოემბერს გარდაიცვალა შვეიცარიის ქალაქ ქენევაში და იქვე დაიკრძალა. 1976 წელს ქართველი ემიგრანტების – ნინო და კალისტრატე სალიების – თაოსნობით საფრანგეთში, ლევილის ქართულ სასაფლაოზე გადაასვენეს.



— რობაქიძე ლაიით (1975)

სწავლობდა სოფელ ჩხარის (თერჯოლა) საშუალო სკოლაში, შემდეგ დაამთავრა კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ლიტერატურული დოსტაგების ფაკულტეტი, ლიტერატორის სპეციალობით, ასევე – მოსე თოიძის სახელობის ლიცეუმის საეკლესიო არქიტექტურის ფაკულტეტი, ქვაბე მხატვრული მჭერელის სპეციალობით. მისი ნაწარმოებები გამოქვეყნებულია ქართული პერიოდიკის შემდეგ გამოცემებში: „სახუნჯე“, „ლიტერატურული გაზეითი“, „აფრა“, „ალტერნატივა“, „ლიტერატურული პალიგრა“, „ლიტერატურული საქართველო“, „პარადოქსი“, „ნობოათი“. გამოცემული აქვს წიგნები: „ქართული ანბანი“ (2015), „ერთხელ ზოოპარკში“ (2008), „რას ნიშნავს აღამიანი“ (2007). სისტემატურად მონაწილეობს პოემის საერთაშორისო ფესტივალებსა და მთარგმნელობით მასტერკლასებში.

როზორ ვისწავალე ცურვა

იმ თამაშს ერქვა მგელობანი, არ ჩანდა მწერთნელი, ხელის კრთი წყალში გაღამეღეს, ღამინლო მგელმა, აზრი არ ჰქონდა ჩაჭრას ვიდრე ვსწავლობდი ჩემით, ძალღურად მოსმას, ბაყაყურად კუმევის და ბერევის. მერე თანდათან შეეეჩვიე ოფოფურს, ხარულს, გულადმა წოლას,

ბრუნვით ცურვას, ყვინთვას და მხარულს, მოვირგე ბეერი სახეობის ჩარჩო და როლი, ხან ვინ ჩაეჭკრი, ხან ვინ ჩამჭრა, ასე ომი. ვისწავლე ხელის აცილება, თამაშის წესებს ვიცავდი, მგლობას გაეურბოდი, ვერიდებოდი, დეგოვე წყალი, ნაპირისკენ გავეყვი მწყესებს, მიწაზე მძიმედ გამოსული დიდხანს ვმრებოდი. და მიყვარს წყალი, ვინც გაპრეცხა, ამღენი ჭუჭყი წაილო ჩემგან, შენიდანაც ძალე წაიღებს, რადგან თამაშით დაფარული სიცხადე უწყი, გაღაკითხე კიდეე ერთხელ, თუ ვერ გაიგე.

— როსტომაშვილი ლაიით (1871 – 1944)

ფსევდონიმი – დინოწმინდელი. „ივერის“, „კვალის“, „მოამბის“, „ცნობის ფურ-

ლანდი

შფოთავს ღამე, შფოთავს შავი, ქშინავს ველი, გმინავს მთაცა; ვამე, ვამე, შენი თავი ვინ მომგაცა, ვინ მომგაცა... ვზივარ ცეცხლთან, ვდნები ნელა, ცეცხლი ფიქრად იფერფლება, ვაჭქრა შენთან ერთად ყველა, მხოლოდ ლანდი მევალება... სუსხი ისხმის, ვუსმენ მუნჯი, ფიქრი შენ ლანდს ეგანება; ეს რა ისმის? ჩიგი ლურჯი ჩემს ფანჯარას თავს აკვდება... შენ ხარ ეგებ? მაგრამ არა; მხოლოდ ელვით შექრთა გული, ცრემლით გეძებდა ფანჯარა მიცქერს ისევ მოღუშული... შფოთავს ღამე, შფოთავს შავი, ქშინავს ველი, გმინავს მთაცა; ვამე, ვამე, შენი თავი ვინ მომგაცა, ვინ მომგაცა...

ცელს“ თანამშრომელი. 90-იანი წლებიდან აქვეყნებდა ლექსებს. იყო ავღაბრის არალეგალური სტამბის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

ბანსკენმბულ ალმქსანდრე ჰაზბუმს
ნიჭით შემკულო, პოეგო,
გადაჰყევ სოფლის ბრუნვასა,
თუმც ღვაწლს გვიგოვებ შენს ნაცვლად,
მაინც ვეძლევიტ ჰმუნვასა.
ცოცხალი ბეერი იგანჯე,
ძნელად თუ მისვიდ შევბასა,
მაგრამ ეგ ღვაწლი გრძნობისა
გითხზავს გვირგვინს და ქებასა.
მშვიდობით, ერის დიდებო,
მშვიდობა შენსა ნავალსა,
შენს სახელს ერი უგზავნის
ქება-კურთხევას მრავალსა.

– რ.საჯ.აპ.ს.ო.მ.ლი –
იხილეთ ხუნდაძე რაჟენ.

– რურუა ოთარ (1987)
დაიბადა ფოთში. 2004 წელს დაამთავრა თბილისის 166-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს გექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე, რომელიც დაამთავრა 2008 წელს და სწავლა გააგრძელა უნივერსიტეტ „მეგების“ ბიზნეს-ეკონომიკის მაგისტრატურაში. მაგისტრატურის კურსი დაამთავრა 2010 წელს.

* * *
საქართველოში თუ დაიბადე
ნუ მიეცევი ძილსა საღათას,
ურჩობისა და დაღაგისათვის
თავს წაგაცლიან, როგორც პააგას.
საქართველოში თუ დაიბადე
დაგკორტნის ყვავი, ფრთებს როცა გაშლის...
სალ კლდიდან მეფის გაცემისათვის



ოთარ რურუა



პარმენ რურუა

გადაგაგლებენ ვით ყორღანაშვილს.
თუკი გადასწყვეტ გაძრის აგებას,
უნდა ააგო ტაძარი მტკიცე;
კარგს ააგებ და ემაგ მარჯვენას
ისე მოგვრინა, ვით არსაკიძეს.
გაიხარებენ შადიმანები,
თუ გიხილავენ ქართველს დარდიანს...
პაპანაქება სიცხეში ტანზე
თაფლს წავისვამენ, როგორც დადიანს!..
ამიგომ უნდა მტკიცედ იდგე და
სულიერადაც არ უნდ დაეცე,
კოსტავასნაირ ადამიანებს
დღეს ქართველობა სახილთ დაეძებს.
ვიყავით, ვართ და კიდევ ვიქნებით,
მრავალჭირვარამგადასილები...
თავისუფლების საღარაჯომე
დგანან ახალი ავითანდილები!!!

– რურუა პარმენ (1888 – 1963)
ფსევდონიმი – ოდიშელი.
დაიბადა სოფელ ბანძაში (მარგვილი). 1901-1902 წწ მუშაობდა ბათუმში მანთაშვიის ქარხანაში, 1903-1917 წწ – სამკურვალო სახელოსნოში მკურავად; 1930-1937 წწ – ნავთის ქარხანაში ოპერატორად, 1928-1930 წწ იყო ბათუმის მუშათა კლუბის ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი; 1937 წლიდან გამომცემლის თანამდებობაზე აჭარის სახელმწიფო გამომცემლობაში; თანამშრომლობდა თბილისის ბათუმის და ქუთაისის სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში; 1911 წელს დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი „იმედი“ ბათუმის გაზეთში; 1927 წელს გამოსცა პირველი ლექსების წიგნი. ავტორია წიგნებისა: „ლექსების კრებული“, „ბუნება და ბავშვები“, „ნაცარქექია“, „ოქტომბერს“, „მხაგრული სიმღერები“, „რჩეული ლექსების კრებული“.

შენ სღუმხარ, ზღვაო!
შენ სღუმხარ, ზღვაო!.. მე მსურს ღელავდე,
მსურს კვლავ გალდათა ჩოჩქოლი ვნახო,
ცრემლების ნაცვლად მინდა სიმღერა,
რომ შენთან ერთად მეც შემოვძახო!
მაგრამ შენ გძინავს... ველარ გაფხიზღებს
მრისხანე ჩანვის მქუხარე ხმები,
აღლდი, ზღვაო, ჩემო სულისდგმავ,
და მეც გარივად შემოგვევლები.



შოთა რუსთაველი

— **რუსთაველი შოთა** (1164 - 12??)

შოთა რუსთაველი, თქვენს ხელთ არსებული წიგნის შემდგენლის აზრით, დაბადებულია 1164 წლის აგვისტოში და მას საამისოდ გარკვეული არგუმენტები გააჩნია; ეს თარიღიც საეჭვოა, რა თქმა უნდა, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა — 1160 ან 1166, რაც სხვა მკვლევართა მოსაზრებებს ემყარება. შოთა რუსთაველის ბიოგრაფია სრულიად პირობითია და მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შემსწავლელთა ვარაუდებს ეფუძნება... გთავაზობთ ერთ მათგანს, რომელიც მეტნაკლებად მისაღებია:

პოეტის დაბადების თარიღად მიიჩნევენ 1160-1165 წლებს. XII – XIII სს. მსოფლიოს უდიდესი ჰუმანისტი პოეტი. ჩვენამდე მოღწეულია მისი ერთადერთი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიც გამოხატულია ქართველი ერის უმშვენიერესი მისწრაფებანი, უმაღლესი იდეალები.

შოთა რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობები თითქმის არაა შემორჩენილი, მაგრამ მრავალი ხალხური და ლიტერატურული გადმოცემის თუ სამეცნიერო ჰიპოთეზის მიხედვით მკვლევარები ასკენიან, რომ „ვეფხისტყაოსანის“ ავტორი, სახ-

ელად შოთა, თამარ მეფის თანამედროვე, დიდგვაროვანი პირი, იყო ჰერეთის ან მესხეთის რუსთავეის მფლობელი (აქედან შედწოდება - რუსთაველი/რუსთველი). საქართველოს სამეფო კარის მეჭურჭლეთუხუცესი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ პოეტი სიცოცხლის მიწურულს გაემგზავრა იერუსალიმში, აღიკვეცა ბერად, იქვე აღესრულა და იქვეა დასაფლავებული. არ არის გამორიცხული, რომ იგი, სამეფო კართან თუ სასულიერო პირებთან დაპირისპირების გამო, აიძულეს, რომ სამშობლო დაეტოვებინა და უცხოეთში გადახვეწილიყო, სადაც მან ხანდაზმულობაში შეაკეთებინა იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტერი და მოახაგვინა სვეტები. ამ დამსახურების აღსანიშნავად მონასტრის სააღაპე წიგნში შეიგანეს მისი სახელი, ხოლო მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე, მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის ფრესკათა შორის, მისი სურათი გამოსახეს.

ვარაუდობენ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ 1189-1207 წლებშია დაწერილი. მასში ასახულია მეურთემეტყველორმეტყვე საუკუნეების საქართველოს სინამდვილე.

აკოინდილის ანდერძი

დაჯდა წერად ანდერძისა, საბრალოსა საუბრისად:
 „ჰე შეფუო.გავი პარე ძებნად ჩემგან საძებრისად!
 ვერ დავღვები შეუყრელად ჩემთა ცეცხლთა მომღებრისად;
 შემინდევ და წამაბანე მოწყალეა ღმრთიეებისად.

ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ ამა ჩემსა განზრახულსა.
 კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა;
 მე სიგყვასა ერთსა გკადრებ, პლაგონისგან სწავლა-თქმულსა:
 „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“.

რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა,
 მე რად გავწირო მოყვარე, ძმა, უმტკიცესი ძმობისა?!
დაიბადა სოფელ შუამთაში (ვანი). იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, რომლის განმავლობაშიც, 1942 წლიდან, გერმანელთა გყვეობაში მოუწია ყოფნა და ამის გამო 1948-56 წლებში საბჭოთა კავშირში გაგარებული რეპრესიების შედეგად მას ურალსა და მაგადანის ოლქში მოუხდა გადასახლებაში ყოფნა. ლექსების პირველი კრებული – „ყირიის დამეხი“ – 1948 წელს გამოაქვეყნა. ლექსებისა და პოემების ძირითადი კრებულებია: „წარწერები კლდეზე“ (1957), „ჩრდილები მღერინ“ (1968), „მზე მავთულხლართებში“ (1969), „რჩეული“ (1971), „რჩეული ლირიკა“ (1980).

ბის შედეგად მას ურალსა და მაგადანის ოლქში მოუხდა გადასახლებაში ყოფნა. ლექსების პირველი კრებული – „ყირიის დამეხი“ – 1948 წელს გამოაქვეყნა. ლექსებისა და პოემების ძირითადი კრებულებია: „წარწერები კლდეზე“ (1957), „ჩრდილები მღერინ“ (1968), „მზე მავთულხლართებში“ (1969), „რჩეული“ (1971), „რჩეული ლირიკა“ (1980).

*** * * გერონტი ქიქოძე**

შენი ცხოვრება, ჩემი და წყნარი, ქარიშხლის შუილს გაეხმაურა. აღმევანს ავა მარილზე ხარი და სიკვდილთანაც მივა ხარულად. აქ ისევ ისმის გალობა შაშვის, ნისკარგით სიგყვა უტირავს შენი. შადრევანს აფრქვევს ციური ბავშვი, ეჭურჩულება მას ლანდი ბრძენის. ელიმილები ახლაც ქიანელს, ლეოს მალი-მალ ცრემლი ერევა, კვლავ ძმაკაცურად არ გავიანხლდეს, - შეჩვეულია შენს მოფერებას. სიგყვათა კონას შეხსენი ულო და მიაყარე მამულის ლამპარს. ვაგლახ, ჩაუქებს არ ექართულოს შენებრ ქართველი და ბრძენი პაპა! ჭეშმარიტების მაჩინს და უჩინს შეახე ხელი, ნახე სანთლები. მოღიხარ ისევ მაჩაბლის ქებით, პაგარა ბაღში შემობრძანდები. სუროს ნიავე შეარხვეს წყნარი, მაშვიც აქ არის, არ გაპარულა. აღმევანს ავა მარილზე ხარი და სიკვდილთანაც მივა ხარულად.

— სულაბერიძე აჩილი (1927 – 1997)

დაიბადა თბილისში. 1951 წელს დაამთავრა იოსებ-ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1957-1970 წლებში მუშაობდა ჟურნალ „მნათობში“ განყოფილების გამგედ, შემდეგ პასუხისმგებელ მდივნად, 1971-1981 წლებში – გამომცემლობა „ნაკ-



ლიდა
სტჰილია



ლია
სტჰურუა



ია
სულაბერიძე



ლალი
სულაბერიძე

ადულის“ დირექტორად, 1981 წლიდან კი – ჟურნალ „მნათობის“ მთავარ რედაქტორად. მისი პირველი ლექსები 1946 წელს „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა. მას ეკუთვნის პოეტური კრებულები: „ჩემი ქუჩის დღესასწაული“ (1956), „საგზაო“ (1959), „ოთხივე მხრიდან“ (1975), „სიჩუმე“ (1978), „ლექსები“ (1980) და არაერთი პროზაული ნაწარმოები.

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ელენე ახვლედიანი

ო, როგორ უნდა, თქვენს ნახაგს ჰგავდეს ამ სახლს, აივანს, დათოვლილ კრამიგს, ხოლო მე ცისფერ ნამქერში ვზანდე სულ ერთი წუთით ან ერთი წამით. ძველ სახლებს შერჩათ თავისი სევდა, ძველ ქუჩებს მიაქვთ დარდი თავისთვის, რომელსაც ვხედავთ, ანდა ვერ ვხედავთ, რასაც განვიცდით, ან ვერ განვიცდით. თოვს, ქალბატონო! და ჩუმი თოვლი – ეს დაწვენილი ჩემი ფიქრია, წარმატება ან წუთისოფლის უკვდავ ფერებად რომ დაგიღვრიათ. იასამნების, იის, იელის თოვლი ჩემს სულშიც მინდა ჩავგოვო... თოვს, ქალბატონო! რა მშვენიერი თოვლი მოსულა, ო, ქალბატონო! ამ ქუჩას უნდა, თქვენს ნახაგს ჰგავდეს. ამ სახლს, აივანს, დათოვლილ კრამიგს, ხოლო მე ცისფერ ნამქერში ვზანდე სულ ერთი წუთით ან ერთი წამით.

– **სულაკაური გიგი** (1953 – 2012)

დაიბადა თბილისში, არჩილ სულაკაური ოჯახში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი 1977 წელს. 1978 წელს იყო აღმანახ „სახუცის“, 1979 წელს – მთარგმნელობითი კოლეგიის განყოფილების და ჟურნალ „მნათობის“ პოემიის განყოფილების რედაქტორი. გამოქვეყნებული აქვს ლექსების კრებულები: „საგნები თოვლში“ (1982),

„მოლიაქოს ბორბალი“ (1985), „ბიჭები, ბიჭი და სხვა...“ (1995), „ქუჩის ბიჭების გასაგონად“ (2000); მოთხრობების კრებულები: „მე და ჩემი ლიზა“ (2004), „თამაში რევოლუერთი“ (2009).

ქჳნის ბიჭების ბასაბონდა

უთხარი დედას, რომ ამაღამ არ დამელოდოს – ჩრდილების სადგურს არ მოადგა მაგარბელი. დაივიწყოს მაგიდაზე დატოვებული ჩემი არჩივი – პურიც, დვინიც, სიყვარულიც ხელუხლებელი... ძნელი ყოფილა კარს მიღმა ყოფნა, ქუჩის ბიჭებთან მოძრობა, მდინარის დევნა – ზღვაზე მიჰყავხარ... უფრო ძნელი კი – შინ დაბრუნება. თუმცა რას ვამბობ, ეს ყველაფერი ხომ უკვე იყო, ნანახი მაქვს, გამოცდილი და გადაყრილი... მაგრამ იგივე მაინც არ არის, (გადამავიწყდა, რომ სამყარო წაშლი იცვლება) მეც ხომ იგივე აღარა ვარ – რაც დავიბადე, იმის მერე თითქმის ყველა დღე ძველ ძონძივით შემომავლითა ჩემივე თავის თითო ნაწილი – ჩრდილდა დაფრჩი და ამასაც აქა ვგოვებ, ამ უცნაურ, ბებერ ქალაქში – ჩრდილების სადგურს არ მოადგა მაგარბელი.

– **სულაკა ბაღრი** (1964)

დაიბადა გყიბულში. დაამთავრა თსუ-ს ისტორიის ფაკულტეტი. მუშაობს გ. ჩიგაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში. გამოცემული აქვს კრებულები: „ზღაპარხილია“, „მოგისაკლისე“, „ბედის გიხარი“, „რაჭა, შენ რომ არ მყავდე...“, „ჩიტიწყალი“, „ლირიკა“ და „დაღამებისას იწყება დღია“. სხვადასხვა დროს იბეჭდ-



არჩილ სულაკაური



გიგი სულაკაური



ბაღრი სულაკაური



ლენიშვა სულაკაური

ებოდა ქურნალეებში – „ცისკარი“, „განთიადი“, „ამერ-იმერი“, „ანელი“, „ხორნაბუჯი“, „ოლე“. „მწვანეყვავილა“, გამეთებში - „ლიტერატურული საქართველო“, „ლიტერატურული გაზეთი“, „მწერლის გაზეთი“, „რაიო“. ეწევა აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობას, თარგმნილი აქვს ქართულად რუსული, ბელორუსული, თურქული და გაჯიკური პოემების ნიმუშები. მისი თარგმანები შესულია მთარგმნელთა კოლეგიის მიერ შედგენილ „რუსული პოემის ანთოლოგიაში“.

* * *

ისევ თეთრი ენბელები ამოსულან,
გზაუკა ქვეშ, რიგისი ტალღით ნაკონი...
– ავტობუსი რა ხანია არ მოსულა, –
წუხს ბუჩქებში დამალული კალოში...
მოვა, აბა, ქვე რას იმანს ევ ვერანა,
დაკარგული კვლავ ყოფილა ნაპოვნი...
კაცს ბოლომდე არ გაწირავს ეს ქვეყანა,
გამოხნდება ი, კალოშის პაგრონიც...
ერთად ბევრჯერ უბედილი ტალახები,
ოლეებში ცხვარუკაზე დევით...
ახლა გამასაც მორევია ბალახები,
წყაროს თავში წამოშადარი დევით...
პაგრონმა რომ კვლავ მიაგნოს ი, კალოშებს,
ცისკენ ხელებაგოგით უფალს ვიხივ...
აქ, ბუღბუღი ისევ ისევ იგალობებს...
ღმერთო, რაჭა არ მანახო უხალხო...

– სუბაქვილი ზაზა (1938)

პოლიტოლოგი, ფილოლოგი, პოეტი

გოდება ეპიკატის ღმერთისა

შენ ღამაში ხარ, ჩემო იოსებ,
შენ ღამაში ხარ, როგორც ყვავილი
ამოსული სასაფლაოზე.
სადაც დაემარხე სიყვარული უმუნაესი.
შენ ღამაში ხარ, როგორც მღაპარი
და სიმბარული,
შრომანებით შეკრული კუბო,
ამბორთა შენთა შრომანებით შეკრული კუბო,

რომელშიც ვწევარ.
მიიმდერიან ღრუბელ-ღრუბელ ანგელოზები,
ჩემო იოსებ, შენ ღამაში ხარ,
უბიწო ხარ, ჩემო იოსებ.
შენ ღამაში ხარ დაჩოქილი და აპყრობილი,
მეხდაცემული შემოგვქერი,
და აყვავებულ ვაშლის ხეების
უთეთრეს მწკრივებს,
ტოტებზე ფუტკრებშემოფრენილ,
თავებრუდამხვევ და დამთვრალ მკლავებს,
ბზის ტოტებივით გიჭრი და გიფენ.

– სუბაქვილი ზაზა (1992)

დაიბადა კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოში (ამერბაიჯანი, ჰერეთი). 2009 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა. 2009-2013 წლებში სწავლობდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის და მართვის ფაკულტეტზე. 2007 წლიდან დღემდე მისი ლექსები იბეჭდება პერიოდულ გამოცემებში და საერთო კრებულებში: „მესამე თვალში“, „ლექსების გამოფენა-2012“, „ხარს ვგვევარ ნაიალად-არს...“, „ალავერდობა“, „თაფურეკლი“, „ინსპირაცია“, „შეყვარებულია წიგნი“, გამოცემული აქვს კრებული „მისამართი“ (2017).

ალაზნის მიღმა საქართველოში

რამდენჯერ ცრემლით დაუწყია თვალის გახელა, თუმცა მარტოებში დარღმა გენი ჯერ ვერ ჩახსუთა! მხელია, როცა საინგილო ჰქვია სახელად და ვერ იბრუნებს ისტორიულ პერტოს – საკუთარს დროის დინებას ამოხია მაგიახედან, განვებამ დააკაბდონა, როგორც წიგნაკი. -იცი? - იწყება საქართველო სწორედ აქედან, ჰოდა ვალია, გავუფრთხილდე! ამის მიღმა კი წყალს წაუღია უღანთ და მთები – ხრიოკი! მინდა სოფელში ბერიკაცი დიდიღის ბარავდეს, მერე ბოსტანიდან (საღამო ხანს) პაპა იოშის მებზობლს ბავშვი სამამთროს და კიგრებს პარავდეს. ღამით კი ლოცვით მიდიოდეს ბებო ხაგებთან



ზაზა სუბაქვილი



შმერგილი სუსიტაშვილი



გოჩა სინიაშვილი



სსირტლაშვილი სინისიმი მ.

და უფალს მშვიდად გათენებას ეხვეწებოდეს
 და ცხელი ცრემლი, ნაოჭიან, ფერმკრთალ დაწვებთან
 დაგუბებული, ჟონავდეს და მეწვეთებოდეს!
 სანაგრელია! მენაგრება სოფლის მთა-ველი,
 შორიდან მესმის მშობლიური კუთხის ნანინა.
 ქვეყნად გამშენო, დაკარგული ყველა მტკაველი
 ნეგავი, პეშვით სამშობლოში მომაგანინა!
 ჭრილობებს სულზე ჩუმი ლოცვით გაიმთელებენ,
 დაუბრუნდება ბაირადი ჰერელ მედროშეს...
 იქართველებენ!.. ძველებურად იქართველებენ
 ალაშის მიღმა გასხვისებულ საქართველოში!

*დიდილიგი - საკარმიდამო ნაკვეთი.

— სახიზაჰვილი შერილი (1936 – 2015)

პოეტი, მოჭადრაკე, საჭადრაკო კომპოზიტორი

* * *

შავი ღრუბლების მიემსხვრა ხიდი
 მთას, და გაშავდა ბედის ყელი და,
 წაჰკიდებია მღვრიე მღვას ბინდი,
 კენესის ხმა ისმის სევდის ველიდან.
 ცივდება სისხლის ხეთა ხელები,
 იბანს ლურჯ სხეულს ქართან ტალღები,
 მიაქვს სიცივე ღმერთთან ხველებით
 და ლოცვა, რწმენის კართა გამღები.
 ღრუბელი ღრინავს ლოთი ძაღლივით,
 სოფლის პოლოში დამე ნათრევი.
 მთვარე კი ცაზე მოდის დალილი,
 ...შენს დიმილს ვუცდი და მენაგრები.

— სხილაჰე გორა (1968)

1989 წელს ჩააბარა თბილისის სასულიერო სემინარი-აკადემიაში. შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის თეოლოგიის ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1996 წელს. იყო პოეტურ ორდენ „ეღელვასის“ წევრი. სამი წლის განმავლობაში ცხოვრობდა და სწავლობდა გერმანიაში. გამოცემუ-

ლი აქვს ლექსების კრებული „მკვდართა მზე“.

ბაშვისკოვა

დაცარიელდა სოფელი
 და უკვე აღარ მცნობა
 მაღლა მზე გამათობელი,
 დაბლა დღის გულნამცეცობა.
 ნუთუ არავინ არ დარჩა
 მხილველი ღელის ღიპების?
 გულში რაც სხივი გადარჩა,
 იმის კვალს ჩუმად მივყვები.
 რომ მხვდება უცხო ბავშვია,
 რომ მხვდება უცხო კაცია,
 იქ ჩემ გულს უკაშკაშია,
 მამას მთვრალს უბარბაცია.
 ვიცი სოფელი შენი ხმა
 ცრემლებად დაიბადება.
 გარდაუვალი შეიქმნა
 ვარდებზე თოვლის დაღება.
 გვერდზე ჩამივლის ბავშვობა
 ნიავის მხარით გადება.
 წინ გულში დანის ჩასობა!
 გზად წასვლისათვის მზადება!

— სხილაჰე-სიმსივე გარბო

(1931 – 2008) სახალხო მოქმელი.

დაიბადა სოფელ ხიმში (ამბროლაური), დაოჯახების შემდეგ გადასახლდა ნამოხვანში (წყალტუბო). ლექსებს აქვეყნებდა წყალტუბოს რაიონულ გაზეთსა და ჟურნალ „სათაფლიაში“.

ნოსტალგია

ფიქრი ნისლად ჩამოწვება,
 თვალში ცრემლად წამომივია,
 მე სხვა ქვეყნის მზე არ მათობს...
 არაფერი გამომივია!
 ჩემო სახლო, ჩემო კარო,
 ღმერთმა იცის, რა მოგივია!..
 მე ხომ ის მზე მენაგრება,
 უჩემოდ რომ ამოვივია!




— **ბაბაბაქა ალქსანდრა** (1934 – 2004)

დაიბადა სოფელ გოკიაში (ახალქალაქი). 1957 წ. დაამთავრა გორის პედ. ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. იყო ლიტ. მუშაკი ვაზეთ „სტალინელში“, „ზარია ვოსტოკას“ კორესპონდენტი, გამეთების – „შთაგონების“ და „ყაყაინოს“ – დამაარსებელი და რედაქტორი. გამოცემული აქვს კრებულები: „უცოდველი მიწა“ (1972), „გულწრფელი თოვლი“ (1979), „შენ გეკითხები“ (1983), „შემოდგომის გაზაფხუვი“ (1985) „ადიდებული მტკვარი“ (1990) და სხვა.

მე ახლა

მივალ, მიყვები ქუჩას გააგით და გული მკერდქვეშ დღელამ მბორგავი ხმაურობს, როგორც კედლის საათი, და აღარ წყდება ფიქრის გორგალი. მე ახლა ისე გოლიათი ვარ, ამ შთას მთვარემდე ღონით ავზიდავ, ერთი კი არა, მგონი ათი ვარ, ათი კი არა, მგონი ასი ვარ. ეს ცა არ ჰყოფნით ახლა ამ თვალებს, ახლა ის არ ვარ, ახლა სულ სხვა ვარ, ეს ვარსკვლავები უკვე დავთვალე და აღარ მყოფნის აღსანუსხავად. ეს გული ახლა ისე ცხელია, ვშიშობ, არავინ დაგწვა გამგელვი, ფეხით გავასწრებ ახლა ცხენიანს, მე ახლა ციდან ღრუბლებს გავდვინ. ახლა სიცოცხლე ისე ტკბილია, ვერ მომერევა ასი სიკვდილი, მე ახლა ცაში ასვეცილი ვარ, როგორც ვეება ციხე ქვიტიკირის. ...მივალ, მიყვები ქუჩას გააგით, მესმის, ხმაურობს გული მბორგავი, არ ვამიგყდება მკერდქვეშ საათი, არ ვამიწყდება ფიქრის გორგალი.




ალქსანდრა ბაბაბაქა

— **ბაზიპა ბალაქიონე** (1891 – 1959)

საქართველოს სახალხო პოეტი დაიბადა სოფელ ჭყვიშში (ვანი), სოფლის მასწავლებლის ოჯახში. 1900 წლიდან სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო 1908 წლიდან – თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1910-1911 წლებში მუშაობდა მასწავლებლად. გალაკტიონ ტაბიძე არის ქურნალ „მნათობის“ ერთ-ერთი დამაარსებელი (1924). მისი შემოქმედება XX საუკუნის 10-იანი წლებიდან იწყება. 1914 წელს გამოქვეყნებულმა კრებულმა „ლექსები“ და განსაკუთრებით 1919 წელს გამოცემულმა „არგისგულმა ყვავილებმა“ მას საყოველთაო აღიარება, „გენიალური გალაკტიონისა“ და „პოეტების მეფის“ სახელი მოუტანა. „მე და ღამემ“, „მთაწმინდის მთვარემ“, „მერიმ“ მკითხველს წარუდგინა სრულიად ახლებური პოეტური სამყარო, ქართული ბგერის დიდებული კეთილხმოვანება და სიტყვის მოქნილობა. 40-იანი წლებიდან გალაკტიონი აქვეყნებს ლექსებს: „ლურჯა ცხენები“, „მთაწმინდის მთვარე“, „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, „ნიკორწმინდა“ და სხვა, რომლებშიც რეალობის სფეროში სიკეთის, მშვენიერების და ჰარმონიის სამყაროა ასახული. მის თითქმის ყველა ლექსს უადრესად დახვეწილი მელოდიურობა, აუხსნელი მუსიკალურობა, რითმის ბუნება, ლექსიკა და ფრაზის წყობა ახასიათებს. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება რამდენიმე ათეული წელია გადაულახავ მწვერვალად დგას თანამედროვე ქართულ პოეზიაში. მისი ავტორიგეტი დღესაც ბატონობს და გადაუჭრელ ამოცანად რჩება ქართული ლექსის თვისობრივად ახალ, მის ლექსთან შედარებით უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა. 1975 წელს გამოიცა გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა თორმეტტომეული.

დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.
მმრი

შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!
მერი, იმ ღამეს მაგ თვალითა კვლობა,
სანდომიან ცის ელვა და ფერი
მწუხარე იყო, ვით შემოდგომა!
აფეთქებული და მოცასცახე
იწვოდა ნათელ ალითა კრებული,
მაგრამ სანილებზე უფრო ევ სახე
იყო იღუპალ გაფითრებული.



**ბალაბიძე
ტაბიძე**

იწვოდა გაძრის გუმბათი, კალთა,
ვარდთა დიოდა ნელი სურნელი.
მაგრამ ლოდინით დაღალულ ქალთა
სხვა არის ლოცვა განუკურნელი.
მესმოდა შენი უგონო ფიცი...
მერი, ძვირფასო! დღესაც არ მჯერა...
ვიცი წამება, მაგრამ არ ვიცი,
ეს გლოვა იყო თუ ჯვარისწერა?
ლოდებთან ვილაც მწარედ გოდებდა
და ბუკლების თვლებს ქარში კარგავდა...
იყო ობლობა და შეცოდება,
დღესასწაულს კი ის დღე არ ჰგავდა.
გაძრისგან გასულს ნაბიჯი ჩქარი
სად მაგარებდა? ხედვა მიმძიმდა!
ქუჩაში მძაფრი დაჰქროდა ქარი
და განუწყვეტლად წვიმდა და წვიმდა.
ნაბაღი ტანზე შემოვიხვიე,
თავი მივანდე ფიქრს შეუწყვეტელს...
ოჰ! შენი სახლი! მე სახლთან იქვე
ღონემიხილი მივაწექ კედელს.
ასე მწუხარე ვიდეკი დიდხანს
და ჩემს წინ შავი, სწორი ვერხვები
აშრიალეზდნენ ფითლებს ბნელხშიანს,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები.
და შრიალეზდა გოგი ვერხვისა
რაზე - ვინ იცის! ვინ იცის, მერი!
ბედი, რომელიც მე არ მეღირსა, -
ქარს მიჰყვებოდა, როგორც ნაძქერი.
ვთქვი: უცარი გასხივოსნება
რად ჩაქრა ასე? ვის ვევედრები?

რად აშრიალდა ჩემი ოცნება,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები?
ან ცას ღიმილით რად გაცეცქეროდი,
ან რად ვიჭერდი შუქს მოკაშკაშებს?
ან “მესაფლავეს” რისთვის ვმღეროდი,
ან ვინ ისმენდა ჩემს “მე და ღამეს”?
ქარი და წვიმის წვეთები ხშირი
წყებოდნენ, როგორც მწყებოდა გული,
და... მე ავგირდი, ვით მეფე ღირი,
ღირი, ყველასგან მიგოვებული.

რაც უფრო შორს ხარ
რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვგებები!
მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი.
ხელუხლებელი, როგორც მზის სხივი,
მიუწვდომელი, როგორც ელემი.
და თუ არა ხარ ის, ვისაც ვფიქრობ,
მე დღეს არ ვნადვლობ, დაე, ვცდებოდე!
ავადმყოფ გულს სურს, რომ მას ოცნების
თეთრ ანგელოზად ვვლინებოდე.
დაიწვას გული უცნაურ გრფობით,
ცრემლით აღივსოს ზღვა-საწყაული,
ოღონდ მჯეროდეს მე ჩემი პოღვა
და სიყვარულის დღესასწაული.

* * *
შენ ზღვის პირად მიდიოდი, მერი,
სხივქვეშ თრთოდა შენი ნაბი ტანი
და გვარავდა მწვანე სუროსფერი
ცაცხვისა და აღვის ხეივანი.



ტიციან ტაბიკი

შენს ღიმილში მწუხარების ჩქერი მოულოდნელ სიყვარულად ვცანი, როგორც მთვარის შუქი ალმაყერი, როგორც სიოს უცხო მიმოსვრანი. ამ ღიმილში კარგი, მშვენიერი გამოკრთოდა სევდა-კაემანი, როგორც სხივზე ყვავილების მგვერი, ცისკრის ნამით თრთოლვილ-განაბანი. იმ ღიმილზე, იმ სევდაზე ვმღერი, ბანს მაძლევენ ყვავილნი და მთანი. მერი, ჩემო შორეულო მერი, შენსკენ მოჰქრის ბედის იალქანი.

რა დროს რომანსმროა
 გაცრეცილ და მგვერიან
 ცას სინათლე კლვია.
 ყვავილებზე მღერიან...
 რა დროს ყვავილებია?
 ცაზე ვხედავ წეროებს,
 თითქო მწკრივი ღეროა.
 მღერენ რომანსეროებს...
 რა დროს რომანსეროა?
 წყარო ხევში ვალაღებს:
 გაქრა ვიცი ოცნება,
 ვკონი მე შენს დალაღებს,
 მაგრამ რა მეკონება?

— **ბაბიკა ბიჩიანი** (1895 – 1937)

ღაბადა სოფელ ჭყვიშში (ვანი), მღვლის ოჯახში. 1905 წლიდან სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. მისი ნოველები, მინიატურები და ლექსები უკვე 1911 წლიდან იბეჭდებოდა „კოლხიდაში“, „სახალხო გაზეთში“, „ერში“,

„თეატრი და ცხოვრებაში“. 1911 წლიდან სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე იყო ერთ-ერთი დამაარსებელი, ხელმძღვანელი და თეორეტიკოსი „ცისფერყანწელთა“ სიმბოლისტური ორღენისა, ავგორი ცნობილი წერილისა – „ცისფერი ყანწები“. რელაქტობდა გაზეთ „ბარიკადს“. ლირიკულ ლექსებთან ერთად წერდა პოემებს, მინიატურებს, წერილებს, ესეებს, ლიტერატურულ ნარკვევებს, თარგმნიდა სხვადასხვა ქვეყნის პოეტთა ნაწარმოებებს. გაბიძეს ეკუთვნის თარგმანები ფრანგული და რუსული ენებიდან. მან თარგმნა პუშკინის, ბუნინის, მაიაკოვსკის, არაგონის და სხვათა თხზულებები. 1937 წ. გციიან გაბიძე ანგისაბჭოთა მოღვაწეობის ბრალდებით დააპატიმრეს და დახვრიტეს. სხვა ვერსიით, გადასახლებაში სჯილი პოეტი ციმბირის გრამალზე ჩამოსვეს და თოვლიან ქარბუქში მიაცოცეს. მისი საფლავი არ არსებობს. 1955 წელს გამოიცა მისი „ლექსები, პოემები, თარგმანები“, 1995 წელს – ერთგომეული.

ლექსი მუწყერი

მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს, ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს. ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს, რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს. მე დავიბადა აპრილის თვეში, ვაშლის გამლილ ყვავილებიდან, მაწვიმს სითეთრე და წვიმის თქეში მოდის ცრემლებად ჩემს თვალებიდან. აქედან ვიცი, მე რომ მოვევლები, ამ ლექსს რომ ვამბობ, ესეც დარჩება, ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდება და ეს ყყოფა გამოსარჩლება. იცყვიან ასე: იყო საწყალი, ორპირის ფშანზე გაზრდილი ბიჭი. ლექსები იყო მისი საგზალი, არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი. და აწვალბდა მას სიკვდილამდე ქართული მზე და ქართული მიწა, ბედნიერებას მას უშალავდნენ, ბედნიერება მან ლექსებს მისცა. მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს, ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს. ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს, რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს.

— **ბაიკი ღაიტი**

იხილე შემოქმედელი დავით.

– **ბარკაშვილი ნინო** (1970)

დაიბადა სოფელ მალაროში (სიღნაღი). 1988 წელს დაამთავრა თბილისის 167-ე სკოლა, იქ სწავლის პარალელურად სწავლობდა ჟურნალისტიკა სკოლაში. შემდეგ სწავლა განაგრძო სამედიცინო აკადემიაში, პედაგოგიულ ფაკულტეტზე. აკადემიის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ან თანამშრომლობდა სხვადასხვა პოპულარულ ჟურნალ-გაზეთებთან და გელეკომპანიებთან. ამჟამად მუშაობს საპატრიარქოს მონღოლეთის სამსახურში და თანამშრომლობს საპატრიარქოს საგამომცემლო დეპარტამენტთან, აგრეთვე, საქართველოს საგარეულოთა კავშირებთან. გატაცებულია საეკლესიო გალობით, ხალხური სიმღერებით, ხევისურული ქარგვით და თეატრით. 2011 წელს გამოიცა ნინო გარკაშვილის პირველი ლექსთა კრებული „ირმის ნახტომი“.

საშობაო

„ოცდახუთსა დეკემბერსა
ქრისტე იშვა ბეთლემსაო“,
ანგელოზთა უგალობეს,
ხმა ეფინა ქედებსაო,
იღიმება ღვთისმშობელი,
გული იტვის ედემსაო,
ცაზე მთვარე-ვარსკვლავები
მოუხატავთ მტრედებსაო.

– **გიორთაშვილი ლევან** (1926 – 1975)

ლევან გვირგვინი, რომელსაც თანასოფელელები გვირგვინს სახელით უფრო იცნობდნენ და ასხენებდნენ, ლაფანგურის მკვიდრი იყო. მისი მშობლები ივრის ხეობიდან, სოფელ არგანიდან ჩამოსახლებულან წინა საუკუნის ათიან წლებში. ლევანი მათი მეორე შვილი იყო. ის დაიბადა ლაფანგურში. დაამთავრა სამკლასიანი სკოლა და დაიწყო შრომითი საქმიანობა კოლმეურნეობაში, ჯერ მწვემსად შემდეგ კი სხვადასხვა საქმიანობას ეწეოდა. იყო შესანიშნავი სახალხო მთქმელი. თავის ლექსებში იგი, როგორც წესი, ჰკიცხავდა და დასცინოდა ხალხის საუკეთესო

ადამიანების დამრღვევთ და ყოველდღიურ მახინჯ მოვლენებს, არ ინდობდა სხვებს და საკუთარ თავსაც კი, მაგრამ ყველაფერ ამას საოცრად თბილი და გუბილი სიტყვებით აკეთებდა. სიცოცხლის ბოლო წლებში ლევან გვირგვინი აკადემიურად და დაკრძალულია ლაფანგურში. მისი ლექსები 1991 წელს დაიბეჭდა იოსებ მთიებლავის წიგნში „ლაფანგურელი მოლექსეები“

* * *

რად შამარცხვინე, ძმისწულო,
გემღური ბიბაშენია.
ბილიკზე დაგითესავის
მემოკის პირით ქერია,
უძრავზე გადაგყვარავის,
ღვწვი გეწვიაკა შენია.
გყვილად გიმუშავებავ
ეგ უბარაქო ხელია.
თოვლ გაშრაქვიშა გამოჩნდა,
ერევა სამარგელია.
პირ უჩან ცოტა-მატასა,
ბევრი გაქვ განაცდენია.
მაღე მეველეს ეცადე,
დაგიღებნებს მგერია.
მკონანესაც გამოგაყოლებს,
თუ გექნა მოსამკელია.
ძნის მგებლად ბებერს გიმოვნი.
გამოცდილებით ძველია.
ამაზე მეტად ბიბაშა
რიგორ შავიწყის ხელია.

– **გიორთაშვილი გიორგი** (1986)

დაიბადა თბილისის რაიონში. 2008 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, ხოლო 2009 წელს – თბილისის სასულიერო აკადემია. გამოცემული აქვს ნოველების, ლექსების, ესეების, წერილებისა და ინტერვიუების კრებულები: „მადლიერება“ (2013), „მუღმივი აწმყო“ (2013); 2015-2016 წლებში იყო გელეკომპანია „ქართული არხის“ სააგრო გარემოს „გვარ-



ნინო
თარგამავალი




გიორგი
ტიბინაშვილი



ლევან
ტიბინაშვილი



ჯჰანშმარ
ტიპარაძე



შოთა
ტიბინაშვილი

აკად შეწირულნი“ წამყვანი; არის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უახლესი ისტორიის მკვლევარი.

— გიორგიანი დავით (1953)

ფსევდონიმი – ივრისპირელი.
დაიბადა საგარეჯოში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი 1982 წელს. 1983-2004 წლებში მუშაობდა შსს ხაზით სხვადასხვა თანამდებობებზე. არის რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორი. პირველი წიგნი „ვაზის ქორწილი“ გამოიცა 1992 წელს, მეორე – „თუშური პანგის წკრაილი“ 1995 წელს. მისი ლექსები იბეჭდება პერიოდულ პრესაში. არის აფხაზეთისა და სამხაბლოს ომის მონაწილე, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, თადარიგის ოფიცერი.

პაატა

რუსუდან ცეკვით დაღლილი
კარავს დაეცა ელვადა...
ვაიმე, შვილო პაატაგა,
ობლად რჩენილო მძევალადა!
დიდმოურავის ბოკვერო,
თუ გესმის მამის ძახილი:
შენს უკან საქართველოა,
წინ კი – ჯალათის მახვილი!
პაატას ცრემლი გაბრწყინდა
შეწირულ ხარის რქაზედა!
მისი სისხლი და ნათელი
ქართულ დროშებზე ამზევდა!

— გიორგიანი ვახუშტი (1962)

დაიბადა თბილისში. 1985 წელს დაამთავრა ოსუს-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. ლექსების წერა სტუდენტობიდან დაიწყო, პირველად კი ისინი აღმანახ „ლიახვი“ გამოქვეყნდა. მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულ მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიაში, გაზეთ „მსგვესმი“, თბილისის მე-4 ქართულ გიმნაზიაში, გაზეთ „24 საათში“. გამომცემელი აქვს ორი პოეტური კრებული: ლექსები (2002) და „უკუქცევა“ (2008).

მილიონი წელი ჩვენი მრის შემდეგ
(ფრაგმენტი)

ჩვენ რომ გადავშენდებით
და მოვლენ დინოზავრები,
მათი პალეონტოლოგები აღმოაჩენენ
ჩვენს გაქვავებულ ანაბეჭდებს იმ ადგილას,
სადაც ჩვენს ეპოქაში

ზღვის უკაცრიელი სანაპირო იყო
(ათასწლეულების შემდეგ
იქაურობა ოკეანე დაფარა,
ბოლოს კი
პაგარა მღვიმის შესასვლელად გადაიქცა)
და სადაც მე და შენ
ჩამავალი მშის გრილ სხივებში
ვესიყვარულებოდით ერთმანეთს,
ჯერ, აი, ამწაირად, მერე კი,
როცა ბოლო წამის მოახლოება ვიგრძენით,
ერთმანეთში ახლართულები
ქვიშაზე გადავგორდით
და შენ ჩემ ზემოთ მოექცეცა,
აი, ასე
და თავდაუზოგავად გამაჭენე ფინიშსაკენ
და წამით ადრე,
ვიდრე სხეულის სიღრმიდან
წამოსულ კონვულსივს
პირველყოფილ დაუნაწვერებელ
ბგერებს ამოაყოლებდი,
მკერდზე გადაშემეხე
და კბილებით მხარში ჩამაფრინდი...

— ტლავაძე იესა

XVIII საუკუნის I ნახევრის ქართველი პოეტი. ეკუთვნის პოემა „ბაქარიანი“ („კათალიკონი-ბაქარიანი“, დაწერილია სტამბოლში, 1727), რომელშიც აღწერილია ვახტანგ VI-ისა და მისი შვილის ბაქარის ისტორია, ქართლის აოხრება სპარსელებისა და ოსმალებისაგან, ვახტანგის რუსეთში გადახვეწა, მისი ძმის, კათალიკოს დომენგის სტამბოლში გაწვევა. როგორც ჩანს, იგი ჯერ კიდევ 1724 წლამდე ყოფილა რუსეთში, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი კათალიკოს დომენგის ვაჟყოლია სტამბოლში. იესე გლამაძე არსებითად არჩილ II-ის მიმდევარია ქართულ მწერლობაში. იგი თავყვანს სცემს შოთა რუსთაველს, აუგად მოიხსენიებს მის ეპიგონებს, თუმცა მის პოემაში იგრძნობა ვეფხისტყაოსნის დიდი გავლენა. „ბაქარიანზე“ შემოქმედება მოუხდენია იოსებ სააკაძის „დიდმოურავიანსაც“.

— გომონიძე შოთა (1934)

გამომცემელი აქვს კრებული „ვქქარობ, მოვასწრო“.

თემურ ჩალაბაშვილი

მთელი არსებით გარს უგრიალებს
უფლისკენ სავად კიბე-ხარაჩოს,
ისე ნაზია და მგრძობობიარე,
რომ სიხარულის ცრემლიც დაახრჩობს.

ის ხან იწვის და ცეცხლის აღია,
ხან – მგერთა შორის ქალის მანდილი...
პოეტის სული ქარიშხალია,
სამშობლოსათვის ამოვარდნილი.

– ტონია მანანა (1957)

დაიბადა სამგრედიაში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის არაქიმვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში (ფორტეპიანოს კლასი), შემდეგ დაამთავრა მაიკოპის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალიზაციით). წლების მანძილზე მუშაობდა სამგრედიის პირველ საშუალო და მეორე სამუსიკო სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის და ფორტეპიანოს კლასის მასწავლებლად. გარკვეულ დროს, ხანგრძლივი დროით, ოჯახთან ერთად იმყოფებოდა მოსკოვში, სადაც პედაგოგიური მოღვაწეობა არ შეუწყვეტია. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გამოსცა ათი საბავშვო კრებული „სოფოს ბებო-ს“ სერიით, ორი კრებული – „თედოს ნაამბობი“, ორი პოეტური კრებული: „სიყვარულის აპოგეა“ და „სიყვარულის ვირუსი“. ეწევა მთარგმნელობით საქმიანობასაც. ავტორია 600-ზე მეტი სონეტის.

ოქრონდ ბიჟვარდმ...

დღე არის მკრთალი, სავსე ფიქვებით და ანათალი თოვლის გუნდიდან, მე? – მე კი მთვრალი, დაღლილ ფიქრებით, ამოვარდნილი შენი ბუდიდან. ლექსების ქარი, ვით მინანქარი, ტანზე მეხვევა ხავსად და სუროდ, ვნების ამქარი, ვეღარ დამცხრალი, ცდილობს, ზამთარი საბნად დამხუროს. სავსეა ფიქვით ცა და მარხილი და ეს სითეთრე სულსაც ეღება. ვერ მივაჩვიე ჩემი ძახილი, შენს თვალთა ჩემკენ გამოხედებას!... მელის სამსჯავრო, აღარ გაჯავრო სიმღერის ნღომა თეთრი გვლებს,

ოთო, ჩემო კვლამაც და ჩემო ჯავრო, გალღვა ამ თოვლში ჩვენი ედემი... ნუთუ არ კმარა, ბევრი ვიდარდე, ჭრილობა ჩახსნა ყინვამ მკერდამდე, წამოვალ ჩქარა, ოღონდ გიყვარდე, ჯოჯოხეთიდან თუნდაც მეძახდე!...

– ბარბა პარიჩა (1969)

დაიბადა სოხუმში, 1991 წელს დაამთავრა სოხუმის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა 1986 წელს სოხუმის რაიონულ გაზეთში, ხოლო 1990 წელს მისი ნაწარმოებები ჟურნალ „რიწასა და ახალგაზრდულ კრებულ „ნაბიჯებში“ გამოქვეყნდა. 1999 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე, მისი კვლევის სფეროა ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობანი, ლიტმცოდნეობითი პრობლემები, თანამედროვე ლიტერატურული პროცესები. 2000 წლიდან მუშაობს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი სამეცნიერო წერილები, რეცენზიები პერიოდულად იბეჭდება სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში („ჩვენი მწერლობა“, „ქართული მწერლობა“, „ლიტერატურული პალიტრა“, „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“...).

– ბაღუში ზურაბ (1959)

დაიბადა თბილისში. დაამთავრა თბილისის 51-ე საშუალო სკოლა. ლექსების წერა დაიწყო ოცდახუთი წლის ასაკში. 2013 წელს გამოსცა ლექსების კრებული „ცისკრის ზარები“. 2014 წელს მისი ლექსები დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“.

* * *

ზამთარია, ქარბუქია, გარეთ ყინავს, ვით აფთარი ისე გმინავს, ავობს ქარი, როდის მოვა გაზაფხული, კარგი დარი, რომ ვიხილოთ ვარდები და ყვავილნარი, ქარიშხალი აზანზარებს ძლიერ ხეებს, რა გააგანს ამ ყინვაში ზამთრის დღეებს,




მანანა ტონია



პარიჩა ბარბა



ზურაბ ბაღუში



ბიჭვი ტყემალაშვილი



სოფიკო ტყემალაშვილი

მოფარფაგე ფანტელეზი უხვად ცვივა,
წელს ზამთარი მკაცრია და ძლიერ ცვივა.
ქარბორბალა ამტვრევს ხეებს,

ამტვრევს ტოტებს,
ვრიგალისგან გული მტკივა, გული ვოდებს,
თუ ზამთარი სიცივისგან დამაღონებს,
გაზაფხული მერცხლების ხმას გამაგონებს.

– **ფილელი იოსაზ** –

იხილეთ *იოსებ გვილელი*.

– **ფაჰაჰაჰაჰა–ალჰანსიჰა მარიაზ** –

იხილეთ *მარიაზ*.

– **ფაჰაჰაჰაჰაჰილი გივი** (1959 – 2011)

ფსევდონიმი – ადრეული.

პოეტი, მწერალი, ისტორიკოსი. დაიბადა სოფელ ბზვანში (ვანი). დაასრულა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდების მცველად. ლექსების პირველი წიგნი – „ციცინათელების კარავი“ – გამოაქვეყნა 1985 წელს. ავტორია ლექსთა კრებულისა „მეტალირიკა“ (2009), ასევე ნაშრომების: „სხვიტორიდან მთაწმინდამდე“, „გელათის საგანძური“, რომან-ქრონიკის – „ყაჩაღი დვალისფილები“.

გაზაფხუ შლისიჰის

ქალაქში მოკვდა მოხუცი ლანი,
მთვარის ლანდებზე უფრო მალაღი;

სრულიად შობის არისტოკრატი,
სრულიად თიხის შთამომავალი!
მენაარ! ცეცხლი მალღღება ცეცხლზე,
მწვანეზე ლურჯი ჩამოდის ფერი
და წვიმას კიდევ არა აქვს სხვა გზა,
ტყვევა და ელაღს წინ დეკემბერი.
დაჭკნენ იები, ცრემლების ნაცვლად
ქებს უფრო მძღავრი: დაღაი, დაღაი...
უხერხულია დღეს ყველა ჯვარცმა,
თავად ჯვარცმელი ცაში გამღღარა.
და ოთხშაბათის სანდო ანდერძით
მაისის ქვრივი ისევ გარეთ მის.

– **ფაჰაჰაჰაჰილი სოფიკო** (1968)

პოეტი და ჟურნალისტი.

მისი პოეზია სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა და იბეჭდება ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში. ავტორია პოეტური კრებულისა „აპრილი“, მისი ლექსები შესულია თანამედროვე პოემის ანთოლოგიაშიც და მცირე ანთოლოგიაშიც – „ღეღა ქართულ პოეზიაში“.

შვიღს

ჯერ ორივენი უნდა გადავრჩეთ,
საჩემო ვარსკვლავს მაინც ვერ ვსდიე,
ახლა უცდიან, როღის გაგაჩენ,
ლამაზს, ჭკვიანს და ჩემზე ბედნიერს.
ტკივილი დმერთმა უნდა გაშოროს,
ჩემში, ჩემთან და ჩემით შეფუთვინღს,
ეჰ, ვერ გახვედრებ ისეთ სამშობღს,
მე რომ მინღა და შენ რომ გეკუთვინღს.

უ

– უბილაკა ვლადიმერ (1914 – 1942)

1936-41 წლებში სწავლობდა თს.უ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტზე. დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში. ლექსებს ბეჭდავდა 1934 წლიდან. პირველი ლექსი გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნა. 1955 წელს გამოქვეყნდა მისი პირველი პოეტური კრებული „ლეღას ბობოქარს“. ამას მოჰყვა „ბალადა დაკარგული ჯარისკაცისა“ (1959, ლექსები, პოემა), „მამის კერასთან“ (1967, ლექსები და წერილები ფრონტიდან). 1969 წელს გამოიცა პოემა „გობაფარჩხილი“.

აზნაუზის ძალი


მასსოფს შავი ზღვა, ცხელი ზაფხული,
მაგარებელი გაჭრილი ქშენით,
ირვლევი ბაღები ნაყოფასხმული
და უეცარი გაცნობა შენი.
ამაყად მითხარ აფხაზის ქალმა,
რომ მუშუაკიდან გყვარჩელს ბრუნდები.
შენ მოიშორე სიბნელის ჩალმა
და ადათების მძიმე ხუნდები.
შემოგყურებდი დიდხანს ღიმილით,
შველივით დამდგარს გურფა ქალებთან.
შორს მზე ბრწყინავდა ოქროს დილივით
და ფანჯრებიდან გვეითვალთვალვებდა.
შემდეგ გამოჩნდა მაღარო მთაში,
ხევთან შეჩერდა მაგარებელი...
წახველ, გამშორდი და ოქრო ვაკის
დიდხანს მოგდევედა, როგორც მსლებელი.
ვიცი, დაგისვდა მთა განახლებით,
მაღაროებში ცეცხლი მკვესავი...
მხოლოდ ერთხელ ვარ შენი მნახველი
და მაინც გულში დვივი მშესავით.
არ მავიწყდება ზღვა და ზაფხული,
მაგარებელი შემდგარი ქშენით,
მაქვს ნეგარებად შემონახული
მე უეცარი გაცნობა შენი.



ვლადიმერ
უბილაკა



ელშარა
უბულაკა



ჯუშბირ
უტიუთაშვილი

– უბულაკა ელშარა (1973)

დაიბადა სოფელ გორდში (ხონი). 1990 წელს დაამთავრა ხონის პირველი საშ. სკოლა, ხოლო 1999 წელს – კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი, ლიტერატორის სპეციალობით. 2004 წელს დაასრულა მასშედისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტის მაგისტრატურა. სხვადასხვა დროს მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, ასევე – რედაქტორად: გამომცემლობა „ერთიანი მწერლობა“, „მერანი“. ამჟამად მუშაობს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ღვინის თეატრის“ დირექტორად. არის შექმნილი პოეტური კრებულების ავტორი: „გულში შენ ხარ“ (2005), „ეს შენა ხარ-მოშავალი ჩვენი“ (2007), „თუ გყვარება...“ (2013), „ვერცხლის გყვიებ“ (2016), „შენ რომ არა...“ (2017).

* * *

როგორც იქნა შეგივიეს ძიძებმა,
გიაბობენ ზღაპრებს გკბილი ქართულით.
შენ ღიმილით გიყვარს გამოლვიძება,
ხარ ბავშვი და ცხოვრებასთან არ სგყუი...
ჩემო კარგო, ჯერ არ იცნობ სიყალბეს
და მტირალიც ცისკრის დარად სმინანობ...
რა თქმა უნდა, გულით უნდა გიყვარდეს
ვინც გაგზარდა, ჩემო ხუჭუტომიანო...
მაგრამ მერე, როცა დიდი იქნები,
თქმა არ უნდა, შენც მიხვდები, ღვთისფერო,
იაუნანას ვერ მღერიან ძიძები,
იაუნანა ღელამ უნდა იმღეროს!..

– უტიუთაშვილი ჯუშბირ (1938)

დაიბადა სოფელ არბოშიკში (დედოფლისწყარო). გამოცემული აქვს ოთხი პოეტური კრებული. მისი ლექსები შეგანილია ქართული პოემის ანთოლოგიაში, კახეთის პოეტთა კრებულში

– „ირმების გადასახელი“. ქართულ მწერლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მინიჭებული აქვს ქართული კულტურის ამაღლარის წოდება. არის დამფუძნებელი კახეთის რეგიონის დელოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციისა, რომელსაც ხელმძღვანელობდა თხუთმეტზე მეტი წლის განმავლობაში.

შირწმანს

ამქვეყნად მოხველ ძალიან ცუდ დროს, ვერავინ მიხედა შენს სულს და სურვილს, ცოცხალს არ გქონდა ქოხიც კი მყუდრო, მკვდარმა დაიპყარ პარიში, ლუერი. გლესკაცი იყავ ჯიშით და გენით, ვლესური დაგვეა სიალალმართლე, ბევრჯერ დაგველეს შურიან ენით, ყურს არ უგდებდი სულით წარმართებს, ვერ გიქარებდა დარდებს არაყი, დაუძმობილი სარდაფს და ღუქნებს, ეპ, რა იცოლი, ფუნჯის ბარაქით ხელს რომ უწყობდი ჯიბესქელ მსუქნებს. გვიან გავიგეთ შენი დიდება, შუბლი ცოცხალ კაცს ვერ დაგიდაფნეს, შენი სული თუ ცაში ბრწყინდება, ძვლები, ვინ იცის, სად, როდის დაფლეს. არა გწყალობდა კეთილ კაცს ბედი, კიბის ქვეშ ჰპოვე თავშესაფარი, არ მოუხარე ცხოვრებას ქელი, ღვთის მადლით გქონდა ფუნჯი გამთბარი. ვაგლას, ამაყი და დარდიანდი, ბრიყვებს ეგონათ, სმით დაგლახავდი, „ჭიქა არყისთვის“ კი არ ხაგავდი, შენ ნახატებით სიკვდილსა კლავდი.

– უმნიშარიძე

იხილე ვოლსკი გრიგოლ

– ურუშაქი იოსარ (1940)

დაიბადა თბილისში. 1966 წელს დაამთავრა ოსუ. პროფესიით არის ჰიდროინჟინერი. გამოცემული აქვს პოეტური კრებულები: „სიყვარუ-

ლი გადაგვარჩენს“ (1999), „თბილისო ჩემო“ (2000), „Dum spiro, spero! ანუ ისუთიქეთ იმედით“ (2003).

რუსთაველის გამზირი


სეველი გასქერის „მაკლონდლს“ შოთა, ახალ ქართველებს, მათ აჭრილ მოღას. მის ფერხთით მღვთმი პაგარა ბიჭი, ავინებს მრუშად საკუთარ დედას, დავითის გენი, ილიას ენით, გულით საფიცარს, ვალს უხდის გესლით. სად წამოუკარით გროგუარს ფეხი, სად ჩაგვეშალა საფეხურები, სად გადაბრუნდა ჩვენი ურემი. აღარც ბორჯომი, ლაღიძის წყლები, ქართული სულის და ეშის მხენი. რა შემოგვიჩნდა? რას ვერ ვეღვეით? სად გაფრენილან დღეს ბედურები? ჩამოუყრიათ ჭადრებს ყურები, დღეს ჩემს რუსთაველს აღარ აგვევია გალაკიონის ნაფეხურები.

– ურაპა ბაღა (1965)

ბიბლიოთეკარი, პოეტი დაიბადა ცაგერში. 1985 წელს დაამთავრა ქუთაისის აკაკი ვასაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი საბიბლიოთეკო საქმის სპეციალობით. 2008 წლიდან მუშაობს ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის 13 საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალის გამგედ; წერს ლექსებს, რომლებიც პერიოდულად ქვეყნდება პრესაში; მისი ლექსები დაიბეჭდა 2010 წელს გამოცემულ წიგნში, „მშეკაბანი“, რომელშიც შევიდა 80-90-ანი და 2000-იანი წლების ქუთაისელ პოეტთა შემოქმედება. გამოცემული აქვს კრებული „მერკურის გერმინატორი ანუ შემცვალეთ ზოდაქოს ნიშანი“ (2007)

ბაღის მამქმტი ჯაჰის ნალქმში

შენ გადაგვლ სამეგკვიდრო ყვითელი სნება, შენც ამშვიდებდი გაბრუებულ მშერის ნარჩე-



ოთარ ურუშაქი



ბაღა ურუშაქი



ვლგუჯა შიქლარსი

ნებს. წასვლა გსურს? არა! აღარ არის ეს შენი ნება. ახლა სასიერ განჯვას არჩევენ.

ყოფნა – მაკორით დაწერილი სიობლის თემა. ფონი – სილაში შეპარული სოსანის შიში. ღამით დატოვა ნავსადგური ბავშვობის გემმა და სარკეებმა გადაფარა დამფრთხალი ჯიში. კიბეზე იჯდა მთვარესავით მწუნარე ქალი და დამტვრეული საქაფონი ლანდებს კარგავდა, მაშინ იმედი დალიოდა დღეის და ხვალის, ღამეც ცარიელ თვალებს არ ჰგავდა.

ბულბულებს აბრაში რა უნდათ ნეგაფი, გებრწავენ მეასე მომღერალ საგვევარს. არეის კვარცხლბეკზე დაადე მშეს თავი და ღამე გაჩუქებს საკუთარ ნახევარს. იგირე ამ ერთხელ, რა მოხდა ნამდვილად, დაეხსენ გაბინდულ მშერათა ნარჩენებს, ისურვებ დიმილს და იხუქებ ადვილად. აქ მხოლოდ ორ ფერს და ორ ბგერას არჩევენ.

– უცნობი ავტორი „ნარგიზოჟანისა“

ავტორი 11 ლექსისაგან შედგენილი სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათის თხზულებისა, რომლის შესახებ არსებობს რამდენიმე ვერსია: ა) მე-17 პირველი ნახევრის პოეტი გარსეევან ჩოლოყაშვილი; ბ) დავით სარდალი ან იესე ბარათაშვილი; გ) ყველაზე სარწმუნოა, რომ ეს არის XVIII საუკუნის ძეგლი, რომლის ავტორის ვინაობა ისტორიას არ შემორჩა. „ნარგიზოჟანი“ საყურადღებო ნაწარმოებია ლექსთწყობის თვალსაზრისით, შეიცავს სხვადასხვა აგებულების ლექსებს და ამკარად გამომხატველია იმ ვერსიფიკაციული სიხალისებისა კენ სწრაფვისა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს სულხან-საბა ორბელიანმა, ვახტანგ მეექვსემ და მამუკა ბარათაშვილმა.

მე ვითა ვითქვა შენი ქება

მე ვითა ვითქვა, აჰა, მშეო, შენი ქება!
გული ჩემი ამაღ ბნდება,
შენთა თვალთა, აჰა, მშეო, მენაგრება
კონცა ნაზისა-ნაზისა,
პირი ნაზისა-ნაზისა,
ხალი ნაზისა-ნაზისა.

მითხარ, რა ქნას, აჰა, მშეო, შენთვის ხელმა,
გრფიალებით ძებნად მვლელმა?

უთხარ, რა ქნას, აჰა, მშეო, თვალმა ბნელმა?
პირი ნაზისა-ნაზისა,
ხალი ნაზისა-ნაზისა,
ტუნი ნაზისა-ნაზისა

შენის ნახვით, აჰა, მშეო, თვალთა ბინდი
მამეკიდა, თუ არ გინდი,
რა ამოვა, აჰა, მშეო, ხალი – ინდი...
კონცა ნაზისა-ნაზისა,
ხევენა ნაზისა-ნაზისა,
ხალი ნაზისა-ნაზისა,

– უკილური ელვაჯა (1959)

დაიბადა სოფელ ჭართალში (დუშეთი, მთიულეთის არაგვის ხეობა). მამა ორი წლისას გარდაეცვალა, ობლობაში იზრდებოდა; სკოლის დამთავრების შემდეგ ოჯახი ახმეტაში გადასახლდა და ცხოვრების მოწიფული ასაკი სწორედ ამ ქალაქში გააგარა. პირველი ლექსი ცამეტი წლის ასაკში დაწერა. არის ავტორი ლექსისა „აყვავებულა არაგვზე ღეკა“, რაც პოპულარულ სიმღერას დაელო საფუძვლად, 2012 წელს გამოიცა მისი 64 ლექსი, რასაც ხსენებული სიმღერის პირველი სტრიქონები აქვს სათაურად.

* * *

აყვავებულა არაგვზე ღეკა,
ნისლი მოცურავს მთა-მთა.
სევდა მასწავლეს, ფშავლის ასულო,
ემგ თაფლისფერ თვალთა.
ციხეგორობას სტუმრად მოვივალ,
არ მაკოცება, ნეტა?
შენთან ღრეობა მწაღიან, ქალო,
ყოფნა მწაღიან შენთან.
ამ ქარაფებს და კლდოვან ბილიკებს,
რაისად სთელავ კენგად.
მოდი, ვიქნები შენი წაწალი,
მთები დავღახოთ ერთად.
და თუ შენს გამო, ფშავლის ასულო,
შენ მმთა შემაჭრეს სმაღზე, -
ნეტა, მანახა, როგორ მიგირებ,
გლოვის სევდიან სმაზე.
აყვავებულა არაგვზე ღეკა,
ნისლი მიცურავს მთა-მთა.
სევდა მასწავლეს, ფშავლის ასულო,
ემგ თაფლისფერ თვალთა.

ფ

— ფაქლინიშვილი ოზია (მე-18 ს)

მოღვაწეობდა ვახტანგ VI-ის კარზე და 1724 წელს თან გაჰყვა მას რუსეთში. 1738 წელს ჩაირიცხა ქართველ ჰუსართა ასეულში. მას მიაკუთვნებენ პოემა „ვახტანგიანს“ (დაახლოებით 1727-1739), რომელიც საყურადღებო ცნობებს გვაწვდის რუსეთში ვახტანგ VI-ის გამგზავრებასა და ქართლ-კახეთის პოლიტიკურ მდგომარეობაზე. პოემა შედგება შესავლისა და 7 კარისაგან. გექსტი გამოსცა სოლომონ ყუბანეიშვილმა 1948 წელს.

— ფაქლინიშვილი ჯაგლაბა (მე-17 ს)

XVII ს. ქართველი პოეტი, რომლის ნაწერებს ჩვენამდე არ მოუღწევია. მეფე არჩილ II მას მღარე მეღვინეს მთხრობს („ჯაგლაბა ფაქლინიშვილსა არვინ ათხოვებს ყურსათ“). ბიოგრაფია უცნობია, გიორგი ლეონიძის ვარაუდით, ეს იგივე როინ ფაქლინიშვილია, რომელიც მოისენიება ისტორიულ წყაროებში.

— ფალიანი ელზარ (1943 – 2016)

დაიბადა მესტიაში. 1967 წელს დაამთავრა ოსუს-ს ქურნალისტიკის ფაკულტეტი. მუშაობდა იქვე, ვაჟას კაბინეტში, და უნივერსიტეტის გამომცემლობაში, შემდეგ დაიწყო საგაზეთო-სარედაქციო საქმიანობა და მუშაობდა გაზეთებში: „ლეი“, „ლელო“ და უნივერსიტეტის სტამბასა და გამომცემლობაში; მისი რედაქტირებით ბევრი სამედიცინო და სამხედრო ლიტერატურა და ენციკლოპედია ითარგმნა და გამოიცა; იგი ერთხანს თბილისის 75-ე საშუალო სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას; მისი ლექსების მხოლოდ მცირე ნაწილია გამოცემული.



ელზარ ფალიანი



ლევან ფანკშიძე

— ფანჩიკია ლევან (1964)

წარმოშობით არის ჭიათურელი. დაამთავრა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი. მუშაობდა ლიტერატორთა რესპუბლიკურ ცენტრში, შემდეგ გაზეთ „ასავალ-დასავალში“, გაზეთ „მანისი“ (1997-98 წწ) და გაზეთ „ალიონის“ (2004 წლამდე) რედაქტორად. პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1988 წელს ჟურნალ „ციცკრის“ დამატება „ნობათში“. არის ავტორი კრებულებისა: „ფოთოლცვენა ტერენტი გრანელის ქუჩაზე“, „თიხის მზე“ და „წვიმის სონატა“ (2014).

რუსთველური სიყვარული

რა ძლიერ შევცოდე, არ უნდა გამეშვი მე ვგავდი ავთანდილს, ცრემლებით ვიმღერე, მწირივით დავდივარ ყორნისფერ დამეში და უკან ყვავივით მომჩხავის სიბერე. ძელქვევმა წუხილის გოგები დახარეს, თინათინ! გეძახი მე შენი მეღვინე, ცხრა კუბო წაიღეს მხედრებმა ცხრა მხარეს, ამაოდ გეძებდი განძის ველებზე. მზე მთების უბეში ხელივით შეცურდა, ფიქრებმა მაგირეს, დამნაცრეს, დამალეს, მეც უნდა დავგოვო, წავიდე მეც უნდა, მეც უნდა დავკარგო სამარე ცხრა მხარეს. რომ მეგად ვერავინ ვერასდროს იხილოს თუ როგორ ვასველებ ცრემლებით ქვიტირებს, მოწყვიტავს ქართველი მინდორში დიდილოს, თინათინ! ქართველი ჩვენს გამო იტირებს.

— ფაშალიშვილი სიმონ (სიკო) (1884 – 1970)

დაიბადა სოფელ მანხაანში (სიღნაღი). იგი იყო ღარიბი ოჯახის შვილი და უსახსრობის გამო სკოლას მალე თავი დაანება. მაგრამ განსაკუთრებულმა ბეჯითობამ და წიგნის სიყვარულმა შეაძლებინა 1919 წელს ჩარიცხულიყო ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეცნიერების ფაკულტეტზე. ლიტერატურით სიკო ფაშალიშვილი ჯერ კიდევ სიყმა-

წილებში დაინტერესდა. პირველი ლექსი 1909 წელს დაბეჭდა „ივერიაში“. მან თარგმნა შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულება“, „მეთორმეტე ღამე“, ლოპე დე ვეგას „ცეკვის მასწავლებელი“, ალექსანდრ გრიბოედოვის „ვაი ჭკუის აგან“, ალექსანდრ პუშკინის, ნიკოლაი ნეკრასოვის, ადამ მიცკევიჩის და სხვათა ლექსები და პიესები. მანვე თარგმნა ექვნი პოეტის „ინტერნაციონალი“. სიკო ფაშალიშვილი კინოფილმ „ქეთი და კოტე“ სცენარის ავტორია.

ალექსანდრე ბრიბონიძე (ფრაგმენტი) უკვდავ სიგევაში ჩაუქრობელ ცეცხლის დამკვიდრებელი ჩვენთან, ჩრდილოეთის გზებით იარე და საქართველოს ვარსკვლავიან ცისქვეშ გამოთვლი ჩემი ქვეყნის სულს და მის სუბედს დაეზიარე. თითქოს ხელახლა დაიბადე ქართლის წიაღში, გული აგინით ახალ ცეცხლით შმის ნაპერწკალმა, როს უწმინდესი სიყვარული კახეთის ბაღში შემოგაგება უგურფესმა ქართველმა ქალმა. ...და როს უდაბურ, უცხო ცის ქვეშ შექვი ჩაიქირა, შენთვის ჩვენს ბაღში შეკრეს დაწნა

უტკნობ თაველად, შენ ჩვენმა მიწამ დედსავეთ გულში ჩაგვიკრა, როგორც ილია, აკაკი და ვაჟა-ფშაველა. გული მგზნებარე სიმღერებით აქ დაგრჩინია, ის ვერ მოუკლავთ ბარბაროსებს, აზროს ჯალათებს, ისევე ჩვენთან ხარ, ჩვენში ცოცხლობ, შენი გენია დედა-თბილისის წმინდა მთიდან სხვიით ანათებს.

— **შავიშვილები შავანში** (მე-17 ს) ნამდვილი გვარი — ხითარაშვილი, ეროვნებით სომეხი (მხითარაიანი). XVI ს პოეტი, გორელ ვაჭართა წრიდან გამოსული. „შავიშვილები“ პოეტის მამის მეტსახელია. იგი ჯერ ალექსანდრ მესამის, შემდეგ არჩილ მეორის კარის მდივან-მწიგნობარი იყო 1660-იან წლებში; როცა არჩილი იმერეთში ხანმოკლე მეფობის შემდეგ იქიდან წამოვიდა, მას თან გამოჰყვა ფშანგი შავიშვილები. მდივანმწიგნობრული საქმიანობა მან ქართლის მეფის ვახტანგ V-ის (შაჰნავაზი, 1658-1675) კარზე გააგრძელა. 1664-1965 წლებში დაწერა საისტორიო პოემა „შაჰნავაზიანი“, რომელიც შეიცავს XVII საუკუნის 60-იანი წლების ქართლ-კახეთისა და იმერეთის ურთიერთობის აღწერას და ვახტანგ V-ის, მარიამ დედოფლისა და უფლისწულთა ხოცბას გვაწვდის საყურადღებო ბიოგრაფიულ და ისტორიულ ცნობებს ვახტანგ V-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. პოემა დაწერილია 16-მარცვლიანი რუსთველური შაირით, ავტორი უხ-

ვალ სარგებლობს „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური სახეებით; გარდა რუსთაველისა, ნაწარმოებში შეინიშნება თეიმურაზ პირველისა და „როსტომიანის“ გავლენაც. დაახლოებით 1680 წელს მას გაუღუქსავს „ფრამაღიანი“, რომელმაც ჩვენამდე არ მოაღწია. მიუხედავად დარღვეული პოეტური ქსოვილისა და ზოგჯერ ნაძალადევი რითმებისა, მრავალდამოყენებელი ბარბაროზობისა და უცხო სიტყვებისა, ფშანგის პოემა ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია ქართული პოეტიკის ისტორიისათვის.

— **შარაპა შიპა** (1948 – 1995) მსახიობი, პოეტი. 1970 წელს დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა: რუსთავის და სოხუმის ქართულ თეატრებში, კინოსტუდია „ლენფილმში“ (1972-1974), ხოლო 1974 წლიდან იყო შოთა რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრის მსახიობი. მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ქართულ მხატვრულ ფილმში. 1985 წლის 19 მარტს გაიფარაძემ ერთი ვერსიით შემთხვევით, ხოლო სხვა ვერსიით — განზრახ, კალმის ფორმის ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა საკუთარი მეუღლე ირინა მიქაბაძე. ცნობილი მოქმედაქის და მხატვრის, ჯუნა მიქაბაძის შვილი. მკვლელობის ბრალდებით იგი სასჯელს იხდიდა ციმბირში, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში. გაიფარაძემ ბოლომდე მოიხადა სასჯელი და ცხიბად გამოსვლიდან (1993) ორიოდე წელში გარდაიცვალა. 2014 წელს გამოვიდა გაიფარაძის ლექსები — „სეფვის კრებული“.

* * * იმარცვლება განჯვის კრიალოსანი, ასე გავხდი წყალი ციხის მგოსანი. მალე ხუთი წელიწადი გახდებოდა, არ მიხილავს ყვაველი და ფრთოსანი. არ მინახავს დედაჩემი — საბრალო, რას ვაივებ ბადრაგო თუ კაპრალო?! თქვენ მაშინაც თოფის კონდახითა მცემთ,



ნიკო შავალიშვილი



შიპა შარაპა

ოცნებისას ცრემლი რომ ვერ დავმალო.
მესიმშრება ჩვენი კავკასიონი,
მესიმშრება ჩვენი წმინდა სიონი;
და ვთხოვთ, ნურვის ეს ნუ გაგიკვირდებათ,
...მესიმშრება „ღინამოს“ სგადიონი.
დავხვდებით! მოვრჩებოდი წამიერ,
მეც სიკვდილი შემეცვლიდა ამ იერს;
დახვდვით წინ ერთს კი ვიღრიალებდი:
საქართველოვ, იყავ მრავალკამიერ!

— **ფარსანოვილი სტაფანე** (1773 – 1839)

დაიბადა გორში. 1795 წლის შემდეგ უკვე თბილისში ცხოვრობდა. ზოგი მოსაზრების თანახმად, იგი იყო კათოლიკე, მაგნიტი კი ამტკიცებენ, რომ მას სომხური წარმოშობა ჰქონდა. მის შესახებ წერენ, რომ ბავშვობიდანვე დაუწყია ლექსის წერა, მოზრდილ ასაკში კი რომანების, პოემების, ოდების და დრამების წერასაც შესდგომა. მისი შემოქმედების უდიდესი და საუკეთესო ნაწილი დაკარგულია, ხოლო ის, რაც შემორჩენა, აშკარად შეტყვევებს მის პოეტურ ბუნებაზე და წრფელ განცდებზე. იგი იყო რითიმების ვირტუოზი, მის ლექსებს ხალხი იმეპირებდა და მღეროდა.

* * *

ქება მსურს ერთი ბაღისა,
რომელიც ძვირფასად ღირსა,
მის ხილის კრეფად ვინ ღირსა,
ვინ მოჰკრეფს?! – მებაღე ჰყავსო!
ეს ბაღი, დიდად ქებული,
ქურდისგან არსად ვნებული,
შიგ ვარდი დამშვენებული,
ვინ მოჰკრეფს?! – მებაღე ჰყავსო!
ოთხკუთხივ არის დაგული,
შიგან ალვის ხე დარგული,
მედ ნარინჯები მოსხმული,
ვინ მოჰკრეფს?! – მებაღე ჰყავსო!
შიგ ჰყავის ვარდნი, იანი,
საყნოსლად კომშებიანი,
ვინდ კარი იყოს ღიანი,
ვინ მოჰკრეფს?! – მებაღე ჰყავსო!
ასფოღელთ ყვავლოვანი,
ვარდია ნარგიზოვანი,
თუმც ეტრფის ფარშანგოვანი,
ვინ მოჰკრეფს?! – მებაღე ჰყავსო!

— **ფარსანი** — იხილე *ფარსანოვილი* ფ.

— **ფარსანი ილია** —

იხილე *ილჩხერძელისპირელი*.

— **ფაბიანა გულია** —

იხილე *ოგობია გური*.

— **ფილია** (მე-10 საუკუნე)

X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფი. ავგორია ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი თექვსმეტმარცვლიანი ცამეტგვრიანი აკროსტიქული იამბიკოსი (კიდურწერილობა: „ფილიაჲ ბეთლემი“). პირველად აქ გვხვდება თექვსმეტმარცვლიანი შაირის საზომი, რომელიც შემდგომში გამოიყენა საერო მწერლობამ. ფილიაჲს იამბიკოსის მთის ხელნაწერებში გამოვლინა ნიკო მარმა, მანვე გამოსცა პირველად ტექსტი.

— **ფირალიზილი გორაკი** (1768 – 1823)

დაიბადა ქალაქ გორში. მოღვაწეობდა ერეკლე II-ის დ გიორგი XII-ის სამეფო კარზე. 1801 წლიდან მსახურობდა პეტერბურგის საგარეო საქმეთა კოლეგიაში როგორც მთარგმნელი და კალიგრაფი. მას ეკუთვნის „თვითმასწავლებელი ორთა ვნათა, ესე იგი რუსთა ქართულისა და ქართველთა რუსულისა“ (პეტერბურგი, 1820), „სამოგალო მღვინობა“ (პეტერბურგი, 1821), რომელშიც თავმოყრილია ოფიციალური და კერძო მიმოწერის ნიმუშები. მის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტზე შექმნილი გრაველია, რომელიც არ შეესაბამებოდა კლასიციზმის დრამის კანონებს, არ გამოქვეყნებულა. ლექსებში „გლოვა მეფისა ირაკლისა“ და „გორუასა და ნილიას გაბაასება“ ალეგორიულად არის გამოხატული ავგორის თავგადასახველი, აგრეთვე, ერეკლე მეფისა და სოლომონ ლიონიდის კონფლიქტი.

თუმთა, ფარსანი და სემსურთაბან გლოვა ირაკლი მმორინა (დასაწყისი)

აღსდევ გმირთ-გმირო, ნუ გმინავს,
მგერთა ისმიან სმანია,
გრძლად ძილის ჩვეულ როდის ხარ,
მიგვბიმე უნჯნი ყმანია,
არ გნახოს მგერმან ძაბუნად, ვჰსდევნოთ,
ვაკვეცნოთ თმანია,
ვართ ბრძოლად მათად მოსრულნი
მოგთაგან ოთხნი მმანია.
გაშალე დროშა მძღვეელი,
წვერმახვი, მგერთა ზარია,
მოყმეთა ნახონ ფრილინი,
მუნ მოსტყვი მთა და ბარია,
ქუხდეს მაჟარი, შამსანა,
ვით მეცით მეხის გვარია,
განვჰფანგოთ მგერნი ჩვეულად,
ვასვით სასმელი მწარია.

განიფრთხე ძილი, მე აღსდევ,
 შთაიცი წვრილთვალა რკინისა,
 აღიდე ხელთა მაჟირი,
 მტერთა განმზნევი გვინისა,
 წინ მივალი შენი მეჭკერნი,
 ვითა მეგონნი ლხინისა,
 შეეპსვამთ სისხლსაცა მტერთასა,
 უტკებეს კახეთის ღვინისა.

— **ფირცხალავა არჩილ** (1944 – 1985)

დაიბადა მუგდღიში. სწავლობდა მუგდღის მერ საშუალო სკოლაში. დაამთავრა ამავე ქალაქის სადამოს სკოლა. 1967-1972 წლებში მუშაობდა ენგურჰესის მშენებლობაზე მეტეგონედ. იყო ვაგით „ენგურის ჩირაღდნის“ რედაქტორი და სოხუმის ვაგით „კომუნისტური შრომის“ კორესპონდენტი. ლექსების წერა 10 წლის ასაკიდან დაიწყო. პირველი წიგნი „გარდუვალობა“ გამოსცა 1985 წელს. გამოცემულია აგრეთვე მისი კრებულები „ცისფერი სინათლე“ (1992) და „წაყვის გვირგვინი“ (2003).

* * *

მეცხრე თვეა და მეცხრე კარს ვკეცავ,
 ცხრა საოცარი გალობა მესმა...
 ნეგავ სიმზარში თუ ნახა ღეღამ,
 წუხელ ლამის რომ გამგულა ღეცხმა.
 გადაიარა არყოფნის ელდამ,
 თმეშვიც თანდათან განათდა მწუხრი,
 ნეგავ სიმზარში თუ ნახა ღეღამ,
 რომელ საფლავთან ჩაეხარე მუხლი.
 ნეგავ თუ იგრძნო მეციურ ღარდით
 სად ჩაიხაფრა იმედი ამო...
 დაგდივარ, როგორც გრანელის ლანდი
 და თბილისიდან გაქცევას ვლამობ.
 ვით ჩაიხაფრა იმედი ამო,
 თითქოს უფსკრულის კიდზე შევდექე.
 სულ უმნიშვნელო ღალაგის შემდეგ.
 მართლაც ღვთიური ცრემლები დამდის
 მართლაც ღვთიური გრფილის გამო ...
 დაგდივარ, როგორც გრანელის ლანდი

და თბილისიდან გაქცევას ვლამობ.

— **ფირცხალავი შაზა** (1973)

1990-94 წლებში სწავლობდა ტექნიკურ უნივერსიტეტში, 1994-97 წლებში – სამღვანო აკადემიაში, 1997-2001 წლებში იყო ხელოვნების ინსტიტუტის სტუდენტი (კინემატოგრაფის მართვისა და ეკონომიკის სპეციალობით). იგი არის ლიტერატურული კონკურსის „ლექსების გამოფენის“ პროექტის ავტორი და ორგანიზატორი.

* * *

ნათლის ღებიდან ნათლისღებამდე,
 საკურთხევილიდან მეცის კარამდე,
 დაყვები ბრმაღ და მოგენდე რადგან
 ერთად ცხოვრების პატივი დამდე.
 შენ, ყველა შენი შევილის ნათლიავ,
 და ყველა შენი ძიძის ნათლულს,
 მადლობა შენ და ამ მადლობისთვის
 ღირდა ცხოვრება, ჩემო ბათუმო.

— **ფირცხალავი შურაბ** (1952)

დაიბადა სოფელ შუხუთში (ლანჩხუთი), 1969 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა, 1974 წელს – ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა გამომცემლობა „აჭარის“ რედაქტორად, მთავარ რედაქტორად, ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეურნალისტიკის ფაკულტეტის ლექტორად, აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში უძღვებოდა საავტორო ვადაცემებს „გადარჩენილი სიგყვა“ და „რჩეული ფრაგმენტები“, გადაღებული აქვს 80 მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი. პირველი პოეტური კრებული „ქვიშის ქალაქი“ გამოსცა 1980 წელს, ბოლო – „აპოლონის სახლი“ – 2017 წელს, სულ 8 წიგნის ავტორია.

პატიოსნება

პატიოსნება უსასობის გახდა ნიშანი
 და გულწრფელობაც სასაცილოდ მოჩანს უცილოდ,
 ღმერთის სასჯელი უმკაცრესი ჩვენზე ის არის,




არჩილ
ფირცხალავა



შაზა
ფირცხალავიშვილი



შურაბ
ფირცხალავიშვილი



თემურ
ფირცხალავიშვილი

რომ ცეცხლების ვირშმაკულ სიფათს ვუქცირით. ბოლავს გოლგოთა – განჯულ სულთა ნავსაყუდარი, აქ დიადემა ბრეყევისთვის ჩამორიგვს, არარას ნიშნავს, თუ მდმარედ არის უფალი, ჯერ არაფერი არ შეშლია არსთა გამრიგვს... თუშეა ცხოვრებამ უკვალავი გმებით ვვაგარა, წილი არ გვიღევს ამ საგანურ დარღუბალაში, ბევრი ბალღამის დამგვეია გული პაგარა, მაგრამ უფალს სურს, რომ ხანჯალი ევოს ქარქაშში. ბეწვზე კილია მოთმინება ჩვენი და სხვისიც, ერთხელ იქნება, გველი პერანგს ვერ გამოიცვლის...

– ფირცხალაიფილი თიფარი (1961 – 2005)

დაიბადა ლანჩხუთში. დაამთავრა თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. მისი ლექსები გამოქვეყნებულია „ქართული ახალგაზრდული პოემიის ანთოლოგიაში“.

ლაბე ყორანიფიტი შაპი

დამე ყორანიფით შავი,
უფრო ნერვიული ხველა.
ყველამ დამანებეთ თავი!
თავი დამანებეთ ყველამ!
ხშირად ვიხედები უკან,
ნისლი გაწოლიდა მთებზე.
ჩემზე ნერვიულობთ ნუღარ!
ნუღარ ნერვიულობთ ჩემზე!
დაუნდობელია დრო კვლავ,
ბედი ხელუკვლამ მცემდა.
ჩემთან ნუღარავინ მოხვალთ!
მოხვალთ ნუღარავინ ჩემთან!
დამე ყორანიფით შავი,
უფრო ნერვიული ხველა.
ყველამ დამანებეთ თავი!
თავი დამანებეთ ყველამ!

– ფისტიკა (ბისტიკა)

XI-XII საუკუნეების პოეტი. „ფისტიკა“ შეურქმევით, რადგან ვარაუდობენ, რომ აშული იყო. აკაკი შანიძის აზრით, „ბისტიკა“ არის სომხური სიტყვა „ბსტიკა“ ანუ პაგარა. საფიქრებელია, რომ ფისტიკა ათვალწუნებულ მეღელქსედ ითვლებოდა, რომელიც სკვირსა და ჭიანურზე დასამდერ შაირებს თხზავდა. თეიმურაზ II (1700-1762) აგდებულად იხსენიებს მას და „ბისტიკა ცრუს“ უწოდებს. ფისტიკას პოეტური შემკვიდრებობა უკვალად არის დაკარგული. გრადიციული ცნობებით, იგი ითვლება ახალი სალექსო საზომის – ფისტიკაურის – დამამკვიდრებლად.

– ფიფია ლანჩი (1896 – 1924)

დაიბადა სოფელ ობუჯში (წალენჯიხა). ცნობილი იყო „მეგრელი ბაირონის“ მეგსახელით. დაამთავრა ორკლასიანი სკოლა მშობლიურ სოფელში და შემდეგ სწავლა განაგრძო სხვა სკოლაში. უსახსრობის გამო სწავლის შეწყვეტა მოუწია. შემდეგ დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და სოფელ ობუჯში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. ამ დროს გაიცნო ცნობილი ქართველი მოღვაწეები, კალისგრაფე ხალია, ლეო ქვიანი, ეგნატე ფიფია და მათთან ერთად ბევრი საქმე გააკეთა თვისი სოფლისთვის. დანიელი წერდა მეგრულ ენაზე. მის კალამს ეკუთვნის ბევრი ნაწარმოები, მათ შორის პოემები: „ხუმლა კოჩი“, ისტორიული პოემა „ბულათია“, რომელიც შეეხება 1855-1856 წლების სამეგრელოს გლეხთა აჯანყებას და ა.შ. ასევე წერდა ლექსებს („ნამთინემც“, „ბორჯი“, „ჯგირი სერი“, „ინა ვა ვავორექ მუთი ვორდი კინობ“ და ა.შ.), თარგმნიდა უცხოურ ნაწარმოებებს. შეადგინა მეგრულ-ქართული ლექსიკონი. 1924 წლის აგვისტოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტი, 27 წლის დანიელ ფიფია, როგორც პოლიტიკურად არასტაბილური პიროვნება, ბოლშევიკებმა დახვრიტეს უდანაშაულოდ, მისი ნაშრომები კი დაწვეს და 80-იან წლებამდე მისი ხსენება ფაქტობრივად არ შეიძლებოდა. ჩვენამდე მოაღწია მისი ნაშრომების გარკვეულმა ნაწილმა, მათ შორის მეგრულ-ქართული ლექსიკონის მცირე ნაწილმა.

* * *

სადაც ჩხრილით მირბის სქურდილა და ჭანისწყალის ანკარა წყალი, სად გავაგარე ჩემი ბავშვობა და ავახილე პირველად თვალი. სადაც მე ვიცნობ დიღს თუ პაგარას და სადაც მიცნობს კაცი თუ ქალი, სად უცხოვრია მამა-პაპასა, სადაც მარხია იმით ძვალი. სადაც ახოა ქვიან-გყინი და სახლები დგას ხურული ისლით. რაც შენებულა მამა - პაპათგან შრომით, ჯაფთია, ოფლით და სისხლით. გურფა სქურდილას გყიან ნაპირზე მოსხანს წისქვილი და მისი დარო, ან იღუმალი მდუმარებითა გურიშიასი გამოდის წყარო. აი, ალაგი, სად ჩემი გული იგრძნობს შევბას და მოსვენებასა. აი, ადგილი, გურფა ადგილი,

სადაც აქვს გემო ჩემს ცხოვრებასა.
სად უნდა ვიყო, ამის გარეშე,
ჩემი ცხოვრება მოწაზღულია.
სიმბრად თუ ცხადად მაინც აქ არი -
ჩემი სული და ჩემი გულია.

– **შოშია ღარიპაძე** (დარიკო, 1970)

დაიბადა რაიონში. 1994 წელს დაამთავრა ოსუს-ს სოხუმის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტი. იმავე წლიდან მუშაობს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. ასევე დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურის განყოფილება უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის განხრით. კითხულობს სალექციო კურსებს ქართული ლიტერატურის ისტორიასა და მომიჯნავე დისციპლინებში. ლიტერატურულ პრესაში 1988 წლიდან იბეჭდება. 2001-2006 წლებში გამოიცა მის პოეტური კრებულები „ღამისთევა“ და „კეღელი“.

– **შოშია ნონა** (1960)

დაიბადა წალენჯიხაში. დაამთავრა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა სკოლის დირექტორად, სასწავლო ნაწილის გამგედ. ამჟამად ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია მიქაელს მე-2 საჯარო სკოლაში. გამოცემული აქვს ლექსების ორი კრებული: „იების ცრელი“ (2015) და „სანამ ამ ფოთლებს წაიღებს ქარი“ (2016). პერიოდულად იბეჭდება ლიტერატურულ პრესაში.

მარადიული სმვლა მამშული

წითელ წაღებს რომ ართმევდნენ წათეს,
სიმწრისგან გლუვდნენ ცხენები აღვირს,
ცხრა ძმა მიწაში იწვა, მეათეს
ყელში უჭერდა არგახი აკვნის.
მკერდზე ჩინ-მედლებს ჰკიდებდნენ მაფანს,
რისხვით ვრგვინავდნენ კედლები ციხის,
მაინც ღუმელი ვარჩიეთ დავას
გულში ფარულად ჩავვირგეთ მჯიღი.
ასე დაგვარგეთ ყარსი და ტაო,
არც ცხუმი შეგვრჩა ოდენ იოგის...
შენ კი სულ ასე იყავი, ცაო, –
დაგვეურებდი და არას ჩიოდი.
მაინც სულ შენ კენ ვიმერდით ხელებს
და შემკრთალ სუნთქვას ვისმობთ ძალით,
ვერ იქნა,ვედარ ამოვხვედეთ
ყელს მობჯენილი ბოღმა და შხამი.
დრო ხარკს იხდიდა, გკვივლებს ჩამხმარს

სულში გვიფრავდა ასომთავრულით,
სამარადისო გვანჩია დამდა:
მარადიული სევდა მამულის.

– **შორჩინიკა შაქვა** (1919-2007)


დაიბადა სოფელ ქვაცხეში (ჭიათურა). 1946 წელს დაამთავრა ოსუს-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1946 წელს. ლირიკული ლექსების პირველი კრებული „საწინდარი“ 1950 წელს გამოცა. ძირითადი პოეტური კრებულებია: „ჩემო ქვეყანავ“ (1952), „შენ ხარ ვენახი“ (1956), „ხმაურისა და სიჩუმის შორის“ (1962), „გამი ამბევებისა“ (1970), „ჩალისფერი კერპები“ (1975), „ეს შენ ხარ, შენ ხარ“ (1978), ერთგომეული (1980), ლექსები (1983). მას ეკუთვნის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები ქართველ პოეტებზე, საყმაწვილო ლექსები და პოემები (კრებული „ძმობილები“, 1955; „ორთავ თვალის სინათლე“, 1979) და სხვა.

მიწა

მიწამ გამზარდა და მიყვარს მიწა,
ნაწვიმარზე რომ აუვა ორთქლი,
ყვავილებს ფოფი და ცვარი სცვივა,
მზით იგენება ყლორტები ფოთქვი...
მიწა ჩემი თბილი აკვანი,
ცოტაც და ჩუმაღ იქ მივიძინებ...
სხივებს დამათოვს ნაში ტაგანი –
და ცივი ღოღი არ დამამძიმებს.
სული ნათელში იქნება მარად,
სინათლეს არვის დავცხენებთ,
ხალხში იფრენენ კარიდან კარად,
მინდვრის ჩივივით ჩემი ლექსები.
ზნეს არ შეიცვლის ალბათ გაროსი,
მოვა ხანდახან შხაპუნა წვიმა,
არ დამამაღლებს ცვარს კვიპროსი,
ვიდრე იქნება ეს მწვანე მიწა!..

– **შოხნაპირიკა შია** (გვიი) (1864 – 2006)

დაიბადა თბილისში. 1983 წელს დაამთავრა სპი, ხოლო 1993 წელს – საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი (გიორგი შენგელაიას კლასი). 1993 წლიდან სწავლა განაგრძო დიდი ბრიტანეთის კენგის უნივერსიტეტში, სადაც მიენიჭა ფილოსოფიის მაგისტრის ხარისხი (კინო და მელდია). ავტორია მრავალი ლექსის, მოთხრობის, რომანის, კინოსცენარებისა (ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე) და ჩანახატებისა. იყო ლონდონის წმინდა გიორგის სახელობის ქართული ეკლესიის დამაარსებელი და საეკ-



ლესიო საბჭოს პირველი თავმჯდომარე. გამომცემულია მისი პოეტური კრებულები: რჩეული (2007) და „ლონდონი ჩვენი ბედისწერა“ (2013).

* * *

არაფერია, დრო გადაიგანს
შენს ვაჭირვებას, ჩემს ვაჭირვებას,
მარადისობა კვლავ გაგრძელდება,
არასდროს შეწყვეტს უმრეგ დინებას.
ჩვენი ტკივილი, სევდა და კენჭსა
და ყველა ცოდვა კაცობრიობის,
ეს ხომ ბოროტის ინგრივებია
და ანაბეჭდი ამაოების...
და ხორციელი სუყველა ნება,
რომელიც გვბორკავს და მუდამ გვახრჩობს,
დროს ჩაბარდება, მიწა ჩაჰყლაპავს,
და წარვუდგებით ერთადერთ პაგრონს...

— **ფონციშვილი მორის** (1930 – 1997)

დაიბადა თბილისში. 1954 წელს დაამთავრა ოსუს-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი, ჟურნალისტიკის განყოფილება. 1959-1965 წლებში მუშაობდა გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებაში“. 1979-1982 წლებში იყო ჟურნალ „სივსკრის“ რედაქტორი, 1983-1987 წლებში – გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორი. 1987 წლიდან მუშაობდა წიგნის პალატის დირექტორად. პირველი ლექსები 1950 წელს გამოაქვეყნა. პირველი პოეტური კრებული „ალუბლები წვიმაში“ – 1957 წელს. ამას მოჰყვა მისი შემოქმედებისათვის მნიშვნელოვანი კრებულები: „ხმა“ (1966), „რწმენა“ (1970), „შენითა“ (1983), „შენ სიყვარულს, შენ“ (1991), „სანთელ-საკმეფლისა“

(1998) და მრავალი სხვა კრებული თუ ერთგომეული. მორის ფონციშვილი ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობასაც. მან თარგმნა ესენინის, გინონოვის, პასტერნაკის, ვოზნესენსკის, ევგუშენკოსა და სხვათა ნაწარმოებები, უკრაინულ, ბულგარულ და მოლდაველ პოეტთა ლექსები. არის ბევრი პოპულარული სიმღერის ტექსტის ავტორი.

ორი გოგონა მიყვარდა

ორი გოგონა მიყვარდა –
ხან ისა მწვავდა, ხან ესა...
ერთი წყალგალმა ცხოვრობდა,
ერთი გამოღმა მხარესა.
ერთ ღღეს წამწამებს ვფიცავდი,
ერთ ღღეს ყუყუნა თვალებსა...
ორი გოგონა მიყვარდა –
ხან ისა მწვავდა, ხან ესა.
რა ესმათ ჩემი აუკარგი
და ეშმაკობა რა ესმათ,
ორივე ერთად დაეკარგე,
ორივე ერთად გამექცა...
ერთგან შუადღეს ვიარე,
ერთგანც შუადამესა,
ორივე უბრად მხვდებოდა –
ხან ის მღუღრაღდა, ხან ესა.
ახლა ცალ-ცალად დავდივართ,
ავღარია თუ დარია –
ორი გოგონა მიყვარდა,
ჰოდა, რა ჩემი ბრალია?!

— **ზრუიკა გივი** (1930 – 2010)

დაიბადა სოფელ ნასპერში (ცაგერი), იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. შემოქმედებითმა საქმიანობამ სიყმაწვილიდანვე გაიგაცა – წერდა ლექსებს, პიესებს, ლიტერატურულ წერილებს. პირადად იცნობდა და ურთიერთობა ჰქონდა ქართული ლიტერატურის მრავალ ცნობილ წარმომადგენელთან, მათ შორის გალაკტიონ ტაბიძესთან, სიმონ ჩიქოვანთან, იოსებ გრიშაშვილთან, იოსებ ნონეშვილთან... სკოლის




ლანიშვილი
ზივია



ლარიკვილი
ზივია



ნონა
ზივია



შალვა
ზორახიძე



გივი
ზონციშვილი

წლებიდანვე ჩამოყალიბდა ანგისაბჭოთა მოაზროვნედ. კომუნისტური სისტემის კრიტიკის გამო, რაც კრემლში გაგზავნილი წერილით გამოიხატა, დაპატიმრეს და ციხეში გამოამწყვედეს... გასული საუკუნის 60-იან წლებში სოხუმში დაბრუნდა. იქ დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და მოღვაწეობდა დაიწყო სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ლექსებს ხშირად ბეჭდავდა რაიონულ და ავტონომიური რესპუბლიკის პერიოდიკასა და ლიტერატურულ გამოცემებში. მისი ლექსების ნაკრებები არა ერთხელ დაბეჭდილია ქურნალეებში „რიწასა“ და „განთიადში“... ლიტერატურულ ასპარეზზე გამოჩნდა თავისი თაობის პოეტებთან – გენო კალანდიასთან, ჯანო ჯანელიძესთან, მიხეილ ჩაჩუასთან და სხვებთან – ერთად... 1971 წელს გამოცემლობა „ლაშარას“ მიერ დაბეჭდილ ახალგაზრდა შემოქმედთა კრებულში „გზის დასაწყისი“ გვიო ფრუიქის რამდენიმე ლექსიც შევიდა. 2006 წელს ქუთაისში გამოვიდა მისი ლექსების კრებული „ღვთაებრივი ფოთოლცვენა“, ხოლო 2010 წელს ლექსების კიდევ ერთი კრებული – „ცის სიმალიდან“. გვიო ფრუიქე დევნილობაში გარდაიცვალა 2010 წელს, დაკრძალულია ქუთაისში.

სამშობლო

შენა ხარ ჩემი იმედიც და
 ლამაზი ფიქრიც.
 სამოთხეც არ მსურს
 ამ მაღალი ქედების იქით.
 შენი გზებით და ჩანჩქერებით
 ვიოკებ წყურვილს
 და შენს შემყურეს
 რას დამაკლებს დარდი და წყალუღი.
 დავდივარ, მშვენიის მაგ შენი მშის
 ნათელი წმინდა
 და თუ მოვკვდები,
 ვალმოხდელი წავიდე მინდა.
 მამ, მიმსახურე,
 ნუ დამმოგავ,
 ნუ შემციოდებ...
 შენდამი ლოცვად მითივალე
 ჩემი სიცოცხლე.
 არაფერს ვითხოვ,
 მე ვიდარებ შენი დარებით.
 სიყვარულის წილ
 შენს სიცოცხლეს გემუდარები!

— ფრუიქი მანანა (1970)

დაიბადა ლეჩხუმში. სწავლობდა სოფელ ალანის სკოლაში. შემდეგ დაამთავრა სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტი. ლექსების წერა მეორე კლასიდან დაიწყო. მისი პირველი ლექსი რაიონულ გაზეთში გამოქვეყნდა, როცა 15 წლის იყო. მერე სხვა გაზეთებშიც აქვეყნებდა ლექსებს. შემდეგ დიდი პაუზა ჰქონდა 2000 წლამდე. XX-XXI საუკუნეთა გასაყარზე ისევ მიუბრუნდა პოემიას... 14 წელია ამერიკაში ცხოვრობს... მისი წიგნი „გაზაფხულიდან შემოდგოამდე“ შარშან გამოვიდა. მის რამდენიმე ლექსზე სიმღერაა დაწერილი.

* * *

ისეთი სიკვდილით მოგიკვდები,
 კლდენი ჩამორეცხონ ცრემლებმა,
 შორიდან მოგიარონ მორიდებით,
 სიგჟვა ვერ შეგებდონ მღვერებმა.
 ხვამლი და მთაშავა ჩამოშვავდეს,
 მამულეთს გაჰქონდეს გოდება,
 ქარაფებს გადავლებულ ამორძალზე
 უხმოდ გისამძიმრონ ლოდებმა.
 ახლად გამონორკინლ სატივებზე,
 ვეფინო უშენობით დაღლილი,
 ტებერი რიონის ნაპირებზე
 გკივილი დაეჭოდეს ძაღლივით.
 დევკაცნი მიგატყდნენ მორიდებით,
 მძიმედ მითივლიდნენ ნაბიჯებს...
 ისეთი სიკვდილით მოგიკვდები,
 შენში უქემობა გაგიჟდეს.

— ფრუიქი

იხილე წვეროშვილი ალექსი.

— ფრუიქი ანანო (1839 – 1913)

დაიბადა სოფელ მერეთში (გორი). 11 წლის ასაკში ქალაქ ორიოლის კადეტთა კორპუსში მიიღეს სახელმწიფო ხარჯზე, სადაც სამიოდე წელი დარჩა. 1854 წელს იგი ვარჯიშის დროს ორძელედანი ჩამოვარდა და სამუდამოდ დაკოჭლდა. ამის გამო იტულებული გახდა სასწავლებელი დაეგოვებინა და სამშობლოში დაბრუნებულიყო. დაბრუნების შემდეგ ერთხანს თავის სოფელში დარჩა და დაგრძობილთა თავშესაფარში გადასწერლის თანამდებობაზე დაიწყო სამსახური, თუმცა მალე თბილისში ვადმოვიდა. 1861 წელს მან თანამშრომლობა დაიწყო ქურნალ „ცისკართან“. პირველ ხანებში მეტწილად მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა. „ცისკარში“ თანამშრომლობის შეწყვეტის შემ-

დეე იგი „დროებაში“ გადავიდა და 1869-1870 წლებში შექმნა რომანი „მაცი ხეგია“, ხოლო 1899 წელს – გრაველია „დიდი მთურავი“. 1869 წლიდან ანტონ ფურცელაძის თაოსნობით გამო-სვლა დაიწყო ყოველთვიურმა სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალმა „მნათობმა“, 1873 წლიდან კი რედაქტორობდა პირველ აგრონო-მიულ ჟურნალს ქართულ ენაზე „გუთნის დე-დას“. 1905 წელს ანტონ ფურცელაძე სათავა-ღამნაურო ბანკის თავმჯდომარედ იქნა არჩეუ-ლი. 1911 წელს მან ბანკში სამსახურს თავი და-ანება და მუდმივ საცხოვრებლად სოფელ არ-ბოში დასახლდა.

ჩემს სანმტაროს

მოქანკული გყვება ვგვივარ,
ვიბრძვი მაგრად შებოჭვილი,
შენ მოგელგვი, ვერ გაუსწვივებ
ამირანის ჯაჭვი მსხვილი.
შენდა სატრფოდ თავგანწირულს
გული მერჩის, ხელი აღარ...
მითხარ, ჩემო ნეტარებაჲ,
დამენახვე, ნეტამც სად ხარ?
მთლად მომწყვიტა ცხარე ბრძოლამ,
სიბნელისგან თვალთ მაკლდება,
მხნე ხმა ჩემი, შემზარავი
დღეს არს კვნესა და ვაება;
და, რამდენიც გეგანები,
გარს მხევევა ბნელი მევე...
სად ხარ, ჩემო ნეტარებაჲ?
დემენახვე, გამამხნევე!
თუ იმედი არა მქონდეს,
რომ ოდესმე შეგეყრები, –
უშენობით ვერ გაძლებ და
თავს მოვიკლავ, გეფიცები!..
ამ სიცოცხლეს სჯობს სიკვდილი,
თუ ვიცოცხლო – ვგვანდე ცოცხალს!..
სად ხარ, ჩემო ნეტარებაჲ,
რად არ მასმენ ცხოვრების ხმას?
ნუთუ ჯერაც არ გაივისო
მსხვერპლით თხრემლი, წინ რომ გვიდევს.

და უფსკრულის თვისის ძირით
კიდეე ბევრ ხანს დაგვაშორებს?..
იკმარევი შეწირული,
ისმინე ხმა ვედრებისა:
გამობრწყინდი, ნეტარებაჲ,
მომეც სხივი ცხოვრებისა!

– შურცელაძე ნანა (1930)

დაიბადა თბილისში. დაამთავრა ოსუს-ს აღ-მოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. ორმოცდა-თხუთმეტ წელზე მეტია, რაც პედაგოგიურ მოღ-ვაწეობას ეწევა. არის სამოცდაათამდე სამეცნი-ერო სტატიის ავტორი ისლამამდელ პოეზიაში, კლასიკურ თუ ახალ არაბულ ლიტერატურაში. აღსანიშნავია მისი თარგმანები: „ათას ერთი ღამე“ (I ტომი გამოვიდა 1967 წ. რვა ტომიდან მას ეკუთვნის I, II, V, VI ტომის თარგმანი), რი-სთვისაც ივანე მაჩაბლის პრემია მიენიჭა, ასევე ისლამამდელი არაბული პოეზიის კრებული „მუ-ალაკები“ (1985), შუა საუკუნეების და თანამედ-როვე არაბ ავტორთა პოეზიის ნიმუშების კრე-ბული – „არაბი პოეტები, V-XX სს“ (2013).

ქმარ იბნ აბუ რაბია

თარგმნა ნანა უშრცელაძემ

მოგონებებმა ლექსად მაქცია
მახსოვს, წავიდნენ განთიადისას
თვინიერ ჯორზე ამხედრებული
ქალნი, გზაში რომ ერთად არიან.
მათშია ჰინდცი და იმას ვნატრობ,
ვიცოცხლო მანამ, სანამ ის არის
და აღსასრული როცა ეწევა,
მეც მომეწიოს მისი ისარი.

– შსაკაკი შრილონ (ნუგზარ) (1951 – 1997)

პოეტი, დრამატურგი, პედაგოგი. დაიბადა სო-ფელ ოფშკვითში (წყალტუბო). 1968 წელს დაა-მთავრა ოფშკვითის საშუალო სკოლა, 1973 წელს – ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტი-ტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუ-შაობდა საქართველოს თეატრალური საზოგა-



**გივი
ურუშიძე**



**მანანა
ურუშიძე**



**ანტონ
ურუცელაძე**



**ნანა
ურუცელაძე**

ლოების ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელ მდივანად, სკოლაში – ისტორიის მასწავლებლად. მისი ლექსები და ნარკვევები იბეჭდებოდა პრესაში, შეტანილია სხვადასხვა კრებულში („გზა მზისკენ მიღის“, 1980, „სადიდებელი, მამულო, შენი“ , 1986, აფხაზეთში დაღუპულთა სსოვნისადმი მიძღვნილი წიგნი, 1994, „ქუთაისო ჩემო“, 2008 და სხვა). 1981 წელს გამოიცა ფრიდონ ფხაკაძის ლექსების პირველი კრებული „ოლია“, 1986 წელს – „ჩიტი უსტვენს.“ მისი სცენარების მიხედვით განხორციელებულია რამდენიმე თეატრალური წარმოდგენა.

– **ფსოველი ვაჟიკა** (1921 – 1945)

ნამდვილი სახელი და გვარი – დიმიტრი ცალხელიშვილი. დაიბადა სოფელ საყდრიონში (თიანეთი). არმიაში გაიწვიეს 1941 წელს. იბრძოდა რიგით ჯარისკაცად. დაიღუპა 1945 წელს ბერლინის მისადგომებთან. ვაჟიკა ფხოველის ლექსები არმიაში მის წასვლამდე და ომის პირველ თვეებში იბეჭდებოდა ჟურნალებში „ჩვენს თაობაში“, „პიონერში“, გაზეთებში „კომუნისტში“, „ნორჩ ლენინელში“.

ლილა

დღემ ფხოვეთში ბნელი დასცა,
ამ გულივით ცაა სუთთა.
მზე ქალივით მოიგაცა
და შიგ მკერდში ჩაიხუტა.
მზე, ხმელეთის ფალავანი,
ბნელს დაეცა თავზე მუხად.
ბახგრიონის გალავანი
თენებისას გადმოტეხა.

შემოვიდა, როგორც გმირი,
შემოაღო კარი ფრთხილად
და მთებში ომგადახდილი
არაგვს ვაჟყვა ბარში დილა.

– **ფსოველი ჯარჯი** (1943)

ნამდვილი სახელი და გვარი – დავით ციგროშვილი. დაიბადა სოფელ არახიჯაში (დუშეთი, ფშავი). საშუალო სკოლა იქვე დაამთავრა, ხოლო შემდეგ – ოსუს-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1966 წელს. 1968-1977 წლებში მუშაობდა გამომცემლობებში, ჟურნალის რედაქციაში. მუშაობას მალე თავი მიახედა. 10 წელიწადზე მეტია თავის მშობლიურ კუთხეს, ფშავს დაუბრუნდა და მოღვაწეობას იქიდან განაგრძობს. ჯარჯი ფხოველს უმარბამარი წვლილი მიუძღვის ქართული ფოლკლორის, პოეზიისა და მთარგმნელობითი ხელოვნების წინაშე. მან შეძლო სოციალისტური რეალიზმის კლიშეებს გაჰქეცოდა, იგი ვერლიბრის ერთ-ერთი ფუძემდებელია ქართულ პოეზიაში.

ლი ბო

განდგომილთან ვჰიფო მითმზო


თარგმნა **ჯარჯი ფსოველმა**
ექეიფოთ მე და შენ, გარშემო ტიალი
ყვავილთა ფურცლები დაღანობს.
მეორე ფიალა და მერვე ფიალა –
ასე ვსვამთ და მოდის საღამო.
დავთვერი და ძილმა იძალა. დაველმდი.
შენ წაღი. შენი გზით იარე.
მე ვიცი: მეწვევი დილაზე ფანდურით,
ფანდურის ღულუნში გამოცვლით ფიალებს.



ზურიღონ
ზსაკაკი



ვაჟიკა
ფსოველი



ჯარჯი
ფსოველი

ქ

— ქალაქიკა ნინო (1978)

დაიბადა თბილისში. დაამთავრა ოსუს-ს დასავლეთ ევროპული ენების ფაკულტეტი სპეციალობით რომანისტიკა (ფრანგული ენა და ლიტერატურა), ასევე – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლიტერატურათმცოდნეობის განხრით. არის ერთი პოეტური კრებულის – „მეტრფე“ – ავტორი და პროზაული კრებულისა – „ცერცვის-გოლა ამბები“; იბეჭდება პერიოდულ ლიტერატურულ გამოცემებში.

კომეტური მიწიატურები

* * *

ღმერთმა კიდევ ერთი ცოდვა აპატია,
როცა წვიმის შემდეგ
მისი საფლავის ჩაღრმავებული ჯვრიდან
ჩიტივება წყალი დალიეს.

* * *

ბაღში

პაპის დარგული უკანასკნელი ხე მოჭრეს,
დავინახე როგორ წამექცა
ხელდახელ
გამხმარი ბერიკაცი.

* * *

„აღარ მიყვარხარ!“ –
საყვარელი ფინჯანივით გატეხილი
სიგყვის ნამსხვერვეები.

— ქავთარაქა ვიზა (1986)

დაიბადა მუგდღიში. 2009 წელს დაამთავრა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის, ამერიკანისტიკის ფაკულტეტი. არის ერთი პოეტური კრებულის, „მომბიკას“, თანაავტორი. მისი თანაავტორობით გამოსაცემად მზადდება მეგრული ლექსების კრებული „აგონთან“.

* * *

უჩა ქუნჩით მიფელურუ სერი,

ღუკ გიორთუ თუთამ კანთი ქართა.
აფხას ვინობქე გური ფალისერი
ლო ბურაცხილ ჭუთი ეფშა ხართა.
მივონართა შოშეს ხვალე,
ხვათახვალე, მივონართა

თარგმნა ალ. მღმრღაშვილმა

შავი ქურქით მომღვეს კვალში ღამე,
თავს გვირგვინად გვადვას მთვარე ბადრი,
მძიმე გული მხარზე მაწვეს და მე
მას ტკივილით სავსე ხალთას ვადრი,
მარგო ღავალ, თვალს ძლივს ვახელ
და გავიგე აქ ხელდახელ
მარგობის ყადრი.

— ქავთარაქა გიორგი (1908 – 1989)

პოეტი, მწერალი; იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. დაიბადა სოფელ ცხრაწყაროში (მესგაფონი). 1933 წელს დაამთავრა ოსუს-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1935 წელს, პირველი პოეტური კრებული – „სიცოცხლის სიყვარული“ – 1958 წელს. მას ეკუთვნის ლექსთა წიგნები: „ღიღი სიმღერა“ (1971), „ომგადახილი ღროშა“ (1981), რომანები: „მე ღრუბლებში“ (1964), „დაჭრილი არყის ხე“ (1979); თარგმნა ჰიუგოს, ბერანეს, გოტიეს, ვერლენის, არაგონის, ელუარის ლექსები.

ომის ღღეშაი უპრადინაში

ღღე თენღებოღა ზოგჯერ სანგარში,
მაგრამ ღღეღი ღღეღს არ ჰგავღა.
არც შმის ამოსვღა, აღარც რიჟრაჟი,
ცა ღაერბი ქარიშხალს, ავღარს.
გვავიწყღებოღა ყვეღა ტკივიღი,
ღღღასამშობღოს ტკივიღის გარღა,
ხან ღაფეთებულ ფრინვეღთ კივიღი...
ხან აფრენიღი გუნღი ყორანთა.
ღღღა გვეღახღა: - არ გღღაგვეგონს,



ნინო
ქალაქიკა



ვიზა
ქავთარაქა



გიორგი
ქავთარაქა

დაჰკარი ხლოქე, დაჰკარი, ბიჭო!
წმინდა საფლავებს – გარას შევჩენკოს
ან გურამიშვილს არ დააბიჯონ.
თავზე გვეხურა ნისლების მთები
და საგზლად გვექონდა ძმობის ფიცვერცხლი,
მივსდევდით მტერს და გზას გვინათებდა
ჩვენი სამშობლოს დროშების ცეცხლი.

– **ქავთარაძე შოთა** (1941 – 2017)

დაიბადა ფსანაურში (დუშეთი). საშუალო გა-
ნათლების მიღების შემდეგ, 1958 წელს, სწავლა
განაგრძო თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური
ინსტიტუტის გერმანული ენისა და ლიგერატურ-
ის ფაკულტეტზე, რომელიც 1963 წელს დაასრუ-
ლა. მას შემდეგ იგი მუშაობდა მესგიასა და ბა-
რისახოს სკოლა-ინტერნატში გერმანული ენის
მასწავლებლად. 1966-71 წლებში სწავლობდა
თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტზე. პირველი
ლექსი 1961 წელს გამოაქვეყნა ჟურნალ „ცისკარ-
ში“. გამოცემული აქვს პოეტური კრებულები:
„ორწყალი“, „მეორე დღე“, „მთვარის სოფელი“,
„მეითუკან“. გარდა საკუთარი ლექსებისა, თარგ-
მნილი აქვს ესპანური პოეზიის ნიმუშები და გა-
მოცემული აქვს კრებული – „ინანიება ფრან-
ცისკო ცოდეგს“ (ესპანური კლასიკური ეპიგრამა),
აგრეთვე, ჰაინრიხ ჰაინეს ლექსები.

* * *
დღეს არაფერი არ შეიცვლება,
რადგან შენ ჩემი მეუღლე ვქვია...
მაგრამ მე ვფიქრობ – ხომ შეიძლება,
მეჩახუ, მაგრამ ძალიან გვიან.
ხომ შეიძლება, გეცხოვრა სადღაც,
შეეხვედროდით და ჩაგვევლო უბრად,
შეეწეობოდი სრულიად სხვა კაცს,
დაუმშვენებდი ოჯახს და სუფრას.
ეს გაზაფხული შენით მიცვნიია,
გზადაგზა მინდვრის ყვავილებს ვითვლი...
და ახლა ფიქრიც არ შემიძლია,
რომ შენ შევეკლო ცხოვრება სხვისთვის.

– **ქალღანი შერაძანი** (1953 – 2014)

გამოცემული აქვს კრებულები „ლექსები მშის
კულიდან“ (2010), „შენ გაეკიდე მშეს და...“ (2014).

გზა
ვეღარ გავიგე სოფელი ესე,
ჭრიან მუხას და ცვივა ნაფოგო,
ღვარძლის მაგიერ თუ იფქლი თეხე
ან ჯიღლო გელის, ან ეშაფოგო.
დღემუდამ მშის და სინათლის მძებნელს
ირველივე კუპრითი ჩამოგდის ღვარი, –

აქ ხომ ცისის და გაძრის მშენებელს
ორივეს ჰქვია ხურთომოდვარი.
გზაგასაყართა ქვასთან მდგომელი
მეუ ვარ და საით, როგორ მისანო,
მითხარი ერთი, გზა სჯობს რომელი,
რომ შემდეგ მხარი აღარ ვიცვალო.
თუმც ანგელოზთა ისმის გალობა,
არდაბრუნების გზა ვერ წავშალე.
სხვაგავით ვუცდი მეც ღვთის წყალობას
და ღმერთისთვის ვარ დამნაშავე.
არჩევნია რადგანაც გზათა,
ცოდვილი მიწაც სანამ გრიალებს,
უხილავო და მყვრობელო არსთა
შეუენობ გზებზე მახეგიალე.

– **ქარლუნი ქარლა** (1974)

იგივე ფრიდონ ქარდავა
დაიბადა სოხუმში. 1996 წელს დაამთავრა
თსუ-ს სოხუმის ფილიალი ისტორიის განხრ-
ით. ამჟამად ცხოვრობს ბათუმში. მისი პირვე-
ლი ნოველა გამოქვეყნდა გაზეთ „აჭარაში“ 1994
წელს. ამავე პერიოდთან აქვეყნებს ამერიკუ-
ლი პოეზიის თარგმანებს. მონაწილეობდა გა-
მომცემლობა „ინტელექტის“ პროექტში „ერთი
შეღვერის ყველა ქართული თარგმანი“ (უოლტ
უიგმენი, რადიარდ კი პლინგი). 2014 წელს გა-
მომცემლობა „საუნჯემ“ გამოსცა მისი რომანი
„ძაფზე მოფარუაგე სული“. 2015 წელს კი გამ-
ოვიდა მისი მოთხრობების კრებული – „ბაგი-
ბუგის ჩურჩხელო“.

მძილი ღიკინსონი

თარგმნა **ქარლა ქარლუსმა**
სული, ისევე ხომ არ დამგოვებ?
ხომ არ ვარისკაც ისევ იმავეს,
ათასებმა რომ დაკარგეს თავი
ათულებმა კი გაიმარჯვეს –
ანგელოზნი რომ სუნთქვაშეკრულნი
წილისყრისათვის სიაში გწერენ,
ემშაკები კი ფარულ სხლომაზე
პირსნერწყვომდგარნი ელიან შედეგს.

– **ქართველიშვილი** –

იხილეთ *ხუნდაძე რაქვენ*.

– **ქარსიშაქა ღაბით** (1871 – 1924)

ფსევდონიმი – დ.მეჩონგურე.
სამხედრო პირი, რევოლუციონერი. 1905 წლის
რევოლუცია რომ დაიწყო, ის სარიყაშიშვილს ას-
რულებდა პორუჩიკის თანამდებობას. ამ დროს
ის უკვე სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთ-

ენოდა. მან აიღო შეგულება და გამოემგზავრა საქართველოში და აქტიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. დეკემბრის აჯანყების დროს ის ითვლებოდა სამხედრო ხელმძღვანელად დასავლეთ საქართველოში. ეს არაჩვეულებრივი მოვლენა იყო. 1905 წ. ოფიცრობა მოძრაობას აშკარად მგრობდა და მეფის მთავრობას ეკედლებოდა. ამიტომაც იყო, როცა ხალხი დამარცხდა და ალისანოვ-კრილოვებმა საქართველო აიკლესდათიკო შეიპყრეს და მოუნდომეს გაუსამართლებლად დახვეჭა. მხოლოდ გავლენიან პირთა ჩარევამ მეფის მოადგილის წინაშე იხსნა იმხანად ამ განსაცდელისაგან თავდადებული მებრძოლი. 1906 წ. ის გაასამართლეს და გადაუწყვიტეს კაცობა. 1917 წ. რევოლუციამ ის გაათავისუფლა ამ მძიმე სასჯელისაგან. დავეით ქარცივაძე დახვეჭეს 1924 წელს

განთიხადი

ზარბაზნები გრიალებენ,
 ბრძოლის ველი სისხლით ირწყვის,
 დაჭრილთა და მომაკვდავთა
 სიმწრის ოხვრა-კვნესა ისმის.
 ქარი ქრის და გყე შრიალებს,
 ცა ღრუბლებით მოკაბმულა...
 ელაგს, ჭექაქუს... ცა რისხდება –
 შესაბარად მოქუშულა.
 დამე არის... არარა სჩანს,
 გამეფებულა წყვილიადი,
 მაინც ველით, ცა რიერაქობს –
 ახლოვდება განთიხადი.

– ქვეყნის ბელა (1959)

დაიბადა ჩხოროწყუში; არის 13 პოეტური კრებული ავტორი, ერთ-ერთი მათგანია „მთვარის გემბანზე“, სადაც ავტორის ლექსები, თარგმანები, კრიტიკული წერილებია შესული. ცხოვრობს და მოღვაწეობს ბათუმში. არის რედაქტორი აღმანახ „მღვარისა“.

ლმქსო!


შენ ხომ ჩემი პირმშო ხარ,

შენ ხომ ჩემი შვილი ხარ,
 როცა ვმღერო – მღერისხარ,
 როცა ვგერიო – გირისხარ...
 როცა ხმალს ვლეს, შენს ფხაზე,
 მზე სულ ციმციმ-ციმციმებს,
 თუ ვწუხ – შენაც ვაგყვობ, რომ
 გემაგება სიმძიმე.
 რა ღვითური სხივის ხარ,
 რა ღვითური მადლის ხარ,
 წამით რომ დავივიწყო,
 სუნთქვასავით მაკლესხარ.
 ჰოდა ბოლო ნაბიჯიც,
 ერთად უნდა გადავდგათ,
 რომ იქ, ვალმა ნაპირზეც
 მომიკითხო – სადა ხარ?!
 ვთხოვ, წამით არ დაშვებოვ,
 სულს იქმე ეღვე მფარველად,
 სადაც ცის გზა იწყება
 და მიწისა მთავრდება...

– ქვეყნის მკვლევარი (1979)

აქტიურ ჟურნალისტიკაში მოღვაწეობს 2000 წლიდან. სხვადასხვა დროს იყო გამეუ „რემონანის“, „ახალი ვერსიის“, რადიო „მწვანე გალის“ რეპორტიორი. 2008 წლიდან არის რადიო თავისუფლების თბილისის ბიუროს ჟურნალისტი და ვიდეო რეპორტიორი. მუშაობდა საგამომცემო ჟურნალისტიკაში, იყო გადაცემების ავტორი და წამყვანი რადიო „მწვანე გალაზე“. არის მრავალი სტაგიის და მოკვლევის ავტორი. გარდა ჟურნალისტიკური საქმიანობისა, გამოცემული აქვს კრებულები: „ჭორია“ (2006), „აქ ნუ დადგები“ (2010), „სახლის გაყიდვა“ (2013).
რატომ არ ვმუშავარდი

ხანდახან მგონია,
 ვიდაცას რადაცას დავეპირდი
 და არ შეეპარულე.
 შევძერები პირად შეგყობინებებში
 და მოვეყვები ბოლოდან.
 ვკითხულობ სიფრთხილით, დაქინებით.



შოთა აკვთიარაძე



შარმალონი პალაშვილი



პარლა პარულაშვილი



ბელა ხაჩავა



აკვთიარაძე

ვინმეს უკასუხო კითხვა სომ არ დავტოვე.
 ვინმე უკან სომ არ გავაბრუნე.
 მგონია, რომელიდაც უკაცრიელ სოფელში
 ვილაც დამრჩა მარტო, თავსმხაში.
 მე კი გზა მშვიდად გამოვავტოვე.
 ვილაც უხეიროდ მივატოვე.
 ხანდახან საქმიან წერილებში
 მინდა ვიპოვო პასუხი,
 რატომ არ ვუყვარდი.

– **ქეთევან დელოფალი** (1570 – 1624)

ქეთევან წამებული.
 მუხრანბატონის ასული, თეიმურაზ პირველის
 დედა. 1584 წელს გახდა კახეთის მეფის ალექსან-
 დრეს უფროსი ვაჟის დავითის მეუღლე. 1614
 წელს, შაჰ-აბასის შემოსევების დროს, ქეთევანი
 თავისი ორი შვილიშვილით – ალექსანდრეთი
 და ლევანით – მძევლად გააგზავნეს განჯაში,
 იქიდან კი შირაზს გაიწვიეს. 1624 წელს შაჰის
 ბრძანებით დელოფალი აწამეს. დედის მოწამე-
 ბრივი აღსასრული აღწერა თეიმურაზ პირველ-
 მა. მას სხვებმაც მიჰბაძეს. ჩვენამდე მოადწია
 ქეთევან დელოფლის რამდენიმე ლექსმა: „ან-
 ბანთქება ფისტიკაური“ მას გამოუთქვამს შირ-
 ანში გყვეობის დროს. ლექსი გამსჭვალულია
 ღრმა ლირიზმით. მასში მწარე სვედრით გულ -
 შეძრული ქალის გოდება ისმის; „ვედრება-ჰიმ-
 ნი“ მიმართულია დედათავისადმი და ავტორის
 მღელვარე განცდებს გამოხატავს. თეიმურაზ
 პირველს თავის პოემა „ქეთევანიანი“ შეუგა-
 პირა კუპიურები დედის „ვედრება-ჰიმნიდან“.
 ქეთევან დელოფალს ჰქონია აგრეთვე ანბანთქე-
 ბანიც.

– **ქეთევანი ალუა** (1987 – 2012)

მომღერალი და პოეტი. ალუა წარმოშობით
 ღუშეთიდან იყო და თბილისში მეგობართან ერ-
 თად ცხოვრობდა. ჯგუფი „მეხუთე სეზონი“, რო-
 მელშიც იგი გამოდიოდა, ხალხურ სიმღერებს ას-
 რულებდა. იგი 2012 წლის 12 ივნისს გარდაიცვ-
 ალა. სიკვდილის მუსიკის მიზეზი უცნობია, თუმცა
 სახელდებოდა როგორც თვითმკვლელობაც.
 არც ისე შავი არ არის ზეცა,
 რომ არ შეიგრძნო სიცოცხლის სუნთქვა,
 ბევრჯერ ქართული აბჯარი მეცვა,
 ვერ შევეჩვიე სამოსელს მუქთას..
 ბევრჯერ ქარიშხლის გარინდულ ხმაში,
 მესმის ბოღიმი ჩუმი სიცილის,
 ვერ ვხედავ შევბას ვერაფერ მსგავსში,

მამშვიდებს მხოლოდ ხმაური წვიმის..
 ათასი ამრი მიბორგავს თავში
 და ცისარტყელა ესლა მომინდა
 ამოვარდნილი გრძობების ფერით,
 მე დაებრუნდები შენთან ომიდან

– **ქელსიკა ნანა** (1976)

ბავშვობიდან წერდა, რამდენიმე წელია, რაც
 ნაწერებს სისგებამბეული სახე მისცა. ზოგჯერ
 თარგმნის. ქართულიდან რუსულად და პირიქ-
 ით. მისი ლექსები იბეჭდება ქართულ პერიოდ-
 ულ გამოცემებში: „ლიტერატურული გაზეთი“,
 „ცისკარი“, „ახალი საუნჯე“ და სხვა. ასევე ჰქონ-
 და პუბლიცაცია ავსტრიულ ლიტერატურულ ჟურ-
 ნალში „მანუსკრიპტი“. არის პოეტური კრებ-
 ულის „სამუადამოს“ ავტორი.

* * *

რომ იყო მდინარე,
 ამოვიღონ საკუთარი კალაპოტიდან.
 ნაპირზე დაგლონ.
 გიოსრან: იცხოვრე.
 შენი ცხოვრება
 ახლა მხოლოდ შეგრძენებაა –
 როცა მხოლოდ მშერი თხეხი
 და მხოლოდ გახსოვს.
 მკლავზე, როგორც სუსტ ცალღამე,
 ჩამოაყრდნე საკუთარი ამღვრეულობა
 და უყურე ბალახებზე წამოწოლილმა,
 შენი სხეულის ჩვეულ სამყოფელს.
 განს აყოლილი სველი ქვიშა,
 თუ გაგახსენებს უცნაური წვიმი,
 რომ რა ხანია, უსისგემოდ მიეძინები.

– **ქაჩიკაილია იოკა** (1936 – 1995)

დაიბადა სოფელ მერჯევში (სახხერე). 1961
 წელს დაამთავრა თბილისის უცხო ენათა პედ-
 აგოგიური ინსტიტუტი. პირველი ლექსები გა-
 მოაქვეყნა 1958 წელს. ლექსების პირველი კრე-
 ბული – „მზე ფოთლებში“ – 1965 წელს. ეკუთვ-
 ნის პოეტური კრებულები: „თეთრი თოვლი და
 თეთრი მაისი“ (1969), „ლექსები“ (1975, 1979, 1980),
 „ჩრდილების ცეკვა“ (1976), „თურმე“ (1983), „ხიდე-
 ბი“ (1985), საბავშვო წიგნები, ჰაინრიხ ჰაინეს რჩე-
 ული ლირიკის თარგმანები (1983).

ჰაინრიხ ჰაინე

თარგმნა იოკა ქაჩიკაილიამ
 რომ იცოდნენ გვირილებმა.
 რაც ზჭირს, გულო დადაგულო. –
 ყველა მოიგირილებდა
 წყლულთა შენთა სასალბუნოდ.

რომ იცოდნენ ბუღბუღებმა, თუ რა ცეცხლმა დაძანელა, – ყველა ჩაიგურგურებდა ტკიბილ სიმღერას საამებლად. რომ იცოდნენ ვარსკვლავებმა, თუ დარღს როგორ ვუგესღივარ, ყველა მოიწკავეწკავებდა თითო სიგყვის ნუგეშინად. რას გაიგებს, აბა, ყველა?! – ერთმა იცის ჩემი მხოლოდ და იმ ერთმა მონივლა და მოულო ამ გულს ბოლო.

– **ქვარიანი დათუნა** (XVIII ს. II ნახ.)

ერისკაცობაში – ბესარიონი. მოღვაწეობდა გელათში, საიდანაც რაგომღაც გაუქვებებით და მერმე ოსმალებს მოუკლავთ. მას იხსენიებს არჩილ მეფე – რუსთაველისა და თეიმურაზის „გაბაასებაში“. დათუნა ქვარიანს 1678-1680 წლებში შეუთხზავს პოეტური ნაწარმოები „წამება და სასწაულთმოქმედება წმიდა გიორგისა“. ეს ჰავიოგრაფიული თხზულება ემყარება მთავარმოწამის ცხოვრებისა და წამების იმ პრობაულ აქტებს, რომელთა უმრავლესობა ადრე უთარგმნიათ ქართულად.

– **ქვარიანი სიმონ** (1868 – 1946)

დაიბადა ქუთაისში. დაამთავრა მონპელიეს უმაღლესი აგრონომიული სასწავლებელი (მევენახეობის სპეციალობით). 1894-1896 წლებში მსახურობდა თბილისში ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში; 1901 წლიდან მოღვაწეობდა სალიგერატურო სარბიელზე; ათავსებდა წერილებს ქართულ-რუსულ ჟურნალ-გამეტებში; 1907-1912 წლებში მასწავლებლობდა ქუთაისში; 1918 წელს მენშევიკურმა მთავრობამ მიიწვია ფინანსთა სამინისტროში მდივნად; 1921-1923 წლებში მსახურობდა ბათუმში საგარეო ვაჭრობის განყოფილებაში საქმეთა მმართველად და სამხედრო საზღვაო სასწავლებელში

ქართულ-ფრანგული ენის ლექტორად; 1923 წელს თბილისში ფინსახკომში სავალიუგო განყოფილების ინსპექტორად, შემდეგ მესამე შემნახველ სალაროს გამგედ; 1925-1930 წლებში შინვაჭრობის კომისარიატში, საქართველოს ფინსახკომში, საქართველოს წყალთა სამმართველოში, საქართველოს მიწსახკომში; აგტორია ისტორიული თხზულებებისა: „ქართველი ერის უძველესი კულტურა და როლი მსოფლიო ისტორიაში“ (1901), „ხეთი და ნაირი“ (1909), „საქართველოს ისტორია“ (1917); მას ეკუთვნის ასევე მოთხრობები: „ანჟელინა“, „ცაცინა“, „შოთა რუსთაველი“; პუბლიცისტური თხზულებები; წერილები ქართული ლიგერატურის და სოფლის მეურნეობის საკითხებზე; რომანი „დიდი მურავი“ (1937, თბილისი), მისი ლექსების კრებული „სუმბული“ დაიბეჭდა 1901 წელს.

მცხმთას, ქართულმწამს*

მმანო! ერეკლეს დიდ საფლავს ჩვენგანაც კადრეთ ამბორი, დაადეთ გრძნობის გვირგვინი ჩვენის გულიდან ნასროლი. ჩასძახეთ: გმირო, შენს ივერს გარს დახვევია ყვავ-ქორი, აღსდექ და ერთიც შეგრგვინე, გადააფრინე მთა-გორი.


*ლექსად დაწერილი დეკუმა, გამოგზავნილი ლიონიდან (საფრანგეთი) მეფე ერეკლეს გარდაცვალებიდან ასი წლისთავის აღსანიშნავ პანაშვილზე.

– **ქვლიჩია მიხეილ** (1925 – 2005)


დაიბადა თბილისში. 1950 წელს დაამთავრა სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტი. 1951-1954 წლებში იყო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტის ასპირანტი. 1954-1959 წლებში დაინიშნა საკავშირო მწერალთა კავშირში საქართველოს წარმომადგენლად. 1960-1965 წწ მუშაობდა რედაქტორად საკავშირო გამომცემლობაში Советский пи –




ალულა ქმთიელაური



ნანა ქმლმნიქმ



იურამ ქმმერთმლიქმ



სათელს წერდა კრიტიკულ სტატიებსა და საბავშვო წიგნებს, ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. თარგმნა ქართული პოეზია რუსულ, პოლონურ, უნგრულ, იტალიურ და სხვა ენებზე და ასევე თარგმნიდა პოლონელ და უნგრელ პოეტებს. მან შეადგინა და პოლონეთში გამოსცა „ძველი ქართული პოეზიის ანთოლოგია“, ხოლო უნგრეთში – „თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგია“. 1982 წელს იგი სამშობლოში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო „მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარ სარედაქციო კოლეგიაში“ რუსული რედაქციის გამგედ. გამოცემული აქვს კრებულები: „მოფივარ, დამისვდი“ (1955), „დაბრუნება (1966), „გავრძელება იქნება“ (1969), „შენთან ყოფნიდან უშენობამდე“ (1982), „წყნარი საღამო“ (1987), ერთგომეული (1997) „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“ (2004).

* * *

რამდენი ჩვენგან წასული კაცის ვერ გადავიხდით ვერასდროს ამაგს... მაგრამ ის ერთი სხვა იყო მაინც – კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს! ჩვენ მას შორიდან ვიცნობდით მხოლოდ, ვნატობდით მასთან ქუჩაში გავლას, – მან კი გულები დაგვწყვიტა ბოლოს, კაშა, რომელიც დააკლდა ქალაქს! მისი დაკარგვის მწარეა განცდა, ვერ ამოვაესებთ ცარიელ ალაგს, რადგან ვერც ერთი ვერ მივალთ მასთან, კაცთან, რომელიც დააკლდა ქალაქს! და ესაა, როცა ქუჩაში, საღმე, თვალს მოვკრაუთ დიმილს – ნაცნობს და ალაღს, წარმოვიდგება ძვირფასი სახე კაცის, რომელიც დააკლდა ქალაქს! და თითქოს ვითვლით, ისევ და ისევ, გულში დაგროვილ სიკეთის მარაგს და ღმერთის ვიხოვო: ღმერთო, გვაცხოვრე ისე, რომ ჩვენც ოდესმე დავაკლდეთ ქალაქს!

– **ძინძვალა ზაზა (1954)**

დაიბადა ფოთში. არის ათამდე პოეტური და პროზაული კრებულის ავტორი, მათ შორის პირველი იყო „ჭილიკონი“, შემდეგ: „ბორანი“, ლექსები, „ნაგრულით“ (2004), „ღმილი და ბავშვები“, „ქართული საღმრთოებო“.

ისტორიის პოლიუმი

გახტები ენატრებათ, ელანდებთ გირანებს, ცვედანებს და იუდებს, დემოკრატიული სენაგებთ დემოსში დემონებმა დაბოღვს, რომის და ელადის ბელადები იმპერატორებმა გამოგუდეს. ვინც მეტ დაპირებას გაიმეტებს, მან იცის უპირობის ილეთები, მიეცით მეგი სხეში თქვენს იმედებს, რომ უფრო გავიცრუვდეთ იმედები. თქვენ შეცვლით მეფეებს და პრეზიდენტებს, პლანეტას, დეოაბებს და ისტორიას, ვერ შეცვლით კულუსუნის წანაზარდებს, – ვერ შეცვლით მაიმუნის მისტერიას. თვრებიან კვლავ სისხლით და ოპიუმით, ნანატრევათ ნანატრევაზე მიშენებით და ისევ ისტორიის პოლიუმი საესეა შელეგებით და შიშველებით.

– **ქიზიაშვილი სირა (1932 – 2016)**

დაიბადა თბილისში. 1954 წელს დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი, შემდეგ, 1969 წელს – თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1954-1969 წლებში მუშაობდა მომარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობად, შემდეგ განათლების სამინისტროსა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისგად, საესტრადო სასწავლებლის პედაგოგად, 1976 წლიდან ფილარმონიის დამდგმელი რეჟისორია. მისი ბევრი ლექსი შეგანილია დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებში. ფირმა მელიდიას მიერ 1991 წელს გამოცემული აქვს ორი ფირფიგა: „დამპრა-დუმპრა“ – ავტორის ლექსები და სიმღერები. გამოცემული აქვს კრებულები: „ბუღეშურის აკილო“ (1970), „უცნაური თოჯინა“ (1974), „წერილები სიმღერეთიდან“ (1983), „ლაკვარდებში მტრული ცურავს“ (1987), „წითელქუდა ყაყაზი“ (1989), „ეს სამშობლოა ჩემი და შენი“ (2007).

საქართველო მომიძარბე

მზეო, მზეო, თვალებგულავ, იხარე და იბრაილე, სარკესავით ნათელ ცაზე

დრომასავით იფრიალე.
დამიშაქრე ოჯალეში,
დამიშაქრე ციცქა, თითა...
საქართველო მომიქარე
სითბოთი და სინათლითა.

— **ქობალია ალიო** (1927 – 2006)

დაიბადა სოფელ ნაფიხხოვოში (ჩხოროწყუ),
ლექობაღეს უბანში. დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1952-1992 წლებში ცხოვრობდა და მუშაობდა აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონული გაზეთის რედაქციაში; არის 13 პოეტური კრებულის ავტორი („თეთრი ბილიკი“, „ნისლი ჭალაში“, „ველის ყვავილი“, „წყნარი თოვლი“, „ნადვლიანი დღე“, „ცისფერი კვამლი“, „შენი სახელი“); 2010 წელს გამოიცა მისი „მეგრული ლექსიკონი“ (90 ათასი ლექსიკურ ერთეული).

— **ქობულაშვილი მანანა** —
იხილეთ *მანანა მდივანი*.

— **ქობულაშვილი ოთარ** (17?? – 1830)

იყო კახეთის მეფეთა მდივან-მწიგნობარ ქობულაშვილთა შთამომავალი. ოთარს სწავლა-განათლება დავით რექტორთან მიუღია და შემდეგ ქართლ-კახეთის მეფის კარზე დაწინაურებული პირი ყოფილა 1800 წელს გაემგზავრა პეტერბურგში და იმპერატორ პაულეს 1801 წლის მანიფესტის გამოცემას იქ შეესწრო; ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას იგი შეხვდა იმით, რომ 1812 წელს კახეთის აჯანყების ერთ-ერთ მეთაურად ითვლებოდა. მისი შემოქმედება ძირითადად საგრფიალო ლექსებს მოიცავს, რომელთაგან ერთ-ერთს ჰქვია ასე: „ნინოს ქალზე თქმული ნანათავის პაპის ძმის ოთარ ქობულაშვილისგან“.

* * *

ნანას გეგყვი ნენესა,
მთვარებრ შუქთა მფენელსა,
იაღონსა, გკბილად მხობოს,

ვარდსა, ჩემს გულს მცენესა.
ხარ ჯერ ჩჩვილად ხმობილი,
ნოსგის ქალაქს შობილი,
ყოვლით ბანოვანი ხელმწიფე
დრომედ იქმნე ცნობილი.
შენ, ვარსკვლავო ცისაო,
ქმნულ განგებისაო,
მოდ, პაპილო ნახე,
ბარგყო შეგარდნისაო!
მსურს გიხილო მლხინარე,
ჩემს საამოდ მცინარე,
მეც გავირწმე კაკანსა,
ღედა თუ გყავს მძინარე.
სიხარულო გვლისავ
და სახუჯეც სულისავ,
ჩვენს კერძოც გაბიბინდი,
იავ გამაფხულისავ!

— **ქორიკა თეძურ** (1954 – 2017)

ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ცნობილი ლიტერატორი, ორატორი.

დაიბადა სამგრედიაში. 1971-76 წლებში სწავლობდა ოსუს ფილოლოგიის ფაკულტეტზე. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტი, ამავე ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი. წლების განმავლობაში ლექციებს კითხულობდა უცხო ენათა, თეატრალურ და პოლიტიკური ინსტიტუტში. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები, ლიტერატურული-კრიტიკული ნარკვევები და ესეები. 1990 წელს არჩეულ იქნა პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატად. იყო განათლების, კულტურისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე. დაკრძალულია მცხეთის წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის მონასტერში.

მე და შენ


ორთავეს სხვა ვეჭონია ბედი,
ერთმანეთს როგორ შეხვდით ანდა,



შალვა
ჩიხლაძე



კეტიკა
ჩიხლაძე



ალიო
ქობალია



თეძურ
ქორიკა

შენ – ცისკენ აღერილი გედი,
 მე – ზღვაში ჩაძირული ანძა.
 შენ – ლაღად მოდრეიფე ზვირთი,
 მე – ნაპირს მიმსხვრეული ტალღა,
 შენ – მარად დაუმცხრალი ნიჭი,
 მე – მხოლოდ დაღუპება, დაღლა.
 შენ – ნისლი მოცურავე მთა-მთა,
 შენ – მშვენი მობინავე ვარდი,
 მე – სევდა ფოთოლცვენის ქამთა
 და უხმოდ შენახული დარდი
 გზად ათას ნაფხურებს გოვებს
 კვლავ წყვილთა უსასრულო წყება...
 მე – შენში აღმაფრენა ვაოვე,
 შენ – ჩემში ცრემლები და წყენა...
 და უხმოდ მიმაგოვე მარგო,
 და კარი მომხსურე ცივად...
 მე ფიქრთა ქარავანი მაკრთობს
 და გული უსასრულოდ მტკიავ.

– **ქოქოსაჲ ნინო** (1960)

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, პროფესიით ექიმი-კარდიოლოგია. ლექსებს წერს ბავშვობიდან, პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1975 წელს „ახალგაზრდა კომუნისტში“, ინგნისიურად კი 2007 წლიდან აქვეყნებს ჟურნალებში: „ლიტერატურული პალიტრა“, „ჩვენი მწერლობა“, „ქართული მწერლობა“, „ცისკარი“, ჭოროხი“, „ხელეუნი“. იგი თარგმნის რუსულ პოეზიას.

შორი-შორს

ციმციმებს
 ცისფერი ლაგუნა – თვალები,
 ისეთი სუფთაა,
 კენჭით დაუთელი სურვილებს.
 ჩვენ ბედმა გვარგუნა
 გვეხსროს სხვადასხვა ნაპირი,
 და მაინც –
 ერთნაირ ტალღებზე გვარწევებს...
 და როცა გაიხდის კუნძული
 პალმების პარეოს,
 მთვარეა ჩვენს ცაზე სხვადასხვა ყალიბის,
 და მაინც –
 ერთ ზღვაში შევიფივართ მე და შენ,
 "უჯადო მარტოობით" დასჯილი.
 გაგხედავთ ხანდახან დასიხულ დასიებს,
 მზე მუსლზე აღნება პორიზონტს,
 ჩვენც ასე –
 ძალიან ახლო ვართ,
 და ასე – ძალიან შორი-შორს.

– **ქონაიკა გიორგი**

იხილეთ *ჭალადილევი გიორგი*.

– **ქიჩისა** –

იხილეთ *გაბროშვილი თამარ*

– **ქუთათელაძე ბაგრა** (1949)

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი 1976 წელს. 2000 წლიდან იყო თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პირველი მოადგილე; ენიცლოპედია „თბილისში“ გამოყენებულია მასალა მისი წიგნიდან „პოეზია ქვაში - თბილისის ქანდაკება“ (2000). გამოცემული აქვს კრებულები: „ეს მამთარიც ჩაილია“ (1990), „სარკმელი“ (1997), „შენზე მოცინებია“ (2009).

* * *

ყველაზე მეტად მრცხვენია ჩემი...
 (საკუთარ სულსაც სჭირდება მოვლა...)
 ეს მეშვიდეა, მეშვიდე წელი,
 თითქოს არა ვარ და თითქოს რომ ვარ...
 ქუჩაში ქარი დაეძებს ბინას
 და უმიზეზოდ აწვალავს ფოთლებს,
 მე გული – არა, ნეკნები მტკივა
 გარდაცვალების ჩემის ვარ მოწმე!...
 ყველაზე მეტად მრცხვენია ჩემი...
 და პატიებას ვერ ითხოვს გული,
 რადგან დაკარგა ამ ქუჩამ ძველი
 ალუბლის ფერი და ვარდის სუნი!...

– **ქუთათელაძე გენრიკა** (1943)

დაიბადა ომურგეთში. ცხოვრობს და მოღვაწეობს ბათუმში. მონიჭებული აქვს კულტურის ამბადარის წოდება. გამოცემული აქვს თერამეტი წიგნი – ლექსების, მოთხრობების და ნარკვევების კრებულები. მათ შორისაა: „მზე მიმწუხრისა“, „აპრილის კვირის ცარგვალი“, „ხმა ლოტოფაგების ქვეყნიდან“ და რომანი – „სიკვდილის პირისპირ“.

ღუმილი

ღუმილი მოგჯერ ისე ყვიროს, ისე ხმაურობს,
 ვით ნახანძრალზე გაჩენილი აშარი ქარი...
 რაღაც უცნობის, უსამანოს, რაღაც დიადის
 მაინც არის მუდამ ღუმილი...
 ან იქნებ სულაც ლოცვა არის ტანჯული სულის,
 აღვლენილი წინარე ღმერთის...

– **ქუთათელაძე ნინო** (1952)

დაიბადა თბილისში. 1975 წელს დაამთავრა ტსუ. მუშაობდა საქართველოს ტელერადიო-

კორპორაციის ლიკვიდაციის განყოფილების გამგედ. გამოცემული აქვს კრებულები: „ფოთლის ფარდა“ (1980), „სამი მონოლოგი“ (პოემები) (1985), „მუსიკა სენიდან“ (1989), „ეთერი ბინათი“ (1991), „პოეზია, ლიტერატურა“ (1999).

არავის კარზე არ მიმდერია,
არც სიგყვა მითქვამს
ჩემდა სარგებლად,
არაფერია, არაფერია
და არაფერც მალე თავდება.
იქნებ არაფერს თავის ფერი აქვს,
ხან სისხლად ჟონავს,
ხანაც ხუნდება...
მაგრამ სიცოცხლე გადაშლილია
და არაფერი არ დაბრუნდება,
არაფერი ნთქავს დამის ნადევრდალს,
დღისით ცეკვავს და თანაც დაჰმღერის:
„არაფერია, არაფერია,
არაფერია ჩემი სახელი!“
ვისაც არაფრის არ ეშინია,
აბა, გაუძლოს არაფრის სივრცეს!
როცა ცხოვრებას არაფერია
და არაფერი შიგ სულში გიმგერს.

— **ქუთათელი ალექსანდრა** (1898 – 1982)

სრული გვარი – ქუთათელაძე.
დაიბადა ქუთაისში. 1916-1918 წლებში სწავლობდა ოსმალეთის სამედიცინო ფაკულტეტზე, 1918 წლიდან კი – სიბერძნისმეცნიერების ფაკულტეტზე. 1922-1924 წლებში იყო ქართული დივიზიის პირველი პოლკის კლუბის გამგის მოადგილე; 1924-1926 წლებში – თბილისის მე-7 შრომის სკოლის, ხოლო 1928-1930 წლებში მე-7 შრომის სკოლის პედაგოგი; 1930-1934 წლებში – ცენტრალური პარტიული სკოლის ლექტორი; 1936-1940 წლებში ეურნალ „მნათობის“ რედაქციის, 1952 წლიდან კი საქართველოს მწერალთა კავშირის პროზის განყოფილების გამგე; ცალკე წიგნად არის გამოცემული მისი რომანები, ნოველები და

ლექსები. ავტორია ნაწარმოებებისა: „ხირსუს გველი“ (პიესა), „შუალამე გადავიდა“ (პიესა), „გლოვია“, „პარტიზანები“, „გაიანე“. 1937 წელს გამოვიდა მისი ლექსების კრებული.

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

მენაგრება აპრილი,
ია ეშხით მზირალი
და მთაში რქებაყრილი
ხარირეში მყვირალი,
ცისკრის თვალის გახელა,
მზე, მყინვარის მწვერვალი,
რუსთაველი და ყველა
ჯადოქარი მწერალი.
მხიბლავს ბარათაშვილის
ჭკუა, გრძნობის მწვერება
და შაირში გაშლილი
ვერნის შმაგი ჭენება,
ვრიგალით და ქარიშხლით
შოგუგუნე ვერხნარი.
მხიბლავს, ვინაც არ იშლის
ამბოხს, როგორც ვერპარნი,
ბეთჰოვენის დიადი
სიმფონია, ჰანგები.
მენაგრება აპრილი,
ია, ეშხით ნზირალი
და მთაში რქებაყრილი
ხარირეში მყვირალი.

— **ქვეყნისათვის თეონა** (1984 – 2010)

მომღერალი. ქართული ხალხური სიმღერების, საკუთარი ფოლკლორული კომპოზიციების შემსრულებელი. 2007-2010 წლებში მონაწილეობდა ქართული ხალხური სიმღერის ფესტივალებში. გამოცემული აქვს სოლოალბომები: 2005 წელს – „პირიმზე“, 2009 წელს – „მარტო სიმღერით გითხარ ამდენი სიყვარული“. 2010 წლის 22 ივლისს, ათენგენობიდან (მთიულთა უძველესი დღესასწაული, რომელიც გაიმართა სოფელ მუცოში), მომავალი ავტომობილი, რომელშიც



ნინო
ცისქარაიძე



ზალარი
ქუთათელაძე



გვინტიშა
ქუთათელაძე



ნინო
ქუთათელაძე



ალექსანდრა
ქუთათელი

ივდა თეონა ქუმსიაშვილი 2 მცირეწლოვან ვაჟთან, დასთან და კიდევ 3 ადამიანთან ერთად, ავტოკატასტროფაში მოჰყვა. ავტომობილი მდინარე არღვის ხეობაში გადაიხეხა. კატასტროფის შედეგად დაიღუპა თეონა ქუმსიაშვილი თავის ორ მცირეწლოვან ვაჟთან ერთად. კატასტროფის შედეგად დაიღუპა თეონას დაც.

* * *

შენ ხევსური ხარ, არც გავიოცებ...
 ჯიუტი იყო, ამაყი თანაც...
 არ დავიბადე, რა ვქნა ხევსურად,
 სიკვდილი მიჯობს, გრფილაში დალაგს.
 შენ ხევსური ხარ, შვილი მთებისა
 და არწივითი ზვიადი, ვიცე...
 ნუ გაისხენებ წესებს, დრომოჭმულს,
 შურისძიების მეც დავდე ფიცი...
 თუ სიამაყეს ვერ ჩაგვკლავ შენში,
 ან თუ გამხელის არა გაქვთ წესი,
 სიცივეს მაინც ნუდარ დამწამებ,
 თუკი დაგინთ ამხელა ცეცხლი.

– **ქუარასაპლიანი ირმა** (1969)

დაიბადა სოფელ ხოფურში (ლენგეხი). 1986 წელს დაამთავრა სოფელ რცხმელურის საშუალო სკოლა. აქვს თეატრალური განათლება. მუშაობს აფხაზეთის ეროლი შარტაგას სახ. №1 სკოლაში პედაგოგად. გამომცემული აქვს ექვსი პოეტური კრებული.

* * *

თვით არ ვიცით რა გვაწუხებს,
 რა იარა, რა გყვია.
 მგონია რომ ყველაფერში
 სიყვარული გვაკლია.
 ეხუთქება წუთი დღეებს,
 ყინულიან-ზამთრიანს,
 გამაფხულის მოლოდინში
 სული ყელში გაგვჩრია.
 ვინ მოირგოს ვაჟკაცობის
 და სიმართლის მანგია.
 მგონია რომ სამართალი
 ქვეყანაზე არც კია.
 ვერ გაიგებ ქვეყნის ბედი,
 გულზე რომელს აგყვია
 სახეს ნიღბად აფარებენ,
 ქცევას ყალბს და საქმიანს.
 თავში ხეხლი ნეგავ რისთვის,
 რომელიმე პარტიას,
 თუ ვიცი რომ მას ამ ქვეყნის,
 სიყვარული აკლია.
 მომკალით და ვერ ვირწმუნებ,

კაცს ლანარს და ლაქიას.
 როცა ვიცი მას შარვალი,
 მრდილობისთვის აცვია.
 გადარჩენის მოლოდინი,
 მგონია რომ ფარსია,
 რადგან ყველას მხოლოდ ერთი
 სიყვარული გვაკლია.

– **ქუარასაპლიანი მიხეილ** (1954 – 2010)

ფილოლოგი (ლიტერატორი, ენათმეცნიერი), მწერალი, მთარგმნელი, პოეტი. დაიბადა თბილისში. 1971 წელს დაამთავრა თბილისის 47-ე საშ. სკოლა. 1976 წელს დაამთავრა ოსსუს ფილოლოგიის ფაკულტეტი, ხოლო 1977 წელს – ოსსუს ხელოვნების საზოგადოებრივი პროფესიის ფაკულტეტი, ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობით. იგი იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი გელათის ისტორიული აკადემიის აღორძინებისა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წიაღში, ამ აკადემიის ხელმძღვანელი 2007-2010 წლებში; იგი იყო ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი (1987 წელს) და მისი საპატიო წევრი 1991 წლიდან; იყო საქართველოს დემოკრატიული საზოგადოების დამფუძნებელი (1989), მისი პრეზიდენტი 1990-94 წლებში და საპატიო პრეზიდენტი 1999 წლიდან; იყო ეროვნული მოღვაწეობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი 2003 წლიდან.

* * *

მზისდარი ქალის ამ მუდარია
 თვალეში დარდის ნაბუდარია
 დაუმრა შენი კონცით ცრემლები
 მათ ნაცვლად ღამის ცას უდარია
 თმები დაღვრილი შენი დალილი
 უდაბნოს მკერდზე ამოდ არიან
 ვით არალის ზღვის ორი ნაწნავი
 სირ-დარია და ამუ-დარია.

– **ქუარასაპლიანი ალექსანდრა**

სიხლე *ეული სხდრო.*

– **ქუარასაპლიანი ნიკო**

სიხლე *მომლეული ნიკ.*

– **ქუარასაპლიანი გიორგი** (1886 – 1947)

ნამღვილი გვარი – ჩხეიძე.
 დაიბადა თელავის მაზრის, ვარდისუბნის თემის, სოფელ შერეში. ბავშვობის პირველი წლები მშობლიურ სოფელში გაატარა. მათი ოჯახ-

ის თბილისში გადმოსახლების შემდეგ გიორგი ავლარის სამოქალაქო სასწავლებელში მოაწვევეს, მაგრამ ორი წლის შემდეგ, სწავლის ფულის დროზე შეუტანლობის გამო, იგი სასწავლებლიდან გამორიცხეს. მისი პირველი ლექსი გამოქვეყნდა 1906 წელს პირველადი ჟურნალ „მახვილში“, 1914 წელს კი ზედმედ მისი ორი წიგნი დაიბეჭდა. ამ პერიოდში თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო ლექსების გამოქვეყნებისათვის მასზე გაძლიერდა პოლიტიკურ მეთვალყურეობას და იმავე 1914 წელს გიორგი ქუჩიშვილი დააპატიმრეს და ქუთაისის საგუბერნო ციხეში მოათავსეს, საიდანაც ამხანაგების დახმარებით მოახერხა განთავისუფლება. 1946 წელს, 25 ნოემბერს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში აღინიშნა გ. ქუჩიშვილის დაბადების მე-60 წლისთავი. პოეტი ავადმყოფობის გამო არ დასწრებია საღამოს, ლოგინად ჩავარდნილი რადიოთი ისმენდა გულთბილ სიგყვებს და მილოცვებს. მისი შემოქმედების მთავარი გმირები საზოგადოებისაგან გარიყული, ულუკმაპუროდ დარჩენილი მშრომელი ადამიანები იყვნენ (ლექსების ციკლი: „ქუჩის სიმღერები“; მინიატურები – „უსახელო“ (1910); „საცილოდავი“ (1914). გიორგი ქუჩიშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე საბავშვო ლექსები: „ადგაცება“ (1909); „პაწია მეგობრები“, „სიმღერა“ (1922) და „სკოლისაკენ“. გადაღებულია მხიელ ჭიაურელის ფილმში „უკანასკნელი მასკარადი“ (მიგოს მამა) - (1934).

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.
* * *

ვინც ეწვევა საქართველოს
საოცნებო სერებს,
სიმღერაც რომ არ იცოდეს,
მაინც დაიმღერებს.
ვინც მისწვდება ჩვენი ქვეყნის
მწვერვალებს და ღრუბლებს,

ისიც მგონსად გადიქვევა,
მშესთან ისაუბრებს!
საარაკო სილაბამე,
ხალხიც სასახელო,
მგერსაც კი მოინადირებს
გურფა საქართველო!

— **ქართველი ქითიანა** (1915-2012)

საბავშვო მწერალი, შიშ მღვიმელის ქალიშვილი. დაამთავრა თსუ-ს გეოლოგიის ფაკულტეტი 1938 წელს. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1934 წელს. ეკუთვნის პიესები: „მამთრის ზღაპარი“ (დაიდგა თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში 1945, წიგნად გამოიცა 1947, 1953), „კონკია“ (დაიდგა იქვე 1965, წიგნად გამოიცა 1973), „გოგო ხოხესია“ (დაიდგა იქვე, 1978; მესხეთის სახელმწიფო თეატრში 1974). ეკუთვნის საყმაწვილო კრებულები: „ჩვენი ეზოს ბავშვები“ (1953), „ბიჭები“ (1959), „თბილი პური“ (1963, 1970, 1977), პიესა „წიფლი“ (1960), აგრეთვე მოთხრობების კრებულები: „ყვავილები მდინარეზე“ (1962), „მოთხრობები“ (1964), ლექსების კრებული – „ჩვენი ეზოს ბავშვები“ (1953) და სხვა.

მე სკოლაში მივლიპარ

სკოლისათვის ვემზადები, ახლა უკვე დიდი ვარ,
დღეს პირველად, სულ პირველად
მე სკოლაში მივდივარ.
ჩანთას ვეძებ, წიგნებს ვეძებ, არ ვიციწყებ არაფერს,
უპ, რამდენჯერ საგსე ჩანთა ისევე ამოვალავე.
ფანჯარაზე ჭრელი კაგა წვეს და ჩუმად კრუგუნებს.
ჩემს უცნაურ ორომგრიალს ის შორიდან უყურებს.
ჭრელ კულს იხნევს, ქურდაცაცას უღვაშები უბნინავს,
თან დამცინის: ეგ ჩანთა ხომ გასგენო უწინაც...
სგყუი, ფისო, შემომხედე! ახლა მართლა დიდი ვარ,
დამიჯერე, დღეს ნამდვილად მე სკოლაში მივდივარ.

— **ქართველი შიშ**

ისილე მღვიმელი შიშ.




თამარა
შქმსნიავშილი



ირმა
შქრასამღლიანი



მისხილ
შქრღლიანი



გიორგი
შქრშიშილი



ქითიანა
შქრუპავშილი

მ

– დანიშაპილი მიხეილ (1964)

ფსევდონიმი – ილგოსპირელი.

დაიბადა სოფელ ჭართალაში (ახმეგა). დაამთავრა ახმეგის მეორე საშუალო სკოლა, შემდეგ კი, 1990 წელს – თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა: თბილისის საჯარო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, ახმეგის რაიონულ გაზეთ „ბახტრიონის“ მთავარ რედაქტორად, თბილისის ერთ-ერთი კერძო პედაგოგიური ინსტიტუტის ახალი ქართული ლიტერატურის პედაგოგად, ამავე ინსტიტუტის რექტორად, კომერციულ გაზეთ „ანონისის“ რედაქტორად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის მეორე სასწავლო ასეულის მეთაურის მოადგილედ, გაზეთ „სამხედრო გაზეთის“ კორესპონდენტად, ამავე გაზეთის საინფორმაციო განყოფილების რედაქტორად, სამხედრო გამომცემლობა „ჩირაღდანი“ მთავარ რედაქტორად, როგორც სამხედრო ჟურნალისტი, ხანგრძლივი მივლინებებით იმყოფებოდა აშშ-სა და გერმანიაში. 2000-2009 წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა რუსეთსა და უკრაინაში. 1992 წელს მისი უშუალო ინიციატივით დაარსდა მწერალთა დამოუკიდებელი გაერთიანება. კავშირი – პოეტიკური ორდენი „მარდალახალი ქნარი“, რომლის უცვლელი თავმჯდომარეც არის დღემდე. მიხეილ დანიშაპილი 10 წიგნის ავტორია: „ორი ნაპირი“ (1989), „ერთი ღირიკული პოემა და ცამეტი ლექსი“ (1994), „ბედისწერის ქიმში“ (1999), „იჩქერია“ (2002), „აცამაზი“ (2004), „კავკასიური პოემები“ (2006), „გოგია ჭიჭიშვილის ეპოსი“ (2011), „სხულის ყვავილეები“ (2012), „მთისკილოურნი“ (2014), „ყველაზე დიდი გული“ (2017).

ალდგომეა ილტოჩხა

გამააცხვა დელიამ საადღომოდ კვერები: პატარები, მურველები, ოღნავ ყვითელფერები. ფურნის გემოს იღვენებს კვრისინები, ხმელელები, ახაგით მე-კანზე ეხლავ დედის ხელები. აქ არც ეკლესია გვაქვს, არცა გვეყვანან მღვდლები,

მაგრამა გვაქვს სანთლები თაფლისები, თხელები.

ვღვავართ, რწმენით უფლისა გულები გვაქვს მთელები, ჩვენც ვმეიმობთ ადღგომას, მთეებში, ჭართალელები. „ქრისტიე ალღგა! დამარცხდენენ, – ვამბობთ, – ქრისტიეს მკველები!“ „ჭეშმარიტად!“ – გვიხმობენ გურები და მელეები.

– ლაქაპა გელა (1966)

დაიბადა ვალში. 1985 წელს დაამთავრა თბილისის 107-ე პროფესიულ-ტექნიკური სსსწავლებლის ფილიალი ქსოვილის მოხატვის სპეციალობით. 1985 წელს მუშაობდა ქ. სენაკის კინოთეატრ „რუსთაველის“ მხატვრად; 1988 წელს იყო სენაკის რაიონის სოფელი მანის კულტურის სახლის დირექტორი. 1992 წელს ჩამოაყალიბა ალტერნატიული ხელოვნების გაერთიანება „ბონზო კლუბი“, რომლის ძირითადი მიზანი იყო პაროდული ფორმით გამოველინა ორგანიზაციის წევრთა შემოქმედება; 2007 წლიდან მუშაობს ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის მხატვრად; აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა რედაქციებთან, როგორც მხატვარი და ფოტოგრაფი; წერს მოთხრობებსა და ლექსებს, რომლებიც ქვეყნდება პერიოდულ პრესაში; გამართული აქვს 14 პერსონალური და 5 ერთდღიანი გამოფენა თბილისში, ქუთაისში, სენაკსა და მუგდღიში.

– ლაქაპი ჯუპა (1967)

ნამღვლი სახელი და გვარი – ჯუმბერ გოგრიჭინი. დაიბადა სოფელ ღებში (ონის მუნიციპალიტეტი), მიიღო სპეციალური სარეჟისო-



მიხეილ დანიშაპილი



გელა ლაჭავაძე

რო განათლება და რამდენიმე წელი მუშაობდა საზოგადოებრივ არხზე, მონაწილეობდა სხვადასხვა ლიგერატურული გადაცემის შექმნაში, შემდეგ მუშაობა განაგრძო მწერალთა ეროვნულ აკადემიაში მენეჯერად. პირველი ლექსი – „სამშობლო“ – გამოაქვეყნა 1983 წელს ონის რაიონულ გაზეთში – „განთიადი“. არის სუთი პოეტური კრებულის ავტორი: „ლანდების ლხინი“, „მშვიდობით, ძვირფასო ლედი“, „სიციცვის სასაფლაოზე“, „ანბანასხმულები“, „შემოადამდათ პოეტებს ვგაბო“. თარგმნილი აქვს პუშკინის, ლერმონტოვის, გუმილიოვის პოეტური ნაწარმოებები. * * *

როცა ერთად ვართ, დრო მიდის სწრაფად, როცა არა ვართ, დრო მოკვდეს ლამის, როგორც სნეულთან, მომიხვალ წამლად, რადანაირი რიდი და კრძალვით... შემასმევ ნექტარს და ისევ წახვალ, ცარიელდება სხეული, სახლი... როცა ერთად ვართ, ვერაფერს ვამჩნევთ, ვერც ავღარს, ვერც ღარს, სულში სულ მგება, ვკითხულობთ დღეებს, ვით წიგნის სარჩევს, ყოფის მიგზავებს ნისლებში ვზვერავთ, მერე მუღმივად ერთმანეთს ვაჩვენებთ, უერთმანეთოდ მგებების მგერას!..

– **ღვინეფაჟი ნანა** (1970)

დაიბადა თიანეთში. ნანა სტუდენტობის წლებში გახდა პოპულარული, როგორც პოეტი და კომპოზიტორი. ასრულებს საკუთარ ლექსებზე დაწერილ სიმღერებს. გამოცემული აქვს ლექსების რამდენიმე კრებული (მათ შორის – „ფოთლის აღსარება“). მის ლექსზე „ფოთლი“ გოგი ცაბაძემ დაწერა შესანიშნავი სიმღერა.

მე კვლავ დაბტოვ

მე კვლავ დაბტოვ, როგორც გოვებენ შემოდგომაზე ხეებს ფოთლები, იციან, მაინც დაბრუნდებიან გაზაფხულობით, განმეორებით... წაველი, რადგან დარჩენა მსურდა,

და თუ არ წავალ, როგორ დავბრუნდე? თუ არ დავიწვი ფრთები ალებით, პეპელასავით როგორ გავბრუნდე? მე წავალ, შენ კი ნუ გეშინია, ჩემო სინამეღე და ჩემო სისხლო, ერთი იყოღე – წავალ ათასჯერ, იმისთვის, რათა ათასჯერ მიხმო..

– **ღვალაჟი ღინან** (1972)

დაიბადა ხაშურში. 1996 წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა მასწავლებლად მე-4 საჯარო სკოლაში და აღმზრდელად საბავშვო ბაღში „შვიდი ჯუჯა“. რედაქტორობდა საბავშვო ჟურნალს „ცისარტყელა“.

ნარეჟარი ცხენი

ნინიკო და გიორგი დავობენ და როგორ: -ხომ მაჩუქე ეს კევი რატომ მართმე გოგო?! დედამ უთხრა: -ნინიკო რომ აჩუქე, მჯერა, „ნაჩუქარი ცხენი კი აღარ წაირთმევა“. ნინიკო გაკვირვებული დელიკონას რჩევით, ამბობს: – ცხენი კი არა, მე ვაჩუქე კევი!

– **ღვანიკითილი ვარდნე** –

ისილეთ *ვღვანიკითილი*.

– **ღვინეფაჟი ნანა** (1928)

პოეტი და ჟურნალისტი. ნანა ღვინეფაჟის ლიგერატურული დებიუტი 1968 წელს გაზეთ „ლიგერატურულ საქართველოში“ შედგა, როდესაც პირველი ლექსები გამოაქვეყნა. გამოცემული აქვს კრებულები: „მთაო“, „გირიფი“, „ერგასი“, „ამეფისგო“, „მარჩხივი“;



ჯუბა აკჰმედლი



ნანა ღვინეფაჟილი



ღინან ღვალავაჟი



ნანა ღვინეფაჟი

ნანა ღვინევაძემ თარგმნა ანა ახმატოვასა და კორნეი ჩუკოვსკის ლექსები. მისი თარგმანები დახვეწილი კულტურით გამოირჩევა და მკითხველს რუსულ პოემიის ამ კორიფეთა სამყაროს წვდომის საშუალებას აძლევს.

* * *

ცოცხალი ბრალის, ცოცხალი მე ვარ ბრალში!
გაზაფხულიც უეცრად ამომიღვა მხარში.
თითქოს ჩაგხედია ამეთვისგან თვალები, —
ისე გაომარჩიე ათი ათას ქალში!
გაზაფხულო, დმერთმანი, არ დაგრჩები ვალში!
ცოცხალი ბრალის, ცოცხალი მე ვარ ბრალში.

— ლინიაჟილი ნათი (1989)

დაიბადა გურჯაანში. 2006 წელს დაამთავრა სოფელ ჩალაუნის საჯარო სკოლა. 2006-2015 წლებში სწავლობდა ოსს-ს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე ფრანგული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით. მისი, როგორც ავტორის, დებიუტი შედგა გაზეთში — „ლიტერატურული საქართველო“. რამდენიმე ლექსი შესულია მრავალტომეულში „მზის არილი“.

სიმკვარული უღაბნოში...

დღეს აღარ სდუმან პირამიდები,
ვუსმენ გოლიათ ლოდების დაღაღს
და ვგრძნობ, თანდათან გინაპირდები,
1975 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ფაკულტეტი. 1975-1985 წლებში მუშაობდა ოზურგეთის საპროექტო ბიუროში ინჟინრად. 1985-1988 წლებში იყო ოზურგეთის კულტურის სასახლის დირექტორი. 1986-89 წლებში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. 1990 წლიდან საცხოვრებლად გადადის თბილისში. სხვადასხვა წლებში იყო: გამომცემლობა „ეროვნული მწერლობისა“ და ეურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ რედაქტორი. გამზეთ


„ივერიის“ თანარედაქტორი. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ლიტერატურული ურთიერთობების ხელმძღვანელი. საქართველოს მწერალთა კავშირის უფროსი ლიტერატურული კონსულტანტი. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე. 2010 წლიდან სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი. არის სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების თანაღმფუძნებელი აკაკი ბაქრაძესა და მურმან ლებანიძესთან ერთად და გამომცემლობა „დავითის“ დირექტორი. გამომცემელი აქვს წიგნები: „სიმაღლე“ (პოეზია, 1981), „დუმილის ხმა“ (პოეზია, 1985), „ჩემი წილი ცა“ (პოეზია, 1986), „გახუნებული პეიზაჟები“ (პოეზია, 1990)“, „გაბაართან“ (პოეზია, 1990), „რას გვიფრავ სულზე“ (პოეზია, წერილები, 1997), „ჩემს სამშობლოში მე – ემიგრანტი“ (პოეზია, 2000), „სიგვევს მიღმა“ (პოეზია, პროზა, წერილები, 2006), „რაგომ გირიან ჩივები ზამთარში“ (პროზა, 2009), „ხსოვნის ანაბეჭდები“ (პოეზია, 2013), „ორმოში“ (პროზა, 2014), „თანამდევი ფიქრი (წერილები, 2014)“, „წვეთები მინამე“ (პოეზია, 2016), „ვეფხისტყაოსანი“ – მსოფლიო ლიტერატურის შედევრი“ (სამეცნიერო ნაშრომები – ავტორთა ჯგუფთან ერთად, ინგლისურ ენაზე, 2016). მის ლექსებზე შექმნილია სიმღერები, ლექსებსა და ესეისტურ წერილებზე ორი მონოსპექტაკლი.

პოეტი

დადევნებული წვიმებს და ქარებს,
ღამებს ლოდინის ცრემლით დახრულებს,
გამოგონებულ ბედნიერ წამებს,
ფიქრებით შემოვლილ გამოქვაბულებს.
გამოღვიძებულ სარკოფაგებში,
მუშიადქცეულ წარსულის ლანდებს,
აყირაგებულ ბებერ ღამეში,
შეშველი სმებით დაჩეხილ ზარებს.
შემოდგომური ქარების მკვრევას,
ცა არილფერი აპრილის დიღის,



ღაპით
ჟამორძველი



ნიკოლოზ
შენგელაია



ალაპკო
შენგელია

მემობლის გოგოს გამომწვევ მშერას ხელისგულივით ნამის და თბილის. გზაური გზების ზაფრას მშერაში, გამოხანძრული ჭრილობით გლოვობს, კაცი, რომელიც ღაღის მუცაში და მაინც მიწის ტკივილით ცხოვრობს...

— **შემოქმედელი იაკოვ** (მე-17-18 სს)

(იაკობ დუმბაძე) პოეტი, სასულიერო პირი. განათლება გრაპონში მიიღო. შემოქმედის მიგრათოლიგად იხსენიება 1647 წლიდან. დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსმა დავით ნემსაძემ 1687 წ რომში გაგზავნა, სადაც დიდი პატივით მიიღო პაპმა ინოკენტი XI-მ. მისი ინიციატივით რესტავრაცია ჩაუკარდა შემოქმედის მაცხოვრის ეკლესიას, რომლის აღმოსავლეთ ლავგარდანის ქვეშ წარწერაზეც არის მოხსენიებული. ქართლის მეფის ვიორგი XI-ის დავალებით გალექსა ბაგრატი მუხრანბატონის ანგმაჰმადიანური თხზულება „უსჯულის მოჰამადისა და ქრისტიანეთ გაბასეაბა“, მასვე ეკუთვნის თითო სტროფიანი ლექსები - არჩილ II-ის ხოგბა, პასუხი იოსებ თბილელის შეკითხვა-გამოცანებზე და სხვა. ზოგიერთი ხელნაწერის მიხედვით, იაკობ შემოქმედელს მიეწერება გადაკეთებული „აბდულმესიანი“, რომელშიც ქების ობიექტი თამარისა და დავით სოსლანის ნაცვლად არჩილ მეორეა. იაკობ შემოქმედელს ქებით იხსენიებენ არჩილ II, დავით გურამიშვილი, ანგონ I, იოანე ბატონიშვილი და სხვები. უკვე დღემდ მოხუცებულმა დაგოვა გურამის კათედრა და წავიდა იერუსალიმში და იქვე აღესრულა.

— **შენგაზლია ნიკოლოზ** (1901 – 1943)

პოეტი, კინორეჟისორი. დაიბადა სოფელ ობუჯში (წალენჯიხა). 1919 წელს დაიწყო სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკურ ფაკულტეტზე. 1922 წლიდან წერდა ლექსებს; 1923-1924 წლებში მუშაობდა საბჭოთა საფაქტო ფლოგში; 1924 წელს კოტე მარჯანიშვილმა მიიწვია იგი რეჟისორის ასისტენტად ფილმზე „ქარისხლის წინ“; 1926-1927 წლებში სერგო კლდიაშვილთან ერთად დაწერა სცენარი ფილმებისთვის „სამანიშვილის დედინაცვალი“ და „გაფლანგვა“; 1927 წლიდან დაიწყო რეჟისორობა. პირველი ფილმი „გიული“ მან ლეო პუშთან ერთად გადაიღო იმავე წელს. მის შემოქმედებაში მხატვრული თვალსაზრისით გამორჩეული ფილმი იყო ალ. ყაზბეგის ნაწარმოების მოტივებზე გა-

დაღებული „ელისო“, რომელიც მან 1928 წელს გადაიღო. დამდგმელი რეჟისორია ფილმებისა: „Двадцать шесть комиссаров“ (1933), „ნარინჯის ველი“ (1937), „სამშობლო“ (1939), „შავ მთებში“ (1941), „ის კიდევ დაბრუნდება“ (1943). თარგმნილი აქვს ვლადიმირ მაიაკოვსკის ლექსები.

გზა სვანური სოფლისკამ

ზაფხული ხე-გყით იყო მორთული, კლდე გაპობილი. მთების ლანდები დააწვა ღელეს... მივიწყებული ხევი სოფელი მოგზაურს ასე დაუსახელეს: .
— „გზას გადაუხვევ, ვიწრო ბილიკზე დაფანტულია საღამო ჩრდილში. თოვლზე დაღლილი წვება რბილი მზე; მაღლობზე ნაძვებს დრულები მისდევს; იქ ერთხელ დათვი ხანჯალით მოკლეს; ოქროსფერ სათიბს მინდორი აწვეს; მარჯვნივ იქნება დაღმართი მოკლე. ქვეშ წყალვარდნილი ოქროს კენჭებით. და ჩაწყვნილი ნალები გზიდან. ღამე. მარხილი ბზით დაგვირთული ოსურმა ხარმა აღმა ვერ შიდა. რქა ჰქონდა ღიდი, ფერი ნაცარი; იქიდან კლდეზე რომ გადახვიდეთ, უნდა მოიბათ წელზე ბაწარი; რომ გასცოდლებით, ორი მთა არი – ხეში დრუელი და დაღლია როგორც წინდები; იქ წაისმართე მუჯუროს ტარი – დაბლა ვაკეზე ჩამოდინდებით, და დინახავთ... დიდი ყანაა წინაპრებიდან გაუყოფელი, შავი კოშკები სღვას დევებივით. იქ არი ჩემი თბილი სოფელი“.

— **შენგაზლია ალაკო** (1914 – 1975)

დაიბადა სოფელ ხაბუქში (ჩხოროწყე). სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე 1930-1933 წლებში. მისი პირველი ლექსი გამოქვეყნდა 1938 წელს ჟურნალში „ჩვენი თაობა“, ხოლო პირველი წიგნი – 1940 წელს. იგი, აგრეთვე, ავტორია ისტორიულ-რეგულაციური პიესისა „ციმბირის პაპა“, რომელიც 1966 წელს ომურგეთის სახელმწიფო თეატრის სცენაზე დაიდგა. იყო გამომცემლობა „ნაკადული“ მთავარი რედაქტორი, ლიტფონდის დირექტორი. გამოცემული აქვს კრებულე-

ბი: „წერილი მამას“ (1945), „ანბანთ სიმღერა“ (1948), „კალმახის გადარჩენა“ (1958).
დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

გიგვარდეს წიგნი

გიგვარდეს წიგნი – ძვირფასი განძი,
ცოდნის სარკე და ბუნების კარი,
მთელ ქვეყანას რომ გვიხატავს თვალწინ
და გზას გვინათებს, როგორც ლამპარი!
გიგვარდეს წიგნი, მისი პაგარა
ჯარისკაცები – ანბანთ კრებული,
ცოდნის სანაგრელ გზით რომ გვგატარებს,
ლამპარ სიგვეებად გამწკრივებული!
გსურს ასახელო მშობელი მხარე,
მას ემსახურო საქმით და ფიქრით?
მისთვის წიგნი ავიხელს თვალებს,
ამისთვის უნდა გიგვარდეს წიგნი!
გიგვარდეს წიგნი! – გონების თვალთ
რომ სახავს, გვაცნობს ქვეყნის ცხოვრებას!
გიგვარდეს წიგნი და შენი ვალი
ყოველ ნაბიჯზე გემხსნოვრება!

– შენგელია ქიითაან (1965)

დაიბადა თბილისში. 1987 წელს დაამთავრა
თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა
სხვადასხვა ადგილას: 150-ე სკოლაში, ილია ჭავჭავაძის
ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში,
ტელევიზიაში "მ8ე"; 1993-2007 წლებში - წლებში
ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის კონსტანტინე გამსახურდიას
კაბინეტში მეცნიერ-თანამშრომლად. არის
ფილოლოგიის დოქტორი და თსუ-ში კითხულობდა
ლექციების კურსს - უახლესი ქართული
ლიტერატურა, აქვე, 7 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა
"ლიტერატურულ სახელოსნოს". არის ასამდე ლიტერატურული სადამსო
ორგანიზატორი; იყო თსუ-ს „ქალთა საკრებულის
წევრი. 2011 წლიდან ასწავლის წმინდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართულ
უნივერსიტეტში და ხელმძღვანელობს

„ლიტერატურულ-შემეცნებით სახელოსნოს“. კითხულობს
შემდეგ ლექციების კურსს: უახლესი ქართული
ლიტერატურის ისტორია; მსოფლიო ლიტერატურის
ისტორია; ხელოვნების ისტორია. 2006-2014 წლებში
იყო შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის
მეცნიერ-თანამშრომელი. 2017 წლიდან ხელმძღვანელობს
საზოგადოებრივ პროექტს „სამი საჯაროელო ხელოვნათვის“,
სადაც თვეში ერთხელ ხდება სამი განსხვავებული
სფეროს (მწერლობა, მუსიკა, მხატვრობა) შემოქმედის
ერთობლივი წარდგენა. 2017 წელს დააარსა ART კლუბი
„მავილოში“. 1985 წლიდან მისი ლექსები, ესეები,
მოთხრობები, თარგმანები და წერილები იბეჭდება
ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში. გამოცემული
აქვს შემდეგი წიგნები: „თოვლივით თეთრი მწუხარება“
(1997, ლირიკა), „აკაციის ხეივანი (2002, ლირიკა),
„ქართველ მწერალთა მიმართებები ვაჟა-ფშაველასთან
(2005, ნარკვევი), „მზისფერი ქული“ (2005 ლიტ.
ნარკვევები და ესეები), „ცეცხლი და მღინარე“
(2009, ლიტ. ნარკვევები და ესეები), „მზე და
ღრუბელი (2009, ლირიკა), „ქარიშხლის ტაში“
(2012, ლირიკა), „გამარჯვებული ყოველთვის,
გრატიკულიც რომ იყოს“ (ფიქრები ვახტანგ
კოტეგიშვილის სამყაროს შესახებ,
2012, ნარკვევი), „ასი ლექსი“ (2014).

იმეზაბ არ პარ?

სიმეზაბ ვარ თუ ცხადში ვარ, ნეგა?
საერთოდ თუ ვარ, ისიც არ ვიცი,
იქნებ, უბრალოდ ჩრდილი ვარ ხეთა,
იქნებ – ყვავილთა დობილ-ნაფიცი.
ბრუნავს ეს მიწა და მიწის ირგვლივ
გრიადებს ბურთი – მთვარე ამხელა,
არეული და დამფრთხალი ივლი,
თუ გაგიჭირდა ფიქრის გამხელა.
სიმეზაბში ვარ თუ არა ვარ გონზე,
მზე, მაინც ვიცი, როდის ანათებს,
თუკი ლანდივ ვარ, მე მაინც მოგწერთ
ამ სამყაროზე მომცრო ბარათებს.



ქეთევან
შენგელია



მზია
შვცირული



ირმა
შვილაშვილი

– **მენიკული მხია** (1954)

ხილი

სოფლის ბოლოში დეღებუ
ერთი პაგარა ხილია,
ამ ხილით ჩვენთან მოდიან,
ამ ხილით ჩვენგან მიდიან.
ამ ხილზე ჩემი ბებია
დადის სამოცი წელია,
ბებია ამბობს, ეს ხილი
თამარის დროინდელია.
ვინ იცის კიდეც ამ ხილზე
რამდენი კაცი გავაო,
ზოგი პირველად შემოვა,
ზოგი წავა და წავაო...
ხილი კი ისევ დარჩება
რადგანაც იგი ხილია...
ასეა სოფლის ამბავი –
სულ მოდიან და მიდიან.

– **შიოლაშვილი ირა** (1974)

დაიბადა დედოფლისწყაროს რაიონში.
სწავლობდა ოსუს-ს გელერადიო ჟურნალ-
ისტიკას და ბონის უნივერსიტეტში კომარაგიე-
ისტიკას (შედარებით ლიგურაგურათმცოდნე-
ობას). 2005 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე
„მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ქართული
და გერმანული პოლიტიკური ლირიკა“. სამწ-
ერლო ასპარეზზე გამოვიდა 1992 წელს პოეტ-
ური კრებულთ „არარსებული სიგევა“ (გამომ-
ცემლობა მერანი), მეორე წიგნი – „მოლურჯო
თაღი“ – 1996 წელს გამოსცა გამომცემლობა
„მეცნიერება“ (ქართულ-რუსული გამოცემა).
2003 წელს გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა
ირმა შიოლაშვილის მესამე წიგნი – „ცრემლის
ნაფესურა“. 2009 წელს გამოვიდა მისი მეოთხე
პოეტური კრებული – „ფოთლების ხილი“ (გა-
მომცემლობა საარი), ხოლო 2013 წელს გამომ-
ცემლობა „საუნჯე“ გამოსცა პოეტის მეხუთე
კრებული – „ორშაბათი“. 2008 წლიდან არის
ევროპულ ვაგროთა გაერთიანება „Die Kogges“
წევრი. 2011 წელს გერმანულმა გამომცემლობა
„Pop-Verlag“-მა გამოსცა მისი წიგნი „ფოთლებ-
ის ხილი“ (Eine Brücke aus bunten Blättern“). 2018
წელს გამოვიდა მისი მეორე გერმანულენოვანი
კრებული „თავდაყირა“ („Kopfüber“). ამჟამად
გერმანიის ქალაქ ბონში ცხოვრობს.

ლია ბაკჰეიძე

არადა ცეცხლის სუნი ჰქონდა მაშინ ყველაფერს,
თვალესაც, ხელზე ნაოჭებსაც, გზებსაც, ჩრდილებსაც,



შოი მღვიმელი

თუმცა ვაჟმწველი, მომავლიდან როგორ მვერავდნენ
ცხოვრების გრძელი, ხშირად ღია გაკვეთილები,
მომწონდა ცეცხლი, და ამიგომ ხელის კანკალით
ვიწვავდი ხელებს და ნაოჭებს ხელისგულებზე
სულს ვუბერავდი და ვეძებდი ჩვენს დრმა ნაკვალევს
თითებზე, გულზე, ნაოჭებზე, თვალის გუგებში.
აერილი იყო მომავალი ცეცხლის ალებით,
მშეს ვინახავდი პერანგებზე, გულის დილებზე
და არ ვამხელდი, რომ ფეხები მიკანკალედა
ცხოვრების ღია, დაუნდობელ გაკვეთილებზე.

– **შიო მღვიმელი** (1866 – 1933)

ნამდვილი გვარი – ქუჩუკაშვილი.
დაიბადა სოფელ ბრეთში (ქარელი). ქართუ-
ლი საბავშვო მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდე-
ბელი. გორის სამოქალაქო სასწავლებლის და-
მთავრების (1887) შემდეგ თბილისში მუშაობდა
ჯერ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამ-
ავრცელებელი საზოგადოების“ წიგნის მალაზი-
ის გამგედ, ხოლო 1909 წლიდან – ქართულ ქუ-
რნალ-გამეთების რედაქციებში კორექტორად.
მღვიმელის პირველი ლექსი „დილა“ 1885 წელს
გამოთ „დროებაში“ გამოქვეყნდა, პირველი სა-
ბავშვო ლექსები – 1887 წელს. 1891 წელს მისი
ლექსები ცალკე გამოიცა პაგარ-პაგარა წიგნე-
ბად. შიო მღვიმელი თანამშრომლობდა ქურნალ-
ებში „ჯეჯილსა“ და „ნაკადღისი“, შემდეგ –
„პიონერსა“ და „ოქტომბრულში“.

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.
ჩემო ტპბილო საქართველო
ჩემო გკბილო საქართველო,
მოგილოცავ დღეის დღესაც;
მონობიდან თავდახსნილო,

აღარ ისმის შენი კვნესა.
 თუ რამ გჭირდა სიღუბნით,
 წყალს ვაჰყავ და გაილესა,
 შენს ნაეკლარ ნიადაგზე
 ია-ვარდი ღაითესა.
 მოვილოცავე დღეის დღეს და
 ვისურვებ, რომ ასე რუბდე:
 თავისუფალ გმირის სახელს
 საუკუნოდ აგარებდე;
 ვინც მოვიდეს, შეგეზიზნოს -
 შევებასა და ღხენას გრძნობდეს...
 მაისი ხომ მაისია,
 იანვარშიც მაისობდეს.

1919 წ. 26 მაისი

– შიოშვილი თინა (1948)

1970 წელს დაამთავრა თსუ-ს ფილოლოგი-
 ის ფაკულტეტი. 1980 წელს დაიცვა საკანდიდა-
 ტო დისერტაცია თემაზე: „თედო სახოკიას ფოლ-
 კლორისტული მოღვაწეობა“, 2003 წელს – სა-
 დოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქართული ფოლ-
 კლორის მწეობრივი პრობლემატიკა“. გამო-
 ქვეყნებული აქვს 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშ-
 რომი ქართული ფოლკლორისტიკისა და ლიტერა-
 ტურათმცოდნეობის საკითხებზე. მათ შორის –
 მონოგრაფიები: „თედო სახოკიას ფოლკლორ-
 ისტული მოღვაწეობა“, „ქართული ფოლკლორ-
 ის მწეობრივი სამყარო (ორტომეული)“, „სტუ-
 მარმასპინძლობა ქართულ ფოლკლორში“,
 „იესო ქრისტე ქართულ ფოლკლორში“, „თამარ
 მეფე ქართულ ფოლკლორში“, „შავშური ფოლკ-
 ლორი“, „კლარჯული ფოლკლორი“, „ქართველი
 მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში“
 (კოლექტიური მონოგრაფია), „შავშუთი“ (კოლექ-
 ტიური მონოგრაფია), „სარფი“ (კოლექტიური
 მონოგრაფია), „კლარჯეთი“ (კოლექტიური მონ-
 თოგრაფია), „მაჭახლედი მუჰაჯირები“ (კოლექ-
 ტიური მონოგრაფია). თინა შიოშვილი ეწევა
 მთარგმნელობით საქმიანობას: ინგლისურიდან
 თარგმნა აგათა კრისტის ლექსები მით-

ხრობები; რუსულიდან - ვლადიმერ ვისოცკის
 ლექსები, მიხეილ რომის „ოთხი შეხვედრა ნიკი-
 ტა ხრუშჩოვთან“, ლიონ ფობსგანგერის „მოსკ-
 ვი-1937“, იაკოვ ეკერის „ბიბლიური ისტორია
 ყრმათათვის“.

ვლადიმერ ვისოცკი

შპრიანის სიმღერა

თარგმნა თინა შიოშვილმა

ჩემს მეზობელს მოვილი აქვს ქვეყანა –
 არვინ იცის, რისთვის მიღი-მოდის.
 სხვის საქმეში არ ვეწრები, მაგრამ
 ვიბოლმები, ძალზე გული მომდის.
 მის ფანჯრებზე დიბა-აგლასს ვხედავ,
 მისი ცოლი დაფლაგუნობს ხალათში, –
 რომ მომცემდნენ მეც მისოდენ ხელფასს,
 ურანს ვნახავ მე მოსკოვის ასფალტში!
 გყვილია ხალხის მიეთ-მოეთი, –
 ის არასდროს არ ირუება ამაოდ:
 რას დაეძებს? ფულები ხომ შემოსდის -
 ღმერთო ჩემო, რა მაყუთში ბანაობს!..
 მისი ვაკეც კარგი სვითო ვინმეა,
 გუშინდელი წაქცევისა არ იყოს –
 შეგნებულად დამიმსხვრია სურა და
 მეც სამშავად ვაზღვევინე დედიკოს.
 ის შაურზე მანეთს არის ნაჩვევი?!
 მაშ, მისხდოს თავზელობის ჯარიმა!
 არა, მისი კი არა მშურს, ისე –
 სიმართლის და კაცურობის ჯავრი მაქვს.
 ...მე მას ისეთი სიმყუდროვეს შევუქმნი,
 სვალვე ჩვენი მეზობლობა მორჩეს, –
 მათ ჯობიში ჩექიეთი აქვთ ფულები,
 ჩვენ არყისთვის ვაკოწიწებთ გროშებს!

– შოთაჰ სვიმონი (მე-16 ს. I ნახევარი)

პოეტი, სასულიერო პირი, ათაბაგ ყვარყვარე
 III-ის (1516-1535) თანამედროვე.

სადგერის წმინდა გიორგის ეკლესიის დე-
 კანოზი. მას ეკუთვნის 16-მარცვლიანი შიშრით
 დაწერილი, წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი
 25-სტროფიანი ოდა, რომელიც აღმოაჩინეს ილია



თინა
შიოშვილი



ჯემალ
შონია



ვერა შუბლა-
ქმ ბობოხიძე

აბულაქმე და ქრ. შარაშიქემ. მათი ვარაუდით, შოთაძის გვარი შოთა რუსთველიდან უნდა მომდინარეობდეს.

— **შონია ჯემალ** (1947)

დაიბადა სოფელ საბერიოში (გალი). 1964 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა საბერიოს საშუალო სკოლა, 1970 წელს – სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. 1971 წლიდან 1990 წლამდე მუშაობდა გალის რაიონულ გაზეთში ლიტმუშაკად, პასუხისმგებელ მდივნად. 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უმენაესი საბჭოს დეპუტატად, იყო აღამიანის სამოქალაქო უფლებათა ქვეკომისიის თავმჯდომარე. შემდეგ მუშაობდა თბილისში, გაზეთ „იბერია-სექტრის“ კორესპონდენტად, პასუხისმგებელ მდივნად, გაზეთ „ეროვნული თანხმობის“ პასუხისმგებელ მდივნად, ჟურნალ „მწერლობა XXI-ის“ პასუხისმგებელ მდივნად. ამჟამად არის საზოგადოებრივ ჟურნალ „მიჯნის“ რედაქტორი. სამწერლო ასპარეზზე ჯემალ შონია მოსწავლეობის დროიდან გამოჩნდა. დღეისათვის იგი არის რამდენიმე პოეტური კრებულისა და პუბლიცისტური წიგნის ავტორი, მათ შორისაა: „თეთრი და ცისფერი“, „ხსოვნის სარკე“, „მთვარის ქვა, „აფხაზეთში დაკრეფილი გვირილები“, „ბესლეთის ხიდზე წარწერილი“, „შენს საპოვნელად...“, „წაუკითხავი“, ამ უკანასკნელი

კრებულისთვის გიორგი შარვაშიძის პრემია მიენიჭა.

წაუკითხავი

კაცი ჭიშკარს რომ მოადგება,
რომ დამიმახებს
და კეთილ ამბებს შემეგყობინებს,
ის მენატრება...
მერე სახლში რომ შემოვიყვან,
ჭიქას ავუესებ
და გავისხენებ უამრავ ვინმეს,
ის მენატრება...
ალარც კაცია, არც კეთილი
ამბები მესმის,
ალარც სახლი მაქვს, ალარც ჭიშკარი...
მომჩერებია ჩემნაირად
ღევნილი ლექსი,
ისიც ჩემსავით წაუკითხავი.

— **შუბლაჲმ-ბოზონიძე ვერა** (1917 – 1957)

დაიბადა სოფელ გემათში (აბაშა). სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. არის 10 პოეტური კრებულის ავტორი („კავკასიონის მთებში“, 1946; „გაზაფხულის სიმღერა“, 1950; „გაზაფხულის ყვავილი, 1957). იყო პოეტ კალე ბოზონიძის მეუღლე. თავდაპირველად დაკრძალული იყო ვაკის სასაფლაოზე. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ გადმოასვენეს დიღუბის პანთეონში.

Բ

– **ჩაბრაქა ბარანა** (1976)

დაიბადა თბილისში. დაამთავრა ՄԽՄ-ს ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკულტეტი და დასავლურ ენათა და კულტურათა უნივერსიტეტი ფრანგული და იტალიური ენების განხრით. 1998 წლიდან სწავლა განაგრძო საფრანგეთში. ქართულ პრესაში აქვეყნებდა ესეებს, თარგმანებს და პოეტურ ნაწარმოებებს. არის ლექსების ორი კრებულის ავტორი. 2011 წლიდან მუშაობს პარიზის „დეკარტის უნივერსიტეტის“ ბიბლიოთეკაში. 2015 წელს გამოიცა ბაჩანა ჩაბრაძის თარგმანების კრებული „ფრანგული შანსონი“, რომელშიც შესულია კულტად ქცეული ფრანგული სიმღერების ტექსტები.

ՄՐԱՅԻՄ ԼԻՍ ԶԱՄԼ

ნეგაჲի մաս, յինց մոջոլո մսոջոլո
და, ցիտ իաժոն և օղիսցեսի,
գամոցճիլեբիտ և սիծրճնիտ իսաջե,
կվլաջ և Էսթրենդա մխարես մժոնճիւրս!
Է՞ք, ռոլճիս ցնախաջ կցաճիլիս ճինցեխ
Իցի թագարա իս կցաճիւրճիլան,
Է՞ջոս, իսց ռոճ իսաճաճիւրճիա
և ցիցրեբե՞ք մեգաճ մեճճաճինցեա?
Րոճիս իսսախլես մե միցրցեցնիա
Քոխի, մժոնճիտ ռոճ մեճոճրճչենիա,
մարմարիլոյեբս – թեղի օլիճիլ,
մե ցաճաճոնցե լարա ճիծրոսս,
Քալաճինս Իցի մսոջոլո միճոսս,
Մլցիս Քաջաս – իսցես մսսեճեճի Քարի.

- **ჩალაბაშვილი თეიმურ** (1951)

დაიბადა სოფელ ძეველ ანაგაში (სიდნაღი). 1969 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. ბავშვობიდან წერს ლექსებს. მისი სერიოზული პოეტური ნათლობა ეურნალ „დროშაში“ შედგა გიორგი ნაგროშვილის ხელდასხმით. 1977 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეურნალისტიკის ფაკულტეტი. გამოცემული აქვს კრებულები: „მზე მამულის კვამლში“ (1984), „წვა შევიძლია“ (2009).

ՔԱՅԼՄԵՒ ԶՐՆԱՅՅՈՒՆՍ

Մեն ՎամոյՎյե „ճայցցիանց“
և Մշոնճե ցաճնճնց ռժճիս թճարեբի,
Իճնե՞ք, Ե. մաջ Կլես Երտաճ իսցաջնցն
Եճե՞ք և Եճեճից ռճիծարեբի!

კრთონდენ შენი ხმის მინანქარები,
როგორც ჩანჩქერი კლდიდან ვარდნილი
და არწივეული შენი თვალებით
მეხატებოდა წინ ავთანდილი...

...მღეროდი რაღაც სულ სხვა თილისმით,
თითქოს სიმღერით გაძარს ხატავდი,
თავზე გუხურა ზეცა თბილისის,
რომლის მიწაზეც ამოთავითავდი!
დაიგვიანეს, მაგრამ საღამურს
ყური მოჰკრეს და აღარ დარდობენ
და ის პაგარა მწყემსი ბიჭები
კახეთის მთებში დანავარდობენ.
შენ წამოიწყე „ճայցցიანց“
და შუბლზე ցაճնճნց ռժճիս թճարეբი,
Իճნե՞ք, Ե. մաջ Կլես Երտաճ իսցაջնցն
Եճե՞ք և Եճեճից ռճիծարეբი.

– **ჩაჩიკი ველაო**

იხილეთ *შაში მეღო*.

- **ჩანტლაქა შოთა** (1928 – 1968)

დაიბადა სოფელ ზემო აკეთში (ლანჩხუთი). ადრეული ბავშვობა გაატარა სოფელ ზემო ბუთილიეთში. 1934 წელს ოჯახი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. 1947 წელს დაამთავრა თბილისის 25-ე საშუალო სკოლა. იმავე წელს სწავლა განაგრძო ՄԽՄ-ში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1951 წელს დაამთავრა. 1954 წელს პოეტი სოფელ პაგარა ირავაში (თეთრი-წყაროს მუნიციპალიტეტი) მუშაობდა ქართული ენის მასწავლებლად. სხვადასხვა დროს მუშაობდა სოფელ ლილოს ბიბლიოთეკაში, რედაქტორ-სტილისტად სხვადასხვა გამომცემლობაში, თანამშრომლობდა პერიოდულ პრესაში, წერდა რადიოსა და ტელევიზიისათვის. ვარდა ლექსებისა, წერდა მოთხრობებს, მინიატურებს, იგავებს. თარგმნა ფინური ეპოსი „კალევალა“, ირლანდიური საგები, პუშკინის, ლერმონტოვის, გიუტჩევის თხზულებები. მისი ღღიურები და პირადი წერილები მრავალ საინტერესო ცნობას შეიცავენ იმდროინდელი ლიტერატურული პროცესების შესახებ. შოთა ჩანტლაძის ლექსების კრებული მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ მისი ოთხი კრებული გამოიცა, მათ შორის: „თენღება, ღამღება“ (1984 წელი) და „შოთა ჩანტლაძე“ (1998).

* * *

ვერმოსვენება ლექსით, მეგრე გავარდნა ქარში, ქარში მახილი გესმის, ქარში ჭიხინი რაშის. ბელუნების სევდა და წარმართების ვლოვა ქარში კვალდაკვალ მდევდა, ქარში მეთორედ მოვა. სული იძახის: ვლიდე! მივაღ, მომყვება ქარი. არ არის ქვეყნის კიდე, არ არის ქვეყნის კარი. მივაღ, შემხედება მეცა, გზას დამლოცავს წვიმა, გზას დამლოცავს მზეცა, გზადალოცვილი მივაღ. მივაღ, არ ვიცი, საით საიდან მოველ, როდის... ქარი იძახის მაინც: მოდის, ო, მოდის, მოდის!

— ჩარკვიანი ირაკლი (1961 – 2006)


მომღერალი, მუსიკოსი, პოეტი. დაიბადა თბილისში. 1982 წელს დაამთავრა ოსუს-ის დასავლეთ ევროპის ლიბერატორის ფაკულტეტი. 1990 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტში გაიარა თანამედროვე პოეზიის კურსი. მისი მუსიკალური მოღვაწეობა დაიწყო 1976 წელს, ჯგუფ „არიშთან“ ერთად. მუსიკოსის შემდეგი ჯგუფი იყო ინდი ჯანრის კოლექტივი „ტაქსი“. მისი პირველი სოლო-დისკი, „შვან შონგს“ ჩაიწერა და გამოიცა 1993 წელს (ვერმანია). 1997 წელს გამოიცა მუსიკოსის მეორე სტუდიური ალბომი „აფრენი“. მორიგი სტუდიური დისკი „ამო“ გამოჩნდა 2001 წელს; 2004 წელს – ალბომი „სავსე“. მოგვიანებით შეგროვებული იქნა მუსიკოსის სიცოცხლეში ჩაწერილი უკანასკნელი მუსიკალური მასალა და გამოიცა მისი ბოლო სტუდიური ალბომი „ძირს მეფე“. გამოქვეყნებული აქვს მოთხრობების კრებული, ლექსები (2008 წელს გამოიცა მისი კრებული – „მეფე ირაკლის ლექსები“). დაწერილი აქვს მუსიკა ფილმისათვის „ორფეოსის სიკვდილი“.

* * *

მთვარე ვერ გასცდა რუბიკონს, ჰანიბალს თავი დაუკრა, რომაელ ლეგიონების კარავზე სხივი აუცვდა. თავივე წაიღო სიმძიმემ,



ბარანა ჩაბრაძე



თიმპურ ჩალაბაშვილი



შოთა ჩანტლაძე




ირაკლი ჩარკვიანი

დაგორდა დედამიწისკენ, თანდათან დაპაგარავდა, თავი დახარა მიწისკენ. თეთრ ბურთად გადაქცეული, თეთრკანიანთან მივორდა, პაგარა ბავშვის თვალები, ათინათუბად მიკრთოდა. ჩაგვიღ ხილთან გოგონამ, მთვარის ალერსში გართულმა, მარგოზისგან გვემული იხმო მესამე ნაპირთან. მთვარე მიწაზე დაუშვა, თავს მოეფარა დაგლებულს, და თვალი აველი სისხლისგან თოკზე წითელ კვალს გაგლებულს. არ დაივიწყეთ საგანა, ბავშვის თვალებში ნახული, იცოდეთ, რომ რუბიკონი არ არის გადალახული.

— ჩარკვიანი ჯანსუ (1931 – 2017)

საქართველოს სახალხო პოეტი. დაიბადა სოფელ სურმუშში (ცაგერი). 1951 წელს დაამთავრა თბილისის მეორე ვაკეთა სკოლა. 1956 წელს დაამთავრა ოსუს-ის ფილოლოგიის ფაკულტეტი (ქურნალისტიკის განყოფილება). პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1947 წელს, პირველი წიგნი – „ერთი ღამის სიწუმში“ – 1959 წელს. 1962-1963 წლებში იყო ქურნალ „ცისკრის“ პასუხისმგებელი მდივანი, 1963-1967 წლებში – ქურნალ „დიდის“ მთავარი რედაქტორი, 1967-1977 წლებში – ქურნალ „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი, შემდეგ - ქურნალ „დროშის“ მთავარი რედაქტორი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი. აღსანიშნავია პოეტის წიგნები „რწმუნის კედელი“ (1970), „დიდი ნათელი“ (1980), „ერთგომეული“ (1981), „რჩეული პოემები“ (1983), „მე და შენ“ (1984), „არცა ვმსახურობდე სხვას“ (1989), პუბლიცისტური წიგნი – „თავისუფლება ღმერთს ხვედრიდა“. მის მიერ თარგმნილია



ჯანსუღ ჩარქვიანი

გარას შეგნეკოს, ვიგალი კორტიჩისი, ივან ღრაჩის, ეგვენი ეგუშენკოს, ბულაგ ოკუჯავას, ანდრეი ვოშნესენსკის, ბელა ახმაღლინას ლექსები. 1991-1993 წლებში გამოიცა მისი თხზულებათა ორგომეული. მის ლექსებზე შექმნილია ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები. 2014 წლის 10 მაისს, ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ გაიხსნა ჯანსუღ ჩარქვიანის ვარსკვლავი. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ლაბაჯი სიკვდილი

როცა დაიწყებს წყარო საუბარს,
მგეს რომ მისწვდება ირმის ბლავილი,
შემოასკლება როცა ალუბალს
მუხლზე კაბა და გულზე ყვავილი.
როცა კვირტები აგირდებიან,
როცა სიმღერას იგვეი სასურველს,
როცა ირმები დაფთვებიან,
მგეს შეხედავენ, რქებზე ჩაწურვილს.
როცა მერცხალი ზეცას შეუტევს,
როცა მიწაზე მგე და დარი დგას,
ირემი აპრილს კარებს შეუშვრევს,
და აგმის რტობებს რქებად დაიდგამს.
როცა მგე მინდვრებს კალთებს დაუცლის,
საგვირილოდ და საენძელოდა,
ირემი ირემს ბალახს გაუწვდის,
და რქას მიურგყამს სადღეგრძელოდა.
როცა ძეწები აგირდებიან,
და აკოცებენ ვამებს ხარღნები,
შეგვებდა ზეცას ნაგვისთვლებიანს,
ავგირდები და ავხარხარდები.
მოივინებენ წარსულს მკვიდრები,
აბუბუნდება ქვეყნად ყველა მთა,
გავდიადლები, გავსულდიდლები,

და ავენთები მამულს კელაპტრად.
დავდგები ცერზე, როგორც ავაზა.
ერთს გადახედავ დღეებს გაფრენილს,
მერე მოკვდები ისე ლამაზად,
ვით დაბადა ეს ყველაფერი.

— ჩარქსელიანი ზარიელ (1932 - 2000)

დაბადა სოფელ მურყემელში (მესტია). გამოქვეყნებული აქვს ლექსთა კრებული „მე და ენგური“.

* * *

სიცოცხლე უნდა ქარიშხალს ჰგავდეს,
მეხის გავარდნას ჰგავდეს სიკვდილი,
მტერიცა გყავდეს, მოყვარეც გყავდეს,
მაგრამ არც ერთთან სჭამო სირცხვილი!
სიცოცხლე უნდა სიმღერას ჰგავდეს,
სანამდის გული შეწვევდეს ფეთქვას,
და თუ ცხოვრებას ვერ გაუძლავი
მაინც უნდა თქვა, რაც უნდა ვეთქვა!
სიცოცხლე უნდა მადლობა იყოს,
ღვთისადმი შენგან კრძალვით მიძღვნილი,
ისე ლამაზად უნდა იცხოვრო,
მშის ჩასვლას უნდა ჰგავდეს სიკვდილი!
არწივი მუდამ სიმაღლეს ეძებს,
ამაყი კაციც სიმაღლით ფასობს.
ჰკვიანი ცხენი არ ირგყამს ღებებს,
მათრახს ის ირგყამს, ვინც არაკაცობს!

— ჩარქვა ნიკოლოზ (1901 – 1974)

დაბადა ქუთაისში. დაამთავრა ქუთაისის მეორე ვაჟთა გიმნაზია. სწავლობდა ოს-ოს ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. 1911 წლიდან ითვლებოდა ქართველი ფუტურისტების ჯგუფის წევრად (იყო ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი დამაარსებელი) 1922 წლიდან მისი რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალი H_2SO_4 , შემდეგ კი — 1927-28 წლებში ჟურნალი „მემარცხენეობა“. მისი პირველი ლექსი ქუთაისში დაიბეჭდა ახალგაზრდების ჟურნალ „წინსვლის ემბლემაში“; მისი ძირითადი პოეტური კრებულებია: „სიცოცხლეს ვუძღვრ“ (1950), „სადაც ვმოთილვარ“ (1958)“, „ცისა და მიწის“ (1962), „რაც განმიცდია“ (1962), „ამ ქვეყანაზე“ (1964), „მე ისევ ვცოცხლობ“ (1975); მისი საბავშვო ლექსები, პოემები და პიესები მრავალგზის გამოიცა ცალკე წიგნად: „რაგომ ვერ ავებს ჩხიკვი კარგ ბუღეს“ (1945), „ყველა მოსწავლემ უნდა იცოდეს“ (1947), „ზანგი გოგონა“ (1951), „ვითამაშოთ ერთად“ (1966), „ზარმაცი ბჭის ამბავი“ (1971), „მეო დამოდი, ამოდი“ (1975).

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.



ჩახრუხაძე

შენს შანჯარასთან როგორც შევაგყე შენს აღეანდრებს დილა დაინდა ყველაზე ადრე. თითქოს ფერწასულს ფერი მიეცა შენს ახლომახლო აკაცებისა. დილა უმწიკვლო და დილა სუფთა შენს კარმიდამოს მოედო სულ მთლად და ფანჯარასთან მომღერალ ფრინველს, გასაოცარსა და გასაკვირველს მე შენ მაგიერ მადლობა ვუთხარ!

— ჩახაპა ჯემალ (1940 – 2013)

დაიბადა ფოთში, სწავლობდა ამავე ქალაქის №1 საშუალო სკოლაში. მისი პოეტური დებიუტი შედგა 1965 წელს, როცა „ცისკარსა“ და „განთიადში“ პირველი ლექსები გამოაქვეყნა. არის ათი პოეტური კრებულის ავტორი, მათ შორისაა: „მიწა, ნამიანი“, „განახლებული კოლხეთი“, „რადრო გასულა“.

ამამის ჯემალი

შემოდგომა ახლა სოფლად და კალთას იბერტყავს ეზო და კარი, კრეფა ხლისა ყველგან მოთავდა,



ტარიმელ ჩარქსელაძე



ნიშოლოზ ჩახაპა



ჯემალ ჩახაპა



ამრიღო ჩხობია

მადლობა ღმერთს, რომ გვაღირსა ქარი. მე, მოხუც მამას, რა ამიყვანდა იმ ვაშლის ხეზე, შენ რომ დასგოვე, მოხუცდი, შვილო, მეც დამიღამდა, სიძაბუნეს ვგრძნობ და სიმარტოვეს. ღვინო დაეწურეთ, მაგრამ ქვევრებში ძველიც ბევრია, ახალს რა ვუყოთ? თუ გამახარებ ამ სიბერეში, იქნებ ეს ღვინო ვინმეს წაუღო. დედაშენი კი სულ მოგყდა, ბაბა, თუმც ადარ არის ახლაც მოცილი. სანამ ჩვენ თვითონ გავითხრით საფლავს, არ უნდა გვნახო, შე დალოცვილო.

— ჩახრუხაძე

XII–XIII საუკუნეების პოეტი, რომელსაც მიეწერება „თამარიანის“ ავტორობა. მასზე ცნობებს გვაწვდის ჩანართი სტროფი თხზულების ბოლოში: „მოხვევის ძეთა ჩახრუხაძეთა ექო თამარი, მეფე წყლიანი“. ჩახრუხაძეს მიიწინევენ „თამარიანის“ ავტორად არჩილ II და ე. წ. ალორძინების ხანის სხვა მწერლები. ნიკო მარის განმარტებით, ჩახრუხაძე წარმოშობით მესხი უნდა იყოს („მაშა მეხელი“ - მოხეგიალე მესხი). ზოგი მკვლევარი მას ხეობის მკვიდრად (მესხ მელექსელ) მიიჩნევს. კორნელი კეკელიძემ ყურადღება მიაქცია გელათის მონასტრის ხელნაწერის „დიდი სჯულის კანონის“ (XIII საუკუნის I ათწლეული) ანდერძში მოხსენიებულ გადაშწერს გრიგოლ ჩახრუხაძეს, რომელსაც განზრახვა ჰქონია ბერად აღკვეცილიყო პალესტინაში, ქართველთა ჯვრის მონასტერში. ზოგი მკვლევრის აზრით, ხელნაწერის თარიღი, მეტყველების სტილი, ლექსიკა და სხვა გრიგოლ ჩახრუხაძისა და „თამარიანის“ ავტორის იდენტურობას გვაფიქრებინებს.

— ჩხობია ამრიღო (1938)

დაიბადა მესტიის რაიონში. 1951 წელს დასახლდა გუდაუთის რაიონის სოფელ ოთხარაში.

1962 წელს დაამთავრა სოხუმის გორკის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. შემდეგ წლების განმავლობაში მივლინებული იყო სპეცკორესპონდენტად „ბამბე“, ნია გრუმინსკაიას მშენებლობაზე. მისი პირველი ლექსი გაზეთ „ნორჩ ლენინელში“ დაიბეჭდა, პირველი წიგნი – „სიმართლე“ – სოხუმში 1972 წელს გამოიცა. სულ 16 კრებულის ავტორია. მინიჭებული აქვს ქართული კულტურის ამბადარის წოდება.

– ჩეკურიშვილი ბელა (1972)

დაიბადა გურჯაანში, სწავლობდა გურჯაანის რაიონის სოფელ ვაჩნაძიანის სკოლაში. 1994 წელს დაამთავრა ოსუს ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. 1998-2013 წლებში მუშაობდა კულტურის ქურნალისგად ქართულ ქურნალ-გაზეთებში, გამომცემლობებში – რედაქტორად, სკოლაში – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი (შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულება) და ბონის უნივერსიტეტის მაგისტრანტი. ავტორია ოთხი ქართულენოვანი პოეტური კრებულისა: „ან. ან“ (1998), „ღია ბარათები“ (2009), „შეკითხვა სიმიფს“ (2012) და „სიმიშვლის დეტექტორი“ (2017). 2016 წელს გერმანულმა გამომცემლობამ Verlag das Wunderhorn გამოსცა მისი ლექსების კრებული „Wir, die Apfelbäume“ („ჩემი, ვაშლის ხეები“). ამავე წელს „ინტელექტმა“ გამოსცა მისი დოკუმენტური ნოველების კრებული „რაინისპირა ამბები“.

* * *

თვალის წილ თვალი ჩემო დაო,
გზების წილ გზები,
გზებზე სიგყვები:
დაფენილი, ნაჩუქარი, ნასროლ-ნარჩენი,
როგორც ქვევრში ჩაძახებული,
ან გაკვეთილზე დაბუთხული,
ბევრჯერ თქმით
მნიშვნელობას რომ კარგავენ
და თოკზე გაფენილი სარუცხივით ფრიალებენ.
ჩვენ შეგვიძლია დაფხრათ პური,
ქაღალდი, შეშა,
მაგრამ გზებს და სიგყვებს ვერ დაფხრით,
ქალაქის გზას ქალაქამდე უნდა მივყვეთ და
სიგყვა „რძე“-ც
სრულად უნდა წარმოვთქვათ,
თუკი მისი მოსმენა გვინდა
სიგყვის წილ სიგყვა, ჩემო დაო,

ვალის წილ ვალი,
დაკისრებული, დაგროვილი, დამღალქეული,
როგორც ხალი
ინდუსი ქალის წარბებს შორის,
ან გახატვნი აქელმის მურგზე,
გარდაცვლილთა სახელები –
ლოცვის წიგნაკში,
რომლებიც თუნდაც არ ვახსენოთ,
დავიზაროთ და გამოვგოვოთ,
არც არაფერს მოითხოვენ.
მაგრამ სხნა ვერ იქნება დავიწყება,
ან შილიშივლზე გადაბარება,
ვიდრე არსებობს სიგყვა „ჩემი“,
იარსებებს „ჩემი ქალაქი“,
„ჩემი გზები“, „ჩემი ვალი“, „ჩემი სიგყვები“
დასაბრუნებლად,
დასაფარად, მოსაველლად,
ამოსათქმელად.

– ჩეკურიშვილი პალაიანე (1932 – 2003)

დაიბადა ახმეტის სოფ. ყვარელწყალში (ახმეტა). 1953 წელს დაამთავრა სოფელ ღუესის საშუალო სკოლა, 1962 წელს კი – თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. მუშაობდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ლიტმუშაკად, მთავლიტის თანამშრომლად, 1973 წლიდან კი საქართველოს ტელევიზიაში ხელმძღვანელობდა სოფლის მეურნეობის გადაცემათა განყოფილებას. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1953 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“. მისი ლექსები, მოთხრობები, პიესები პერიოდულად ქვეყნდებოდა სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად, იღვებოდა თეატრების სცენაზე

– ჩეკურიშვილი ნიკა (1981)

დაიბადა თბილისში. 2004 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტი. მინიჭებული აქვს ეკონომისკის მაგისტრის ხარისხი. მუშაობდა საქართველოს იუსტიციის და საგარეო საქმეთა სამინისტროებში. გამოცემული აქვს ერთი პოეტური კრებული, სახელწოდებით - „მივგრიადლეთ“.

მარა

შენი სახელია - მარა,
შენ ნამდვილი ხარ და მაშინ,
როცა ცას ღრუბელი ფარავს,
ანუ,

როცა ცივა ცაში,
ჩვენი სახლის კედლებს ათობო.
შენი სახელია - მარა,
ჩემი ცოლი ხარ და როცა,
სულში მიფარდება ქარი
და ჭკუჭყით მევისება ხორცი,
არასოდეს მგოვებ მარგო.
შენი სახელია - მარა,
მზისკენ გაქცეული მკერდით
ათას საიღუმლოს მალავ
და შენს აღმოსავლურ კერგებს
რკალავს ჩრდილოეთის ქარი.
შენი სახელია - მარა,
ქალი ხარ, უფრო კი, ბავშვი,
ნეკნი, არ ვიცი და მალა
ხერხემლის, როცა ხარ სახლში,
ქუჩას ეფინება შუქი.
შენი სახელია - მარა,
ვართ სულ უბრალოდ და ჩვენთვის,
არც ვინმეს სიყვარულს ვპარავთ,
გვყავს ჩვენი შვილი და დღერთი
ერთმანეთის ყოველდღე გვჩუქნის.


— **ჩიკაიჩი ნუზარ** (1968)

დაიბადა თბილისში. 1985 წელს დაამთავრა თელავის მე-4 საშუალო სკოლა, 1989 წელს კი – თელავის იაკობ გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, ქართული ენისა და ლიგერატურის სპეციალობა. სამუშაო ადგილები: ქარელის წყალობის წმინდა გიორგის ტაძრის წინამძღვარი, წმიდა ილია მართლის სახელობის სალიგერატურო ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ რედაქტორ-გამომცემელი; თელავის იაკობ გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასისტ. პროფესორი. გამოცემული აქვს ლექსების კრებულები: „სინათლისაკენ“ (1990), „მთის მწვერვალები“ (2003), „თოვს, დედას ძლიერ უყვარდა თოვა“ (2006).



ბელა

ჩიკაიჩი ნუზარი



ნიკა

ჩიკაიჩი ნუზარი

ქალო, წადი პაემანზე!

გორდას მკერდი დაუღეწავს,
რაშმა ნისლი გადიყარა,
შემოგებდა და უეცრად
შეუყვარდი ნარიყალას...
თრთოლნენ თმები და თვალები,
სულის ვნება წამწამს იჭვა,
მოდრიდი ნათრთოლები
და მოგქონდა ცა და მიწა.
ნისლი – თითქოს დაძრწის მხეცი,
ჩამომსხვრევს ჰანგებს ლოღად,
დაიმორცხვე... და ცხიყცა
მთომინებით დაგელოდა...
გრიგალის ხმა – ცად დაძგებარი,
უფლის ცრემლში დაეყანა,
ნარიყალა, ცა და მტკვარი
ცახცახებდნენ პაემანად.
აგრე რაგომ გაენამე,
გულზე ცეცხლის შემონთებავ.
ქალო, წადი პაემანზე,
ნარიყალა გელოდება!...

— **ჩიკაიჩი რაქლინ**

სიხლე ალისუბნელი რაქლინ.

— **ჩილანკა რაულ** (1948)

დიპლომატი, მთარგმნელი, პოეტი, ჟურნალისტი. დაიბადა სოფელ ჭითაწყარში (ზუგდიდი). 1970 წელს დაამთავრა მისუს ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება. 1967 წელს მიავლინეს უკრაინული ენისა და ლიგერატურის შესასწავლად კიევი და 1970 წლიდან ცხოვრობს იქ. მუშაობდა უკრაინულ პრესაში ჟურნალისტად, კიევის გარას შევჩენკოს სახელობის სახ. უნივერსიტეტში ლექტორად, პარალელურად უკრაინის დედაქალაქის წამყვან უნივერსიტეტებში ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას; კიევის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო აკადემიაში ხელმძღვანელობდა უკრაინული და მსოფლიო ლიგერა-



რაულ ჩილანკა

გურის კათედრას, დავით გურამიშვილის სახ. საქართველო-უკრაინის კულტურულ ურთიერთობათა საერთაშორისო ასოციაციას; 2005-2010 წლებში იყო უკრაინის საგანგებო და სასულე-ფლემბინი ელჩი ლაგვიანში. არის საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ლაგვიის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორი, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს, უკრაინის, ლაგვიისა და საერთაშორისო ლიტერატურული პრემიების დაურეატი. გამოცემული აქვს წიგნები: „დასაწყისი“, „ბორჯალი“, „ბუნიობა“, „მზის ჩასვლის მერე“ (1979), „რჩეული“, „შეკაბანი“ (1987), „ახგელობების გაღაფრენა“, „მოხეტიალე კუნძული“, „საქართველო ვიდრე ხვალ“, „ოცდამეხუთე კადრი“ (2003), „ქვიშის საათი“, „თბილისის დროი“ (1991), „უვადო მივლინება“ (2008), „ში“ (2012), „ბედის ფორმულა“ (2018). თარგმნილი აქვს უკრაინული და ლაგვიური პოეზიის არაერთი წარმომადგენლის პოეზია ქართულად.

ბ(ო)ლ(ო) ს(ა)ნ(ო)ბ(ო)ლი

გორგზე სანთლების ჩაქრობას ახლა სჭირდება მთელი სახანძრო რაზმი და საგანგებოდ აწეულ სახმის სითბოსთან ერთად გკვილიც ახლავს. თვალს ყველაფრის შემჩნევას ასწრებს: გაქრა მასპინძლის სათნო სახიდან ღიმილი... თითქოს სახლი გაყიდა... მოუწყენიათ ღარნაკში ასტრებს. ვისაც ნაგრობდა, ყველა აქა მის, მაინც აკლია ეშხი საუბარს. რათა მოსმურებს მხარი აუბას, სამზადის კარებს ფოჭნის ნაგაში. გადის მზორებით დღე დღევანდელი, თითქოს უთითებს ცისფერ განთიადს, შეკვამულ გორგზე როგორ ანთია ჯერ ჩაუქრალი ბოლო სანთელი.

— ჩიტიშვილი მანანა (1954)

დაიბადა სოფელ კორინთაში (ახალგორი). 1974 წელს დაამთავრა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახ. გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1974-1981 წელს მუშაობდა ლენინგორის რაიონულ გამეთში ჯერ პასუხისმგებელ მდიანად, შემდეგ კი – რედაქტორის მოადგილედ. 1982-1985 წლებში იყო შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტი. პირველი ლექსი 13 წლის ასაკში დაწერა და ის ახალგორის რაიონულ გამეთში დაიბეჭდა. 1972 წელს კი,

მესამე კურსზე სწავლისას შედგა მისი პირველი სერიოზული ნათლობა, როცა „ლიტერატურულმა საქართველომ“ მისი ლექსები დაბეჭდა. გამოქვეყნებული აქვს რვა პოეტური კრებული: „ქსანზე“ (1979), „მინდვრის ფერადები“ (1984), „ქართლის გზაზე“ (1988), „მზის მოლოდინში“ (1990), „შენ ჩემი ღოცვა გიშველის“ (1997), „100 ლექსი“ (2001), „მაინც საქართველო ერქვა“ (2010)


* * *
ქარი ახლა საალერსოდ მიწვევს, იამინდა, გადილო თოვამ...
ნეგავ, ჩვენ რომ არ ვიქნებით, იმ წელს რანიირი გაზაფხული მოვა?
კვლავ ის ფერი თუ ექნებათ ნისლებს? ამ ცის თაღებს, ცისფრად შემოგარსულთ? ან გყვემალი ემსგავსება ისევ, ქორწილიდან გამოპარულ ასულს? მთებსა ვპრავდით სასურველის პოვნად, ვგავდით ენით მყვირალობის ირმებს. ან იმ ქვეყნად მიგვეღვს ვინმეს სსოვნა, ან ამ ქვეყნად ვვსოვებით ვინმეს?!
ქარი ახლა საალერსოდ მიწვევს. სულს მოსწყურდი... გადილო თოვამ, ნეგავ, ჩვენ რომ არ ვიქნებით, იმ წელს, რანიირი გაზაფხული მოვა.

- ჩიტიშვილი გორა (მამა გორა) (1959)

პოეტი, მღვდელმსახური. დაიბადა სოფელ მწუხარელაში (ამჟამად – ახალი თერჯოლა). 1977 წელს დაამთავრა თერჯოლის საშუალო სკოლა, 1983 წელს – ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა საშუალო სკოლის მასწავლებლად, მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების რეფერენტად, გამომცემლობის რედაქტორად, გელევიშიის კორესპონდენტად. 2009 წელს მღვდლად იქნა ხელდასმული. არის კომპიანარის ილია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრის მოძღვარი. მისი ლექსები წლების მანძილზე იბეჭდებოდა



მანანა ჩიტიშვილი



გორა ჩიტიშვილი

პერიოდულ პრესაში. გამოცემული აქვს პოეტური კრებულები: „მშობი გალანდული ყურძნის მგეჟანი“, „ციცინათელა მამთრის ღამეში“, „მოხუცი ლანი“. 2018 წელს გამოვიდა მისი ლექსების ერთგომეული „ღამე თენებთი.“

— **ჩიქოვანი ილია** —

იხილეთ *ილ. პინგოლი*

— **ჩიქოვანი სიმონ** (1903 – 1966)

დაიბადა სოფელ ნახაკოვოში (აბაში). სწავლა ჯერ თავის სოფელში დაიწყო, 1914 წელს კი ქუთაისის რეალურ სასწავლებელში შეიყვანეს. ხელმოკლეობის გამო, ზაფხულობით სოფელში ამუშავებდა მიწას და ასწავლიდა მემობლის ბავშვებს. ასე აგროვებდა ფულს სწავლის გასაგრძელებლად. ამ სასწავლებლის დამთავრების შემდგომ, 1921 წელს, იგი ოსს-ს ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. 1922 წელს, თანამოაზრეებთან ერთად, ჩიქოვანი ჩამოაყალიბა ფუტურისტული ლიტერატურული ჯგუფი და გამოსცა ქართული ფუტურისტების პირველი საპროგრამო მანიფესტი – „საქართველო – ფენიქსი“. 1924–1928 წლებში მისი აქტიური თანამონაწილეობითა და ხელმძღვანელობით გამოვიდა ქართული ავანგარდისტი მწერლების პერიოდული ორგანოები: „H₂SO₄“, „ლიტერატურა და სხვა“, „დროული“, და „მემარცხენეობა“. მალე მუშაობა დაიწყო ახალდაარსებული ჟურნალის – „მნათობის“ – რედაქციაში. 1928 წლიდან, ფუტურისტების ლიტერატურული ჯგუფის დამფუძნებელი იყო, იგი ჩაება საქართველოს მწერალთა კავშირის საქმიანობაში და გარდაცვალებამდე მისი ხელმძღვანელი ორგანოების უცვლელი წევრი იყო. 1932 წლიდან ინიშნება გამომცემლობა „საბჭოთა მწერალის“ მთავარ რედაქტორად. 1944-1951 წლებში იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. 1954-1960 წლებში რედაქტორობდა ჟურნალ „მნათობს“. სიმონ ჩიქოვანის პირველი კრებულები იყო: „ჟიქრები მგკვრის პირას“ (1925) და „მხოლოდ ლექსები“ (1930), შემდეგ: „მთაო გადმისეი“ (1929-1931), „შემოდგომის საღამოები კოლხეთში“ (1933-1939), „წინაპრები“ (1936-1940) „ქართლის საღამოები“ (1946) და სხვა.

მინა სიმეძა...

ვინა სთქვა, თითქოს პაგარა იყოს ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი, ქართლში ვინ ჰპოვა პაგარა ცხე, ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!



აბა, შეადგით ერთმანეთს მთები, მთები-შემკვლი სხივების სირმით, ააშრიალეთ არწივის ფრთები, კლდით გაიგონეთ ყვირილი ირმის. ყოველ მაღლობზე ცხე და კოშკი ნახეთ, ამომეთ ოსტაგის მზერით, ან მოაგროვეთ უსოვარ ღროში, ჩვენში დაღვრილი ქუჩების ფერი. გამოზეთ ქარი თუ ჰერიშხალი, ჩამწყვედელი რომ დეჟოდა ხევით, წყალი მქუხარი და საშიშარი და ავარდნილი გუმბათი მევით. წინაპრის მიერ განვლილი სივრცე, ეამი – ძლეული გაფრენილ ცხენით, და გორგასალის ნაბიჯი მტკიცე, მთლად დაბეჭდილი ქართველის რწმენით. შეახეთ ბრძოლით გაწვრთნილი ხელი დარუხანდიან მოგანილ კარებს, და გაიხსნება სამშობლო ჩემი, უსასრულობის შემცველი მხარე. ვინა სთქვა, თითქო პაგარა იყოს ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი, ქართლში ვინ ჰპოვა პაგარა ცხე, ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!

— **ჩიქოვანი სიმონ** (1960)

დაიბადა სოფელ მოხვაში (სახხერე). 1989 წელს დაამთავრა ოსს-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა გამომცემლობა „ნაკადლში“, იყო „სალიტერატურო გამეთის“ პასუხისმგებელი მდივანი, გაზეთ „შარაგანდის“ პასუხისმგებელი რედაქტორი, გაზეთ „რაეოს“ მთ. რედაქტორის მოადგილე, საბავშვო ჟურნალ „მხარობლის“ მთ. რედაქტორი. ამჟამად მუშაობს გამომცემლობა „საუნჯეში“ რედაქტორად. წერს ლექსებს, მოთხრობებს და საბავშვო ნაწარმოებებს. გამოცემული აქვს წიგნები: „სხივები ნისლში“ (ლექსები, 2012), „ცისკენ მიმავალი ბილიკი“

(მოთხრობები, 2012), „ძველი გუთნისდედების მიწა“ (მოთხრობები, 2015), „მთების სსოვნაში“ (ლექსები, 2018). მისი საბავშვო წიგნებია: „ანბანთქება“ (2006, 2009, 2017) „თოვლიანი გყის ამბები“ (2006, 2011), „მზე შინა და მზე გარეთა (ქართული ხალხური დღეობა-ღღესასწაულები და წეს-ჩვეულებები აღწერილი ბავშვებისათვის, 2009, 2014). „მთებისა და გყეების ამბები“ (2018).
იმპრემიო

(წარსულის სურათიდან)

ჩაიწურა მთებზე სხივთა ჩანჩქერები,
 ფოთოლცვენას შეერია ჩრდილი ქედზე,
 ქალიშვილი ოცნებათა ნარჩენებით
 მშვენიერობს შემოღვამის ბილიკებზე...
 საღამოა, მყუდრო ხევებს მოეწყინათ,
 დაუფინა ბინდი გზებს და ნაგზაურებს,
 მოინისლა, მოეწიათ უცებ წვიმა
 ნიშნობაზე ამგზავრებულ აზნაურებს...
 მასპინძელი, სიმღერები სანადიმო
 სწვლება ღრუბლებს, მთის წვერებზე აზვავულებს,
 მორიდება, შორით მგერა, სანამ ღვინო
 თავმომწონე აზნაურებს აზრს აურევს...
 მერე ღამე, ჩამომგინულ ჩალის კონებს
 აშრიალებს გყემლის ხეზე ქარი მშვიდი,
 დაწვება და ისევ ნაგვრას ჩაიკონებს
 აზნაურის მეოცნებე ქალიშვილი...

– ჩინორიშვილი შალვა

იხილეთ *კვლევითი მალაქა*.

– ჩოლოყაშვილი ბარსეული

XVI საუკუნის პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე, სახლთუხუცესი. დიდი გავლენით სარგებლობდა ლევან კახთა მეფის (1520-74) კარზე. არჩილ II ცნობით, მას ეკუთვნის „ხილთა ქება“ და სატრფიალო ლექსები. იოანე ბაგრატიონი მას „ნარგიზიანი წიგნის“ გამლექსავად მიიჩნევდა. „ნარგიზიანის“ ჩოლოყაშვილს მიაკუთვნებდა კორნელი კეკელიძე; მაგრამ ალექსანდრე ბარამიძემ დაასაბუთა, რომ კრებული დაწ-

ერილია XVIII საუკუნის შუა წლების შემდეგ. მისი პოეტური მემკვიდრეობიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ „ხილთა ქება“. ზოგი მკვლევარი მას XVII საუკუნის მოღვაწედ მიიჩნევს.

– ჩოლოყაშვილი დავით (1735 – 1810)

პოეტი, მთარგმნელი, დრამატურგი, ერეკლე II-ის მდივანბეგი. განათლება რუსეთში მიიღო. გატაცებული იყო ბერძნული მითოლოგიით. ავტორია ლირიკული და საგირული ლექსებისა. 1787 წელს თურქეთზე რუსების გამარჯვების აღსანიშნავად დაწერა „ივერიის მუბათა საბრძოლო სიმღერები“, რომლის რუსული თარგმანი გამოქვეყნდა 1791 წელს, ამ ლექსში ავტორმა შეაქო რუსთა ლაშქარი და მისი მხედართმთავრები სუვოროვი და პოტიომკინი. მან თარგმნა ლომონოსოვის სასულიერო ლექსები „საწინასწარმეტყველო წიგნი იობისა“ და „145 ფსალმუნი ლექსად“, რასიის გრაფედია „იფიგენია ავლიდამი“ სთაურით „ეფიგენია“, რომელიც წარმოადგინეს თბილისში 1795 წელს და სხვა. იგი საკმაოდ თავისუფლად ეკადებოდა ორიგინალს. მასვე უთარგმნია რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობების ამსახველი მრავალი დოკუმენტი.


– ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო

(მე-16-17 სს)

იყო კულტურული გრადიციებით ცნობილი ომანიშვილ-ჩოლოყაშვილითა გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი; მოურავი თეიმურაზ I-ის კარზე. შაჰ-აბასის ინტრიგების გამო მოღალატედ შეარაცხეს; მოაკვლევინა თეიმურაზმა. ქაიხოსრო რუსთველის ეპიგონი პოეტია. ლექსითა და პროზით გაწყობილ მის სამიჯნურო-საღვგემირო თხზულებაში „ომანიანი“ მოთხრობილია გარიელისა და ავთანდილის შვილიშვილის ომანი-ჭაბუკის თავგადასავალი. „ომანიანი“ საინტერესო მასალას შეიცავს საზოგადოების სხვადასხვა ფენის ცხოვრების წესზე. მხატვრუ-



გიორგი გიძეშვილი
ჩინორიშვილი ა.



გიორგი გიძეშვილი
ჩინორიშვილი ა.



გიორგი გიძეშვილი
ჩინორიშვილი ა.

ლი არასრულყოფილების მიუხედავად, თხზულების პოპულარობა უეჭველია, რასაც ამტკიცებს ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა სიმრავლე.

— **როჩია ალექსანდრა (ოსაპი)**

იხილე *აბაშელი ალექსანდრე*.


— **როხალი გოღარიძე (1954 – 2007)**

მწერალი, პოეტი, კინორეჟისორი.

დაიბადა სოფელ ჩოხში (ღუშეთი, გუდამაყარი). სოფლის რეაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ფასანაურის საშუალო სკოლაში. 1972 წელს ჩააბარა შოთა რუსთაველის სახ. თეატრალურ ინსტიტუტში, კინომცოდნეობის ფაკულტეტზე. 1974 წლიდან გადავიდა კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე, რომელიც 1979 წელს დაამთავრა. იმავე წელს მიიღეს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ დამდგმელ რეჟისორად. 1997 წლიდან მისი მოთხრობები იბეჭდება ჟურნალ-გამეფეთში. 1980 წელს გამოიცა პირველი წიგნი „წერილი ნაძვებს“. გამოცემული აქვს ლექსებისა და მოთხრობების კრებულები: „ბინდისფერი სოფელი“, „თევზის წერილები“, „შემინახე, დედაო მიწაზე“, „სულითის კიდობანი“, „არჩევნები სასაფლაოზე“, „ბედი მღევარი“, რომანები: „მგელი“, „მღვლის ცოდვა“, „აღამიანთა სევა“.

ბუღისწყლის ცხენი

თოქს აბია ბუღისწყლის ცხენი, მაგრად არის ჩარჭობილი პალო, მოგჯერ წყენით, მოგჯერ აღმაფრენით საღდაც მივალთ, რადაცაზე ვწვალობთ. თოქს ვერ გაწვევტს ბუღისწყლის ცხენი, პალის მაღლა არ გაუშვებს მიწა, ვერა ვხვდებით, რაგინდ ბევრი შევძლოთ, ვერასოდეს ვერ მივადწევთ მიმანს. თოქს აბია ბუღისწყლის ცხენი, გრიალებს და გვაგრიალებს ჩვენც, ცა არ მოჩანს მაღლა ასაფრენი, თოქი იჭერს ბუღისწყლის ცხენს. ბუღისწყრა ხარხარებს და ხარობს, კარგად იცის, ვინა ვართ და რა ვართ, ერთხელ უნდა მიწა ამოთხარონ, თოქის ბოლო სამარისკენ ვწვევს. და ერთხელაც, გაიხვევა თოქი, ბუღის ცხენით გაფრინდება სული, გასრულდება დღენი ჩვენი ყოფის და დადგება მარგოობა სრული...



**თამაზ
ჩხენკელი**

— **ჩხიძე თამარ (1907 – 1980)**

მომღერალი, მწერალი, პოეტი.

ფსევდონიმი – თამარ გურული.

დაიბადა ბათუმში. 1935 წელს დაამთავრა ლენინგრადის საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტი, ხოლო 1939 წელს – თბილისის მე-3 მუსიკალური გეტნიკუმის ვოკალის კლასი. იყო ფილარმონიის სოლისტი, ასრულებდა ძველბოშურ რომანსებსა და სიმღერებს. მისი პირველი ლექსი გამოქვეყნდა 1937 წელს, ხოლო პირველი წიგნი „ლოთი მამალი“ – 1949 წელს.

— **ჩხარბიშვილი კახაბერი (1978)**

დაიბადა ოზურგეთში. 2001 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. არის ასამდე ლექსის (სონეტების), ორი ნოველის, ერთი გრაგდიისა და ერთი პიესის ავტორი. გამოცემული აქვს კრებული: „სიგყვა სულისა“ (სონეტები, 2007).

— **ჩხიძე გიორგი**

იხილე *ქუჩიშვილი ვიორჯი*

— **ჩხენკელი თამაზ (1927 – 2010)**

დაიბადა თბილისში. 1952 წელს დაამთავრა ოსუს-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში (1958 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „პიროვნების გარდაქმნის მითოსური საფუძველი ვაჟა-ფშაველსა პოემებში“ (1972). წლების განმავლობაში მუშაობდა ქართული ანბანის კვლევაზე. გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი ასოთმთავრული ანბანის შექმნის, მისი გრაფიკული და რიცხვუ-

ლი სტრუქტურის შესახებ. მას ეკუთვნის ცნობილი მონოგრაფიები და ლიგურატურული წერილები, რომელთა შორის მონოგრაფია „გრაგიკული ნიღბები“ ქართული მწერლობის კრიტიკაზე შექმნილი საუკეთესო წიგნია. ნათარგმნი აქვს: ბო ძიუ-ი, ლექსები; რაბინდრანათ თაგორი – „გიგანჯალი“, „ბენგალი“, ინდური ეპოსი „ბჰაგავატგიტა“, დანტე ალიგიერის „ახალი ცხოვრება“, „ინდური საგალობლები“, „ადმოსავლური ლირიკა“, ჰომეროსის „ოდისეა“, ფედერიკო გარსია ლორკას ლექსები, რუსული და ინგლისური პოეზია და სხვა. გამოცემული აქვს ლექსების კრებული – „სარკითა და სახითა“ (2002). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

თამაზ ჩხენკელის თარგმნები:

ფედერიკო გარსია ლორკა

* * *

ეს სანგიაგოს სადამოს მოხდა.
თითქოს უეცრად და უნებურად
ფარნები ჩაქრა და ჭრიჭინებმა
აანთეს ღამე წინანდებურად.
ბნელ შესახვევში მისი გულმკერდი
მე გავადვიებე ხელის შევლებით
და ძუძუები აყვავდნენ უცებ,
ვით იასამნის თეთრი მტევნები.
მისმა საბარდამ გახამებულმა
შიშველი ტანი ველარ შეფუთნა
და აშრიალდა აბრეშუმით,
თითქოს დასერა ასმა ბებუთმა.
დაუფერავნი ვერცხლის სევადით
ხეები გახდნენ უფრო მადლები
და ცის შორეულ ჰორიზონტით
მდინარის გაღმა ყუფდნენ ძაღლები.
როცა გამოვცდით მყუდრო მაცვლიანს
და ყრუ ძეძვნარებს, მე სველ სიღამე
გავშალე მისი დამძიმებული
და მოვლვარე თმების სინამე.
მან შემოიხსნა წელზე სარგველი
და გაიხადა ჭრელი ფარავი,
მე მოვისროლე ამოქარგული
ჩემი ჯუბაჩა და იარაღი.
არც ვარდის ფურცლებს და არც ნიჟარებს
არა აქვთ კანი ისე ნაჭიფი,
და მთვარიანში ისე არ ბრწყინავს
განათებული ყვითლად სათიბი.
გაუღებელი სველი სინათლით
და ასხლეტილი ცივი შეხებით,
ბადღში ვაბბულ კალმანებით
არ მიკარებდნენ მისი ფეხები.

იმ დღეს საღაფის თეთრი ფაშაკით
უბაღლო გბებზე შეუსვენებლივ,
უუზანგებოლ და უადვიროლ
მე ვიჯიროთე შმაგი ჭენებით.
ნაღმაკეთილი ჩენი გაცნობა
მაბაბს უსიგყვოლ და უქამანდოლ,
და როგორც მამრს და ვაჟკაცს შეჰფერის,
არ ვიგყვი იმას, რაც მან გამანდო.
როცა კონცით და სილით მოსვრილი
წყლის ნაპირიდან წამოვიყვანე,
გზად ძეძვიანის მჭრელი დაშენი
ბასრი შეხებით ჩხვლეგდნენ სიღამეს.
ვით ნამდვილ ბოშას შეეფერება,
მე უშურველი ვიყავ მისადმი
მრეში აგლასის დიდი ზარდახმა
ვარჩევი ერთი ხელსაქმისათვის,
მაგრამ მე იგი არ შევიყვარე,
რადგან პასუხად სიგყვამისაგებს
არ მითხრა სხვისი ცოლი რომ იყო,
როცა მიმყავდა მდინარისაკენ.

დუ ფუ

ასე უეცრად რად დაქროლეს
ცივმა ქარებმა?!
არ იცის მანინ ვარლობისთვემ
აქ დაყოვნება.
ნელ-ნელა ქრება გაზაფხულის
ჭმუნვა, ხარება –
ვაი, რომ ქრება, იწურება
ჩემი ცხოვრებაც!
დავლევ, ეგები გავხალისდე
გულსველიანი,
ლექსს ვიგყვი – იქნებ გამოვხატო
გულსნადები;
ჩემს მწუხარებას გაიგებდა
გაო ძიანი,
მაგრამ სხვადასხვა საუკუნეს
დავიბადენით.

ზო ტოკუბაძი

შემოგარენი მწვანითაა დამშვენებული,
შინ მიმავალი ვჭვრეტ მშენიერ ამა არეთი
და აღარ ვჩქვართ: ამ ქვეყნად რომ შენ არ მეტულვი,
წყნარი ღმძილით რომ არ მხედები სახლის კარებთან.

– ჩხატინი თემურ (1955)

პოეტი და საჭადრაკო კომპოზიტორი.
დაიბადა სოფელ ვანნაძიანში (გურჯაანი). 1978 წელს დაამთავრა ოსუს-ს ეკონომიური ფაკულტეტი. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1982 წელს, პირველი კრებული გამოსცა 1987 წელს, სულ

რეა კრებული აქვს გამოცემული (მათ შორისაა - „უადრესაგოდ“, 2010). ცხოვრობს და მოღვაწეობს თელავში.

მოქმედა

დიდი ხანია, რაც აქა ვარ -
ამ აღვილას, ამ ზღვის ნაპირზე...
დავდიოდი, ვუსტვენდი და კენჭებს ვისროდი;
მერე ვიჯექი,
წერილებს ვწერდი, ბოთლში ვვლებდი,
წერილიან ბოთლებს კი
ზღვის ტალღებს ვაგანდი.
ვერიდი ხურდა ფულს
და ათასგვარ სურვილსაც ვუთქვამდი.
ყველაფერი წაიღეს ტალღებმა,
ყველაფერი წყალმა წაიღო.
ახლა უკვე მოქცევა იწყება -
უკან ბრუნდებიან ტალღები.
რას გამორიყავ, ჩემთვის, ზღვაო -
შენი ტალღები რას დამბრუნებენ?
ცარიელ ნიჟარებს?
თუ წერილებს,
გაუხსნელს და წაუკითხავებს
და ნამსხვრევებს ნაოცნებარ ხომალდებისას?..
ან, იქნებ, სულაც ჩემზევე ცხედარს -
წყალმცენარეებ ჩაწულ-ჩახლართულს
თქმებსა და თითებში?..

ჩხიკვაძე ვანო (1940)

დაიბადა სოფელ ღვინისში (ცაგერი). 1967 წელს დაამთავრა ოსსუს ფილოლოგიის ფაკულტეტი. მისი ნაწარმოებები იბეჭდება 1965 წლიდან. სხვადასხვა დროს მუშაობდა გაზეთების რედაქციებსა და ტელევიზიაში. მონაწილეობდა სხვადასხვა ლიტერატურულ კონკურსებში. არის 1996 წელს ბავშვთა საერთაშორისო ფონდისა და გაზეთ „ნერვის“ მიერ გამოსცადებულ პოემების კონკურსის ლაურეატი.


თითქოს მიწიდან ამოზარდა...
მოდის ბოხვერა გყუპი ბოკვრებით;

მან ხომ არ იცის, როგორ გიყვარდა
და ვერც გაიგებს, ისე მოკვდება.
წაფლენ... იმ ტკივილს აუღვენები,
რაც არსად გითქვამს, არც გიწერია...
თოვს აკაცის თეთრი მტევნები
და ცას, შორეულს, აგმის ფერი აქვს.
ცისკენ მიდიან ვერის ქუჩები
თეთრი დიღებით, ბაცი მინდვრებით...
ბინდში ძველ ნაღველს შეეყუკები
და უნუგემოდ აქვითინდები.

ჩხიკვაძე ვანო (1947)

დაიბადა სოფელ კირბალში (გორი). 1964 წელს დაამთავრა გორის 1-ლი საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ოსსუს ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სხვადასხვა წლებში მუშაობდა გაზეთების - „ნორჩი ლენინელის“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“ - რედაქციებში და საქართველოს ტელევიზიის ლიტერატურული თეატრის რედაქტორად. პირველი ლექსები 1966 წელს გამოაქვეყნა გორის ლიტერატურულ ალმანახ „ლიახში“, ლექსთა პირველი წიგნი - 1973 წელს. მას ეკუთვნის პოეტური კრებულები: „ნათლება“ (1960), „დაბადება“ (1976), „ორნი სინათლის წრეში“ (1976), „მგრელი ეკლესიის გუმბათზე“ (1980), „სალამი ზამთრის დედოფალ“ (1982), „შემოდგომის ბილიკი“ (1982); „გადაფრენა“ (1984), „გაზაფხულია, მარიამ“, „ღმერთო, მათქმევინე“, „ძველი ხიდი“, „ერთგომეული“, „აზგოპორტრეტი ძველ ჩარხოში“, „მგზავრი“, გამომცემული აქვს პროზაული კრებულები - „ორი კაცი“ (1983) და რომანი - „ჩიგები ზამთარში“ (1986).

ვიცი, რომ დღესაც მარგო არა ვარ -
შენი კეთილი თვალი დამყურებს.
ივსება შენი სუნთქვით კარავი
და აკანკალებს ქარი საყურეს.
ცივია? -
ჩემ მხარეს ადრე მოადგა



თამარ
ჩხიკვაძე



ვანო
ჩხიკვაძე



ვანო
ჩხიკვაძე



ვანო
ჩხიკვაძე

ცივი წვიმების მიძიმე კოჰორტა.
ველარ ვისხენებ ან რა დროა და
ან ყვავილები ვისთვის მიმქონდა.
შენთვის?

მაგრამ შენ მხოლოდ ფიქრი ხარ,
ფიქრის თმები გაქვს, ფიქრის თვალები.
და სიყვარულიც ისევ გვიხმება,
რომელიც დიდხანს ვზარდეთ წვალებით.
ნოემბერი კი უფრო აურევს,
დამძიმებული დრუბლის გრაურით
მოისხნი ბეჭდებს, ყვირფას საყურეს
და ხელუკუღმა ქარს გადაუყრი.

— ჩხიკვაძე ნოე (1883 – 1920)

დაიბადა სოფელ დიდ ჯიხაშიში. სწავლობდა ფოთის საქალაქო სასწავლებელში. 1912 წლიდან ლექციებს ისმენდა მოსკოვის შანიავისკის ინსტიტუტში. მისი პირველი ნაწარმოები 1908 წელს გამოქვეყნდა. მის პოეზიაში ნაჩვენებია ბედისაგან განწირულ ადამიანთა უნუგეშო ყოფა (ლექსები: „მონა ქალი“, „ცხოვრება“, „დიდხანს ვეძ-

ებდი“ და სხვა). თავისუფლებისა და ბედნიერი მომავლის რწმენა გამოხატულია მის ლექსებში: „უცხო მხარე“, „მე არ ვგირი“, „გედის ყივილი“. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

შრომის ჰანგი

შრომა, შრომა! მხოლოდ შრომა!
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში;
ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის განჯავით სული,
მის ბედით და უბედობით
დამეღაგოს მტკიცე გული...
მაშინ ცილამ ნაპერწკალი
თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმდერ, მხოლოდ მაშინ
მოვსწმენდ ერსაც განჯავის ცრემლსა!

ბაზალეთის ტბა

ბაზალეთისა ტბის ძირას
ოქროს აკვანი არისო,
და მის გარშემო, წყლის ქვეშე,
უცხო წალკოტი ჰყვავისო.
მწვანეა მუღამ წალკოტი,
არასდროს, თურმე, არ სჭენება,
ქვეყნისა დროთა გრიალსა
იგი არ ემორჩილება.
ვერ ერჩის, თურმე, მის მწვანეს
ვერც სისხე, ვერცა მამთარი,
და იმის მზიან ჩრდილებში
მუღამ გაზაფხული არი.
წალკოტის შუაგულშია
ის აკვანი ასვენია,
და ჯერ კაცთაგანს იქ ჩასვლა
არავის გაუბედნია.
მარგო ერთნი სირინოზნი
იმ აკვანს გარს ეხვევიან,
მარგო ივინი გრძნეულნი
დასგრფიან და დამღერიან...
ამბობენ, – თამარ დედოფალს
ის აკვანი იქ ჩაუღვამს,
და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით

გბა კარვად ზედ გადუხურავს.
 ამას კი აღარ ამბობენ –
 აკვანში ვინ ჩააწვინა,
 ან თვით ერმა თვისი ცრემლი
 ზედ გბად რისთვის დაადინა...
 იქნებ, აკვანში ის ყრმა წვეს,
 ვისივ არ ითქმის სახელი,
 ვისაც დღე-ღამე ჰნაგრეულობს
 ჩუმის ნაგვრითა ქართველი?
 თუ ესე არის, ნეგა მას,
 ვაკეკაცსა სახელოვნისა,
 ვისიცა ხელი პირველად
 დასწვდება იმა აკვანსა!
 თუ ესე არის, ნეგა მას,
 დედასა სახელდებულსა,
 ვინც იმ ყრმას პირველ მააწვდის
 თვისი ძუძუს მაღლით ცხებულსა!

– **ქალაქილიძე ბიორგი** (1847 – 1898)

ნამღვლილი გვარი – ქოჩაკიძე.
 დაიბადა სოფელ ფერსათში (ბაღდათი). 1869 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია; გიმნაზიის დასრულების შემდეგ პეტერბურგის ჯერ კონსტანტინეს, შემდეგ კი მიხეილის სახელობის საარტილერიო სასწავლებელში იუნკერის ჩინით ჩაირიცხა და თავისი სამხედრო კარიერა პოლკოვნიკისა და არტილერიის ბრიგადის დივიზიონის ხელმძღვანელის წოდებით დაასრულა. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომში; 1870 წლიდან იყო რუსეთის იმპერიის სამხედრო სამსახურში და რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში მსახურობდა. მისი ლექსები 1868 წლიდან იბეჭდებოდა „დროებაში“, „მოამბეში“, „ივერიაში“ და სხვა. იგი „სამოციანელთა“ მიმდევარი იყო. მისი შემოქმედება გამსჭვალულია მშრომელი-საღმი დიდი თანაგრძნობით („ქება შრომას“, 1868), პატრიოტიზმით, თავისუფლების სიყვარულით („მოლაღური გაღიაში“, 1872). გიორგი ჭალაღვლის სატრფიალო ლექსებია: „სატრო“, 1869; „ქართველო ქალო“, „სიმღერა“, 1870 და

სხვ. მისი მოგიერთი პოპულარული ლექსი სიმღერად იქცა („მოგონება“, „ფაცხა“). მისი პირველი კრებული – რჩეული თხზულებები – გამოიცა 1913 წელს ქუთაისში.

* * *


მახსოვს, პირველად სასწავლებელში წასაყვანად რომ მე მომამზადეს: მაშინ ანბანი მომცეს მე ხელში და შორსა გზასა მე გამამგზავრეს. ეხედავი, მინდვრებს რომ ვმორდებოდი, ნახვევ ბაღებსაც ვეითობოდი, დაღონებული მწარედ ვსტიროდი, მაგრამ არავის ვერბალებოდი. მხოლოდ ეს მახსოვს, გამომეყვა დედა და მიიხრა: „შვილო, კმარა, ნუ სტირი, ვინ სახლში დარჩა, რა გააკეთა, ვინ მოიშორა თავიდან ჭირი; გიყვარდეს სწავლა, გულს მოდგინება, შრომა და ჯაფა ნუ დაგებარება, თუ შენი შრომა და შენი ჯაფა სამშობლოს რაღა გამოადგება; იყავ ბეჯითი და გქონდეს სმენა, - კარგია, შვილო, სწავლის შექენა, - მაგრამ ამას ვთხოვ ყველაზე უფრო, - არ დაივიწყო სამშობლო ენა; მერწმუნე, რომა გამოცდილია, თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია“. ამ სიტყვებითა დედა მომშორდა და ეს მას აქეთ დამამახსოვრდა, რომ ის ამ სიტყვებს გრძნობით ამბობდა. თვალთავან ცრემლსა ფრქვევა გაჰქონდა..

– **ქანჭუშია ბარიულ** (1932)

დაიბადა სოფელ სუფსაში (ლანჩხუთი). 1956 წელს დაამთავრა ოსსუს ფილოლოგიის ფაკულტეტი 1956 წელს. სხვადასხვა დროს მუშაობდა ჟურნალ „ისკრის“ რედაქციაში, გამოცემლობა „მერანსა“ და „ნაკადულში“, საქართველოს



გიორგი ქალაქილიძე



ტარიმელ ჭანჭუშია



ნატო ჭარბაძე



თემურ ჭანჭუშია

მზაგერული თარგმანის სარედაქციო კოლეგიაში, მწერალთა კავშირში ლიტერატურულ კონსულტანტად; 1994 წლიდან ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის საქართველოს სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა; პირველი ლექსი – „ნადირობა“ – გამოაქვეყნა 1951 წელს ჟურნალ „დროშაში“; მისი პირველი კრებული – „ლტოლვა“ – გამოვიდა 1964 წელს; მთავარი პოეტური კრებულებია: „საქანელა“, „დასასრული“, „გაღმა ნაპირი“, „თაფლობის საუკუნე“, „სტრესები და სიგყვები“, „სიყვარული-რეფრენი“, „რჩეული“, „მწერლის წითელი წიგნი“, „გული მარჯვნივ“, „ახალი მთვარე“, „ორგომეული“, „კოლხური კაპრიზი“ და სხვა; გამოცემული აქვს წერილები და ესეეების სამი წიგნი („ყულაბა სავსე ოცნებით“, „დინობავრიდან დიმიანამდე“, „გაყიდე სამოსელი და იყიდე მახვილი“), აგრეთვე, სამაწვილო ლექსების რამდენიმე კრებული; გვეგვიტკორთან ერთად თარგმნა ჰენრი მელვილის „მოზი დიკი ანუ თეთრი ვეშაპი“, თარგმნილი აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოემების ნიმუშებიც.

მიყვარს ქართულად, მძულს ქართულად, ვმღერო ქართულად, მადლობა ღმერთს – ნებადართულად! შანსი მქონია – არ მომიროსხამს ფეხი თათრულად, ვმივარ და ფეხი ვფხზე მიდევს, ვგვც ქართულად! თარგმნეთ რუსულად, კი ბატონო თარგმნეთ ფრანგულად, მაგრამ მე მიყვარს, მე მძულს მე მწამს, მე ვწერ ქართულად! მე ყოველად ქართველს ყოველივე მიყვარს ქართული, ამიტომაც ვარ ქართველებთან წელგამართული!

– **ქარბაპი ნაბო** (1975)

დაიბადა სოფელ ხვანჭკარაში (ამბროლაურის რაიონი). 1992 წელს დაამთავრა ამბროლაურის მე-2 საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობა-სოციოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1996 წელს. 2009 წელს გამოიცა მისი ლექსების პირველი კრებული „მზის ხანძარი“, 2012 წელს კი – მეორე წიგნი „სხივთა სეგიალი“, ხოლო 2016 წელს „ფარდა-

ახილი საუბრები!

მომეზრდა ბასრი ეკლებით გვემა, თვალებს მინისლავს ცრემლების თქემი; მიქრის თავნება დღეების რემა, და, როგორც ფიფქი, მადნება ხელში. რაც იყო, ღმერთმა თუ იცის მხოლოდ, ცა ცისარგველებს ააზუფირებს; ვხედავ, უხილავ სიმშრეის ბოლოს, როგორ ასკდება სული ჯებირებს. იქნებ, შენ მაინც მითხრა, ღრუბელი, საით გავექვე ქარებს მაისის? მიფრინავს მზის კენ რაში, უბელო, და აღარც წვიმის ხმები არ ისმის. დროდარო ისევ მინდება ფრენა, როგორც არწივმა, შევკრა კამარა. მისთვის ვისწავლე ბუღბუღის ენა, არ დაურჩე ქვეყნად სევდის მარა! მომეზრდა ბასრი ეკლებით გვემა, თვალებს მინისლავს ცრემლების თქემი; მიქრის თავნება დღეების რემა და როგორც ფიფქი, მადნება ხელში.

– **ქანსაკია თიშურ** (1992)

დაიბადა სოფელ ჩხენიშში (სამგრედია). პროფესიით არის სამართალმცოდნე, აქვს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. არის პოეტური და პოეტურ-პროზაული წიგნების ავტორი: „პოემების დილეგი“, „ყვავილების ქოხი“, არის არასამეწარმეო ორგანიზაცია „პოემიარის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, პროექტ „პოემიარი – ავტორთა წარმოქმნის“ დირექტორი.

ხასხასა ყანა ზღვასავით ნელა ღელავს და მწვანე ფერში ბიბინებს, ჭასთან ჭრიჭინებს ჭრიჭინობელა, ღრუბლებმა ცაზე გადაირბინეს. ქარმა ნეკერჩხალს გოგი მოხელა, მის და შავ ლანდებს უყეფს ბათურა, ოწინარი დგას, ვით საფრთხობელა და ჭაში გამგყდარ სათლს აფათურებს. ცა იქუფრება და ვვრძნობ სიობლეს, სოფელში ღამე შემოდის შუკით, არხევს მესერთან ანცი სიო ბლეს, ქრება ჩემს მყუდრო ოთახში შუქი. ქარი ფლავს ცაში შეგროვილ ნისლებს, წვიმს... ჩნდება ღრუბლის შავი დესანტი, მე ახლა ძილი თუ მომაფხიზმლებს, მთვრალს სიყვარულით და აღესათი.

– ქალიძე ამბაკო (1878 – 1940)

დაიბადა სოფელ ბაჯში (ამბროლაური).

1895 წლიდან მუშაობდა გაზეთ „იერიის“ რედაქციაში. ირანში მონაწილეობდა ირან-საბჭოთა კავშირის ბანკის დაარსებაში (1923-29 წლებში). 1927 წელს იმოგზაურა ფერეიდანში. ერთ-ერთმა პირველმა ალაღინა კავშირი ფერეიდნელ ქართველებთან; სწავლობდა მათ ენას, ისტორიას, ყოფას. ამბაკო ჭეღიძემ ალაღინა სპარსულიდან ქართულად თარგმნის გრადიცია. მისი თარგმანები გაერთიანებულია კრებულებში: „სპარსელი ლირიკოსები“ (1935), „ირანელი ლირიკოსები“ (1936), „მოლა ნასრედინის ანეკდოტები“ (1940), ომარ ხაიამის „რობაითი“ (1946). თარგმნა პოემები „ლეილი და მაჯნუნი“, „ხოსროვი და შირინი“ (1964), „საიდუმლოებათა საღარო“; სააღდს, „გოლესთანნი“ (1948), „ბუსთანნი“ (1955). ავტორია წიგნებისა „ფერეიდნელი ქართველები“ (1935) და „ექვსი წელი სპარსეთში“ (1964).

დაკრძალვა რიბატი

თარგმნა ამბაკო ქალიძემ

მოთმენით იყავ, თვით გარგებსო ვგ მოთმინება, მავ მოთმინებით სხვა სიცოცხლე შეგეინება. ჩემი სიცოცხლე გაგატარე ამ მოთმინებით, მაშ, სხვა სიცოცხლე ამის შემდეგ როდის იქნება?

– ქალიძე ვახტანგ (1917 – 2005)

დაიბადა სოფელ ბახეში (თბურჯეთი).

1941 წელს დაამთავრა თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის განხრით. 1943-1948 წლებში მუშაობდა პედაგოგად საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში. 1948-1952 წლებში იყო საბაეშვო ლიტერატურის გამომცემლობის მთავარი რედაქტორი, 1952-1955 წლებში – ჟურნალ „დროშის“ რედაქტორის მოადგილე, 1955-1957 წლებში – ჟურნალ „ნიანგის“ და 1957-1963 წლებში – ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი. 1967-1973 წლებში ხელმძღვანელობდა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“, 1973-1987 წლებში იყო გაზეთ

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი, ხოლო 1987-1991 წლებში – გამომცემლობა „ნაკადლის“ დირექტორი. არის მრავალი წიგნის, პუბლიცისტური წერილის, თარგმანის, ლიტერატურული პორტრეტისა და პუბლიცისტური წერილის ავტორი. თარგმნა შექსპირის, ფლენდერის, მილტონის, ლეფოს, სკოტის, დიკენსის, გოლშუორთის, ლონდონის, გვენის, ჰემინგუეის, სტაინბეკის, სელინჯერის და სხვათა თხზულებანი.

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

შილიძე შექსპირი

რომში და ჯულიეტა (დასაწყისი)

თარგმნა ვახტანგ ქალიძემ

აი, ამბავი, თუ როგორი ბელი სწევვია გურფა ვერონის ორ ძველ ოჯახს, ცნობილებს დიდად მამათა შუღლი ახალ მგრობად გაღუქკვით, და წმინდა სისხლით შეუბღალავთ ხელები წმინდა. შავებდ ვარსკვლავზე საგალალოდ ამ ორმა გვარმა ორი ნათელი სიყვარულს ვარსკვლავი შობა, შემდეგ საბრალო მიჯნურების ბელის ავღარმა, მათმა სიყვილმა სამუდამოდ შეწყვიტა მგრობა. გულისმწყველელია სევიდანი ამბავი მათი! თუ ვით ნახავენ ძველი მგრობის მოსასპობ წამალს, თუ ვით მოკვდება ორი ბავშვი ძველი მგრობისთვის, ამ ორ საათში დაინახავეთ ყველაფერ ამას. და თუ რაიმეს ვერ მიმზღვარხართ ჩვენს წინათქმამში, თვალი აღევნეთ მოქმედებას, მიხვდებით მაშინ.

– ქალიძე ოთარ (1925 – 1998)

პოეტი, მთარგმნელი.


დაიბადა თბილისში. 1948 წელს დაამთავრა თსუ-ს ფილოსოფიის ფაკულტეტი, ხოლო 1952 წელს – მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. მუშაობდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტისა“ და ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციაში. 1966-1974 წლებში იყო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მხატვრული რედაქციის გამგე. მისი პირველი ლექსი გამოქვეყნდა 1941 წელს. ცალკე წიგნებადაა გამოცემული მისი პოემები: „რაჭველები“, „პოემები



ამბაკო ქალიძე



ვახტანგ ქალიძე



ოთარ ქალიძე



ჯემალ ქალიძე

ბი“, „რჩეული პოემები“. მან თარგმნა გვარ-
დოვსკის ლექსები და პოემები და პუშკინის „ვე-
გინი ონეგინი“. გამოცემული აქვს: „ორი მარაბ-
დელი“ (პოემა, 1968); „აია-კოლხიდელი მეკობრე,
ბუბა ოლორია“ (პოემა, 1982); „ალხანა და ჩალს-
ანა“ (საბავშვო პოემა, 1996).

* * *

მაღე გაზაფხული მოვა
და შენ ყვაილეები ქარში,
აღბათ, გეგონება თოვა
ქოლგას უნებლიედ გაშლი.
ჭრელი აბრეშუმის ჭერი
სად არ წამოგყვება თრთოლვით,
ვიდრე ჩამოღებება ჯერი
სულში უსასრულო თოვის.
რადღე გარდაუვაღს ბავშვი
შენდაუნებურად ხეღები,
ქოლგა გაშავებება მაშინ
როცა გათეთრდება თმები.
მაგრამ გირჩეენია ახლა
ფიქრში ჩადრმავება უჩვევს,
წაჭყვე მანქანათა ნახნავ
თოვღში გამოსხვეულ ქუჩებს.
მაღე გაზაფხული მოვა
და შენ ყვაილეები ქარში,
აღბად გეგონება თოვა
ქოლგას უნებლიედ გაშლი.

— **ჭილია ჯემაღ** (1938)

მთარგმნელი, პოეტი, პუბლიცისტი, ფილოლო-
გი. დაიბადა თბიღისში. 1969 წელს დაამთავრა
თბიღისის უცხო ენათა პეღაგოგიური ინსტიტუ-
ტი. 1957 წლიდან მისი პირველი პუბლიკაციები
იბეღდება ქართულ პრესაში: ლექსები, სტატიები,
წერიღები, თარგმანები რუსული, პოლონური და
ინგლისური ენებიდან. თარგმნიღი და გამოცე-
მული აქვს თარგმნიღი შემეღევი ავტორების
ნაწარმოებები: ტაღეუშ რუკევიჩი, მ. გოღღენი,
ი. ლენარტი, შ. ანღერსონი, პ. ზეხლეროვა, ლონგ-
ფელი, ლესღი ვულფ ჰეღღი, თ. მური, ი. ბეჩევა,

პ. ვაისი, მ. მარღვესკა, ევი სტეფან სტავინსკი, ბ.
დროზღოვსკი, მ. ლიღა, ბერნარღ შოუ, ე. პრიღი,
სტანისღავ მროეკვი, ლეიღ კარნევი.


— **ჭილაამ თიაავ** (1931 – 2018)

პოეტი, მწერალი, დრამატურგი.


დაიბადა სიღნღღში. 1954 წელს დაამთავრა
თსუ-ს ფილოლოგის ფაკულტეტი. მუშაობდა
ეურნალ „ცისკარში“ (1958-64), იყო ეურნალ „სა-
ბჭოთა ხელოვნების“ მთავარი რეღაქტორი (1973-
81), 1991 წლიდან პროფესორი და დრამატურგი-
ის კურსი მიჭყავს საქართვეღოს თეატრისა და
კინოს სახელმწიფო ინსტიტუტში, 1997 წლიდან
იყო ეურნალ „მნათობის“ მთავარი რეღაქტო-
რი. პირველი ლექსები გამოქვეყნა აღმანახ-
ში „პირველი სხივი“ (1951), ლექსების პირველი
წიგნი გამოსცა 1956 წელს. მას შემეღე მისი
მრავალი წიგნი გამოქვეყნდა: კრებუღები: „ღია
სარკეღი“ (1958), „მზის სათი“ (1962), „იღღისი“
(1966), „მახსოვრობა“ (1978), „ლექსები“ (1987), „მზე
ღეკემბერში“ (1999), გამოცემული აქვს არაერთი
პროზაული კრებუღიც, მისი პიესები იღღემბა,
როგორც საქართვეღოში, ასევე საზღვარგარე-
თის თეატრებში.

* * *

როცა დაღება განკითხვის კაში
გაწყვეღღ გმების მეწამულ ბინღის
შემოიგანენ უფაღთან ჯამით
ჩემს სულს და ცრემღებს, გულსა და სინღისს.
თუ მათქმეღენი უფაღმა სიგყვა,
მე უფაღს მხოლოღ მადღობას ვეგყვი,
„მადღობას რისთვის მისღი“ — მკითხავს,
გაკვირვებუღი დარჩება ღმერთი.
მადღობეღი ვარ, უფაღო, რადგან
არ მომაკეღი ცეცხლი და კუპრი,
ჩემით ვსწავღღობღი ფრენას და ფართხაღს
და არა მხოლოღ წყაღობით უფღის.
მიყვარღა, მჟულღა, სამშობღო მქონღა,
თისა ვიყავი მაგრამ ვღღეროღი
და წუთისოფღის ჭრიაღა ბორბაღს



თიაავ ჭილაამ



ოთარ ჭილაამ

კბილი ვათრევი ცისკრის წვერომღი.
მადლობელი ვარ, უფალო, რადგან
მანუქე სიგყვა ბასრი და წრფელი!...
მეხვია მტერი და ყველა მათგანს
მაინც სიცოცხლე ერჩია ჩემი.

– **ქილაკი ოთარ** (1933 – 2009)

პოეტი, მწერალი, დრამატურგი.

დაიბადა სიღნაღში. 1956 წელს დაამთავრა
მსსს-ის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1958-1964
წლებში მუშაობდა ჟურნალ „ცისკარში“, 1973-
1981 წლებში იყო ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნე-
ბის“ მთავარი რედაქტორი, 1991 წლიდან მუშაობ-
და საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმ-
წიფო უნივერსიტეტში. მისი ნაწარმოებები სის-
ტემურად იბეჭდება მსოფლიოს მრავალ ენაზე.
მისი შემოქმედებისადმი მსოფლიო საზოგადოე-
ბრიობის ინტერესის დასტურია ის, რომ 1998
წელს მწერალი დასახელებული იყო ნობელის
პრემიის ნომინანტთა სიაში მსოფლიოს მხო-
ლოდ ხუთ სხვა მწერალთან ერთად. მისი სცენ-
არის მიხედვით გადაღებულია მხატვრული ფი-
ლმი „ლონდრე“, 1965 წელს. გამოცემული აქვს
შემდეგი პოეტური კრებულები: ლექსები (1999);
„გახსოვდეს სიცოცხლე“ (1999); „ლექსები და პო-
ემები“ (2010)

დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

* * *

ვიდრე ხარ... ვიდრე გათოვს და გაწვიმს,
არ წარიკვეთო არასდროს სასო,
ხან თცდაათი ვერცხლი ღირს კაცი,
ხან თცდაათი – ერთ ვერცხლად ფასობს.
მაგრამ იმედი, ეს უფლის ჩიტი,
კვლავ ისეთია, როგორც იყო,
კვლავ ჭრელი კაბა აცვია ჩითის
და თხილისხელა გულს ყველას გვიყოფს.
არ ჩაიქნით არასდროს ხელი,
ვიდრე ხარ... ვიდრე ხედავ და გესმის...
ძველს ცვლის ახალი, ახალს კი –ძველი
და ქვის მსროლელი ყვაობსაც გესვრის.
ხან ბროლის კომკმე შემოგვბამს ბედი,
ხან გაბზრიალებს, ვით შოლგი ჩიკორს,
მაგრამ ღიმილი და ცრემლის წვეთი
კვლავ იგივეა, რაც აღრე იყო

– **ქინჰარაული ალექსი** (1925 – 2012)

ფსევდონიმი – ლეკოთ წიქა.

დაიბადა შაგილში (ხევსურეთი). 1955 წელს
დაამთავრა მსსს-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის

კავკასიური ენების განყოფილება. 1958 წელს და-
ამთავრა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირ-
ანტურა და მუშაობა დაიწყო ლექსიკოლოგიის
განყოფილებაში. მას აქვს ენათმეცნიერული
შრომები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა და ენის,
ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ტექსტისა და ენის,
ქართული ენის დიალექტებისა და სხვათა შესახ-
ებ. გამოქვეყნებული აქვს გამოკვლევები „ვეფხ-
ისტყაოსნის“ ავტორის სადაურობის საკითხი-
სათვის. ლექსიკოლოგიის განყოფილებაში მუ-
შაობისას შეადგინა „ხევსურული ლექსიკონი“
(დაახლოებით 25 000 სიტყვა-სტაგია) და „ფშაუ-
რი ლექსიკონი“ (დაახლ. 15 000 სიტყვა-სტაგია).
ქართული პოეტური ფოლკლორის შენახენად
იქცა ალექსი ჭინჭარაულის მიერ გამოთქმული
კაფიები და სახალისო ლექსები.

ლემკოთი ჭინჭარაული

გურულები და სუფრაზე

ერთი უყურეთ გურულებს,
ჩემი დათობა სცადესა,
მეორე დღეა მასმევენ,
„ბაკლები“ გააკვლადესა.
საქმეს ვერ შევლის, ძმანებო,
თქვენნი წყალწყალა აღესა,
ეი პიგაური სჯობია,
სად ის არის და სად ესა.

– **ქინჰარაული ლალო** (1981)

დაიბადა თბილისში. 2006 წელს დაამთავრა
თელავის იაკო გოგებაშვილის სახ. უნივერსიტე-
ტის იურიდიული ფაკულტეტი. მუშაობს თელავ-
ის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში.
გამოცემული აქვს ლექსების კრებული – „კიდე-
ვაც ეხანავ ხევსურეთს“ (2008).

* * *

აღმოსავლეთით ცისკარი რომ
ხედება აღიონს,
დასახით ღვინო!
საქართველოს სადღეგრძელო
უნდა დავლიო!
ჩემი კახეთი, ჩემი შილადა,
ჩემი ხუბერა.
ყმაწვილკაცობის, იორლობის
წლებმა უბერა.
ძველი შუამთა, ალავერდი,
ჩემი თელავი...
წითელი კაბით ერთი გოგო,
გრძნობის მთელავი.

— **ჭიჭინაძე ნინო** (1978)

1995 წელს დაამთავრა სამგრილის 24-ე საშუალო სკოლა. 1995-2002 წლებში სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პროფესიით ექიმია. წერს ბავშვობიდან. არის ერთი პოეტური კრებულის ავტორი.

სმრბში მსმ6060

თარგმნა ნინო(ი) ჭიჭინაძემ

ნახვამდის, მეგობარო, ნახვამდის, ძვირფასო, აქ, ჩემს გულში ბინადრობ... ნიშნად გარდაუვალ შეხვედრის დაიქმულ განშორებას ვინატრებ. ნახვამდის, მეგობარო... დავსიგყვებით: ნუ წუხხარ და ნურც რასმე ინაღვლებ... ამქვეყნად არც სიკვდილი მაკვირვებს, ვერც ყოფნის გამოცეცხვას სიახლეს...

— **ჭიჭინაძე ლია** (1940)

პოეტი, ჟურნალისტი.

დაიბადა ცერონისში (ქარელი). სწავლობდა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მუშაობდა რამდენიმე ჟურნალ-გაზეთში, მათ შორის ცხინვალის ქართულ გაზეთში („საბჭოთა ოსეთი“), „საერთო გაზეთი“, „საქართველოს რესპუბლიკაში“ და სხვა. არის პოპულარული სიმღერის „გირიფების“ ტექსტის ავტორი (კომპოზიტორი – მურაბ მანაგაძე). გამოცემული აქვს კრებულები: „ჩემი სიყვარული მოგაბარე“ (1993), „შემომიწირავს გული“.

ტირიფქმბი

აღარც დაბნეული მძივი ვარ და აღარც მარცვალ-მარცვალ ვიკრიფები, ნუთუ არ გინახავს წვიმის ფარდა, ან გაცინებული გირიფები... მე გაზაფხულივით მოგეპარე და გაზაფხულივით შენში დავრჩი, ჩვენი სიყვარული მოგაბარე, ეს უნაზესი და თოთო ბავშვი ჩვენი სიყვარული მოგაბარე...

კიდეც ნისლიანი მთები მიყვარს, შენგან გათელილი ბილიკები, ასე ნეტავი რამ გააცინა თი, ეს გტირალა გტირფები... მე გაზაფხულივით მოგეპარე და გაზაფხულივით შენში დავრჩი, ჩვენი სიყვარული მოგაბარე, ეს უნაზესი და თოთო ბავშვი ჩვენი სიყვარული მოგაბარე...


— **ჭიჭინაძე გივი** (1934 – 1999)

მსახიობი, პოეტი.

დაიბადა თბილისში. 1957 წელს დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. 1957 წელს მუშაობდა დაიწყო სოხუმის თეატრში. 1960 წელს კი გადმოიყვანეს თბილისში, რუსთაველის სახ. თეატრში. გივი ჭიჭინაძე სამსახიობო მოღვაწეობასთან ერთად ნახევარი საუკუნე ემსახურებოდა საემანციპაციო ლიგერატურას. იგი ლექსებს ბავშვობიდან წერდა, მაგრამ მისი პოეტური ნათლობა 1955 წელს შედგა, როცა გამოაქვეყნა პირველი საბავშვო ლექსების კრებული. მას გამოქვეყნებული აქვს ლირიკული ლექსების ორი კრებული: „გამოღვიძება“ და „ნოემბრის ქარი“. მისი პიესები წარმატებით იდგმებოდა სხვადასხვა თეატრის სცენაზე.

სად არიან ფულიფაღის ღრო60

მზე მიწაზე ჩამოსახლდა, გაფხულია ბარში ახლა. – სად გაიქცა გაზაფხული? – გაზაფხული მთაში გახლავთ. იქ ღრუბლებთან დასიერნობს, ცაში დაჰქრის ფრთიან რაშით. – შემოდგომა სადღა არის? – იმაღება ჭურ-მარანში. – მამთარი კი, პაგარებო, მოქცეულა ძალზე ფრთხილად: ამღვარა და სიციხის შიშით მაცივარში ჩაკეტილა.



ალქსი ჭინჭარაული



ლალი ჭინჭარაული



ნინო ჭიჭინაძე



ლია ჭიჭინაძე

— **ჭიჭინაძე კონსტანტინე** (1891 – 1960)

დაიბადა სოფელ ხიმშიში (ამბროლაური).

სწავლობდა ოსუს-ს ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1924-1925 წლებში იყო ჟურნალ „მნათობის“ სტილისტი; 1908 წელს გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსი, 1924 წელს გამოიცა პირველი პოეტური კრებული. ნაყოფიერად მუშაობდა რუსთაველოლოგიაში. თარგმნა „ამბავი ივრის ლაშქრობისა“, „სიმღერა ნიბელუნგებზე“, დანტეს „ღვთაებრივი კომედის“ პირველი ნაწილი (კ. გამსახურდიასთან ერთად), ბაირონის, პუშკინის, ნეკრასოვისა და სხვათა ნაწარმოებები.

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ალექსანდრე პუშკინი

მონასტერი მშინეპარაზი

თარგმნა კონსტანტინე ჭიჭინაძემ მყინვარო, შიების ოჯახთა შვით, სამარადისო სხივების ფრქვევით, ბრწყინავს მეფური შენი კარავი, ღრუბლების მიღმა თავშემფარავი. ცივ სიმაღლეში ოდნავის ჩენით, იქ მონასტერი ირკვევა შენი, ვით კილობანი ცად აზიდული, ო, სანუკვარი შენი კიღური! ნეტამე შემეძლოს, დავაგლო ხევი, თხემი ვისილო თვალუწვენ მთისა და ყრუ სენაკში, ღრუბელთა შვით, გადავიმალო მეზობლად ღვთისა.

— **ჭაჭუარიძე ლომი** (1946)

დაიბადა ქუთაისში. 1968 წელს დაამთავრა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლად, ჟურნალ „განთიადის“ განყოფილების გამგედ, გამეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ლიტმუშაკად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ-თანამშრომლად, თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-მუშაკად, იყო თბილისის ილია ჭავჭავაძის სახ. უნივერსიტეტისა და დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტის პრორექტორი. პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1963 წელს გამეთ „ქუთაისში“. გამოცემული აქვს პოეტური კრებულები: „გაზაფხული“, „გადასხიდე ჩემი გულიდან“, „შემოდგომის გყე“, „ბედისწერის ნიშანი“, „მრავალბარდვას ფოთოლი მღერის“, „გარსკვლავებსა და

მცხეთის ჯვარს შორის“, „სამკაულები ამოვირჩიე“, „სანთლების ხეივანი“, „წვიმა მოთიბულ მდელოზე“, „სინათლე ბალახის ფესვიდან“. თარგმნილი აქვს ალექსანდრე პუშკინის, მიხეილ ლერმონტოვის, ევგენი ევგუშენკოს, პელა ახმადულინას, ნელი თარბას, ვანო თარბას, კონსტანტინე გერხელიას, რევაზ ასავეის ლექსები.

მაისი

მაისი განზე თეთრად მიმათოვს, მთენთავი სუნი ექნებათ კორდებს, ისეთი რამე უნდა ვინაგრო, – ახლენის ცოგა იმელი მქონდეს. ნეტავ სულ ასეთ სიმბრებს აფენდეს და აელვებულ ცისკრებით თოვდეს, ამგვარად სცემდეს გრფობა საფეთქლებს და ქარი ამგვარ სიგიჟით ჰქროდეს. დამეს ათევდეს და ვერც ათევდეს, სული სიცხიან ბავშვივით თრთოდეს, გრიგალმა ჩვენში დაბინადროს და სიერცე ღამამო ოცნებად გვფლობდეს... ისეთი რამე უნდა ვინაგრო, – ახლენის ცოგა იმელი მქონდეს...

— **ჭაჭუარიძე კობა** (1956)

მხატვარი, პოეტი, მთარგმნელი. დაიბადა თბილისში. გამოცემული აქვს ლექსების კრებული „მეფეთა წიგნი“ (2011) და პოეტური თარგმანების კრებული – „ჩემ სამშობლო საქართველო“ (2016).

დელა მინსა

წვიმებს, გერილებს და არაზანებს, ჭალებს, ჭჭერიკონად შეფერილებს და ცის საფირონში განაზავებს, ღრუბლებს, იალკიად შეფენილებს, გვირთებს რიონის და ალაზანის, ჭველებს, დარისთვალში ნაკულულებს, გიზად მოიბინე ბაზანებს, გვერებს, მადნარებს და დაბურულებს, ქედებს, ხარივრეთა საბალახოს, ქარებს, გეკარებს და საბარულებს, მთათა მოქათათე ჩაბალახებს, ბარში ნაკადულად გაპარულებს, კორდებს, ბოკერას და დალაუგას, ცვარნაშს, ბუნარებში მოციადეს, ბილიკს, ისარას და კაპიშუკას, ბექებს, პოლცომებს და ბორცვიანებს, ბადებს, თითოფერად აფეთქებულს, რუებს, ღირღილებს და შფოთიანებს,

კორტოსს, სამზისგულედ წაფერდებულს, ჳერესს, კარკალესს და ლოდინესს, კაბო ცისარტყელას, ცხრაფერქებულს, არმურს, ხევეუვებში ბოლიალას, სერესს, კირჩხალესს და ქონქონელესს, ჩხატესს, ბროლეულად ამტვერებულს და ჩვენს დედა ენას, მოსაფერესს, ერთად მოვეფერთო ქართველებო!

– ჟჳრნია ილია (1860 – 1940)


დაიბადა ოზურგეთში. 1877 წლიდან თანამშრომლობდა ქართულ პერიოდიკასთან, აქვეყნებდა ლექსებს, მოთხრობებს, ნარკვევებს; 1895-1898 წლებში მისი რედაქტორობით გამოდიოდა გაზეთი „მეურნე“ (იქვე დააარსა ქართული სტამბა სადაც მრავალი წიგნი იბეჭდებოდა), 1907 წელს – „სიმართლის გზა“; 1910 წელს შეადგინა და პეგერბურგში გამოსცა „სიგყვის კონა“, რომელიც წინასიტყვაობა დაურთო ნიკო მარმა; 1886 წელს მისივე რედაქტორობით გამოვიდა ვახტანგ შეექვისი მიერ სპარსულიდან თარგმნილი „ქილიდა და დამანა“; მან ქართულ ენაზე ამეგყველა პუშკინის, ლერმონტოვის, კრილოვ-

ის, ჰაინეს, სენკევიჩის ნაწარმოებები; 1913 წელს გამოსცა თხზულებათა „კრებული“.

– ჟჳრნია მჳჳელ (1860 – 1940)

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე, ხალხური მთქმელი.

დაიბადა სოფელ ქობულეთში (ქობულეთის რაიონი). ახლო ურთიერთობა ჰქონდა ა. წერეთელთან, ნ. ნიკოლაძესთან, ს. მესხთან, თ. სახოკიასთან და სხვა. თხზავდა სოციალ-პოლიტიკური შრომით, საწესჩვეულებო ლექსებს. პოპულარობით სარგებლობდა მისი პატრიოტული ლექსები, რომლებშიც იგი თანამოძმეებს განუმარტავდა პანთურქიზმისა და პანისლამიზმის რეაქციულ ბუნებას. იგი ეწეოდა საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურისა და საგანმანათლებლო იდეების პროპაგანდას, ხელს უწყობდა გამაჰმადიანებულ ქართველებში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას. 1918-1920 წლებში აჭარაში უცხოელთა ინტერვენციის დროს განიცდიდა დევნას. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ უმდეროდა ახალი ცხოვრების მშენებლობას.



გიგვი
ჭიჭიბნაძე



კონსტანტინე
ჭიჭიბნაძე



ლოლო
ჭჳზბჳრიძე



კობა
ჭჳზბჳრიძე



ილია
ჭჳრნია

ს

– საბავიშვილი სოლიკო (1935 – 1995)

დაიბადა თბილისში. 1953 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა და შემდეგ სპი-ს სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტი, მაგრამ ამ სპეციალობას არ გაჰყვოლია, კომკავშირულ-პარტიული საქმიანობით იყო დაკავებული, იყო ქუთაისის ქალაქკომის პირველი მდივანი, 80-იანი წლების დასაწყისში კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გახდა. 1987-95 წლებში, როგორც შემდეგ გაირკვა, უსაფუძველ ბრალდების გამო, რვა წლით აღუკვეთეს თავისუფლება და პატიმრობისას შექმნა ლექსები, რაც შემდეგ საფუძველად დაედო წიგნს სახელწოდებით „ციხის რვეული“, რომელიც 90-იანი წლებისათვის სრულიად უპრეცედენტო გირაჟით (30 ათასი) გამოიცა.

(ფრაგმენტები „ციხის რვეულიდან“)

* * *


ესაა ჩემი ბოლო აკორდი,
ბოლო სიმღერა, ლექსი თუ სხვა რამ,
რითაც მე გულში ხანძარს ვაქრობდი,
ვეომებოდი მე სულში წკვარამს.
სიმართლეს მერე ვიღაცა იცვავს,
ჩემს მარტვილობას ჩამოხსნის ნიღაბს,
მაგრამ ვაივებს ჩემს ტკივილს ბრიყვი,
ისეთი, ადრე თვითონ რომ ვიყავე?!

* * *

ბელურა დილით ჭიკჭიკებს ლოცვებს
და ჩემს სარკმელზე დახტის და ცქმუტავს,
ეაღერსება რკინის გისოსებს,
ჩემს ყარაულებს და სულთამხუთავს...
რას მეუბნება, რა ამბებს აქსოვს,
რამე ეღურტულებს, არა მესმის რა,
გაღვიძიე, რომ მითხრა, მახსოვს, –
თუ დამესიმმრა?



სოლიკო
საბავიშვილი



ალაზა
საიაშვილი

– საიაური ალაზა (1936 – 1997)


დაიბადა დღუღუზურებში (თიანეთი). გამოცემული აქვს კრებულები „მრავალკამიერი“ (1971), „მამულს სიმღერას ვურანდავ“ (1998).

* * *

ცოგაა წუთისოფელი
სიფრთხილე უნდა ცოგასა,
ნეგავ მას, ვინც არ წაიღებს
საფლავში არც ერთ ცოდვასა...
რაა იმაზე სიკვდილი
ცოცხალს ეთქმოდეს – მკედარიც,
იარე იორივითა –
შმორდება გუბედ მღვარია...
რად ჩნდება ვისი სიცოცხლეც
სიცოცხლეშივე მჭკნარია,
ბევრ ღირსეულს კი უღროოდ
ერგო სამარის კარია...
სამყარო არის საგახგო,
სიცოცხლე მეფედ მჯდარია,
ღღე-ღამის ესხმის ფოთილი –
ჰყავს საუკუნეთ ჯარია,
იქ ვერ გვარობენ ყორნები
სადაც არწივნი არიან!

– ხალვაში ფრიდონ (1925 – 2010)

დაიბადა სოფელ გეგელიძეებში (ქედა); პირველდაწყებითი განათლება მიიღო სოფელ ცხმორისის შვიდწლიან სკოლაში, 1938 წლიდან კი სწავლა განაგრძო ბათუმის პოლიტ-საგანმანათლებლო სასწავლებელში. 1941-49 წლებში ცხმორისის სასოფლო კლუბის გამგედ და ამავე სოფლის სკოლაში მასწავლებლად. 1950 წელს დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, 1957 წელს კი – მოსკოვის მაქსიმ გორკის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული უმაღლესი ლიტერატურის კურსები. მისი პირველი



ფრიდონ ხალვაში

ლექსი 1943 წელს გამოქვეყნდა, 1948 წელს კი – პოეტური კრებული „გზის ქვეყანაში“. იგი 50-მდე წიგნის ავტორია, რომელთა შორისაა: „ჭორხის ხვამილი“, „საყვედური“, „გენაცვალე“, „ეს დღე“, „ღარი“, „ასი მზე დედის გულისა“.

* * *


მითხარ, როგორაა მემლექეთი, ჩემი სანაგრელი საქართველო, რამე იმნაირი გამაგონე, გული დაკოდილი გავამთელო. მითხარ, როგორაა მემლექეთი, მე სულ მისი ფიქრით დავილიდი, ახლად დავიბადე, თბილისიდან სმა რომ დავიჭირე რადიოთი. კაი მექართულე ვეღარა ვარ, მაგრამ სული მიღუღს იმოდენა, რომ შიგ სიგყვა მარად მშობლიური, როგორც გაზაფხული, იგოცება. მითხარ, როგორაა მემლექეთი, მხეთა, ქობულეთი, კახაბერი, იგი ნიადაგ თუ არ ვახსენე, მაშინ ერთი წუთიც დამაბერებს. ლუკმა არ მაკლია, მართალია, მაგრამ სამშობლოთი დარიბი ვარ, აი, ამნაირად, უსიცოცხლოდ, მთელმა სიცოცხლემაც გაირბინა. მითხარ, როგორაა მემლექეთი, აქ ჩვენ არ გეგონოთ ჩამქრალები, იმითის ეგეოსის ნაპირებზეც ვაგეთ საქართველოს სახლკარები. მითხარ, როგორაა მემლექეთი, ჩემი სანაგრელი საქართველო, რამე იმნაირი გამაგონე, გული დაკოდილი გავამთელო.

– **საკრივილი გულნაზი** (1950)


დაიბადა სოფელ ხვანში (საჩხერე). არის ქუ-რნალ „ათინათის“ რედაქტორი. ჯუმბერ ლეკა-ვას სახელობის მუნიციპალიტეტის მრავალპროფილი-ანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი.



გულნაზი
საკრივილი



ბესიკ სარანაული



ბორის
სარანაული

გამოცემული აქვს ლექსების კრებულები: „შენ მენაგრები“ (2006), „მგის მკლავებში“ (2012), „ფიქრის ხეივანი“ (2017).

იმერეთში

ვოცნებობდი, ლექსის წერა მომენატრა, ღვთიურ გრძნობამ ამიძვერა საწყალს გული, ფიქრებმა კი ხვალის მთები მომანატრა, დამანახა ჩემი კუთხე დახატული. იქ აკაკის ნაგერფალი შემეგება, ვხედავ მგოსანს, სიყვარულით ღამენათევს, სტუმრისათვის ჭიქა ლულის შეგება მწვევია და ამას ვერვინ ვერ წამართმევს. წლები მიქრის... დამათოვა ჩუქად თმაში, სიბერე კი დაჭიხინობს დამაფრული. თამადა ვარ სიყვარულის გამოხსნაში, იმერეთში სხვაფერია გაზაფხული.

– **სარანაული პენსია** (1939)

დაიბადა თიანეთში. 1962 წელს დაამთავრა ოსუს-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1963-1967 წლებში მუშაობდა გამომცემლობაში – „ლიტერატურა და ხელოვნება“ – უმცროს რედაქტორად, შემდეგ, 1967-1972 წლებში, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ რედაქტორად, ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში იყო განყოფილების გამგე. 1972-1998 წლებში – რედაქტორის მოადგილე, 1999 წლიდან გამომცემლობა „ნაკადლის“ დირექტორი იყო. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1954 წელს, ლექსების პირველი კრებული გამოსცა 1968 წელს. საყოველთაო აღიარება მთიანეთის მისმა გამოცემებმა: „წიგნი ამბა ბესაგრიონისა“ (2003) და „ყვავი ხის წვერზე ისაღამოებს“ (2016). გარდა ამისა, გამოქვეყნებული აქვს შემდეგი კრებულები: „ხეივანი თოჯინა“ (1973), „შუადღის წიგნი“ (1991), „აგონიური“ (1991), „მიკარნახე, ანგელინა“ (1995), „ორივე ფურცელი ცის და მიწისა“ (2005), „ეპიგრაფები და ვიწებულე სიმბრებისათვის“ (2005), 100 ლექსი (2007), „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი“ (2010), „ლექსები, პოემები - 1954-2005“ (2012).

თარგმნილი აქვს არაერთი უცხოენოვანი პოეტიკის ლექსები ქართულად. 2010 წლის ოქტომბერში წარდგენილ იქნა ნობელის პრემიაზე ლიტერატურის დარგში.

* * *

სად არიან შვილები, შვილები სად არიან,
გავალ, გავიხედები, არ არიან, ქარია.
სად არიან შვილები, მე რომ მოგაბარე,
გავალ, ავეძრახები, არ არიან, ქარია.
საქართველო აქროლდა, ვით ფოთლებში ქარია,
სად არიან შვილები, ქარია, არ არიან.
სად არიან ვეფხვები, ლერწმანში არიან,
ლერწმანში ქარია, ვეფხვები არ არიან.
ჩემი მკვდარი კი არა, შენი პატიმარია,
მეველ, ციხე გავგეხე, არ არიან, ქარია,
გოგო, ბიჭი გიყვარდა, თქმა ვერ მოასწარი,
გმაზე გამოვიკიდე, არ არიან, ქარია.

ეშმაკს ერქვას სახელად, ვინც მე ხელი დამრია,
სად არიან შვილები, შვილები სად არიან.
იმით სახელობაზე ხე მაინც ახარე,
იმ ხესაც ხომ შენ დასწვავ, შენი მოსახმარია,
საქართველო, მითხარია, ნუთუ მხოლოდ ქარია,
სად არიან შვილები, შვილები სად არიან,
გავალ გავიხედები, არ არიან, ქარია,
საყელოზე მოგწვდები, შვილები სად არიან.
არ არიან შვილები, საქართველო ქარია.
ქარია საქართველო, შვილები არ არიან.
დღე არი, არ არიან, დამეა, არ არიან,
ქარია, არ არიან, არ არიან, ქარია...

– სარანაული გორა (1964)

დაიბადა თბილისში. 1981 წელს დაამთავრა 61-ე საშუალო სკოლა. 1984 წელს ჩაირიცხა ოსტრის ფილოლოგიის ფაკულტეტზე და იმავე წლის ნოემბერში გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, საიდანაც 1987 წელს დაბრუნდა და გააგრძელა სწავლა. პირველი ლექსი დაბეჭდა ჟურნალ „ცისკრის“ დამატება „ნობათში“, მას შემდეგ იბეჭდება სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში; პირველი კრებული – „ვეძებ სამშობლოს“ – გამოსცეს მისმა მეგობრებმა 2014 წელს.

დღეა

სიყვარული დავუფარეთ
შემოქმეულ ლახვარს,
ვაი იმას, ვინც შეიღობით
დღის მანდილს ლახვარს!
შეაჩერებს ბოროტ ქარებს,

ლოცვით განამტკიცარს,
ღმერთო! დედა დაიფარე,
იყოს ჩემი მგრისაც!
ბესთა კელაპტრების ღვეთი,
ზევენახთა რთველი!
ანგელოზი ერთადერთი,
ხორციელად მსველი!
და სამყარო მრავალფერი,
დღეს, ხვალე თუ წინათ...
დღის სიყვარულით მღერის,
დღის მშვენიერ ბრწყინავს!
...და მზე ფეთქავს დღის გულით!
დღის ფიქრი ბურავს,
დღის კალთას გამობმული
დღეამიწა ბრუნავს!

– სარჩილაჟა ვახტანგ (1948)

დაიბადა სოფელ ობუჯში (წალენჯიხა). 1977 წელს დაამთავრა ოსტრის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1966 წლიდან აქვეყნებს ლექსებს, თარგმანებს, კრიტიკულ წერილებს. მას ეკუთვნის პოეტური კრებულები: „ალგერნაგია“ (1979), „ხმები“ (1984), „ზღურბლი“ (1985) და სხვა. სხვადასხვა დროს მუშაობდა „ცისკარში“, „ნობათში“, გამოქვეყნებული „მერანში“, აღმანახ „კრიტიკაში“, „დღის გაზეთში“. არის „საერთო გამეთის“ მთავარი რედაქტორი.

სიტყვები

მე იმ ერთადერთ სიგყვას დავეძებ,
ის ერთადერთი სიგყვა მიშველის,
სიგყვა, ბგერებით გამოუთქმელი,
ლექსიკონებში აღუნიშნელი.
რასაც ვერ დაშლის გრამატიკოსი,
ფუძელ, თავსართად, თემის ნიშნებად.
სიგყვა, რომელიც არ გაიყოფა
და მარცვალ-მარცვალ არ დაიშლება.
სიგყვა, რომელსაც სიგყვით ვერ ახსნი,
სიგყვით ვერ იგყვი და ვერ გამოთქვამ.
სიგყვა, რომელიც შედგენილია,
დღის შუქიდან და სადამოდან.
ის, ჩვეულებრივ, სიგყვების შუა
დღეს პაუზად და მრავალწერტილად.
დაბერებულან ჩვენი სიგყვები,
როგორ დაღლილან და გაცვითილან.
ვერ შეისწავლი მათ ფონეტიკით
და ვერც წერილად მისწერ გულისწორს.
ეს ის სიგყვაა სმამალა თქმული
სიგყვების იქით რასაც ვგულისხმობთ.
მე იმ ერთადერთ სიგყვას დავეძებ,

ის ერთადერთი სიგყვა მიშველის, სიგყვა ბგერებით გამოუთქმელი. ლექსიკონებში აღუნიშნველი.


— ხარხელაური გარიჟალ (1944)

ღაიბაღა სოფელ სიმონიანთხევეში (თიანეთი). სწავღა ღაიწყო ამავე სოფლის სკოლაში, ლექსებს წერს მე-5 კლასიღან. სკოლის ღამთავრების შემდეგ (1964 წ) გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, იქიღან ღაბრუნების შემდეგ, ერთხანს მშობლიურ სოფელში ეწეოღა სამეურნეო საქმიანობას, 1975 წელს კი წავეღა ცხვარში მეცხვარედ. 1977 წელს ჩაირიცხა ოსუს-ს ფილოლოგიის ფაკულტეტზე. გარიელ ხარხელაურის ლექსების პირველ კრებულს ერქვა „წყალი საკალმახე“, რომელიც 1978 წელს ქუთაისში ღაიბეჭღა; 2008 წელს ღაისგამბა მისი ლექსების ღა პოემების წიგნი „მინღვრის ფსალმუნები“, 2012 წელს კი გამოსცა კრებულები: „წუთისოფლის სიმფონია“ 100 ლექსი..

ნისლებს მთის წვერზე ვალაგებ, ვროთავ საპაგარძლოდ ღამესა, ორწყალთან მე ღა არაგვი სასიძოდ ველით მთვარესა. გამონღა, მუქი მოჭფინა ახლად ჭირხღაღაყრილ ჭალეღსა, ეს რა პაგარა ყოფიღა, არ ვუკერებღი თვალეღსა, ვწყებოღი, გასათხოვებღად ვერ ვიბეგებღი ღამესა. გამონღა გუნღი ვარსკვლავის, გულზე გვირგვინად ღაელო, ყვეღა იქ იყო, ვისაც კი მთვარის ქორწილი გავეო. ჩვენს შევხვღი, როგორც წესია, რიგშიც ღაღექით იმგვარად, ორნი ვართ - მე ღა არაგვი აქ საპაგარძლოს მხრიღანა.



ვახტანგ სარიკიღაღა



ხარხელაური გარიჟალ

მთები კვლავ იღვნენ პირქუშად მკერღზე ღაყრილი მკვლავებით, თითქოს ვიღაცას ვგვროღი, ვიღაცას ვსაფლავებღი. წარბშეკვრით იღვნენ მღუმარნი, ჩრღილებს აწყობღვნენ გზაზეღა... ღა იღვნენ, როგორც ხნიერნი გაბოტლები ბანზეღა, ჩაფლუნნი თავის ფიქრებში, არ მოგვირახნი სხვამეღა. ჩვენს მივიციღიღი სასიძო ჯვარგამოსახულ ხმიადღი ღა რომ ვერავის გავეო უჩუმრად გამოეგრიადღი. ორ წყალთან ღაღეღი ერთმანეთის შინაგან მრწოღიღი ვზარავღი, მე წავედ ჩემი ბილიკით, თავისას ჩაჭყვა არაგვი. თუ ყვეღას არ ემღერება, იქ სიმღერის თქმა არა ღირს.

— სასაია თბა (1975)

ღაიბაღა მუგდიღში. 1992 წელს ღაამთავრა მუგდიღის ეროვნულ-ექსპერიმენტული სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა სოსუქის ივანე ჯავახიშვილის ფიღიადღი, ფილოლოგიის ფაკულტეტზე. შემდეგ სწავღა მუგდიღის ღამოუკიდებელ უნივერსიტეტში გავრძეღა, რომელიც იმავე 1992 წელს წელს გაიხსნა. ბავშვობიღან წერღა ლექსებს, ადგილობრივ გამეტებშიც ღაიბეჭღა. მერე იყო 20 წლიანი პაუზა, ემიგრაციაში კი მუზა ახალი სიმღავრით ეწვიღა. მისი ლექსები ღაიბეჭღა „ლიგერატურულ საქართველოში“, ჭურნალ „ხორნაბუჯში“, „ლიგერატურულ მესხეთში“, ჭურნალ „გზავარღინში“, ოცგომეულ „მზის არიღის“ ათ გომში, ინგასუბანის ლურჯ კრებულში ღა სხვა. საკუთარი კრებული ჯერ არ აქვს ღა ფიქრობს, უახლოეს მომავალში აიხღინოს სურვილი ღა ოცენებაც.

ქარს არ ვუფროსოღი ერთ ღროს, ახლა ნიავიც მყოფინს, როგორ ღაღელიღვარ, ღმერთო, აღამიანად ყოფინთ. სულის მზე ავა-ჩავა, მიმძიმს ჭურჭელში თიხის, ვერ ვუგებ ავანჩავანს ამ ცხოვრების, არც მიღირს. ცოღვიან ფიქრებს უცებ

ვაფარებ ლოცვის კარვებს,
 ხანაც ცოდვის მგლებს ვუვკვ
 სულის უმანკო კრავებს.
 თუ გულში არ ხარ, ერთობ
 ვგავარ უსულო საგნებს,
 ვიცი, ყველგან ხარ, ღმერთო,
 მაინც, ვედარსად გაგნებ.
 ვერ დაგიუნჯე განძი,
 გიხმობ დიადს და შორისს,
 ამოღ ვეძებ განცდით
 აღამიანთა შორის.
 ბალღამს ვხაპავდი ერთ ღროს,
 ახლა წვეთიც კი მყოფნის,
 როგორ დავღლილვარ, ღმერთო,
 აღამიანად ყოფნით.

– სახანია ია (1965)

დაიბადა მუგლიდში. 1989 წელს დაამთავრა
 ოსმის ფილოლოგიის ფაკულტეტი, თარგმანის
 სპეციალობით. პირველ პოეტურ ნაწარმოებებს
 ჯერ კიდევ მოსწავლეობისას აქვეყნებდა ქარ-
 თულ ჟურნალ-გაზეთებში, 1989 წელს გამოცემულ
 ტარას შევჩენკოს ლექსების კრებულში კი შეე-
 ღიდა მისი თარგმანი, მას შემდეგ არაერთი ლექ-
 სი და თარგმანი გამოაქვეყნა „ლიტერატურულ
 გაზეთში“. არის სამი პოეტური კრებულის ავტ-
 ორი: „ლექსმა თქვასო“ (2002), „სულ... მო...
 სათქმელად (2017), „იყო... არადა“ (2019)

* * *

მზე იღვენთება თასიდან ვერცხლის,
 სიცოცხლეს კინძავს ჩიტი-კონია,
 საგალობელი ბუღეში მერცხლის
 აპრილის დილის ტიპიკონია.
 ნამის ჭინჭილებს ცლიან ლენებში,
 მღელო იისფერ ნიავს ავანებს,
 მზე-დარიჩინის სანელებლები
 შეფოქებია იასამანებს.
 იმ ჩიგის მსგავსად მეც ბუღეს ვიწყობ,
 მაგრამ ვერ ვწვდები, სადაც მე მინდა...



თამა
სახანია



ია
სახანია

დასასრულიდან რაღაც დაიწყო.
 რაღაც დასრულდა დაბადებიდან...
 ვიდრე ზამთარი ისე შემსუღრავს,
 ამომბქარგავს გულის საშირეს,
 ვიგყვი, შენს ედემს ასჯერ შესულმა
 ერთხელ ხომ მაინც გავიპაპრილე...

– საზისაიხი ნანა (1931 – 2001)

დაიბადა თბილისში. 1954 წელს დაამთავრა
 შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური
 ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი; 1954-57
 წლებში მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფი-
 ლმში“, 1958-60 და 1995-2001 წლებში იყო თელ-
 ავის თეატრის რეჟისორი, 1964-88 წლებში სპექ-
 ტაკლებს ღვაძლა რუსთაველის სახელობის თე-
 ატრში, ვადალბული აქვს რამდენიმე კინოფილმი,
 1963 წელს გამოვიდა მის მიერ თარგმნილი ფედ-
 ერიკო გარსია ლორკას რჩეული ლექსების
 კრებული, ხოლო 1995 წელს – საკუთარი ლექსე-
 ბის კრებული. 2014 წელს ლორკას ლექსების
 ნანა ხატის კაცისეული თარგმანები ხელმოწერულ
 დაიბეჭდა.

ფემინიზმი გარსია ლორკა
დალპრილი სისხლი (ფრაგმენტი)

თარგმნა ნანა სატიხაძე

არა, არ მინდა, რომ დავინახო,
 რა მეწამული ამოდის მთვარე...
 ო, შეაჩერეთ სისხლის მდინარე,
 იქ იგნახიო ქვიშაზე გდია, –
 არა, არ მინდა, რომ დავინახო!

* * *

მას საუკუნო ეწვია ძილი,
 ის შეეფარა ხავსსა და ბალახს
 და ეხებიან თითები ფრთხილი
 მის თავის ქალას – სისხლიან ყვავილს.
 მწვანე ბორცვებზე, მწვანე ველებზე
 იღვრება სისხლი, როგორც სიმღერა,
 იღვრება სისხლი, როგორც სიმღერა,
 ხან გუბებს ბაძავს, ხან მღვას ეღვრება...
 ო, შეისმინეთ ჩემი ვედრება!
 არ შემოდია, ვერ ვუმგერ, ვერა.
 და ესპანეთის თეთრ კვლავს შორის
 შავი ხარების ყრუ გმინვა მიწყდეს –
 ამ დაკაფულმა სისხლის ძარღვებმა
 ბუღბუღებივით გალობა იწყეს.
 არა, არ მინდა, რომ დავინახო...
 ველემო! აღარ მაჩვენოთ ვარდი წითელი,
 ღრუბლებო! ეს მეწამული დამალეთ მთვარე.
 მთებო, ო! ო, შეაჩერეთ სისხლის მდინარე,
 ო, არა! არა! არ მინდა, რომ დავინახო.

— **ხახანაშვილი ალექსანდრა** (1866 – 1912)
ფსევდონიმი – ს.პავლიაშვილი.

დაიბადა გორში. 1884 წელს დაამთავრა გფი-ლისის გიმნაზია რის შემდეგაც სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტზე. 1889 წლიდან პრიაგ-ლოცნგის ხარისხში კითხულობდა ლექციებს ლაზარევის აღმოსავლური ენების ინსტიტუტში ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ხოლო 1900 წლიდან – მოსკოვის უნივერსიტეტში. ა. ხახანაშვილმა შექმნა ქართული ლიტერატურის პირველი სისტემური კურსი ნაშრომით – „ქართული სიტყვიერების ისტორია“ (ტ. 1-4, 1895–1907). მისი ინიციატივითა და მაგნიტარული დახმარებით 1911 წელს მოსკოვში „ქართული მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოება“ ჩამოყალიბდა. სულ გამოცემული აქვს 80–მდე ნაშრომი საქართველოს ისტორიის, ლიტერატურისა და ეთნოგრაფიის დარგებში, ქართულ, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. მწერალ დავით კასრაძის ცნობით, ა.ხახანაშვილი დაინტერესებული ყოფილა იმით, რომ „თანამედროვე ქართულ პოეზიაში რიტორიკული ლექსები არ არსებობდა და ამ მიზნით დაიწყო მას ლექსების წერა“. მას ს.პავლიაშვილის ფსევდონიმით მას ლექსები გამოუქვეყნებია გაზეთებში: „კოლხიდა“ (ქუთაისი) და „კვადი“.


დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ცრემლი

ენებად რა მართალს, უბრალოდ დასჯილს, –
ლონე არ შემწვევს მის საშველათა,
მაშინ მღელვარე ცრემლი გადმომდის
და აბას ვიხდი განჯვის წამლათა.
თუ მომავალსა თვალს გავუსწორებ,
აზრი მერევა იმედ-მხილსა,
აჩქროლებული, გულამოსკენილი
საოხათ ვაფრქვევ ცხარე ცრემლებსა.



ნანა
სატიცკაცი



ღანიშვილი
სახინაშვილი

წარსულში ვეებდ სევდის მაღამოს,
მსურს მოგონებით სულს მივცე შეგბა,
ამათი! იციე შავს მოლს მოუცვას –
ცრემლი ნაკადული ვულს მომაწვება.
რაკი ბუნების მშვენიერებაც
აღარ აყუჩებს მოსუელ გალდას, -
მაშინ უფალსა მუხლ-მოღრეკილი
ცრემლით ვევედრი ჩემს შებრალებას.

— **ხახანაშვილი ღანიშვილი** (1925 – 2015)

პოეტი, საზოგადო მოღვაწე.
დაიბადა და ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა ზემო რაჭაში, ონში. მისი ლექსები, რომელთა ძირითადი თემატიკაც საქართველოს, მშობლიური კუთხის, ქართველი ხალხის სიყვარულია, სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ, შემდგომ კი – ისრაელის ქართულენოვან პრესაში. 1970 წელს დაიბეჭდა მისი ლექსების პირველი კრებული – „მოლოდინი“. ღანიშვილი ხახანაშვილი 33 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ონის რადიომაუწყებლობას, აქტიურად იყო ჩართული მრავალ საზოგადოებრივ საქმეში. საქართველოს და ისრაელის ხალხების 26-საუკუნოვან მეგობრობაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით. გამოცემულია მისი ლექსების 12 კრებული. 80 წლის იუბილის აღსანიშნავად ისრაელის ქალაქ ბერ-შევას მერიაამ მისი რჩეული ლექსების ერთგომეული გამოსცა. პოეტური კრებულების გარდა, მას ეკუთვნის ილუსტრირებული პაგარა წიგნიც „ქართული ებრაული ცხოვრება აშკელონში“. პოეტის უკანასკნელი სურვილით, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, ქუთაისისადმი მიძღვნილი მისი ლექსი (ეურნალისგ ალეკო შენგელიას წინასიტყვაობით) გამოაქვეყნა იმერეთის რეგიონულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა გაზეთმა „ოსტკარი პეკუმა“; დაკრძალულია ქალაქ ბერ-შევაში. ონში გახსნილია ღანიშვილი ხახანაშვილის სახლ-მუზეუმი.

შოდა

ხან ცისარტყელას ლურჯი ქამართ,
ხან მოელვარე მშის გაშლილ დროშად,
ყალყზე შემდგარი ლომის ფაფართ
თაგზე დამყურებს აბაყი შოდა.
ახლოს ვარ – მისი მშვენი ვითვრები,
შორს ვარ და – მაინც ოცნებით მოჩანს,
ჩემი ფრთები და ჩემი მგირთები,
ჩემი სიმაღლე – ეს არის შოდა.
მიგომ ამ მთების მონაბერია

ყველა ლექსი და ყველა რაშოვდა,
შოლა – ეს ჩემი ევერესტია,
ჩემი სიმღერა – ეს არის შოლა!

– საჯიშვილი ქაქუნა (1957)

დაიბადა სოფელ წყავროკაში (ქობულეთი). 1974 წელს დაამთავრა წყავროკის სამ. სკოლა, 1983 წელს – ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ლიტერატურული წრის ხელმძღვანელად, აჭარის გლეხადიო კომიტეტში კორესპონდენტად, აჭარის მწერალთა ორგანიზაციაში ჯერ მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბუროს ინსტრუქტორად, შემდეგ კი მწერალთა კავშირის რედაქტორ-კონსულტანტად. ავტორია ჩანახატებისა და პუბლიცისტური წერილებისა. 1975 წელს ეურნალ „ჭოროხში“ ფრიდონ ხალვაშის წინასიგყვაობით დაიბეჭდა მისი რამდენიმე ლექსი. ეუქუნა საჯიშვილის პირველი პოეტური კრებული „ყვავილობა“ 1978 წელს გამოიცა, ბოლო – „კოლხური დიადემა“ 2017 წელს. სულ რვა წიგნის ავტორია. 1995 წლიდან ქართულად თარგმნის მარინა ცვეტაევის ლექსებს. 2004 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ცვეტაევის მისეული თარგმანები. მომზადებული აქვს გამოსაცემად მარინა ცვეტაევის ოთხმოცი საუკეთესო ლექსის თარგმანები.

სიმარტოვე

ახლა გრძნობა ისე ხალასია,
როგორც შენი სულის სიხატოვნი,
აღბათ, მარგოობაც ლამაზია,
როცა ღმერთის სწორი მიგატოვებს.
ღღეებს უსასრულო სევდად მიაქვს
შენგან განწირული ნაგვრის გლოვა,
აღბათ, სიყვარულზე სპეტაკია,
ასჯერ სპეტაკია სიმარტოვე.
ერთხელ კიდევ, ჩემო სალოცავო,
რამე გასაოცრად წმინდა მთხოვე,
მოდი, ერთხელ კიდევ გამომცადე,
კიდევ გამწირე და... მიმატოვე!

– ხეთაბური მზია (1946)

პოეტი, მსახიობი, თეატრმცოდნე. დაიბადა ცხინვალში. მეშვიდე კლასამდე სწავლობდა ცხინვალის ერთ-ერთ სკოლაში, შემდეგ კი თბილისის ნიჭიერთა ათწლედი დაამთავრა და სწავლა განაგრძო თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე, მუშაობ-

და ცხინვალის და ქუთაისის თეატრებში მსახიობად. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1968 წელს გაზეთ „საბჭოთა ოსეთში“, იმავე წელს დაიბეჭდა მისი ლექსები ეურნალებში: „საქართველოს ქალი“ და „ციცკარი“. გამოცემული აქვს არაერთი პოეტური კრებული, მათ შორისაა: „საახალწლო ნაძვის ხე თებერვალში“, „ციცარტყელა ჩამომიგზავნეთ“, „ეთერშია გულახდილობა“, „სიყვარულის პირამიდები“, „კოცნის ანაბეჭდები“, „შეცდომებით სავსე რვეული“, „სიციცხლე, როგორც დანაშაული“, „100 ლექსი“ (2012), „ღამის დარაჯი“ (2016), „უფლების უფლება“ (2018); არის რამდენიმე დრამატურგიული ნაწარმოების ავტორი, ეუქვა ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობასაც; თარგმნილი აქვს პიერ ბერანტეს, მარინა ცვეტაევის, სერგეი ესენინის, ანდრეი ვოლნსენსკის, ბელა ახმაღლინას და სხვათა პოეტური ქმნილებები, სინტერესოა, ავრეთვე მის მიერ თარგმნილი ყოფილი სსრკ-ს მოკავშირე რესპუბლიკების პოეტების ლექსები.

* * *

თუ ბედი ერთხელ შენც გავიღიმებს,
შევიმსუბუქებს ფიქრებს გვირთიანს,
გულს სიამაყით ნუ გავივებ –
ყველა დიმილი დროებითია!
თუ მითითებით არიგებ სოგბას
და შენი აზრი ფეხზე ჰკიდიათ –
შენ სამუდამოდ დარჩები მონად,
მიმითებული დროებითია!
თუ შეუჯახე შეგობრის დიადაც,
როცა ორიდან ერთი ფლიდია,
მაგ ურწმუნობით მშვს ნუ შებღალავ –
ფლიდის ზემივც დროებითია!
თუ შეიყვარე, თუ გააღმერთე,
სხვა ყველაფერი შენთვის მითია, –
თავს მომავალში ნუ გაიმეტებ,
ეგ აღზევებაც დროებითია!
თუ ამამალღეს, თუ გამამართლეს
და მზე თვალებში ცეცხლად მინთია,
ნუ შეგშურდებათ ჩემი აღმართი,
რადგან აღმართიც დროებითია!
ნუ აარიდებ თავს ბედისწერას,
როცა სიცოცხლის ღღეებს ვითვლიან,
თუ ფეხის დაღვმა შეპბეღ მწვერვალს,
მაშინ სიკვდილიც დროებითია!

– ხელაია ნაზი (1950)

პოეტი, მკვლევარი, უმაღლესი სკოლის პედაგოგი. დაიბადა ხონში. 1968 წელს დაამთავრა

ხონის პირველი საშუალო სკოლა, 1973 წელს – ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალიზაციაში. 1986 წელს მონოგრაფიისათვის „იოსებ ნონეშვილის ლირიკა“ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება მიენიჭა, 1998 წელს – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორისა ნაშრომისთვის „გალაკტიონის ლექსის მუსიკა“. წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების და პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში, იყო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის, გრიგოლ რობაქიძისა და სხვათა შემოქმედების შესახებ. გარდა სამეცნიერო წიგნებისა, ნაბი ხელაია ავტორია 30-მდე პოეტური კრებულისა: „ვის ახსნა ჯაჭვი“, „ამორძალის ლოცვა“, „სული ღმერთს, გული სამშობლოს“ და სხვა, სამწარწილიანი რომანისა „თეთრი ხილვები“.

– **ხელაშვილი მინა** (1900 – 1925)

დაიბადა სოფელ ახალში (დუშეთი, უკანაფშავი). იყო 1920-იანი წლების ანგისაბჭოთა პარტიზანული მოძრაობის მონაწილე და „შეფიცულთა რაზმის“ წევრი; 1922-1924 წლებში მონაწილეობდა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ქაქუცა ხოლოყაშვილის მეთაურობით მოწყობილ შეიარაღებულ გამოსვლებში ფშავსა და ხევსურეთში. გავრცელებული ვერსიით საკუთარი დაბადების დღეს, 25 წლის ასაკში, მოკლა საბჭოთა ხელისუფლების მიერ მოსყიდულმა მეგობარმა. სხვა ვერსიით დაიღუპა დუშეთის მილიციის რაზმთან შეტაკების დროს. საბჭოთა პერიოდში ხელაშვილის ლექსები იბეჭდებოდა ხალხური პოეზიის ანთოლოგიებში ავტორის მითითების გარეშე. ავტორია პოპულარული ლექსისა „ლექსო, ამოთქომ ოხერო“, რომელიც მეპირად ვრცელდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში,

კერძოდ მის მშობლიურ ფშავში.

ბუნძბა

ეს ოხერ ბუნების ძალა, საიდან სადა ჰყვებაო, ვერც ბრძენთა მისთვის ქება თქვეს, ვერცრა მე გაზევებაო. მოდის ზამთარი, ზაფხული, თოვლი და მიწა ზედაო, ზოგთად ოქროდ ღირს ქვეყანა, ზოგთად კი – აღარც ბზედაო. ოხერის საწერტოსავან სუყველა დაიცდებაო. მხოლოდ ეს მთები მაკვირვებს, სულ მუღამ ცას აჰყურებენ, და ნისლი – ფიქრნი ღვითურნი, სულ მათს გარშემო რგულობენ, და ქარნიც ღვითვ მონაბერნი მთის გულ-მკერდს დაჰბურბურებენ, სულ განუწყვეტელ ზღაპარსა ეგყვიან, დასურნულებენ. ცა თავის წვესა ასრულებს, თავისსა მზე – მთვარიანად, და დედამიწა თავისას, მღუმარებს მთა-ბარიანად.

– **ხარბიანი მირიე** (1943)

მისი პირველი ლექსები 1962 წელს გამოქვეყნდა **მსსს**-ს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი-ში“, პირველი მოთხრობა „თეთრი მწვერვალი“ კი – 1963 წელს ჟურნალ „პიონერში“. მას შემდეგ მისი ნაწარმოებები – რომანები, მოთხრობები, ლექსები, პუბლიცისტური სტატიები, მხატვრული ნარკვევები და თარგმანები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

* * *

ეს რა სვედის ცა არი, ეს ცა სვედის ცა არი, არა - ჩვენი ბავშვობის... ყველაფერი უცნაოდ და თვალდათვალ დაგვმორდა. მემზანება ვან-გოგი, სვედის ბორინაყებში...



შუშუნა
საჯიშვილი




მზია
სამთაგური



ნანი
სველიაი



მინა
სველაშვილი



მირიე
ხარბიანი

რუსთაველზე გოლებთან ეშხით მონინაგები...
 ეპ, რა იყო ოღესღაც ორივენი ვბავშვობდით...
 მერზე ფიქრნი განილგენენ,
 მუძმარხებად დამორდნენ...
 შემზანება ვან-გოგი, სევდის ბორინაყებში...
 რუსთაველზე გოლებთან ეშხით მონინაგები...
 ეშხით მონინაგები, რწევით ალვა-განისა,
 ვარსკვლავთა აღმასები, ნამად კრთობა მივარისა,
 შენზე ფიქრმა იშორა, შენზე ფიქრმა დანისლა...
 ეს ცა სევდის ცა არი, არა - ჩვენი ბავშვობის...
 ყველაფერი უცრად და თვალდათვალ დაგვმორდა!

– **ხარხაულია ბარბარა** –
 იხილეთ *დაუცხრომელი*.

– **ხარხაული გიგო** (1879 – 1960)

ნამდვილი გვარი – აკოპიანი. დრამატურგი, მწერალი, პოეტი. ნამდვილი სახელი – გრიგოლი. დაბადა სოფელ ახალქალაქში (გორის მაზრა). მის კალამს ეკუთვნის როგორც ლექსები, ისე დრამატული, ისტორიულ-ლეგენდარული პოემები: „პაბაჯ“, „რუიზანი“, „საქართველოს გმირი“, „ოცი ძმა“ და მოთხრობები: „დურგლიანთ ქორწილი“, „სიმონა ბუჯიაშვილი“, „მეკვლე“, „უკუღმართობა“, „შეივალდნენ“, „სამჯერ ოცდარშმი“, „ბერუას ნიკოლა“, „ცელქი რეზო“, „გოგიათი კაკალი“ და სხვა. დრამატული ნაწარმოებები: „მუშა-მგოსანი“, „დარბეული“, „უმანკინი“, ეტიუდები, საბავშვო მოთხრობები და სხვა მრავალი ლექსი. 1923 წელს მუშა-მგოსანს, მწერალსა და დრამატურგს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში იუბილე გამართეს. ამ იუბილესთან დაკავშირებით გამოცა მისი ნაწერები და საიუბილეო კრებული.

(ფრაგმენტი)

...მლოცველნი ხატებს
 თვალ-მარგალიტს თვალში უყრიან,
 „სამოთხეს“ აძევენ
 ჯოჯოხეთის მაგარი კლიტე,
 მოჩვენებებით
 სიმართლეს ღრმა საფლავს უთხრიან,
 ორი ათასჯერ დაუმარხავთ „იესო ქრისტე“!
 ჰოი, მშრომელო, გაახილე მძინარე თვალი!
 კმარა აქამდინ რაც მოსტყუვდი,
 რამდენიც შერცხვი,
 იწამე მხოლოდ სინამდვილე და მომავალი,
 შრომის ბაირალს დააშორე
 „წითელი კვერცხი“!

– **ხარხაულია**

(ხვარამზე სამუკას ასული მინდოლაური)

XIX საუკუნის ქართველი სახალხო მთქმელი, ფშაველი მელექსე ქალი. ჩვენამდე მოღწეულია მინდოლაურის რამდენიმე საგრაფილო ლექსი. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა მისმა ლექსმა „სიყვარული ვაჟიკასი და ხვარამისა“, რომელიც შეყვარებული ქალ-ვაჟის დიალოგს წარმოადგენს. ლექსი პირველად ჩაწერა პეტრე უმიკაშვილმა (1886). გექსეტი ჩაუწერიათ აგრეთვე ილია ჭავჭავაძემ, დავით ხიზანიშვილს, თეოდორაშვილს. პირველად გამოქვეყნდა 1934 წელს. პირველი ცნობები ვაჟიკასა და მელექსე ქალის ვინაობაზე ეკუთვნის თ. რამიკაშვილს; მინდოლაურის საგრაფოსთვის – ვაჟიკასთვის სხვა ქალი შეურთავეთ. მინდოლაური ვაჟა-ფშაველას დედის – გულქანის თანატოლი და მეგობარი ყოფილა.

* * *

ვერცხლის თასადამე მაქცია,
 რო ღვინით აგვესებოდი,
 დაფერილი მქნა წითლად,
 შამსვამდი, შაგერგეოდი.
 ანა მქნა ვერცხლის სათითე,
 რო ხელზე ჩაგედებოდი;
 ანა მქნა ოქროს ბურთივია,
 კალთაში ჩაგეშლებოდი;
 ან ვერცხლის ფულად მაქცია,
 ჯიბეში ჩაგეყრებოდი!
 ან შენი ნამგლის ყანა მქნა,
 რო ფსაზე შაგეჭრებოდი;
 ანა მქნა ვარდი ყოილი,
 რო პირზე დაგეყრებოდი;
 ანა მქნა მოის პერანგი,
 რო გულზე დაგადნებოდი!
 ან შენი ძმა მქნა მოწილე,
 აროდის გაგეყრებოდი;
 ან შენი ნანდაური მქნა,
 გულს ჯაერად ჩაგეჭრებოდი!
 ძალიან დაწუხებული
 გზამულამე შაგეყრებოდი!

– **ხითაროვილი ფანანგი** –

იხილეთ *ფაშვიბერგყიძე ფეშანგი*.

– **ხალაქა მაკინა** (1956)

გამოცემული აქვს კრებულები: „საცნაურის მიღმა“ (2006); მისი ლექსები სისტემატურად იბეჭდება ლიტერატურულ ჟურნალებში („ცისკარი“, „ამერ-იმერი“ და სხვა).

